I -

ღამე

1

ყოფილ სპორტდარბაზში გვეძინა. ხის გალაქულ იატაკზე დახაზული წრეები და ზოლები იმ დროიდან იყო შემორჩენილი, თამაშები რომ იმართებოდა ხოლმე. კალათბურთის ძელები ჯერაც იდგა, თუმცა – ბადეების გარეშე. დარბაზს ოთხივე მხრიდან მაყურებლებისათვის განკუთვნილი იარუსები შემორტყმოდა და ჩემს ყნოსვას ჯერ ისევ, თუმცა ზმანებასავით მკრთალად, სწვდებოდა მატჩებზე დამსწრე გოგონების საღეჭი რეზინებისა და სუნამოების ჩამტკბარ სურნელთა შორის გამომსხლტარი ოფლის მკვეთრი სუნი. სურათებიდან ისინი ჯერ ფუშფუშა ქვედაბოლოებში გამოწყობილი მახსოვს, მერე – მინიკაბებში, მერე – შარვლებში, მერე კი – ცალი საყურითა და მწვანედ აჭრელებული „იროკეზის“ ვარცხნილობით. აქ, ალბათ, ცეკვებსაც მართავდნენ ხოლმე; მუსიკა – გამაყრუებელი ხმაურის პალიმფსესტი – გულს აწყალებდა, მოტივი მოტივს ცვლიდა, დაფდაფების წყალქვეშა დინება, საბრალობელი მოთქმა, ხელსახოცებისაგან გაკეთებული ყვავილების გირლიანდები, მუყაოს ეშმაკები, სარკეებიანი ბზრიალა ბურთი, სინათლის თოვლს რომ აყრიდა მოცეკვავეებს.

ამ ოთახში სექსის ხსოვნა ბუდობდა და სიმარტოვე; და კიდევ რაღაც უფორმოსა და უსახელოს მოლოდინი. მახსოვს კაეშანი იმის გამო, რაც თითქოს ყოველ წუთს შეიძლებოდა მომხდარიყო, რაც აღარასოდეს განმეორდებოდა, როგორც ხელები, რომლებიც გვეხვეოდნენ მომცრო უკანა ეზოში თუ ეზოს გადაღმა, მანქანების სადგომზე თუ ტელევიზორიან ოთახში, სადაც ხმისთვის ბოლომდე ჩაეწიათ და მხოლოდ კადრები დასციმციმებდა ზეაზიდულ სხეულებს.

ჩვენ საკუთარ მომავალს ვგლოვობდით. საიდან დაგვყვა, ნეტავ, გაუმაძღრობის ამგვარი ნიჭი? ალბათ, აქაური ჰაერიდან შევისრუტეთ; და იგი ისევ ჰაერში ტრიალებდა მერეც, დაძინებას რომ ვცდილობდით რიგზე ჩამწკრივებულ არმიულ შეზლონგებზე წამოწოლილნი. საწოლები ისე დაეშორიშორებინათ, რომ ერთმანეთს ვერ გამოვლაპარაკებოდით. ბავშვებივით ფლანელის საღამური პერანგები გვეცვა, ჯარისკაცების საბნები გვეფარა, ძველი,

ჯერაც „შეერთებული შტატები“ რომ ეწერა ზედ. ჩვენ-ჩვენს ტანსაცმელს ფაქიზად ვკეცავდით და საწოლის ბოლოში მდგარ ტაბურეტებზე ვალაგებდით. განათებას უწევდნენ, მაგრამ სულ არ აქრობდნენ. თვალყურს დეიდა სარა და დეიდა ელიზაბეთი გვადევნებდნენ; ტყავის ქამრებზე ელექტროსახრეები ეკიდათ.

ეგ არის მხოლოდ, იარაღი არ ჰქონიათ, მათაც კი არ ანდობდნენ იარაღს. იარაღით მხოლოდ გუშაგები დადიოდნენ, რომლებსაც ანგელოზთა რიგებიდან არჩევდნენ გულმოდგინედ. თუკი არ მოუხმობდნენ, გუშაგებს შენობაში შემოსვლა ეკრძალებოდათ, ჩვენ კი გარეთ გასვლის ნება არ გვქონდა, სასიერნოდ თუ გაგვლალავდნენ ხოლმე, დღეში ორჯერ წყვილ-წყვილად დამწკრივებულს შემოგვატარებდნენ ფეხბურთის მოედანს, რომლის გარშემოც ეკლიანი მავთულხლართის წვრილად დაწნული ღობე იყო აღმართული. ანგელოზები ღობის გადაღმა, ჩვენგან ზურგშექცევით იდგნენ. ჩვენ მათი გვეშინოდა და კიდევ რაღაცას ვგრძნობდით. ჩვენთვის რომ შემოეხედათ... მათთან დალაპარაკება რომ შეგვძლებოდა... რაღაც გარიგებას დავდებდით, ასე გვეგონა, შევთანხმდებოდით, ვივაჭრებდით, ბოლოს და ბოლოს, სხეულები ხომ მაინც გვებადა. ასე ვფანტაზიორობდით.

თანდათან მივეჩვიეთ თითქმის უხმოდ ჩურჩულს. ბინდბუნდში შეგვეძლო ხელები გადაგვეწვდინა და როცა დეიდები არ გვიყურებდნენ, ერთმანეთს თითისწვერებით შევხებოდით, ბალიშებზე მიწოლილებმა ერთმანეთის ტუჩებზე კითხვაც ვისწავლეთ; თავებს მოვატრიალებდით და გვერდით მწოლს ბაგეზე ვაკვირდებოდით. ასე საწოლიდან საწოლამდე მივაწვდინეთ ერთმანეთს ჩვენი სახელები:

ალმა. ჯენინი. დოლორესი. მოირა. ჯუნი.

II -

მაღაზიებში

2

სკამი, მაგიდა, ნათურა. მაღლა, თეთრ ჭერზე ფოთლების გვირგვინის მსგავსი რელიეფური ორნამენტია გამოსახული, ჭერის შუაგული შებათქაშებულია, თითქოს თვალამოთხრილ კაცს სახვევი აუფარებიაო. აქ ჭაღი იქნებოდა, ოდესღაც. ახლა კი ყველაფერი, რაზეც თოკი შეიძლება ჩამოკიდო, გამქრალია.

ფანჯარა, ორი თეთრი ფარდა. ფანჯრის ქვეშ ტახტი პატარა ბალიშით. როდესაც ფანჯარა შემოღებულია – მისი ოდნავ შემოღება თუ შეიძლება – ეგებ ნიავმა შემოაღწიოს და ფარდები შეარხიოს კიდეც. ეგებ მეც ჩამოვჯდე სკამზე ანდა ტახტზე, ხელები ჩამოვუშვა და ფარდების შრიალს ვუყურო. მზის სხივიც ამ ფანჯრიდან აღწევს და იატაკზე ეცემა. იატაკი ხისაა, წვრილად დაზოლილი, საგულდაგულოდ მოწმენდილი. საპრიალებლის სუნი ჩემამდე აღწევს. იატაკზე ფარდაგია, ოვალური, მოსირმული ფოჩებით. იმგვარი ნახელავია, ამათ რომ მოსწონთ: ფოლკ-არტი, ძველებური, ქალის მოქსოვილი მოცალეობის ჟამს, ძველი, გამოუსადეგარი სვიტერებისაგან. ტრადიციულ ღირებულებებს ვუბრუნდებით. წყალს ნუ დაღვრი და არ მოგწყურდებაო. მე არაფერი დამიღვრია, მაშ, რატომ ვკვდები წყურვილით?

სკამის ზემოთ, კედელზე, სურათია, უმინო ჩარჩოში ჩასმული: ყვავილები, ლურჯი ზამბახები, აკვარელი. ყვავილები ჯერ ნებადართულია. ნუთუ ყველას ერთნაირი სურათი გვიკიდია, ერთნაირი სკამები, ერთნაირი თეთრი ფარდები გვაქვს? ეს რა, სახელმწიფო სტრატეგიაა? წარმოიდგინეთ, რომ ჯარში ხართ, გვითხრა დეიდა ლიდიამ.

საწოლი. ვიწრო, საკმაოდ მაგარი ლეიბი, შალის თეთრი გადასაფარებელი. ეს საწოლი მხოლოდ ძილისთვის გამოდგება; თუ უძილობისთვის. ვცდილობ, ძალიან ბევრი არ ვიფიქრო. როგორც სხვა ყველაფერი, აქ ფიქრიც უნდა გამოიზოგო. თანაც ბევრ რამეზე ფიქრი აუტანელია. ფიქრმა შეიძლება ბედნიერი შემთხვევაც გაგაშვებინოს ხელიდან, მე კი მას ველოდები. ვიცი, რატომაც არ არის მინა ლურჯი ზამბახების წინ, რატომ არ შეიძლება ფანჯრის

ბოლომდე გაღება ან რატომ არის მისი შუშა ტყვიაგაუმტარი. მათ არ ეშინიათ, რომ გავიქცევით. შორს მაინც ვერ გავაღწევთ. არსებობს თავდახსნის სხვა გზებიც, რომლებსაც მაშინ აღმოაჩენ, როცა ბასრ ანდა წვეტიან საგანს მოიხელთებ.

ერთი სიტყვით, თუ ამ წვრილმანებს არაფრად ჩავაგდებთ, აქაურობა არც ისე წარჩინებული სტუმრებისათვის განკუთვნილ კოლეჯის მისაღებს მოგვაგონებს; ანდა განსაცდელში მყოფი ქალბატონებისთვის განკუთვნილ, ავეჯით გაწყობილ გასაქირავებელ ოთახს, ოღონდ – ძველმოდურს. აი, ვინ ვართ ახლა ჩვენ – განსაცდელში მყოფნი; და უარესისკენ მივექანებით.

მაგრამ ამ სკამს, მზის სხივს, ყვავილებს თვალს ვერ ავარიდებ. მე ცოცხალი ვარ, ვსუნთქავ, გაშლილ ხელისგულს გარეთ ვყოფ და მზის სხივს ვიჭერ. ციხეში კი არა, სამოთხეში ვარ, როგორც დეიდა ლიდია ამბობდა ხოლმე, რომელმაც ამ ორივე ადგილის ფასი იცოდა.

დროის ამთვლელი ზარი რეკავს. დროის მსვლელობას ჩვენც, როგორც ძველი დედათა მონასტრების ბინადრები, ზარის რეკვით ვიგებთ. და დედათა მონასტრის მსგავსადვე, აქაც იშვიათად თუ სადმე გადააწყდები სარკეს.

სკამიდან ვდგები და მზის სხივს წითელფეხსაცმლიან ფეხს ვუშვერ. უძიროები მაცვია. ხერხემალს ვუფრთხილდები. ცეკვას არ ვაპირებ. მაგიდაზე წითელი ხელთათმანები აწყვია. მე მათ წამოვკრეფ და ხელებზე ვირგებ, ნელ-ნელა, სათითაოდ ყველა თითზე. ირგვლივ ყველაფერი, ჩემი ჩამოფხატული თავსაბურავის გარდა, წითელია: სისხლისფერი ჩვენი ნიშანია. კოჭამდე სიგრძის კაბა მაცვია, სრული, მკერდამდე ბრტყლად ნაოჭაყრილი, ფართხუნასახელოებიანი. თეთრი თავსაბურავით სიარულიც სავალდებულოა; ის არა მხოლოდ ჩვენ გვიშლის ხედვას, არამედ უცხო თვალისგან გვიფარავს. წითელი არასოდეს მიხდებოდა, არ არის ჩემი ფერი. საყიდლების კალათას ვიღებ და მკლავზე ვიკიდებ.

ოთახის კარი – ჩემი ოთახის არა, საგანგებოდ არ ვამბობ სიტყვა „ჩემს“ – დაკეტილი არ არის. კაცმა რომ თქვას, ბოლომდე არც იკეტება. მე მოკრიალებულ დერეფანში გავდივარ, რომლის

შუაგულშიც ფარდაგი აფენია, ჭუჭყიანი ვარდისფერი. როგორც ბილიკი უღრან ტყეში, როგორც ხალიჩა სამეფო სასახლეში, იგი გზას მიკვალავს.

ხალიჩა უხვევს, მთავარი კიბის საფეხურებზე ეშვება და მეც მივყვები. ცალი ხელი კიბის მოაჯირზე მიდევს, ოდესღაც ხე იყო, სხვა საუკუნეში მოჭრეს, შალაშინით ლამაზად ააპრიალეს. ეს საგვარეულო სახლია, გვიანი ვიქტორიანული პერიოდისა, მრავალრიცხოვანი, მდიდარი ოჯახისთვის აშენებული. შემოსასვლელში დგამსაათია, რომელიც გულმოწყალედ გვიჩვენებს დროს; იქით დედობრივი მზრუნველობით მოწყობილი მოსასვენებელი ოთახის კარი ჩანს, თავისი მსუყე ფერებით. არ მახსოვს საკუთარი თავი ამ ოთახში მოსვენებული – ან სარგადაყლაპულივით ვდგავარ, ანდა მუხლი მაქვს მოყრილი. შემოსასვლელის ბოლოში, წინკარის ზემოთ, სარკმელია: ფერადი შუშა, წითელი და ლურჯი ყვავილებით მორთული.

სარკეც არის შემორჩენილი, კიბის მოსაბრუნთან, კედელზე. თუკი თავსისე მივატრიალებ, რომ მთელ სახეზე ჩამოფხატული თავსაბურავიდან მას მზერა მივაწვდინო, კიბეზე ჩასვლისას დავინახავ მრგვალ, თევზის თვალივით ამობურცულ შუშას და მის შიგნით ჩემს დამახინჯებულ ანარეკლს, ერთგვარ პაროდიას, წითელმოსასხამიან ზღაპრულ არსებას, დაუდევრობის იმ ფაზას რომ უახლოვდება, რომელსაც საფრთხე მოჰყვება ხოლმე. ჩემი დაა, სისხლში ჩამბალი.

კიბის ძირში ქუდებისა და ქოლგების ჩუქურთმებიანი საკიდია, მერქნისაგან გამოთლილი. ხისგრძელ, მომრგვალებულ ძელებზე ნარნარად ამოზრდილან გვიმრის კვირტების მსგავსი კაუჭები. ზედ რამდენიმე ქოლგა კიდია: შავი მეთაურისაა, ლურჯი – მეთაურის ცოლის, მესამე კი, რომელიც მე მომაკუთვნეს, წითელი. წითელ ქოლგას თავის ადგილზე ვტოვებ – ფანჯრიდან მზიან ამინდს მოვკარი თვალი. ვფიქრობ, ნეტავ მეთაურის ცოლი თუ ზის მოსასვენებელ ოთახში-მეთქი. ყოველთვის არ ზის. ხანდახან მესმის, როგორ სცემს ბოლთას, მძიმე ნაბიჯის ხმას უფრო მსუბუქი ცვლის, ჭუჭყიანვარდისფერ ხალიჩაზე კი მისი ხელჯოხის ძლივსგასაგონი კაკუნი ისმის.

შემოსასვლელი გადავჭერი, ჩავუარე მოსასვენებელი ოთახის კარს,

სასადილო ოთახში გამავალსაც, ბოლო კარი შევაღე და სამზარეულოში აღმოვჩნდი. აქ აღარ დგას ავეჯის საპრიალებლის სუნი. აქ, სამზარეულოს მაგიდასთან, რომელსაც თეთრი მინანქარი ალაგ-ალაგ ამომტვრევია, რიტა დგას. მას, როგორც ყოველთვის, მართას კაბა აცვია, ჭაობისფერი, რომლის მსგავსსაც ძველად ქირურგები იცვამდნენ ხოლმე. ჩემსას ჰგავს – გრძელია და ფართხუნა, ოღონდ წინ ბავშვის წინსაფრის მსგავსი არდაგით და თეთრი თავსაბურავისა და ვუალის გარეშე. გარეთ გასვლის წინ ისიც იკეთებს ვუალს, თუმცა, არავის ენაღვლება, მართას ვინ დაინახავს. იდაყვებამდე აკაპიწებული სახელოებიდან ყავისფერი მკლავები მოუჩანს. რიტა პურს აცხობს, ცომს კიდევ ერთხელ მიზელ-მოზელს და მერე ამოაგუნდავებს.

რიტა მხედავს და თავს მიკრავს, ვერ ვიტყვი, მესალმება თუ უბრალოდ, აღნიშნავს, რომ შემამჩნია, ფქვილში ამოსვრილ ხელებს წინსაფარზე იწმენდს და კუპონების წიგნის ძებნაში სამზარეულოს უჯრას აქოთებს. პირგამეხებული იღებს იქიდან სამ კუპონს და მაწვდის. ხანდახან მაინც რომ იღიმებოდეს, სასიამოვნო სახე ექნებოდა. თუმცა, წარბებს ჩემ გამო არ კრავს: წითელი კაბაა მისი უკმაყოფილების მიზეზი, მას უბღვერს. მისი აზრით, მე შეიძლება გადამდები აღმოვჩნდე, როგორც ავადმყოფობა ანდა უიღბლობა.

ხანდახან დაკეტილ კარს ყურს მივადებ და სმენად ვიქცევი ხოლმე, ამას ადრე არასოდეს ვიზამდი. თუმცა, დიდხანს არც ახლა ვაყურადებ, მეშინია, არ წამასწრონ. ეგ კია, ერთხელ გავიგონე, როგორ ეუბნებოდა რიტა კორას, რომ ჩემსავით არასოდეს დაეცემოდა.

– არც არავინ გთხოვს, – თქვა კორამ, – მაგრამ მაინც, რას იზამდი?

– კოლონიებში წავიდოდი! – მიუგო რიტამ, – მათ აქვთ არჩევანი.

– არქალებთან, არა? იქ ან შიმშილით მოკვდებოდი, ან კიდევ, ღმერთმა იცის, რით! – მიუგო კორამ. გამოიჭირა.

ისინი ბარდას არჩევდნენ; თითქმის ბოლომდე მიხურული კარიდანაც კი მესმოდა, როგორი წკრიალით ცვიოდა ბარდის მკვახე მარცვლები ლითონის ქვაბში. გავიგონე რიტას მწარე ოხვრა, უკმაყოფილებისა

თუ დასტურის ნიშანი.

– ისინი ამას ყველა ჩვენგანისთვის აკეთებენ, – თქვა კორამ, – ანდა ჩვენ გვეუბნებიან ასე. საშვილოსნოს მილები რომ არ გადამეკეტა და ათი წლით ახალგაზრდა ვყოფილიყავი, მეც ერთ-ერთი მათგანი ვიქნებოდი. ეს არც ისე ცუდია. მძიმე სამუშაო ნამდვილად არ ეთქმის.

– მისთვის ზედგამოჭრილია, ჩემთვის – რა მოგახსენო, – თქვა რიტამ და მეც კარი შევაღე. სახეებზე იმ ქალების შესაფერისი გამომეტყველება დაედოთ, რომლებიც ეს-ესაა, ზურგს უკან გჭორავდნენ და მიხვდნენ, რომ გაიგონე: უხერხულობისაგან ალეწილი, მაგრამ ცოტათი უტიფარიც, თითქოს შენზე ლაყბობა მათი ხელშეუხებელი უფლება ყოფილიყოს. კორას ჩვეულებრივზე უფრო ესიამოვნა ჩემი დანახვა, რიტა – კიდევ უფრო მოიღუშა.

დღეს, მიუხედავად რიტას ჩამოშვებული ცხვირისა და მაგრად მოკუმული ტუჩებისა, სამზარეულოში დარჩენა მინდა. სახლის რომელიმე კუნჭულიდან უცებ შეიძლება კორაც შემოვიდეს, ხელში ლიმონისზეთიანი ბოთლითა და მტვრის საწმენდი ჩვრით. რიტა მოადუღებს ყავას – მეთაურების სახლში ჯერაც მოიძებნება ნამდვილი ყავა – და ჩვენ მივუსხდებით სამზარეულოს მაგიდას, რომელიც ზუსტად ისევეა რიტასი, როგორც ჩემი მაგიდაა ჩემი და ვისაუბრებთ ტკივილსა და ტანჯვაზე, ავადმყოფობაზე, ჩვენს ფეხებზე, ჩვენს ზურგებზე, ყველა იმ ხათაბალაზე, რომელთაც ჩვენი სხეულები ფათერაკიანი ბავშვებივით გადაეყრებიან ხოლმე. თავებს ძახილის ნიშნებად დავუქნევთ ერთმანეთს, მივანიშნებთ, რომ ჩვენც ზუსტად იგივე გვჭირს. ერთმანეთს წამლების სახელებს ვასწავლით და ვეცდებით, ერთურთს ჩვენი ფიზიკური უძლურების დასურათხატებაში ვაჯობოთ; ჩუმად ვიწუწუნებთ, მინორული ტონალობა იუღერებს ჩვენს ხმაში, ლავგარდანის ჩრდილში მობუზული ჩიტებივით ვიღუღუნებთ. „ვიცი, ეს რაც არის“, – ვეტყვით ერთმანეთს. ანდა იმ უცნაურ გამოთქმას გავიხსენებთ, რომელსაც ახლა უკვე მოხუცებისაგან თუღა გაიგონებ: „ხედავ, საით მივექანებით?!“ – თითქოს ხმა მოგზაური იყოს, რომელსაც რომელიღაც ერთი ადგილისკენ უჭირავს გეზი. როგორც უნდა იყოს. როგორც არის კიდეც.

როგორ მძულდა ასეთი ლაყბობა. ახლა კი მენატრება. საუბარი

მაინციყო. აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ანდა ვიჭორავებდით. მართებმა რაღაცები იციან, რაზეც მხოლოდ ერთმანეთს ელაპარაკებიან, გაფუჭებული ტელეფონის მსგავსად ავრცელებენ ამბებს სახლიდან სახლში. უეჭველია, ჩემი არ იყოს, ისინიც უსმენენ სხვებს კარზე ყურმიდებულნი და თვალდახრილებიც კი ყველაფერს ხედავენ. ყურიც მომიკრავს მათი ამგვარი საუბრისათვის, ჰაერში დამიჭერია მათი იდუმალი მითქმა-მოთქმის ნაწყვეტები: „მკვდრადშობილიდაბადა“; ანდა: „პირდაპირ მუცელში გაუყარა საქსოვი ჩხირი, ალბათ, ეჭვიანობამ გააგიჟა“; ან მტანჯველი: „უნიტაზის საწმენდი დაულევინებია. დედის რძესავით შეერგო, ისიც კი ვიფიქრეთ, ალბათ, პირიც არ დაუკარებიაო. მაშინვე მიხვდნენ, ვინც იყო დამნაშავე“.

ანდა რიტას დავეხმარებოდი პურის ცხობაში, ჩავყოფდი ხელებს რბილ, წელვად სითბოში, რაღაცით სხეულს რომ ჰგავს. ერთი სული მაქვს, ტანსაცმლისა და ხის გარდა, რამეს შევეხო. კბილები მიკაწკაწებს, ისე მინდა შეხებით შევცოდო.

მაგრამ რომ ვთხოვო კიდეც, თავი რომც დავიმცირო, რიტა მაინც არ შემიამხანაგებს. ძალიანაც შეეშინდება. მართებს ფიქრადაც არ მოსდით ჩვენთან ფრატერნიზება.

ფრატერნიზება ლათინურად დაძმობილებას ნიშნავს. ლუკმა მითხრა. მანვე თქვა, რომ არ არსებობს სიტყვა, რომელიც დადობილებას ნიშნავს. სორორიზება იქნებოდაო, თქვა. ლათინურის მიხედვით. მას უყვარდა ფიქრი ამგვარ რამეებზე – სიტყვების წარმოშობაზე, მათ თავშესაქცევ მნიშვნელობებზე. დავცინოდი, პედანტი ხარ-მეთქი.

რიტას გამოწვდილი ტალონები ჩამოვართვი. მათ ის პროდუქტები ახატია, რომლებზეც უნდა გადავცვალო: თორმეტი კვერცხი, ყველის ნაჭერი, რაღაც ყავისფერი, სავარაუდოდ, სტეიკი. მე მათ სახელოს ელვაშესაკრავიან ჯიბეში ვიწყობ, იქ, სადაც საშვს ვინახავ.

– უთხარი, ახალი კვერცხი მოგცენ, – მომმართავს რიტა, – წინანდელივით არ მოგივიდეს. და წიწილაც. ეცადე, ქათამი არ შემოგატყუონ. უთხარი, ვისთვის გინდა და აღარაფერს აურევენ.

– კარგი, – ვპასუხობ. არ ვიღიმები. რატომ უნდა ეგონოს, რომ მასთან დამეგობრებას ვცდილობ?

3

უკანა კარით დიდსა და მოვლილ ბაღში გავდივარ. შუაგულში – მინდორი, ტირიფი, ვერხვი; განაპირას – ყვავილების კვლები, სადაც ახლა ენძელები ჭკნება და ტიტები იკვირტება, ფერებად იღვრება. ტიტები წითელია, ყუნწთან მეწამული, თითქოს აღრე გადაჭრეს და ახლახან დაიწყეს შეხორცებაო.

ეს ბაღი მეთაურის ცოლის საუფლოა. ჩემი ფანჯრიდან ხშირად დამინახავს იგი აქ, ბალიშზე ჩამუხლული, ფართოფარფლებიან ქუდზე ცისფერ ვუალგადაგდებული. გვერდით მუდამ კალათა უდგას, რომელშიც ბაღის მაკრატელი ჩანს და კიდევ – ბაწრის ნაკუწები, ყვავილების მისაბმელად. მეთაურის პირადი მცველი მიწას თხრის, ქალი კი მითითებებს აძლევს, ჯოხით ანიშნებს. ბევრ ცოლს აქვს ასეთი ბაღი – საქმე რომ არ შემოელიოთ. ჰოდა, ისინიც უვლიან და უფრთხილდებიან.

ერთ დროს მეც მქონდა ბაღი. ახლაც მახსოვს ამოტრიალებული ბელტის სუნი, ამოთხრილი ჩათქვირული ბოლქვების სისავსე, თითებს შორის ჩაჩხრიალებული თესლის სიმშრალე. ალბათ, დრო ასე უფრო სწრაფად გადის. ხანდახან მეთაურის ცოლი სკამს გამოიტანს ხოლმე გარეთ და ჩამოჯდება, თავის ბაღში. შორიდან მშვიდი ჩანს.

ახლა აქ არ არის და ვფიქრობ, სად შეიძლება იყოს: არ მინდა, მოულოდნელად გადავაწყდე. შეიძლება, სასტუმრო ოთახში კერავდეს პატარა სკამზე მარცხენა ფეხშემოდებული – ართრიტი აწუხებს. ანდა ყელსახვევს ქსოვდეს ფრონტის წინა ხაზის ანგელოზებისთვის. მეეჭვება, რომ ანგელოზებს ასეთი ყელსახვევები გამოადგეთ, მაგრამ მეთაურის ცოლი მაინც დიდი გულმოდგინებით ქსოვს მათ. სხვა ცოლების მსგავსად, ჯვრისა და ვარსკვლავის ნაყშებს არ სჯერდება – ეგ ხომ მეტისმეტად იოლია. მისი მოქსოვილი ყელსახვევის ბოლოებში ნაძვის ხეებია ჩამწკრივებული, ანდა არწივები, ანდა – გახევებული ჰუმანოიდები: ბიჭი-გოგო, ბიჭი-გოგო. ზრდასრულ მამაკაცზე მეტად პატარა ბავშვს მოუხდებოდა ასეთი ყელსახვევი.

ხანდახან მგონია, რომ ამ ყელსახვევებს სულაც არ უგზავნის ანგელოზებს, არღვევს და კვლავ ძაფის გორგლად აქცევს, რომ მერე ხელახლა მოქსოვოს რამე. შეიძლება ცოლები ასე თავს იქცევენ, იჯერებენ, რომ ისინიც ვინმეს სჭირდება. მაგრამ მე მეთაურის ცოლის მშურს – მას ქსოვა შეუძლია. კარგია, პატარ-პატარა და იოლად მისაღწევი მიზნების დასახვა.

მას რატომ შურს ჩემი?

თუ აუცილებლობა არ აიძულებს, არ მელაპარაკება. მე მისი სირცხვილი ვარ; და საჭიროება.

პირველად ერთმანეთის პირისპირ ხუთი კვირის წინ აღმოვჩნდით, როდესაც მე ამ ოჯახში გამამწესეს. წინა ოჯახის გუშაგმა წინკარამდე მომაცილა. პირველ ხანებში წინკარიდან შესვლის უფლება გვაქვს, მერე უკანა კარით სიარულს გვიბრძანებენ ხოლმე. ჯერ ყველაფერი თავის ადგილას არ დალაგებულა, ჯერ ძალიან ადრეა, არავინ იცის დანამდვილებით ჩვენი ზუსტი სტატუსი. ცოტა ხნის შემდეგ ან სულ წინკარით ვივლით, ან – სულ უკანაკარით.

დეიდა ლიდია გვპირდებოდა, რომ ყველაფერს იღონებდა, რათა წინკარით გვევლო. ეს უფრო საპატიოაო, გვეუბნებოდა.

გუშაგმა ჩემ ნაცვლად მიაჭირა ზარს თითი, ზარის წკრიალი რომ ვინმემ გაიგონოს და გასაღებად გამოემართოს, დროა საჭირო, ეს კარი კი იმწამსვე გაიღო, ალბათ, იქვე იდგა დადარაჯებული. თავდაპირველად მართას დანახვას ველოდი, მაგრამ ხელთ ის შემრჩა – თავისი გრძელი, იისფერი მოსასხამით არავისში შეგეშლებოდათ.

– ესე იგი, შენ ახალი ხარ! – თქვა მან. უკან არ დაუხევია, რომ ჩემთვის გზა დაეთმო, პარმაღზე იდგა და შესასვლელს მიღობავდა. უნდოდა, მეგრძნო, რომ მისი ნებართვის გარეშე ამ სახლში ვერასოდეს შევიდოდი. ამ დროში ყველაზე დიდიშეხლა-შემოხლა სწორედ პარმაღებთან იმართება ხოლმე.

– დიახ, – ვუთხარი მე.

– პარმაღზე დადე! – მიუბრუნდა გუშაგს, რომელსაც ჩემი ჩანთა ეჭირა. წითელი ვინილის მომცრო ჩანთა. მქონდა მეორეც, შიგ ზამთრის პალტო და უფრო მძიმე კაბები მეწყო, მაგრამ იმას მერე მომიტანდნენ.

გუშაგმა ჩანთა ძირს დადო და მხედრული სალამი მისცა. ზურგს უკან მისი ფეხის ხმა გავიგონე და ჩემს ყურს ჭიშკრის ჯახუნიც მოსწვდა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მკლავი, რომელსაც ვეყრდნობოდი, გამომეცალა. ახალი სახლის ზღურბლი მუდამ დამთრგუნველია.

მან მოიცადა, ვიდრე მანქანა დაიქოქებოდა და დაიძვრებოდა. სახეში არ ვუყურებდი, თავდახრილი მხოლოდ მის ჩასუქებულ, ლურჯ წელს ვხედავდი, ხელჯოხის სპილოსძვლის ბუნიკზე ჩამოყრდნობილ მარცხენა ხელს, მსხვილ-მსხვილ ბრილიანტებიან ბეჭედს, ერთ დროს ლამაზსა და ახლაც კარგად შემონახულ არათითზე წამოცმულს და ოვალურად მოქლიბულ წამახვილებულ ფრჩხილს. თითი თითქოს ირონიულად იღიმებოდა; თითქოს მას დასცინოდა.

– შეგიძლია შემოხვიდე, – მითხრა მან. ზურგი შემაქცია და დერეფანს კოჭლობით გაუყვა, – კარი მიხურე.

წითელი ჩანთა ოთახში შემოვიყოლე, რასაც უეჭველად მიბრძანებდა, რომ გახსენებოდა, მერე კარი მივხურე. არაფერი მითქვამს. დეიდა ლიდიამ გვირჩია, თუ რამეს არ გკითხავენ, აჯობებს, ხმა არ ამოიღოთო.

– ეცადეთ, მათი თვალით შეხედოთ ყველაფერს, – გვითხრა მან, ხელები ერთმანეთს შემოაჭდო და მაგრად მოუჭირა, თან სახეზე ჩვეული მავედრებელი ღიმილი აღებეჭდა, – ეს მათთვის იოლი სულაც არ არის.

– აქეთ, – მითხრა მეთაურის ცოლმა. მის მოსასვენებელ ოთახში რომ შევედი, ის უკვე თავის სავარძელში იჯდა. მარცხენა ფეხი დაბალ სკამზე შემოედო, პატარა ბალიშზე, რომელზეც ვარდებიანი კალათა ამოექარგათ. გვერდით, იატაკზე დაგდებული საქსოვიდან ჩხირები გამოშვერილიყო.

მე მის წინ ვიდექი, მხრებჩამოყრილი.

– ასე, – თქვა მან. სიგარეტი ამოიღო, კბილებს შორის მოიქცია და მოუკიდა. თხელი ტუჩები ჰქონდა, იმგვარად მოწკურული, რომ პატარა ვერტიკალური ხაზები უჩნდებოდა, პომადის რეკლამის ქალებივით. სპილოსძვლისფერი სანთებელა ეჭირა. „სიგარეტები შავი ბაზრისას ჰგავს“, – გავიფიქრე და იმედით ავივსე. ახლაც კი, როდესაც აღარ არსებობს ნამდვილი ფული, ისევ არის შავი ბაზარი. ის მუდამ იარსებებს, ვიდრე ადამიანებს რამე გასაცვლელი ექნებათ. ამ ქალს შეეძლო, შავი ბაზრის წესებისთვის ფეხი აეწყო. მე კი ვისთვის რა შემეთავაზებინა?

სიგარეტს ნატვრით სავსე მზერა მივაპყარი. ის ისევე მეკრძალებოდა, როგორც ალკოჰოლი და ყავა.

– ანუ ის ბებერი მაჩვი ჩაფლავდა, – თქვა მან.

– დიახ, მემ.

მან რაღაც სიცილის მაგვარი ამოუშვა, მერე დაახველა:

– ბედი არ ჰქონია საწყალს, ეს შენი მეორეა, არა?

– მესამე, მემ, – მე მივუგე.

– შენც ვერაფერიშვილი გამოდიხარ, – მითხრა მან. ისევ მომესმა ხველაშერეული სიცილი, – შეგიძლია დაჯდე. ოღონდ მხოლოდ ახლა, არ ვაპირებ, თავზე დაგისვა.

ხეშეშზურგიანი სკამის კიდეზე ჩამოვჯექი. არ მინდოდა, ოთახი მეთვალიერებინა; არ მინდოდა, მას ჰგონებოდა, თითქოს არ ვუსმენდი, ამიტომ მხოლოდ თვალის კუთხით, ჩრდილივით აღვიქვი ჩემ მარჯვნივ მარმარილოს ბუხარი, მის გასწვრივ ჩამოკიდებული სარკე და ყვავილების თაიგული. მომავალში მათი გულმოდგინედ შესწავლისათვის მეტი დრო მექნებოდა.

ახლა უკვე პირისპირ ვუყურებდი. მომეჩვენა, რომ ნაცნობი სახე ჰქონდა, ან ვიღაცას მაგონებდა. ჯერ კიდევ ქერა თმა ვუალის ქვეშ ოდნავ მოუჩანდა. მაშინ გავიფიქრე, რომ ალბათ, თმას იღებავდა,

რომ მისი საღებავიც შავ ბაზარზე შეძენილი სიკეთე იყო, მაგრამ ახლა ვიცი, რომ ნამდვილად ქერაა. წარბები წვრილ თაღებად ამოექნა და სახეზე ერთთავად გაოცებულ-აღშფოთებული თუ ცნობისმოყვარე გამომეტყველება ედო, შეშინებული ბავშვივით, თუმცა, თვალის უპეები დაღლილობისგან ჩაშავებოდა. უპეები, ოღონდ არა – თვალები, შუაგული ზაფხულის კამკამა ცასავით ლურჯი და მტრულად მომზირალი. ასეთი სილურჯე თითქოს გისხლეტს, ხელს გკრავს. მის ცხვირს ოდესღაც, ალბათ, ჩამოთლილი ეთქმოდა, მაგრამ ახლა სახესთან შედარებით მეტისმეტად პატარა ჩანდა. სახე გასივებული კი არ ჰქონდა, თითქოს გაფართოებოდა. ტუჩის კუთხეებთან ორი ღრმა ნაოჭი გაწოლილიყო, მათ შორის კი მუშტივით შეკრული თხელი ნიკაპი მოჩანდა.

– მინდა, რაც შეიძლება იშვიათად გნახო, – თქვა მან, – დარწმუნებული ვარ, შენც ეს გსურს.

არაფერი ვუპასუხე: თანხმობას თავხედობად ჩამითვლიდა, უარს – ურჩობად.

– ვიცი, სულელი არ ხარ, – განაგრძობდა იგი და კვამლის ბოლქვებს უშვებდა, – წავიკითხე შენი დოსიე. ჩემთვის ეს რაღაც ბიზნესგარიგებაა. მაგრამ თუ რამეს მიშავებენ, ვალში არც მე ვრჩები. გასაგებია?

– დიახ, მემ, – ვუპასუხე.

– ნუ მეძახი ასე, – გაღიზიანდა იგი, – მართა ხომ არა ხარ!

არ მიკითხავს, როგორ უნდა მიმემართა, რადგან მივხვდი: იმედი ჰქონდა, აღარასოდეს აღარანაირად მიმართვა აღარ მომიწევდა. გული დამწყდა. მაშინ მინდოდა,ის ჩემს უფროს დად ქცეულიყო, დედასავით მზრუნველად, რომელიც გამიგებდა და დამიცავდა. ჩემს წინა სამსახურში ცოლი თითქმის ყოველთვის საძინებელში იყო შეკეტილი, მართები ამბობდნენ, სვამსო. მინდოდა, ეს მაინც ყოფილიყო სხვანაირი. მინდოდა, მეფიქრა, რომ სხვა დროსა და ადგილას, სხვა ცხოვრებაში უთუოდ მომეწონებოდა, მაგრამ უკვე აშკარა იყო: ის არასოდეს მომეწონებოდა, ისევე, როგორც მას არ

მოვეწონებოდი.

ნამწვი სპირალისებურ საფერფლეში ჩაადგო – მტკიცედ, ერთი წამოწევითა და ხელის ერთი მოქნევით. სხვა ცოლების მსგავსად არისტოკრატულ ფახიფუხს არ მოჰყოლია.

– რაც შეეხება ჩემს ქმარს, – თქვა მან, – მინდა, ყველაფერი ახლავე კარგად გაიგო. ის ჩემი ქმარია და მე და მას მხოლოდ სიკვდილი თუ დაგვაშორებს. მორჩა!

– დიახ, მემ, – ვუპასუხე. რა ვქნა, დამავიწყდა. მინახავს პატარა გოგონების თოჯინები, რომლებსაც თუკი ზურგზე მავთულს ჩამოქაჩავდი, ლაპარაკობდნენ. მგონი, ჩემი ხმაც ამ თოჯინების ხმასავით ჟღერდა, მონოტონურად. ალბათ, ერთი სული ჰქონდა, ჩემთვის სახეში გაელაწუნებინა. მათ უფლება აქვთ, გვცემონ, ეს მათი საღვთო წესია, მაგრამ მხოლოდ შიშველი ხელით.

– სხვა რაღაცებთან ერთად, ამისთვისაც ვიბრძოდით, – მითხრა მეთაურის ცოლმა, მერე უეცრად თვალი ამარიდა, თავის მსხვილფალანგებიან, ბრილიანტებით შემკულ ხელებს დააცქერდა და მე გამახსენდა, სად მენახა იგი.

პირველად ტელევიზორში ვნახე, რვა-ცხრა წლის ვიქნებოდი. ის დრო იყო, დედაჩემს კვირადილაობით გვიანობამდე რომ ეძინა, მე კი ადრე ვდგებოდი, დედაჩემის ბიბლიოთეკაში ტელევიზორს მივუჯდებოდი და მულტფილმის ძებნაში ყველა არხს გადავჩხრეკდი. ხანდახან, თუკი მულტფილმს არ უჩვენებდნენ, „ნორჩ სულთათვის ქადაგების საათს“ ვუყურებდი. აქ ბავშვებს ბიბლიურ ისტორიებს უყვებოდნენ და ჰიმნებს გალობდნენ. მგალობელთაგან ერთ სოლისტს სერენა ჯოი ერქვა. სოპრანო იყო. ფერფლისფერთმიანი, ტანმორჩილი, პაჭუა ცხვირითა და დიდრონი ლურჯი თვალებით, რომელთაც გალობისას ზე აღაპყრობდა ხოლმე. მას შეეძლო, ერთდროულად ეტირა და გაეღიმა. თითქოს როლში შეჭრილს, ერთი-ორი ცრემლი გრაციოზულად ჩამოუგორდებოდა ხოლმე ღაწვებზე და მისი ხმა, ათრთოლებული და უმწეო, უმაღლეს ნოტებს იოლად სწვდებოდა. ეს მანამდე, სანამ ახალ ასპარეზს აირჩევდა.

ახლა ჩემ წინ სწორედ სერენა ჯოი იჯდა, ანუ ყველაფერი უფრო

უარესად იყო, ვიდრე წარმომედგინა.

4

ხრეშიან ბილიკს მივუყვები, რომელიც უკანა ეზოს გაზონებს ზუსტად ჰყოფს შუაზე, როგორც თმას – სავარცხელი. მთელი ღამე უწვიმია: ბალახი ორივე მხარეს ნამიანია, ჰაერი – ნოტიო. ჭიები, აქაურ ნაყოფიერ მიწას რომ მოუმრავლებია, მზისგულზე ამოშლილან; სიწითლით ტუჩებს ჰგვანან და ტუჩებივით იკლაკნებიან.

თეთრ საგუშაგო ჭიშკარს ვაღებ და ახლა წინა ეზოს გაზონებს შორის მივუყვები გზას ალაყაფის კარისაკენ. მოასფალტებულ გზაზე ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი გუშაგი მანქანას რეცხავს. ეს იმას ნიშნავს, რომ მეთაური შინაა, სასადილო ოთახის უკანა ფლიგელში, სადაც, როგორც ჩანს, დღის უმეტეს ნაწილს ატარებს.

მანქანა ძალიან ძვირადღირებულია, „ქარბორბალას“ მარკისა; „ურემსაც“ სჯობს და ზორბა, პრაქტიკულ „ბეჰემოთზეც“ უკეთესია. შავია, ფუფუნებისა და კატაფალკის ფერი, გრძელი და გლუვი. მძღოლი ხავერდის ნაჭრით გულმოდგინედ აპრიალებს. ჩვენმა დრომაც ვერაფერი დააკლო ძვირფასი მანქანებისადმი კაცების მზრუნველ, ალერსიან დამოკიდებულებას.

მას გუშაგის უნიფორმა აცვია, მაგრამ ქუდი დაუდევრად მოჰქცევია გვერდზე, სახელოები კი იდაყვებამდე დაუკაპიწებია და გარუჯული, შავი ბალნით დაფარული მკლავები მოუჩანს. სიგარეტი ტუჩის კუთხეში მოუქცევია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასაც აქვს შავ ბაზარზე გადასაცვლელი რაღაც.

მე ვიცი, რომ მას ნიკი ჰქვია. ამას წინათ რიტა და კორა ჭორაობდნენ მასზე და ერთხელ ისიც გავიგონე, მეთაურმა რომ უთხრა: „ნიკ, მანქანა არ დამჭირდება“.

ის აქვე ცხოვრობს, ჩვენს ოჯახში, გარაჟის თავზე. დაბალი სტატუსი აქვს:ქალი არ ჰყავს, ერთიც კი. კაპიკად არ ფასობს. ალბათ, რამე ნაკლის ბრალია, შეიძლება, ურთიერთობა უჭირს. მაგრამ ისე იქცევა, თითქოს ამას ვერ ხვდება, ანდა არ ანაღვლებს. მეტისმეტად დაუდევარი ჩანს, პირმოთნეობა აკლია. შეიძლება ეს სიბრიყვითაც

მოსდის, თუმცა, ეჭვი მეპარება. თევზის სუნი ასდისო, მისნაირებზე იტყვიან; ან მე ამდის ვირთხის სუნი. სიმფრთხალე სუნივით ამეკრო უკვე. ვფიქრობ, ნეტავ როგორი სურნელი აქვს მას. არც თევზის და არც – გახრწნილი ვირთხის; გარუჯული კანი, მზისგან დანამული, კვამლით გაჟღენთილი. ვოხრავ, ხმამაღლა ვსუნთქავ.

ის ჩემკენ იყურება და ხედავს, რომ მეც ვუყურებ. ფრანგული სახე აქვს, თხელი, პრეტენზიული, ერთიანად დაკუთხული და წახნაგებიანი. როცა იღიმება, ტუჩების გარშემო ნაკეცები უჩნდება. ის უკანასკნელ ნაფაზს ურტყამს, ნამწვს ასფალტზე ადგებს და ქუსლით სრესს. მერე სტვენას იწყებს. მერე თვალს მიკრავს.

მე თავს ვხრი – თეთრი თავსაბურავი სახეზე მეფარება – და გზას ვაგრძელებ. გარისკა, მაგრამ რატომ? რომ დამესმინა?

ეგებ მეგობრულად ჩამიკრა თვალი. შეიძლება ჩემი სახის გამომეტყველებადაინახა და რაღაც არასწორად გაიგო, არადა, სინამდვილეში მხოლოდ სიგარეტი მინდოდა.

შეიძლება გამომცადა, რას ვიზამდი.

ან იქნებ ის თვალია.

ალაყაფის კარს ვაღებ და დაკეტვისას დაბლა ვიყურები, ოღონდ არა – უკან. ტროტუარი წითელი აგურისაა. თვალს ვუშტერებ ამ პეიზაჟს, მართკუთხა კუბიკების ველს, რომელიც ათწლეულობით ზამთრის ყინვას ალაგ-ალაგ მსუბუქად ჩაუზნექია. აგურს ჟამთა სვლისგან ფერი უცვლია, მაგრამ მაინც ხასხასა და კრიალაა. ტროტუარებს ახლა უკეთ ასუფთავებენ, ვიდრე – უწინ.

კუთხეში ვუხვევ და ვიცდი. აღრე ლოდინი არ შემეძლო.

– საწადელს აღწევს მხოლოდ იგი, ვინც დგას და იცდის, – ამბობდა დეიდა ლიდია; სკოლაში ნასწავლს გვახსენებდა. იმასაც გვეუბნებოდა, ამას ყველა თქვენგანი ვერ გაუძლებსო. ზოგიერთები კლდეზე ანდა ეკლებზე დაცვივდებით, ზოგი თქვენგანი კი ნაყოფიერ ნიადაგში მოხვდებაო. ნიკაპზე ხალი ჰქონდა, რომელიც ლაპარაკისას ზემოთ-ქვემოთ უხტოდა. გვეუბნებოდა,

წარმოიდგინეთ, რომ მარცვლები ხართო, – და ამ დროს მის ხმაში, როგორც შეთქმულის შემპარავ კილოში, ყალბი ნოტები გამოერეოდა, ბალეტის მასწავლებელივით, მოსწავლეებს რომ ეუბნება: „აბა, ხელები ასწიეთ, ვითამაშოთ, ვითომ ხეები ვართ“.

კუთხეში ვდგავარ, ვთამაშობ, ვითომ ხე ვარ.

წითელი სილუეტი, სახეზე ჩამოფხატული თეთრი თავსაბურავით, ზუსტად ჩემნაირი სილუეტი – უცნაური, წითელკაბიანი, მკლავზე კალათაგადაკიდებული – აგურის ტროტუარს ჩემკენ მოუყვება, ჩემ წინ დგება და სახეებზე ჩამოშლილი თეთრი ქსოვილის გვირაბებიდან ერთმანეთს ვაშტერდებით. კი, სწორედ ისაა.

– კურთხეულ არს ნაყოფი, – მეუბნება იგი. ასე ვესალმებით ხოლმე ერთმანეთს.

– განახვნას უფალმა, – ვპასუხობ მე. ასე მივუგებთ ხოლმე სალამზე. ვტრიალდებით და დიდ სახლებს შორის გაჭიმულ ქუჩას ქალაქის ცენტრისაკენ მხარდამხარ მივუყვებით. აქ მხოლოდ წყვილად სიარულის უფლება გვაქვს. გვეუბნებიან, რომ ეს ჩვენი უსაფრთხოებისათვის არის აუცილებელი, თუმცა, ბოდავენ: ისინი ხომ ისედაც კარგად გვიცავენ. სინამდვილეში ის მე მითვალთვალებს, მე კი – მას. თუკი რომელიმე ჩვენგანი ამ ყოველდღიური სეირნობებისას ხაფანგიდან დასხლტომას დააპირებს, მეორე აგებს პასუხს.

ეს ქალი მეორე კვირაა, ჩემი მეწყვილეა. არ ვიცი, წინას რა დაემართა. ერთ მშვენიერ დღესაც აღარ მოვიდა და მისი ადგილი სხვამ დაიკავა. შეკითხვა აზრად არ მომსვლია, ვხვდებოდი, პასუხი არ მომეწონებოდა, თანაც არც არავინ მიპასუხებდა.

ეს ახალი ჩემზე ცოტა მსუქანია. თაფლისფერი თვალები აქვს. გლენისა ჰქვია. მხოლოდ ეს ვიცი მის შესახებ. მშვიდად მოსეირნობს, თავჩაღუნული, წითელხელთათმნიანი ხელები გულზე დაუკრეფია, მოკლე ნაბიჯებით დადის, როგორც უკანა ფეხებზე წამომართული გაწვრთნილი ღორი. ამ სეირნობებისას ორთოდოქსული ფრაზების გარდა არაფერი წამოსცდენია და რა თქმა უნდა, მეც შესაფერისად ვპასუხობდი. იქნებ ნამდვილად მორწმუნეა, მხევალი სულით ხორცამდე. ამიტომ ვერ გავრისკავ.

– ომში საქმე კარგად მიდისო, გავიგე, – ამბობს ის.

– დიდება ღმერთს, – ვპასუხობ მე.

– დღეს კეთილი ტაროსი გვებოძა.

– რომელიც მე სიხარულით მივიღე.

– გუშინდლის მერე ამბოხებულთა დიდი ნაწილი დაუმარცხებიათ.

– დიდება უფალს, – არ ვეკითხები, საიდან იცის ამდენი, – ვინ იყვნენ?

– ბაპტისტები. ბლუ ჰილზე ჰქონდათ ციხე-სიმაგრე. ნაცარტუტად აქციეს ჩვენებმა იქაურობა.

– დიდება უფალს.

ხანდახან მინდა, მოკეტოს და მშვიდად სეირნობა დამაცადოს, მაგრამ სიახლეებს ვარ დახარბებული, ნებისმიერ სიახლეს, თუნდაც ცრუს; ისიც რაღაცას ნიშნავს.

პირველ შლაგბაუმს მივადექით, რომელიც იმ ჯებირებს ჰგავს, საგზაოსამუშაოებისას ანდა საკანალიზაციო მილების ჩაყრისას რომ გამოდგამენ ხოლმე ქუჩებში: შავ-ყვითლად დაზოლილი ხის წინაღობა, წითელი ექვსკუთხედი, რომელიც გიბრძანებს, შეჩერდე. ჭიშკართან რამდენიმე ფანარია, მაგრამ ჯერ არ აუნთიათ, რადგან არ დაღამებულა. ვიცი, რომ ჩვენ ზემოთ, სატელეფონო ბოძებზე პროჟექტორებია მიმაგრებული, რომლებსაც საგანგებო შემთხვევებისას იყენებენ და ქუჩის ორივე მხარეს საცეცხლე ჯიხურებში ავტომატიანი კაცები არიან ჩასაფრებული. სახეზე ჩამოფხატული თავსაბურავი პროჟექტორებისა და ჯიხურების დანახვაში ხელს მიშლის, მაგრამ ვიცი, რომ ისინი იქ არის.

შლაგბაუმის მიღმა, ვიწრო გასასვლელთან, ორი კაცი დგას. მათ „რწმენის გუშაგთა“ მწვანე უნიფორმები აცვიათ, მხრებსა და ბერეტებზე ემბლემაამოქარგული: ორი გადაჯვარედინებული ხმალი თეთრი სამკუთხედის ფონზე. ეს მცველები ნამდვილი ჯარისკაცები არ არიან. მათ მხოლოდ ყოველდღიური კონტროლისა თუ სხვა უღიმღამო მოვალეობათა შესასრულებლად იყენებენ, მაგალითად,

მეთაურის ცოლის ბაღს აბარვინებენ. თუკი ისინი გადაცმული თვალები არ არიან, მაშინ ან სულელები არიან, ან მოხუცები, ან – უნარშეზღუდულები, ან – ძალიან ახალგაზრდები.

ეს ორი ძალიან ახალგაზრდაა: ერთს ულვაში ახლად აბიბინებია, მეორეს სულ მოკრიალებული აქვს სახე. მათი სინორჩე გულს მიჩუყებს, მაგრამ ვერ შემაცდენს. ახალგაზრდები ყველაზე საშიშნი არიან, ყველაზე ფანატიკოსები, ყველაზე დაუფიქრებლად იყენებენ იარაღს. მათ ჯერ ვერ მოასწრეს, ყოფიერების არსს ჩასწვდომოდნენ. უმჯობესია, თუკი ფრთხილად აუვლი გვერდს.

წინა კვირას მათქალი მოკლეს ზუსტად ამ ადგილზე. მართა. წამოსასხამის ჯიბეებში დიდხანს აფათურებდა ხელს საშვის საპოვნელად და მათ იფიქრეს, რომ ბომბის აფეთქებას აპირებდა. იფიქრეს, რომ გადაცმული კაცი იყო. ასეთი გაუგებრობებიც ხდება ხოლმე.

რიტა და კორა იცნობდნენ იმ ქალს. გავიგონე, როგორ ლაპარაკობდნენ მასზე სამზარეულოში.

– თავის საქმეს აკეთებდნენ, – თქვა კორამ, – ჩვენ გვიცავდნენ.

– მოკვლაზე იოლი რაა, – თქვა რიტამ ბრაზიანად. საკუთარი ტყავი ეწვოდა, – რა საჭირო იყო მისი გაგორება.

– შემთხვევით მოხდა, – მიუგო კორამ.

– აბა, კი, – შეეწინააღმდეგა რიტა, – ესენი შემთხვევით არაფერს აკეთებენ.

მესმოდა, ჯამ-ჭურჭელს როგორი გამეტებით ახათქუნებდა ნიჟარაში.

– ასეა თუ ისეა, ჭკუის სასწავლი ამბავია. თუ ვინმეს აქაურობის არევა მოუვა აზრად, ჯერ კარგად დაფიქრდება.

– რაც უნდა იყოს, – განაგრძო რიტამ, თან გამალებით მუშაობდა, – ძალიან ცუდი სიკვდილია.

– უარესის მოფიქრებაც შეიძლება, – თქვა კორამ, – ეს სწრაფი მაინც

იყო.

– შენ შეიძლება მასეც გერჩივნოს, – მიუგო რიტამ, – მე კი მინდა, მანამდე ცოტა დრო მაინც მქონდეს. ყველაფერი მოწესრიგებული რომ დავტოვო.

ორივე გუშაგი მხედრული წესით გვესალმება, სამი თითით ბერეტის კიდეს ეხებიან. ამგვარ პატივს ჩვენს ტალონებს მიაგებენ. მათ ევალებათ, მოკრძალება გამოიჩინონ ჩვენი სამსახურისადმი.

ჩვენ ჩვენი ფართო სახელოების ელვით შეკრული ჯიბეებიდან საშვებს ვიღებთ, ისინი ამოწმებენ და ბეჭედს გვირტყამენ. ერთ-ერთი მარჯვნივ, საცეცხლე ჯიხურისაკენ მიემართება, რათა ჩვენი საშვის ნომრები კომპიუმეტრში შეამოწმოს.

საშვის დაბრუნებისას აი, ის, ატმის ბუსუსისებურულვაშიანი, თავს ხრის, რომ სახეზე შემომხედოს. მეც აწეულ თავს ვაგებებ, ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ და ის წითლდება. გრძელი სახე ცხვრისას მიუგავს და ჩამოსტირის, მაგრამ დიდი და ღრმა თვალები აქვს ძაღლივით, ოღონდ ტერიერივით კი არა, სპანიელივით. მკრთალი კანი აქვს, ავადმყოფურად ნაზი, ისეთი, ახლად შეხორცებული და ფუფხგადაცლილი ჭრილობის ქვეშ რომ გამოანათებს ხოლმე. მიუხედავად ამისა, მინდა ამ უმწეო ბავშვის სახეს ხელი შევახო. იგი პირველი მარიდებს მზერას.

ეს წესებისაგან ოდნავ გადახვევაა, ისეთი უმნიშვნელო, რომ ვერავინ შეამჩნევს, მაგრამ ამგვარი წუთები პირის ჩატკბარუნებას ჰგავს და მათ გონებაში ისე ვინახავ, როგორც ბავშვობაში უჯრის სიღრმეში კანფეტებს ვჩურთავდი ხოლმე. ამგვარი წუთები გამონათებებია, ჩემი პატარ-პატარა ჭუჭრუტანები.

რა მოხდება ნეტავ, აქ რომ ღამით მოვიდე, როდესაც ის მარტოა ხოლმე პოსტზე – თუმცა, ალბათ, არავინ აღირსებს სიმარტოვეს – და ჩემი თეთრი თავსაბურავის ქვეშ შემოვახედო? რა მოხდება, ჩემი წითელი სუდარა რომ შემოვიხსნა და ქუჩის ფანრების დაბინდულ შუქზე მას ან მათ დავენახვო? შეუძლებელია, ამაზე ხანდახან ისინიც არ ფიქრობდნენ, ამ შლაგბაუმთან დაუსრულებელი დგომით გაბეზრებულნი. აქ ხომ არავინ ჩაივლის, მხოლოდ მორწმუნეთა

მეთაურები დადიან გრძელი, შავი, მოთუხთუხეძრავებიანი მანქანებით, სალხინებლისა და ვედრებიადას სავალდებულო გზაზე მიმავალი მათი ლურჯი ცოლები და თეთრპირბადიანი ქალიშვილები, ან მათი ნაღვლიანი მწვანე მართები, ანდა რომელიმე შემთხვევითი მშობიარომობილი თუ მათი ფეხით მოსიარულე წითელი მხევლები. შეიძლება ხანდახან შავად მოხატულმა ფურგონმა ჩაუაროთ, რომელსაც გვერდით თეთრებში გამოწყობილი პარიკიანი თვალი მისდევს. ფურგონის ფანჯრისმინები შავად არის დაბურული და წინა სავარძლებზე მსხდომ კაცებს მუქი სათვალეები უკეთიათ: ორმაგი სიბნელე.

ეს ფურგონები, უდავოა, სხვა მანქანებზე უხმაუროდ დადიან. როდესაც გვერდით ჩაგვივლიან, ჩვენ მათ თვალს ვარიდებთ. თუკი მათგან ხმა გამოდის, ყურებს ვიყრუებთ. არავინ არის მთელი გულით უფალს მინდობილი.

შავ ფურგონებს შლაგბაუმთან დაუყოვნებლივ ატარებენ; ფურგონში შეხედვას, გაჩხრეკას, შიგ მსხდომთა ძალაუფლებაში დაეჭვებას გუშაგები ვერასდროს გაბედავენ, რასაც უნდა ფიქრობდნენ.

თუკი ფიქრობენ საერთოდ; მათი შემხედვარე ამას ვერ დაიჯერებ.

ალბათ, არ ფიქრობენ, უნიფორმა უშლით ხელს. თუკი კოცნაზე იფიქრებენ, მაშინვე ანთებული პროჟექტორებიც გაახსენდებათ, შაშხანის გასროლაც. ამის ნაცვლად ისინი ფიქრობენ თავიანთ მოვალეობებსა და ანგელოზებად დაწინაურებაზე, როცა, ალბათ, ქორწინების უფლებას მისცემენ, მერე კი, თუკი ძალაუფლებაც ექნებათ და სიბერემდეც მიაღწევენ, საკუთარი მხევალიც ეღირსებათ.

ულვაშიანი გუშაგი ფეხით მავალთათვის განკუთვნილ პატარა ჭიშკარს გვიღებს და უკან იხევს, გზას გვითმობს. ჩვენ მათ ვშორდებით. მივდივართ და ვიცი, რომ ეს ორი კაცი, რომელთაც ქალის შეხება აკრძალული აქვთ, თვალს გვაყოლებს. ისინი თვალებით გვეფერებიან და მე თეძოებს ისე მივარხევ, ვგრძნობ, როგორ შრიალებს ჩემი ფართხუნა წითელი კაბა. ეს იმას ჰგავს, ძვალი გეჭიროს და, ღობის უკან უსაფრთხოდ თავდაგულებული, მშიერ ძაღლს ცხვირწინ უტრიალებდე და ეჯღანებოდე. და მე მრცხვენია ჩემი საქციელის – ამ კაცებს ხომ ბრალი არაფერში

მიუძღვით, ისინი ხომ ძალიან ახალგაზრდები არიან.

მერე ვხვდები, რომ აღარაფრისაც აღარმრცხვენია. საკუთარი ძალაუფლებით ვტკბები, ძაღლისთვის მიუწვდომელი ძვლის უღონო ძალაუფლებით. ნეტამც ისე გამწარდებოდნენ ჩვენი ყურებით, რომ შლაგბაუმის შეღებილ ფიცრებს გაეხახუნებოდნენ ჩუმ-ჩუმად. ძალიან დაიტანჯებიან, მერე კი, ღამით, თავიანთ ყაზარმულ საწოლებში თავიანთივე ხელების გარდა საშველი არ ექნებათ, მაგრამ ღმერთს ვერ შესცოდავენ. აღარც ჟურნალები, აღარც ფილმები, აღარც გასაბერი ქალები; მხოლოდ მე და ჩემი აჩრდილი, ნელ-ნელა რომ ვეფარებით ბარიერთან მდგარი გაფაციცებული, დაძაგრული კაცების თვალთაგან, რომლებიც მზერას ვერ სწყვეტენ ჩვენს ლანდებს.

5

გაორებული, ქუჩას მივუყვები. მართალია, მეთაურის სამფლობელოს გამოვცდით, მაგრამ აქეთაც დიდი სახლებია წამომართული. ერთ-ერთი მათგანის წინ გუშაგი ბალახს თიბავს. გაზონები გაწკრიალებულია; ფასადები – გულმისასვლელად, გემოვნებით განახლებული; ყველა კარ-მიდამო სახლების, ბაღებისა და ინტერიერის საჟურნალე ფოტოებს ჰგავს – მათსავით უკაცური და მათსავით ძილის მომგვრელი. ქუჩა მუზეუმს ჰგავს ან საჩვენებელ ქალაქს, რომელიც დამთვალიერებლებს ხალხის ადრინდელ ყოფას აცნობს. როგორც ფოტოებზე, მუზეუმებსა თუ საჩვენებელ ქალაქებში, ბავშვები აქაც არსად ჩანან.

ეს გალაადის შუაგულია, აქ ომი მხოლოდ ტელევიზორებით თუ შემოაღწევს. განაპირა მხარეებზე ვერაფერს გეტყვით, გააჩნია, ჩვენ ვუტევთ თუ ისინი, მაგრამ ცენტრში არაფერი იძვრის. გალაადის რესპუბლიკა საზღვრებს არ ცნობს, ამბობდა დეიდა ლიდია, გალაადი შენშია.

აქ ერთ დროს ექიმები ცხოვრობდნენ, ადვოკატები, უნივერსიტეტის პროფესორები. ახლა ადვოკატები აღარსად არიან და უნივერსიტეტიც დაკეტილია.

ამ ქუჩებში ოდესღაც მე და ლუკი ერთად დავსეირნობდით. ვსაუბრობდით იმაზე, თუ როგორ ვიყიდდით ერთ-ერთ ასეთ დიდსა და ძველ სახლს, რომელსაც მერე, დროთა განმავლობაში, შევაკეთებდით. გვექნებოდა ბაღი, შვილებისთვის საქანელებს ჩამოვკიდებდით. შვილები გვეყოლებოდა. ვიცოდით, რომ ამდენ ფულს, ალბათ, ვერასოდეს ვიშოვიდით, მაგრამ მაინც ჩვენი საყვარელი სასაუბრო თემა იყო, კვირა საღამოების გასართობი. ამგვარი თავისუფლება ახლა თითქმის უწონობას ჰგავს.

კუთხეში შევუხვიეთ და უფრო ხალხმრავალსა და ხმაურიან მთავარ ქუჩაზე აღმოვჩნდით. ირგვლივ მანქანები დაქრიან, უმეტესობა – შავი ფერის, რამდენიმე – ნაცრისფერი და ყავისფერი. აქ, ჩვენ გარდა, კიდევ ჩანან ხელკალათიანი ქალები, ზოგიერთი წითელ სამოსში

გამოწყობილი, ზოგიც – მართას ჭაობისფერ წამოსასხამში, რამდენიმე მათგანი – წითელ, ლურჯსა და მწვანეზოლებიან, იაფფასიანსა და დაკონკილ კაბაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ღარიბთა ქალები არიან. ეკონომცოლები, როგორც მათ ეძახიან. ამ ქალებს რამე განსაზღვრული ფუნქცია არ აქვთ. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რაც შეუძლიათ, რა თქმა უნდა. აქა-იქ მთლიანად შავ ტანსაცმელში გახვეული ქალებიც ჩაივლიან ხოლმე, ქვრივები. ადრე უფრო მეტნი იყვნენ, მაგრამ გადაშენების გზას ადგანან. ტროტუარზე მეთაურების ცოლებს ვერ გადაეყრებით. ისინი მხოლოდ მანქანებით დაბრძანდებიან.

აქ სულ ცემენტის ტროტუარებია. ბავშვივით ვცდილობ, ნაპრალებს ფეხი ავარიდო. მახსოვს ამ ტროტუარებზე სიარული, ადრე-ადრე, ისიც მახსოვს, რამეცვა. ხანდახან სპორტული ფეხსაცმელი, რეზინისძირებიანი და დასვრეტილი, ფაბრიკის სახელობითი ფლუორესცენტული ვარსკვლავით დამშვენებული, რომელიც სიბნელეში ანათებდა. თუმცა, მე ღამღამობით არასოდეს მირბენია; მხოლოდ დღისით დავრბოდი, თანაც – მხოლოდ ხალხმრავალ ქუჩებში.

ქალები მაშინ დაუცველები ვიყავით.

მახსოვს ის წესებიც, დაუწერელი წესები, რომლებიც ყველა ქალმა იცოდა: არ გაუღო კარი უცნობს, თუნდაც გითხრას, რომ პოლიციიდანაა. დაე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა კარის ქვეშ შემოგიცუროს. არ შეჩერდე ქუჩაში და არ დაეხმარო მანქანის მძღოლს, რომელიც თავს იკატუნებს, რომ რაღაც უჭირს. საკეტები შეამოწმე და გზა გააგრძელე. თუკი ვინმე დაგისტვენს, უკან არ მიიხედო. ღამით მარტო არ წახვიდე სამრეცხაოში.

სამრეცხაოებზე ვფიქრობ. რას ვიცვამდი იქ წასვლისას: ჯინსს, შორტს, სპორტულ შარვალს. რას ვყრიდი სარეცხ მანქანაში: ჩემს ტანსაცმელს, ჩემს საპონს, ჩემს ფულს, რომელსაც საკუთარი შრომით ვშოულობდი. ვფიქრობ, რამხელა ძალაუფლება მქონია.

ახლა ჩვენ იმავე ქუჩაზე მივსეირნობთ, წითელი წყვილი, და არავინ მოგვძახის უხამსობას, არავინ გველაპარაკება, არავინ გვიფათურებს ხელებს, არავინ გვისტვენს.

თავისუფლება მრავალნაირი არსებობს, იტყოდა დეიდა ლიდია, თავისუფლება სწრაფვისა და თავისუფლება თავდაღწევისა. იმ ანარქიის პერიოდში თავისუფლება იყო სწაფვა, ახლა კი გვაქვს თავდაღწეულთა თავისუფლება. დააფასეთ იგი.

ჩვენ წინ, მარჯვენა მხარეს, არის მაღაზია, რომელშიც კაბებს ვუკვეთავთ. ზოგი მათ „ჭილოფს“ ეძახის. მშვენიერი სახელია. მღვდელი ხომ ჭილოფშიც იცნობა. მაღაზიაზე ხის უზარმაზარი ტრაფარეტი კიდია, ოქროსფერი შროშანის ფორმის; მაღაზიას „ველის შროშანები“ ერქვა. ტრაფარეტის ქვეშ ახლაც ეტყობა, სად ეწერა მაღაზიის სახელწოდება, ახლა კი ასოები საღებავით არის გადათხუპნული. წარწერა გადაღებეს, რადგან გადაწყვიტეს, რომ ჩვენთვის მაღაზიის სახელებიც კი დიდი ცდუნება იყო. ახლა მაღაზიებს ერთმანეთისაგან მხოლოდ ტრაფარეტებითღა არჩევენ.

„შროშანების“ ადგილას ოდესღაც კინოთეატრი იყო. სტუდენტების თავშეყრის ადგილი. ყოველ გაზაფხულს იქ ჰემფრი ბოგარტის სახელობის ფესტივალი ტარდებოდა ლორენ ბეკოლისა და ქეთრინ ჰეპბერნის მონაწილეობით. თავისუფალი ნების თავისუფალი ქალები წინ ჩაღილულ კოფთებს იცვამდნენ, რისგამოც ჰაერში სიტყვა ჩახსნის სურნელი ტრიალებდა. ეგებ ამ ქალებისთვის ღილების ჩახსნა შეიძლებოდა, ეგებ – არა. მჯეროდა, ამას თვითონ ირჩევდნენ და გვჯეროდა, რომ ჩვენც შეგვეძლო, აგვერჩია. გახრწნილი საზოგადოება ვიყავით, თქვა დეიდა ლიდიამ, სწორედ არჩევანის მრავალფეროვნებამ დაგვალპო.

არ მახსოვს, როდიდან აღარ იმართება ფესტვალი. უკვე დიდი ვიყავი, ასე რომ, არ შემიმჩნევია.

ჩვენ „შროშნებს“ გვერდს ვუვლით. ქუჩას ვკვეთთ და შესახვევში შევდივართ. პირველად სხვა ხისტრაფარეტიან მაღაზიასთან ვჩერდებით. ტრაფარეტზე გამოსახულია: სამი კვერცხი, ფუტკარი, ძროხა. „რძე და თაფლი“. რიგია და ჩვენ წყვილად ველოდებით. ვხედავ, დღეს ფორთოხალი აქვთ. მას შემდეგ, რაც ლიბერთეოსებმა ცენტრალური ამერიკა დაკარგეს, ფორთოხალი იშვიათი ხილი გახდა: ხან აქვთ, ხან – არა. კალიფორნიული ფორთოხლის შემოტანას ომი აბრკოლებს და ფლორიდის იმედადაც ვეღარ იქნები, რადგან იქაც ბარიკადებია აღმართული, მატარებლებს ძარცვავენ და

რკინიგზებს აფვეთქებენ. მე ფორთოხლებს შევცქერი, შევნატრი, მაგრამ ფორთოხლის საყიდლად კუპონი არ მაქვს. უკან რომ დავბრუნდები, რიტას ვეტყვი, რომ ფორთოხალი გაჩნდა. ესიამოვნება. ესეც რაღაც იქნება, უმნიშვნელო წინსვლა – ფორთოხლის გამოჩენა.

ვისაც რიგი მოუწევს, თავიანთ ტალონებს დახლის მეორე მხარეს მდგომ გუშაგის უნიფორმაში გამოწყობილ ორ კაცს აწოდებენ. ბევრს არავინ ლაპარაკობს, მაგრამ მაინც ფაციფუცია, გაფაციცებული ქალები ყელყელაობენ: აქ, მაღაზიაში, ნაცნობების ნახვის შანსი გეძლევა, იმათი, ვისაც ადრე იცნობდი ან „წითელ ცენტრში“ შეხვდი. ერთხელ ნანახი სახისთვის თვალის მოკვრაც კი სიმხნევეს გმატებს. მოირა ერთხელ კიდევ რომ მაჩვენა, თუნდაც მხოლოდ თვალი შევავლო, დავრწმუნდე, რომ ცოცხალია. ახლა იმის წარმოდგენაც კი ძნელია, რომ შეიძლება მეგობარი გყავდეს.

თუმცა, ჩემ გვერდით მდგარი გლენისა არავის უყურებს. შეიძლება ერთი ნაცნობიც კი აღარ შერჩა. შეიძლება ყველა ერთად გაქრა, ყველა მისი მეგობარი. ან იქნებ, არ უნდა, ვინმემ დაინახოს. ჩუმად დგას, თავჩაქინდრული.

სანამ ასე ორმწკრივად ვდგავართ რიგში, კარი იღება და წითელი კაბითა და თეთრი თავსაბურავით შემოსილი კიდევ ორი ქალი შემოდის. ერთ-ერთი ორსულია, ალბათ, ბოლო თვეში იქნება; ფაშფაშა კაბის კალთის ქვეშ კარგა წამოზრდილი მუცელი ეტყობა. მაღაზიაში შეკრებილები აჩოჩქოლდნენ, აჩურჩულდნენ, ოხრავენ. ყველანი თავებს ურცხვად ვატრიალებთ ახლად შემოსულის უკეთ დასანახად; ჩვენი წაგრძელებული ხელები ამ ქალის შეხებას ლამობს. ის ჩვენთვის სასწაულია, შურისა და სურვილის საგანი, ჩვენ მისკენ მივილტვით. ის მწვერვალზე აღმართული დროშაა, გვიჩვენებს, რომ ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია: ჩვენ შეიძლება გადავრჩეთ.

ოთახში შეკრებილი ქალები ვითომ ჩურჩულებენ, მაგრამ ისე არიან აღელვებული, ლამის ხმამაღლა ლაპარაკი გამოსდით.

– ეს ვინაა? – კითხულობს ერთი ჩემ უკან.

– უეინისა. არა, უორენისა.

– მეტიჩარა! – სისინებს ვიღაც და ეს სიმართლეა. ორსულ ქალს გარეთ გამოსვლასა და მაღაზიებში სიარულს არავინ აძალებს. მას მოდუნებული მუცლის კუნთების გამოსაცოცხლებლად ყოველდღიური სეირნობა აღარ სჭირდება. მხოლოდ იატაკზე ავარჯიშებენ, ძირითადად, სუნთქვაში. შეუძლია, შინ დარჩეს. მისთვის სახიფათოც კია გარეთ გასვლა, ალბათ, კართან გუშაგიც ელოდება. ის ახლა ახალ სიცოცხლეს დაატარებს და ესე იგი სიკვდილთან უფრო ახლოსაა, ამიტომაც განსაკუთრებული დაცვა სჭირდება. შეიძლება ეჭვიანობას ემსხვერპლოს, როგორც ამას წინათ მოხდა. ჩვენს დროში ყველა ბავშვი სასურველია, მაგრამ ყველასთვის – არა.

მაგრამ შეიძლება აქ წამოსვლა ორსულის ჭირვეულობაც იყოს. რაკი საქმე აქამდე მივიდა და მუცელი არ მოეშალა, ამ ახირებას აუსრულებენ. ან შეიძლება მოწამეა, მსხვერპლად დაბადებული, თავისი უპირატესობით სარგებლობა რომ არ შეუძლია. იგი თავს სწევს, რომ გარემოს თვალი მოავლოს და მე მის გამომეტყველებას ვიჭერ. ჩემ უკან მდგომი მართალი იყო. ის აქ სპექტაკლის სათამაშოდ მოვიდა, ბრწყინავს, ვარდისფრად ღუის, ყოველი წუთით ტკბება.

– ჩუმად! – შემოგვძახის დახლთან მდგარი ოფიცერი და ჩვენ სკოლის მოსწავლეებივით ვიკმენდთ ხმას.

მე და გლენისას რიგმა მოგვიწია. მცველებს ჩვენს ტალონებს ვუწვდით და ერთ-ერთს ნომრები კომპიუმთვლელში შეჰყავს, მეორე კი ნავაჭრს – რძესა და კვერცხს, გვაწვდის. ჩვენ მათ კალათაში ვალაგებთ და გარეთ გასვლისას გვერდს ვუქცევთ ფეხმძიმესა და მის მეწყვილეს, რომელიც ორსულის გვერდით მეტისმეტად აწოწილი და მიმჭკნარი ჩანს, როგორც ყველა ჩვენგანი. ფეხმძიმეს მუცელი უზარმაზარ ხილს მიაგავს, უშველებელს – ჩემი ბავშვობის დროინდელი სიტყვა მახსენდება. ხელები ზედ ისე ულაგია, თითქოს იცავს ან იქიდან სითბოსა და ძალას იღებს.

ჩავლისას პირდაპირ თვალებში მიყურებს და მე მას ვცნობ. „წითელ ცენტრში“ იყო ჩემთან ერთად, ერთ-ერთი გახლდათ დეიდა ლიდიას გოშიათაგან. მახსოვს, ვერ ვიტანდი. მაშინ მას ჯენინი ერქვა.

ჯენინი მიყურებს და ტუჩის კუთხეებს კმაყოფილი ღიმილი უღრეცს. იგი წითელი მოსასხამის ქვეშ მიმალულ ჩემს ბრტყელ მუცელს დასცქერის. სახეს თავსაბურავი უფარავს. მხოლოდ მისიშუბლის ხაზსა და ცხვირის ვარდისფერ წვერს ვხედავ.

მერე ჩვენ „ყოველ ხორციელში“ შევდივართ, რომლის ტრაფარეტიც ორ ჯაჭვზე მოკონწიალე ხის დიდრონი ღორის ბარკალი გახლავთ. აქ გრძელი რიგი არ გვხვდება: ხორცი ძვირია, მეთაურებიც კი ვერ ჭამენ ყოველდღე. თუმცაღა გლენისა სტეიკს ყიდულობს, თანაც ამ კვირაში მეორედ. მართებს უნდა მოვუყვე: მოსწონთ ასეთი რამეების მოსმენა. სხვების საოჯახო საქმეებში ცხვირის ჩაყოფა უყვართ; ასეთ წვრილმანებზე ჭორაობა სიამაყისა თუ უკმაყოფილების შეგრძნებას უჩენთ.

მე ქათამს ვყიდულობ, საყასბოს ქაღალდში შეხვეულსა და ბაწრით შეკრულს. პლასტმასის ნივთებს ასე ხშირად ვეღარ წააწყდებით. მახსოვს, სუპერმარკეტიდან პროდუქტს პლასტმასის თეთრი კოლოფებით გვატანდნენ ხოლმე და მერე ისინი მთელ სახლში ეყარა. მე გადასაყრელად მენანებოდა და პირსაბანის ქვეშ ვტენიდი. თანდათან იმდენი გროვდებოდა, რომ როგორც კი სამზარეულოს კარადას გამოვაღებდი, გადმოცვივდებოდა და იატაკზე იფანტებოდა. ლუკი ამაზე სულ ბუზღუნებდა, დროდადრო კი ხელს მოუსვამდა და ყველას ყრიდა. ხომ შეიძლება ერთ დღესაც ერთ-ერთი თავზე ჩამოიმხოს, მეუბნებოდა უკმაყოფილოდ, ხომ იცი, ბავშვები თამაშისას რას აღარ იპოვიან ხოლმე. არ იზამს, ვეტყოდი მე, ჩვენი გოგო უკვე დიდია (ანდა: „ძალიან ჭკვიანი“, ანდა: „ძალიან ღობლიანი“). მაგრამ შიშისაგან ტანში მცრიდა და საკუთარი უდარდელობა მაძრწუნებდა. მართლაც ბევრ რამეს ვეკიდებოდი უდიერად. იმ დროს ბედისწერის მჯეროდა. სულ ზემო თაროზე შევინახავ, ვეტყოდი მერე. სულაც გადაყარე, შემომეპასუხებოდა, მაინც არ ვიყენებთ. ნაგვისთვის გამოდგება, ჩემსას არ ვიშლიდი. ის კი მეტყოდა...

ოღონდ ახლა და აქ არა – ამდენი თვალი მიყურებს. ვტრიალდები და მაღაზიის ლაპლაპა შუშაზე ჩემს სილუეტს ვხედავ. შემდეგ გარეთ გავდივართ, ქუჩაში.

უცნობების ჯგუფი გვიახლოვდება. ტურისტები არიან, ეტყობა,

იაპონიიდან. ალბათ, საქმიანი დელეგაციაა, რომელიც ისტორიული ადგილების მოსანახულებლად ან ადგილობრივი კოლორიტის შესაგრძნობად გამოსულა ქალაქში. ჩია ტანისანი არიან და მოწესრიგებულები; ყველას თავ-თავისი ფოტოაპარატი აქვს და ყველა იღიმება. ისინი მიდამოს ათვალიერებენ, თვალებგაბრწყინებულები, გულწითელა ჩიტებივით ცალ მხარეს თავშემართულები. მათი მეტისმეტი მხიარულება გამომწვევია და თვალს ვერ ვაშორებ. დიდი ხანია, არ მინახავს ასე მოკლეკაბიანი ქალები. ქვედაბოლოები ოდნავ ჩამოსცილებია მუხლებს და მათგან ჩამოზრდილა გამჭვირვალე წინდებში ლამაზად გამოკვართული, ურცხვი წვივები; მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის თასმა სრულყოფილი საწამებელი იარაღივით შემოჰკვრია ტერფს. ქალები დაბარბაცებენ თავიანთი ქუსლწაწვეტებული ფეხსაცმელებით, თითქოს ოჩოფეხებზე იდგნენ; ხერხემალი წელთან შეზნექიათ და უკანალი უფრო გამობზეკილი უჩანთ. თავშიშველები არიან დასექსუალური შავი თმა თვალს იტაცებს. მათ ნოტიო ბაგეებზე წითლად შემოვლებული პომადა ძველ დროს სააბაზანოს კედელზე მიჯღაბნილ წარწერებს მახსენებს.

ვჩერდები. გლენისაც ანელებს ნაბიჯს: ვერც ის აშორებს თვალს ამ ქალებს. მონუსხული ვართ, მაგრამ თან ცხვირს ვიბზუებთ. ისინი ლამის შიშვლები გვეჩვენებიან. დიდი დრო არ დაგვჭირვებია, რომ ასეთ საკითხებზე შეხედულება შეგვცვლოდა.

მაშინვე მახსენდება, რომ მეც ასე მეცვა ხოლმე. ეს თავისუფლება იყო.

ამას ხალხი ვესტერნიზაციას უწოდებდა.

იაპონელი ტურისტები ჩვენკენ ჟღურტულით მოდიან და ჩვენ თავის მიბრუნებას ვერ ვასწრებთ – ისინი ჩვენს სახეებს ხედავენ.

თარჯიმანი ახლავთ, ოფიციალური ლურჯი პიჯაკი აცვია და წითლად დაწინწკლული ჰალსტუხი უკეთია, თვალის ფორმის ფრთიანი ქინძისთავით დამაგრებული. იგი ერთი ნაბიჯით უსწრებს ჯგუფს და წინ გვეღობება. ტურისტები მის უკან გროვდებიან. ერთ-ერთი ფოტოაპარატს იმარჯვებს.

– უკაცრავად, – მოგვმართავს თარჯიმანი თავაზიანად, – მისცემთ ნებას ჩვენს სტუმრებს, რომ სურათი გადაგიღონ?

მე ტროტუარს ჩავცქერი და უარის ნიშნად თავს ვიქნევ. ისინი მხოლოდ ჩემს თეთრ თავსაბურავს და სახის ნაწილს – ნიკაპსა და ქვედა ტუჩს ხედავენ. თვალებს – ვერა. ვიცი, სჯობს, თარჯიმანს მზერა არ გავუსწორო. მათი უმეტესობა თვალია, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ.

ისიც ვიცი, რომ თანხმობას ამ შემთხვევაში უარი სჯობს.

– მოკრძალებული ადამიანი უჩინარია, – ამბობდა დეიდა ლიდია, – ნუ დაგავიწყდებათ ეს. გხედავდნენ, ნიშნავს, იყოთ ხელმისაწვდომი, – ხმა უკანკალებდა, – თქვენ კი, გოგონებო, მიუწვდომლები უნდა იყოთ.

იგი გოგონებს გვეძახდა.

ჩემ გვერდით მდგარი გლენისაც დუმს და წითელხელთათმნიან ხელებს სახელოებში მალავს.

თარჯიმანი ჯგუფისაკენ ბრუნდება, მისი ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევს ჩემამდე. ვხვდები, რას ეუბნება სტუმრებს. მსმენია ეგ ზღაპარი. ამბობს, რომ აქ ქალებს სხვა წეს-ჩვეულებები აქვთ, რომ ისინი მათთვის ფოტოაპარატის მიშვერას ძალადობად აღიქვამენ.

მე ტროტუარს ჩავცქერი, თავდახრილი, მოჯადოებულივით დავშტერებივარ ქალების ფეხებს. ერთ-ერთს ღია სანდლები აცვია, ფეხის ფრჩხილებზე ვარდისფერი ლაქი წაუსვამს. მახსენდება, როგორი სუნი აქვს ფრჩხილების ლაქს, როგორ ანაოჭდება, თუკი ნაჩქარევად გადაუსვამ მეორე ფენას, როგორ შემოეტმასნება აბრეშუმის წინდა კანს, რას იგრძნობს ფეხის თითები, როცა მთელი სხეულის სიმძიმე ფეხსაცმლის ღია ნაწილისაკენ უბიძგებს. სანდლებიანი ქალი ხან ერთ ფეხს ეყრდნობა, ხან – მეორეს. ისე შევიგრძნობ მის ფეხსაცმელს, თითქოს მე მეცვას. ფრჩხილების ლაქის სუნი მადას აღმიძრავს.

– უკაცრავად, – თარჯიმანი კვლავ ცდილობს ჩემი ყურადღების

მიპყრობას. მე თავის ქნევით ვანიშნებ, რომ ვუსმენ.

– გეკითხებიან, ბედნიერი თუ ხართო, – მეუბნება იგი. მათი ცნობისმოყვარეობა არ მიკვირს. „ბედნიერები არიან? ნუთუ შეიძლება ესენი ბედნიერები იყვნენ?“ ვგრძნობ, როგორ გვჭამენ ანთებული შავი თვალებით, როგორ იხრებიან წინ, ჩვენს პასუხს რომ ყური მოჰკრან, განსაკუთრებით – ქალები, თუმცა, კაცებიც. ჩვენ მათთვის აკრძალული ხილი ვართ და ჩვენი იდუმალება მათ სულს უფორიაქებს.

გლენისა არაფერს ამბობს. სიჩუმე ისადგურებს. მაგრამ ზოგჯერ დუმილი უფრო საშიშია.

– დიახ, ძალიან ბედნიერები ვართ, – ვჩურჩულებ მე. რამე ხომ უნდა ვუპასუხო, ჰოდა, აბა, სხვა რა ვთქვა?

6

გავცდით იმ კვარტალს, სადაც ხორცის მაღაზიაა. გლენისა ჩერდება, თითქოს ვერ წყვეტს, საით წავიდეს. ჩვენი ასარჩევია – შეგვიძლია იმავე ქუჩებით გავბრუნდეთ უკან, რომლითაც მოვედით ან შემოვლითი გზა ვამჯობინოთ, თუმცა, ორივემ ვიცით, საითაც გავწევთ, რადგან სხვანაირად არასდროს მოვქცეულვართ.

– მინდა, ჩემს ეკლესიას შევავლო თვალი, – ამბობს გლენისა დიდი ღვთისმოსავივით.

– კეთილი, – ვპასუხობ მე, თუმცაღა ვიცი, რომ თავის ნამდვილ განზრახვას მიმალავს.

მივაბიჯებთ, აუჩქარებლად. მზე თვალს მიჰფარვია. ცაზე თეთრი ფუმფულა ღრუბლები მოჩანს, აი, ისეთი, თავმოჭრილ ბატკნებს რომ ჰგვანან ხოლმე. ამ ჩვენი ჩამოფხატული თავსაბურავებით ძნელია ზემოთ ახედვა, ცის ან სხვა რამის მთლიანად დანახვა, მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებთ – წამებში თავს სწრაფად ვწევთ ზემოთ-ქვემოთ, ვაბრუნებთ იქით-აქეთ და უკან. შევეჩვიეთ სამყაროს თვალისმოკვრით აღქმას.

თუკი გზას მარჯვნივ გაუყვები, მიადგები ქუჩას, რომელიც მდინარისაკენ ჩაგიძღვება. აქ ნავმისადგომია, სადაც ოდესღაც ოჩხრომელები იდგა და რამდენიმე ხიდიცაა გადებული; ხეები, ამწვანებული სანაპიროები, სადაც შეგეძლო ჩამომჯდარიყავი, წყლისთვის გეცქირა და შიშველი ახალგაზრდაკაცებიც შეგეთვალიერებინა. მათი ნიჩბები მზის შუქზე ბრწყინავდა, პატრონები კი გამარჯვებისთვის იბრძოდნენ. მდინარისკენ მიმავალ გზაზე ძველი სტუდენტური საცხოვრებლებია, ახლა უკვე სხვა საქმისთვის რომ იყენებენ. მათი ზღაპრული კოშკურები თეთრად, ოქროსფრად და ლურჯად არის მოხატული. როდესაც წარსულს ვიხსენებთ, მუდამ ყველაზე მშვენიერი წუთები გვიდგება თვალწინ. გვინდა დავიჯეროთ, რომ ყველაფერი მართლა ლამაზი იყო.

ფეხბურთის მოედანიც იმ მხარესაა. ახლა იქ კაცების სალხინებელს

აწყობენ და ფეხბურთს თამაშობენ. კაცებისთვის ფეხბურთი ნებადართულია.

მე აღარ დავდივარ მდინარეზე, აღარც ხიდებზე გადავდივარ და აღარც მეტროში ჩავდივარ, არადა, სადგური აქვეა. ამის უფლება აღარ გვაქვს, ყველგან გუშაგები დგანან და არ გვიშვებენ, თუმცა, ოფიციალური მიზეზი, რატომ გვეკრძალება ამ კიბის ჩავლა, მდინარის ქვეშ გამავალ მატარებელში ჩაჯდომა და ქალაქის ცენტრში ამოსვლა, არ უთქვამთ. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა მოგვინდეს იქ წასვლა? ალბათ, კარგი არაფრისთვის და ამას ისინიც ხვდებიან.

ეკლესია მომცროა, ერთ-ერთი უძველესი, ასობით წლის წინ აღმართული. აქ წირვა აღარ აღევლინება, მუზეუმად ქცეულა. შიგნით შესული ტილოებზე გრძელ და მუქკაბიან, თეთჩაჩიან ქალებსა და პატიოსანი იერის შავტანსაცმლიან, გაუცინარ კაცებს დაინახავ, ჩვენს წინაპრებს. შესვლა უფასოა.

შიგნით არ შევდივართ, ბილიკზე ვდგავართ და ეკლესიის ეზოს გავცქერით. ისევ შემორჩენილა საფლავის ქვები, ქარისა თუ წვიმისაგან შელახული, სიძველისაგან გამოფიტული, ზედ გამოსახული თავის ქალითა და გადაჯვარედინებული ძვლებით და წარწერით – მემენტო მორი; სევდიანი ანგელოზებით და ფრთიანი ქვიშის საათებით, რომლებიც გვახსენებს, რომ მოკვდავთა წუთები დათვლილია. ამ სანახაობას ახალმა საუკუნემ ფერფლის ურნები და მტირალი ტირიფები დაუმატა.

თუმცა, აქაურობას ტირიფები არ უხდება. სასაფლაოს ბინადართ შეურაცხყოფენ კიდეც თავიანთი სიახლით.

გლენისას თავი მლოცველივით დაუხრია. მუდამ ასე იქცევა. „იქნებ, მასაც ვიღაც ჰყავს წასული, – ვფიქრობ მე, – ძალიან ახლობელი, მამაკაცი ან ბავშვი“. მაგრამ არ მჯერა. მგონია, რომ გლენისა ყველაფერს მოსაჩვენებლად აკეთებს. მუდამ თვალთმაქცურად ირჯება, ტყავიდან ძვრება, სხვებს რომ თავი მოაწონოს.

მაგრამ მეც მასავით უნდა ვითამაშო. მაშ, რა ვქნა?

მერე ეკლესიას ზურგს ვაქცევთ და იმას ვუყურებთ, სინამდვილეში რის სანახავადაც მოვედით – კედელს.

კედელიც ასობით წლისაა, ან ას წლამდე მაინც. ტროტუარების მსგავსად, ისიც წითელი აგურისაა და სისადავის მიუხედავად, ოდესღაც ლამაზი იქნებოდა. ახლა ალაყაფის კართან გუშაგები დგანან, ლითონის ბოძებზე ახალი, უშნო პროჟექტორებია აჩოჩხილი, კედლისთვის ქვემოთ მავთულხლართი შემოუვლიათ, ზემოდან კი მინის ნატეხები ჩაუდუღაბებიათ.

ამ ჭიშკარში ნებით არავინ შედის. უსაფრთხოების ზომები მათ წინააღმდეგ მოუფიქრებიათ, ვინც იქიდან გამოსვლას ცდილობს, თუმცა, ვინმემ კედლამდე რომც მოაღწიოს, მიეკარება თუ არა, ელექტრონული განგაშის სისტემა თავდახსნის გზას მყისვე მოუჭრის.

მთავარ კარიბჭესთან ექვსი ახალი სხეულია ჩამოკიდებული, ხელები მკერდთან აქვთ შეკრული, თავებზე ჩამოცმული თეთრი ტომრები მხრებთან ასჩეჩვიათ. ამ დილით ისინი ჯერ ისევ კაცების სალხინებლის მონაწილენი იქნებოდნენ. ზარების ხმა არ გამიგონია. ალბათ, შევეჩვიე.

ვჩერდებით, თითქოს ვიღაცამ გვანიშნა. ვდგავართ და გვამებს შევცქერით – ისინი ხომ სწორედ იმიტომ კიდია აქ, რომ გამვლელ-გამომვლელმა დაინახოს. ზოგჯერ შეიძლება რამდენიმე დღეც ეკიდოს, სანამ ახალი პარტია გამოჩნდება, ბევრმა ადამიანმა რომ ნახოს.

ისინი კაუჭებზე ჩამოუკიდიათ, აგურებს შორის სპეციალურად ამისთვის დატანებულ კაუჭებზე. ზოგი ცარიელია და უხელოთა პროთეზს ჰგავს. ანდა ამოტრიალებულსა და გვერდულად გახიდულ კითხვის ნიშანს.

ყველაფერზე საშინელი გვამების თავებზე ჩამოცმული ტომრებია, უარესი, ვიდრე მათი სახეები იქნებოდა. ამ ტომრების გამო ცხედრები თოჯინებს ემსგავსებიან, რომლებზეც სახეები ჯერაც არ მიუხატავთ; ან საფრთხობელებს. თუმცა, არიან კიდეც საფრთხობელები – მათი დანიშნულებაც ხომ ხალხის შეშინებაა. თითქოს ეს ტომრები რაღაც მასით – ფქვილით თუ ცომით, არის ამოტენილი. მათ შიგნით

აშკარად იკვეთება ჩაქინდრული თავების კონტურები, რომლებსაც გრავიტაცია ქვემოთ ეზიდება და რომლებიც, სიცოცხლეწართმეულნი, ზემოთ ვეღარასდროს აიწევიან. ეს თავები კი არა, ნულებია.

თუმცა, თუ ჩვენსავით დიდხანს და თვალმოუშორებლად მიაჩერდებით, თეთრი საფარველის ქვეშ რუხი აჩრდილების მსგავსი სახის ნაკვთების კონტურების გარჩევასაც შეძლებთ. ეს თოვლის კაცების თავებია, ნახშირისთვალებიანი და სტაფილოსცხვირებიანი თოვლის კაცების. და ეს თავები, სადაცაა, ჩამოდნება.

მაგრამ ერთ-ერთ ტომარას სისხლი სცხია, რომელსაც თეთრ ქსოვილში ზუსტად იქ გამოუჟონავს, სადაც გვამს პირი უნდა ჰქონდეს. მისი ახალი ტუჩებია, პატარა, წითელი, თითქოს სქელი ფუნჯით საბავშვო ბაღის აღსაზრდელის დახატული. ბავშვები ხომ ასე აღიქვამენ ღიმილს. სწორედ ამსისხლიან ღიმილს ვერ ვაშორებთ მზერას. არა, ესენი სულაც არ ჰგვანან თოვლის კაცებს.

ამ კაცებს თეთრი ხალათები აცვიათ, როგორიც ექიმებს ანდა ძველი დროის მეცნიერებს. აქ ყველა ხელობის ადამიანებს კიდებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დილით ექიმებსა და მეცნიერებს ჩამოუარეს. თითოეულს ყელზე ტრანსპარანტი კიდია, რომელიც გვაუწყებს დასჯის მიზეზს: „ჩანასახის მოსპობა“. ესე იგი ისინი ნამდვილად ექიმები იყვნენ, ოღონდ მაშინ, როცა ასეთი რაღაცები კანონიერად ხდებოდა. მათ ხუმრობით „ანგელოზთა რიგის შემავსებლებს“ ეძახდნენ; თუ მეშლება? ახლა კი ისინი ზემოთ ქანაობენ, ალბათ, საავადმყოფოს არქივებში ამოქექილი ინფორმაციის გამო, მაგრამ ამგვარი ჩანაწერები ხომ ყველა საავადმყოფოში გაანადგურეს! უფრო სარწმუნოა, რომ ინფორმატორმა აცნობათ, რაც მოხდა. ყოფილი მედდა იქნებოდა, შეიძლება – ორიც, რადგან ერთი ქალის ჩვენება, კარგა ხანია, მტკიცებულებად აღარ ითვლება; ან სხვა ექიმი, რომელმაც საკუთარი ტყავის გადარჩენა სცადა. იქნებ რომელიღაც ბრალდებულმა მტერი გაიყოლა საიქიოს, ან სასოწარკვეთილმა თავის გადასარჩენად ვინმე ალალბედზე არჩეული გაწირა. თუმცა, ინფორმატორს ხშირად მაინც არაფერი შველის.

ეს ადამიანები, ჩაგვაგონებდნენ ჩვენ, ისეთივე დამნაშავეები არიან, როგორიც დეზერტირები. მერე რა, რომ მათ თავის დროზე კანონი

არ დაურღვევიათ: მათი დანაშაული რეტროაქტიურია. საზარელი საქციელი ჩაიდინეს და სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ. თუმცა, მაგალითი საჭირო აღარც არის: დღეს არც ერთი საღ გონებაზე მყოფი ქალი არ მოიშორებს ნაყოფს, რაკი გაუმართლა და მის სხეულში სიცოცხლე ჩაისახა.

ჩვენ ამ სხეულების მიმართ სიძულვილი და ზიზღი უნდა ვიგრძნოთ, მაგრამ მე ამას არ ვგრძნობ. კედელზე გადმოკიდებული გვამები დროში მოგზაურები არიან, ანაქრონიზმები. ისინი აქ წარსულიდან მოვიდნენ.

ჩემთვის არც ერთი მათგანი არაფერს ნიშნავს. ვგრძნობ, რომ არაფერი უნდა ვიგრძნო. ეს არის და ეს. შვებასაც კი განვიცდი, რომ ამ კაცთაგან არც ერთი ლუკი არ არის. ლუკი ექიმი არ იყო. არ არის.

მე ისევ იმ წითელ ღიმილს შევჩერებივარ. ზუსტად ამ ფერის ტიტები ამოწვერილა სერენა ჯოის ბაღში, ყვავილების კვლების თავსა და ბოლოში. ფერის გარდა სისხლსა და ტიტებს არაფერი აქვთ საერთო. ტიტები სისხლიანი ყვავილები არ არიან, წითელი ღიმილსაც არაფერი მიუგავს ტიტას. ტიტა არ განასახიერებს რწმენის დაკარგვას ადამიანის ჩამოხრჩობის გამო და პირიქით. ყველა ნივთს თავისი ადგილი და დანიშნულება აქვს. სწორედ ამგვარ, თავიანთ ადგილებმიჩენილ საგნებს შორის მიწევს გზის გაკვლევა ყოველდღე დიდი შემართებით. გზის პოვნა დიდ ძალისხმევად მიჯდება, მაგრამ მაინც უნდა შევძლო. უნდა მოვახერხო, ჩემმა გონებამ ყველაფერს ზუსტი სახელი დაარქვას.

ვგრძნობ, როგორ თრთის ჩემ გვერდით მდგარი ქალი. ნუთუ ტირის? ან იქნებ ფიქრობს, რომ ასე ჩემზე შთაბეჭდილებას მოახდენს? ამას ვერასოდეს გავიგებ. უნებურად ხელებს ვმუშტავ და კალათის სახელურს ვბღუჯავ. არაფრის დათმობას არ ვაპირებ. არ დაგავიწყდეთ, გვეუბნებოდა დეიდა ლიდია, რომ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. შეიძლება რაღაც ამწუთს არ გეჩვენებოდეს ჩვეულებრივად, მაგრამ დროთა განმავლობაში შეეგუები, შეეჩვევი.

III -

ღამე

7

ღამე ჩემია, ჩემი დროა. ჩემს ნებაზე ვარ, რაც მინდა, იმას ვაკეთებ, მთავარია, არ ვიხმაურო, მივეგდო და უძრავად ვიწვე. განსხვავება მიგდებასა და თავის მიდებას შორის ის არის, რომ მიგდება ვნებითი გვარისაა. კაცებიც კი ასე ამბობდნენ: „წავალ, მივეგდები“. ხანდახან ჩვენზეც ამბობდნენ, ამას საწოლზე მივაგდებდიო. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდია. სინამდვილეში არ ვიცი, რას ამბობდნენ კაცები. მხოლოდ გადმოცემით ვიცი.

მაშ, ასე, ვგდივარ საწოლში და თვალახვეული ჭერი ჩამომყურებს. ვგდივარ თეთრი ფარდების ფონზე, თეთრ ზეწრებში, მეც ზეწარივით გახამებული და დროის გაღმა გაბიჯებას ვცდილობ, დროის საზღვრის დარღვევას. თუმცა, მე კი არა, დრო არღვევს საზღვარს.

ღამღამობით უსაზღვრო დრო მაქვს. სად წავიდე?

სადმე, კარგ ადგილას.

მოირა ჩემი საწოლის კიდეზე ჩამომჯდარა, ერთი ფეხი ბიჭივით შემოუდვია მეორეზე, იისფერი კომბინეზონი აცვია, ცალი საყურე უკონწიალებს, ფრჩხილები ოქროსფრად შეუღებავს თავისი ექსცენტრიკულობის დასამტკიცებლად. კოტიტა, ფრჩხილებგაყვითლებულ თითებს შორის სიგარეტი მოუქცევია. წამო, ლუდი დავლიოთ, მეტყოდა. ჩემს ლოგინში აფერფლებ, ვეუბნები მე. აგელაგებინა მერე, მპასუხობს მოირა. ნახევარი საათი დამელოდე, ვამბობ, ხვალ პრეზენტაცია მაქვს. ნეტავ, რაში? ფსიქოლოგიაში, ინგლისურში, ეკონომიკაში. ასეთ რაღაცებს ვსწავლობდით მაშინ. ოთახის იატაკი გადაშლილი და პირქვე დამხობილი წიგნებითაა მოფენილი, აქეთ-იქით ექსტრავაგანტურად მიმოფანტული წიგნებით. არა, ახლავე! მეუბნება მოირა, ნუ შეიღებები, ჩემ გარდა ვერავინ დაგინახავს. რაზეა შენი პრეზენტაცია? მე პაემნისას ძალადობაზე გავაკეთე. პაემნისას ძალადობა, ვამბობ მე, როგორი მოდური ხარ. ისე კი პაემანთა უმეტესობა ისედაც ძალადობაა. ჰა-ჰა! იცინის მოირა, პალტო ჩაიცვი. თვითონვე იღებს ჩემს პალტოს და მხრებზე მახურავს. ხუთი დოლარი მასესხე, კარგი?

ანდა რომელიღაც პარკში ვარ დედაჩემთან ერთად. ნეტავ, რამდენი წლის ვიყავი? ციოდა, პირიდან ორთქლი ამოგვდიოდა: ხეებზე ერთი ფოთოლიც აღარ იყო; ნაცრისფერი ცა დაგვყურებდა. გუბეში ორი გასაცოდავებული იხვი დაცურავდა, მე კი ჯიბეში დაგორგლილ პურის ნამცეცებს ვსრესდი. ჰო, დედამ მითხრა, პარკში მივდივართ, იხვებს უნდა ვაჭამოთო.

მაგრამ იქ ვიღაც ქალები წიგნებს წვავდნენ. სინამდვილეში სწორედ ამიტომ წამომიყვანა – მეგობრებს რომ შეხვედროდა. მომატყუა – შაბათი ხომ ჩემი დღე უნდა ყოფილიყო. გაბრაზებულმა ზურგი შევაქციე და გუბურისკენ გავსწიე, მაგრამ ცეცხლმა უკან მიმიზიდა.

ქალებთან ერთად იქ რამდენიმე კაციც იყო. წიგნებს კი არა, ჟურნალებს წვავდნენ. ცეცხლის ენები ცას სწვდებოდა, ალბათ, ბენზინი მიასხეს. მერე ყუთებიდან ჟურნალების ამოლაგება დაიწყეს. ერთ ჯერზე რამდენიმე ცალს იღებდნენ. ზოგიერთი მათგანი ყვიროდა. ირგვლივ მაყურებლები შემოიკრიბნენ.

ბედნიერი, თითქმის აღგზნებული გამომეტყველება ჰქონდათ. ცეცხლმა იცის ასე. დედაჩემსაც კი მუდამ ფერმკრთალი, თხელი სახე საშობაო ღია ბარათზე დახატულივით უღაჟღაჟებდა და უცინოდა. კიდევ ერთი ქალი იყო იქ, ზორბა, ლოყები მურით მოთხუპნოდა, ნარინჯისფერი ნაქსოვი ქუდი ეხურა, ახლაც თვალწინ მიდგას. საყვარელო, გინდა შენც ისროლო? მკითხა. ნეტავ, რამდენი წლის ვიყავი? ანგელოზის ხელით გავანადგუროთ ეშმაკეული, ჩაიხითხითა მან, ხომ შეიძლება? მიუბრუნდა დედაჩემს. თუ უნდა, ისროლოს, უპასუხა დედამ. ჩემზე მუდამ ისე ლაპარაკობდა, თითქოს იქ არ ვიყავი.

ქალმა ჟურნალი მომაწოდა. ზედ ლამაზი ქალი ეხატა, სრულიად შიშველი, მკლავებზე შემოხვეული მსხვილი ჯაჭვით ჭერზე ეკიდა. დიდი ინტერესით დავაკვირდი სურათს. არ შემშინებია. ვიფიქრე, რომ ტელევიზორში ნანახი ტარზანივით ესეც ხიდან ხეზე ხტუნაობას აპირებდა. ნუ აყურებინებ, უთხრა დედამ და მე მომიბრუნდა, ისროლე, ჩქარა!

მე ჟურნალი კოცონში გადავუძახე. ცეცხლის ალის მონაბერზე აშრიალდა მისი ფურცლები, ჟურნალის გვერდები დიდ ფანტელებად

დაიშალა, რომლებიც ქარს მიჰქონდა, მაგრამ მერე ისევ ცეცხლი სტაცებდა პირს ქალების სხეულების ნაკვთებს, ფერფლად აქცევდა და ჩემ თვალწინ ნიავს ატანდა.

მაგრამ მერე რა მოხდა?

ვიცი, დრო ამერია.

ალბათ, ნემსები, აბები, რაღაც ასეთი დამაყარეს. ელდა გქონდაო, მერე მითხრეს.

თავზრდაცემისა და ღრიალის ტალღამ გადამიარა. შემდეგ კი, მახსოვს, ერთიანად მოვდუნდი. მახსოვს, ვკიოდი, ან მეგონა, რომ ვკიოდი და სინამდვილეში მხოლოდ ვჩურჩულებდი: „სად არის? რა უქენით ჩემს გოგოს?“

არ იყო ღამე და არც – დღე; მხოლოდ რაღაც ჭიატი. მალე გამოჩნდა სკამები, და საწოლი, მერე – ფანჯარაც.

საიმედო ხელში მოხვდა, – მეუბნებოდნენ ისინი, – ღირსეულ ხალხში.მართალია, შენ უღირსი ხარ, მაგრამ მისთვის მაინც ყველაფერი საუკეთესო გინდა, ასე არაა?

მისი სურათიც მაჩვენეს: გაზონთან იდგა. სახის ოვალი დასრულებოდა. ქერა თმა კეფაზე გადატკეცოდა. ხელი უცნობი ქალისთვის ჩაეკიდა, რომელსაც იდაყვამდე ძლივს სწვდებოდა. თქვენ ის მოკალით, ვთქვი მე. ანგელოზს ჰგავდა, სერიოზული, დიდებული, ჰაეროვანი.

თეთრი, მიწამდე დაშვებული კაბა ეცვა, რომელიც არასდროს მენახა.

მინდა დავიჯერო, რომ ამ ამბავს მე ვთხზავ. ძალიან მინდა, დავიჯერო. მათ, ვისაც სჯერათ, რომამგვარ ამბებს თვითონ თხზავენ, გადარჩენის მეტი შანსი აქვთ.

თუკი ეს ამბავი ჩემი შეთხზულია, დასასრულსაც ჩემს ნებაზე მოვუფიქრებ. გამონაგონი დასრულდება და ნამდვილი ცხოვრება გაგრძელდება. ზუსტად იქიდან, სადაც შეწყდა.

მაგრამ ამ ამბავს მხოლოდ მე არ ვთხზავ.

ეს არის ამბავი, რომელსაც მეც ვთხზავ, გზადაგზა, ჩემს გონებაში.

ვთხზავ და არ ვწერ, რადგან არც კალამი მაქვს და წერასაც მიკრძალავენ. მაგრამ თუკი რამეს თხზავ, თუნდაც საკუთარ გონებაში, ესე იგი, სხვასაც უამბობ. არ არსებობს ამბავი, რომელსაც მხოლოდ საკუთარ თავს უყვები. ყოველთვის არის ვიღაც სხვა.

მაშინაც კი, როცა არავინაა.

ეს ამბავი წერილს ჰგავს. დავიწყებდი ასე: „ძვირფასო, შენ“ – სახელის გარეშე. სახელს თუ დააზუსტებ, ადრესატის ვინაობას ფაქტების სამყაროში მიუჩენ ადგილს, ეს კი უფრო სახიფათო, უფრო საორჭოფო იქნებოდა: ვინ იცის, იქ, დროის მიღმა, გადარჩენის როგორი შანსი გაქვს? მე ვამბობ: „შენ, შენ“, როგორც ძველ სასიყვარულო სიმღერაშია. ამ სიტყვაში შეგიძლია არაერთი ადამიანი იგულისხმო.

ათასობით „შენ“ შეიძლება არსებობდეს.

მე ჯერჯერობით გარდაუვალი საფრთხე არ მემუქრება, – გეუბნები მე შენ.

წარმოვიდგენ, რომ შენ გესმის ჩემი.

თუმცა, რა აზრი აქვს, როცა ვიცი, რომ არ გესმის.

IV -

მოსაცდელი ოთახი

8

კარგი ამინდები დაიჭირა. ისე დათბა, როგორც ივნისში, როცა სარაფნებსა და სანდლებს მოვირგებდით ხოლმე და ჩამოსასხმელი ნაყინის საჭმელად გავწევდით. კედელზე სამი ახალი გვამია. ერთი მღვდელია, ჯერაც ანაფორა აცვია. ამათ ჩააცვეს, თვალის სეირისთვის, თორემ მღვდლებმა ანაფორები სექტების პირველი ომის გაჩაღებისთანავე გაიხადეს, რომ სამიზნეებად არ ქცეულიყვნენ. დანარჩენ ორს გულზე მეწამული ფირფიტები კიდია: „სოდომის ცოდვა“. ჯერ ისევ გუშაგთა უნიფორმა მოსავთ. უეჭველია, ერთად გამოიჭირეს, მაგრამ ნეტავ, სად? ყაზარმაში თუ საშხაპეში? ძნელი სათქმელია. წითელღიმილიანი თოვლის კაცი გამქრალა.

– უკან უნდა დავბრუნდეთ, – ვეუბნები გლენისას. მუდამ მე მიწევს ამის შეხსენება. ხანდახან მგონია, თუ არ წავიყვან, სულ აქ იდგება. მაგრამ საგლოვად თუ მკვდრებისთვის ნიშნის მოსაგებად? ამ კითხვის პასუხი ჯერ არ ვიცი.

იგი უჩუმრად ტრიალდება, თითქოს ხმაზე მომართული რობოტი იყოს, პატარა დაზეთილ ბორბლებზე შემდგარი, ან მუსიკალური ყუთის თავზე წამოსკუპებული. მაღიზიანებს მისი სინარნარე. მაღიზიანებს მისი თითქოს ქარის გამო მორჩილად ჩაქინდრული თავი. არადა, ფოთოლიც არ იძვირს.

კედელს ვშორდებით და იმავე გზით ვბრუნდებით უკან, რომელმაც აქ მოგვიყვანა. მზე საამოდ გვათბობს.

– რა მშვენიერი მაისია, – მეუბნება გლენისა, უფრო ვგრძნობ, ვიდრე ვხედავ, როგორ ტრიალდება ჩემკენ მთელი ტანით პასუხის მოლოდინში.

– ჰო, – ვეთანხმები, – დიდება უფალს, – ვამატებ ცოტა ხნის შემდეგ.

დიდი ხნის წინ სკოლაში რომელიღაც ომის ისტორიას რომ გვასწავლიდნენ, გვითხრეს, რომ ამ ომში „მაისის დღე“ უბედურების მაუწყებელი სიგნალი იყო. მერე თავში ყველაფერი ამერია, მაგრამ

მგონი, ეს გამოთქმა თვითმფრინავებთან იყო დაკავშირებული. ლუკი მიყვებოდა, რომ „მაისის დღე“ პილოტების ჟარგონი იყო, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ მათ თვითმფრინავებს თავს დაესხნენ და კიდევ – ზღვაში გასული გემების (ნუთუ გემებსაც?). შეიძლება ეს სწორედ გემების

შოშ სიგნალი იყო. ნეტავ, გამახსენა. და ბეთჰოვენისაც იყო რაღაც, გამარჯვების ჰიმნი, რომელიღაც ბრძოლის. იცი, საიდან მოდის გამოთქმა „მაისის დღე“? მეკითხება ლუკი. არა, ვპასუხობ, რა უცნაური გამოთქმაა, არა?

გაზეთები და ყავა კვირა დილაობით, მის დაბადებამდე. მაშინ ჯერ კიდევ გამოდიოდა გაზეთები. ლოგინში ვკითხულობდით ხოლმე. ფრანგული სიტყვაა, – მეუბნება იგი,

მ’აიდეზ ნიშნავს მიშველე.

მიშველე!

მცირერიცხოვანი სამგლოვიარო პროცესია გვიახლოვდება: სამი ქალი, სამივეს სახეს გამჭვირვალე შავი ვუალი უფარავს. ეკონომცოლი და კიდევ ორი ასაბია, ისინიც ეკონომცოლები, ალბათ, მეგობრები. ზოლიანი კაბები ერთიანად გაცრეციათ, სახეებივით. ერთხელაც, როცა უკეთესი დრო დადგება, ამბობდა დეიდა ლიდია, ეკონომცოლები აღარ იარსებებენ.

პირველი ჭირისუფალია, შვილმკვდარი დედა. ხელში პატარა შავი ქილა უჭირავს. ქილის ზომის მიხედვით შეგიძლია, მიხვდე, რა ხნის იყო, როდესაც სიკვდილმა დედის წიაღს მოსწყვიტა. სამი ან ოთხი თვის, ალბათ. ისეთი პატარაა, ვერც მიხვდები, არჩვილი დაიბადებოდა თუ არა. უფრო მომწიფებულ ჩანასახსა თუ მკვდრად შობილებს ყუთით მარხავენ.

თანაგრძნობის ნიშნად ვჩერდებით და გზას ვუთმობთ. მაინტერესებს, ჩემსავით გლენისაც თუ გრძნობს გაფატრული მუცლის ტკივილს. გადაჯვარედინებულ ხელისგულებს გულზე ვიდებთ, რომ უცხო ქალებს ჩვენი თანალმობა დავანახვოთ. პირველი პირბადის ქვემოდან წარბშეკრული გვიმზერს, მეორე გვერდით ბრუნდება და

ტროტუარზე აფურთხებს. ასეა, ეკონომცოლებს დიდად გულზე არ ვეხატებით.

მაღაზიებს უკან ვიტოვებთ და შლაგბაუმთან ვბრუნდებით, მერე კი ვეება, უკაცრიელ სახლებსა და გაწკრიალებულ გაზონებს შორის გაჭიმულ გზას მივუყვებით. ქუჩის კუთხეში, იმ სახლის მახლობლად, რომელშიც მე გამამწესეს, გლენისა ჩერდება და ჩემკენ ტრიალდება.

– თვალთა მისთა ჩრდილქვეშ, – მეუბნება ის. ეს გამოსასალმებელი ფრაზაა.

– თვალთა მისთა ჩრდილქვეშ, – ვპასუხობ მე და ის ოდნავ მიკრავს თავს. ფეხს ითრევს, თითქოს კიდევ რამის თქმა უნდა, მაგრამ მერე ტრიალდება და ქუჩას მიუყვება. კარგა ხანს თვალს არ ვაშორებ, როგორც სარკეში საკუთარ ანარეკლს, რომელსაც თანდათან ვშორდები.

მოასფალტებულ ბილიკზე ნიკი კვლავ „ქარბორბალას“ დასტრიალებს. უკვე მოქრომილი ბუფერის გაპრიალებას შესდგომია. მე ხელთათმნიანი ხელით ურდულს ვპოულობ, ქვემოთ ვწევ და კარს ხელისკვრით ვაღებ. ჭიშკარი ჩემ უკან ჯახუნით იკეტება. კვალში ჩამწკრივებული ტიტები წინანდელზე მეტად ხასხასებენ, იფურჩქნებიან, ღვინის ჭიქების მსგავსნი ღვინისავე ფიალებად გადაქცევას ლამობენ; ყელყელაობენ, მაგრამ როდემდე? მაინც ხომ ფუტუროები არიან. ჩამოჭკნებიან, შიგნეულს გარეთ გამოყრიან, მერე ნელ-ნელა დასკდებიან და ფოთლებს გარშემო ნამსხვრევებივით მიმოფანტავენ.

ნიკმა ამომხედა და სტვენას მოჰყვა. მერე მეკითხება:

– მოგეწონა სეირნობა?

თავს ვუქნევ, მაგრამ არაფერს ვპასუხობ. მას ჩემთან ლაპარაკის უფლება არ აქვს.

რა თქმა უნდა, ზოგ-ზოგიერთები ეცდებიან, ამბობდა დეიდა ლიდია, ხორცი ხომ სუსტია. ხორცი ბალახია, ვუსწორებ გუნებაში. რა ქნან, განაგრძობს ის, ღმერთმა ისინი ასეთად დაბადა, მაგრამ თქვენმათ

არ ჰგავხართ. თქვენ სხვა თიხისგან ხართ მოზელილი. ზღვრის გავლება თქვენი მოვალეობაა. თავშეკავებისთვის კი უფალი დაგაჯილდოებთ.

სახლს უკან, ბაღში, გარეთ გამოტანილ სკამზე მეთაურის ცოლი ზის. სერენა ჯოი – რა შტერული სახელია. ისე ჟღერს, თითქოს იათფასიანი სამშვენისი იყოს, ადრე თმის სამაგრებად რომ ვიყენებდით. „სერენა ჯოი“, ალბათ, იმ ფლაკონების ეტიკეტზე უნდა ეწეროს, რომელთა ოქროსწახნაგებიან ვარდისფერ ფონზე ქალის სისხლისფერი სილუეტია ხოლმე გამოსახული. ამდენი სახელიდან მაინცდამაინც ამის არჩევა რატომ უნდა მოგვიდეს თავში? სერენა ჯოი ხომ მისი ნამდვილი სახელი არ არის. მას პემი ერქვა – ეს ერთ-ერთ ჟურნალში, მისდამი მიძღვნილ სტატიაში წავიკითხე. დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც კვირადილაობით მის გალობას ვუსმენდი ხოლმე. ამ დროს მის შესახებ უკვე „ტაიმი“ თუ „ნიუსუიკი“ წერდა. ის აღარ მღეროდა, ორატორად ქცეულიყო და ამ საქმეში ბადალი არ ჰყავდა. მისი მონოლოგები ოჯახის სიწმინდეს ეძღვნებოდა, ქადაგებდა, რომ ქალი შინ უნდა იჯდეს. თვითონ, რა თქმა უნდა, საკუთარი ქადაგების მიმდევარი არ იყო, მაგრამ მშვენივრად ახერხებდა, თავისი ნაკლი საზოგადოების კეთილდღეობისათვის გაღებულ მსხვერპლად წარმოეჩინა.

იმ პერიოდში ვიღაცამ მისი მოკვლაც სცადა, მაგრამ ააცილა და ტყვია მის მდივანს მოხვდა, რომელიც უკან მოჰყვებოდა. მერე ერთმა მკვლელმა მანქანაში ბომბი ჩაუდო, მაგრამ იგი დროზე ადრე აფეთქდა. თუმცა ამბობდნენ, რომ ბომბის ამბავი სერენამ თვითონ მოაწყო, ხალხის თანაგრძნობა რომ გამოეწვია. ასე იქმნებოდა მაშინ სენსაციები.

ხანდახან მას მე და ლუკი ღამის საინფორმაციო გამოშვებაში ვუყურებდით ხოლმე. ღამის ჩაჩებით, აბაზანის ხალათებში გახვეულები ვუცქერდით მის გალაქულ თმას, ისტერიკას, მის ყალბ ცრემლებს და ლოყებზე ჩამოდღაბნილ ტუშს. მაშინ თვალებს უფრო მკვეთრად იღებავდა. ძალიან სასაცილო გვეჩვენებოდა, უფრო სწორად, ლუკს ეჩვენებოდა, მე კი მხოლოდ თავს ვაჩვენებდი, თითქოს მეცინებოდა. სინამდვილეში სერენასი ცოტა მეშინოდა. მისი ფანატიზმი მაშინებდა.

ახლა ის აღარ ქადაგებს. დადუმდა. ერთთავად შინ ზის, მაგრამ სულაც არ ეტყობა, რომ ასეთი ცხოვრება მოსწონს. ალბათ, რა გაცოფებულია, რომ თავის დროზე ენა არ ჩაიგდო.

იგი ტიტებს გასცქერის. იქვე, ბალახში, ყავარჯენი უდევს. ჩემკენ პროფილით ზის და ვამჩნევ, გვერდით ჩავლისას როგორ მტყორცნის სწრაფ, ალმაცერ მზერას. მე არ ვუყურებ მას. დიდი ხანია, ის უნაკლო, თითქოს პაპიე-მაშესგან გამოჭრილი პროფილი აღარ აქვს. სახე გადღაბნია და მე მახსენდება მიწისქვეშა მდინარეებზე აგებული ქალაქები, სადაც სახლები და ქუჩები ერთ ღამეში უჩინარდება და უეცრად ჭაობი შთანთქავს; ანდა ქვანახშირის ქალაქები, ერთ წამში რომ ჩაიშლება მიწისქვეშა მაღაროში. ალბათ, მის თავსაც რაღაც ასეთი მოხდა, როდესაც დაინახა, სინამდვილეში როგორი აღმოჩნდა მისი სანატრელი მომავლის ხატი.

თავი არ მოუბრუნებია. არ იმჩნევს, თუმცაღა მშვენივრად იცის, რომ იქ ვარ. დარწმუნებული ვარ, იცის. ჩემი არსებობა სუნივით აღწევს მასთან, თითქოს რაღაც ამჟავდა, ძველი რძესავით.

კაცებს კი არ უნდა შესცინებდეთ თვალებში, ამბობდა დეიდა ლიდია, მათ ცოლებს დააკვირდით. ყოველთვის ეცადეთ, მათ ადგილას წარმოიდგინოთ თავი. რა თქმა უნდა, თქვენ მათ ჭირის დღესავით სძულხართ, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია. ეცადეთ, თანაუგრძნოთ მათ. დეიდა ლიდია დარწმუნებული იყო, რომ თვითონ თანაგრძნობის დიდოსტატი გახლდათ. ეცადეთ, გაუგოთ, მიუტევოთ, ვინაიდან არ იციან, რას სჩადიან. ისევ ის მთრთოლვარე, მათხოვრული ღიმილი, მოჭუტული ბეცი თვალები, რკინისჩარჩოიანი სათვალის ზემოთ აპყრობილი მზერა, თითქოს, სადაც იყო, საკლასო ოთახის მწვანედ შებათქაშებული ჭერი განიხვნებოდა და მავთულებსა და წყალგაყვანილობის მილებს შორის „პინკ პერლის“ ფირმის პუდრის ღრუბელზე ჩამომჯდარი ღმერთი დაეშვებოდა. უნდა გახსოვდეთ, რომ ისინი უბედური ქალები არიან. მათ ღმერთმა არ მისცათ... აქ ხმა უწყდებოდა და სიჩუმე ისადგურებდა. სწორედ ამ სიჩუმეში მესმოდა გარშემო მყოფთა ერთობლივი ოხვრა. აბა, ერთი, ამ პაუზის დროს ვინმე აწრიალებულიყო ანდა თუნდაც მხრები შეეშმუშნა: დეიდა ლიდია გონებაგაფანტული კი ჩანდა, მაგრამ ყოველ წამს მზად იყო, თმაში ჩაგვფრენოდა. ამიტომაც ისმოდა მხოლოდ ოხვრა. მომავალი თქვენს ხელშია, ასკვნიდა იგი.

ამოტრიალებულ ხელისგულებს ჩვენკენ იშვერდა და ამ უძველესი ჟესტით ერთდროულად გამოხატავდა შეთავაზებასა და მიპატიჟებას, რომ წინ გვევლო, გულში ჩავკვროდით ხელგაშლილთ. თქვენს ხელში, იმეორებდა იგი და საკუთარ ხელებს დაჰყურებდა, თითქოს ისინი შთააგონებდა, თუმცა, მისი ხელები ცარიელი იყო. ეს ჩვენ უნდა მოგვეგდო ხელში მომავალი, რომელსაც გვთავაზობდნენ, მაგრამ ვერ ვხედავთ.

უკანა კარს ვუახლოვდები, ვაღებ, შევდივარ და კალათას მაგიდაზე ვდებ. მაგიდა გადაუფხეკიათ, ფქვილიც გადაწმენდილია; დღეის პური, ახალი გამომცხვარი, თაროზე გრილდება. სამზარეულოში საფუვრის სუნი დგას,მოგონებების აღმძვრელი. ის სხვა სამზარეულოებს მახსენებს, ჩემს სამზარეულოებს. დედების სურნელია, თუმცა, დედაჩემს პური არასოდეს გამოუცხვია. იმ დღეებისსურნელია, იმ გარდასული დღეების, როცა მე თვითონ ვიყავი დედა.

ვერაგი სურნელია და ვიცი, რომ კარი უნდა მივუკეტო.

რიტა მაგიდას უზის, სტაფილოს ფცქვნის და ჭრის. დამჭკნარი სტაფილოებია, მსხვილი, ნაზამთრალი, საკუჭნაოში დებისგან ამოჯეჯილებული. ახალი სტაფილო, ნაზი და ღია ფერის კიდევ რამდენიმე კვირა არ იქნება. რიტა ბასრი, ელვარე, ფხიანი დანით ჭრის მათ. მეც მინდა, ასეთი დანა მქონდეს.

რიტა სტაფილოს თავს ანებებს, დგება და კალათიდან ფუთებს დიდი მონდომებით ალაგებს. ერთი სული აქვს, ნახოს, რა ვიყიდე, თუმცა, შუბლს მაინც არ ხსნის; ჩემი ნავაჭრით ერთთავად უკმაყოფილოა. ჰგონია, ეს საქმე თვითონ უკეთ გამოუვა; მან უკეთ იცის, რისი ყიდვაა საჭირო; შურს, მე რომ გასეირნება შემიძლია. ამ სახლში ყველას რაღაც გვშურს ერთმანეთის.

– ფორთოხალი მოუტანიათ, – ვეუბნები, – „რძე და თაფლში“. ჯერ კიდევ არის, – ჩემი ნათქვამი შეთავაზებას ჰგავს. ვცდილობ, თავი მოვიწონო. ფორთოხალი გუშინ ვნახე, მაგრამ რიტასთვის არ მითქვამს. გუშინ შეუძლებელი იყო მასთან ლაპარაკი, – თუ ტალონებს გამატან, ხვალ მოვიტან, – ვუმატებ და ქათამს ვუწვდი. მან საქონლის ხორცი დამაბარა, მაგრამ არ იყო.

რიტა ბუზღუნებს. კმაყოფილი არ ჩანს, ვერც თანხმობას ვამჩნევ.

– ასეც ვიზამდი, – ბურდღუნებს, – ჩემს სახლში რომ ვიყო.

იგი ქათამს თოკებს ხსნის და ჭრაჭუნა ქაღალდს აცლის. საწყალ ფრინველს უჩხიკინებს, ფრთებს უტრიალებს, მუცლის ღრუში თითს ატაკებს და შიგნეულს აცლის. ქათამი უმწეოდ წევს, უთავო, უფეხებო, ხორკლიანი, თითქოს შეამცივნაო.

– დღეს ბანაობის დღეა, – ამბობს რიტა, ზედაც არ მიყურებს.

სამზარეულოში კორა შემოდის, საკუჭნაოდან ბრუნდება, სადაც ცოცხი და იატაკის ჯოხი შეინახა.

– ქათამი, – ხმაში სიხარული ეტყობა.

– მჭლეა! – პასუხობს რიტა, – მაგრამ სხვა რა დაგვრჩენია.

– დიდი არჩევანი არ იყო, – თავის გამართლებას ვცდილობ, მაგრამ რიტა ზედაც არ მიყურებს.

– მე მგონი, სულაც არ არის მჭლე, – ამბობს კორა. ნუთუ ჩემი დაცვა უნდა? მდუმარედ ვუყურებ. ხომ არ გავუღიმო? მაგრამ არა, ის მხოლოდ საჭმელზე ფიქრობს. ის რიტაზე ახალგაზრდაა; დასავლეთის ფანჯრიდან შემოსული მზის სხივი მის გაყოფილსა და უკან გადატკეცილ თმას დაჰნათის. სულ ცოტა ხნის წინ მშვენიერი შესახედავი იქნებოდა. ორივე ყურზე პატარა ღრმული აქვს, საყურისთვის გახვრეტილი და მერე შეხორცებული.

– გრძელია, – ამბობს რიტა, – მაგრამ ცარიელი ძვლები. ხმა უნდა ამოიღო, – მეუბნება და პირველად მისწორებს თვალს, – ვიღაც მდაბიო ხომ არა ხარ.

გულისხმობს, რომ მეც მეთაურის რანგის ვარ, თუმცა, თვითონ სწორედ მდაბიოდ მთვლის. უკვე სამოცი წლისაა, აზრს იოლად ვეღარ შეაცვლევინებ.

იგი ნიჟარასთან მიდის, ნაუცბათევად იბანს ხელებს და ჭურჭლის ტილოთი იმშრალებს. ჭურჭლის ტილო თეთრია, ლურჯად

დაზოლილი. ისინი ახლაც ზუსტად ისეთივეა, როგორიც ყოველთვის. ხანდახან ნორმალური ცხოვრების მოგონებები სამალავიდან გამოჭრილებივით დამაცხრებიან ხოლმე. ყველაფერი ჩვეულებრივი, ყოველდღიური და ნაცნობი სილის გაწვნას ჰგავს. მივჩერებივარ ჭურჭლის ტილოს და სუნთქვა მეკვრის. ზოგისთვის მაინცდამაინც არაფერი შეცვლილა.

– ვინ ბანაობს ახლა? – ეკითხება რიტა კორას, მე თვალს მარიდებს, – მე ამ ჩიტს უნდა მოვუხერხო რამე.

– მე მერე დავიბან, – ამბობს კორა, – დალაგებას რომ მოვრჩები.

– მასე აჯობებს, – მიუგებს რიტა.

ჩემზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს იქ არ ვიყო. მათთვის მე საყოფაცხოვრებო პრობლემა ვარ, მრავალთაგან ერთ-ერთი.

გამომიშვეს. ჩემს კალათას ვიღებ, ჰოლს ვჭრი და დგამსაათისკენ მივემართები. მისაღები ოთახის კარი დაკეტილია. კარის ზემოთა სარკმლიდან მზის სხივი იჭრება და იატაკზე ფერებად იღვრება: წითელი, ლურჯი, იასამნისფერი. მე ამ ფერადოვნებაში ვდგამ ფეხს და ხელებს ვშლი; ფერები სინათლის ყვავილებით მავსებს. კიბეზე ავდივარ, ჩემი სახეს, შორეულს, თეთრსა და გამრუდებულს, ჰოლის სარკე ირეკლავს, რომელიც წნევიანის თვალივით ამობურცულა. ზემო სართულის გრძელი დერეფნის ჭუჭყიან ვარდისფერ ხალიჩას ოთახისკენ მივუყვები.

დერეფანში ვიღაც დგას, ზუსტად იმ ოთახთან, რომელშიც მე ვცხოვრობ. დერეფანში ბნელა, მაგრამ ვხვდები, რომ კაცია, ჩემკენ ზურგშექცეული და ოთახში იხედება. გამომავალი სინათლე მის მუქ სილუეტს კვეთს. ახლა ვარჩევ, რომ მეთაურია, მაგრამ ვერ ვხვდები, აქ რას აკეთებს. მას ჩემი ფეხის ხმა ესმის და ბრუნდება; ცოტა ხანს ჩერდება და ჩემკენ მოდის. ეს წესების დარღვევაა. რა ვქნა?

მე ვჩერდები, ისიც ყოვნდება. მიყურებს, თუმცა, მე მის სახეს ვერ ვხედავ. რა უნდა? ის გზას აგრძელებს, განზე იწევს, რომ ჩავლისას არ შემეხოს, თავსაც გვერდით აბრუნებს და მიდის.

ეს რაღაცას ნიშნავს, მაგრამ რას? უცნობი ქვეყნის დროშასავითაა, ერთიწამით რომ მოჰკრავ თვალს გორაკის მოსახვევიდან. ეს შეიძლება თავდასხმას ნიშნავდეს, შეიძლება – ზავს, შეიძლება საზღვარსაც, რაღაც ტერიტორიის. ნიშანი, რომელსაც ცხოველები გადასცემენ ერთმანეთს: დახრილი ლურჯი ქუთუთოები, უკან გადაწყობილი ყურები, აჯაგრული ბალანი, დაკრეჭილი კბილების ელვარება. ნეტავ, რა ჯანდაბა უნდოდა? ჩემ მეტს არავის დაუნახავს. იმედი მაქვს. შემოჭრას აპირებდა? თუ ჩემს ოთახში იყო?

„ჩემი ოთახი“ წამომცდა.

9

ესეც ჩემი ოთახი. ბოლოსდაბოლოს, არსებობს სივრცე, რომელსაც შემიძლია „ჩემი“ ვუწოდო, ამ დროშიც კი.

ვიცდი ჩემს ოთახში. ახლა ის მოსაცდელ ოთახია. როდესაც დავიძინებ, საძინებლად იქცევა. ფარდებს ისევ არხევს მსუბუქი სიო, გარეთ ჯერაც ჩახჩახებს მზე, თუმცა, ჩემს ფანჯარაში ვეღარ აღწევს, დასავლეთისკენ გადახრილა. ვცდილობ, ამბები არ შევთხზა, ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი.

ჩემამდე ამ ოთახში ვიღაც ცხოვრობდა. ვიღაც ჩემი მსგავსი. ან ეგებ მირჩევნია, ასე მჯეროდეს.

სამი დღის მოსული ვიყავი, ეს რომ აღმოვაჩინე.

აღარ ვიცოდი, დრო როგორ გამეყვანა და გადავწყვიტე, ოთახი დამეთვალიერებინა. არა ისე ნაჩქარევად, როგორც სასტუმროს ნომრებს გადაჩხრეკენ ხოლმე, როცა იციან, მოულოდნელს არაფერს გადაეყრებიან და კომოდის უჯრებსა თუ განჯინის კარადებს ვალის მოსახდელად გააღებენ და მიხურავენ, საპნის ნამლევა ნაჭერს ქაღალდს შემოაცლიან, ბალიშს ააფუმფულებენ. ნუთუ აღარასოდეს მეღირსება სასტუმროს ნომერში ყოფნა? როგორ დავკარგე ის ოთახები – უცხო თვალთაგან მოფარების ფუფუნება.

ნაქირავები უფლება.

შუადღეები, როცა ლუკი ჯერ კიდევ მოფრინავდა თავისი ცოლისგან ჩემკენ, როცა მე მისთვის ჯერ კიდევ წარმოსახვა ვიყავი. მერე ჩვენ დავქორწინდით და მეც ხორცი შევისხი. მე ყოველთვის პირველი მივდიოდი. ნომერს ვქირაობდი. ეს სულ რამდენჯერმე მოხდა, მაგრამ ახლანდელი გადასახედიდან ის პერიოდი მთელი ეპოქა იყო. მახსოვს, რა მეცვა ხოლმე, ყველა სვიტერი, ყველა ყელსახვევი. მის მოლოდინში ბოლთას ვცემდი, ტელევიზორს ჩავრთავდი და გამოვრთავდი, ყურებს უკან სუნამოს ვისვამდი – მაშინ „ოპიუმს“ ვხმარობდი. ჩინურ, წითელ-ოქროსფერ ფლაკონში ესხა.

ვნერვიულობდი. როგორ უნდა მივმხვდარიყავი, ვუყვარდი თუ არა? ეგებ მხოლოდ ერთობოდა ჩემთან. რატომ ვამბობდით ხოლმე სიტყვას „მხოლოდ“? იმ პერიოდში ქალები და კაცები უბრალოდ ისინჯავდნენ ერთმანეთს, ჯემპრებივით. ვისაც ვერ მოირგებდნენ, მოისვრიდნენ.

კარზე დააკაკუნებდნენ; მე გავაღებდი, შვებით, ვნებით. ის ისეთი ნაუცბათევი იყო, ისეთი მყისიერი და მაინც – უსასრულო. შემდეგ მთელი შუადღე ლოგინში ვიწექით, ერთმანეთს ჩახვეულები, ტვინებს ვიბურღავდით. შესაძლებელია. შეუძლებელია. რა საშველი ვიპოვოთ? მაშინ გვეგონა, დიდ გასაჭირში ვიყავით. რა ვიცოდით, თურმე როგორი ბედნიერები ვყოფილვართ.

მაგრამ ახლა ლუკი კი არა, ის ოთახები მენატრება, კედლებზე დაკიდებული საშინელი ნახატებიც კი, რომლებზეც ფოთოლცვენა იყო გამოსახული, ან ხეებზე ჩამომდნარი თოვლი, ანდა გარდასული ხანის სამოსში გამოწყობილი ქალები, ფაიფურის თოჯინების გამომეტყველებით, ტურნიურებითა და პარასოლებით. ზოგიერთზე – ნაღვლიანთვალებიანი კლოუნები, ანდა თასები, უსიცოცხლო და უფერული ხილით სავსე. ახალთახალი პირსახოცები, სულ მალე რომ დაითხვრება, ნაგვის კალათები, ფართოდ პირდაღებული რომ გეპატიჟება. იმ ოთახებში ყოველთვის უზრუნველი ვიყავი. შემეძლო, დამერეკა და ლანგრით საჭმელს მომართმევდნენ, ყველაფერს, რასაც ვისურვებდი. რასაკვირველია, საჭმელი მავნე იყო, და სასმელიც. კომოდის უჯრებში ყოველთვის იდო ბიბლია, რომელიღაც საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრები აწყობდნენ ხოლმე, მაგრამ მათი კითხვით არავინ იკლავდა თავს. სასტუმროსგამოსახულებიანი ღია ბარათებიც იქვე იყო, შეგეძლო, რამე წაგეწერა და ვისთანაც გინდოდა, გაგეგზავნა. ახლა ასეთი რამეები წარმოუდგენელი მეჩვენება; თითქოს ყველაფერი მე გამოვიგონე.

მოკლედ, ოთახი გადავჩხრიკე. არა ისე სულმოუთქმელად, როგორც სასტუმროს ნომერი. მინდოდა, ეს პროცესი დიდხანს გაგრძელებულიყო. გონებაში ოთახი მონაკვეთებად დავყავი და თავს დღეში ერთი მონაკვეთის შესწავლის უფლება მივეცი. ნებადართულ მონაკვეთს უაღრესი გულმოდგინებით ვათვალიერებდი: შპალერის ქვეშ ბათქაში უსწორმასწორო ხომ არ იყო, პლინთუსებსა და რაფებზე საღებავი ხომ არ აქერცლილიყო და ლაკით ხომ არ

დაეფარათ, მატრასს ლაქები ხომ არ ემჩნეოდა. ისე შევტოპე, მთელი ლოგინი გადმოვყარე, ოღონდ ისე დავაწყვე, რომ თუ ვინმე შემომისწრებდა, უცებ მომესწრო დალაგება.

ლეიბზე ლაქები შევნიშნე, ყვავილის გამხმარი ფურცლების მსგავსი. არახალი. ძველი სიყვარული; ამ ოთახში სხვაგვარ სიყვარულს არაფერი ესაქმება.

რომ დავინახე, ორი, შეიძლება უკვე მობერებული ან სულაცგარდაცვლილი ადამიანის დატოვებული კვალი სიყვარულისა ან ვნების მაინც, და ალერსის, ლოგინი ხელახლა გავაწყვე და ზედ წამოვწექი. ბათქაშით თვალახვეულ ჭერს შევყურებდი. ისე მინდოდა, ლუკის სხეული მეგრძნო ჩემ გვერდით. ხანდახან ასეც მჩვევია – წარსული შემომიტევს ხოლმე, ტალღასავით გადამევლება თავზე და ხშირად ატანაც მიჭირს. „რა ვქნა? რა ვქნა?“ – ვფიქრობ გამუდმებით, მაგრამ რა უნდა ვქნა! ამათ მხოლოდ ისინი უნდათ, ვინც დგას და ელის. ან წევს და ელის. მე ვიცი, რატომ არის ეს ფანჯრები ჩარაზულიდა ისიც, რატომ ჩამოხსნეს ჭაღი. მე მინდოდა, ლუკი ჩემ გვერდით წოლილიყო, მაგრამ თავისუფალი ნომერი ვერ ვიშოვეთ.

გარდერობი მესამე დღისთვის შემოვინახე. ჯერ საგულდაგულოდ დავუთვალიერე კარები, გარედანაც და შიგნიდანაც, შემდეგ – კედლები და თითბირის კაუჭები. ეს კაუჭები როგორ გამორჩათ? რატომ არ მოხსნეს? ნუთუ ასე ახლოსაა იატაკთან? მაგრამ სულერთია – ერთი კოლგოტიც და საქმე დამთავრებულია. ერთი ლარტყა პლასტმასის საკიდებით არის სავსე. აქ კიდია ჩემი კაბები, წითელი შალის ქუდი და მოსასხამი. ჩავიმუხლე, რომ იატაკი დამეთვალიერებინა და აქ ვიპოვე ის პატარა წარწერა. საკმაოდ ახალი ჩანდა, ქინძისთავით ანდა სულაც ფრჩხილით ამოკაწრული იმ კუთხეში, რომელსაც ყველაზე მეტად ეცემოდა ჩრდილი:

ნოლიტე ტე ბასტარდეს ცარბორუნდორუმ .

არ ვიცოდი, ეს რას ნიშნავდა, არც ის, რომელ ენაზე ეწერა. ვიფიქრე, იქნებ ლათინურია-მეთქი, მაგრამ ლათინურის ინჩიბინჩი არ გამეგება. თუმცა, მივხვდი, ეს შეტყობინება იყო, წერილობითი, ამიტომაც – აკრძალული. და მათ ჯერაც არ აღმოუჩენიათ. მხოლოდ მე ვნახე. ის ხომ ჩემთვის დატოვეს, ადამიანისთვის, ვინც ამის დამწერი შეცვალა.

ჩემთვის სასიამოვნოა ამ წარწერაზე ფიქრი. მსიამოვნებს იმისი შეგრძნება, რომ მან, ვიღაც უცნობმა ქალმა, რაღაცნაირად ხმა მომაწვდინა. ის ჩემთვის უცნობია, თუმცა ნაცნობიც რომ იყოს, იგი არასოდეს არავის უხსენებია ჩემთან. მსიამოვნებს იმის ცოდნა, რომ ამ საიდუმლო წარწერამ თავისი გზა იპოვა, თუნდაც ერთ ადამიანამდე მიაღწია, ჩემი განჯინის იატაკზე მიმალული ვიპოვე და წავიკითხე. ხანდახან ამ სიტყვებს გონებაში ვიმეორებ. ისინი ცოტათი მახალისებენ. წარმოვიდგენ ქალს, რომელმაც ისინი ამოკაწრა, დაახლოებით ჩემი ასაკისას, შესაძლოა ცოტათი ჩემზე უმცროსს. მე მას მოირას ვამსგავსებ, კოლეჯისდროინდელ მოირას, ჩემი მეზობელი ოთახის მკვიდრს: ახირებულს, მკვირცხლს, ათლეტურს, ველოსიპედიანსა და ზურგჩანთით ლაშქრობაზე მოსიარულეს. ჭორფლიანი იყო, ვფიქრობ, დაუდევარი, გონებამახვილი.

ნეტავ ვინ იყო (ვინ არის) და რა დაემართა.

მინდოდა რიტასთვის წამომეცდენინებინა, იმ დღესვე, წარწერა რომ ვიპოვე.

– ვინ ცხოვრობდა ჩემს ოთახში ჩემამდე? – ვკითხე. სხვანაირად რომ მეკითხა: ჩემს ოთახში ჩემამდე ხომ არავის უცხოვრია-მეთქი, ალბათ, ვერაფერს გამოვრჩებოდი.

– რომელზე ამბობ? – მკითხა მან, მისი ხმა უკმაყოფილოდ ჟღერდა და ეჭვით იყო სავსე, მაგრამ ის ხომ მუდამ ასეთი ტონით მელაპარაკება.

ანუ ერთზე მეტი ყოფილა; რომელიღაცამ, როგორც ჩანს, ვადის ბოლომდე, სრული ორი წელი, ვერ გაძლო.რომელიღაც გაუშვეს, რამე მიზეზით. ან ეგებ არც გაუშვიათ. წავიდნენ?

– აი, ის, მხიარული, – ვთქვი, რაც ენაზე მომადგა, – ჭორფლიანი.

– იცნობ? – რიტას ხმა არასოდეს ყოფილა ასეთი ეჭვით სავსე.

– ადრე ვიცნობდი, – მოვატყუე, – გავიგე, აქ ყოფილა.

რიტა ამ პასუხმა დააკმაყოფილა. მან იცის, რომ ამაზე ერთი მითქმა-მოთქმა იქნებოდა, საიდუმლოდ, რასაკვირველია.

– არ გამოდგა, – თქვა მან.

– რა თვალსაზრისით? – შევეკითხე, ვითომ სასხვათაშორისოდ, უდარდელი ხმით.

მაგრამ რიტამ ტუჩები მაგრად მოკუმა, მე აქ ბავშვივით მექცევიან, ბევრ რამეს მიმალავენ. „რაც ნაკლები გეცოდინება, მით უკეთესი“, – ესღა მითხრა.

10

ხანდახან ვმღერი ხოლმე, გუნებაში: რაღაც პირქუშს, სამგლოვიაროსა და პრესვიტერიანულს:

„სათნოება ღვთიური, რა ტკბილი ხმით ღიღინებს,

ჩემისთანა ცოდვილსაც ახსნა დარდის ხუნდები.

განწირული ვიყავი, მაგრამ ახლა გადავრჩი,

შებორკილი ვიყავი, მაგრამ ვთავისუფლდები“.

არ ვიცი, სიტყვები რამდენად სწორად მახსოვს. ამგვარ სიმღერებს ახლა სახალხოდ აღარავინ ღიღინებს, განსაკუთრებით, თუ სიტყვა თავისუფლებაა ნახსენები. ეს ძალიან სახიფათო იქნება. ეს განდევნილი სექტის სიმღერაა.

„მე ისე მარტო ვარ, საყვარელო,

მე ისე მარტო ვარ, საყვარელო,

ისე მარტო ვარ, მკლავს სიმარტოვე“.

ესეც აკრძალულია. დედაჩემის ძველი კასეტიდან მახსოვს; ერთი დაფხაჭნილი და მოშლილი მაგნიტოფონი ჰქონდა, რომელიც ამგვარ რამეებს ჯერ კიდევ უკრავდა. ამ სიმღერებს მაშინ რთავდა ხოლმე, როცამეგობრები შემოუვლიდნენ და ორიოდე ჭიქას გადაჰკრავდნენ.

ხშირად არ ვარ სიმღერის ხასიათზე. ყელს მტკენს.

ამ სახლში მუსიკას მხოლოდ ტელევიზორში თუ გაიგონებ. ხანდახან რიტა თუ წაიზუზუნებს, ცხობისას ანდა კერძის მზადებისას: უსიტყვოდ, უმელოდიოდ, უსმენოდ. და ხანდახან მოსასვენებელი ოთახიდან სერენას სოპრანო გაისმის. დიდი ხნის წინ ჩაწერილ თავის დისკს უსმენს, ისე ხმადაბლა, რომ ვერავინ გამოიჭიროს, ქსოვით გართული

როგორ იხსენებს თავის წარსულ, ამჟამად წაგვრილ დიდებას, „ალილუიას“.

სეზონის პირობაზე საგრძნობლად თბილა. ასეთ სახლებს არასაკმარისი თბოიზოლაცია აქვს, სამაგიეროდ, მზეზე ძალიან ადვილად ხურდება. ჰაერი ჩახუთულია, მიუხედავად იმისა, რომ შეღებულ სარკმელზე ჩამოფარებული ფარდიდან სუსტი ნიავი აღწევს. ნეტავ შემეძლოს, ფანჯარა გამოვაღო. მალე საზაფხულო კაბების ჩაცმის ნებასაც მოგვცემენ.

ჩემი საზაფხულო კაბები, უკვე გამზეურებული, გარდერობში კიდია, ორი ცალი, სუფთა ბამბის, ათასჯერ რომ სჯობს იაფფასიანი სინთეტიკისას, თუმცაღა, როცაივლისისა და აგვისტოს ხვატში მაცვია, მაინც ოფლი მასხამს. სამაგიეროდ, მზე ვეღარ დაგწვავთ, ამბობდა დეიდა ლიდია, ქალები თავს იმასხარავებდნენ, შამფურზე შესაწვავი ხორცივით ზეთით იპოხებოდნენ, შიშველ მხრებსა და ზურგს ქუჩაში ყველას დასანახავად აფენდნენ, სახალხოდ აჩენდნენ ფეხებს, თან კოლგოტიც კი არ ეცვათ. რა გასაკვირია, თუ ასეთები ხდებოდა. „ასეთებში“ გულისხმობდა ყოველივე საძაგელს, გახრწნილსა და ამაზრზენს, რასაც თავის ბაგეს ვერ გადმოაცდენდა. მის ენაზე „ბედნიერი ცხოვრება“ სწორედ „ასეთებისთვის“ თავის არიდებას ნიშნავდა.

ღირსეულ ქალებს „ასეთები“ არ ემართებათ. „ასეთები“ მათ გარეგნობასაც კი თავის კვალს ამჩნევს, დამჭკნარი ვაშლივით უნაოჭდებათ სახე, ის კი არ გახსენებია, რომ გარეგნობაზე ყურადღების გამახვილება მცდარი სვლა იყო, დაავიწყდა, რომ ეს უკვე გვეკრძალებოდა. ხანდახან, ამბობდა დეიდა ლიდია, ქალები და კაცები შუა პარკშიც კი იშლიდნენ ქვეშაგებს და ერთად წვებოდნენ. ამ სიტყვების წარმოთქმისას იგი თავს ვერ იკავებდა და ტირილი უვარდებოდა. ტყავიდან ვძვრები, გვითხრა ერთხელ, ყველაფერს ვაკეთებ, რომ თქვენს კარზედაც ჩამოდგეს იღბალი. მეტისმეტად მკვეთრი განათება თვალებს სტკენდა და ხშირად ახამხამებდა. მერე ტუჩები აუთრთოლდა და წინ წამოწეული, გრძელი და ყვითელი კბილები გამოუჩნდა. მათ დანახვაზე მკვდარი თაგვი გამახსენდა, ერთხელ ჩვენი სახლის პარმაღთან რომ ვიპოვეთ. მაშინ სამნი ვცხოვრობდით, არა, ოთხნი, კატის ჩათვლით – სწორედ ის მოგვითრევდა ხოლმე ამგვარ საჩუქრებს.

დეიდა ლიდიამ მკვდარი მღრღნელის მსგავს პირზე ხელი აიფარა და მაშინვე ჩამოიღო. მოგონებებმა ლამის მეც ამატირა. ნახევრად მაინც არ შეეჭამა ამ ოხერ კატას, ვუთხარი მაშინ ლუკს. ნუ გგონიათ, თითქოს ეს ჩემთვის ადვილი იყოს, გვითხრა მაშინ დეიდა ლიდიამ.

მოირა ჩემს ოთახში შემოიჭრა, ჯინსის ქურთუკი იატაკზე მიაგდო. სიგარეტი გაქვს? მკითხა. ჩემს ჩანთაშია, ვუთხარი, ოღონდ ასანთი არ მაქვს. მოირა ჩემს ჩანთაში ქექვას მოჰყვა. რამდენი ნაგავი გიყრია, ხანდახან უნდა დაალაგო, მითხრა და დაამატა, ამაღამ ბოზჰალტერების წვეულებას ვაწყობ. რას აწყობ? მოირას თანდასწრებით მუშაობა შეუძლებელია. კატას ჰგავს, რომელიც მაინცდამაინც წიგნის იმ გვერდს ფხაჭნის, რომლის წაკითხვასაც ცდილობ. აი, რაღაც „ტაფერვეარის“ წვეულებასავით იქნება, ოღონდ საცვლებს გავყიდით, „ტარტის“ პროდუქციას. აბრეშუმის სტრინგებს, ქამრიან წვივსაკრავებს, ისეთ ლიფებს, ძუძუებს ყალყზე რომ აყენებს. ჩემს სანთებელას პოულობს, ჩემივე ჩანთიდან ამოღებულ სიგარეტს უკიდებს და კოლოფს მიწვდის: გინდა? მართლაც შესაშური გულუხვობაა, ვერაფერს იტყვი. გადამეხადოს, ვეუბნები ირონიულად, გიჟი ხარ. საიდან მოგივიდა თავში ასეთი რამ? კოლეჯისთვის ფულს ვიშოვი, მპასუხობს მოირა, ნაცნობები მყავს. დედაჩემის მეგობრები. უამრავი კლიენტია გარეუბნებში. რაც კანზე სიბერის ლაქები გაუჩნდათ, სულ ყირაზე გადადიან. „პორნომარტები“ უნდა გავხსნათ.

ვიცინი. მას ყოველთვის შეუძლია, გამაცინოს.

კი, მაგრამ აქ? ვინ მოვა? ვის რაში სჭირდება?

სწავლა ადრე არასოდეს არის, მპასუხობს მოირა, მოდი რა, მაგარი იქნება. სიცილისაგან ჩავიფსამთ.

ნუთუ ასე ვცხოვრობდით მაშინ? ჰო, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ცხოვრება იყო. თითქმის ყველა ასე ცხოვრობდა. ცხოვრება ყოველთვის ჩვეულებრივია. ახლანდელიც კი.

ვცხოვრობდით, თვალებს ჩვეულებრივ ვიბრმავებდით. თვალის დაბრმავებაც სიბრმავეა, ოღონდ ჩვევად ქცეული.

ამქვეყნად თვალის დახამხამებაში არაფერი იცვლება: თუ ონკანში ცხელ წყალს ნელ-ნელა უმატებ, ვერც შეამჩნევ, ისე დაიფუფქები. რასაკვირველია, დროდადრო გაზეთებში წერდნენ თხრილებსა თუ ტყეებში ნაპოვნ გვამებზე, ცემით მოკლულებსა და დასახიჩრებულებზე, გაზეთებისავე ენით რომ ვთქვათ, ნამუსახდილებზე, მაგრამ ისინი სხვა ქალები იყვნენ, ხოლო კაცები, რომლებიც ამას სჩადიოდნენ – სხვა კაცები. მათგან ერთსაც არ ვიცნობდით. საგაზეთო სიახლეები ჩვენთვის კოშმარს ჰგავდა, ოღონდ სხვის ნანახ კოშმარს. „რა საშინელებაა“, – ვამბობდით ჩვენ. მართლაც საშინელება იყო, ოღონდ – დაუჯერებელი, მეტისმეტად მელოდრამატული. ის სხვა განზომილებაში ხდებოდა, ჩვენ კი სულ სხვაგან ვცხოვრობდით.

ჩვენზე გაზეთებში არ წერდნენ. ჩვენ ნაბეჭდი ტექსტების მიღმავცხოვრობდით, ფურცლების თეთრ არშიებზე და თავისუფლებით ვტკბებოდით.

ჩვენ საგაზეთო ისტორიებს შორის, თეთრ ხარვეზებში, გვედო ბინა.

ქვემოდან, მოასფალტებული ბილიკიდან, ძრავის დაქოქვის ხმა მოისმის. წყნარი ადგილია, მანქანა იშვათად გამოჩნდება და შენს ყურამდე იოლად აღწევს მანქანის ძრავის გუგუნიც, გაზონის საკრეჭის ხმაც, ჭიშკრის ურდულის ჩხაკუნიც და კარის გაჯახუნებაც. ყვირილსაც გაიგონებ, გასროლასაც, თუკი გაისვრის ვინმე, რაღა თქმა უნდა. ხანდახან სირენების კივილიც აღწევს ჩვენამდე.

ფანჯარასთან მივდივარ და რაფის ქვეშ ძალიან ვიწრო და მოუხერხებელ ტახტზე ვჯდები. ზედ მაგარი პატარა ბალიში დევს, რომელზეც ამოქარგულია ჩვენი ერთსიტყვიანი დევიზი: „რწმენა“. ოთხკუთხა ასოები თეთრი შროშანების ჩარჩოშია ჩასმული, „რწმენა“ გახუნებული ლურჯია, შროშანების ფოთლები – მქრქალი მწვანე. ამ ბალიშს ოდესღაც სხვა დანიშნულებით იყენებდნენ, გაცვეთილია, მაგრამ გადასაგდებად ჯერ ვერ გაიმეტებ. ეტყობა, მხედველობიდან გამორჩათ.

მე შემიძლია წუთობით, ათეულწუთობით ვაყოლო თვალი ამ წარწერას. მხოლოდ მისიწაკითხვის უფლება მაქვს. ნეტავ, რომ გამომიჭირონ, დანაშაულად ჩამითვლიან? მე ხომ არ დამიდვია აქ ეს

ბალიში.

ძრავა დაიქოქა. მე წინ ვიხრები და თეთრ ფარდას პირბადესავით ვიფარებ სახეზე. გამჭვირვალეა და მის მიღმა ყველაფერი ჩანს. ფანჯრის მინას შუბლს ვაყრდნობ და დაბლა ვიყურები. „ქარბორბალას“ უკანა ნაწილს ვხედავ. თავდაპირველად არავინ ჩანს, მაგრამ რამდენიმე წუთში მანქანის უკანა კარს ნიკი უახლოვდება, აღებს და იქვე ჩერდება. ამჯერად კეპი სწორად ახურავს, სახელოები ჩამოუშვია და ღილები შეუკრავს. მე მის სახეს ვერ ვხედავ, ვინაიდან ზემოდან დავყურებ.

აი, მეთაურიც გამოდის. მანქანისაკენ მომავალს წამიერად ვავლებ თვალს. ქუდი არ ახურავს, მაშასადამე, ოფიციალურ შეხვედრაზე არ მიდის. ჭაღარა თმა აქვს. შევერცხლილიო, თავაზიანი ადამიანი იტყოდა, მაგრამ ახლა თავაზის გუნებაზე არ ვარ. ამის წინა მელოტი იყო, ასე რომ, ჩემი საქმე უკეთაა.

ფანჯრიდან რომ გადამაფურთხებინა, ანდა რამე მასროლინა, მაგალითად, ბალიში, ალბათ, თავში მოვარტყამდი.

*

მე და მოირას ხელში წყლით სავსე ქაღალდის პარკები გვიჭირავს, „წყლის ყუმბარები“ რომ დავარქვით. ჩემი ოთახის ფანჯრიდან ვართ გადაყუდებული და ქვემოთ მდგარ ბიჭებს ვბომბავთ. ეს მოირას მოუვიდა თავში. რას ვერჩოდით? სახანძრო კიბეზე მოძვრებოდნენ, ჩვენი საცვლების მოსაპარავად.

სტუდენტთა ეს საერთო საცხოვრებელი ერთ დროს შერეული იყო, ჩვენს სართულზე, ერთ-ერთ სააბაზანოში, ჯერაც იდგა პისუარები. მაგრამ მე რომ იქ მივედი, ყველგან უკვე პირველქმნილი წესრიგი სუფევდა.

მეთაური წელში იხრება, მანქანაში ჯდება, უჩინარდება და ნიკი კარს კეტავს. წუთიც და მანქანა უკან იხევს, მოასფალტებულ გზაზე დგება და გეზს ქუჩისკენ იღებს. თანდათან ღობეს ეფარება, მერე ვეღარც ვხედავ.

ეს კაცი უნდა მძულდეს. ვიცი, უნდა მძულდეს, მაგრამ არ მძულს. მიჭირს, სახელი დავარქვა იმას, რასაც მის მიმართ ვგრძნობ, თუმცა, სიყვარული ნამდვილად არ არის.

11

გუშინ დილით ექიმთან ვიყავი. მცველმა წამიყვანა, ერთ-ერთმა იმათგან, წითელი სამკლავური რომ უკეთიათ და ამგვარი საქმეები აქვთ მინდობილი. წითელი მანქანით ვიმგზავრეთ, ის წინ იჯდა, მე – უკან. მეწყვილე არ მახლდა; ასეთ დროს მუდამ მარტო ვარ.

ექიმთან თვეში ერთხელ დავყავართ, ანალიზებისათვის: შარდი, ჰორმონები, ნაცხის ანალიზი კიბოზე, სისხლის ანალიზი. უწინაც ასე დავდიოდი, ოღონდ მაშინ სავალდებულო არ იყო.

ექიმის ოფისი თანამედროვე შენობაა. ლიფტით ავდივართ, ხმაამოუღებლად. მცველი ჩემ წინ დგას. ვხედავ, ლიფტის შავსარკეებიანი კედელი როგორ ირეკლავს მის კეფას. მისაღებში შესვლისთანავე ის მშორდება, დერეფანში სპეციალურად მისთვის გამოტანილ სკამზე სხვა მცველების გვერდით ჯდება და მელოდება.

მოსაცდელ ოთახში კიდევ სამი ქალია, სამივე – წითლებში გამოწყობილი. ექიმმა თავისი საქმე კარგად იცის. ფარულად ვუთვალთვალებთ ერთმანეთს, მუცლებს ვუთვალიერებთ. რომელიმეს ხომ არ გაუმართლა? მედძმას კომპიუდოკში ჩვენი სახელები და ნომრები შეჰყავს, რათა დარწმუნდეს, რომ მართლა ისინი ვართ, ვინც უნდა ვიყოთ. ექვსი ფუტის სიმაღლისაა, ორმოც წლამდე. მთელი ლოყა დიაგონალურად გადასერვია ნაიარევით. კლავიატურაზე მუშაობისათვის მეტისმეტად დიდი ხელები აქვს, მხართან მიმაგრებულ ბუდეში პისტოლეტი უჩანს.

ჩემს სახელს აცხადებენ და მისაღებიდან ექიმის ოთახში ვინაცვლებ. ისიც ისეთივე თეთრი და უსახურია, როგორიც მისაღები, ოღონდ აქ დასაკეცი შირმა დგას, ჩარჩოზე წითელქსოვილგადაკრული. ზედ ოქროს თვალია მიხატული, ნახატის ქვეშ ერთმანეთში ჩახლართული ორი მახვილიგველებივით აღმართულა – კვარცხლბეკს ქმნის თვალისათვის. გველებიც და მახვილიც ძველი დროის ნაშთია, უარყოფილი სიმბოლიკის ნამსხვრევები.

სააბაზანოში ჩემთვის გამზადებული პატარა ბოთლი შარდით ავავსე;

ახლა შირმის უკან ტანსაცმელს ვიხდი, ვკეცავ და ვაწყობ. გაშიშვლებული გასასინჯ მაგიდაზე დაფენილ სუსხიანსა და ტკაცუნა ერთჯერად ქაღალდზე ვწვები და ქსოვილს ვიფარებ. ჭერიდან ჩემს ყელამდე კიდევ ერთი ქსოვილი ეშვება. იგი ისე მფარავს, რომ ექიმმა ჩემი სახე ვერ დაინახოს. მას მხოლოდ ჩემს ტორსთან აქვს საქმე.

მზად ვარ. გვერდით ვიხრები, მაგიდის მარჯვენა კუთხეში ხელის ფათურით ვპოულობ პატარა ბერკეტს და ვქაჩავ. სადღაც, ალბათ, ზარის რეკვა ისმის, თუმცა, ხმა ჩემს ყურამდე ვერ აღწევს. წუთის შემდეგ კარი იღება, ნაბიჯების ხმა მიახლოვდება და სუნთქვა მესმის. ექიმებს, თუკი აუცილებელი არ არის, ჩემთან ლაპარაკი ეკრძალებათ. მაგრამ ეს ყბედია.

– როგორ მიდის საქმეები? – მეკითხება. მაშინ ასე იწყებდნენ ხოლმე საუბარს. სხეულიდან ნაჭერს მაცლის, სიცივისაგან ვიხორკლები. გაყინული თითი, რეზინწამოცმული და ჟელეწასმული, ჩემს ტანში დასრიალებს, ზოგან მაჭერს, ზოგან – მერჭობა. მერე თითი მშორდება, სხვაგან მსინჯავს, ბოლოს უკან იხევს.

– კაჟივით ხარ, – თითქოს თავისთვის ამბობს ექიმი, – რამე გტკივა, საყვარელო? – „საყვარელოს“ მეძახის.

– არა, – ვამბობ მე.

ახლა მკერდზე მიტოვებს ნათითურებს, რომ მისი სიმწითე შეამოწმოს. მისი სუნთქვამიახლოვდება. ვიყნოსავ კვამლის, საპარსი კრემის, თმაზე შერჩენილი თამბაქოს სურნელს. შემდეგ ხმა, მეტისმეტად დამტკბარი, ზედ ჩემს თავთან გაისმის და ზეწარს არხევს.

– მე შემიძლია, დაგეხმარო, – ამბობს ის, ჩურჩულით.

– რაა? – ვამბობ მე.

– სსს... – მეუბნება ის, – მე დაგეხმარები, თუ გინდა. სხვებსაც დავხმარებივარ.

– დამეხმარები? – მეც ჩურჩულით ვპასუხობ, – როგორ? – ნუთუ რამე იცის? ლუკს ხომ არ იცნობს? ნუთუ შეუძლია, იპოვოს და დააბრუნოს?

– შენ როგორ გგონია? – მეკითხება იგი ისევ ძლივს გასაგონად. ჩემს ფეხზე მისი ხელი მოცოცავს. ხელთათმანიც გაუხდია.

– კარი ჩაკეტილია. ვერავინ შემოვა. ვერავინ ვერაფერს გაიგებს.

იგი ზეწარს მხდის. სახის ქვედა ნაწილი, წესისამებრ, თეთრი პირბადით აქვს დაფარული. წყვილი თაფლისფერი თვალი. წაბლისფერი თმა. მისი ხელი ჩემს ფეხებს შორის.

– იმ ბებრების უმეტესობას აღარაფრის თავი აქვს, – მეუბნება, – ან სტერილურები არიან.

ლამის სული შემეხუთოს: მან აკრძალული სიტყვა თქვა. „სტერილური“. სტერილური კაცები აღარ არსებობენ, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად. მხოლოდ ქალი შეიძლება იყოს ნაყოფიერი ან ბერწი. ასე ამბობს კანონი.

– ბევრი ქალი აკეთებს ამას, – მეუბნება ის, – ბავშვი ხომ გინდა?

– ჰო, – ვეუბნები მე. ეს მართალია, ვიცი, რატომაც და აღარაფერს ვამბობ. „მომეცი შვილები, თორემ მოვკვდები“. ორაზროვანი სიტყვებია, შეგიძლია, ისე გაიგო, როგორც მოგესურვება.

– როგორი ნაზი ხარ, – ამბობს ის, – თანაც მზად ხარ. რატომღა გადავდოთ? მხოლოდ ორიოდე წუთი დაგვჭირდება, საყვარელო, – ალბათ, ასე ცოლს მიმართავდა ოდესღაც; ან შეიძლება დღემდე ასე მიმართავს, მაგრამ სინამდვილეში ეს ზოგადი ცნებაა. ჩვენ ყველანი „საყვარლები“ ვართ.

ვორჭოფობ. ის თავის თავს მთავაზობს, თავის მომსახურებას და თავს საფრთხეში იდგებს.

– რა დღეში ჩაგყარეს, საბრალო გოგოებო, – ბუტბუტებს ის. ვგრძნობ, რომ გულწრფელად თანაგვიგრძნობს; თუმცა, ტკბება კიდეც ამ ყველაფრით. თვალები ვნებით დაბინდვია, მისი ხელი ნერვიულად და მოუთმენლობით აკანკალებული დასრიალებს ჩემს სხეულზე.

– ძალიან სახიფათოა, – ვამბობ, – არა, არ შემიძლია, – სასჯელი სიკვდილი იქნება. მაგრამ რომ დაგსაჯონ, ჯერ დანაშაულზე უნდა წაგასწროს ორმა მოწმემ. აქ კი რა ხდება? ნეტავ აქაურობას უსმენენ? კარს უკან ვინმე დგას?

ხელი ჩერდება.

– დაფიქრდი, – მეუბნება ექიმი, – შენი ექოსკოპიის პასუხი ვნახე. დიდი დრო არ დაგრჩენია. თუმცა, შენი საქმისა შენ იცი.

– გმადლობ, – ვეუბნები. თავი ისე უნდა მოვაჩვენო, თითქოს სულაც არ ვარ შეურაცხყოფილი, თითქოს მზად ვარ, მის წინადადებაზე ვიფიქრო. იგი ზანტად იღებს ხელს. ეს მისი ბოლო შანსი არ არის, ჩვენ კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს შეხვედრა. მას შეუძლია, ანალიზების პასუხი გააყალბოს, დასკვნაში ჩაწეროს, რომ კიბო მაქვს, უნაყოფო ვარ, ჰოდა, კოლონიაში გადამიყვანენ, არქალებთან. არ დამმუქრებია, მაგრამ როცა ქსოვილს ამოფარებულს თეძოებზე ხელებს მიფათურებდა, ორივემ ვიცოდით, რომ თავის ძალაუფლებას იყენებდა.

– იმ თვეში, – ამბობს ის.

მე შირმის უკან შევდივარ და ტანთ ვიცვამ. ხელები მიკანკალებს. რისი მეშინია? დაუკრეფავში არ გადავსულვარ, არ გამირისკავს. თითქოს ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა, მაგრამ მაშინებს, რომ არჩევანი შემომთავაზა, გამოსავალი, ხსნა.

12

სააბაზანო ჩემი საძინებლის გვერდითაა. კედლები პატარა ცისფერი ყვავილებით, კესანეებით არის მოჩითული, ფარდები – შპალერთან შეხამებული. იქვე აბაზანის ცისფერი ჭილოფი აფენია, უნიტაზის დასაჯდომიც ცისფერი ხელოვნური ბეწვისაა. ძველი დროიდან მხოლოდ ის თოჯინა არ შემორჩა სააბაზანოს, კაბის კალთებქვეშ ტუალეტის ქაღალდის სათადარიგო რულონს რომ მალავდა. ჰო, პირსაბანის სარკეც გაუტანიათ და მის ნაცვლად თუნუქის ოვალური ფირფიტა გაუკრავთ, არც კარი იკეტება და რასაკვირველია, საპარსსაც ვერსად ნახავთ. ადრე სააბაზანოებში წვრილ-წვრილი უსიამოვნებები ხდებოდა: ვენების გადასერვა, ჩახრჩობა. მერე ეს უმსგავსობები აღკვეთეს. გარეთ, დერეფანში, სკამზე კორა ზის და თვალს ადევნებს, რომ ახლომახლო არავინ გაჭაჭანდეს. – სააბაზანოში, ვარცლში, ადამიანი დაუცველი ხდება, – ამბობდა დეიდა ლიდია. თუმცა, არ გვიმხელდა, რას გულისხმობდა.

აბაზანის მიღება აუცილებელი მოთხოვნაა, მაგრამ, ამავდროულად, ფუფუნებაც. მარტოდენ ამ თეთრი თავსაბურავისა და პირბადის მოხსნა, თმის ჩამოშლა, მისთვის ხელის შევლებაც კი უდიდესი სიამოვნებაა. ჩემი თმა ახლა გრძელია, მოუკვეცავი. თმა გრძელი უნდა იყოს, ოღონდ დაფარული. ერთხელ დეიდა ლიდიამ გვითხრა, წმინდა პავლე ბრძანებდა, რომ ქალს თმა ან ასეთი გრძელი უნდა ჰქონდეს, ან გადაპარსული. და გაეცინა, რასაც დანარჩენების ერთობლივი ხვიხვინი მოჰყვა, თითქოს დიდი სახალისო რამ გაეგონოთ.

კორას აბაზანა მოუმზადებია. წვნიანის მათლაფასავით ასდის ოხშივარი. მე ტანსაცმელს ვიხდი: მოსასხამს, პერანგსა და კრინოლინს, წითელ წინდებსა დაბამბის ხალვათ ნიფხავს. კოლგოტები უბეს გადაგვიხეხავსო, მოირა ამბობდა. დეიდა ლიდია ასე არასოდეს იტყოდა, მისი თქმით, კოლგოტები არაჰიგიენური გახლდათ, მას კი სურდა, ყველაფერი ჰიგიენური ყოფილიყო.

ჩემი სიშიშვლე უკვე მაცბუნებს. საკუთარი სხეული მობერებული მეჩვენება. ნუთუ ოდესღაც პლაჟზე მართლა მეცვა საცურაო

კოსტიუმი? დიახ, მეცვა, ირგვლივ კაცებიც მეხვია, მე კი არ მადარდებდა, რომ ჩემი ფეხები, ხელები, თეძოები, ზურგი საქვეყნოდ იყო გამოფენილი და მათი ცქერა ყველას შეეძლო. უტიფარი, ურცხვი. საკუთარ შიშველ სხეულს თვალს ვარიდებ, იმიტომ კი არა, რომ ეს უტიფრობა ან ურცხვობაა, არამედ იმიტომ, რომ მისი დანახვა არ მინდა. არ მინდა, ვუყურებდე იმას, რაც ჩემს ერთადერთ ღირსებად ქცეულა.

წყალში ჩავდივარ, ვწვები, ვდუნდები. წყალი რბილია, ხელებივით. თვალებს ვხუჭავ და უეცრად, გაუფრთხილებლად, ის ჩემთან ჩნდება. საპნის სუნს მოჰყავს. მის კისერთან ჩამოშლილ ფუმფულა თმაში ვრგავ სახეს და მთელი ძალით ვისუნთქავ ჩვილის პუდრის, დაბანილი სხეულისა და შამპუნის სურნელს, ოდნავ რომ ერევა შარდის სუნი. აბაზანაში ყოველთვის ამხელას ვხედავ. სხვაგან კი სხვა ასაკისაა და ამით ვხვდები, რომ მოჩვენება არ არის. მოჩვენება ხომ მუდამ ერთი და იმავე ხნისაა.

ერთ დღეს – მაშინ თერთმეტი თვის იყო და უკვე ფეხის ადგმას აპირებდა – ვიღაც ქალმა სუპერმარკეტის ურიკიდან მოგვპარა. შაბათი იყო და მე და ლუკი მთელი კვირისთვის ვიმარაგებდით სურსათ-სანოვაგეს – მაშინ ხომ ორივე ვმუშაობდით. ის კი იჯდა სუპერმარკეტის ურიკის საბავშვო სკამზე, ფეხებგამოშვერილი. კარგ ხასიათზე იყო. მე კატის საჭმლის ძებნაში მისკენ ზურგით მივტრიალდი; ლუკი მაღაზიის მეორე ბოლოში იყო, ხორცეულის დახლთან. მისთვის დიდი სიამოვნება იყო ჩვენთვის მთელი კვირის სამყოფი ხორცის შერჩევა. ამბობდა, კაცებს ქალებზე მეტი ხორცი სჭირდებათო და მარწმუნებდა, რომ ეს ცრურწმენა ან მისი ახირება კი არა, მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტი გახლდათ.

ერთმანეთისაგან ძალიან განვსხვავდებით, ისეთი ჟინით იმეორებდა, თითქოს ოდესმე შეწინააღმდეგება მეცადოს. თუმცა, უფრო დედაჩემის ჩვენთან ყოფნისას აიჩემებდა ხოლმე ასეთ რაღაცებს, უყვარდა მისი გახელება.

მოულოდნელად მისი ტირილი მომესმა. მოვტრიალდი და დავინახე, რომ ის ესკალატორზე ვიღაც უცნობ ქალს ეჭირა ხელში და სადაც იყო, თვალს მიეფარებოდნენ. სასოწარკვეთილმა ვიკივლე და ქალი გაჩერდა. ოცდათხუთმეტიოდე წლის იქნებოდა. ტიროდა და

ამბობდა, რომ ის მისი შვილი იყო, რომ ღმერთმა გამოუგზავნა, ზემოდან ნიშანი მისცა. ძალიან შემეცოდა. მაღაზიის მმართველმა მომიბოდიშა, ქალი კი პოლიციის მოსვლამდე დაკავებული ჰყავდათ.

გიჟია, ვიღაცა, თქვა ლუკმა.

მაშინ მეგონა, რომ ასეთი რაღაცები იშვიათად ხდებოდა.

ის თითქოს ნისლში იძირება, თვალდათვალ მეკარგება, აი, გაქრა კიდეც. შეიძლება ჩემთვის ის მართლა მოჩვენებაა, მკვდარი გოგონას მოჩვენება, პატარა გოგონასი, ხუთი წლისა რომ გარდაიცვალა. მახსენდება ჩვენი ძველი ფოტოები, სტანდარტული პოზები: მე ის ხელში მიჭირავს, დედა და ჩვილი, უსაფრთხოებისათვის ჩარჩოში ჩაკეტილი. თვალდახუჭული ვხედავ ჩემს თავს ისეთს, როგორიც ახლა ვარ. ვზივარ გამოღებულ უჯრასთან ანდა სარდაფში, სკივრთან. ბავშვის ტანსაცმელი მაქვს ამოყრილი, კონვერტში მისი ქერა კულული მიდევს, ორი წლისას რომ მოვაჭერით. მერე თმა გაუმუქდა.

ის ნივთები, კარგა ხანია, აღარ მაქვს, ის ტანსაცმელი და კულული. ნეტავ,სად გაქრა? მოიპარეს, გადაყარეს, მიითვისეს თუ ჩამომართვეს?

უამრავი რამის გარეშე გაძლება ვისწავლე.

როცა ბევრი ნივთი გაქვს, ამბობდა დეიდა ლიდია, მატერიალურ სამყაროს ეჯაჭვები და სულიერ ღირებულებებს ივიწყებ. სულის სიგლახაკეს უნდა ეზიაროთ. ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, თუმცა, აღარ აგრძელებდა და არაფერს ამბობდა ცათა სასუფევლის დამკვიდრების შესახებ.

ვწევარ. წყალი მლოკავს. გვერდით არარსებული კომოდი მიდგას, არასებული უჯრაც გამოღებულია და ვფიქრობ გოგონაზე, რომელიც ხუთი წლისა არ მომკვდარა, რომელიც, იმედი მაქვს, ცოცხალია, ოღონდ ჩემთვის – აღარ. ნეტავ, მე თუ ვარ მისთვის ცოცხალი? მისი გონების სიღრმეში ბუნდოვნად მაინც თუა ჩარჩენილი ჩემი სახე?

ალბათ, უთხრეს, რომ მოვკვდი. უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდნენ.

ალბათ, გადაწყვეტდნენ, რომ მისთვის ასე ჯობდა.

რვა წლის უნდა იყოს ახლა. უცებ გამოვთვალე დრო, რომლის სადავეებიც დიდი ხანია, ხელიდან გამისხლტა, თუმცა, ვიცი, რამდენი წელი გავიდა. მართალი იყვნენ, უფრო გამიადვილდება, თუ მას მკვდრად წარმოვიდგენ. იმედი აღარ გამაწვალებს, აღარც ამაო ხლაფორთს მოვყვები.

რატომ უნდა აყარო კედელს ცერცვი, ამბობდა დეიდა ლიდია. ხანდახან ხატოვან გამოთქმებს არჩევდა მოვლენათა უკეთ წამოსაჩენად.

– მთელ დღეს აქ ვერ ვიჯდები, – მესმის ღია კარს იქიდან კორას ხმა. მართალს ამბობს. ვერსად იჯდება მთელ დღეს. არ ღირს მისი მოცდენა. საპონს ვისვამ, სახეხ ჯაგრისსა და პემზის ქვას ვიმარჯვებ მკვდარი კანის მოსაშორებლად. ამგვარი პურიტანულინივთებით უხვად გვამარაგებენ. ნეტავ სულ სუფთა ვიყო, უმიკრობო, უბაქტერიო, მთვარის ზედაპირივით კრიალა. ამ საღამოს ვეღარ დავიბან, ვეღარც ხვალ.

ეს ხელის შემშლელია, ამბობენ ისინი, რატომ გავრისკოთ?

თვალს ვერ ვაშორებ ჩემს მუხლზე მიხატულ პატარა ტატუს. ოთხი ციფრი და თვალი, პასპორტის ნაცვალი. ეს არის იმის პირობა, რომ ვერსად დავიმალები, ვერსად გავიქცევი. მე ხომ ძალიან მნიშვნელოვანი ვარ, ძალიან ძვირფასი. მე ეროვნული რესურსი ვარ.

ონკანს ვკეტავ, ტანს ვიმშრალებ და ჩემს წითელ ხალათში ვეხვევი. დღევანდელ კაბას აქვე ვტოვებ – კორა წაიღებს გასარეცხად. ოთახში ვბრუნდები და ტანთ ვიცვამ. თეთრი თავსაბურავის დახურვა ამ საღამოს საჭირო არ იქნება, გარეთ გასვლას არ ვაპირებ, სახლში კი ყველამ ისედაც მშვენივრად იცის, როგორი სახე მაქვს. თუმცა, წითელი პირბადე მაინც ბურავს ჩემს ნოტიო თმას და გადაუპარსავ თავს. სად მინახავს ფილმი ქალების შესახებ, რომლებსაც ქალაქის მოედანზე დაჩოქილებს, გაკავებულებს, თმას ბღუჯა-ბღუჯა გლეჯენ? ნეტავ, რა დააშავეს? ძალიან დიდი ხნის ამბავი უნდა იყოს, იმიტომ, რომ აღარ მახსოვს.

კორას ვახშამი შემოაქვს, ლანგარზე დაწყობილი და თავდახურული. შემოსვლამდე კარზე აკაკუნებს. ამიტომაც მომწონს ასე. ეს ნიშნავს, რომ, მისი აზრით, მე მაქვს ის, რასაც ადრე „პირად სივრცეს“ ვეძახდით.

– გმადლობ, – ვეუბნები, ლანგარს ვართმევ და ის გულწრფელად მიღიმის, მაგრამ სანამ ღიმილითვე ვუპასუხებდე, ოთახიდან გადის. როდესაც პირისპირ ვრჩებით, მუდამ იმორცხვებს და მერიდება.

ლანგარს თეთრად შეღებილ მაგიდაზე ვდებ და სკამს მოვახრიგინებ. ლანგარზე დაწყობილ ვახშამს ხუფს ვხდი. ქათმის ბარკალი გადახარშულია. თუმცა, უმს ისევ ეს სჯობს. რიტა ქათმის მომზადების მხოლოდ ამ ორ ხერხს იყენებს – ამგვარად გვაგრძნობინებს თავის უკმაყოფილებას. გამომცხვარი კარტოფილი, მწვანე ბარდა, სალათა. დესერტად – დაკონსერვებული მსხალი. სასარგებლო საჭმელია, ჯანსაღი საკვები, მაგრამ უგემური.

ვიტამინები და მინერალები უნდა მიიღოთ, ამბობდა დეიდა ლიდია მოკრძალებულად, თქვენი სხეული ძვირფასი ჭურჭელია. ყავა და ჩაი არ შეიძლება, არც არავითარი ალკოჰოლი. კვლევებმა აჩვენა...

ქაღალდის ხელსახოციც მოუტანიათ, როგორც კაფეტერიაში.

ვფიქრობ სხვებზე, ვისაც შიათ. ეს ქვეყნის გულია, აქ მე უზრუნველად ვცხოვრობ.

დაე, ღმერთმა მოგვცეს ჭეშმარიტი მადლიერება, ამბობდა დეიდა ლიდია. თუ „კმაყოფილება“ თქვა? ჭამას შევუდექი. ამ საღამოს შიმშილს ვერ ვგრძნობ. მუცელი მგვრემს, მაგრამ ამდენ საჭმელს სად გავაქრობ – ქოთნის ყვავილები არსადაა, ვერც ტუალეტში ჩავრეცხავ. ძალიან ვნერვიულობ და ეს მიკარგავს მადას. დავტოვო თეფშზე და ვთხოვო კორას, რომ არ დამაბეზღოს? ვღეჭავ და ვყლაპავ, ვღეჭავ და ვყლაპავ, ვგრძნობ, რომ ოფლად ვიღვრები. კუჭში საჭმელი ისევ ერთიან მასად იქცევა, დამპალი მუყაოს გროვად.

ქვემოთ, სასადილო ოთახში, წითელი ხის განიერ მაგიდაზე სანთლები იქნება ანთებული, თეთრი სუფრა, ვერცხლი, ყვავილები, ღვინის ჭიქები. ფაიფურზე დანები იწკარუნებს, გაიწკარუნებს მისი

ჩანგალიც, რომელსაც ძლივს გასაგონი ოხვრით ჩამოდებს თეფშზე ისე, რომ ულუფის ნახევარს პირს არ დააკარებს. შეიძლება თქვას, რომ მადა დაკარგა. ან სულაც არ ამოიღოს ხმა. თუკი რამეს იტყვის, ნეტავ, ქმარი ჰკითხავს, რა გჭირსო? და თუკი ხმას არ ამოიღებს, ქმარი შეამჩნევს ამას? როგორ მოახერხებს მისი ყურადღების მიქცევას? ალბათ, გაუჭირდება.

ჩემი თეფშის კიდეზე კარაქის ბურთულა დევს. მე ქაღალდის ხელსახოცს კუთხეს ვახევ, კარაქს შიგ ვახვევ, გარდერობს ვაღებ და უწინდელივით მარჯვენა სათადარიგო ფეხსაცმლის წვერში ვმალავ. ხელსახოცის ნარჩენსვანაკუწებ: დარწმუნებული ვარ, ისე არავინ შეიწუხებს თავს, რომ ნაფლეთები შეაკონწიწოს და აღმოაჩინოს, რომ რაღაც აკლია. ამ კარაქს გვიან ღამით გამოვიყენებ. არ ივარგებს, ამ საღამოს კარაქის სუნი ამდიოდეს.

ვიცდი. საკუთარ თავს ვიგონებ, როგორც მონოლოგს. ისე უნდა წარმოვაჩინო, თითქოს იგი ხელქმნილია და არა – ნაშობი.

V -

თვლემა

დრო უნდა გავიყვანო. სწორედ ამას ვერ ვეგუები – ამდენ უქმად დახარჯულ საათს, ჩარჩოში ჩასმულ ხანგრძლივ სიცარიელეს. დრო ტელევიზორის აშიშინებულ ეკრანად იქცა. ქარგვა რომ შემეძლოს, ქსოვა, რთვა – ხელებს რამე რომ ვაკეთებინო. სიგარეტი მინდა. მახსოვს, გალერეებში რომ ვათვალიერებდი ხოლმე მეცხრამეტე საუკუნის მხატვრობას: იმ პერიოდში ჰარამხანებზე გიჟდებოდნენ. ყველა ჰარამხანას ხატავდა – ტახტებზე მონებივრე ხორცსავსე ქალებს, ჩალმის მსგავსი თავსაბურავებითა და ხავერდის ქუდებით მორთულებს, დას-დასად ჩამწკრივებული საჭურისები ფარშავანგის კუდით რომ უნიავებდნენ. უმოძრაო სხეულებს ხატავდნენ, უკირკიტებდნენ კაცები, რომლებიც არასოდეს ყოფილან ჰარამხანაში. ეს ნახატები ეროტიკულად ითვლებოდა და მეც ასე ვფიქრობდი იმ დროს; ახლა კი ვხვდები, სინამდვილეში რა იყო მათზე ასახული – გაყინული სიცოცხლე, მოლოდინი, უფუნქციოდ დარჩენილი არსებები. ამ სურათებზე მოწყენილობა ეხატა.

თუმცა, იქნებ მოწყენილობაც ეროტიკაა, თუკი ქალი კაცისთვის მოიწყენს.

ვიცდი – დაბანილი, დავარცხნილი, დანაყრებული, როგორც ჯილდომიღებული ღორი. ოდესღაც, ოთხმოციანებში, ღორების ბურთები მოიგონეს, ბაკებში დასუქებული ღორებისათვის. დდიდი, ფერადი ბურთები იყო, ღორები დინგებით აგორავებდნენ. მეღორეები ამბობდნენ, ეს თამაში ცხოველებს კუნთებს უვითარებთო; ცნობისმოყვარე ღორები იყვნენ, უხაროდათ, თავსატეხი რომ გამოუჩნდებოდათ ხოლმე.

„ფსიქოლოგიის შესავალში“ წავიკითხე ეს ამბავი; იქვე ეწერა გალიაში გამოკეტილი ვირთხების შესახებ, რომლებსაც ელექტროშოკით აიძულებდნენ რაღაცების გაკეთებას. ჰოდა, კიდევ მტრედების ამბავი, ღილაკებს რომ უნისკარტებდნენ სიმინდის მარცვლების მოსაპოვებლად. სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი: პირველი ჯგუფი ყოველ ჩანისკარტებაზე თითო მარცვალს იღებდა, მეორე – ყოველ მეორე ჩანისკარტებაზე, მესამე ჯგუფი კი

ალალბედზე ირჯებოდა. როდესაც მარცვლები გამოილია, პირველ ჯგუფს მალე აუცრუვდა გული, მეორეს – ცოტა გვიან, მესამე ჯგუფი კი არ გაჩერებულა. რომ მიეშვათ, სიკვდილამდე უნისკარტებდნენ იმ ღილაკს. ვინ იცის, რა სჯობს?

ნეტავ ღორების ბურთი მქონდეს.

მოწნულ ფარდაგზე ვწევარ.

ყოველთვის შეგიძლიათ, ივარჯიშოთ, გვეუბნებოდა დეიდა ლიდია, დღეში რამდენჯერმე და ეს ყოველდღიურ ჩვევად გადაგექცევათ. დაწექით, მკლავები ტანის გასწვრივ გაჭიმეთ, მუხლები მოხარეთ, მენჯი ასწიეთ, ზურგით იატაკს დაეყრდენით. კიდევ ერთხელ. ჩაისუნთქეთ, ხუთამდე დაითვალეთ და ამოისუნთქეთ.

ხელსაქმის ოთახში ვვარჯიშობდით ხოლმე. საკერავი და სარეცხი მანქანები გაეტანათ და ხელს არაფერი გვიშლიდა. ყველაფერს სინქრონულად ვაკეთებდით, პატარა იაპონურ ჭილოფებზე წამოწოლილები, მაგნიტოფონი კი

ლეს შყლპჰიდეს -ს უკრავდა. ახლაც, როცა ვიწევი, ვიხრები, ჩავისუნთქ-ამოვისუნთქავ, ეს მუსიკა ჩამესმის ყურში. დახუჭული თვალებით ვხედავ თეთრ, სიფრიფანა მოცეკვავეებს, მსუბუქად რომ დაფარფატებენ ხეებს შორის, მუჭში მომწყდეული ჩიტებვით ფრთხიალებს მათი ფეხები.

შუადღეობით, სამიდან ოთხამდე, სპორტდარბაზში ვიწექით, ჩვენ-ჩვენ საწოლებში. გვეუბნებოდნენ, რომ ეს მოსვენებისა და მედიტაციის დრო იყო. მაშინ ვფიქრობდი, რომ ეს დრო მათ ჩვენგან, ჩვენი სწავლებისაგან სულის მოსათქმელად სჭირდებოდათ. ვიცოდი, რომ დეიდები მოცალეობის ჟამს სამასწავლებლოში იყრიდნენ ხოლმე თავს და ყავას სვამდნენ, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ამბობდნენ, ყავააო. მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ იმ შესვენებებით გვწვრთნიდნენ, გამოცარიელებული დროის გაყვანას გვაჩვევდნენ.

თვალი მოატყუეთ, ასე გვეუბნებოდა დეიდა ლიდია თავისი ქლარცი ენით.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ მართლა გვჭირდებოდა დასვენება. ზოგ ჩვენგანს ეძინებოდა კიდეც. ძალიან ვიღლებოდით მაშინ. მგონი, რაღაც აბებს თუ ნარკოტიკებს გვიყრიდნენ საჭმელში, რომ მოვეთენთეთ. თუმცა, შეიძლება არც კი. შეიძლება ადგილი იყო რაღაცნაირი. პირველი ელდის გადატანის შემდეგ, მას შემდეგ, რაც წესებს ალღოს აუღებდი, გერჩივნა კიდეც ლეთარგიულ მდგომარეობაში ყოფნა. შეგეძლო თავი მოგეტყუებინა, რომ ძალებს ზოგავდი.

ჩემი იქ ყოფნის მესამე კვირა იქნებოდა, მოირა რომ გამოჩნდა. როგორც ყველა, ისიც ორმა დეიდამ მოაცილა სპორტდარბაზში სწორედ მაშინ, როცა ჩვენ თვალს ვატყუებდით. ჯერაც თავისი ტანსაცმელი ეცვა – ჯინსი და ცისფერი ჯემპრი, თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, არამოდურად, ასე რომ, იმწამსვე ვიცანი. მანაც დამინახა, მაგრამ ზურგი მაქცია – უსაფრთხოების წესები უკვე ესწავლა. მარცხენა ლოყა დალილავებული ჰქონდა. იისფერი დასდებოდა. დეიდებმა თავისუფალ საწოლთან მიიყვანეს, რომელზეც უკვე გადაეფინათ წითელი კაბა. მოირა გაშიშვლდა და სრულ მდუმარებაშიხელახლა ჩაცმას შეუდგა, საწოლის თავთან დეიდები გაშეშებულიყვნენ, ჩვენ კი მილულული თვალებით ამოვცქეროდით. რომ გადაიხარა, ხერხემალზე მალები დავუნახე.

რამდენიმე დღე მასთან გამოლაპარაკებას ვერ ვახერხებდი; მხოლოდ ვუყურებდით ერთმანეთს, წამიერად ვავლებდით თვალს. მეგობრობას საფრთხედ მიიჩნევდნენ, ვიცოდით და ვცდილობდით, კაფეტერიაში გამართულ ინჯრებსა თუ გაკვეთილებს შორის შესვენებებზე ერთურთს არ შევჩეხებოდით. მაგრამ მეოთხე დღეს, სეირნობისას, როცა წყვილ-წყვილად ვუვლიდით წრეს ფეხბურთის მოედანს, იგი ჩემ გვერდით მოხვდა. სწავლის პერიოდში თეთრ თავსაბურავებს არ ვიხურავდით, სახეს მხოლოდ პირბადე გვიფარავდა და ლაპარაკი შეგვეძლო, ოღონდ ძალიან ხმადაბლა და ერთმანეთისაკენ მიუხედავად. დეიდები მწკრივის თავსა და ბოლოში იდგნენ, ამიტომ საფრთხე მხოლოდ ახლოს მყოფთაგან გველოდა. ზოგი ჭეშმარიტიმორწმუნე იყო და შეიძლებოდა, დავესმინეთ.

საგიჟეთში ვართ, მითხრა მოირამ.

როგორ მიხარია, რომ გხედავ, ვუპასუხე მე;

დალაპარაკება სად შეგვიძლია? მკითხა მოირამ.

ტუალეტში, ვუპასუხე, დრო დაინიშნე. ბოლო კაბინაში სამის ნახევარზე.

მეტი არაფერი გვითქვამს.

მოირას აქ ყოფნა მამშვიდებს. შეგვიძლია, ხელი ავიწიოთ და პირსაბან ოთახში გასვლა ვითხოვოთ, თუმცა, ძალიანაც ვერ გავლაღდებთ – ისინი სპეციალურ ცხრილში ინიშნავენ, ვინ რამდენჯერ შედის ტუალეტში. მე მწვანე დაფის ზემოთ გადმოკიდებულ მრგვალ ელექტროსაათს შევცქერი. სამის ნახევარი „აღიარების“ დროს უწევს. ამას დეიდა ჰელენაც ესწრება და და დეიდა ლიდიაც, „აღიარება“ მნიშვნელოვანი მოვლენაა. დეიდა ჰელენა მსუქანია, ერთ დროს აიოვაში საკვებზე დამოკიდებულთა ანონიმური კლუბის წევრი იყო. „აღიარების“ მიღებაში ბადალი არ ჰყავს.

ეს ჯენინია, ყვება, თოთხმეტი წლისა როგორ იქცა ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლად და როგორ გაიკეთა აბორტი. წინა კვირასაც ამ ამბავს ყვებოდა. თითქოს სიამაყით გვიამბობს ამ ისტორიას, მგონი, ტყუის. „აღიარებისას“ ჯობს, რამე შეთხზა, ვიდრე არაფერი გქონდეს მოსაყოლი. მაგრამ ეს ხომ ჯენინია – ალბათ, მეტ-ნაკლებად სიმართლეს ამბობს. მაგრამ ვინ იყო ამ ყველაფერში დამნაშავე? კითხულობს დეიდა ჰელენა და თავის მსუქან თითს ზე აღაპყრობს. თვითონ, თვითონ, თვითონ, გავყვირით ერთხმად. ვინ გამოიწვია ის კაცები? თავის ქნევით გვამხნევებს კმაყოფილი დეიდა ჰელენა. თვითონ, თვითონ, თვითონ! რატომ მოუვლინა ღმერთმა ასეთი განსაცდელი? ჭკუა რომ ესწავლებინა! ჭკუა რომ ესწავლებინა! ჭკუა რომ ესწავლებინა! წინა კვირას ჯენინი აქვითინდა. დეიდა ჰელენამ აიძულა, მთელი კლასის წინაშე დაეჩოქა და ხელები ზურგს უკან შემოეწყო, რათა ყველას დაგვენახა მისი წითელი სახე და წვინტლიანი ცხვირი; მისი უსიცოცხლო ქერა თმა, უფერული, უჩინარი, თითქოს ცეცხლში შეტრუსული წარბები. გამოხუნებული თვალები. საზიზღრად გამოიყურებოდა: სუსტი, აცმუკებული, აფორეჯებული, ვარდისფერი – ახლად დაბადებულ წრუწუნას

ჰგავდა. არც ერთ ჩვენგანს არ სურდა, ოდესმე ასე დაცემულიყო. და თუმცა ვიცოდით, რაც შეემთხვა, იმ წუთში მაინც ყველას გვეზიზღებოდა. მტირალა. მტირალა. მტირალა.

მთელი გულით ვყვიროდით – ეს იყო ყველაზე უარესი.

საკუთარი თავით კმაყოფილი ვყოფილვარ, ოღონდ იმ დღეს – არა.

ეს წინა კვირას იყო. ამ კვირას ჯენინმა აღარ დაიცადა, ჩვენ როდის გადავუვლიდით. ჩემი ბრალი იყო, თქვა მან, მხოლოდ მე ვიყავი დამნაშავე. მე გამოვიწვიე ისინი. რასაც ვიმსახურებდი, ის მივიღე.

ძალიან კარგია, ჯენინ, უთხრა დეიდა ლიდიამ, სანიმუშო გოგო ხარ.

ხელის აწევა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა, რაც ეს სანახაობა დასრულდებოდა. ხანდახან, თუკი უდროო დროს აიწევდი ხელს, არ გიშვებდნენ. თუკი მართლა გიჭირდა, შეიძლებოდა მარცხიც მოგსვლოდა. გუშინ დოლორესმა ჩაიფსა. დეიდებმა იღლიებში ხელი ამოსდეს და გარეთ გაათრიეს. შუადღის სეირნობისას აღარ გამოჩენილა, თუმცა, ღამით ჩვეულებრივად ჩაწვა თავის ლოგინში. მთელ ღამეს გვესმოდა მისი გმინვა, ხან გაძლიერდებოდა, ხანაც მიწყდებოდა.

რა უქნეს? ვჩურჩულებდით საწოლიდან საწოლში. არ ვიცი.

არცოდნა უარესი იყო.

ხელს ვწევ. დეიდა ლიდია თავს მიქნევს. რაც შეიძლება უჩუმრად ვდგები და გარეთ გავდივარ. საპირფარეშოსთან მცველად დეიდა ელიზაბეთი დგას. თავის ქნევით მანიშნებს, რომ შესვლა შემიძლია.

ადრე ეს ბიჭების საპირფარეშო იყო. სარკეების ადგილას აქაც თუნუქის ოვალური ფირფიტებია ჩამოკიდებული, მაგრამ კედელთან ჯერაც არის შემორჩენილი პისუარები, ყვითლად დალაქული თეთრი მინანქარი. უცნაურად ჰგვანან ბავშვის კუბოებს. კიდევ ერთხელ მხიბლავს ის, რომ კაცებს ასე ცოტა რამ აქვთ დასამალი: გარეთ გამოდგმული საშხაპეები, საქვეყნოდ გამოფენილი სხეული, გენიტალიები, რომლებსაც შეგიძლია უთვალთვალო და ერთმანეთს შეადარო. რატომ არის ასე? ნუთუ ამით თვითრწმენა ემატებათ?

მანათობელი აბრა – შემომხედეთ, ყველაფერი თავის ადგილზე მაქვს. აქ მე შინაური ვარ. ქალები რატომ არასოდეს ვუმტკიცებთ ერთმანეთს ჩვენს ქალობას? უცებ რომ მოვიღეღოთ გულმკერდი, გადავშალოთ ფეხები, ვითომც არაფერი და ძაღლებივით დავსუნოთ ერთმანეთი.

სკოლის შენობა ძველია, კაბინები – დაპრესილი ნახერხის. მე ბოლოდან მეორეში შევდივარ, კარს ვხურავ. რა თქმა უნდა, საკეტები აღარ აქვს.კედლის გასწვრივ, უკანა მხარეს, დაახლოებით წელის სიმაღლეზე, ხეში პატარა ხვრელია გამოჭრილი – ვიღაც ვანდალისა თუ ბებერი გარყვნილის დატოვებული სახსოვარი. მთელ ცენტრში ყველამ იცის ამ ხვრელის არსებობა, ყველამ, გარდა დეიდებისა.

მეშინია, ვაითუ ძალიან დამაგვიანა ჯენინის „აღიარებამ“: შეიძლება მოირა უკვე იყო აქ და წავიდა. დიდხანს არ გვაჩერებენ ხოლმე. ფრთხილად ვიხრები და ტიხრის ქვეშ ვიჭყიტები. წყვილი წითელი ფეხსაცმელი ჩანს. მაგრამ რა ვიცი, რომ ისაა?

ხეში ამოჭრილ ხვრელს პირს ვადებ. მოირა, ვჩურჩულებ.

შენ ხარ? მესმის მისი ხმა.

ჰო, ვპასუხობ, მთელს სხეულში შვების ტალღა მივლის.

ღმერთო, როგორ მინდა სიგარეტი, ამბობს მოირა.

მეც, – ვპასუხობ.

სასაცილოა, მაგრამ ბედნიერი ვარ.

ვიძირები საკუთარ სხეულში,როგორც ჭაობში, ჭანჭრობში, საიდანაც გამოსასვლელი ბილიკი მხოლოდ მე ვიცი. ეს მეწყერსაშიში ზონაა, ჩემი ტერიტორია. მე გადავიქეცი მიწად, რომელსაც ყურს ვადებ, მომავლის ფეხისხმა რომ გავიგონო. ყველა შეკრთომა, ტკივილის ყველა გაფაჩუნება, ყოველი შერხევა ჭაობიანი ზედაპირისა, კანის ყველა ბურცი და ნაჩვრეტი, ხორციდან გადმოდენილი ლორწო – ნიშანია, ნიშნები, რომელთა ამოხსნასაც ვცდილობ. ყოველთვე შეძრწუნებული ველი სისხლის წამოსვლას. მისი დანახვა მარცხის მომასწავებელია. მარცხისა, რომ ვერც ამჯერად შევძელი სხვების

იმედის, ჩემად ქცეული იმედის გამართლება.

ადრე საკუთარ სხეულს სიამოვნების წყაროდ მივიჩნევდი, გადაადგილების ანდა საკუთარი სურვილების ხორცშესხმის საშუალებად. ფეხებს სირბილისათვის ვიყენებდი, თითს ღილაკზე ვაჭერდი, რომ სასურველი მიმეღო. რა თქმა უნდა, ჩემი სხეულის შესაძლებლობებს ჰქონდა საზღვარი, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, იგი მოქნილი იყო, განუმეორებელი, ერთგული.

ახლა ჩემმა ტანმა ფორმა იცვალა. ის ღრუბლად იქცა, ნისლივით შედედდა ერთი ორგანოს ირგვლივ, რომელიც მსხლის მოყვანილობისაა, მყარი და ჩემზე მნიშვნელოვანი. ახლა მოელვარე საბურველში გახვეული ჩემი სხეული წითლად ანათებს. მის შიგნით სივრცეა, ღამის ცასავით უკიდეგანო, მუქი და მორკალული, შავზე უფრო ლეგა ფერისა ეთქმის. მასში ვასკვლავებივით ურიცხვი სინათლის ციცინათელა დასრიალებს, კიაფობს, სკდება და იგრიხება. ყოველ თვეს მთვარე ამოდის, უზარმაზარი, მრგვალი, მძიმე, საბედისწერო. ის ამოიწვერება, ყოვნდება, გზას აგრძელებს, ჩემი თვალთახედვის არედან ქრება და ვხედავ, როგორ შიმშილივით მეპარება სასოწარკვეთა. ისევ ვგრძნობ ამ სიცარიელეს. ვუსმენ ჩემს გულს. სისხლის ტალღები მეხლება, მლაშე და წითელი, მოდიან, მოიზვირთებიან და დროს მინიშნავენ.

ჩვენს პირველ ბინაში ვარ, საძინებელ ოთახში. კარადასთან ვდგავარ, ხის სრიალა კარის წინ. ჩემ გარშემო ყველაფერი გამქრალია, ავეჯი გატანილია, იატაკი – ცარიელი, ხალიჩებიც კი არ აფენია; მაგრამ კარადა ტანსაცმლითაა სავსე. მგონია, რომ ჩემი ტანსაცმელია, მაგრამ ჩემსასაც არ ჰგავს, აშკარად პირველად ვხედავ. შეიძლება ყველაფერი ლუკის ცოლისაა, რომელიც არასოდეს მინახავს; მხოლოდ ფოტოდან ვიცნობ და ხმით, ტელეფონში რომ გავიგონე ერთი-ორჯერ. გაყრის წინ ღამღამობით გვირეკავდა ხოლმე. არა, არა, მგონი, ჩემი ტანსაცმელია. კაბა მჭირდება, რამე მინდა, რომ ჩავიცვა. ვიღებ კაბებს – შავი, ლურჯი, მეწამული; ქურთუკები, ქვედაბოლოები. არც ერთი არ გამოდგება, არც კი მერგება რომელიმე, ან დიდი მაქვს, ან – ძალიან პატარა.

ლუკი იქვეა, ჩემ უკან. ვტრიალდები, რომ შევხედო. ის არ მიყურებს, იატაკს ჩასჩერებია. მის ფეხებთან კატა იზლაზნება და საწყალობლად

კნავის და კნავის. შია, მაგრამ სად ვუპოვო საჭმელი ასეთ გამოცარიელებულ სამყოფელში?

ლუკ, ვამბობ მე. ის არ მპასუხობს. შეიძლება, არც ესმის ჩემი ხმა. ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ ცოცხალი აღარ არის.

მასთან ერთად გავრბივარ, ხელჩაკდებულს ვექაჩები, გვიმრიანში მივათრევ. ნახევრად სძინავს; აბი დავალევინე, რომ არ იტიროს, არაფერი ჩაიდინოს ისეთი, რაც გაგვცემს; მან არ იცის, სად არის. მიწა უსწორმასწოროა, ქვებით, დამპალი ტოტებით მოფენილი; ნესტიანი თიხის სუნი, ჩამოცვენილი ფოთლები. ის სწრაფად ვერ მორბის, მე კი უფრო სწრაფადაც შემიძლია, კარგი მორბენალი ვარ. ახლა ის ტირის, შეშინებულია. მინდა ხელში ავიყვანო, მაგრამ ძალიან მძიმეა. მე სამთო ფეხსაცმელი მაცვია და ვფიქრობ: „როცა მდინარესთან მივალთ, გავიხდი და შიგ ჩავყრი“. ნეტავ წყალი ძალიან ცივი იქნება? ნეტავ შეძლებს ჩემთან ერთად გამოცურვას? ჩვენ ხომ ასეთ დინებას არ ველოდით.

ჩუმად! ვუბრაზდები. მეშინია, არ დამეხრჩოს და ფეხს ვითრევ. ამასობაში ჩვენ ზურგს უკან ისვრიან. მჭექარე ხმა არ არის, არც ფეიერვერკივით ჭახჭახა. ტკაცუნს ჰგავს, თითქოს ხმელ ტოტზე ფეხი დააბიჯესო. უცნაური ხმაა, თუმცა, არაფერი ჟღერს ისე, როგორც მოელი. და მესმის:

დაწექით.

ნეტავ ეს სხვისი ყვირილია თუ ჩემს არსებაში ღრიალებს ვიღაც, ეგებ მე ამომსკდა ეს სიტყვა?

მას მიწაზე ვაგდებ და ზევიდან ვემხობი, ვიფარავ.

ჩუმად, ვეუბნები ისევ. სახე სველი მაქვს, არ ვიცი, ოფლით თუ ცრემლით.მშვიდად ვარ და უცნაურ სიმსუბუქეს ვგრძნობ, თითქოს სხეული აღარ მაქვს; ჩემს თვალთან ფოთოლი გდია, წითელი, ნაადრევად ჩამოვარდნილი, კარგად ვამჩნევ მის მკაფიო ძარღვებს. ასეთი სილამაზე არასოდეს მინახავს. ვტრიალდები, მეშინია, არ გავგუდო; მთელი სხეულით ვირკალები მის გარშემო და პირზე ხელს ვაფარებ. ვსუნთქავ და გული გამალებით მიცემს, თითქოს

შუაღამისას იმ სახლის კარზე ვაბრახუნებდე, სადაც ვიცი, რომ თავშესაფარს მომცემენ.

ყველაფერი კარგად არის, აქ ვარ, ვეჩურჩულები, ოღონდ ჩუმად იყავი.

მაგრამ ჩუმად როგორ იქნება? ჯერ ძალიან პატარაა და უკვე ძალიან გვიანაა. ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით, ხელები წინ მაქვს გაშვერილი. ნაპირზე ბინდი წვება და აღარაფერი ჩანს, ერთი პატარა ფანჯრის გარდა. ისეთი პატარაა, თითქოს ტელესოპის უკუღმა მხრიდან ვიყურები,ისეთი პატარაა, როგორც ძველ საშობაო ღია ბარათზე დახატული სარკმელი – გარეთ ღამე და თოვლია, შინ კი სანთელი, მოციმციმე ნაძვის ხე, ოჯახი. ზანზალაკების რეკვაც კი მესმის, ციგის ზანზალაკების. რადიოდან ძველი მუსიკის ჰანგები იფრქვევა. და მე ამ პატარა ფანჯრის მიღმა ძალიან მკაფიოდ ვხედავ ჩემს შვილს, რომელიც მშორდება, უჩინარდება წითელყვითელშეპარულ ხეებს შორის. ის ხელებს ჩემკენ იწვდის, მაგრამ მაინც მიჰყავთ.

ზარის ხმა მაღვიძებს; მერე კორა მიკაკუნებს კარზე. მე ფარდაგზე ვჯდები და სახელოთი ცრემლებს ვიწმენდ. ასეთი საშინელი სიზმარი არასოდეს მინახავს.

VI -

ოჯახი

14

ზარის რეკვა შეწყდა თუ არა, კიბეზე დავეშვი, წამიერად ამირეკლა კიბის მოსახვევში ჩამოკიდებული სარკის თვალმა. საათი წიკწიკებს, დროს ითვლის; კოპწია წითელ ფეხსაცმელში გამოკვალთული ჩემი ფეხები ქვემო სართულისაკენ მიუყვებიან საფეხურებს.

მოსასვენებელი ოთახის კარი ფართოდ გაუღიათ. მე შევდივარ. ჯერჯერობით არავინ არის. არ ვჯდები, პირდაპირ ჩემს ადგილას მივდივარ – იმ პატარა სკამთან ვიჩოქებ, რომელზეც თავის სავარძელში ჩასვენებული, მთელი ძალით ყავარჯენს დაყრდნობილი სერენა ჯოი ფეხებს შემოაწყობს ხოლმე. შეიძლება მეც დამეყრდნოს მხარზე თავის შესამაგრებლად, თითქოს ავეჯი ვიყო. ერთხელ სწორედ ასე მოიქცა.

ამ მოსასვენებელ ოთახს, შესაძლოა, ოდესღაც მისაღებს ეძახდნენ; მერე, ალბათ, საერთო ოთახს, ანდა შეიძლება სასტუმროსაც, ობობებიან და ბუზებიან სასტუმროს, მაგრამ დღეს აქაურობა მოსასვენებელია, ოღონდ – მხოლოდ ზოგიერთისთვის. სხვებისთვის კი ეს დასაყუდებელი ოთახია. სხეულის მდგომარეობა ამ დროსა და სივრცეში ფრიად მნიშვნელოვანია: უხერხულობა ხშირად ჭკუას გვასწავლის.

მოსასვენებელი ოთახი ნათელი და სიმეტრიულია; გაქვავებული ფულის ფორმისა. კარგა ხანია, ფული ისე ჟონავს ამ ოთახში, როგორც წყალი – მიწისქვეშა გამოქვაბულში. ილექება და ქვავდება, სტალაქტიტს ემსგავსება. შემდეგ კი სხვადასხვაგვარად გარდასახული გვევლინება: ნაოჭასხმული ქსოვილების ვარდისფერ ხავერდად, მეთვრამეტე საუკუნის დროინდელი სკამების ელვარებად, იატაკზე დაფენილი ფოჩებიანი ჩინური ფარდაგის ძროხის ენისებურ ხაოდ, ატმისფერ პეონებად, მეთაურის სავარძელზე გადაკრული ტყავის სირბილედ თუ მის გვერდით მდგარი სკივრის კრიალა თითბრად.

ეს ხალიჩა ნამდვილია. ამ ოთახში ბევრი ნივთია ნამდვილი, ბევრიც – ნაყალბევი. ბუხრის ორივე მხარეს ნახატები დაუკიდიათ. ორივეზე

ქალია გამოსახული. ორივეს შავი კაბა აცვია, როგორსაც არცთუ დიდი ხნის წინ ეკლესიებში იცვამდნენ ხოლმე. ეს ნახატები ალბათ, ნამდვილია. მგონია, ისინი სერენა ჯოის შერჩეულია. მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ მთელი ენერგია საშინაო საქმეებისთვის უნდა მოეხმარებინა, ეს ქალები, ალბათ, საკუთარ წინაპრებად აღიქვა. ანდა შეიძლება ეს სურათები უკვე აქ ეკიდა, როცა მეთაურმა სახლი შეიძინა. ამათსას რას გაიგებ. ასეა თუ ისე, ახლა ორივე აქ კიდია. ქალებს ზურგები და ბაგეები გაშეშებიათ და მკერდაკრულები, ცხვირპირჩამომტირალნი, გახამებულჩაჩიანები, კანგანაცრისფრებულნი, თვალებმოწკურულები ზვერავენ ოთახს.

მათ შუაში, ზედ ბუხრის თავთან, ოვალური სარკეა დაუკიდიათ, რომელსაც აქეთ-იქით ორი წყვილი ვერცხლის კანდელაბრი მცველებივით ამოსდგომია, მათ შორის კი ფაიფურის თეთრ კუპიდონს კრავისთვის კისერზე შემოუხვევია ხელი. სერენა ჯოის ერთობ გამოუცნობი გემოვნება აქვს: ძვირფასეულობისადმი ძლიერ ლტოლვას სენტიმენტალური გრძნობები ერწყმის. ბუხრისთავის ორივე კუთხე გამხმარი ყვავილებითაა შემკული, დივნის გვერდით მდგარ ინკრუსტირებულ პრიალა ტუმბოს კი ცოცხალი ნარგიზების თაიგული ამშვენებს.

ოთახში გამეფებულ ლიმონის ზეთის, მძიმე ქსოვილების, შემჭკნარი ნარგიზების სუნს სამზარეულოდან შემოღწეული ნაცხვრისა და სერენა ჯოის „ველის შროშანის“ სურნელი ერევა. ახლა სუნამო ფუფუნებაა, მას, ეტყობა, ამ საქმისთვის საკუთარი არხი გაუჭრია. მთელი არსებით ვიყნოსავ, იმ იმედით, რომ მომეწონება. ეს უმწიფარი გოგონას სურნელია, ასეთ საჩუქრებს პატარა შვილები ჩუქნიან დედებს დედის დღის აღსანიშნავად; ეს ბამბის თეთრი წინდებისა და გახამებული პერანგების სუნია, ანტისეპტიკური პუდრის სურნელი, სუნი მდედრის უცოდველი სხეულისა, რომელსაც ჯერ არც გათმიანებულა და არც სისხლდენა დასწყებია. მოუსვენრობა მიპყრობს, თითქოს ცხელ, ჩახუთულ დღეს ფანჯრებამოწეულ მანქანაში ჩამსვეს, მეტისმეტად გაპუდრული მოხუცი ქალის გვერდით. მიუხედავად ელეგანტურობისა, ეს მოსასვენებელი ოთახი სწორედ ასეთ შეგრძნებას მიჩენს.

სურვილი მიჩნდება, ამ ოთახიდან რაღაც მოვიპარო. სულ პატარა ნივთს გავაყოლებდი ხელს: სპირალისებურ საფერფლეს, ბუხრის

თაროზე შემოდებულ ვერცხლის პატარა კოლოფს ანდა გამხმარ ყვავილს, დავმალავდი ჩემი კაბის ნაკეცსა ან სახელოს ჯიბეში, შევინახავდი იქ დაღამებამდე, მერე შევჩურთავდი ჩემს ოთახში, ლოგინის ქვეშ ან ფეხსაცმელში, ანდა იმ პატარა ბალიშში ჩავაკერებდი, ზედ რომ „რწმენა“ აწერია. ათასში ერთხელ გამოვიღებდი და დავხედავდი. ვიფიქრებდი, რომ მეც მაქვს ძალაუფლება.

თუმცა, ეს ილუზიური შეგრძნება იქნებოდა და მეტად სახიფათოც. ამიტომ არ ვინძრევი, ხელები ისევ მუხლებზე მაქვს დასვენებული, ბარძაყები – შეტყუპებული, ამობრუნებულ ქუსლებს მთელი ტანით ვეყრდნობი, თავი – ჩაღუნული. პირში კბილის პასტის გემო მაქვს: პიტნის არომატიზატორისა და თაბაშირის.

ველოდები, ოჯახი როდის შეიკრიბება. დიახ, ჩვენ ო-ჯახი ვართ: დამანგრეველი ჯახი! მეთაური ოჯახის თავია. „და მნებავთ თქუენი უწყებაი, რამეთუ ყოვლისა მამაკაცისა თავ ქრისტე არს; ხოლო თავ დედაკაცისა – ქმარი“.

აღერილი თავთავი, ფუტურო.

ჯერ კორა შემოდის, მერე – რიტა. ხელებს წინსაფარზე იმშრალებს. მათაც ზარით უხმეს. ალესილები არიან – იმდენი საქმე ჰქონდათ, ჭურჭელიც დასარეცხი, მათ კი აქ დაყუდებას აიძულებენ. ყველა უნდა შეგროვდეს – ასეთია ცერემონიის წესი. გვინდა თუ არა, აქ უნდა გავმწკრივდეთ.

რიტა გვერდით ჩავლისას მიბღვერს და ჩემ უკან დგება. ჩემი ბრალია, ამდენდროს რომ კარგავს. თუ ჩემი არა, ჩემი სხეულის მაინც, ჰოდა, რა განსხვავებაა?! მეთაურიც კი იძულებულია, ჩემი სხეულის დაკრულზე იცეკვოს.

ნიკი შემოდის, სამივეს თავს გვიკრავს, ოთახს თვალს ავლებს და ისიც ჩემ უკან დგება, ისე ახლოს, რომ ტერფებზე მისი ფეხსაცმლის წვერების შეხებას ვგრძნობ. ნეტავ, განგებ აკეთებს? ვინ იცის. ტყავის ორი ნაჭერი კი ერთმანეთს ეხება. ვგრძნობ, ჩემი ფეხსაცმელი როგორ რბილდება და თითქოს სისხლი უჩქროლდება, თბება და კანივით იხორკლება. ფეხს ოდნავ ვწევ.

– ნეტავ დაუჩქაროს, – ამბობს კორა.

– დაუჩქაროს ნელა, – ამბობს ნიკი. იცინის, ფეხს ისევ წინ სწევს და კვლავ ჩემს ტერფს ეხება, მაგრამ ვერავინ ხედავს – ჩემი კაბის კალთები ორივეს ფეხებს ფარავს. ვიშმუშნები. აქ ძალიან ცხელა. სუნამოს დაგუბებული სუნი გულს მირევს. ისევ ვარიდებ ფეხს.

გვესმის, როგორ გვიახლოვდება სერენა. ჯერ კიბეზე, მერე კი დერეფნის ხალიჩაზე ისმის მისი ყავარჯნის ყრუ კაკუნი და ჯანსაღი ფეხის ბრაგუნი. კართან მოჩლახუნდა, გვიყურებს, გვითვლის, მაგრამ ვერ გვხედავს. ნიკს თავს უკრავს, თუმცა, არაფერს ეუბნება. თავის საუკეთესო კაბათაგანი აცვია, ხასხასა ლურჯი, პირბადის კიდეებზე ყვავილები და ორნამენტები აქვს თეთრად ამოქარგული. ამ ასაკშიც კი ყვავილებით იმკობს თავს. „არაფერი გეშველება, – ვამბობ გულში, სახეზე ერთი კუნთიც არ მერხევა, – შენ ესენი აღარ გარგია, ჩამომჭკნარი ხარ“. ყვავილები მცენარეთა სასქესო ორგანოებია. სადღაც წავიკითხე.

იგი სავარძლისაკენ მიდის, ტრიალდება, იხრება და მოუხეშავად ჯდება. მარცხენა ფეხს პუფზე ასვენებს, სახელოს ჯიბეში ხელს აფათურებს. მესმის შარიშურის ხმა, შემდეგ – სანთებელას ტკაცუნი. ცხელი კვამლის სუნი აღწევს ჩემამდე და ღრმად ვიყნოსავ.

– როგორც ყოველთვის, იგვიანებს, – ამბობს ის. ჩვენ არ ვპასუხობთ. კაკუნის ხმა მესმის, რაღაცას ხელის ცეცებით ეძებს პატარა მაგიდაზე, მერე ისევ ტკაცუნი და ტელევიზორიც შრიალებს, ხურდება.

მომწვანო-მოყვითალოკანიანი მამაკაცების ანსამბლი (ფერებია გასასწორებელი) მღერის: „მოდი, ვაილდვუდის ეკლესიაში“. „მოდი! მოდი! მოდი!“ – გუგუნებენ ბანები. სერენა სხვა არხზე რთავს. ტალღები, ფერადი ზიგზაგები, შიშინი: ეს მონრეალის სატელიტური სადგურია, გამორთული. შემდეგ ვიღაც ქადაგი ჩნდება, გულწრფელი, შავი თვალები უელვარებს. კათედრიდან ჩვენკენ გადმოხრილა. რაც დრო გადის, ქადაგები სულ უფრო ემსგავსებიან საქმოსნებს. სერენა ორიოდე წამს უსმენს, შემდეგ კვლავ რთავს.

რამდენიმე ჩაბნელებული არხი, მერე – ახალი ამბები. აი, რას ეძებდა. სავარძელში წვება და ღრმად სუნთქავს. მე პირიქით, წინ

ვიხრები. იმ ბავშვს ვგავარ, რომელსაც გვიანობამდე უფროსებთან დარჩენის ნება მისცეს. ეს ცერემონიის ერთადერთი ნათელი წერტილია: ახალ ამბებს გვაყურებინებენ. თითქოს ჩვენი ოჯახის დაუწერელ კანონად იქცა: ჩვენ მუდამ დროზე ვგროვდებით, მეთაური იგვიანებს, სერენა კი ახალ ამბებს გვირთავს.

თუმცა, კაცმა არ იცის, სინამდვილეში რას ვუყურებთ. შეიძლება ძველი რგოლებია, შესაძლოა, ყალბი. მაგრამ მაინც შევყურებ, იმ იმედით, რომ მათ მიღმა სიმართლის ამოცნობას შევძლებ. ჭურში ჯდომას ნებისმიერი ახალი ამბავი სჯობს.

თავდაპირველად ფრონტის წინა ხაზის კადრები. თუმცა, წინა ხაზი არც არსებობს, მგონი, ბრძოლები რამდენიმე ადგილას ერთდროულად მიმდინარეობს.

ტყიანი გორაკი, ზემოდან გადაღებული, ჩაყვითლებული ხეები. რა იქნებოდა, ამ ტელევიზორისთვის ფერები გაესწორებინათ.

– ეს აპალაჩის მთებია, – ამბობს ხმა, – აქ მეოთხე დივიზიამ, „აპოკალიფსისის ანგელოზებმა“, „სინათლის ანგელოზთა“ ოცდამეერთე საჰაერო ბატალიონის დახმარებით ნაცარტუტად აქცია ბაპტისტი პარტიზანების ბანდა.

გვიჩვენებენ ორ შავ შვეულმფრენს ვერცხლისფრად შეღებილი ფრთებით. ქვემოთ კორომი ფეთქდება.

მერე ტყვე ჩნდება ახლო ხედით, ჭუჭყიანი და გაუპარსავი. გაკრიალებულ შავ უნიფორმაში გამოწყობილი ორი ანგელოზი მოათრევს. ტყვე ერთ-ერთ ანგელოზს სიგარეტს სთხოვს და უხერხულად იჩრის პირში შებორკილი ხელებით. თან გვერდულად ოდნავ იღიმება. დიქტორი რაღაცას ამბობს, მაგრამ არ მესმის: ამ კაცის თვალებს მივჩერებივარ, ვცდილობ, გამოვიცნო, რას ფიქრობს. მან იცის, რომ კამერა იღებს. ეს ჩაღიმება უტიფრობის მაჩვენებელია თუ მორჩილების? ნეტავ, უხერხულად ხომ არ გრძნობს თავს?

ისინი მხოლოდ გამარჯვებას გვიჩვენებენ, მარცხს არასოდეს. ან კი ვისრად უნდა ცუდი ამბები?

ვინ იცის, იქნებ მსახიობია.

შემდეგ ტელეწამყვანი ჩნდება. კეთილად, მამაშვილურად გვიყურებს; გარუჯულია და თეთრთმიანი; ეკრანიდან პირდაპირ სულში ჩაგვცქერის, წრფელი თვალების გარშემო სიბრძნის დასტურად ნაოჭები შემოვლებია, ყველას საოცნებო ბაბუას ჰგავს. მისი თბილი ღიმილი გვპირდება, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

– გპირდებით, მალე სიმშვიდე დაისადგურებს. მენდეთ და დასაძინებლად წადით. თქვენ ხომ კარგი ბავშვები ხართ.

გვეუბნება იმას, რისი დაჯერებაც გვინდა. გვეუბნება დაბეჯითებით.

მაგრამ მე არ ვეპუები. „იგი ძველი კინოს მსახიობს ჰგავს, – ვეუბნები საკუთარ თავს, – კბილები ხელოვნური აქვს და კანი –გადაჭიმული“. მაგრამ თან მოჯადოებულივით მივისწრაფვი მისკენ. ნეტავ მართალი იყოს. ნეტავ შემეძლოს, ვენდო.

იგი ყვება, ინფორმატორის დახმარებით როგორ გამოააშკარავა თვალთა ბრიგადამ მიწისქვეშა ჯაშუშური ქსელი. ისინი, თურმე, კანადის საზღვრისკენ ეზიდებოდნენ საუკეთესო ეროვნულ რესურსს.

– კვაკერთა მწვალებლური სექტის ხუთი წევრია შეპყრობილი, – ამბობს ის, ირონიული ღიმილით, – და უნდა ვივარაუდოთ, რომ კიდევ არაერთს დავიჭერთ.

ეკრანზე ორი კვაკერი ჩნდება, ქალი და კაცი. შეშინებული ჩანან, მაგრამ ცდილობენ, კამერების წინ ღირსება შეინარჩუნონ. კაცს შუბლზე დიდი შავი ლაქა აქვს; ქალისთვის პირბადე ჩამოუხევიათ და თმა სახეზე აქვს ჩამოშლილი. ორმოცდაათ წლამდე იქნებიან.

მერე ქალაქს ვხედავთ, კვლავ ზემოდან გადაღებულს. ოდესღაც ეს დეტროიტი იყო. დიქტორის ხმას არტილერიის ბახაბუხი ფარავს. ქალაქს თავზე კვამლის ღრუბელი ადგას.

– ქამის ძეთა გადასახლება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, – გვარწმუნებს ეკრანზე გამოჩენილი ვარდისფერი სახე, – ამ კვირაში სამი ათასმა მიაღწია აღთქმულ სამშობლო 1-ს, კიდევ ორი ათას კაცზე მეტი გზაშია.

როგორ გადმოჰყავთ ერთდროულად ამდენი ხალხი? ავტობუსებით? მატარებლებით? ამის ამსახველი კადრები არ უჩვენებიათ. აღთქმული სამშობლო 1 ჩრდილოეთ დაკოტაშია. ღმერთმა უწყის, იმ სიშორეზე რისთვის გზავნიან ამ ხალხს. ალბათ, ფერმებში ამუშავებენ.

სერენა ჯოის ახალი ამბები მოჰბეზრდა. იგი ხელს აჭერს გადართვის ღილაკს, და ხანში შესულ ბარიტონს პოულობს, რომელსაც ლოყები ძროხის გამოწურულ ჯიქანს მიუგავს. „იმედის ჩურჩული“ ჰქვია მის სიმღერას, მაგრამ სერენა მასაც ხმას აწყვეტინებს.

ლოდინად ვართ ქცეულნი. შემოსასვლელში საათი რეკავს. სერენა ახალ სიგარეტს უკიდებს, მე მანქანაში ვჯდები. შაბათი დილაა, სექტემბერია, ჩვენ ჯერ ისევ გვყავს მანქანა. ბევრმა უკვე გაყიდა. მე ფრედისა არ მქვია, სხვა სახელი მაქვს, რომელსაც ახლა აღარავინ მეძახის, აკრძალულია. თავს ვიმშვიდებ, რომ არა უშავს, სახელი ტელეფონის ნომერივითაა, მხოლოდ სხვებთან ურთიერთობისთვისაა საჭირო; მაგრამ ვტყუი, სახელი ძალიან მნიშვნელოვანია. მის ჟღერადობას საგულდაგულოდ ვინახავ, როგორც განძს, რომელსაც ერთ დღესაც ამოვთხრი. სახელს თავისი აურა აქვს, თილისმის მსგავსი; რაღაც ჯადო, რომელიც მას შორზე შორი წარსულისაგან დარჩა. ღამღამობით, როცა თვალდახუჭული ვწევარ ჩემს ვიწრო საწოლში, სახელი გუგებამდე ვერ აღწევს, წამწამებთან დამფარფატებს, ბნელში კაშკაშებს.

სექტემბრის შაბათდილაა. მე ჩემი კაშკაშა სახელი მქვია. გოგონა, რომელიც ახლა მკვდარია, უკანა სავარძელში ზის, თავის ორ საუკეთესო თოჯინასა და დროჟამისა და ალერსისაგან გაქუცულ პლუშის ბაჭიასთან ერთად. ყველაფერი დაწვრილებით მახსოვს. ყველა გულისამაჩუყებელი დეტალი, მაგრამ შეუძლებელია, დიდხანს ვიფიქრო ბაჭიაზე, შეუძლებელია ტირილი ამოვუშვა ახლა, ჩინურ ფარდაგზე დაჩოქილი სერენა ჯოის ფილტვებიდან ამოსულ კვამლს რომ ვყლაპავ. ახლა არა, არც აქ, მერე, მერე...

მას ეგონა, რომ პიკნიკზე მივდიოდით. მართლაც, მანქანის უკანა სავარძელზე, მის გვერდით, საპიკნიკე კალათა დევს, შიგ ნამდვილად აწყვია მოხარშული კვერცხები, თერმოსი და უამრავი

სხვა რამ. არ გვინდოდა, სცოდნოდა, სინამდვილეში საით გვქონდა გზა, არ გვინდოდა, თუკი გაგვაჩერებდნენ, მას შემთხვევით წამოსცდენოდა რამე. არ გვინდოდა, ჩვენი სიმართლის ტვირთს მისი მხრებიც დაემძიმებინა.

მე ჩემი სამთო ბათინკები მეცვა, მას – თავისი კედები, წითელი, ვარდისფერი და ყვითელი გულებით მოჩითული. წელიწადის იმ დროის კვალობაზე თბილოდა, ფოთლებს ის-ის იყო, ფერისცვალებას იწყებდნენ. საჭესთან ლუკი იჯდა, მე გვერდით ვეჯექი. მზე ანათებდა, ცა ლურჯად კრიალებდა, გზად შემხვედრი სახლები კეთილდღეობისა და სიმყუდროვის განცდას ბადებდა, ყველა სახლი, რომელსაც უკან მოვიტოვებდით, წარსულში რჩებოდა, იმწამსვე ქრებოდა მეხსიერებიდან, თითქოს არც არასოდეს ყოფილა, რადგან ვეღარასოდეს ვნახავდი, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა.

თითქმის არაფერი მიგვქონდა. არ გვინდოდა ვინმეს ეფიქრა, რომ შორს და სამუდამოდ მივემგზავრებოდით. ყალბი პასპორტები გვქონდა, სამშვიდობოს გასვლის თავდები, მამასისხლად ნაყიდი. რასაკვირველია,ფული არ გადაგვიხდია, არც კომპიუმთვლელი გამოგვიყენებია: სხვა რაღაცებით ვისაშველეთ – ბებიაჩემის სამკაულებით, ლუკის ბიძის დანატოვარი მარკების კოლექციით, ისეთი ქონებით, რომლის საზღვარგარეთ გაყიდვა შეიძლებოდა. სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან თავს ისე დავიჭერთ, თითქოს ერთი დღით გადავდიოდეთ სასეირნოდ; ყალბი ვიზები ერთდღიანია. მანამდე მე მას ძილის წამალს დავალევინებ, რომ საზღვრის გადაკვეთისას ღრმად ეძინოს. ასე არ გაგვცემს. ბავშვს ვერ მოსთხოვ, რომ დამაჯერებლად იცრუოს.

თანაც არ მინდა, შეეშინდეს, არ მინდა, იგრძნოს ის ძრწოლა, რომელიც მე კუნთებს მიბორკავს, ხერხემალს ისე მიშეშებს, დარწმუნებული ვარ, ვინმე რომ შემეხოს, ნაწილ-ნაწილ დავიმსხვრევი. ყველა პროჟექტორი მძიმე განსაცდელია. ღამეს მოტელში გავათევთ, ან უკეთესია, თუ მანქანას გზისპირას მივაყენებთ და შიგვე დავიძინებთ, რომ არავინ არაფერი გვკითხოს. დილით გავიღვიძებთ და ისე სასხვათაშორისოდ გადავალთ ხიდზე, თითქოს სუპერმარკეტისკენ მივდიოდეთ.

მაგისტრალზე გავდივართ, ჩრდილოეთისაკენ მივეშურებით, ავტომობილების მეჩხერ ნაკადს მივყვებით. რაც ომი დაიწყო, გაზი გაძვირდა და ძნელად იშოვება.ქალაქგარეთ პირველ საკონტროლო-გამშვებ პუნქტს ვცდებით. მხოლოდ მართვის მოწმობას გვთხოვენ. ლუკს თავი ყოჩაღად უჭირავს. მართვის მოწმობა და პასპორტი ერთსა და იმავე პირზეა გაცემული: ეს წინასწარ გავთვალეთ.

კვლავ გზაზე გავდივართ და ის ხელს მიჭერს, მაკვირდება. მიტკალივით ხარ გათეთრებული, მეუბნება.

მეც ასე წარმომიდგენია საკუთარი თავი: თეთრი, ბრტყელი, გამხდარი. თითქოს გამჭვირვალე ვარ. ალბათ, ჩემ მიღმა ყველაფერი დაინახეს. და როგორ ჩავეხუტები ლუკს ან ბავშვს ასეთი ბრტყელი და თეთრი? მეჩვენება, თითქოს ჩემგან აღარაფერი დარჩა; ორივე ისე გაივლის ჩემს მკლავებში, თითქოს კვამლისა ვიყო, ან მირაჟი და მათ წინ ვქრებოდე. ნუ ფიქრობ ასე, მეტყოდა მოირა, თორემ იმდენს იზამ, მართლა ეგრე დაგემართება.

ცხვირი ნუ ჩამოუშვი! მეუბნება ლუკი. სიჩქარეს მოუმატა, ეტყობა, ადრენალინი აუვარდა თავში და ამღერდა: „ოჰ, რა მშვენიერი დილაა...“

მისი სიმღერაც კი მაფრთხობს. აკი გაგვაფრთხილეს, რომ ძალიან ბედნიერებს არ უნდა ვგავდეთ.

15

მეთაური კარზე აკაკუნებს. დაკაკუნება აუცილებელია: მოსასვენებელი ოთახი სერენა ჯოის ტერიტორიად ითვლება, ქმარი უნებართვოდ ვერ შემოვა. ცოლს კი უყვარს, როცა მას ალოდინებს. ეს წვრილმანია, მაგრამ ამ ოჯახში წვრილმანები მრავალზე მეტყველებს. თუმცა, ამ საღამოს სერენამ კუთვნილი ბოლომდე ვერ მიიღო – სანამ ნებას დართავდა, მეთაურმა მანამდე შემოაბიჯა ოთახში. შეიძლება ქმარს დაავიწყდა ეტიკეტი, შეიძლება – განგებ დაივიწყა. ვინ იცის, რაზე ილაპარაკეს ვერცხლით ინკრუსტირებულ სასადილო მაგიდასთან? ანდა – რაზე არ ილაპარაკეს.

მეთაურს შავი უნიფორმა აცვია და მუზეუმის მცველს ჰგავს. სანახევროდ თადარიგში გასული მამაკაცი, გულკეთილი, მაგრამ წინდახედული, დროს სჯაბნის. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ უფრო დაკვირვებით შეათვალიერებთ, მეთაური შუადასავლეთელ ბანკის მმართველს მოგაგონებთ საგულდაგულოდ გადავარცხნილი ჭაღარა თმით, მოზომილი მიხვრა-მოხვრითა და ოდნავ მოხრილი მხრებით. შეუძლებელია, თვალში არ მოგხვდეთ მისი ჭაღარა ულვაში და ნიკაპი. როგორც კი მის ნიკაპს შეხედავთ, მაშინვე ძველი დროის პრიალა ჟურნალებში დაბეჭდილი არყის რეკლამის პერსონაჟი გაგახსენდებათ.

დინჯად ირჯება; დიდი ხელები აქვს, მსხვილი თითები და აპრეხილი ცერები; არაფრის მთქმელი ლურჯი თვალები ვითომდა უწყინრად უციმციმებს. ისე გიყურებს, თითქოს ცდას ატარებდეს. ერთი ქალი, წითლებში ჩაცმული, დაჩოქილია, მეორე, ლურჯებში გამოწყობილი, ზის, კიდევ ორი, მწვანეტანსაცმლიანი ქალი, ფეხზე დგას. მათ ფონად კი ერთი მარტხელა, ყბებჩაცვენილი კაცი. მეთაური ისეთი დაბნეული გვიყურებს, თითქოს ვერ ხვდება, როგორ მოვიყარეთ აქ თავი. თითქოს მემკვიდრეობად ვერგეთ, ვიქტორიანული ხანის ორღანის მსგავსად, და ახლა აღარ იცის, რა მოგვიხერხოს, რაში გამოგვიყენოს.

მისი თავის დაკვრა, ძირითადად, სერენა ჯოისაკენ არის მიმართული, რომელიც კრინტს არ ძრავს. მერე მისთვის გამზადებულ ტყავის

ფართო სავარძელს გვერდს უვლის, ჯიბიდან გასაღებს იღებს და გვერდით მაგიდაზე მდგარ თითბრის მდიდრული ორნამეტებით მორთულ, სახურავზე ტყავგადაკრულ ზარდახშას უახლოვდება. გასაღებს არგებს, აღებს და ბიბლიას იღებს. ჩვეულებრივი გამოცემაა, შავი ყდითა და მოოქრული კიდეებით. ბიბლიას ისე ინახავენ, როგორც უწინ ჩაის ინახავდნენ ხოლმე ყუთებში, მოსამსახურეებს რომ არ მოეპარათ. პრევინციული ხრიკია: ვინ იცის, რას ვუზამთ ბიბლიას, თუკი ხელში ჩაგვივარდა. ჩვენ უფლება გვაქვს, მოვისმინოთ ნაწყვეტები, რომლებსაც მეთაური გვიკითხავს, მაგრამ ჩვენ წაკითხვის ნებას არ გვაძლევენ. ხელები მისკენ გვაქვს გაწვდილი, მოლოდინით ვივსებით. ახლა ძილისპირულ ზღაპარს გვიამბობენ.

მეთაური ჯდება და ფეხს ფეხზე იდებს, ჩვენ მივჩერებივართ. სანიშნეებიადგილზეა. იგი წიგნს შლის. ოდნავ ჩაახველებს, უხერხულობისაგან შემკრთალი ადამიანის მსგავსად.

– წყალი, თუ შეიძლება, – იგი კონკრეტულად არავის მიმართავს, – გეთაყვა, – ამატებს მერე.

ჩემ უკან ერთ-ერთი, რიტა თუ კორა, სამზარეულოსაკენ ფეხაკრეფით მიემართება. მეთაური თავდახრილი ზის. ოხრავს, პიჯაკის შიდა ჯიბიდან ოქროსჩარჩოიან საკითხავ სათვალეს იღებს და იკეთებს. ახლა ის ზღაპრების ძველ წიგნში ნანახ მეწაღეს ჰგავს. ნუთუ მის გულისამაჩუყებელ გარდასახვებს ბოლო არ აქვს?

არც ერთი ნაკვთი მისი სხეულისა, მისი არც ერთი შერხევა თვალთახედვიდან არ გვეპარება.

ძალიან უცნაური შეგრძნება უნდა იყოს, იყო კაცი, რომელსაც ქალები შესცქერიან. თვალდაუხამხამებლად მიშტერებიან და ფიქრობენ: ნეტავ ახლა რას გააკეთებს? შენი ყველა, თუნდაც სრულიად უწყინარი მოძრაობა რომ აკრთობთ, მაგალითად, საფერფლეს რომ გადასწვდები. რომ გზომავენ და გწონიან. რომ ვარაუდობენ: ამას ვერ იზამს, ამას არ იზამს, ამის გაკეთება მოუწევს და ასე გრძელდება, თითქოს ტანსაცმელი იყო, მოდიდან გადასული და უვარგისი, რომელიც მაინც უნდა ჩაიცვან, რაკი სხვა არაფერი მოეძევებათ.

მას იცვამენ, ირგებენ, იხდიან, ამასობაში კი კაციც იცვამს მათ – როგორც ფეხზე წინდას, ისე ამოიცვამს თავის შეშის ნაპობზე, თავის მესამე და ყველაზე მგრძნობიარე ცერზე, მის ბუსუსებზე, მისი სათუთ, წაწვეტებულ ლოქორას თვალზე, რომელიც იბურცება, ფართოვდება, ფეთქავს დაშეკუმშული უბრუნდება საკუთარ თავს, რომელიც, თუკი რამემ შეაღვიძა, ისევ იზრდება, წვერო ოდნავ წამოუსივდება, წინ მიიწევს, როგორც ლოქორა ფოთოლზე, ისევ აღწევს მათში გაუმაძღარი მეოცნებე. ოცნების ამგვარად ახდენა, ეს სიბნელეში მოგზაურობა ქალებმა მოიგონეს, ქალებმა, რომელთაც შეუძლიათ სიბნელეში დაინახონ, ამასობაში კი კაცი დაბრმავებული მიისწრაფვის მათი წიაღისკენ.

ქალი კაცს შიგნიდან უმზერს. ჩვენ, ყველანი, მას ვაკვირდებით და შემთხვევითი არ არის, ეს რომ შეგვიძლია: მან რომ წაიბორძიკოს, რომ დამარცხდეს, რომ მოკვდეს, ჩვენ რა გვეშველება? რა გასაკვირია, რომ იგი ჩექმას ჰგავს – გარედან უხეშია, მაგრამ ტერფს მშვენივრად ერგება. თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი სურვილია. ხანდახან შორიდან ვაკვირდები და მორგებისას ვერაფერს ვამჩნევ.

მაგრამ: „ფრთხილად, მეთაურო, – ვეუბნები გულში, – თვალს არ გაშორებთ. ერთი ზედმეტი მოძრაობა და გვამი ვარ“.

და მაინც, ალბათ, ჯოჯოხეთია ასეთი კაცის ცხოვრება.

ალბათ, შესანიშნავია.

ალბათ, ჯოჯოხეთია.

ალბათ, მდუმარებაა.

წყალი მოაქვთ. მეთაური სვამს.

– გმადლობთ, – ამბობს ის. კორა კაბის შრიალით ბრუნდება თავის ადგილზე.

მეთაური ყოვნდება, წიგნში იხედება, გადაშლილ გვერდს ათვალიერებს. ზანტად ირჯება, თითქოს ჩვენს იქ ყოფნას ვერც ამჩნევს. იმ კაცს ჰგავს, რომელიც რესტორანში ფანჯარასთან ზის და სტეიკს ჩანგლით აწვალებს, თავს იკატუნებს, თითქოს ვერ ამჩნევდეს,

მისი იდაყვიდან სამიოდე ფუტის მოშორებით, მშიერი სიბნელიდან როგორ მისჩერებია მაწანწალას თვალები. ჩვენ უნებურად მისკენ ვიხრებით, როგორც რკინის ნაქლიბი მიიწევს მაგნიტისაკენ. მას რაღაცა ისეთი აქვს, რაც ჩვენ არა გვაქვს, მას აქვს სიტყვა. ჩვენ კი ოდესღაც როგორ უაზროდ ვფლანგავდით ამ სიმდიდრეს.

მეთაური, თითქოსდა უხალისოდ, კითხვას იწყებს. მაინცდამაინც არ გამოსდის ეს საქმე. ან, შეიძლება, მოჰბეზრდა კიდეც.

ჩვეულებრივი ამბავია. ჩვეულებრივი ამბები. ღმერთმა უთხრა ადამს. ღმერთმა უთხრა ნოეს. „აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქუეყანა“. შემდეგ მოდის რაქელისა და ლიას ისტორია, რომელიც ასე ამოგვიყვანეს ყელში „წითელ ცენტრში“. „და ვითარცა იხილა რაქელ, რამეთუ არა უშვა ძე იაკობს, და ეშურებოდა რაქელ ლიას, დასა თმსსა, და ჰრქუა იაკობს: მეც მე შვილი; უკუეთუ არა, მოვკუდე მე. განურისხნა იაკობ რაქელს და ჰრქუა: ნუუკუე, ნაცუალი ღმრთისა ვარი მე, რომელმან დაგაკლო შენ ნაყოფი მუცლისა შენისა. ხოლო რაქელ ჰრქუა იაკობს: აჰა, ეგერა, ბალა, მნევალი ჩემი, შევედ უკუე მისა და მიშუეს მე მუნლთა ჩემთა ზედა და შვილიერ ვიქმნე მეცა მისგან“. და ასე შემდეგ და ასე და ამგვარად. ამას გვიკითხავდნენ ყოველი საუზმისას, როცა სკოლის კაფეტერიაში ვისხედით და ფაფას ნაღებსა და ყავისფერ შაქარს ვაყოლებდით.

ხომ ხედავთ, რომ ყველაფერი საუკეთესო გაქვთ, გვეუბნებოდა დეიდა ლიდია, ომია, საჭმელი ჭირს, თქვენ კი ასე გაგაზულუქეს, და თვალებს ისე გვიბრიალებდა, თითქოს კნუტებს ტუქსავდა. საძაგელი ფისუნია.

სადილზე ცხრა ნეტარებას გვიკითხავენ. ნეტარ იყვნენ ესენი, ნეტარ იყვნენ ისინი. ფირზე აქვთ ჩაწერილი, დეიდებსაც კი არიდებენ კითხვის შეცოდებით წარწყმედას. კაცის ხმაა. „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა; ნეტარ იყვნენ მოწყალენი; ნეტარ იყვნენ მშვიდნი“. ვიცი, რომ გადააკეთეს, გვატყუებენ და ბევრი რამ ამოიღეს, მაგრამ ვერაფრით დავამტკიცებთ. „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნნენ“.

კი, მაგრამ როდისღა?!

საათს შევყურებ. დესერტს შევექცევით – როგორც ყოველთვის, დარიჩინიან მსხლის კონსერვს. მოირას ვეძებ, ორი მაგიდის იქით იჯდა. უკვე წასულა. ხელს ვიწევ და გასვლის ნებართვას ვითხოვ. ამას არცთუ ხშირად ვაკეთებთ, თან – ყოველთვის დღის სხვადასხვა მონაკვეთში.

საპირფარეშოს მეორე კაბინაში შევდივარ, როგორც ყოველთვის.

აქ ხარ? ვჩურჩულებ.

ყოფიერებასავით ვრცელი და მასზე ორგზის მახინჯი, მპასუხობს მოირა.

რა არის ახალი? ვეკითხები.

ისეთი არაფერი. აქედან უნდა გავაღწიო, თორემ გავრეკავ.

შიში მიტანს.

არა, არა, მოირა, ვეუბნები, არც კი სცადო, მარტო ვერ მოახერხებ.

თავს მოვიავადმყოფებ. ამას წინათ ვნახე, ერთი ავად გახდა და სასწრაფოს მანქანით გაუშვეს.

კი, მაგრამ ასე ხომ საავადმყოფოს ვერ გასცდები.

მაინც კარგია, ამ ბებერი ბოზის მოსმენა რომ აღარ მომიწევს.

მიგიხვდებიან.

შენ არ იდარდო. მაგაში მხეცი ვარ. სკოლაში რომ დავდიოდი,

ჩ ვიტამინს აღარ ვსვამდი და სურავანდი დავიმართე. ადრეულ ეტაპზე დიაგნოზს ვერ სვამენ. მერე ისევ დავიწყებ სმას და მშვენივრად ვიქნები. აბებს სადმე გადავმალავ.

მოირა, არ გინდა!

ვერ წარმომედგინა, რომ აქ აღარ იქნებოდა, ჩემ გვერდით, ჩემ იმედად.

ორ გუშაგთან ერთად ჩაგსვამენ სასწრაფოს მანქანაში. აბა, დაფიქრდი. ვინ იცის, როგორ არიან ქალს დანატრებულები. მაგათ ხელების ჯიბეებში ჩაწყობის უფლებასაც კი არ აძლევენ და შეიძლება...

ეი, თქვენ! დრო ამოიწურა! შემოგვძახა დეიდა ელიზაბეთმა წინკარიდან.მე წამოვდექი, ტუალეტი ჩავრეცხე. კედლის ხვრელში მოირას ორი თითი გამოჩნდა. სულ ორი თითის სიგანე ხვრელი იყო. მე მათ სწრაფად გადავაჭდე ჩემი თითები და მოვუჭირე. წამოვედით.

„და თქუა ლია: მომცა მე ღმერთმან სასყიდელი ჩემი ამისათმს, რამეთუ მივეც მნევალი ჩემი ქმარსა“, – კითხულობს მეთაური. წიგნს ხელს უშვებს და ისიც იხურება. ისეთ უუილაჯო, ჰაერის შარიშურის მსგავს ხმას გამოსცემს, როგორსაც ქეჩაგამოკრული კარი, ალალბედზე დატოვებული თავისით რომ იხურება. ამ ხმით ხვდები, როგორი ფარატინაა წიგნის ფურცლები, ხახვის ფურცლებივით, როგორ შრიალებს ისინი თითებს შორის. „პაპიე პუდრივით“ რბილი და მშრალია, ძველ დროს რომ ვხმარობდით. მახსოვს, ვარდისფერი და ფხვიერი იყო, ცხვირის სიპრიალეს გვაშორებდა და წიგნაკის ფორმის კოლოფებით იყიდებოდა იმ მაღაზიებში, სადაც შეგეძლო, სურნელოვანი სანთლებიც შეგვეძინა და სხვადასხვა ფორმის საპონიც – ნიჟარისებური ან სოკოსებრი. სიგარეტის ქაღალდივით შრიალაა, ან ვარდის ფურცლებივით.

მეთაური ერთი წუთით თვალდახუჭული ზის, დაქანცულს ჰგავს. მთელი დღე მუშაობს. დიდი პასუხისმგებლობა აკისრია.

სერენა ჯოი ტირილს იწყებს. ზურგს უკან მისი ფშლუკუნი მესმის. ეს ჩვევად ექცა – ყოველი ცერემონიისას ტირის. ცდილობს, უხმოდ იქვითინოს. ცდილობს, ჩვენს თვალში ღირსება შეინარჩუნოს. ავეჯის შალითები და ხალიჩები ახშობს მის ქვითინს, მაგრამ მაინც გვესმის. საკუთარ თავთან ბრძოლა დიდ ძალისხმევად უჯდება. ეს ისეთივე საშინელებაა, როგორიც ეკლესიაში გაკუება. როგორც ყოველთვის, ახლაც მეცინება, მაგრამ იმიტომ არა, რომ სიტუაცია სახალისოა. მისი ტირილის სუნი ცხვირში გვიღიტინებს და ჩვენ თავს ვიკატუნებთ, რომ მას ვერ ვგრძნობთ.

მეთაური თვალს ახელს. სერენა ჯოის ქვითინი ესმის, იღუშება, მაგრამ თავს ისე იჭერს, თითქოს ვერაფერს ამჩნევს.

– ახლა ყველამ ჩუმად ვილოცოთ, – ამბობს ის, – უფალს ვთხოვოთ, გვაკურთხოს და ყველა საქმეში ხელი მოგვიმართოს.

მე თავს ვხრი და თვალებს ვხუჭავ. ვუსმენ შეკავებულ სუნთქვას, თითქმის უხმო სლუკუნს, ვგრძნობ ჩემ ზურგს უკან მჯდომის კანკალს. ალბათ, ძალიან ვძულვარ-მეთქი, ვფიქრობ.

უხმოდ ვლოცულობ:

ნოლიტე ტე ბასტარდეს ცარბორუნდორუმ . არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვები, მაგრამ კარგად ჟღერს და ლოცვისთვის გამოდგება. ამიტომაც ვიმეორებ. ვერ მოვიფიქრე, სხვა რა შეიძლება ვუთხრა ღმერთს, განსაკუთრებით აქ, ამ გზაგასაყარზე – ასე ამბობდნენ წინათ. ჩემ თვალწინ გარდერობზე უცნობი ქალის ამოკაწრული ფრაზა დაფარფატებს. ქალს მოირას სახე აქვს. დავინახე, როგორ წაიყვანეს იგი საავადმყოფოში, საკაცეზე დასვენებული, ორი ანგელოზის თანხლებით.

რა სჭირს? ვკითხე ჩემ გვერდით მდგარ ქალს. ასეთი კითხვების დასმა უშიშრად შეგიძლია, თუკი ვინმე ფანატიკოსი არ შეგხვდა, რა თქმა უნდა. სიცხე აქვს, წავიკითხე მისი ტუჩების მოძრაობაზე, ბრმა ნაწლავმა შეუტიაო, ამბობენ.

იმ საღამოს გუფთით და შემწვარი კარტოფილით ვივახშმე. ჩემი მაგიდა ფანჯარასთან იდგა, ჭიშკრამდე ყველაფერს ვხედავდი. დავინახე, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა უკან მობრუნდა. საყვირი ჩართული აღარ ჰქონდა. იქიდან ერთი ანგელოზი გადმოხტა და გუშაგს გამოელაპარაკა. გუშაგი შენობაში შემოვიდა, „სასწრაფო“ ფეხმოუცვლელად იდგა; ანგელოზი, წესისამებრ, ჩვენგან ზურგშექცევით გაჩერდა. ორი დეიდა გუშაგის თანხლებით გამოვიდა შენობიდან, მანქანას უკანა მხრიდან მიუახლოვდნენ,იქიდან მოირა გადმოათრიეს, აქეთ-იქით იღლიებში შეუდგნენ, კიბეზე აათრიეს და შენობაში შეიყვანეს. მოირას სიარული უჭირდა. ჭამა შევწყვიტე, პირში ლუკმის ჩადება აღარ შემეძლო; ამასობაში ყველა, ვინც ჩემ გასწვრივ იჯდა მაგიდასთან, წამოდგა და

ფანჯარასთან მივიდა. მწვანე ფანჯრები იყო, მინებს შორის ცხაურაკრული.

დასხედით და თქვენს თეფშებს მიხედეთ, გვითხრა დეიდა ლიდიამ, მივიდა და ჟალუზები ჩამოუშვა.

ის იმ ოთახში შეიყვანეს, რომელსაც „სამეცნიერო ლაბორატორიას“ უწოდებენ. იქ თავისი ნებით არც ერთ ჩვენგანს არ შეუცდებოდა ფეხი. ამის მერე მოირა ერთი კვირა ვერ დადიოდა, ფეხები ისეთი დასივებული ჰქონდა, ფეხსაცმელს ვერ იცვამდა. პირველი დანაშაულისას გაფრთხილებას ფეხებით იწყებდნენ. ბოლოებშემოძენძილ მავთულს იყენებდნენ. მერე ხელებზე გადადიოდნენ. სულ არ ენაღვლებოდათ, რას დაგმართებდნენ, თუნდაც სამუდამოდ დასახიჩრებულიყავი.

– გახსოვდეთ, – ამბობდა დეიდა ლიდია, – ჩვენი მიზნებისათვის თქვენი ხელები და ფეხები მეორეხარისხოვანია.

სამაგალითოდ დასჯილი მოირა თავის ლოგინში იწვა.

ასეთი რამ არ უნდა გაებედა, მით უმეტეს, ანგელოზებისთვის, გავიგონე გვერდითა საწოლიდან ალმას ხმა. ჩვენ მიგვყავდა საკლასო ოთახამდე, კაფეტერიიდან ქაღალდის პაკეტებით შაქარს ვიპარავდით, ჩუმად შემოგვქონდა საძინებელში და ღამით საწოლიდან საწოლზე გადავაწოდებდით ხოლმე. შაქარი მაინცდამაინც არ სჭირდებოდა, მაგრამ სხვა არაფერი იყო, რომ მოგვეპარა და მისთვის მიგვეცა.

კვლავ ვლოცულობ, მაგრამ თვალიდან არ მიმდის მოირას ფეხები – რას უგავდა საავადმყოფოდან დაბრუნებულს. ფეხები აღარც კი ეთქმოდა. დამხრჩვალის ფეხებს ჰგავდა, გასივებულსა და ძვალგამოცლილს, ფერიც შეცვლილი ჰქონდა. ფილტვებს დამგვანებოდა.

ოჰ, ღმერთო, ვევედრები,

ნოლიტე ტე ბასტარდესცარბორუნდორუმ .

ამის გაგონება გინდოდა?

მეთაური ახველებს. ამგვარად გვანიშნებს, რომ ლოცვა-ვედრება გვეყოფა. „რამეთუ თუალნი უფლისანი ხედვენ ყოველსა ქუეყანასა განძლიერებად ყოვლითა გულითა სავსითა მისა მიმართ“, – ამბობს ის.

ეს დასრულებას ნიშნავს. ფეხზე დგება. ჩვენ თავისუფალი ვართ.

16

ცერემონია ჩვეულებრივად მიმდინარეობს.

ზურგზე ვწევარ, თავით ფეხამდე შემოსილი. მხოლოდ ბამბის თეთრი ნიფხავი არ მაცვია. თუ თვალს გავახელ, სერენა ჯოის გიგანტური, ოთხსვეტიანი საწოლის ფართო, ქათქათა ბალდახინს დავინახავ, ჩვენ თავზე საავდრო ღრუბელივით რომ ჩამოწოლილა, ღრუბელივით, რომელიც თითქოს წვიმის პაწაწინა ვერცხლისფერი წვეთებით არის დაწინწკლული. ეს წვეთები, თუ კარგად დააკვირდები, ოთხფურცლიანი ყვავილები აღმოჩნდება. ვერ დავინახავ ხალიჩას, თეთრ ხალიჩას, მოჩითულ ფარდებსა და ქსოვილგადაფარებულ ტუალეტის მაგიდას, რომელსაც სარკე ამშვენებს და ვერცხლისზურგიან სავარცხელს; დავინახავ მხოლოდ ბალდახინს, რომელიც გამჭვირვალე ქსოვილისა და მძიმე თაღების გამო ერთდროულად ჰაეროვანიც არის და მყარიც.

ანდა იალქნიანი გემის მსგავსი. მუცელგაბერილი იალქნები, როგორც ლექსებში ამბობენ ხოლმე. გაბერილი მუცელი. გასივებული მუცელი ელვის სისწრაფით მიგვაქროლებს წინ.

„ველის შროშანთა“ სუსხიან, თითქოს ხრაშუნა ბლონდში ვართ გახვეული. ამ ოთახში არ თბილა.

ჩემ ზემოთ, საწოლის თავთან სერენა ჯოი მოკალათებულა, გაფარფაშებულა. ფეხები გადაშლილი აქვს და მათ შორის მე ვწევარ. თავი მის მუცელზე მიდევს, კეფის ქვეშ მისი ბოქვენის ძვალს ვგრძნობ, ორივე მხრიდან მისი ბარძაყები მიჭერს. ისიც თავით ფეხამდე შემოსილია.

ხელები აწეული მაქვს. ის ორივე ხელს მიჭერს. ეს, თითქოს, ჩვენს ერთიანობას განასახიერებს. ჩვენ ერთხორც ვართ. სინამდვილეში კი შემახსენებს, რომ ყველაფრის ბატონ-პატრონია, პროცესის მეთვალყურეც ის არის და პროდუქტის მესაკუთრეც. თუკი იქნება. მისი მარცხენა ხელის ბეჭდები თითებში მესობა. შეიძლება შურისძიებაა, შეიძლება – არც.

წითელი კაბა წელამდე მაქვს აწეული, მხოლოდ წელამდე. ქვევით მეთაური თავის საქმეს აკეთებს. ჩემი სხეულის ქვედა ნაწილს ხმარობს. ვიტყოდი, მეუფლება-მეთქი, მაგრამ ეს სიტყვა მის საქციელს არ შეეფერება. არც შეწყვილება ივარგებს, ვინაიდან იგი ორი ადამიანის მოქმედებას გამოხატავს, აქ კი მხოლოდ ერთი მოქმედებს. არც გაუპატიურება გამოდგება: აქ ისეთი არაფერი ხდება, რაზეც მე თანახმა არ ვარ. დიდი არჩევანი არ მქონია, მაგრამ რაც მქონდა, იმათგან, ეს ავირჩიე.

ამიტომაც ვწევარ უძრავად და წარმოვიდგენ თავზემოთ გადაჭიმულ ბალდახინს, რომელსაც ვერ ვხედავ. მახსენდება, რა ურჩია დედოფალმა ვიქტორიამ ქალიშვილს: „დახუჭე თვალები და ინგლისზე იფიქრე“. მაგრამ მე ინგლისი სულაც არ მენაღვლება. ნეტავ, ცოტა დაუჩქარებდეს.

შეიძლება გიჟი ვარ და ეს რაღაც ახლებური მკურნალობაა.

ნეტავ, მართლა ასე იყოს. გამოვკეთდებოდი და ყველაფერი დამთავრდებოდა.

სერენა ჯოი ისე მიჭერს ხელებს, თითქოს მართლა მას ხმარობდნენ, თითქოს მართლა განიცდიდეს სიამოვნებას ანდა ტკივილს. მეთაური ჩვეულებრივი რიტმით მოძრაობს, ორიდან ოთხამდე რიტმული ბიძგით, თითქოს ონკანი წვეთავდეს. ფიქრებშია წასული, იმ კაცს მაგონებს, აბაზანაში გაუცნობიერებლად რომ ღიღინებს და ამ დროს გონება სულ სხვაგან უქრის. თითქოს გასულია და საკუთარი თავის დაბრუნებას ელოდება, მოლოდინით სავსე თითებს მაგიდაზე აკაკუნებს. მის მოძრაობაშიც მოუთმენლობა იგრძნობა. მაგრამ განა ყველა კაცის ფერადი ოცნება არ არის, ერთდროულად ორი ქალი ჰყავდეს? ამბობდნენ, ამაღელვებელიაო. წინათ ამბობდნენ.

მაგრამ რაც ახლა ამ ოთახში, სერენა ჯოის მოსირმული ბალდახინის ქვეშ ხდება, არავის აღელვებს. აქ არც ვნებაა, არც სიყვარული თუ რომანტიკა. არც ჩემი და არც სერენას აღგზნება ან ორგაზმი არავის სჭირდება. ეს ისეთივე უადგილო იქნებოდა, როგორც ამ ცერემონიაზე ნაყშიანი წივსაკრავებითა და მიწებებული ხალებით გამოცხადება. ეს მოცლილთა ზედმეტი ხარახურა აღარავის უნდა. ყავლგასულია. ძალიან უცნაურად მეჩვენება, რომ ოდესღაც ქალები

ამდენ დროსა და ენერგიას ახარჯავდნენ ამგვარ რამეებზე ფიქრს, კითხულობდნენ მათ შესახებ, ღელავდნენ მათზე, წერდნენ. მართლა მოცლილების საქმეა.

ჩვენ კი მოცლილები არ გახლავართ, სხვათა შორის, არც მეთაური. იგი სერიოზულ საქმეს აკეთებს. თავის მოვალეობას ასრულებს.

წამწამებს შორის ოდნავ რომ გამოვაპარებდე მზერას, მას დავინახავდი, მის არცთუ უსიამოვნო სახეს ჩემ მკერდს ზემოთ, მისი ჭაღარა თმის რამდენიმე ღერს, ალბათ, შუბლზე რომ ექნება ჩამოშლილი; დავინახავდი, როგორ მიისწრაფვის მიზნისაკენ, რომელიც მისი გახელების პირდაპირპროპორციული სიჩქარით იხევს უკან, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე. დავინახავდი მის გახელილ თვალებს.

უკეთ რომ გამოიყურებოდეს, ნეტავ, უფრო ვისიამოვნებდი?

რაც უნდა იყოს, წინას აშკარად სჯობს. იმას ისეთი სუნი ასდიოდა, როგორიც ეკლესიის გასახდელში დგას ხოლმე წვიმიან ამინდში; როგორიც პირის ღრუს ასდის, როდესაც სტომატოლოგი კბილის ჩიჩქნას გიწყებს; ნესტოების სუნი. მეთაურს კი ნაფტალინის სუნი ასდის, თუ ეს რომელიმე საპარსი კრემის სუნია? რატომ არ იხდის ამ სულელურ უნიფორმას? მაგრამ ვითომ მისი თეთრი, გაბანჯგვლული სხეული რით იქნებაუკეთესი?

კოცნა გვეკრძალება. და ამიტომაც ყველაფრის ატანა შეიძლება.

შეიძლება გვერდზე გადგე და მოვლენებს შორიდან უყურო.

როგორც იქნა, ამთავრებს. ნეტარებისაგან მოგუდულად კვნესის. სერენა ჯოიც, აქამდე სულშეგუბებული, ამოისუნთქავს. მეთაური, რომელიც ამ ხნის განმავლობაში იდაყვებს ეყრდნობოდა, არც ამჯერად ეფლობა ჩვენს ერთიან სხეულში. ერთი წუთით ისვენებს, უკან იწევს, სწორდება, შარვალს იკრავს, თავს გვიკრავს, ტრიალდება და ოთახიდან გადის. ზურგს უკან კარს ისე ფრთხილად ხურავს, თითქოს ორივე მისი სნეული დედა ვიყოთ. სასაცილოა, მაგრამ სიცილს ვერ ვბედავ.

სერენა ჯოი ხელს მიშვებს.

– შეგიძლია, ადგე, – მეუბნება, – ადექი და გადი აქედან.

წესით, ათიოდე წუთი უნდა მომასვენოს, ფეხები ბალიშზე ამაწყობინოს, რომ ჩასახვის შანსი გაიზარდოს, თვითონ კი ჩუმ მედიტაციაში ჩაეფლოს, მაგრამ, ეტყობა, ამის გუნებაზე არ არის. მის ხმაში ისეთი ზიზღი იგრძნობა, თითქოს ჩემი სხეულის შეხებამ დაამცირა და გააბინძურა. მე გარს შემოხვეულ მის სხეულს თავს ვაღწევ და ვდგები. მეთაურის თესლი ფეხებზე მეღვრება. სანამ შევტრიალდები, ვხედავ, როგორ ისწორებს ლურჯ ქვედაბოლოს და ფეხებს ერთმანეთს მჭიდროდ ატყუპებს; წევს და თავზემოთ ბალდახინს შეშტერებია, ქანდაკებასავით გახევებული და უდრეკი.

ნეტავ, რომელი უფრო უბედური ვართ – მე თუ ის?

17

ჩემს ოთახში რომ ვბრუნდები, ტანსაცმელს ვიხდი და ღამის პერანგს ვიცვამ.

გარდერობთან მივდივარ და მარჯვენა ფეხსაცმლის წვერში შეჩურთულ კარაქის ნაჭერს ვეძებ, ვახშმის მერე რომ დავმალე. გარდერობში ცხელა, კარაქი კი იოლად დნება. ნახევრად გამლღვალა და ხელსახოცს შეუწოვია, რომელშიც გავახვიე. ახლა ფეხსაცმელი კარაქით იქნება გაპოხილი. სხვათა შორის, პირველად არა, რადგან როგორც კი კარაქს ან თუნდაც მარგარინს გადავაწყდები, მუდამ ამგვარად ვინახავ. ხვალ უკვე შემეძლება მისი ნაწილი ფეხსაცმლის სარჩულიდან ავფხიკო პირსახოცით ანდა აბაზანიდან გამოტანილი ტუალეტის ქაღალდით.

კარაქს სახეზე ვიგლეს, ხელებში ვიზელ. ჩვენს დროში ხელის ლოსიონი თუ სახის კრემი აღარ არსებობს. ან – ჩვენთვის აღარ არსებობს. ამგვარი რამეები ქარაფშუტობად ითვლება. ჩვენ მხოლოდ ჭურჭელი ვართ, ჩვენი სხეულის მარტოდენ შიგთავსია საინტერესო. მისი გარეთა ნაწილი კი შეიძლება გამოშრეს და დანაოჭდეს, იგი ისევე ენაღვლებათ, როგორც თხილის ნაჭუჭი. ეს კანონი, რომელიც ჩვენ თავის მოვლას გვიკრძალავს,ცოლების მოთხოვნით შემოიღეს. მათ არ სურთ, რომ ლამაზად გამოვიყურებოდეთ. ისედაც ეყოფათ თავიანთი გაჭირვება.

კარაქის ოინი „რაქელისა და ლეას სახელობის ცენტრში“ ვისწავლე. იქაურობას „წითელ ცენტრს“ იმიტომ ვეძახდით, რომ ყველგან ეს ფერი ბატონობდა. ამ ოთახში ჩემი წინამორბედი, ჩემი ჭორფლიანი და მხიარული მეგობარიც, ალბათ, ჩემსავით ისვამდა კარაქს. წითელცენტრელები ყველა ვისვამთ.

რადგან კანს კარაქით ვიპოხავთ, რათა სინორჩე შევუნარჩუნოთ, ესე იგი, გვჯერა, რომ ერთ დღესაც აქაურობას თავს დავაღწევთ, რომ ისევ შეგვეხება ვინმე სიყვარულითა თუ სურვილით. ჩვენ ჩვენი საიდუმლო ცერემონიები გვაქვს.

კარაქი ცხიმიანია, მალე ამძაღდება და ძველი ყველის სუნი ამივა; მაგრამ რაც უნდა იყოს, ორგანულია – როგორც ამბობენ ხოლმე.

აი, სადამდე დავეცით.

ჩემს ვიწრო საწოლში ვწევარ, კარაქწასმული და გაჭიმული, ტოსტივით გაბრტყელებული. ვერ ვიძინებ. ბინდბუნდში ჭერის შუაგულის დავსებულ თვალს შევყურებ, ისიც ჩამომცქერის, თუმცა, ვერ მხედავს. ნიავი არ იძვრის. ჩემი თეთრი ფარდები მარლის სახვევებივით უძრავად ჩამოკიდებული ელავს პროჟექტორის შუქზე, რომელიც ღამღამობით ანათებს სახლს, თუ მთვარეა?

მე საბანს ვიხდი, ფრთხილად ვდგები და ფეხშიშველი, ღამის პერანგისამარა მივდივარ ფანჯარასთან. პატარა ბავშვივით ვიჭყიტები გარეთ. მთვარე ახლად დათოვლილი დედამიწის მკერდს ანათებს. ცა კრიალებს, მაგრამ მაინც ძნელია მისი დანახვა – პროჟექტორი მიშლის ხელს; ბოლოს მაინც ვხედავ – დიახ, ღამის ცაზე მთვარე დახეტიალობს, ახალი მთვარე, სურვილების ასრულებისა, უძველესი კლდის ნატეხი, ქალღმერთი, ციალი. მთვარე ქვაა და ცაც მომაკვდინებელი რკინეულითაა სავსე, მაგრამ, ღმერთო, რა ლამაზია.

როგორ მინდა, ლუკი ჩემ გვერდით იყოს. მინდა, მეხვეოდეს და ჩემს სახელს ამბობდეს. მინდა, ვინმემ იცოდეს ჩემი ფასი, ჩემი ღირსებები, რომელთაც აქ ვერავინ ამჩნევს; უფრო მეტიც მინდა. ვიმეორებ ჩემს ადრინდელ სახელს, ჩემს თავს ვახსენებ, რა შემეძლო ადრე, რას ხედავდნენ ჩემში სხვები.

მინდა რამე მოვიპარო.

შემოსასვლელში ღამის ნათურები ანთია და ვრცელი დერეფანი ნაზ ვარდისფრად ციმციმებს; დერეფანს მივუყვები, ფრთხილად ვდგამ ცალ ფეხს, მერე – მეორეს, ფეხაკრეფით დავდივარ, ხალიჩაში, როგორც მოლში, ისე ვეფლობი. მივიპარები ღამეულ სახლში და გული მიფართხალებს. ერთიანად ვკანკალებ. გაუგონარ შეცოდებას ჩავდივარ.

ქვემოთ ჩასვლისას, კიბის მოსახვევთან, კედლის თევზის თვალში

ჩემს თეთრ აჩრდილს ვხედავ, ჩემს შესუდრულ სხეულს, თმა ფაფარივით მაქვს აშლილი, კმაყოფილს თვალებიც მიბრწყინავს. რაღაცას ჩემს ჭკუაზე ვაკეთებ. სუბიექტური პირი ვარ? ჰო, ალბათ. ყველაზე მეტად მინდა, დანა მოვიპარო სამზარეულოდან, მაგრამ ჯერ მზად არ ვარ.

მოსასვენებელი ოთახი. კარს ფრთხილად ვაღებ, შიგ ვსხლტები და ოდნავ ღიას ვტოვებ. იატაკი ჭრაჭუნებს, მაგრამ ვინ იქნება ისე ახლოს, რომ ეს ხმა გაიგონოს? ოთახის შუაგულში ვდგავარ, თვალის გუგები მიფართოვდება, კატასავით თუ ზარნაშოსავით. ძველი სუნამოს, ქსოვილების სუნი ნესტოებში მიღიტინებს. ჩამოშვებული ფარდების ღრიჭოებიდან პროჟექტორის სინათლის უღონო ნაკადი იჭრება. ვიცი, რომ იქ, ქვევით, ორი გუშაგი მიდი-მოდის, ზემოდან დავინახე. ჩემს ფარდებს ამოფარებულმა მათი მუქი სილუეტები შევნიშნე. ახლა სხვა, მკრთალ სილუეტებს ვხედავ: სარკეების, ლამპების სადგარების, ლარნაკების, დივნის კონტურებს სიბნელეში ღრუბელს ვამგვანებ.

რა ავიღო? რაღაც ისეთი, რასაც არ მოისაკლისებენ. შუაღამეს, ტყეში, ჯადოსნური ყვავილი. დამჭკნარი ნარგიზი სჯობს, ოღონდ ხმელი ყვავილების სამშვენისიდან – არა. ნარგიზებს მალე გადაყრიან, უკვე სიმყრალე ეპარება, სერენა ჯოის სუნამოსა და ბინძური საქსოვისა არ იყოს.

მაგიდისაკენ გზას ხელისცეცებით მივიკვლევ, ვეხები. ტკაცუნი მესმის, როგორც ჩანს, რაღაც გადმოვაგდე. ნარგიზებს ვპოულობ, ერთ-ერთს გამხმარ ფურცელს ვაცლი, ღეროს ვწყვეტ, თითებით ვსრეს. სადმე შევჩურთავ, ლეიბის ქვეშ თუნდაც. იქ შევუნახავ შემდეგ ქალს, მას, ვინც ჩემ მერე მოვა. ის უთუოდ იპოვის.

მაგრამ ოთახში კიდევ ვიღაც არის, ჩემ ზურგს უკან.

მესმის, ვიღაც მოაბიჯებს, ჩემსავით უჩუმრად, იატაკის ფიცრებს ისიც აჭრიალებს. ჩემ უკან კარი იხურება. ოდნავი ჯახანი სხეპს სინათლის ნაკადს. ვქვავდები: თეთრის ჩაცმა შეცდომა იყო, მთვარის შუქდაფენილ თოვლს ვგავარ. სიბნელეშიც კი.

შემდეგ ჩურჩული:

– არ იკივლო. ნუ გეშინია.

თითქოს კივილი შემეძლოს, ან თითქოს შიშის მიზეზი არ მქონდეს. ვტრიალდები: მხოლოდ ლანდი, ღაწვების სუსტი, უფერული ნათება.

მიახლოვდება. ნიკია.

– აქ რას აკეთებ?

არ ვპასუხობ. ისიც წესს არღვევს, ჩემსავით. ის ვერ გამცემს. ვერც მე გავცემ. ახლა ჩვენ ერთმანეთის სარკეები ვართ. მკლავში ხელს მკიდებს, გულში მიკრავს, ტუჩებზე ტუჩებით მეხება. სხვა რა შეიძლება მოჰყვეს ამდენიხნის თავშეკავებას? ხმას არ ვიღებთ. ორივე ვკანკალებთ. ოჰ, რა კარგი იქნებოდა. სერენას ბუდუარში, ამ გამხმარ ყვავილებს შორის, ამ ჩინურ ხალიჩაზე, ეს გამხდარი სხეული. სრულიად უცნობი კაცი. ეს გაცხარებას ემგვანება, არა – ვინმეს ჩაცხრილვას. ჩემი ხელები ქვევით მიიწევს. რა იქნება, რომ ღილები გავუხსნა და მერე. მაგრამ ეს ძალიან სახიფათოა, მანაც იცის, რომ სახიფათოა. ერთმანეთს ხელს ვკრავთ, ვიშორებთ. ეს მეტისმეტი ნდობაა, მეტისმეტი რისკი. მეტისმეტი.

– შენს საძებნელად მოვედი, – ამბობს ის. ჩემს ყურთან ქშინავს. მინდა, მივწვდე, მისი კანის გემო ვიგრძნო. შიმშილის გრძნობას აღმიძრავს. მისი თითები მოძრაობენ, საღამური პერანგის ქვეშ ჩემს მკლავს ბღუჯავენ, თითქოს გონება დაუკარგავთ. რა კარგია, როცა ვინმე გეხება, როცა ასეთ ძლიერ ლტოლვას გრძნობ, როცა ვინმეს ასე უნდიხარ. ლუკ, შენ მიხვდებოდი, შენ გამიგებდი. ეს შენ ხარ, ოღონდ – სხვა სხეულში.

რაებს მივქარავ!

– რატომ? – ვამბობ მე. ნუთუ ასე ცუდადაა, რომ გაბედა და შუაღამისას ჩემს ოთახში შემოვიდა? ჩამოხრჩობილი კაცები მახსენდება, კედლის კაუჭებზე დაკიდებული. ფეხზე ძლივს ვდგავარ. გარეთ უნდა გავიდე, ჩემს ოთახში დავბრუნდე, სანამ სულ არ გავმქრალვარ. ახლა მისი ხელი მხარზე მადევს, უძრავად, მძიმედ, ტყვიასავით. ამის გამო უნდა მოვკვდე? მე მშიშარა ვარ, ტკივილზე ფიქრიც კი არ შემიძლია.

– მან დამავალა, – მეუბნება ნიკი, – ხვალ უნდა შენი ნახვა. თავის კაბინეტში.

– ვისზე ამბობ? – ვეკითხები. მეთაურს უნდა გულისხმობდეს. ჩემი ნახვა? რას ნიშნავს „ნახვა“? ნუთუ კიდევ რამე უნდა?

– ხვალ, – ამბობს იგი, ძლივს გასაგონად. ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში ერთმანეთს ვშორდებით, ნელა, თითქოს ორი ღონიერი, დაკუნთული ხელი აქეთ-იქით გვეწევა.

მე კარს ვპოულობ, სახელურს ვატრიალებ, თითებს გრილ ფაიფურზე ვაყოვნებ, ვაღებ. სხვა რა შემიძლია.

VII -

ღამე

18

ლოგინში ვწევარ, ისევ ვცახცახებ. შუშის კიდეები რომ დაასველო და მერე თითი გაუსვა, ხმას გამოსცემს. სწორედ ასეთი შეგრძნება მაქვს ახლა, თითქოს მინა ზრიალებსო. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მსხვრევადი ვიყო. ვინმესთან მინდა ყოფნა.

ლოგინში ვწევარ, ლუკთან ერთად. მას ჩემი მომრგვალებული მუცლისთვის შემოუხვევია ხელი. სამნი ვწევართ ლოგინში, ის წრიალებს, ჩემ შიგნით ყირაზე გადადის. გარეთ ჭექა-ქუხილია, ამიტომაც გაიღვიძა. მას ესმის, მას სძინავს, ხანდახან შფოთავს, იქაც კი, სადაც გულისფეთქვა ისე მშვიდია, თითქოს ტალღა ეთამაშება ნაპირს. ელავს, საკმაოდ ახლოს. ერთი წამით ლუკის თვალები სიბნელეში თეთრად კრთება.

მე არ მეშინია. ორივე ვფხიზლობთ, წვიმა შხაპუნებს. ყველაფერს დინჯად და ფრთხილად გავაკეთებთ.

დარწმუნებული რომ ვიყო, ეს აღარასოდეს განმეორდება, ახლავე მოვკვდებოდი.

თუმცა, ტყუილია, სექსის გარეშე ცხოვრებას არავინ მოუკლავს. ჩვენ მხოლოდ უსიყვარულოდ ცხოვრება გვღუპავს. აღარავინაა ჩემ გვერდით, ვინც მეყვარებოდა. ყველა, ვისი სიყვარულიც შემეძლო ან მკვდარია, ან გადახვეწილი. ვინ იცის, სად არიან, ანდა რა ჰქვიათ ახლა? შეიძლება, აღარსადაც აღარ იყვნენ, აკი მეც აღარსად ვარ. მეც ხომ დაკარგული ვარ.

დროდადრო მათ სახეებს ვხედავ, სიბნელიდან გამოანათებენ ხოლმე, როგორც ძველ ევროპულ საკათედრო ტაძრებში სანთლებით გაშუქებული წმინდანთა გამოსახულებები; სანთლები ლოცვისას უნდა აანთო, დაიჩოქო, შუბლი ხის მოაჯირს მიაყრდნო, იმედი გქონდეს, რომ შეგისმენენ. შეგიძლია ღმერთს შეავედრო ისინი, უკვე აჩრდილებად რომ ქცეულან და თვალის დახამხამებაში ქრებიან. ნუთუ დამნაშავე ვარ, რომ მათი ხორცშესხმული სხეულები, მათთვის ხელის მოხვევა მენატრება? მათ გარეშე მეც უხორცო ვარ.

მე შემიძლია ლოგინში ჩამხობილს საკუთარი გულისცემა მესმოდეს, შემიძლია, სიბნელეში საკუთარ თავს მოვეფერო, თეთრი, გახამებული ზეწრის ქვეშ, მაგრამ თვითონაც მეტისმეტად თეთრი და გახამებული ვარ, ხეშეში, მარცვლოვანი; თითქოს გამომშრალი ბრინჯით სავსე თეფშისთვის გადამესვას ხელი; ან თოვლისთვის. სიკვდილს ჰგავს, ან უდაბნოს, უკაცრიელს. იმ ოთახს ვგავარ, რომელშიც ოდესღაც სიცოცხლე ჩქეფდა, ახლა კი აღარავინ შემოდის, მხოლოდ ფანჯრიდან შემოსული ყვავილების მტვერი და მცენარეთა თესლი ეფინება ხოლმე მტვრად იატაკს.

აი, რა მწამს:

მწამს, რომ ლუკი ბარდებში ჩამხობილი გდია, გვიმრის ბუჩქებში, შარშანდელ ჩაყვითლებულ ფოთლებში, ახლად ამწვანებული რტოების ქვეშ; შეიძლება, ბუჩქები ღვიისაც იყოს, თუმცა, არა, კენკრის სეზონი ჯერ არ დამდგარა. მისგან ესღაა დარჩენილი: თმა, ძვლები, მწვანე და შავუჯრედებიანი შალის პერანგი, ტყავის ქამარი, სამუშაო ჩექმა. ზუსტად მახსოვს, რა ეცვა. თვალნათლივ ვხედავ მის ტანსაცმელს, ლითოგრაფივით ანდა ძველი დროის ჟურნალების რეკლამასავით მკაფიოდ, მაგრამ ასეთივე სიცხადით მისი სახე აღარ წარმომიდგება. მისი სახე ნელ-ნელა ფერმკრთალდება, იქნებ იმიტომ, რომ ყოველთვის ერთნაირი არ იყო: სახეზე მუდამ სხვადასხვაგვარი გამომეტყველება ეფინა, ტანსაცმელი კი სულ ერთნაირი ეცვა.

ვლოცულობ, რომ ერთი ნატყვიარი მაინც – მას ორ-სამჯერ მიყოლებით ესროლეს – ზუსტი ყოფილიყო, სწრაფი, გაევლო თავის ქალაში, იმ ადგილას, სადაც ყველა მოგონება ინახება, ისე, რომ მხოლოდ ერთი გაელვებით, ერთი დაბნელებითა და ერთი ტკივილით დამთავრებულიყო ყველაფერი, ყრუ ტკივილით, ისეთით, როგორიც არის სიტყვა ბახ. მხოლოდ ეს ერთი გაელვება, მერე კი სიჩუმე ჩამოწვებოდა.

მე ეს მწამს.

ისიც მწამს, რომ ლუკი სადღაც არის ჩამომჯდარი, ნაცრისფერი ბეტონის მართკუთხა ოთახში, რაღაცის კიდესა თუ შვერილზე, საწოლისა თუ სკამის. ღმერთმა იცის, რა აცვია, ღმერთმა იცის, რა

ჩააცვეს, ღმერთმა იცის, სად გამოამწყვდიეს, თუმცა, ღვთის გარდა, სხვებმაც იციან და ალბათ, მისი ამბის გაგებაც შეიძლება. მთელი წლის გაუპარსავია, თუმცა, თმა მოკლედ შეჭრეს, ამბობენ, ტილებისაგან დასაცავადო. უცნაურად კი მეჩვენება: თუ ტილებისაგან დასაცავად თმას სჭრიან, წვერსაც ხომ უნდა პარსავდნენ.

თუმცაღა, წესიერად არც თმა აქვს შეჭრილი – დაკბილული, უკან, კისერზე, ოღროჩოღროდ აკიბული, ამაზე უარესი კი ის არის, რომ ათი, ოცით წლით უფროსს ჰგავს, თავი მოხუცი კაცივით აქვს ჩაქინდრული, თვალებქვეშ ტომსიკები ჩამოჰკიდებია, ლოყები პატარ-პატარა იასამნისფერი ძარღვებით დაქსელვია, სახის მარცხენა მხარეს, ქვემოთ, ნაკაწრი, არა – ნაიარევი მოუჩანს, ჯერ ისევ პირშეუკრავი, ისეთი ხასხასა ფერის, როგორიც ტიტაა ყუნწთან. მის სხეულს ისე უდიერად მოექცნენ, ისე უდიერად მოიშორეს თავიდან, თითქოს მართლა მხოლოდ წყალი და ქიმიური ნივთიერებები იყო, ქვიშაზე მიმხმარ მედუზაზე ცოტათი უკეთესი.

ხელის ყოველი განძრევა, ყოველი შერხევა მეტისმეტად მტკივნეულია.მან არ იცის, რა დააშავა. რას ერჩიან. ბრალდება ხომ უნდა წაუყენონ. თუ არადა, რატომ ჰყავთ აქ გამომწყვდეული, რატომ არ კლავენ? ალბათ, რაღაც ისეთი იცის, რაც მათ აინტერესებთ. რა, ვერ ვხვდები. ვერ ვხვდები ვერც იმას, აქამდე როგორ ვერ წამოაცდენინეს საიდუმლო. მე ყველაფერს დავფქვავდი.

თავისივე სუნი აკრავს გარს,ბინძურ გალიაში გამომწყვდეული, ნაკელში ამოთხვრილი ცხოველის სიმყრალე. წარმომიდგენია, რომ იგი წევს და ისვენებს, რადგან არ შემიძლია მისი სხვანაირ მდგომარეობაში წარმოდგენა. ვერაფერი წარმომიდგენია მისი საყელოს ქვემოთ, მისი ბორკილების ზემოთ. არც მინდა, დავფიქრდე, რა შეიძლებოდა ექნათ მისი სხეულისათვის. ფეხსაცმელი ისევ აცვია? არადა, იატაკი ცივია და სველი. იცის, რომ მე აქ ვარ, ცოცხალი ვარ და მასზე ვფიქრობ? უნდა მჯეროდეს, რომ იცის. ჩემსავით კუთხეში მიმწყვდეული ადამიანისთვის ამგვარი რაღაცების რწმენა ჰაერივით აუცილებელია. ახლა მწამს ფიქრების ტელეპატიურად გადაცემის, ჰაერში გაფანტული ვიბრაციის, მთელი ამ ნაგვის, ადრე არაფრის დიდებით რომ არ ვიწამებდი.

ასევე მწამს, რომ მათ ის ვერ დაიჭირეს თუ ვერ გამოიჭირეს, რომ მან

შეძლო, მდინარე გადაცურა, საზღვარი გადალახა, შორეულ ნაპირზე, რომელიღაც კუნძულზე აათრია თავისი ილაჯგაწყვეტილი სხეული, კბილებაკაწკაწებულმა; შორიახლოს ფერმას მიადგა, შიგნით შეუშვეს, ჯერ დაეჭვებით შესცქეროდნენ, მაგრამ მერე, როცა შეიტყვეს, რაც გადახდა, გული მოულბათ, დახმარების ხელი გაუწოდეს. ეგებ კვაკერებიც იყვნენ, ერთი სახლიდან მეორემდე, მეორედან – მესამემდე ჩუმად აპარებდნენ და ქვეყნის შუაგულამდე ჩააღწევინეს, ქალმა მას ცხელი ყავა დაალევინა და თავისი ქმრის ტანსაცმელი აჩუქა. წარმოვიდგენ მის ტანსაცმელს და მიხარია, რომ თბილად აცვია.

მან თანამოაზრეებს მიაგნო. უნდა არსებობდეს წინააღმდეგობის ორგანიზაცია, ლტოლვილი ხელისუფლება. ვიღაცა უნდა იყოს, ვინც ყველას გვიშველის. მე ისევე მწამს წინააღმდეგობის ჯგუფის არსებობა, როგორც ის, რომ არ არსებობს სინათლე ჩრდილის გარეშე; უფრო სწორად, ჩრდილი სინათლის გარეშე. უნდა იყოს წინააღმდეგობის ორგანიზაცია, აბა, საიდან ჩნდებიან ეს დამნაშავეები, ტელევიზორში რომ აჩვენებენ ხოლმე?

ყოველ წუთს შეიძლება მივიღო მისგან ბარათი. ყველაზე დაუჯერებელი გზით, ყველაზე უსიამოვნო ადამიანისაგან, ისეთისაგან, ვერასოდეს რომ ვერ წარმოვიდგენდი. ხომ შეიძლება, თეფშის ქვეშ დამხვდეს მისი წერილი, ლანგარზე, რომლითაც სადილს მომიტანენ; ხომ შეიძლება, ხელში ჩამიცურონ, როდესაც „ყოველ ხორციელში“ ტალონს გავუწვდი დახლიდარს?

ბარათი მეტყვის, რომ უნდა გავუძლო: ადრე თუ გვიან ის მე დამიხსნის, ჩვენს გოგონას ვიპოვით, სადაც უნდა გადაემალათ, ვიპოვით. ისიც გაგვიხსენებს და ჩვენ ისევ ვიქნებით ერთად. მანამდე კი მე უნდა მოვითმინო, თავს უნდა გავუფრთხილდე. რაც ადრე გადამხდენია, რაც ახლა ხდება ჩემს თავს, მისთვის არაფერია, მას მაინც ვუყვარვარ, მან იცის, რომ ბრალი არაფერში მიმიძღვის. ამას მისი ბარათიც მეტყვის. ბარათი, რომელიც შეიძლება არასოდეს მომივიდეს, რომლის მოლოდინიც მასულდგმულებს. მე მწამს ბარათების.

ყველაფერი, რაც მწამს – ვერა, მაგრამ ერთი ხომ მაინც იქნება სიმართლე. თუმცა, მე ლუკის სამგვარივე თავგადასავალი მჯერა.

ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენების რწმენა ამ წუთას ჩემთვის რწმენის გადარჩენის ერთადერთი გზაა. როგორიც უნდა იყოს სინამდვილე, მე მას მზად უნდა დავხვდე.

კიდევ ერთი რამ მწამს. და შეიძლება ესეც ტყუილი აღმოჩნდეს.

უძველეს ეკლესიასთან რომ სასაფლაოა, იქ ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ღუზაა ამოკვეთილი, ქვიშის საათი და სიტყვები: „ნორცთაცა ჩემთა დაიმკმდრონ სასოებით“.

„სასოებით“. მკვდარს გულზე ასეთი რამ რატომ წააწერეს? გვამს შერჩა სასოება თუ ცოცხლად დარჩენილებს?

ნეტავ ლუკი თუ სასოებს?

VIII -

შობის დღე

19

მესიზმრება, რომ ვიღვიძებ.

მესიზმრება, რომ საწოლიდან ვდგები და ოთახს, ოღონდ – სხვა ოთახს, ვჭრი, მივდივარ კართან, ოღონდ – სხვა კართან და ვაღებ. მე სახლში ვარ, ჩემს ერთ-ერთ სახლში, ჩემკენ კი ჩემი გოგონა მორბის, ფეხშიშველი, მოკლე მწვანე საღამური აცვია, წინ მზესუმზირა რომ ახატია. მე ხელში ამყავს. მისი ხელები და ფეხები სხეულზე მეჭდობა და ტირილს ვიწყებ, რადგან ვიცი, რომ არ მღვიძავს. საწოლში ვბრუნდები, ვცდილობ, გავიღვიძო, ვიღვიძებ და ლოგინის კიდეზე ვჯდები. დედაჩემი შემოდის ლანგრით ხელში და მეკითხება, უკეთ ვარ თუ არა. ბავშვობაში რომ ავად ვხდებოდი, დედა სამსახურში არ მიდიოდა. მაგრამ მე არც ახლა მღვიძავს.

ამ სიზმრების შემდეგ მართლა ვფხიზლდები და ვიცი, რომ ახლა ნამდვილად მღვიძავს, ჭერზე გვირგვინს ვხედავ და ფარდებიც დამხრჩვალის თეთრი თმასავით არის ჩამოშვებული. თავს დაბანგულივით ვგრძნობ. შეიძლება მართლა ბანგს მიყრიან საჭმელში, შეიძლება ის, რაც ჩემი ცხოვრება მგონია, პარანოიდული დელუზიაა.

ფუჭი იმედია. მე ვიცი, სად ვარ, ვინ ვარ და დღეს რა დღეა. ხშირად მამოწმებენ და ვიცი, რომ საღ გონებაზე ვარ. საღი გონება ძვირფასი განძია; მე მას ისე ვიზოგავ, როგორც ძველ დროს ფულს იზოგავდა ხალხი. მომჭირნედ ვხარჯავ, ასე რომ, როცა დრო მოვა, ყველაფრისთვის მეყოფა.

ფანჯრიდან რიჟრაჟი იპარება, დაბინდული ნათელი. მზიანი დღე არ იქნება. საწოლიდან ვდგები, ფანჯარასთან მივდივარ, ვიჩოქებ რაფისქვეშა ტახტის გახევებულ პატარა ბალიშზე, „რწმენა“ რომ აწერია, და გარეთ ვიყურები. თვალს არაფერი მტაცებს.

ნეტავ, ორი ბალიში რა იქნა? ოდესღაც სამი იქნებოდა. „სასოება“ და „სიყვარული“ სად შეჩურთეს? სერენა ჯოი თავშენახული ქალია, არაფერს გადააგდებს, თუ მთლად არ გაიქუცა. ვითომ ერთს –

რიტას, მეორეს კი კორას ოთახში უდევთ ბინა?

ზარი რეკავს. მე მას ადგომა დავასწარი. ისე ვიცვამ, ზედ არც ვიყურები.

სკამზე ვზივარ და სიტყვა „სკამზე“ ვფიქრობ. იგი შეიძლება ნიშნავდეს „თანამდებობასაც“, მაგრამ თუკი წინ „ელექტროს“ დავუმატებთ, დასჯის საშუალებად იქცევა. მისი პირველი მარცვალი „სკანდალისას“ ემთხვევა. მაგრამ არც ერთი ეს ფაქტი მეორესთან დაკავშირებული არ არის.

ამგვარი ჩხირკედელაობები თხზვაში ძალიან მეხმარება.

წინ ლანგარი მიდევს, ლანგარზე კი – ერთი ჭიქა ვაშლის წვენი, ვიტამინის აბი, კოვზი, თეფში სამი ნაჭერი დაბრაწული პურით, პატარა ფიალით თაფლი, მეორე თეფში, რომელზეც ქვედაბოლოიანი ქალის ტორსის ფორმის კვერცხის ფიალა წამომართულა. მეორე კვერცხი ქვედაბოლოს ქვეშ დევს, რომ არ გაცივდეს. კვერცხის ფიალა თეთრი ფაიფურისაა, ირგვლივ ლურჯი ზოლი დაჰყვება.

პირველი კვერცხი თეთრია. ფიალას ოდნავ გვერდზე ვწევ, ახლა მას ფანჯრიდან შემომავალი მზის მკრთალი შუქი ადგება, რომელიც გამოანათებს, მიიბჟუტება და მერე კვლავ იკრებს ძალას. კვერცხის ნაჭუჭი გლუვია, მაგრამ, დანაწევრებულიც; მზის შუქი ამკვეთრებს კალციუმის ყველა პატარა მარცვალს, როგორც მთვარის კრატერებს. უნაყოფო ზედაპირია, თუმცა – სრულყოფილი; იმ უდაბნოს ჰგავს, ადრე ამქვეყნიურ ცდუნებებს გარიდებული წმინდანები რომ აფარებდნენ თავს. ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს ღმერთიც: კვერცხისებური. შესაძლოა, მთვარეზე სიცოცხლე ზედაპირზე კი არა, მიწის სიღრმეშია.

კვერცხი ელვარებს, თითქოს შინაგან ენერგიას ასხივებს. მისი ცქერა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

მზე იმალება და კვერცხსაც ჩრდილი ეფინება.

ჭურჭლიდან ვიღებ და ერთი წუთით თითებს შორის ვიმწყვდევ.

თბილია. ასეთ კვერცხებს ქალები ძუძუებს შორის იწყობდნენ, რომ წიწილა გამოეჩეკათ. სასიამოვნო შეგრძნება იქნება.

ცხოვრება, როგორც მინიმალიზმი. კვერცხი სიამოვნებაა. ცალი ხელის თითებს შორის მოქცეული ღვთის კურთხევა. მაგრამ იქნებ სწორედ ასე უნდა აღმექვა ყველაფერი. კვერცხი მაქვს, სხვა რაღა უნდა მინდოდეს?

განსაცდელში ჩავარდნილმა ქალებმა სიცოცხლის წყურვილი შეიძლება სრულიად შეუსაბამო ნივთსა თუ არსებასთან გააიგივონ. მე მინდა, შინაური ცხოველი მყავდეს, კატა, მაგალითად ანდა რამე ფრინველი. ნაცნობი, კარგად ნაცნობი. ვირთხაზეც კი არ ვიტყოდი უარს, მაგრამ ეს გამორიცხულია. სახლი მეტისმეტად სუფთაა.

კოვზს ვიღებ, კვერცხს ვტეხ და მის შიგთავსს მივირთმევ.

მეორე კვერცხის ჭამისას სირენების ხმა მესმის, ჯერ ძალიან შორეული. მწერის წუილს ჰგავს, დიდ სახლებსა და გაკრეჭილ გაზონებს შორის მოიკვლევს გზას ჩემკენ; მერე ახლოვდება, ხმის თაიგულად იშლება და საყვირის ხმიანობას ემსგავსება. სირენების ეს ხმა ჩვენ გვიხმობს. კოვზს ხელს ვუშვებ, გული მიჩქარდება, კვლავ ფანჯარასთან მივდივარ: ლურჯი რომ აღმოჩნდეს, სასხვისო? მაგრამ ვხედავ, როგორ შემოდის იგი შემოსახვევში, ქუჩას მოუყვება, სახლის წინ ჩერდება, გაჩუმებას არ აპირებს და წითლადანათებს. სიხარული მიტანს, ენით აუწერელი სიხარული. მეორე კვერცხს სანახევროდ შეჭმულს ვტოვებ, გარდერობისკენ მივრბივარ წამოსასხამის ასაღებად და უკვე მესმის კიბეზე ფეხის ხმა და ძახილი.

– დროზე, – მეუბნება კორა, – მთელდღეს ნუ ალოდინებ, – მოსასხამის ჩაცმას მშველის და გულწრფელად იღიმება.

ლამის ჩავრბივარ შემოსასვლელამდე, კიბე სათხილამურო ტრასად მეჩვენება, მივსრიალებ. წინკარი ფართოდ გაუღიათ, დღეს აქედან გავდივარ და გუშაგიც სამხედრო პატივით მესალმება. ჟინჟღლავს და მიწასა და ბალახს ადენილი ოხშივარი ჰაერში ნაყოფიერების სურნელს ატრიალებს.

მოასფალტებულ გზასთან წითელი მშობიარომობილია გაჩერებული.

მისი უკანა კარი ღიაა და მეც შიგნით მივძვრები. იატაკზე წითელი ხალიჩა აფენია, ფანჯრებზე წითელი ფარდები კიდია. მანქანაში ფურგონის ორივე მხარეს დამგრებულ გრძელ სკამებზე უკვე სამი ქალი ჩამომსხდარა. გუშაგი ორმაგ კარს ხურავს და ბოქლომს ადებს, შემდეგ ფურგონში ადის და წინ, მძღოლის გვერდით, ჯდება; შემინულ ცხაურებს მიღმა ორ კეფას ვხედავთ. ჩვენ ვყანყალებთ, ჩვენ ზემოთ კი სირენა გაჰკივის: „გზა, გზა!“

– ვინ არის? – ვეკითხები ჩემ გვერდით მჯდარ ქალს; ყურთან ჩავყვირი, ანუ იქ, სადაც, წესით, თეთრი თავსაბურავის ქვეშ ყური უნდა ჰქონდეს, რომ სირენის ხმა გადავფარო.

– უორენისა, – ყვირილითვე მპასუხობს იგი. მოსახვევში ერთმანეთს ვაწყდებით, იგი გაუცნობიერებლად ხელს მკიდებს და მაგრად მიჭერს; ჩემკენ ბრუნდება და მე მის სახეს, მის ღაწვებზე ჩამოდენილ ცრემლს ვხედავ. კი, მაგრამ, რა ატირებს? შური? იმედგაცრუება? თუმცა, არა, ის იცინის, ხელებს მხვევს – არადა პირველად მხედავს – და გულში მიხუტებს. წითელი უნიფორმის ქვეშ დიდ ძუძუები აქვს. სახეს სახელოთი იწმენდს. დღეს ყველაფრის უფლება გვაქვს.

დავაზუსტებ: ზომიერად.

ჩვენ პირდაპირ მჯდომი ქალი ლოცულობს, თვალები დაუხუჭავს, შეტყუპებული ხელები ბაგესთან მიუტანია. შეიძლება არც ლოცულობს, ეგებ ფრჩხილებს იკვნეტს. შეიძლება ასე ცდილობს, დამშვიდდეს. მესამე ქალი უკვე მშვიდადაა, იგი გულხელდაკრეფილი ზის და ოდნავ იღიმება. სირენის ხმა არ წყდება. ადრე ეს სიკვდილის ხმა იყო, სასწრაფო დახმარების ანდა სახანძრო მანქანისა. თუმცა, შეიძლება დღესაც სიკვდილს მოასწავებდეს. ამასაც მალე გავიგებთ. ვის გააჩენს უორენისა? ჩვილს, რისი იმედიც გვაქვს? თუ რაღაც სხვას, არჩვილს, ქინძისთავივით მოცუცქნულს, ძაღლისდრუნჩიანს, ორსხეულას ანდა გულში ნახვრეტიანს, უხელოს ანდა ხელფეხდაქსელილს? ვინ იცის. ადრე შეიძლებოდა ამის წინასწარ თქმა, აპარატურის დახმარებით, მაგრამ ახლა კანონმა აკრძალა. ან რა აზრი აქვს წინასწარ გაგებას? ნაყოფს მაინც ვერ მოიცილებ; როგორიც უნდა იყოს, უნდა გააჩინო.

ჩვენი შანსი ოთხიდან ერთია. ეს ცენტრში გვითხრეს. ერთ დროს

ჰაერი მეტისმეტად დააბინძურა ქიმიურმა ნივთიერებებმა, რადიაციამ, მომწამვლელი მოლეკულებით გაჯერებულმა წყალმა, მის გაწმენდას წლები დასჭირდება, მანამდე კი ყველა მავნე ნივთიერება ჩვენს სხეულებში აღწევს და ცხიმოვან უჯრედებს გვინადგურებს. ვინ იცის, ნებისმიერი სხეული შეიძლება იყოს ნავთობჩაღვრილი ზღვასავით დაბინძურებული და დაუბადებელი ბავშვი წყლის ფრინველივით დაიღუპოს. შეიძლება ჩვენმა ხორცმა სვავები მოწამლოს. შეიძლება სიკვდილმა ერთიანად გაგვუღინთოს მესაფლავეებივით. მესაფლავე. ხოჭოს ჯიშია. სხვა მწერებს მარხავს.

ხანდახან, როცა საკუთარ თავზე, საკუთარ სხეულზე ვფიქრობ, თვალწინ ჩემი ჩონჩხი წარმომიდგება: ისეთი, როგორიც შეიძლება მიკროსკოპში გამოვჩნდე. ძვლებისაგან აწყობილი სიცოცხლის საყრდენი. მის შიგნით სახიფათო, დაბრეცილი პროტეინები, მინასავით დაკბილული საშიში კრისტალები. ქალები სვამენ წამლებს, აბებს, კაცები წამლავენ ხეებს, ძროხები ჭამენ ბალახს, მთელი ეს შარდის დომხალი მერე მდინარეებში ჩაედინება. რომ არაფერი ვთქვათ ატომური ელექტროსადგურის აფეთქებაზე სან-ანდრეასის ყურესთან, მიწისძვრასა და სიფილისის რომელიღაც მუტაციურ ფორმაზე, რომელიც სახადივით იოლად გადადიოდა. ზოგმა თვითონ იპოვა ხსნა – ვიოლინოს სიმით დაიხრჩო თავი ან ქიმიური ნივთიერებებით მოიწამლა.

როგორ გაბედეს, ამბობდა დეიდა ლიდია, ასეთი რამ როგორ ჩაიდინეს. ეგ იზებელები! ღვთის ძღვენი ხელყვეს! ხელებს იგრეხდა.

ძალიან რისკავთ, ამბობდა, თქვენ ხომ ავანგარდში ხართ. პირველები გადიხართ ბრძოლის ველზე, დანაღმულ ტერიტორიაზე. რაც მეტია საფრთხე, მით უფრო ტკბილია გამარჯვება. მან, ჩვენი არარსებული სიმამაცით აღფრთოვანებულმა, ტაში შემოჰკრა. ჩვენ თავები დავხარეთ და ჩვენ-ჩვენს მერხებს ჩავაშტერდით. გაუძლო ყველაფერს და შემდეგ ურჩხული შობო – დიდი ვერაფერი ნუგეშია. ზუსტად არავინ ვიცოდით, რას უშვებოდნენ სახიჩარ ჩვილებს, რომლებსაც არჩვილებს არქმევდნენ. ერთი ეს ვიცი, თავიდან იშორებდნენ ხოლმე, ნაჩქარევად და შორს.

მხოლოდ ერთი მიზეზი არ ყოფილა, ამბობს დეიდა ლიდია. ოთახის შესასვლელთან დგას, თავისი ხაკისფერი კაბა აცვია, ხელში

საჩვენებელი ჯოხი უჭირავს და დიაგრამაზე, რომლითაც ამ დაფაზე ოდესღაც გაკრული მსოფლიო რუკა ჩაუნაცვლებიათ, ყოველ ათას სულ მოსახლეზე რამდენიმე წლის შობადობის სტატისტიკას გვაჩვენებს: ციცაბო ფერდობი, რომელიც სულ უფრო დამრეცი ხდება, ნულოვან ნიშნულს უახლოვდება.

რასაკვირველია, ზოგიერთმა ქალმა დაიჯერა, რომ მომავალი არიარსებებდა, წარმოიდგინეს, რომ სამყარო აფეთქდებოდა. ეს მოიმიზეზეს თავის გასამართლებლად, ამბობს დეიდა ლიდია, ამბობდნენ, რომ შთამომავლობის გაგრძელება უაზრობა იყო, დეიდა ლიდიას ნესტოები უვიწროვდება, უზნეოები, უსაქმურები, და უმატებს, კახპები!

მერხზე ინიციალები დათარიღებია ამოჭრილი. ხანდახან ინიციალები დაწყვილებულიცაა და პლუსით შეერთებული. ჯ.ჰ.+ბ.ბ. 1954. ო.რ.+ლ.თ. ისინი გამოქვაბულის ქვის კედლებზე ამოკაწრულსა თუ ჭვარტლში არეული ნადირის ქონით დახატულ გამოსახულებებს მახსენებს, რომელთა შესახებაც წიგნებში წამიკითხავს. ჩემს თვალში ისინი უხსოვარი დროისაა. მერხის ზედაპირი მოყვითალო ხისაა, დაქანებულია და მარჯვენა მხარეს სახელური აქვს, ფურცელზე კალმით წერისას ხელი რომ ჩამოაყრდნო. მერხის სათავსოში შენი ნივთების შენახვა შეგიძლია: წიგნების, ბლოკნოტების. გარდასული დროის ეს ყოველდღიურობანი ახლა ფუქსავატობად, ლამის სულიერ დაცემად მეჩვენება, ბარბაროს მმართველთა ორგიების მსგავს აღვირახსნილობად. მ+გ 1972. ეს წარწერა, მერხის ლაქამძვრალ ზედაპირზე ფანქრის ათასგზის მოსმით ამოჩიჩქნილი, ჩემთვის ყველა გამქრალი ცივილიზაციის სულისკვეთებას გამოხატავს. იგი ქვაზე აღბეჭდილ ხელისგულს მიაგავს. ოდესღაც ცოცხალი ადამიანის ხელის ანაბეჭდს.

ბოლო წარწერა ოთხმოციანი წლების შუახნითაა დათარიღებული. იმ პერიოდში მრავალი სკოლა დაიხურა მოსწავლეთა სიმცირის გამო.

ისინი შეცდნენ, ამბობს დეიდა ლიდია, ჩვენ კი მათი შეცდომების გამეორებას არ ვაპირებთ, მისი ხმა ფარისევლურად ჟღერს, როგორც იმ ადამიანისა, რომელიც მოვალეა, შენივე კეთილდღეობისათვის უსიამოვნო ამბავი გაუწყოს. მინდა, მოვახრჩო, მაგრამ როგორც კი ეს აზრი გამიელვებს, მაშინვე დაუყოვნებლივ

თავიდან ვიშორებ.

ძვირფასი მხოლოდ ისაა, ამბობს ის, რაც იშვიათია და ძნელად მოსაპოვებელი. ჩვენ გვინდა, თქვენ ძვირფასები იყოთ, გოგოებო, პაუზებით პირის ჩატკბარუნება სჩვევია, თქვენ მარგალიტები უნდა იყოთ, ჩვენ, ერთ რიგად ჩამწკრივებულნი, მის მორალურ საკბილოდ ვქცეულვართ, ნებისმიერ განსაზღვრებას მოგვისადაგებს, ჩვენ კი მოთმინებით უნდა ვისმინოთ მისი ეპითეტები.

მე მარგალიტზე ვფიქრობ. მარგალიტი ხამანწკის გაქვავებული ფურთხია. მოგვიანებით მოირას ვეტყვი ამას, თუ შევძელი.

ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ გთალოთ, გთალოთ და გამოგთალოთ, კმაყოფილებითა და სიხარულით ამბობს დეიდა ლიდია.

ფურგონი ჩერდება, უკანა კარი იღება და გუშაგები გარეთ გვლალავენ. სახლის წინკართან კიდევ ერთი გუშაგი დგას, მხარზე ავტომატი გაუდვია. ჩვენ წინკართან ვგროვდებით. ჟინჟღლავს. ეს გუშაგიც სამხედრო პატივით გვესალმება. სასწრაფო დახმარების დიდი ფურგონი, დანადგარებითა და მორიგე ექიმებით სავსე, მოშორებით დგას, წრიულ მოასფალტებულ გზასთან. სული მიმდის, ვნახო, რას აკეთებენ იქ. ლოდინით გულგაწყალებულნი, ალბათ, ბანქოს თამაშობენ ან კითხულობენ. ან რამე კაცური საქმით იქცევენ თავს. მათ მშობიარობაზე დასწრების ნებას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აძლევენ.

ადრე ყველაფერი სხვანაირად იყო. ისინი ხელმძღვანელობდნენ მშობიარობის მთელ პროცესს. რა სირცხვილი იყო, ამბობდა დეიდა ლიდია, მრცხვენია.

მან, ის-ის იყო, ძველი დროის საავადმყოფოში გადაღებული ფილმი გვაჩვენა: რაღაც ხელსაწყოზე შეერთებული ფეხმძიმე ქალი, რომელსაც ელექტროდები მთელს ტანში უვლიდა და ამიტომაც დამტვრეულ რობოტს დამსგავსებოდა, ინტრავენური საწვეთურით იღებდა საკვებს. ვიღაც კაცი ფანარს ანათებდა ფეხებს შორის. ქალი სუფთად გაეპარსათ. სრულიად უთმო გოგო, სტერილიზებული დანებით სავსე ლანგარი, ნიღბიანი ადამიანები. მათი

თანამზრახველი პაციენტი. ქალებს დაბანგავდნენ, სამშობიარო ტკივილს აარიდებდნენ, გაჭრიდნენ, გაკერავდნენ. ახლა ყველაფერი სხვაგვარად არის. ტკივილსაც კი აღარ უყუჩებენ. დეიდა ელიზაბეთი ამბობდა, რომ ბავშვისთვის ასე სჯობს, თანაც: „გავამრავლებ შენს ტანჯვას ფეხმძიმობის ჟამს და ტკივილში შობ შვილებს“. ეს დამოძღვრა სადილს დავაყოლეთ, შავი პურისა და სალათის ფურცლების სენდვიჩს.

ფართოსაფეხურებიან, ორივე მხარეს ქვის ლარნაკებით დამშვენებულ კიბეს მივუყვები – ეტყობა, უორენისას მეთაური ჩემსაზე მაღალი წოდებისაა – და მეორე სირენის ხმაც მესმის. ეს ლურჯი მშობიარომობილია, ცოლების. ალბათ, სერენა ჯოიც შიგ ზის და ზეიმზე მოეშურება. მათ გრძელსკამები არ აქვთ, ნამდვილ, ტყავგადაკრულ სავარძლებზე სხედან და გზას გაჰყურებენ. არც ფარდები უშლით ხელს, არც – ცხაურები. მათ იციან, საით მიდიან.

ალბათ, სერენა ჯოი უწინაც ყოფილა აქ, ამ სახლში. ჩაიზე მოიპატიჟებდნენ. ალბათ უორენისა, ყოფილი წუწუნა ძუკნა ჯენინი, მისი და სხვა ცოლების წინაშე გამოამზეურეს, რათა ყველას დაენახა მისი მუცელი, ხელიც მიედოთ ზედ და ცოლისთვის მიელოცათ. ღონიერი გოგოა, მაგარი კუნთები აქვს. მათ ოჯახში „აგენტი ფორთოხლების“ კვალიც არ ყოფილა. ჩვენ შევამოწმეთ ჩანაწერები, სიფრთხილეს თავი არასოდეს სტკივა. ეგებ ვინმემ, სხვებზე უფრო კეთილმა, ჰკითხოს კიდეც:

– ნაცხვარი გინდა, საყვარელო?

– ო, არა, ნუ ათამამებ. ზედმეტი ტკბილი ამათთვის მავნებელია.

– ერთი ცალი არაფერს ავნებს, მხოლოდ ეს ერთი, მილდრედ.

და ეს დამპალი ჯენინიც:

– ო, დიდი სიამოვნებით, ნებას მომცემთ, მემ?

„როგორი ზრდილია, სხვებს კი არ ჰგავს, თავიანთ მოვალეობას რომ ასრულებენ მხოლოდ“. „ქალიშვილივით გყავს, ალბათ“. „ჩვენი ოჯახის წევრია“. ტკბილი დედაბრული ჭუკჭუკი. „კარგი,

საყვარელო, შეგიძლია შენს ოთახში წახვიდე“.

მისი გასვლის შემდეგ კი:

– ყველანი პატარა კახპები არიან, მაგრამ ასარჩევადაც რომ არა გვაქვს საქმე?! ვინც გვერგება, იმას უნდა დავჯერდეთ, ასე არ არის, გოგოებო? – ეს მეთაურისცოლია, ჩემი მეთაურის.

– ჰო, მაგრამ თქვენ მაინც გაგიმართლათ. ზოგიერთი ბინძურიც კია. არც კი გაგიღიმებენ. სხედან თავიანთ ოთახებში ცხვირჩამოშვებულები, თავსაც არ იბანენ. სუნი ასდით. მართებს ვგზავნი მის დასაბანად, ლამის ძალით სვამენ აბაზანაში. უნდა მოქრთამო, რომ იბანაოს, ანდა დაემუქრო.

– იძულებული ვიყავი, ჩემსას მკაცრად მოვქცეოდი და ახლა სამაგიეროს იმით მიხდის, რომ სადილს წესიერად აღარ ჭამს. სხვა ინჯრებზე კი პირსაც არაფერს აკარებს, არადა, ისეთი მოწესრიგებული გვქონდა ყველაფერი. შენი კი ნამდვილი საჩუქარია, ალბათ, როგორ ღელავ. ყოველდღე შეიძლება იმშობიაროს. ბურთივით ჩამრგვალებულა, ნაძლევს ჩამოვალ, ერთი სული გაქვს, როდის გააჩენს.

– ჩაი ხომ არ დაგიმატოთ? – თავმდაბლურად ცვლის საუბრის თემას დიასახლისი.

ვიცი, რა ხდება ხოლმე ამ თავყრილობებისას.

ნეტავ, ჯენინი რაღას აკეთებს თავის ოთახში? ზის, პირში ისევ გრძნობს შაქრის გემოს, ტუჩებს ილოკავს. ფანჯრიდან იყურება. სუნთქვით ვარჯიშებს აკეთებს. თავის დაბერილ ძუძუებს ეფერება. და არაფერზე ფიქრობს.

20

შიდა მთავარი კიბე ჩვენსაზე განიერია, ორივე მხარეს მოჩუქურთმებული მოაჯირები ამშვენებს. ზემო სართულიდან ჩვენზე ადრე მოსული ქალების გალობა მესმის. ჩვენც ავდივართ მაღლა, ერთ მწკრივად; ვცდილობთ, ერთმანეთის კაბების გრძელ შლეიფებს ფეხი არ დავაბიჯოთ. მარცხნივ სასადილო ოთახის ორმაგი კარი შეღებულია და მის მიღმა გრძელ, თეთრსუფრაგადაფარებულსა და საუზმით გაწყობილ მაგიდას ვკიდებ თვალს: ლორი, ყველი, ფორთოხალი – მათ ფორთოხალი აქვთ! – ახლად გამომცხვარი პური და ნამცხვრები. ჩვენ ლანგარზე დაწყობილ რძესა და სენდვიჩებს მოგვიტანენ მოგვიანებით, ამათ კი ყავის აპარატიც აქვთ, ღვინის ბოთლებიც; ასეთ ღირსშესანიშნავ დღეს რატომაც არ უნდა გადაჰკრან ცოლებმა ერთი-ორი ჭიქა? ჯერ შედეგს დაელოდებიან და მერე მუცელს ამოიყორავენ. მანამდე კი კიბის მეორე მხარეს, მოსასვენებელ ოთახში არიან შეკრებილი მეთაურის, უორენის, ცოლის გასამხნევებლად. პატარა, გამხდარი ქალი ბამბის თეთრ პერანგშია გამოწყობილი და იატაკზე წევს; მისი შეჭაღარავებული თმა ობივით მოსდებია ხალიჩას; ცოლები ერთ ციცქნა მუცელს უზელენ, თითქოს მართლა ის აპირებდეს წუთი-წუთზე ბავშვის გაჩენას.

მეთაური, რა თქმა უნდა, არსად ჩანს. ის იქაა, სადაც ასეთ დროს კაცები მიდიან ხოლმე, ანუ სადღაც მოფარებულში. შეიძლება იმას ითვლის, რამდენ ხანში დააწინაურებენ, თუკი ყველაფერი კარგად ჩაივლის. არა, ახლა უეჭველად დააწინაურებენ.

უორენისა ახლა ბატონის საძინებელშია, დიახ, „ბატონის“; ამ ოთახში მეთაური და მისი ცოლი განისვენებენ ღამღამობით. მათ ბალიშებით მოფენილ საიმპერატორო საწოლზე ახლა მხევალი წევს: ჯენინი, მუცელგაბერილი, მაგრამ დამცირებული, ძველსახელწართმეული. ბამბის თეთრი პერანგი თეძოებს ზემოთ აუკეცავთ; გრძელი ცოცხისფერი თმა აწეული აქვს და უკან შეკრული, რომ სახეზე არ ჩამოეშალოს. თვალები მაგრად დაუხუჭავს და ასეთი თითქმის მომწონს კიდეც. ბოლოს და ბოლოს, ის ერთი ჩვენგანია; მას ხომ

მხოლოდ ის უნდა, რომ შეძლებისდაგვარად უკეთ იცხოვროს? განა ყველას ეს არ გვსურს? ყველა შესაძლებლობას ბრჭყალებით უნდა ჩაეჭიდო. ჰოდა, ჯენინი ამას მშვენივრად ახერხებს, განსაცდელში ჩავარდნილის პირობაზე, რასაკვირველია.

სასთუმლის ორივე მხარეს მშობიარეს თითო ჩემთვის უცნობი ქალი უზის, ხელებს უჭერენ, თუ ის უჭერს ამათ. მესამე ქალი პერანგს უწევს, მუცლის ბორცვზე საბავშვო ზეთს აღვრის და ზემოდან ქვემოთ აზელს კანში. ჯენინის ფეხებთან განუყრელ გულისჯიბეებიან ხაკისფერ სამხედრო კაბაში გამოწყობილი დეიდა ელიზაბეთი დგას, ჩვენი სამეანო განათლების მასწავლებელი; მე მხოლოდ მის პროფილს ვხედავ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ის არის – აბზეკილი ცხვირითა და მოხდენილი, მკაცრი ნიკაპით ვცნობ. მის გვერდით სამშობიარო სკამი დგას, ორმაგდასაჯდომიანი. წინა დასაჯდომი უფრო დაბალია, უკანა კი ტახტივით აღმართულა მის თავზე. ამ სკამზე ჯენინის დასმის დრო ჯერ არ მოსულა. საბნები გამზადებულია, იქვე პატარა საბანაო ვარცლია; ჯამით ყინულიც მოუტანიათ, რომ მშობიარემ წუწნოს.

დანარჩენი ქალები ფეხებმოკეცილი სხედან ხალიჩაზე; თვლა აღარ აქვთ, მგონი, მთელი უბნის საქალეთი აქაა, ოცდახუთამდე, ოცდაათამდე იქნებიან. ყველა მეთაურს არ ჰყავს მხევალი: ზოგიერთს ცოლმა აჩუქა შვილები. დევიზიასეთია: „ყოველი ქალი გაიღებს საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით, ყოველი კაცი იღებს თავისი საჭიროებების შესაბამისად“. ჩვენ ამას დესერტის შემდეგ სამჯერ ვიმეორებდით. ეს ბიბლიიდან იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე გვეუბნებოდნენ. ისევ წმინდა პავლე, რომელიღაც ეპისტოლე.

თქვენ გარდამავალი თაობა ხართ, ამბობდა დეიდა ლიდია, ყველაზე მძიმე დროს მოგიწიათ ცხოვრებამ. ვიცით, რამხელა მსხვერპლს იღებთ. თქვენთვის ძნელია კაცებისგან შეურაცხყოფის ატანა. შემდგომი თაობისთვის ყველაფერი გაიოლდება. ისინი თავიანთ მოვალეობას გულმხურვალედ შეასრულებენ.

მას არ უთქვამს: რადგან მათ არ ემახსოვრებათ სხვაგვარი ცხოვრება.

მან თქვა: რადგან მათ არ მოუნდებათ ის, რაც ვერასოდეს ექნებათ.

კვირაში ერთხელ, ნასადილევს, თვალის მოტყუებამდე, ფილმებს გვაყურებინებდნენ. ხელსაქმის კაბინეტში ვისხედით ხოლმე, იატაკებზე გაფენილ ჩვენ-ჩვენს პატარამწვანე ჭილოფებზე და ვიცდიდით, სანამ დეიდა ჰელენა და დეიდა ლიდია პროექტორთან ჯახირობდნენ. უარეს შემთხვევებში თავდაყირა გაშვებული ფილმების ყურება გვიწევდა. ეს ყველაფერი სკოლის პერიოდს, ათასი წლის წინანდელ გეოგრაფიის გაკვეთილებს მახსენებდა, რომელზედაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებლების შესახებ გადაღებულ ფილმებს გვიჩვენებდნენ: გრძელ ქვედაბოლოებსა ან ბამბის ქსოვილის იაფფასიან, მოჩითულ კაბებში გამოწყობილი ქალები ფიჩხის კონებს, კალათებს ანდა რომელიღაც მდინარიდან წამოღებული წყლით სავსე პლასტმასის სათლებს ეზიდებოდნენ, მათ მკერდზე შალით ანდა ბადით ჩამოკიდებული ჩვილები დაელმებულები თუ შეშინებულები შემოგვცქეროდნენ ეკრანიდან, არ იცოდნენ, რას უპირებდათ ეს შუშისთვლიანი მოწყობილობა. ის ფილმები თითქოს მანუგეშებდა, მაგრამ თან მთქნარება მიტყდებოდა. მაშინაც კი მეძინებოდა, როდესაც ეკრანზე კუნთებმოშიშვლებული მამაკაცები ჩნდებოდნენ, ტალახიან მიწას პრიმიტიული თოხებითა და ნიჩბებით ამუშავებდნენ და უზარმაზარ ლოდებს ეზიდებოდნენ. მე სხვაგვარი ფილმები მერჩივნა – ცეკვებით, სიმღერებით, სადღესასწაულო ნიღბებით, ჩუქურთმიანი მუსიკალური არტეფაქტებით: ბუმბულებით, თითბერის ღილებით, ნიჟარებით, დოლებით. ამ ხალხის ბედნიერების ყურება მერჩივნა მათი უბედურების, შიმშილის, სიგამხდრის ცქერას, იმის ყურებას, თუ როგორ აკლავდნენ თავს ყოველდღიურ საქმეებს: ჭის ამოთხრას, მიწის მორწყვას – პრობლემებს, რომლებიც ცივილიზებულ ერებს დიდი ხნის წინ გადაეჭრათ. ვფიქრობდი, რომ ვინმეს მათთვის ტექნიკა უნდა მიეცა და მისი გამოყენება ესწავლებინა.

დეიდა ლიდია ამგვარ ფილმებს არ გვიჩვენებდა.

ხანდახან ძველ პორნოფილმებს გვაყურებინებდა, სამოცდაათიანი ან ოთხმოციანი წლებისა. ქალები დაჩოქილები წოვდნენ პენისებსა თუ თოფებს. დაბმული, ჯაჭვით შებორკილი ანდა ყელზე ძაღლის საყელოგამობმული ქალები; ხეზე ჩამოკიდებულები, ხანდახან – უკუღმა; გაშიშვლებულები, ფეხებგაფარჩხულები; ქალები, რომლებსაც აუპატიურებდნენ, სცემდნენ, ხოცავდნენ. ერთხელ

გვაყურებინეს, როგორ აუჩქარებლად აქნეს ერთი ქალი ასო-ასო, თითები და ძუძუები ბაღის მაკრატლით დააჭრეს, მუცელი გამოუფატრეს და ნაწლავები გადმოაყრევინეს.

ამჩნევთ, რამხელა განსხვავებაა? ამბობდა დეიდა ლიდია, ხედავთ, რაები ხდებოდა? აი, ასე ექცეოდნენ ქალებს, მაშინ. მას გულისწყრომისაგან ხმა უკანკალებდა.

მერე მოირამ გვითხრა, რომ ეს დადგმული იყო, ფიტული აწამეს; მაგრამ ვინ იცის.

თუმცა, ხანდახან გვიჩვენებდნენ ფილმებს, რომლებსაც დეიდა ლიდია „არქალთა ქრონიკებს“ უწოდებდა.

წარმოიდგინეთ, ამბობდა დეიდა ლიდია, რაში კარგავდნენ დროს, იმის ნაცვლად, რომ რამე სასარგებლო გაეკეთებინათ. ძველ დროში არქალები მუდამ ფუჭად კარგავდნენ დროს. ამაში მათ ხელს უწყობდნენ. მთავრობა მათ დროის ფლანგვაში ფულს უხდიდა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ზოგი მათი იდეა სულაც არ იყო ურიგო, აგრძელებდა დეიდა ლიდია, მის ხმაში განმსჯელის თვითკმაყოფილება და თავდაჯერება ჟღერდა, მათი ზოგიერთი იდეის შეწყნარება შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთის, დღესაც კი. ეს გაითვალისწინეთ, ამატებდა მორცხვად და თითს გვიქნევდა, მაგრამ ისინი ურწმუნოები იყვნენ, ეს კი ყველაფერს ცვლის, ხომ მეთანხმებით?

მე ჩემს ჭილოფზე ვზივარ, გულხელდაკრეფილი. დეიდა ლიდია გვერდზე იწევს, ეკრანს შორდება. სინათლეს აქრობენ და მე ვცდილობ, სიბნელეში შეუმჩნევლად გადავიხარო მარჯვნივ, რომ ჩემ გვერდით მჯდარ ქალს გადავუჩურჩულო. რა უნდა ვუჩურჩულო? ვკითხავ: „მოირა ხომ არ გინახავს?“ იმიტომ, რომ არავის უნახავს. საუზმეზეც არ გამოჩენილა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ოთახში ბინდი ჩამოწვა, კარგად მაინც არ ბნელა, ასე რომ თავს ძალას ვატან, ყურადღება მოვიკრიბო და ეკრანს შევხედო. ესენი ფილმებს ხმოვან ფონს უთიშავენ, ოღონდ მხოლოდ ამგვარ ფილმებს, პორნოს – არა. გვასმენინებენ წივილ-კივილსა და კვნესას, რაც, ალბათ, გაუსაძლისი ტკივილისა თუ უსაზღვრო სიამოვნების ან ერთდროულად ორივეს გამომსახველია, მაგრამ არ სურთ

მოვისმინოთ, რას ამბობენ არქალები.

ჯერ სათაური და რაღაც სახელები ჩნდება, რომლებიც მუქი პასტელითაა გადაფარული, მერე დედაჩემს ვხედავ. ახალგაზრდა დედას, უფრო ახალგაზრდას, ვიდრე ჩემს მეხსიერებას შემოუნახავს, ისეთ ახალგაზრდას, როგორიც, ალბათ, ჩემს დაბადებამდე იყო. დეიდა ლიდიამ გვითხრა, რომრაც მას აცვია, იმდროინდელი არქალების ტიპური სამოსი იყო: ჯინსის კომბინეზონი, მწვანე და მოვარდისფრო უჯრედებიანი კუბოკრული პერანგი, ფეხზე – კედები. ერთ დროს მოირაც ასე იცვამდა; საკუთარი თავიც მახსენდება ასეთ ტანსაცმელში გამოწყობილი დიდი ხნის წინათ. თმაზე უკან განასკვული მოვარდისფრო-ლილისფერი ცხვირსახოცი გადაუკრავს. სრულიად ნორჩი სახე აქვს, ძალიან სერიოზული, ლამაზიც კი. დამვიწყებია კიდეც, რომ დედაჩემი ოდესღაც ასეთი მშვენიერი და ასეთი სერიოზული იყო. იგი თავის მსგავსად ჩაცმული ქალების ჯგუფში დგას; ხელში რაღაც ჯოხი უჭირავს, არა, ეს პლაკატის ნაწილია, მისი ტარი. კამერა ზემოთ მიიწევს და მე ვხედავ ფლომასტერით დაწერილს ძველ ზეწარზე: „უკან გიბრუნებ იმ ღამეს“. ეს წარწერა არ ჩაუბნელებიათ, მიუხედავად იმისა, რომ კითხვა გვეკრძალება. ჩემ გარშემო მსხდარ ქალებს სუნთქვა ეკვრით, ოთახი მღელვარებით თრთის, თითქოს ბალახს ნიავმა გადაუქროლაო. გვიდარაჯებენ, როგორ მოვიქცევით? თუ ამას იმიტომ გვიჩვენებენ, რომ შეგვახსენონ, როგორ უსაფრთხოდ ვართ, იმ დროსთან შედარებით?

ამ პლაკატის უკანკიდევ არის რამდენიმე და კამერა ყოველ მათგანთან ორიოდე წამით ყოვნდება: „არჩევანის თავისუფლება“; „ყველა ბავშვი სასურველია“; „გაათავისუფლეთ ჩვენი სხეულები“, „გჯერათ, რომ ქალის ადგილი სამზარეულოს მაგიდაზეა?“ ამ ბოლო წარწერის ქვეშ გრაფიკული ნახატიცაა: სამზარეულოს მაგიდაზე წამოწოლილი ქალის სხეულიდან სისხლის წვეთავს.

ახლა დედაჩემი წინ მიიწევს, ის იღიმება, იცინის. ყველა წინ დგამს ნაბიჯს და მუშტად შეკრულ ხელებს მაღლა სწევს. კამერა ზეცისკენ ტრიალდება. ჰაერში ასობით ბუშტი ლივლივებს, ძაფებგამობმული: წითელ ბუშტებზე წრეებია მიხატული, ყუნწიანი წრეები, ვაშლის მსგავსი, ყუნწები კი ჯვრებს ჰგავს. ქვემოთ, მიწაზე, დედაჩემი ახლა ბრბოს ნაწილად ქცეულა და მე ვეღარ ვხედავ.

შენ რომ გაგაჩინე, ოცდაჩვიდმეტი წლის ვიყავი, მიყვებოდა დედა, შეიძლებოდა, მახინჯი დაბადებულიყავი, რამე ნაკლი გამოგყოლოდა. შენ სასურველი ბავშვი იყავი, დიახაც, მაგრამ ვისაც არ ეზარებოდა, ყველა მაფურთხებდა. ჩემი ძველმა მეგობარმა, ტრიშამ, პრონატალისტი და ბოზიც კი მიწოდა. გშურს-მეთქი, დავგესლე. სხვებს ჩემს ფეხმძიმობაზე არაფერი უთქვამთ, ოღონდ ექვსი თვე რომ შემისრულდა, მათმა უმრავლესობამ გაზეთიდან ამოჭრილი სტატიების გამოგზავნა დამიწყო იმის შესახებ, როგორ მატულობს ოცდათხუთმეტი წელზე უფროსი ასაკის ორსულთათვის მახინჯი ნაყოფის დაბადების საფრთხე. ესღა მაკლდა. მიგზავნიდნენ სტატიებს, რომლებშიც ეწერა, რა ძნელია ბავშვის მარტო გაზრდა. „უკან შეიტენეთ, ეგ ნაგავი! – ვუთხარი მე, – მე წამოვიწყე ეს ამბავი და მევე გავალ ბოლოში“. საავადმყოფოს ანკეტაში ჩამიწერეს – „ასაკოვანი პირველმშობიარე“. გამოვიჭირე. აი, რას გიწოდებენ, თუ პირველ შვილს ოცდაათ წელს გადაცილებული აჩენ. ოცდაათი წელი. ღმერთო ჩემო. „ნაგვებო, – ვუთხარი მე, – ბიოლოგიური თვალსაზრისით მე ოცდაორი წლის ვარ, შემიძლია ყოველდღე შემოვურბინო ამ საავადმყოფოს. შემიძლია სამი ტყუპი გავაჩინო და სანამ თქვენ აზრზე მოხვალთ, აქედან დავახვიო“.

ამას რომ იტყოდა, ნიკაპს წინ წამოსწევდა ხოლმე. სწორედ ასეთი დამამახსოვრდა: ნიკაპგამოშვერილი იჯდა სამზარეულოს მაგიდასთან, წინ სასმლით სავსე ჭიქა ედგა. აღარ იყო ისეთი ახალგაზრდა, სერიოზული და ლამაზი, როგორიც ფილმში; ფიცხ მოხუცად ქცეულიყო, ისეთად, სუპერმარკეტში მის წინ ვინმემ ურიგოდ გაძვრომა რომ სცადოს, თვალებს რომ ამოსთხრის. უყვარდა ჩვენთან სტუმრობა, სანამ მე და ლუკი ვახშამს ვამზადებდით, ერთი ჭიქის დალევა და თავისი ცხოვრების ლანძღვა, რაც მერე მუდამ ჩვენი ცხოვრების ლანძღვით მთავრდებოდა. თმა უკვე მთლად გაჭაღარავებოდა. აღარ იღებავდა. ვის გავეპრანჭო, ამბობდა. რაში მჭირდება, მეც უცებ კაცები არ დავიხვიო თავს. რა ხეირია კაცებში, გარდა იმ ათი წამისა, როცა ბავშვს აკეთებენ. კაცი ქალის საშუალებაა ახალი ქალების შესაქმნელად. მამაშენი ცუდი კაცი სულაც არ იყო, მაგრამ მამად არ ივარგებდა. ამას არც ველოდი. მორჩი შენს საქმეს და აახვიე აქედან-მეთქი, ვუთხარი. მე მშვენიერი ხელფასი მაქვს, ძიძას ავიყვან. ჰოდა, ისიც ზღვისპირეთში

გაემგზავრა და იქიდან საშობაო მისალოცებს გვიგზავნიდა. მშვენიერი ცისფერი თვალები კი ჰქონდა. მაგრამ ყველას მაინც რაღაც მნიშვნელოვანი აკლია, ყველაზე კარგებსაც კი. თითქოს მუდამ ღრუბლებში დაფრინავენ, წესიერად საკუთარი სახელიც არ ახსოვთ. ძალიან ხშირად იყურებიან ცაში, მიწას ფეხს აღარც აკარებენ. ქალების ნეკის ფრჩხილადაც არ ღირან, თუმცა, მანქანების შეკეთება და ფეხბურთის თამაში ეხერხებათ. ამით აპირებენ კაცობრიობის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანას.

აი, ასეთებს მიაყრიდა ხოლმე, ლუკსაც არ ერიდებოდა. იმასაც მეტი რა უნდოდა, თავს მოიმაჩოებდა და ნერვებს უშლიდა, ეუბნებოდა, ქალებს განყენებული აზროვნება არ შეგიძლიათო. ამის გამგონე დედა კიდევ ერთ ჭიქას დაისხამდა და გაიღიმებდა:

შე შოვინისტო ღორო, ეტყოდა ლუკს.

როგორი ძველმოდურია, არა? მე მომიბრუნდებოდა ლუკი, დედაჩემს კი სახეზე ეშმაკური, ლამის ცბიერი გამომეტყველება გადაეფინებოდა.

მე უკვე მოხუცი ვარ, ამბობდა ის, ვალმოხდილი. ძველმოდურობის დრო დამიდგა. შენ კი პირზე რძე არ შეგშრობია, ღლაპი ხარ.

შენ კი, მომიბრუნდებოდა, შენ ჩემი პროტესტი ხარ, ჩემი წამიერი სისუსტე. ისტორია მაპატიებს.

მაგრამ ასეთ რამეებს მხოლოდ სამი ჭიქის შემდეგ ამბობდა.

თქვენ, ახალგაზრდებმა, არაფრის ფასი არ იცით, გვეუბნებოდა ის, არ იცით, რად დაგვიჯდა, რომ თქვენ დღეს ასე გეცხოვრათ. შეხედე შენს ქმარს, როგორ ჭრის სტაფილოს. იცით, რამდენი ქალის სიცოცხლე შეიწირეს, რამდენი ქალის გვამი გადათელეს ტანკებმა, რომ ამისთვის მიგვეღწია?

მზარეულობა ჩემი ჰობია, იტყოდა ლუკი, საჭმლის კეთება მსიამოვნებს.

ჰობი არა, შმობი, მოუჭრიდა სიტყვას დედაჩემი, ნუ იხდი ბოდიშებს, არ არის საჭირო. იყო დრო, ასეთი ჰობის გამო პედერასტს

დაგიძახებდნენ.

კარგი რა, დედა, ჩავერეოდი ლაპარაკში, ტყუილად ნერვებს რატომ იშლი?!

ტყუილადო?! გაცეცხლდებოდა იგი, გგონია, ტყუილად ვყბედობ, არა?! შენ არაფერი გესმის! აზრზე არა ხარ, რაზე გელაპარაკები.

ხანდახან ტირილსაც ამოუშვებდა. სულ მარტო ვიყავი, გულს ამოაყოლებდა ნათქვამს, შენ ვერც წარმოიდგენ, რა მარტო ვიყავი.თითქოს მეგობრები მყავდა, თითქოს არაფერი მაკლდა, მაგრამ მაინც მარტოობა მტანჯავდა.

დედაჩემს ზოგჯერ ვაღმერთებდი, თუმცა, საკმაოდ რთული ურთიერთობა გვქონდა. ვგრძნობდი, რომ ის ჩემგან ყოველთვის ძალიან ბევრს მოელოდა. მოელოდა, რომ მის ცხოვრებას, მის არჩევანს გავამართლებდი. მე კი არ მინდოდა, მისი წესებით მეცხოვრა. არ მსურდა, მისი სულიერი შთამომავალი ვყოფილიყავი, მისი იდეების გამგრძელებელი. ამის გამო ხშირად ვკამათობდით. მე არ მინდა, შენი ამქვეყნად ყოფნის გამართლება ვიყო, ვუთხარი ერთხელ.

მინდა, რომ ის დამიბრუნდეს და დაე, ყველაფერი ისევე იყოს, როგორც წინათ. მაგრამ ვის ენაღვლება, მე რა მინდა.

21

ამ ოთახში ცხელა და მეტისმეტი ხმაურია. ყოველი მხრიდან ქალების ხმა ისმის. დუმილში გატარებული ამდენი დღის შემდეგ ეს ტკბილი გალობაც კი უკვე ძალიან მჭრის ყურს. ოთახის კუთხეში სისხლით დალაქავებული, დაჭმუჭვნილი და დაგორგლილი ზეწარი გდია, რომელზედაც, ალბათ, ჯენინმა წყლები დაღვარა. ეს ზეწარი ახლაღა შევამჩნიე.

ოთახი ყარს, ჰაერი ჩახუთულია. ფანჯარა მაინც გაეღოთ. ერთმანეთშია არეულა ჩვენი სხეულების სურნელი, ოფლის და რკინის სუნი, გასისხლიანებულ ზეწარს რომ უდის, ამას კი ცხოველური სიმყრალე ემატება. ალბათ, ჯენინის სუნია, ბუნაგის სიმყრალე, პირველყოფილებით სავსე გამოქვაბულის, საწოლის უჯრედებიანი გადასაფარებლისა, რომელზეც, ეს-ეს არის, კატამ იმშობიარა. საშვილოსნოს სუნი.

– ისუნთქე, ისუნთქე, – ვგალობთ ჩვენ, როგორც გვასწავლეს, – შეიკავე, შეიკავე, ამოუშვი, ამოუშვი, – ამოვიმღერებთ ხოლმე ყოველ ხუთ დათვლაზე. ხუთ თვლაზე უნდა ჩაისუნთქოს, ხუთზე – სუნთქვა შეიკავოს, ხუთზეც – ამოისუნთქოს. თვალდახუჭული ჯენინი ცდილობს, მშვიდად ისუნთქოს. დეიდა ელიზაბეთი სამშობიარო შეტევის მოახლოებას გრძნობს.

ჯენინი ადგილზე ვერ ისვენებს, სიარული უნდა. ორი ქალი საწოლიდან აყენებს, მხრებში უდგება და ნაბიჯების გადადგმაში ეხმარება. ჯენინს სამშობიარო შეტევა ცელავს, ორად იკეცება. ერთ-ერთი ქალი იმუხლებს და ზურგს უზელს. ეს კარგად გამოგვდის, ცენტრში გვასწავლეს. გლენისას ვხედავ, მაღაზიებში სიარულისას ჩემს მეწყვილეს, ორი ქალის იქით ზის. ტკბილი გალობის ხმა მემბრანასავით გვეკვრის გარს.

მართა შემოდის, ხელში ლანგარი უჭირავს, რომელზეც ხილის, ალბათ, ყურძნის ფხვნილისაგან დამზადებული წვენით სავსე დოქი და ერთმანეთში ჩალაგებული ქაღალდის ჭიქები უწყვია. იგი ლანგარს ხალიჩაზე დებს, მგალობლების წინ. გლენისა გალობ-

გალობით ისხამს წვენს, წრუპავს, ჩვენ კი ქაღალდის ჭიქების ჩამორიგებას ვიწყებთ.

ერთ ჭიქას ვიღებ და ვტრიალდები, რომ დანარჩენი ჩემს გვერდითა მეზობელს გადავცე. იგი მეჩურჩულება:

– ვინმეს ეძებ?

– მოირას, – ჩურჩულითვე ვპასუხობ მე, – შავთმიანია, ჭორფლიანი.

– არ ვიცი, – მეუბნება ქალი. მე მას არ ვიცნობ, ცენტრში ჩემთან ერთად არ ყოფილა. თუმცა, მაღაზიებში სიარულისას შემხვედრია, – მაგრამ მეც მოვძებნი.

– რა გქვია?

– ალმა, – მპასუხობს ის, – შენ? ნამდვილი სახელი მითხარი.

მინდა ვუთხრა, რომ ერთი ალმა ცენტრში იყო, ჩემთან ერთად. მინდა, ჩემი სახელიც გავუმხილო, მაგრამ დეიდა ელიზაბეთი თავს სწევს და ოთახს ათვალიერებს. იგი მიხვდა, რომ ვიღაცამ გალობა აურია, ასე რომ, სჯობს, ფრთხილად ვიყოთ. ხანდახან, ბავშვების დაბადების დღეებში, რაღაცის გაგება შეიძლება, თუმცა, ლუკის ამბის გაკითხვა არ ღირს. ის ისეთ ადგილას არ იქნება, რომ რომელიმე მხევალს ენახა.

ისევ ვგალობთ და ვგრძნობ, რომ უკვე დავიღალე. მძიმე სამუშაოა, ყურადღების მოკრება სჭირდება.

– წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მშობიარობთ, – გვეუბნება დეიდა ელიზაბეთი. მუცელში მსუბუქ ტკივილს ვგრძნობ, მკერდი მიმძიმდება. ჯენინი უკვე კივის. უცნაურ ხმას გამოსცემს, არც კვნესაა, არც მთლად კივილი.

– მშობიარობა ეწყება, – ამბობს დეიდა ელიზაბეთი.

ერთ-ერთი დამხმარე ჯენინს დაცვარულ შუბლს უწმენდს. ჯენინი ოფლად იღვრება, თავზე გადაკრული რეზინის ლენტიდან თმა გამოსჩეჩვია და შუბლსა და კისერზე ეკვრის. ერთიანად სველია,

გაწუწული და მთელი სხეული უპრიალებს.

– ღრმად ისუნთქე, ღრმად ისუნთქე, ღრმად ისუნთქე! – ვგალობთ ჩვენ.

– გარეთ მინდა გასვლა, – ამბობს ჯენინი, – ფეხით მინდა გავიარო, კარგად ვარ. ტუალეტში მინდა.

ყველამ ვიცით, რომ ჯენინი, სადაცაა, იმშობიარებს. თვითონ კი წარმოდგენაც არ აქვს, რას აკეთებს. ნეტავ რომელი უფრო მართალია? მე მგონი, მეორე. დეიდა ელიზაბეთი ანიშნებს და ორ ქალს ღამის ქოთანი შემოაქვს. ჯენინი გაჭირვებით ჯდება. ოთახში გამეფებულ სიმყრალეს კიდევ ერთი სუნი ემატება. ჯენინი ისევ კვნესის, თავი ისე აქვს ჩახრილი, რომ მხოლოდ მის თმას ვხედავთ. ასე მოკაკვული ძალიან ჰგავს თოჯინას, ძველსა და გაცვეთილს, ხელებმოგრეხილი რომ მიუგდიათ ბნელ კუთხეში.

ჯენინი კვლავ ფეხზე დგება და დადის.

– დამსვით, – ამბობს ის.

ნეტავ, რამდენი ხანია, რაც აქ ვართ? წუთები თუ საათები. მეც ვიოფლები, იღლიასთან კაბა ერთიანადმისველდება, ზედა ტუჩზე სიმლაშეს ვგრძნობ, ცრუ ტკივილები მუცელს მისერავს და ვხედავ, რომ სხვებიც ჩემს დღეში არიან – ამას მათი დაგრეხილი სხეულები მოწმობს. ჯენინი ყინულის კუბს წუწნის. და უცებ, ორიოდე ნაბიჯის თუ რამდენიმე მილის მოშორებით, იგი კივის:

– არა! ო, არა! არა! არა!

ეს მისი მეორე შვილია. ერთი უკვე გააჩინა, ადრე. ეს ამბავი ცენტრიდან მახსოვს, სადაც ღამღამობით, ჩვენსავით, ისიც ტიროდა ხოლმე, ოღონდ – ყველაზე ხმამაღლა. ასე რომ, უნდა ახსოვდეს, რა ხდება ახლა და რა მოხდება მერე. მაგრამ ვიღას ახსოვს ჩავლილი ტკივილი? ტვინი მას მაშინვე ივიწყებს, აჩრდილივით გაფერმკრთალებული მოგონება მხოლოდ ხორცსღა შემორჩენია. ტკივილი დაღს გვასვამს, მაგრამ ძალიან ღრმად, თვალისა და გონებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

ვიღაცამ ყურძნის წვენი დაიმატა. ვიღაცამ ქვედა სართულიდან ღვინის ბოთლი ამოაყოლა ხელს. ასეთ შეკრებებზე ასეთი რამ პირველად არ ხდება, მაგრამ ისინი ამაზე თვალს ხუჭავენ. ხანდახან ჩვენც გვჭირდება ღრეობები.

– ოთახი ჩააბნელეთ, – ამბობს დეიდა ელიზაბეთი, – უთხარით, რომ დროა.

ვიღაც დგება და კედელთან მიდის. ოთახში შუქი ახლა ოდნავღა ბუუტავს, ჩვენი ხმები სულ უფრო და უფრო ემსგავსება ჭრიჭინს, ხრინწიან ჩურჩულს, ჭრიჭინობელების ღამეულ ხმიანობას. ორი ქალი ოთახიდან გადის, ორიც ჯენინთან მიდის და სამშობიარო სკამის ქვედა საჯდომზე სვამს. ახლა ის შედარებით მშვიდადაა, მისი ფილტვები ხმაურით იწოვს ჰაერს. ჩვენ მისკენ ვიხრებით, ერთიანად დაძაგრულები, დაძაბულობისაგან ზურგისა და მუცლის კუნთები გვტკივა. ის ახლოვდება, ახლოვდება, საყვირის ხმასავით, რომელიც ომში გიწვევს. თითქოს კედელი ინგრევა და ჩამოცვენილი მძიმე ლოდების ბრაგუნი გვესმის. გვეჩვენება, რომ ეს ლოდები ჩვენ შიგნით ცვივა, გვგონია, სადაცაა, გავსკდებით. ერთმანეთს ხელს ვკიდებთ, ვერთიანდებით.

აჩქარებით შემოდის მეთაურის ცოლი, თავისი სასაცილო თეთრი ბამბის ღამის პერანგიდან გაჩხინკული ფეხები უჩანს. ლურჯ კაბაში გამოწყობილი ორი ცოლი აქეთ-იქიდან ებიჯგება, თითქოს მართლა უჭირდეს დაუხმარებლად სიარული; ტუჩებმოკუმული იღიმება წვეულების იმ დიასახლისის მსგავსად, რომელსაც მაინცდამაინც არ ეხალისება მასპინძლის როლის შესრულება. ალბათ, ხვდება, რას ვფიქრობთ მასზე. იგი სამშობიარო სკამისაკენ მიბობღავს, უკანა დასაჯდომზე ჯდება, ჯენინის ზემოთ, ჩარჩოსავით ერტყმის გარს მშობიარეს: მისი გაძვალტყავებული ფეხები ექსტრავაგანტური სავარძლის სახელურებივით დაშვებულან ჯენინის აქეთ-იქით. საკმაოდ ექსცენტრიკულად აცვია: ბამბის თეთრი წინდები და ოთახის ლურჯი ჩუსტები, ისეთი ღინღლიანი ნაჭრისაგან შეკერილი, რომ უნიტაზის დასაფენს მაგონებს. მაგრამ ჩვენ ახლა მეთაურის ცოლისთვის არ გვცალია, მას თითქმის ვერც ვხედავთ, ჯენინს მივჩერებივართ გაფაციცებული. ამ ბინდბუნდში თავის თეთრ პერანგში გამოწყობილი იგი ღრუბლებიდან გამომკრთალ მთვარეს ჰგავს.

ახლა ის მეტისმეტი ძალისხმევისაგან ძლივსღა ლუღლუღებს.

– მიდი, მიდი, მიდი, – ვჩურჩულებთ ჩვენ, – ამოისუნთქე, ჩაისუნთქე, მიდი, მიდი, მიდი.

ჩვენ მასთან ვართ, თითქოს ერთნი ვართ. ჩვენ მთვრალები ვართ. დეიდა ელიზაბეთი იჩოქებს, პირსახოცს შლის, რომ შიგ ბავშვი გაახვიოს, შემდეგ კი – დაგვირგვინება, გამარჯვება – თავი, მეწამული და თითქოს იოგურტში ამოთხვრილი. კიდევ ერთი გაჭინთვაც და ის გარეთ გამოსხლტება, წყლითა და სისხლით გაპოხილი, ჩვენი სანატრელი. ო, დიდება შენდა.

სუნთქვაშეკრულები შევყურებთ. დეიდა ელიზაბეთი პატარას ათვალიერებს: გოგონაა, ციცქნა, თუმცა, ახალშობილის პირობაზე სრულყოფილი, ყოველ შემთხვევაში, ერთი თვალის შევლებით არაფერი სჭირს; ჩვენც ჩუმად ვაკვირდებით: ხელები, ფეხები, თვალები – ყველაფერი თავის ადგილას აქვს. დეიდა ელიზაბეთს ბავშვი ხელში უჭირავს და გვიღიმის. ჩვენც ვუღიმით, ერთ დიდ ღიმილად ქცეულნი. ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოგვდის ცრემლი. ღმერთო, როგორი ბედნიერები ვართ.

ჩვენი ბედნიერება ნაწილობრივ მოგონებებითაა განპირობებული. მეახლა ლუკი მახსენდება, ჩემთან ერთად არის საავადმყოფოში, ჩემი ხელი უჭირავს. მათი მიცემული მწვანე ხალათი აცვია და თეთრი ნიღაბი უკეთია.

– ოჰ, – ამბობს ის, – ოჰ, ღმერთო, – აღტაცებისაგან სუნთქვა ეკვრის.

იმ ღამეს არ მძინებია, ისეთი აღფრთოვანებული ვიყავიო, – მიამბობდა მერე.

დეიდა ელიზაბეთი ფრთხილად ბანს პატარას. ის ტირილს უკლებს, მერე ჩუმდება. ჩვენ შეძლებისდაგვარად უხმაუროდ, რათა ახალშობილი არ შევაწუხოთ, ფეხზე ვდგებით, ჯენინის გარშემო ვგროვდებით, ხელს ვუთათუნებთ და ვეფერებით. ისიც ტირის. ორი ლურჯად შემოსილი მესამეს, ამ სახლის დიასახლისს, სამშობიარო სკამიდან აყენებს, ლოგინში აწვენს და საბანს უკეცავს. ახალშობილს,

ნაბანავებსა და განაბულს, დიდი ამბით უგორებენ მკლავებში. ცოლები ქვემო სართულიდან ამოსულან და აქაურობას მოსწყდომიან, ჩვენ შორის გზას იკვლევენ, მუჯლუგუნებს გვკრავენ. ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობენ, ზოგიერთ მათგანს ჯერაც ხელში უჭირავს თავისი თეფში, ყავის ფინჯანი ანდა ღვინის ჭიქა, ზოგი მათგანი ისევ ილუკმება. ისინი საწოლის ირგვლის ჯგუფდებიან, დედისა და ბავშვის გარშემო, ღუღუნებენ და ულოცავენ. შურს ასხივებენ. ჩემსნესტოებამდე აღწევს შურის სუნი, შხამის მკრთალი ბოლქვები, მათი სუნამოების სურნელში არეული. მეთაურის ცოლი ისე დასცქერის ჩვილს, თითქოს ყვავილების თაიგული იყოს, გამარჯვებისთვის ჯილდოდ მირთმეული.

ცოლები სახელის დარქმევის ცერემონიას ესწრებიან. ჩვილისთვის სახელის დარქმევა სწორედ ცოლის პრივილეგიაა.

– ენჯელა, – ამბობს მეთაურის ცოლი.

– ენჯელა, ენჯელა, – იმეორებენ ცოლები, ჟღურტულებენ, – რა მშვენიერი სახელია! ოჰ, როგორი შესანიშნავი ბავშვია! ოჰ, რა საყვარელია!

ჯენინსა და საწოლს შორის ისე ვდგები, რომ მან ვერაფერი დაინახოს. ვიღაც ჭიქას აწვდის, იმედია, შიგ ღვინო ასხია. ჯენინს ჯერ კიდევ სტანჯავს მშობიარობის შემდგომი ტკივილები, უნუგეშოდ ტირის, განწირულის ცხარე ცრემლით. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვზეიმობთ, ვზეიმობთ გამარჯვებას, ყველა ჩვენგანისას. ჩვენ ეს შევძელით.

მას უფლებას მისცემენ, რამდენიმე თვე მოუაროს თავის პატარას – ისინი ჩვილის დედის რძით გამოკვების მომხრენი არიან. ამის შემდეგ კი სხვაგან გაგზავნიან, მოსინჯავენ, თუ გაიმეორებს იმავეს, სხვასაც თუ დაეხმარება. მაგრამ მას არასოდეს გაგზავნიან კოლონიაში, მას არასოდეს შერაცხავენ არქალად. და ეს იქნება მისი ჯილდო.

მშობიარომობილი გარეთ გვიცდის, რომ ჩვენს ოჯახებში დაგვაბრუნოს. ექიმები ჯერაც ფურგონში სხედან, შინ გამოკეტილი ავადმყოფი ბავშვების მსგავსად; თეთრ ლაქებს ჰგავს ფურგონის ფანჯრებზე აკრული მათი სახეები. ერთ-ერთი მათგანი კარს აღებს

და ჩვენკენ მოეშურება.

– ყველაფერმა კარგად ჩაიარა? – კითხულობს იგი მღელვარედ.

– დიახ, – ვპასუხობ მე.

დაქანცული ვარ, ერთიანად გამოწურული. მკერდი მტკივა. ძუძუსთავებიდან სითხე ჟონავს, ცრუ რძე – ხანდახან ასეც გვემართება ხოლმე. შინისაკენ მიმავალ გზაზე ისევ ძელსკამებზე ვსხედვართ, ერთმანეთის პირისპირ, გამოფიტულები, თითქმის უგრძნობელნი, წითელი ქსოვილის ფუთებად ქცეულნი. გვტკივა. თითოეულ ჩვენგანს კალთაში ფანტომი უწევს, ბავშვი-მოჩვენება. ახლა, როცა მღელვარებამ გადაგვიარა, მხოლოდ საკუთარ მარცხზეღა გვეფიქრება. დედა, ვფიქრობ მე, სადაც უნდა იყო, გესმის ჩემი? შენ ქალების კულტურაზე ოცნებობდი. აი, ეს დროც დადგა. მართალია, ის არ არის, რაც შენ გინდოდა, მაგრამ ესეც ქალების კულტურაა. ღმერთს მადლობა შესწირე მცირე წყალობათათვის.

22

მშობიარომობილი სახლის წინ ჩერდება. უკვე საღამოსპირია. ღრუბლებს ამოფარებული მზე სუსტად ანათებს და ბალახისაგან ამშრალი ნამის სურნელი დგას ჰაერში. თუკი მთელი დღე მშობიარობას ესწრებოდი, რა გასაკვირია, დროის სადავე გაგექცეს. საყიდლებს კორა მოილევდა, დღეს მე ვალმოხდილი ვარ. კიბეზე ავდივარ, ერთი საფეხურიდან მეორემდე ძლივს მივათრევ ფეხებს, მოაჯირს ვებღაუჭები. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რამდენიმე დღის უძილომ გულის ამოვარდნამდე ვირბინე; მკერდში ჩხვლეტას ვგრძნობ, კუნთები ისე მტეხს, თითქოს შაქარი სულ გამოსცლიათო. პირველად მიხარია მარტო დარჩენა.

საწოლზე ვწვები. მინდა, მოვდუნდე, დავიძინო, მაგრამ ისეთი დაღლილი და თანაც, აღელვებული ვარ, თვალს ვერ ვხუჭავ. ჭერს შევშტერებივარ, გვირგვინის ფოთლებს ვითვლი და მის დანახვაზე ამჯერად ქუდები მახსენდება, ფართოფარფლიანი შლაპები, რომლებსაც ქალები იხურავდნენ ძველ დროს: ეს ქუდები უზარმაზარ შარავანდედს მიაგავდა, ხილითა და ყვავილებით იყო დახუნძლული და ზედ ეგზოტიკური ფრინველების ბუმბულები ჰქონდა მიბნეული: თითქოს თავით სამოთხე დაგქონდა.

ერთ წამში ეს გვირგვინი გაფერადდება და მე ხილვა დამეწყება. ისეთი დაღლილი ვარ, თითქოს რაღაც მიზეზით მთელი ღამე, რიჟრაჟამდე, სადღაც მივდიოდით მანქანით და რომ არ ჩაგვძინებოდა, ერთმანეთს ამბებს ვუყვებოდით, საჭესთან ვენაცვლებოდით, მერე კი, როცა მზე ამოიწვერა, გზისპირა ბუჩქებში თვალის კუთხეებით მეწამული ცხოველები და ადამიანთაბუნდოვანი სილუეტები დავლანდეთ, რომლებიც, როგორც კი თავი მივაბრუნეთ, გაქრნენ.

ისეთი დაღლილი ვარ, რომ ამ ამბის მოყოლას ვეღარ გავაგრძელებ, ისე დავიქანცე, აღარ მახსოვს, სად ვარ. ახლა სხვა რამეს გიამბობთ, უკეთესს. გიამბობთ, რა შეემთხვა მოირას.

ამ ამბის მომსწრე მეც ვიყავი, ზოგი რამ ალმასგან მოვისმინე,

რომელსაც დოლორესმა უამბო ის, რაც ჯენინისგან შეიტყო, ჯენინს კი დეიდა ლიდიამ გაუმხილა. ასეთ ადგილებშიც კი, ასეთი გარემოცვის მიუხედავად, მაინც არსებობდა განდობილთა წრეები. განდობილთა წრეები მარადიული ღირებულებაა: ისინი ყოველთვის და ყველგან არიან.

დეიდა ლიდიამ ჯენინი თავის კაბინეტში დაიბარა.

კურთხეულ იყოს ნაყოფი, ჯენინ, ალბათ, ეტყოდა დეიდა ლიდია მაგიდიდან თავაუწევლად, ვინაიდან წერაში იქნებოდა გართული. ყველა წესს აქვს გამონაკლისი: ესეც გარემოებებზეა დამოკიდებული. დეიდებისთვის წერა და კითხვა შეიძლება.

ღმერთმა განახვნას, უპასუხებდა ჯენინი, თავისი არაფრის მთქმელი, უმი კვერცხის ცილასავით გამჭვირვალე ხმით.

ვგრძნობ, რომ შენი ნდობა შემიძლია, ჯენინ, ეტყოდა დეიდა ლიდია, ბოლოს და ბოლოს, თავს ასწევდა და ჯენინს სათვალიდან მუქარითა და თან მუდარით აღსავსე მზერას მიაპყრობდა. დამეხმარეო, შეევედრებოდა თვალებით, ჩვენ ამ გასაჭირს ერთად უნდა დავუხვდეთო. სიტყვით კი განაგრძობდა, შენ სანდო გოგო ხარ, ვიღაც-ვიღაცებს კი არ ჰგავხარ.

მას ჯენინის ზლუქუნი და სინანული გულწრფელი ეგონა, ეგონა,რომ ის გატყდა, რომ ის ჭეშმარიტი მორწმუნე იყო. ჯენინი კი იმ დროს ლეკვს ჰგავდა, რომელსაც ყველა გამვლელ-გამოვლელი დაუზარელად აპანღურებს: იგი ნებისმიერისთვის ჩავარდებოდა ცეცხლში, ნებისმიერ რამეს იტყოდა, ოღონდ ვინმეს მისთვის ალერსიანი სიტყვა გადაეგდო.

ასე რომ, ჯენინი, ალბათ, უპასუხებდა, იმედი მაქვს, დეიდა ლიდია. იმედი მაქვს, თქვენს ნდობას ვიმსახურებ. აან რამე ასეთს.

ჯენინ, ეტყოდა მერე დეიდა ლიდია, საშინელება მოხდა.

ჯენინი იატაკს ჩააცქერდებოდა. რაც უნდა მომხდარიყო, მან დანამდვილებით იცოდა, რომ მას არაფერს დააბრალებდნენ, რომ ის უდანაშაულო იყო. მაგრამ რაკი საკუთარი გამოცდილებით

იცოდა, რომ უდანაშაულობა არაფერს ნიშნავს, სინდისის ქენჯნა მაინც შეიპყრობდა და სასჯელის მოლოდინი აიტანდა.

მერე კი: იცი, რაზეც გეუბნები, ჯენინ? ტკბილად ჰკითხა დეიდა ლიდიამ.

არა, დეიდა ლიდია, მიუგო ჯენინმა. მიხვდა, რომ ახლავე ზემოთ უნდა აეხედა და დეიდა ლიდიასთვის მზერა გაესწორებინა. ერთი წუთის მერე მან ესეც შეძლო. იმიტომ, რომ თუ რამე იცი, ძვირად დაგიჯდება, უთხრა დეიდა ლიდიამ. ღმერთია მოწმე, არაფერი ვიცი, თავი გამოიდო ჯენინმა. დეიდა ლიდიამ თავისი საყვარელი პაუზა გამოიყენა. იგი თითებს შორის კალამს ატრიალებდა. მოირა ჩვენთან აღარ არის, თქვა ბოლოს. ოჰ, მიუგო ჯენინმა. თუმცა, დიდად არ ანაღვლებდა მოირას ბედი. არასოდეს უმეგობრიათ. მოკვდა? იკითხა ერთი წუთის შემდეგ.

ჰოდა, აი, რა უამბო დეიდა ლიდიამ:

ვარჯიშისას მოირამ ხელი ასწია და საპირფარეშოში გასვლა ითხოვა. გაუშვეს. საპირფარეშოსთან იმ დღეს დეიდა ელიზაბეთი მორიგეობდა. იგი, ჩვეულებისამებრ, კართან დადგა, მოირა შიგნით შევიდა. ერთი წუთის შემდეგ მოირამ დეიდა ელიზაბეთს დაუძახა, ტუალეტიდან წყალი გადმოდის, ეგებ შემოხვიდეთ და რამე უშველოთო. ტუალეტებიდან ხანდახან მართლა გადმოდიოდა წყალი. ვიღაც – კაციშვილმა არ იცოდა, ვინ – ტუალეტის ქაღალდს გორგლავდა და უნიტაზის ყელში ჭედავდა. დეიდები რაღაც მეთოდით აგვარებდნენ ამ პრობლემას, მაგრამ მწირი ბიუჯეტის გამო ახლა ეს საშუალება აღარ ჰქონდათ და ხელით უწევდათ უნიტაზის ამოსუფთავება. ჯერაც ვერ მოეფიქრებინათ, როგორ დაემალათ ტუალეტის ქაღალდი. მომავალში, ალბათ, მოისაზრებდნენ, რულონს შესასვლელში, მაგიდაზე, დადებდნენ და ყველა შემსვლელს ქაღალდის ერთ ან რამდენიმე ნაგლეჯს მისცემდნენ, მაგრამ ეს მერე მოხდებოდა. სანამ გამოსავალს იპოვი, დროა საჭირო.

დეიდა ელიზაბეთი ტუალეტის კაბინაში ისე შევიდა, არაფერი უეჭვია, რაც, დეიდა ლიდიაც აღიარებდა, რომ მეტისმეტი გულუბრყვილობა გახლდათ. თუმცაღა მას მანამდე არაერთხელ მოუწია უნიტაზის

გასუფთავებამ და ხათაბალას არასოდეს გადაჰყრია.

მოირა არ ტყუოდა. წყალი იატაკზე იღვრებოდა და თან ფეკალური მასების ნარჩენებს მოატივივებდა. უსიამოვნო სანახაობა იყო და დეიდა ელიზაბეთმაც ცხვირი აიბზუა. მოირა მოკრძალებით იდგა განზე და დეიდა ელიზაბეთი კაბინისაკენ გაეშურა. უნიტაზის ბაკანს გადაემხო, ცდილობდა, ფაიფურის თავსახური აეხადა და შიგ მოთავსებულ ბურთულიან ზონარს მისწვდომოდა. ორივე ხელით სახურავს იყო ჩაფრენილი, როცა იგრძნო, რომ უკან, ნეკნებს შორის, რაღაც ბასრი, შესაძლოა, წვერწამახული ლითონი მიადეს.

არ გაინძრე, უთხრა მოირამ, თორემ პირდაპირ ფილტვებში გაგირჭობ.

შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მოირას ერთ-ერთი უნიტაზი დაეშალა და მისი გრძელი, ბასრი ნაწილი, ანკერი ჩაეგდო ხელში, რომელიც სახელურს ჩასარეცხ ჯაჭვთან აერთებდა. მცოდნე ადამიანისთვის სულ იოლი საქმე იყო, მოირა კი მექანიკაში გაწაფული იყო, თვითონ აკეთებდა ხოლმე თავისმანქანასაც და ყველა წვრილმანსაც სახლში. ამ შემთხვევის მერე ჯაჭვები პირდაპირ უნიტაზების თავსახურებზე მიაბეს და თუ რომელიმე უნიტაზი გაიჭედებოდა, მისთვის თავის ახდას კარგა ხანი სჭირდებოდა. ამ მიზეზით რამდენიმე წყალდიდობაც გადავიტანეთ.

დეიდა ელიზაბეთი ვერ ხედავდა, რას უმიზნებდნენ ზურგში, თქვა დეიდა ლიდიამ, ის მამაცი ქალია... რასაკვირველია, ჩაურთო ჯენინმა. ...მაგრამ არა – უგუნური და თავზეხელაღებული, გააგრძელა შუბლშეჭმუხნილმა დეიდა ლიდიამ.

ჯენინს მეტისმეტი თავგამოდება ხანდახან უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა ხოლმე.

მან გააკეთა, რაც მოირამ უბრძანა, თქვა დეიდა ლიდიამ, მოირამ ელექტროსახრესა და სასტვენზე მიუთითა და ანიშნა, ქამრიდან მოიხსენიო, შემდეგ კი კინწისკვრით გაიგდო სარდაფისაკენ. ისინი მეორე სართულზე იყვნენ, ასე რომ, მხოლოდ კიბის ორი წყება უნდა ჩაევლოთ, რათა მოირა სამშვიდობოს გასულიყო. გაკვეთილი მიმდინარეობდა და დერეფნებში არავინ ჭაჭანებდა. ერთი

დეიდისთვის კი მოუკრავთ თვალი, მაგრამ ძალიან შორს იდგა და არც კი შეუმჩნევია ისინი. დეიდა ელიზაბეთს ამ დროს შეეძლო ეკივლა, მაგრამ იცოდა, რომ მოირა დანაქადს აუცილებლად შეუსრულებდა; მას სახელი ჰქონდა გატეხილი. დიახ, დიახ, დაუდასტურა ჯენინმა.

მოირამ დეიდა ელიზაბეთი დერეფანში, ცარიელ გასახდელებს შორის ჩაატარა, სპორტდარბაზის შენობიდან გამოიყვანა და საქვაბეში შეიკეტნენ. იქ მან დეიდა ელიზაბეთს ტანსაცმლის გახდა უბრძანა... ოჰ, ამოიკვნესა ჯენინმა, თითქოს ამგვარმა უდიერობამ შეაძრწუნაო. ...მოირამაც გაიხადა ტანსაცმელი და დეიდა ელიზაბეთის უნიფორმა ჩაიცვა, მართალია, მთლად კარგად არმოერგო, მაგრამ არა უშავდა. ძალიან სასტიკადაც არ მოქცევია დეიდა ელიზაბეთს, უფლება მისცა, მხევლის წითელი ტანსაცმელი ჩაეცვა. ვუალი დახია და მისი ნახევებით გათბობის ღუმლის უკან მიაბა დეიდა. პირი ნაკუწებით ამოუვსო და თავის დასაზღვევად ზედ ზონარიც გადაუჭირა. ერთი ზონარი ყელზეც მოაბა და მისი მეორე ბოლო ფეხზე გაუნასკვა. ძალიან ვერაგი და საშიში ქალია, თქვა დეიდა ლიდიამ.

შეიძლება ჩამოვჯდე? ჰკითხა ჯენინმა, თითქოს ამ ახალმა ამბავმა მოცელაო. ახლა მასაც ჰქონდა რაღაც, რითიც შეეძლო ევაჭრა, თუნდაც ერთი ზედმეტი ტალონისთვის. დიახ, ჯენინ, მიუგო დეიდა ლიდიამ, გაოცდა, მაგრამ მიხვდა, რომ ამაზე უარს ვერ ეტყოდა. მას ჯენინის ყურადღება სჭირდებოდა, მისი მხარდაჭერა. მან მხევალს კუთხეში მდგარ სკამზე მიუთითა. ჯენინმა სკამი წინ წამოსწია.

შენც კარგად იცი, რომ მომენდომებინა, მოგკლავდი, უთხრა მოირამ, როცა დეიდა ელიზაბეთი ღუმლის უკან საიმედოდ მოათვარა თვალს. რომ მომენდომებინა, ისე დაგასახიჩრებდი, რომ საკუთარი თავი შეგძულდებოდა. შემეძლო, ამ რაღაცით დამესერე ანდა თვალი ამომეთხარა. და თუ საქმე საქმეზე მიდგება, გახსოვდეს, რომ მე ეს არ გავაკეთე.

ეს სიტყვები დეიდა ლიდიას ჯენინისათვის არ უთქვამს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მოირა რამე მსგავსს აუცილებლად იტყოდა. ასეა თუ ისე, მას არც მოუკლავს და არც დაუსახიჩრებია დეიდა ელიზაბეთი, რომელმაც ორიოდე დღეში სრულიად მოიშუშა ის

სულიერი ჭრილობები, რომლებიც შვიდი საათის განმავლობაში ღუმლის უკან ყურყუტმა და ალბათ, ხანგრძლივმა დაკითხვებმა მიაყენა – ასე იოლად ვინ დაუჯერებდა, რომ გარიგებული არ იყო მოირასთან – და იგი კვლავ ცენტრის საქმიანობაში ჩაერთო.

მოირა მტკიცედ და ამაყად ასწია თავი, მხრები უკან გადასწია, წელში გამართა და ტუჩები მოკუმა. ეს არ იყო ჩვენთვის ჩვეული პოზა. ჩვენ მუდამ თავდახრილები დავდიოდით, საკუთარ ხელებს ანდა მიწას ჩაჩერებულნი. ამ ყავისფერ თავშალში გახვეული მოირაც კი დეიდა ელიზაბეთისაგან ისე განსხვავდებოდა, როგორც ცა – დედამიწისგან, მაგრამ მისმა გაშლილმა მხრებმა და მტკიცე ნაბიჯმა მაინც იოლად შეაცდინა დაცვის ანგელოზები, რომლებიც არასოდეს გვიყურებდნენ სახეში, დეიდებსაც კი, ან შეიძლება დეიდებს – მით უფრო; რაკი მოირა მტკიცე ნაბიჯით გაემართა შლაგბაუმისაკენ, იმ ადამიანის თავდაჯერებით, რომელმაც იცის, სად მიდის, მას სამხედრო სალამი მისცეს; თავი არ შეუწუხებიათ დეიდა ელიზაბეთის საშვის შემოწმებით, რომელიც მათ მოირამ გაუწოდა, რადგან ასეთ შეურაცხყოფას დეიდას ვერც აკადრებდნენ. და ის გაუჩინარდა.

ოჰ, თქვა ჯენინმა. ვინ იცის, რას გრძნობდა იგი? ეგებ უხაროდა კიდეც, მაგრამ შეძლო და თავისი გრძნობები გულში ჩაიმარხა. ასე რომ, ჯენინ, უთხრა დეიდა ლიდიამ, რაღაც მინდა გთხოვო...

ჯენინმა თვალები ფართოდ გაახილა და შეეცადა უმანკო და ყურადღებით აღსავსე გამომეტყველება მიეღო.

მინდა, რომ თვალები ფართოდ გაახილო. შეიძლება მას თანამზრახველი ჰყავდა.

დიახ, დეიდა ლიდია, მიუგო ჯენინმა.

ჰოდა, თუ რამეს გაიგებ, მოხვალ და მეტყვი, არა, ძვირფასო?

დიახ, დეიდა ლიდია, თქვა ჯენინმა, მან უკვე იცოდა, რომ აღარასოდეს მოუწევდა საკლასო ოთახში დაჩოქება და მოსმენა იმისა, რომ ყველაფერი, რაც შეემთხვა, მისივე ბრალი იყო. ცოტა ხნით ყველაფერი შეიცვლებოდა. მან დროებით დააღწია თავი მარყუჟს.

მან დოლორესს დაწვრილებით უამბო, რაც დეიდა ლიდიას ოთახში მოხდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. თუკი საჭირო იქნებოდა, იგი დაუფიქრებლად დაასმენდა ნებისმიერ ჩვენგანს. ჩვენ ეს ვიცოდით. იმპერიოდში ისე ვექცეოდით მას, როგორც ქუჩის კუთხეში მდგარ უფეხო ფანქრების გამყიდველს. თუკი შეგვეძლო, თავს ვარიდებდით, თუ არ შეგვეძლო, გულმოწყალედ ვექცეოდით. კარგად ვიცოდით, რომ საშიში ქალი იყო.

უეჭველია, დოლორესმა მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა, კარგი გოგო ხარ, ყველაფერი რომ მიამბეო. სად ისაუბრეს, ნეტავ? ალბათ, სპორტდარბაზში, როცა დასაძინებლად ვემზადებოდით. დოლორესის საწოლი ჯენინის გვერდით იდგა.

ეს ამბავი იმ ღამესვე გავრცელდა; სუნთქვაშეკრულებმა, ბინდბუნდში, საწოლიდან საწოლში მივაწვდინეთ ხმა ერთმანეთს.

მოირა სადღაც გარეთ იყო. ის გათავისუფლდა ან მოკვდა. ნეტავ, რას აკეთებდა? ფიქრი იმაზე, თუ რას აკეთებდა მოირა გარეთ, გაიბერა, გაიბერა და მთელი ოთახი ამოავსო. ყოველ წუთს შეიძლებოდა გაგვეგონა ჭახანი, ფანჯრის მინა ჩამომსხვრეულიყო ანდა კარი შეღებულიყო უცებ... მოირას ახლა ძალაუფლება ჰქონდა, იგი გათავისუფლდა, მან აღვირი მოიხსნა. ის ახლა აღვირახსნილი ქალი იყო.

და ამისი, ცოტა არ იყოს, გვეშინოდა.

მოირა უკედლებო ლიფტს გვაგონებდა. თავბრუს გვასხამდა. არადა, ის-ის იყო, უნდა დაგვვიწყებოდა თავისუფლების გემო, ის-ის იყო, ეს კედლები თავშესაფრად უნდა გვქცეოდა. ატმოსფეროს ზედა ფენებში გაიბნეოდი, აორთქლდებოდი, ვერავითარი ძალით ვეღარ შეინარჩუნებდი მთლიანობას.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენს წარმოსახვაში მოირა გმირი გახდა. მის ლანდს ვებღაუჭებოდით, ის ჩვენი საიდუმლო მეგობარი იყო, ჩვენთან ერთად ხითხითებდა, ის იყოლავა, რომელიც ჩვენი ფერფლწაყრილი ყოფის ქვეშ თუხთუხებდა. მოირას სხივით გაფერმკრთალებული დეიდები თითქოს აბსურდულები და არც ისე საშიშნი ჩანდნენ. მათი ძალაუფლების აღარ გვჯეროდა. თურმე, მათი

უნიტაზებთან მიყენება შეიძლებოდა. და ვტკბებოდით ასეთი კადნიერი ფიქრებით.

ყოველ წუთს ველოდით, რომ მოირას ისევ უკან შემოათრევდნენ, როგორც იმ დღეს. ვერც კი წარმოგვედგინა, ამჯერად როგორ დასჯიდნენ. ალბათ, რამე ენით აუწერელ საშინელებას მოიფიქრებდნენ.

მაგრამ არაფერი მომხდარა. მოირა არ გამოჩენილა. აქამდე მასზე არაფერი გვსმენია.

23

ეს ყველაფერი გამონაგონია. ვარაუდი. ჩემს ვიწრო საწოლზე გულაღმა გაშოტილი საკუთარ გონებაში აღვადგენ და ვიმეორებ, რა უნდა ვთქვა და რა – არა, რა უნდა გავაკეთო და რა – არა, როგორ უნდა ვითამაშო ეს როლი. ოდესმე აქედან თავს თუ დავაღწევ...

მოდი, შევჩერდეთ: მე აქედან თავის დაღწევა მინდა. არ შეიძლება ასე სამუდამოდ გაგრძელდეს. სხვებსაც, ჩემსავით შავ დღეში მყოფთ, უფიქრიათ ეს. და სხვებიც ჩემსავით მართალნი ყოფილან. როგორღაც მართლაც ახერხებდნენ თავის დაღწევას, მართლაც არ გრძელდებოდა ასე სამუდამოდ. ოღონდ შეიძლებოდა, თვითონ ვერ მოსწრებოდნენ ბოროტების აღსასრულს.

როდესაც აქედან თავს დავაღწევ, თუკი მოვახერხებ, რომ ეს ამბავი სხვებს მივაწვდინო, თუნდაც ზეპირად გადასცენ ადამიანებმა ერთმანეთს, იგი მაინც ვარაუდი იქნება, გამონაგონი, ოღონდ – სხვაგვარი. შეუძლებელია, მოვლენები აღწერო ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა, სინამდვილეს ზუსტად ვერასოდეს ასახავ, ყოველთვის გამოგრჩება რაღაც, რადგან ძალიან ბევრი კუთხე, მხარე, შენაკადი, ნიუანსი არსებობს; ბევრი დეტალი, რომელიც სხვადასხვა თვალსაზრისით დანახული სხვადასხვაგვარად ჩანს, მრავალგვარ ფორმას იღებს, რომელთა სრულყოფილად აღწერაც შეუძლებელია; ბევრი სურნელი ტრიალებს ჰაერშიც და ენაზეც – მრავალნაირი გემო; ძალიან ბევრია შუქჩრდილიც. და თუ კაცი ხარ, სადღაც მომავალში ცხოვრობ და შენს ყურს ეს ამბავი მოსწვდა, გთხოვ, გახსოვდეს: კაცს ქალივით არასოდეს აიტანს ცდუნება, სურვილი, რომ მიუტევოს. დამიჯერე, ძნელია, ამ სურვილს წინ აღუდგე. მაგრამ გახსოვდეს, რომ მიტევებაც ძალაუფლებაა. მისი თხოვნაც ძალუფლებაა, მისი უარყოფაც და ბოძებაც, და შეიძლება ყველაზე დიდიც კი.

თუმცა, შეიძლება სულაც არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ვისზე ბატონობს; შესაძლოა, არც იმას აქვს მნიშვნელობა, ვინ ვის ეკუთვნის, ვის ვისთვის რისი დაშავება და მერე სიკვდილამდე დაუსჯელად სიარული შეუძლია. ეგებ არც იმას აქვს მნიშვნელობა, ვინ ზის, ვინ

იძულებულია, დაიჩოქოს, ვინ დგას და ვინ წევს, ფეხებგაშლილი. შეიძლება მხოლოდ ის არის მნიშვნელოვანი, ვინ ვის რას დაუშავებს და რა მიეტევება. და არავინ მითხრას, რომ ეს ერთურთის ტოლფასია.

– მინდა, მაკოცო, – თქვა მეთაურმა.

რა თქმა უნდა, რაღაც აქამდეც ხდებოდა. ამგვარი თხოვნა ჰაერიდან არასოდეს ჩნდება.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩამეძინა. დამესიზმრა, რომ საყურე მეკეთა და ერთი გატყდა; მეტი არაფერი მომხდარა; ჩემი ტვინი წარსული დღეების მოგონებებს ქექავდა, როცა კორამ გამაღვიძა. ხელში ვახშმით დაზვინული ლანგარი ეჭირა. დრო დაბრუნდა.

– კარგი ბავშვია? – მკითხა კორამ და ლანგარი ძირს დადო.რასაკვირველია, უკვე ყველაფერი იცოდა, მათ ზეპირი ტელეგრაფი აქვთ, რომელიც ოჯახიდან ოჯახამდე ავრცელებს ყველა ახალ ამბავს; მაგრამ მაინც სიამოვნებს ამის მოსმენა, თითქოს თუ მეც დავუდასტურებ, ამბავს სიმართლე შეემატება.

– მშვენიერი, – ვუპასუხე მე, – დაიტოვებენ. გოგონაა.

კორა მიღიმის, მრავალმნიშვნელოვნად. ამგვარ წუთებში იგი თავისი ადამიანური ყოფის აზრს აცნობიერებს.

– ძალიან კარგი, – ამბობს ის. მის ხმაში თითქოს შური გამოსჭვივის და ვფიქრობ: „რა თქმა უნდა. მას მთელი გულით ენდომებოდა მშობიარობაზე დასწრება, ესეც ხომ ერთგვარი წვეულებაა, მისთვის აკრძალული და მიუწვდომელი“.

– ეგებ მალე ჩვენც გაგვიჩნდეს ბავშვი, – ამბობს ის მორცხვად. „ჩვენში“, რასაკვირველია, მე მგულისხმობს. დროა, დავუმადლო ჩემს გუნდს, დავარწმუნო, რომ ტყუილად არ მაქვს საჭმელი და თავშესაფარი, კვერცხები დავდო, როგორც დედა ჭიანჭველამ. რიტა შეიძლება ცხვირს მიბზუებდეს, მაგრამ კორა – პირიქით, ყოველთვის მიცავს. მას რაღაცის იმედი აქვს და ამ იმედის აღმსრულებლად მე ვეგულები.

მისი იმედი იოლი გამოსაცნობია. მას უნდა, რომ „შობის დღე“ აქ მოეწყოს, ჩვენთან, სტუმრებით, საჭმლითა და საჩუქრებით, მას უნდა ბავშვი, რომელიც სამზარეულოს ყირაზე დააყენებს, რომელსაც ტანსაცმელს დაუუთოვებს, მოთვარებულში ტკბილეულით ამოყორავს. მე უნდა ვშვა მისი ცხოვრების სიხარული. მე კი მირჩევნია, ისიც ცხვირს მიბზუებდეს, ამას უფრო ვიმსახურებ.

ვახშმად საქონლის ხორცის რაგუ გვაქვს. ჩემს ულუფას ვერ ვათავებ, რადგან შუა ჭამისას მახსენდება ის, რაც ამ გიჟურმა დღემ ლამის ამომიშალა გონებიდან. მართალია, რომ ამბობენ, მშობიარობა თუ მშობიარობის ყურება ერთგვარი ჰიპნოზიაო, რომელიც შენს ცხოვრებაში მომხდარ ყველა მოვლენას აუფასურებს და შენს ცნობიერს ერთიანად ისაკუთრებს, მაგრამ მეუკვე დავუბრუნდი საკუთარ თავს და ვიცი, რომ მშობიარობისთვის მზად არ ვარ.

ქვემო სართულის ჰოლის საათმა ცხრაჯერ დაჰკრა. დოინჯშემოყრილი ღრმად ვსუნთქავ, დერეფანს ვჭრი და კიბეზე ჩავდივარ. სერენა ჯოი, ალბათ, ისევ იმ სახლშია, სადაც ბავშვი იშვა; ეს ბედნიერი დამთხვევაა, რომელსაც მისი ქმარი წინასწარ ვერ გათვლიდა. ასეთ დღეებში ცოლები დიდხანს ჟრიამულობენ, მასპინძელს საჩუქრების გახსნაში ეხმარებიან, ჭორაობენ, თვრებიან. მე ქვემო სართულის დერეფანს სახლის უკანა მხარისაკენ მივყვები, სამზარეულოს კარს გვერდს ვუვლი და გვერდით კართან ვჩერდები. ვდგავარ და თავს სკოლის დირექტორის კაბინეტში დაბარებული მოსწავლესავით ვგრძნობ. ნეტავ, რა დავაშავე?

ჩემი აქ ყოფნა წესებს ეწინააღმდეგება. მეთაურებთან მარტო დარჩენა გვეკრძალება. ჩვენ მოვალეობა მხოლოდ მათი გვარის გაგრძელებაა: არც ხარჭები ვართ, არც გეიშები და არც – კურტიზანები; პირიქით, ცდილობენ, მათ არაფრით ვგავდეთ. ჩვენ არავინ გვიყურებს, როგორც გასართობს, არსად არის ოთახი, რომელშიც ჩვენდამი განცდილი საიდუმლო ვნება იყვავილებდა; არავინ ცდილობს ჩვენი გულის მოგებას, და ჩვენც არავის წინაშე ვიკატუნებთ თავს. ამ გარემოში სიყვარული ფეხს ვერ მოიკიდებს. ჩვენ ორფეხა საშოები ვართ, ეს არის და ეს: წმინდა ჭურჭელი, დროებითი სათავსო.

ჰოდა, რად უნდა უნდოდეს ჩემი ნახვა ღამით, მარტოს?

აქ რომ დამიჭირონ, სერენას გულმოწყალების იმედად მომიწევს ყოფნა. მეთაური შინაურ ამბებში არ ჩაერევა, ეს ქალების საქმეა. ჰოდა, ამას ჩემი წოდების შეცვლა მოჰყვება. შეიძლება არქალებშიც მიკრან თავი.

მაგრამ მასთან შეხვედრაზე რომ უარი მეთქვა, უარესი მელოდა. ამ სახლში ყველამ კარგად იცის, ვინ არის ოჯახის ნამდვილი უფროსი.

ალბათ, რაღაც უნდა ჩემგან. რაღაცის ნდომა სისუსტეა. რაც უნდა იყოს ეს სისუსტე, მისი არსებობა უკვე გულზე მეფონება. ეს მცირე ბზარს ჰგავს კედელზე, რომელიც აქამდე შეუვალი ჩანდა. და თუკი კარგად დავაკვირდები, ეგებ მის მიღმა გადარჩენის გზაც დავინახო.

მინდა გავიგო, რა სურს.

ხელს ვწევ და ვაკაკუნებ კარზე, რომლის მიღმა აკრძალული ოთახია. ამ ოთახში არც მე, არც სხვა ქალს ფეხი არასოდეს დაგვიდგამს. სერენა ჯოისაც კი არა აქვს აქ შემოსვლის უფლება. იქაურობას გუშაგები ალაგებენ. ნეტავ, რა საიდუმლო, რომელი მამაკაცური ტოტემი იმალება აქ?

ნებას მრთავენ, შევიდე. კარს ვაღებ და ოთახში ვაბიჯებ.

იმას, რასაც ამ ოთახში ვხედავ, ნორმალური ცხოვრება ეწოდება. ანდა: ის, რასაც ახლა ვხედავ, ნორმალურ ცხოვრებას ჰგავს. საწერი მაგიდა, რომელზეც, რასაკირველია, კომპიუმთქმელი დგას; მაგიდასთან ტყავის სავარძელია მიდგმული. საწერ მაგიდაზე ქოთნის მცენარე, საწერი მოწყობილობა და ფურცლები აწყვია. იატაკზე აღმოსავლური ხალიჩა აფენია, ბუხარში ცეცხლი არ ანთია. ოთახში ყავისფერ პლუშგადაკრული პატარა დივანიც დგას, ტელევიზორი, ჟურნალების მაგიდა და ორიოდე სკამი.

კი, მაგრამ ოთახის ოთხივე კედელზე წიგნებით გამოტენილი თაროებია ჩამწკრივებული. წიგნები, წიგნები, წიგნები, პირდაპირ აწყვია, დაუფარავად, საკეტებისა და ყუთების გარეშე. რა გასაკვირია, რომ ამ ოთახში შემოსვლა ყველას გვეკრძალებოდეს. ეს აკრძალული სამოთხეა. ვცდილობ, მათ თვალი ავარიდო.

მეთაური ჩამქრალი ბუხრის წინ დგას, მისკენ ზურგით. ცალი იდაყვი ხის მოჩუქურთმებულ მოაჯირზე ჩამოუყრდნია, მეორე ხელი ჯიბეში ჩაუყვია. როგორი ტიპური პოზაა, მემამულეებისთვის დამახასიათებელი, კაცების პრიალა ჟურნალების ძველი, მაცდური ჟესტი. ალბათ, წინასწარ მოიფიქრა, ასე დამხვედროდა. რომ დავაკაკუნე, ალბათ, მაშინვე ბუხრისკენ გაქანდა და ზედ დარდიმანდულად ჩამოეყრდნო. ცალ თვალზე აფარებული შავი სახვევიღა აკლია და ნალებიანი ჰალსტუხი.

რა თქმა უნდა, სახალისოა ეს სტოკატოსავით სწრაფი ფიქრები, ტვინის ცახცახი, შინაგანი ცქმუტვა, მაგრამ ეს შიშია. შიშს ვყავარ ატანილი.

თუმცა, არაფერს ვამბობ.

– კარი მიხურე, – მეუბნება ის საკმაოდ სასიამოვნო ხმით. მე ვემორჩილები და ისევ მისკენ ვტრიალდები.

– გამარჯობა, – ამბობს ის.

ეს ძველებური მოსალმებაა. რამდენი ხანია, აღარ გამიგონია. ამ გარემოსთვის შეუფერებლად, ლამის კომიკურადაც კი ჟღერს. ნახტომი წარსულში, სკუპი. პასუხად თავში არაფერი მომდის.

სადაცაა, ვიტირებ.

როგორც ჩანს, ის ხვდება, რადგან საგონებელში ჩავარდნილი შემომცქერის, ოდნავ იჭმუხნის შუბლს, რაც მირჩევნია, თანაგრძნობად ჩავუთვალო, თუმცა, შეიძლება, გაღიზიანების ნიშანიც იყოს.

– აი, აქ დაჯექი, – მეუბნება იგი. სკამს სწვდება და თავისი საწერი მაგიდის წინ მიდგამს, თვითონ მაგიდას მეორე მხრიდან უვლის და ჩემ პირდაპირ ჯდება. თავისი საქციელით მანიშნებს, რომ აქ იმისთვის არ მოვუყვანივარ, ჩემი ნებართვის გარეშე თუნდაც თითი დამაკაროს. მიღიმის. არც ცინიკურად და არც მტაცებლურად. უბრალოდ, მიღიმის, ზრდილობიანად, მეგობრულად, მაგრამ ცოტა არ იყოს, გულგრილად, თითქოს რაფაზე წამოწოლილი ცინდალი

ვიყო, რომელსაც ათვალიერებს, მაგრამ ყიდვას არ აპირებს.

მე სკამზე წელში გამართული ვზივარ, ხელები მუხლებზე მოწყვია. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ წითელფეხსაცმლიან ფეხებს იატაკსვერ ვუწვდენ, თუმცა, რასაკვირველია, მეჩვენება.

– ალბათ, გიკვირს, არა? – მეკითხება იგი.

პასუხად მხოლოდ სახეში შევცქერი. რბილადაა ნათქვამი, დედაჩემი უპასუხებს ხოლმე ამგვარ შემთხვევებში.

უპასუხებდა.

თავი ბამბის ნაყინი მგონია: წებოვანი და ჰაეროვანი. მომიჭირეთ ხელი და სველ, მოღვენთილ, მოწითალო-ვარდისფერ ფთილებად დავიშლები.

– მგონი, ცოტათი გაკვირვებული ხარ, – თითქოს ჩემი პასუხი გამოიცნო.

თავს ისე ვგრძნობ, თითქოს შლაპა მახურავს და მისი ლენტი ნიკაპქვეშ მაქვს განასკვული.

– მინდა... – ამბობს ის.

ვცდილობ, წინ არ გადავიხარო. ჰო? ჰო? მერე? მაინც რა გინდა? მაგრამ არ მინდა, თავი გავცე, მოუთმენლობა შემატყოს. ეს სავაჭრო გარიგებაა, ერთმანეთს რაღაცები უნდა გავუცვალოთ. ვინც ვერ მოითმენს, წააგებს. მე უანგაროდ არაფერს გავცემ: მე ვყიდი.

– მინდოდა... – მეუბნება იგი, – ძალიან სულელური თხოვნაა, – და ის მართლაც უხერხულად იშმუშნება. მისი დანახვისას ძველებს პირზე მოადგებოდათ სიტყვა „შემცბარი“. დიახ, ადრე ხშირად ასე გამოიყურებოდნენ კაცები. არადა უკვე საკმაოდ ხანდაზმულია, შეცბუნება აღარ შეშვენის და აღარც ის უნდა ახსოვდეს, ოდესღაც როგორ იზიდავდა ქალებს ასეთი გამომეტყველება. ახალგაზრდა მამაკაცები ამგვარ ხრიკებს აღარ იყენებენ, არც კი იციან, რომ ასეთი რამ არსებობს.

– მინდოდა, სკრაბლი გვეთამაშა, – ამბობს ის.

ძარღვიც არ მიტოკავს. წარბსაც არ ვიხრი. აი, თურმე რა ხდება ამ საიდუმლო ოთახში! სკრაბლი! ერთი სული მაქვს, გავიცინო, არა, ისტერიკულად გადავიხარხარო, სიცილისაგან სკამიდან ჩამოვვარდე. ეს ბერიკაცებისა და დედაბრების თამაში იყო, პენსიონერთა ვილებში თამაშობდნენ ხოლმე, როცა ტელევიზორში საინტერესოს არაფერს უჩვენებდნენ, ანდა ადრეულ სიყმაწვილეში, ოდესღაც, დიდი, დიდი ხნის წინათ. დედაჩემსაც ჰქონდა სკრაბლის ნაკრები, შემოსასვლელის განჯინაში მუყაოს ყუთში ინახავდა ნაძვის ხის სათამაშოებთან ერთად. ერთხელ, ცამეტი წლის გზააბნეული რომ ვიყავი და თავი ძალიან უბედური მეგონა, სცადა კიდეც, სკრაბლით გამოეკეთებინა ჩემთვის გუნება.

მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. სკრაბლი გვეკრძალება. ის ახლა საშიშია. უხამსობაა. მას ცოლთან ერთად ვერ ითამაშებს. ამიტომაც არის სანატრელი. ახლა იგი სახელს იტეხს, თითქოს ნარკოტიკები შემოეთავაზებინოს.

– კარგი, – ვპასუხობ მოჩვენებითი გულგრილობით. არადა, ხმას ძლივს ვიღებ.

ის არ მეუბნება, რატომ უნდა ჩემთან სკრაბლის თამაში, არც მე ვეკითხები. იგი საწერი მაგიდის ერთ-ერთი უჯრიდან ყუთს იღებს და ხსნის. იქიდან ჩემთვის ნაცნობ ხის კოჭებს, კვადრატებად დაყოფილ დაფას და ასოების პაწაწინა სამაგრებს იღებს. კოჭებს ნაწერ მაგიდაზე აპირქვავებს და მათ გადმოტრიალებას იწყებს. ორიოდე წუთის შემდეგ მეც ვეხმარები.

– თამაშის წესები იცი? – მეკითხება ის.

მე თავს ვუქნევ.

ორჯერ ვთამაშობთ. ხორხი. ვმარცვლავ მე. არშია. კომში. ზიგოტა. ხელსვკიდებ გლუვგვერდებიან პრიალა კოჭებს, თითს ვუსვამ ასოებს. სასიამოვნო შეგრძნებაა. ეს თავისუფლებაა, ერთი თვალისდახამხამება თავისუფლება. კოჭლობა, ვამბობ მე, ღორმუცელობა. როგორი ფუფუნებაა. ეს კოჭები პიტნის კანფეტს

ჰგავს. პიტნის კარამელს. სიამოვნებით ჩავიდებდი პირში. დარწმუნებული ვარ, ლაიმის გემოც ექნებათ. ასო ს ენაზე ოდნავ იშუშხუნებს, გემრიელად.

პირველ ხელს ვიგებ, მეორეს ვაგებინებ: ჯერ არ ვიცი, რა არის ჩვენი თამაშის პირობა, არ ვიცი, რის მოთხოვნა შემიძლია სანაცვლოდ.

ბოლოს მეუბნება, რომ დროა, შინ წავიდე. ზუსტად ასე ამბობს: „შინ წადი“. ჩემს ოთახს გულისხმობს. მეკითხება, ხომ მშვიდობით მივალ იქამდე, თითქოს კიბე ჩაბნელებული ქუჩა იყოს. მე ვეუბნები, რომ ყველაფერი კარგად იქნება. იგი თავისი კაბინეტის კარს ოდნავ აღებს და დერეფანს აყურადებს.

თითქოს პაემანზე ვარ. თითქოს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში დავიგვიანე და ახლა უნდა შევიპარო.

ეს ჩვენი საიდუმლოა.

– დიდი მადლობა თამაშისათვის, – მეუბნება ის, მერე ამატებს: – მინდა, მაკოცო.

წარმოვიდგენ, ბანაობის საღამოს ჩემი სააბაზანოდან როგორ ვეპარები მოშორებით მდგარ უნიტაზს ისე სწრაფად და უჩუმრად, რომ კართან სკამზე ჩამომჯდარი კორა ვერაფერს იგებს. წვერწამახულ ანკერს ვაცლი და სახელოში ვმალავ. მეორედ მოსვლისას ჩუმად შემოვაპარებ მეთაურის ოთახში – ამგვარი თხოვნის მერე, სულერთია, ჰოს უპასუხებ თუ არას, მეორედ მოსვლა მაინც მოგიწევს. წარმოვიდგენ, როგორ ვუახლოვდები მეთაურს საკოცნელად მასთან პირისპირ დარჩენილი, როგორ ვხდი პიჯაკს, თითქოს ნებართვას ან შემოთავაზებას, ნამდვილი სიყვარულის რაიმე გამოვლინებას ველოდე ამ ამბის გასაგრძელებლად, კისერზე მკლავებს ვხვევ, ანკერს სახელოდან ვაცურებ და მის წამახულ წვერს ნეკნებს შორის ვურჭობ. წარმოვიდგენ, როგორ გადამესხმევა მისი წვნიანივით ცხელი, სექსუალური სისხლი ხელებზე.

სინამდვილეში ახლა ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია. ეს მოგვიანებით წარმოვიდგინე. ეგებ ეს იმწამსვე უნდა წარმომედგინა, მაგრამ ვერ წარმოვიდგინე. ხომ ვთქვი, ეს ამბავი გამონაგონია.

– კარგი, – ვამბობ მე. ვუახლოვდები და მოკუმულ ტუჩებს ტუჩებზე ვადებ.ვგრძნობ მისი საპარსი ლოსიონის ჩვეულ სურნელს, ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობ ნაფტალინის სუნთან არეულს. მაგრამ თითქოს დღეს პირველად ვხედავ.

ის უკან იხევს და ჩამომცქერის. სახეზე ისევ ის ღიმილი დასთამაშებს, შემცბარი. როგორი გულწრფელია.

– ასე არა, – მეუბნება ის, – მართლა მაკოცე.

ძალიან ნაღვლიანი მეჩვენება.

ესეც გახსენებაა. თუ გამონაგონი. ან წარმოსახვა.

IX -

ღამე

უკან ვბრუნდები. მკრთალად განათებულ ჰოლსა და ხალიჩით ხმადახშულ საფეხურებს მივუყვები და უჩუმრად შევდივარ ჩემს ოთახში. იქ, სიბნელეში, სკამზე ვჯდები. ჩემი წითელი კაბის ყველა ღილი და დუგმა საიმედოდ მაქვს შეკრული. მხოლოდ ჩაცმულ ადამიანს შეუძლია საღად აზროვნება.

პერსპექტივა მჭირდება. სიღრმის ის ილუზია, რომელსაც ჩარჩო, სიბრტყეზე ფორმათა განლაგება ქმნის. პერსპექტივა აუცილებელია. მის გარეშე მხოლოდ ორი განზომილება რჩება. მის გარეშე კედელზე ცხვირმიჭყლეტილს გიწევს ცხოვრება, მის გარეშე მხოლოდ უზარმაზარი წინა პლანია, დეტალებით, მსხვილი ხედებით, თმით, ზეწრის ლივლივით, სახის მოლეკულებით სავსე. შენი კანი რუკას ჰგავს, ზედაპირულ დიაგრამას, რომელიც არსაით მიმავალი პაწაწინა ბილიკებითაა დაქსელილი. პერსპექტივის გარეშე შენი ცხოვრება დროის ერთ მონაკვეთშია ჩაკეტილი. მე ეს სულაც არ მეპიტნავება.

მაგრამ ახლა სწორედ ასე ვცხოვრობ და ამას ვერსად გავექცევი. დრო ხაფანგია და მე ამ ხაფანგში გავები. უნდა დავივიწყო ჩემი საიდუმლო სახელი და წარსული. ახლა მე ფრედისა მქვია და აქ ვცხოვრობ.

იცხოვრე აწმყოში, გააკეთე რაც შეგიძლია, იმიტომ, რომ მხოლოდ აწმყო გაქვს.

მოვიდა დრო, ასჯერ გავზომო.

ოცდაცამეტი წლის ვარ. ფეხსაცმლის გარეშე ხუთი ფუტი და შვიდი დუიმი. ყავისფერი თმა მაქვს. აღარც კი მახსოვს, ადრე როგორი ვიყავი. სიცოცხლისუნარიანი კვერცხუჯრედები მაქვს ანუ – კიდევ ერთი შანსი.

მაგრამ ახლა, ამ საღამოს, რაღაც შეიცვალა. ვითარება ერთიანად შემოტრიალდა.

მე შემიძლია, რაღაც მოვითხოვო; ალბათ, ბევრი არაფერი, მაგრამ რაღაც მაინც.

კაცები სექსის მანქანები არიან, ამბობდა დეიდა ლიდია, ეგ არის და ეგ. მხოლოდ ერთი რამ უნდათ. თქვენ მათი გამოყენება უნდა ისწავლოთ, თქვენს დაკრულზე უნდა აცეკვოთ; ეს მეტაფორაა, ბუნების შექმნილი. ასე დააწესა უფალმა. ასე ყოფილა ოდითგანვე.

დეიდა ლიდიას ზუსტად ეს სიტყვები არასოდეს უთქვამს, მაგრამ ყველაფერში, რასაც ის ამბობდა, ამას გულისხმობდა. ეს აზრი ისე უციმციმებდა თავზემოთ, როგორც ძველი დროის წმინდანებს – შარავანდედი. დეიდა ლიდიაც ამ წმინდანებივით გაძვალტყავებული და უხორცო იყო.

მაგრამ როგორ მოვარგო ეს ფორმულა მეთაურს, მისი კაბინეტს, სიტყვებით თამაშსა და მის სურვილს.ddა რა სურს? რომ ვეთამაშო და ნაზად ვაკოცო, ოღონდ – მართლა.

ვიცი, რომ სერიოზულად უნდა მოვეკიდო მასაც და მის სურვილებსაც. ეს შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს: საშვი აღმოჩნდეს, ან სულაც – დამღუპველი. ძალიან უნდა მოვინდომო, ხელებით უნდა ჩავაფრინდე. მაგრამ რასაც უნდა ვაკეთებდე – ბნელში ვიჯდე, საპატარძლო კაბასავით, ექტოპლაზმასავით ჰაეროვანი ფარდების მიღმა კი ჩემი ფანჯრის ოვალი პროჟექტორების შუქს ირეკლავდეს, ხელებს ერთმანეთს ვუჭერდე და წინ და უკან ვირწეოდე – მოკლედ, რასაც უნდა ვაკეთებდე, ყველაფერი სასაცილო მეჩვენება.

მას უნდოდა, ჩემთან სკრაბლი ეთამაშა და მე მისთვის ნამდვილად მეკოცნა.

რას არ მოესწრები ადამიანი.

მთავარი კონტექსტია.

ოდესღაც ნანახი სატელევიზიო ფილმი გამახსენდა. შვიდი-რვა წლის ვიქნებოდი, ძალიან პატარა მისი შინაარის აღსაქმელად. კარგა ხნის წინ იყო გადაღებული. დედაჩემს უყვარდა ამგვარი რამეების ყურება:

ისტორიულის, შემეცნებითის. მერე ცდილობდა, ჩემთვისაც აეხსნა, რომ ფილმში აღწერილი ფაქტები ნამდვილად მოხდა, მაგრამ ჩემთვის ეს ამბავი მაინც გამონაგონად დარჩა. ვიფიქრე, რომ ის ვიღაცამ შეთხზა. ალბათ, ყველა ბავშვს ყველაფერი გამონაგონი ჰქონია, საკუთარი ცხოვრების გარდა. რაც მოგონილია, ის არც საშიშია.

დოკუმენტური ფილმი იყო, ერთ-ერთი ომის შესახებ მოგვითხრობდა. აჩვენებდნენ ინტერვიუებს, ნაწყვეტებს იმდროინდელი შავ-თეთრი ფილმებიდან, ფოტოებს. ბევრი აღარაფერი მახსოვს, მაგრამ გონებაში ფოტოების ხარისხი ჩამრჩა, როგორი მზის სხივებისა და მტვრის ნაზავის მოსასხამში გახვეული ჩანდა მათზე ყველაფერი. როგორი ჩაშავებოდათ კანი თვალებქვეშ და ყვრიმალებთან ადამიანებს.

ომის ჯერ კიდევ ცოცხალ მოწმეებთან ინტერვიუებს ფერადად აჩვენებდნენ. ყველაზე მეტად ერთი მოხუცი ქალი დამამახსოვრდა, რომელიც ოდესღაც გერმანელთა ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკის ხელმძღვანელის საყვარელი ყოფილა. ამ ბანაკში სიკვდილმისჯილ ებრაელებს აწამებდნენ. გაზის კამერებშიო, დედამ ამიხსნა, მაგრამ, რადგან ფილმში კამერა არ უჩვენებიათ, წარმოვიდგინე, რომ ებრაელებს სამზარეულოებში ხოცავდნენ. არის რაღაც ბავშვისთვის განსაკუთრებითშემაშფოთებელი ამგვარ წარმოსახვაში. ღუმელს ხომ საჭმლის მოსამზადებლად იყენებენ. ვიფიქრე, რომ ეს ხალხი შეჭამეს. სხვათა შორის, დღესაც ასე მგონია.

ყველა ამბობდა, რომ ის კაცი სასტიკი და გულქვა იყო. მისი საყვარელი – დედაჩემმა ამიხსნა, რა იყო საყვარელი. მას არ უყვარდა იდუმალების ბურუსში რამის გახვევა, ოთხი წლისას უკვე მქონდა სასქესო ორგანოების ილუსტრაციებიანი ბროშურა – ერთი სიტყვით, მისი საყვარელი ოდესღაც ძალიან ლამაზი ყოფილა. ფილმში მისი შავ-თეთრი ფოტოც აჩვენეს ვიღაც ქალთან ერთად გადაღებული: ორივეს საცურაო ბიკინი და პლატფორმისძირიანი ფეხსაცმელი აცვია და იმ დროს მოდური შლაპები ახურავთ; კატის თვალის ფორმის სათვალეები უკეთიათ და აუზის კიდესთან, შეზლონგებზესხედან. საცურაო აუზი მისი სახლის გვერდით იყო, სახლი კი ღუმლებიანი ბანაკის ახლოს მდებარეობდა. ქალი ირწმუნებოდა, რომ ღუმელთა შესახებ არაფერი იცოდა.

ინტერვიუს ჩაწერის დროს, ანუ ორმოცი-ორმოცდაათი წლის შემდეგ, იგი ემფიზემით იტანჯებოდა. გამუდმებით ახველებდა და ძალიან გამხდარი იყო, თითქმის გაძვალტყავებული, მაგრამ ჯერაც იწონებდა თავს სილამაზით („ერთი ამას შეხედეთ, – თქვა დედამ, ბუზღუნშერეული აღფრთოვანებით, – როგორ შემოუნახავს თავი ქალბატონს!“). გულმოდგინედ წაესვა მაკიაჟი, წამწამებზე ტუშის სქელი ფენა ედო, ყვრიმალის ძვლების რეზინის ხელთათმანივით გადატკეცილ კანზე ფერუმარილი გადაესვა. მარგალიტის ყელსაბამი ეკეთა.

ის ურჩხული არ იყო, თქვა მან, ხალხი ურჩხულს ეძახის, მაგრამ ისინი მას არ იცნობდნენ.

ნეტავ, რას ფიქრობდა ეს ქალი? მგონი, არაფერს; არა, იმ დროს ნამდვილად არაფერს ფიქრობდა. პირიქით, ფიქრობდა, როგორმე არ ეფიქრა. არეული დრო იყო. ის ამაყობდა თავისი სილამაზით. და არ სჯეროდა, რომ მისი საყვარელი ურჩხული იყო. მას ურჩხულივით არ ექცეოდა. ვინ იცის, იქნებ რამე მომხიბვლელი ჩვევაც ჰქონდა: შხაპის დროს ყალბი ნოტებით უსტვენდა, ტრიუფელზე გიჟდებოდა ანდა თავის ძაღლს ლიბხენს ეძახდა და უმი ხორცის პატარა ნაჭრებს უყრიდა, თუკი ის უკანა ფეხებზე წამოჯდებოდა. რა იოლია კეთილშობილების თამაში, ეს ამქვეყნად არავის უჭირს. ყველასათვის ხელმისაწვდომი ცდუნებაა. „დიდი ბავშვი“, – გაიფიქრებდა, ალბათ, ქალი, გული აუჩუყდებოდა, შუბლიდან თმას გადაუწევდა, ყურზე აკოცებდა ისე, რომ სამაგიეროდ არაფერს მოსთხოვდა. დედობრივი ინსტინქტი, როცა უანგაროდ გასცემ სიკეთეს. „აქ ვარ, აქ ვარ, – ეტყოდა, თითქოს მისი საყვარელი უცებ კოშმარმა გამოაღვიძა, – როგორი მძიმე სამუშაო გაქვს“. ალბათ, თვითონაც სჯეროდა თავისი ნათქვამი, თორემ სხვაგვარად რა გააძლებინებდა? ეს სილამაზე ხომ ერთ ჩვეულებრივ გოგოს მალავდა. მას სჯეროდა წესიერების, კარგად ექცეოდა თავის ებრაელ მოახლეს, ან – არც ისე კარგად, მაგრამ იმაზე უკეთესად, ვიდრე გარშემო მყოფები მოელოდნენ.

ინტერვიუს ჩაწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ მან თავი მოიკლა. ტელევიზიით გამოაცხადეს.

არავის უკითხავს, უყვარდა თუ არა ის კაცი.

მე ყველაზე მეტად მისი მაკიაჟი დამამახსოვრდა.

სიბნელეში ვდგები და ღილებს ვიხსნი. თითქოს სხეულიდან რაღაც ხმა მესმის. მე გავტყდი, როგორც ჩანს, სადღაც გავიბზარე. ჩემს სახეზე ამოტეხილი ღრმულიდან ხმა ამოდის. რა მოულოდნელობაა: მე ხომ არ ვფიქრობდი არც ამას, არც იმას; სულაც არ ვფიქრობდი. ამ ხმას ჰაერში გაჭრის ნება რომ მივცე, სიცილად იქცევა, ხმამაღალ, თავშეუკავებელ სიცილად. მერე აჩქარებული ნაბიჯების ხმას გავიგონებ, ბრძანებებს და რა მოხდება? განაჩენი არ დაახანებს: ამ ვითარებაში ემოციების გამოხატვა უადგილოა, მით უმეტეს, მოსიარულე საშვილოსნოსათვის. ისტერიკა. ამას მოჰყვება წამლები, ნემსები და სავალალო შედეგი.

ორივე ხელს პირზე ვიჭერ, თითქოს, სადაცაა, გული ამერევა და მუხლზე ვიჩოქებ. სიცილი ლავასავით მითუხთუხებს ხორხში. გარდერობისაკენ მივფორთხავ, მუხლებს ძლივს მივათრევ, სადაცაა, სული შემეხუთება. მოწოლილი სიცილისგან ნეკნები მტკივდება, ვცახცახებ, ღრმად ვსუნთქავ; ვულკანივით ვარ, ცოტაც და – ამოვიფრქვევი, წითლად შევღებავ მთელ გარდერობს. შობას ლპობა ერითმება. ღმერთო, მოვკვდი სიცილით.

სიცილის შეტევას გარდერობში ჩამოკიდებული წამოსასხამის კალთებში ვახშობ, თვალებს მაგრად ვხუჭავ, რომ ჩამოდენილი ცრემლები მოვიწურო. ვცდილობ, ჭკუაზე მოვიდე.

ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერმა ეპილეფსიური შეტევასავით გადაიარა. ისევ აქ ვარ, გარდერობში.

ნოლიტე ტე ბასტარდეს ცარბორუნდუმ . სიბნელეში ვერ ვხედავ, მაგრამ თითის წვერებს ვუფათურებ პაწაწინა ნაკაწრს, თითქოს ბრაილის შრიფტით იყოს დაწერილი. ახლა იგი ლოცვასავით კი არა, ბრძანებასავით ჩამესმის; მაგრამ რა უნდა ვქნა? ჩემთვის იგი ისევე გამოუსადეგარია, როგორც უძველესი იეროგლიფი, რომლის შიფრიც დიდი ხანია, დაიკარგა. რატომ დაწერა ეს სიტყვები? თავი რატომ შეიწუხა? აქედან გასაქცევი გზა ხომ არ არსებობს.

იატაკზე ვწევარ, სწრაფად ვსუნთქავ, მერე უფრო ნელა, ზუსტად ისე, როგორც მშობიარობის სავარჯიშოებისას გვასწავლეს. გულის

სარქველების ხმაღა მესმის: იღება, იკეტება, იღება, იკეტება, იღება.

X -

სულის პალიმფსესტები

25

დილით კივილისა და მსხვრევის ხმამ გამომაღვიძა. კორას საუზმის ლანგარი ხელიდან გავარდნია. თვალი რომ გავახილე, სანახევროდ გარდერობში ვიყავი შემძვრალი, თავი კი დაგორგლილ წამოსასხამში მქონდა ჩარგული. ეტყობა, საკიდიდან ჩამოვხსენი და ბალიშად ამოვიდე; ერთხანს ვერც გავიხსენე, სად ვიყავი. კორა ჩემ გვერდით ჩაჩოქილიყო და ზურგზე ხელს მისვამდა. როგორც კი შევტოკდი, ისევ შეჰკივლა.

– რა მოხდა? – ვიკითხე. კარადიდან გადმოვგორდი და თავის წამოწევა მოვახერხე.

– ოჰ, – თქვა მან, – მე მეგონა...

ნნეტავ, რა ეგონა?

– ვიფიქრე... – თქვა მან.

იატაკზე ნაჭუჭშემომტვრეული კვერცხები და ჭიქის ნამსხვრევები ყრია, ფორთოხლის წვენიც დაღვრილა.

– ხელახლა მომიწევს შენი საუზმის მოტანა, – თქვა მან, – ყველაფერი გავაოხრე. იატაკზე რა გინდოდა? – ხელი ჩამავლო და მომეხმარა, რომ ფეხზე დავმდგარიყავი.

არ მინდოდა, გაეგო, რომ ლოგინში არ ვწოლილვარ. ამას ვერ ავუხსნიდი. ვუთხარი, ალბათ, გული წამივიდა-მეთქი. თუმცა, შევცდი – მაშინვე ჩაეჭიდა ჩემს ნათქვამს.

– ეს პირველი ნიშანია, – ჩაილაპარაკა კმაყოფილებით, – ეს და პირღებინება, – არადა, უნდა სცოდნოდა, რომ ორსულობის სიმპტომები ასე უცებ არ იჩენს თავს, მაგრამ ერთი სული ჰქონდა, ბავშვი როდის გაჩნდებოდა.

– არა, არა, გამორიცხულია, – ვუთხარი მე, – სკამზე ვიჯექი და რომ წამოვდექი, უცებ თავბრუ დამესხა და თვალთ დამიბნელდა.

– გუშინდელი ამბების ბრალია, – თქვა მან, – ალბათ, ძალიან ინერვიულე.

მშობიარობას გულისხმობდა და მეც დავუდასტურე. უკვე სკამზე ვიჯექი, ის კი, იატაკზე დაჩოქილი, მინის ნამსხვრევებსა და კვერცხის ნაჭუჭებს კრეფდა და ლანგარზე აგროვებდა, ქაღალდის ხელსახოცით კი ფორთოხლის წვენის ამოშრობას ცდილობდა.

– ტილო უნდა მოვიტანო, – თქვა მან, – ახლა კიდევ იმათ უნდა ვუხსნა, რატომ მომაქვს შენთვის ახალი კვერცხი. თუ უკვერცხოდაც გახვალ იოლას? – მან ალმაცერად ამომხედა, ცბიერად და მივხვდი, რომ აჯობებდა, თუ ორივე თავს მოვიკატუნებდით, თითქოს არაფერი მომხდარა და მე ჩვეულებრივ მივირთვი საუზმე. იმის მოყოლა რომ დაეწყო, როგორ მიპოვა იატაკზე გაშხლართული, შეკითხვებით აგვიკლებდნენ. რასაკვირველია, გატეხილი ჭიქის გამო მაინც მოუწევდა პასუხისგება, მაგრამ საუზმის ხელმეორედ მომზადება რომ ეთხოვა, რიტას ვერ გადაურჩებოდა.

– არ მინდა კვერცხი, – ვუპასუხე, – საერთოდ არ მშია, – კარგად გამომივიდა, უმადობა მოუხდა ჩემს გამოგონილ შეუძლოდ ყოფნას, – მხოლოდ ორცხობილა დამიტოვე, – მთლად უზმოდაც არ მინდოდა დარჩენა.

– იატაკზე ეგდო, – მითხრა მან.

– არა უშავს, – მივუგე და დაბრაწული ტოსტი ავახრამუნე, ის კი ტუალეტში შევიდა და კვერცხის ნარჩენები უნიტაზში ჩარეცხა.

– ვიტყვი, რომ ლანგარი აქედან გასვლისას დამივარდა, – თქვა შემობრუნებულმა.

გამიხარდა, რომ ჩემი გულისთვის ტყუილსაც არ ერიდებოდა, თუნდაც ასე უმნიშვნელოსა და მისთვისაც ხელსაყრელს. თითქოს უხილავი ძაფი გაიბა ჩვენ შორის.

გავუღიმე.

– იმედია, არავინ გისმენს, – ვუთხარი.

– გული გამიხეთქე, – მომიბრუნდა ისევ. ლანგარი ეჭირა და გარეთ გასვლას აპირებდა, – ჯერ მეგონა, რომ იქ შენი ტანსაცმელი ეყარა. გავიფიქრე, ნეტავ, იატაკზე რატომ ყრია-მეთქი. თავში გამკრა, რომ...

– გავიქეცი, – დავასრულე მე.

– ჰო, მაგრამ... – თქვა მან, – მაგრამ შენ აქ ხარ.

– კი, – ვუპასუხე, – აქ ვარ.

დიახ, იქ ვიყავი და ისიც, თავის ლანგრიანად, ოთახიდან გავიდა, მაგრამ ცოტა ხანში ტილოთი დაბრუნდა და ფორთოხლის წვენი მოწმინდა. შუადღისას კი რიტამ გესლიანი რეპლიკა ისროლა „ხელმარცხიანი ხალხის“ შესახებ.

– ყველაფერზე ფიქრობენ, საქმის გარდა. წინ არ იყურებიან, – თქვა მან და ცხოვრება ისე გაგრძელდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

*

ეს მაისში მოხდა, გაზაფხულის მიწურულს. ტიტებმა დაიყვავილეს და ჩამოჭკნენ, კბილებივით სათითაოდ დასცვივდათ ფურცლები. ერთ დღესაც სერენა ჯოის გადავეყარე. თავის ბაღში იყო, ბალიშზე დაჩოქილი, ყავარჯენი გვერდით, ბალახებში, ეგდო. მაკრატლით ყვავილებს სხლავდა. კალათაში ნავაჭრი ფორთოხალი და ბატკნის ხორცი მეწყო. გვერდით ჩავუარე და მისკენ ალმაცერი მზერა გავაპარე. ის ჯერ გულდაგულ უმიზნებდა მცენარეს მაკრატლის პირებს და მერე ერთი კონვულსიური მოძრაობით ასხეპდა თავს.ნუთუ ართრიტი შეეპარა? თუ კამიკაძისებური თავგანწირვით „ელვისებური ომი“ წამოიწყო ყვავილების შესივებული გენიტალიების, მათი ნაყოფიერი სხეულების წინააღმდეგ? გასხვლა ნიშნავს, ბოლქვებს ენერგია სამომავლოდ შემოუნახო.

წმინდა სერენა, მუხლებზე მდგარი, მცენარეებს ეპიტიმიას ადებს.

ხშირად ვირთობ თავს ამგვარად: მასზე პატარ-პატარა მწარე ხუმრობებს ვთხზავ. დროა, გზა განვაგრძო; სერენა ჯოის ზურგს უკან დიდხანს დგომა ხეირს არ დამაყრის.

ნეტავ, სასხლავი მაკრატელი მქონდეს.

მერე ზამბახები აყვავდნენ, წერწეტ ღეროებზე წამომართეს ლამაზი დაგრილი თავები, შებერილი მინის, პასტელის საღებავის გაქვავებული შხეფების მსგავსი, ღია ცისფერი, ღია იასამნისფერი, მუქეც: ხავერდოვანი და იისფერი, მზით განათებული შავი სოსნები, ინდიგოსფერი ჩრდილი და გასისხლიანებული გულები. ისე ჰგავდნენ ქალებს, საკვირველი იყო, დიდი ხნის წინ როგორ არ ამოძირკვეს. ეს ბაღი სერენას თითქოს საყრდენს აცლის; გრძნობ, რომ ყოველი დამარხული ადრე თუ გვიან მიწის წიაღიდან ამოიწვერება და ზემოთ მიემართება, უხმოდ მიიწევს სინათლისაკენ, თითქოს უნდა დაგანახვოს, გითხრას: ის ჩუმადაა, უტყვია, მაგრამ მაინც მოითხოვს, მოუსმინონ. ტენისონის ბაღი, საკუთარი სურნელით გაბრუებული; ექო სიტყვისა მიბნედილი. ბაღში მზის სინათლე იღვრება, მაგრამ სიცხეც აჭერს. ამას ყვავილების სიმხურვალითაც გრძნობ: თითქოს ხელი შემოხვიე მკლავს ზემოთ, მხარზე. ბაღი სუნთქავს, სითბოში, საკუთარ ოხშივარში იძირება. ამ დღეებში იორდასალამების, მიხაკებისა და ქრიზანთემების გვერდით ჩავლისას თავბრუ მეხვევა.

ტირითი გაფოთლილა და მისმა შემპარავმა ჩურჩულმა ლამის სასო წარმიკვეთოს. „პაემანი“, – ამბობს ის, – „ტერასები“; ამ სიტყვათა თანხმოვნები თითქოს ხერხემალზე მაცოცდებიან და ციებიანივით ვცახცახებ. თეძოებზე საზაფხულო კაბის შარიშურს ვგრძნობ, ფეხქვეშ ბალახი ამოზრდილა; თვალის ერთი შევლებით ვამჩნევ ტოტების რხევას; ფრთები, ფარფატი, ჟღურტული, ხე ჩიტში – თავბრუდამხვევი მეტამორფოზები. ახლა ქალღმერთები ერთი ხელის გაწვდენაზე არიან და ჰაერი ვნებით არის გაჟღენთილი. კედლის აგურებიც კი ისე დარბილებულან, ხელის შეხებაზე თრთიან; ზურგით რომ მივეყრდნო, მათ სითბოსა და დრეკადობას შევიგრძნობ. საოცარია, რა მოჰყვება სურვილის დაოკებას. ნუთუ გუშინ იმ ბიჭს, შლაგბაუმთან, ჩემი კოჭის დანახვამ დაახვია თავბრუ, როცა ჩემი საშვი ძირს დავაგდე და დაველოდე, როდის დაიხრებოდა და მომაწოდებდა? არც ცხვირსახოცი, არც მარაო – ის, რაც ხელთ მქონდა.

ზამთარი ასეთი საშიში არ არის. მე სწორედ სიცივე მჭირდება, სისასტიკე, და არა – სიმწიფის ეს შეგრძნება, თითქოს ყუნწზე

გამოზრდილი ნესვი ვარ, რბილი და წვნიანი.

მე და მეთაური ერთმანეთს ვხვდებით. ეს არც პირველი ინტრიგაა კაცობრიობის ისტორიაში და არც – უკანასკნელი, მაგრამ თავისი არსით აშკარად განსხვავდება დანარჩენებისაგან.

მეთაურს კვირაში ორჯერ ან სამჯერ ვესტუმრები ხოლმე, ყოველთვის ნავახშმევს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დათქმულ ნიშანს მივიღებ. ნიშანი ნიკია. თუკი საყიდლებზე მიმავალს ან იქიდან დაბრუნებულს, იგი ეზოში, მანქანის რეცხვაში გართული, გვერდზე ქუდმოქცეული ანდა უქუდო დამხვდება, იმ საღამოს მეთაურს უნდა შევხვდე. თუკი არ ჩანს ან ქუდი სწორად ახურავს, ჩემს ოთახში ვრჩები. რასაკვირველია, ცერემონიის დღეებში ეს წესები უქმდება.

მთავარი დაბრკოლება, როგორც ყოველთვის, ცოლია. ვახშმის შემდეგ იგი საძინებელში მიდის, საიდანაც ადვილად შეიძლება, გაიგონოს, როგორ მივიძურწები დერეფანში, თუმცა, ძალიან ვცდილობ, ჩუმად ვიარო. ხანდახან მოსასვენებელ ოთახში რჩება და იმ სულელურ ყელსახვევებს უქსოვს ანგელოზებს, თავის ნახელავზე ამატებს და ამატებს ჩახლართულსა და გამოუსადეგარ მატყლის ადამიანებს. ესეც ნაყოფიერების გამოხატულებაა, ალბათ. მისი იქ ყოფნისას მოსასვენებელი ოთახის კარი ღიაა, ამიტომაც მის გვერდით ჩავლას ვერ ვბედავ. თუკი მე მისვლის ნიშანი მომცეს, მაგრამ სერენას გამო ვერ მივდივარ, მეთაური არ ბრაზობს. მან იცის, რა დღეშიც ვარ. მან ყველა წესი იცის.

თუმცა ხანდახან სერენა ჯოი სახლიდან მიდის, რომელიმე სხვა მეთაურის ცოლს ესტუმრება, შეუძლოდ მყოფს; საღამოობით დროის გატარება მხოლოდ ასეთ ადგილებში შეუძლია. მოსაკითხად საჭმელი მიაქვს ხოლმე, ნამცხვარი, რიტას გამომცხვარი პური ან ჯემი, რომელსაც ბაღში დაკრეფილი პიტნის ფოთლებისაგან აკეთებენ. ეს მეთაურის ცოლები ხშირად ხდებიან ავად. ამით იმრავალფეროვნებენ ცხოვრებას. სამაგიეროდ, ჩვენ, მხევლები და მართები, ვცდილობთ. ჯანმრთელად ვიყოთ. მართებს დათხოვნის ეშინიათ, ღმერთმა იცის, სად მოუწევთ სიბერის გატარება; ქუჩაში მოხუც ქალებს ასე ხშირად ვეღარ გადაეყრებით. ხოლო ჩვენთვის, მხევლებისათვის, ნებისმიერი ნამდვილი ავადმყოფობა, ლოგინად ჩავარდნა, დასუსტება, ფერისა და მადის დაკარგვა, თმის ცვენა,

გლანდების ანთება დასასრულს ნიშნავს. კორა მახსენდება, ადრიან გაზაფხულზე გრიპიანი რომ დაბარბაცებდა და კარის წირთხლს ჩაბღაუჭებული ცდილობდა, ხველება შეეკავებინა. „ოდნავ გავცივდი“, – უპასუხა სერენა ჯოის კითხვას.

ხანდახან სერენაც კი ჩაიფუთნება ხოლმე ლოგინში ორიოდე დღით და მაშინ ყველა თავს დასტრიალებს; კიბეზე ცოლების კაბების შრიალი, კისკისიდა ყბედობა ისმის, ავადმყოფს ნამცხვრებსა და ღვეზლებს, მურაბებსა და თავიანთ ბაღში დაკრეფილი ყვავილების თაიგულებს მოართმევენ ხოლმე. ვალს უხდიან. რიგრიგობით ავადმყოფობენ. მგონი, ერთგვარი სია არსებობს, უხილავი, საიდუმლო. თითოეული მათგანი ფრთხილობს, ზომიერებას იჩენს, ცდილობს, მხოლოდ თავის წილ ყურადღებას დასჯერდეს.

იმ ღამეებში, როცა სერენა სტუმრად მიდის, ვიცი, რომ გამომიძახებენ.

თადაპირველად დაბნეული ვიყავი. ვერ ვხვდებოდი, სინამდვილეში რა ედო გულში. რასაც ვხედავდი, ისეთი სასაცილო და აბსურდული მეჩვენებოდა, როგორიც მაქმანებიანი ფეხსაცმლის გაფეტიშება.

ცოტათი გულიც კი მწყდებოდა. ნეტავ რასველოდი, როცა პირველად ვიდექი ამ დაკეტილ კართან? რაღაცას, ენით უთქმელს, ეგებ იმას, რომ ოთხზე დამაყენებდნენ, ათასგვარ გარყვნილებას მომთხოვდნენ, გამშოლტავდნენ, დამასახიჩრებდნენ? რამე სექსუალურ ცუღლუტობებს მაინც შემომთავაზებდნენ, პატარ-პატარა ცელქობებს, რომლებიც ახლა კანონითაა აკრძალული და დამნაშავე კასტრაციით ისჯება. მან კი, ამის ნაცვლად, სკრაბლის თამაში მთხოვა, თითქოს გადაღრძუებული ცოლ-ქმარი ვიყოთ ანდა პატარა და-ძმა; ესეც რაღაც ანომალიას ჰგავდა, თავისებურ ძალადობას, საიდუმლო განზრახვას.

ასე რომ, მაშინ ამ ოთახის კარი ისე გამოვიხურე, ვერ მივხვდი, რას და რატომ მთხოვდნენ ანდა გავამართლე თუ არა ეს მოლოდინი. შემეძლო თუ არა, ვაჭრობა წამომეწყო და ჩემი პირობები წამეყენებინა. ის არ მევაჭრებოდა. თავიდან ვიფიქრე, რომ კატათაგვობანას მეთამაშებოდა, ახლა კი მგონია, რომ თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა. მისი განზრახვა სიტყვიერ გამოხატულებად

მომწიფებული ჯერ არ იყო.

მეორე შეხვედრა თავიდან პირველის მსგავსად წარიმართა. დაკეტილ კარს მივუახლოვდი, დავაკაკუნე. შესვლის ნება მომცეს. მერე პრიალა, ჩალისფერი ქვებით ორი ხელი ვითამაშეთ. გაჭიანურებული, კვარცი, დილემა, წიწკვი, რიტმი – თანხმოვანთა ყველა შესაძლო ანსამბლი, რომელიც მახსოვდა და მენატრებოდა. ენა ამიმსუყა მათმა წარმოთქმამ. თითქოს იმ ენაზე ვლაპარაკობდი, რომელიც ოდესღაც ვიცოდი და მერე თითქმის დამავიწყდა. ენაზე, რომელიც გადაშენებული სამყაროს წეს-ჩვეულებათა აღსასრულებლად გამოიყენებოდა: ვერანდის მაგიდაზე მორთმეული ცაფვ აუ ლაიტ, ბრიოშთან ერთად; აბსენტი მაღალი ჭიქით, გაზეთის ძაბრში ჩაყრილი კრევეტები; ყველაფერი, რის შესახებაც ოდესღაც წამიკითხავს, მაგრამ არასოდეს მინახავს. ეს ყავარჯნების გარეშე პირველად გავლას ჰგავდა, ძველი ტელეფილმების ყალბ სცენას – შენ ამას შეძლებ, მჯერა, რომ შეძლებ. ასე ბორძიკობდა და ბარბაცებდა ჩემი ენა რ-ს სიმკვეთრესა და თ-ს სირბილეს, რიყის ქვებივით შეკვერცხილ ბგერებს შორის.

ჩემს ორჭოფობას მეთაური მოთმინებით იტანდა, ისევე, როგორც იმას, რომ ხანდახან მისი მართლწერის ცოდნა მაეჭვებდა.

– ჩვენც ავდგეთ და ლექსიკონში მოვძებნოთ, – მითხრა ერთხელ. ჩვენო, ასე თქვა. და მივხვდი, რომ თამაშებს მაგებინებდა.

ველოდი, რომ მეორე შეხვედრაც ზუსტად პირველის მსგავსად ჩაივლიდა და გამოსამშვიდობებელი კოცნით დასრულდებოდა, მაგრამ მეორე ხელის თამაშის შემდეგ იგი კვლავ სავარძელში გადაწვა. იდაყვები სახელურებზე ჩამოაწყო, თითისწვერები შეატყუპა და შემომხედა.

– შენთვის პატარა საჩუქარი მაქვს, – მითხრა მან.

ოდნავ გაიღიმა, მერე საწერი მაგიდის ზედა უჯრა გამოაღო და იქიდან რაღაც ამოიღო. ერთხანს ხელში ეჭირა, ჩვეულებრივად, ცერა და საჩვენებელ თითებს შორის, თითქოს ყოყმანობდა, მართლა ეჩუქებინა ჩემთვის თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ შორიდან ამოყირავებულს ვხედავდი, მაინც ვიცანი. ერთ დროს ასეთებს

ყოველ ნაბიჯზე გადაეყრებოდით. ჟურნალი იყო, მოდებისას ჰგავდა, პრიალა გარეკანს მანეკენის ფოტო ამშვენებდა, აფრიალებული თმა, ყელზე – ყელსახვევი, ტუჩებზე – პომადა; შემოდგომის კოლექცია. მეგონა, რომ ასეთი ჟურნალები ერთიანად გაანადგურეს, მაგრამ აი, ერთი მათგანი ჩემ წინ იდო, გადარჩენილი, მეთაურის იდუმალი კაბინეტის ბინადარი, იმ ადგილისა, სადაც ყველაზე მოულოდნელი იყო მისი დანახვა. მეთაური მანეკენს დასცქეროდა და ისევ იღიმებოდა, კვლავინდებურად ნაღვლიანად. ასე ზოოპარკში უღიმიან გადაშენებული ჯიშის უკანასკნელ წარმომადგენელს.

ვუყურებდი ამ ჟურნალს, სატყუარასავით რომ დამიდო ცხვირწინ და უცებ ისე მომინდა, ამეღო, სურვილისაგან თითის ბალიშები ამეწვა. თუმცა, ჩემი უცაბედი ლტოლვა მაშინვე სასაცილო და აბსურდული მომეჩვენა, რადგან მოდის ჟურნალები არასდროს მიყვარდა. ხანდახან თვითმფრინავში ან ექიმის მოსაცდელში თუ გადავავლებდი ხოლმე თვალს; ანდა სასტუმროში მიმავალი გავაყოლებდი ხელს, რომ ლუკის მოსვლამდე დრო მომეკლა. გადავფურცლავდი და იქვე მივაგდებდი, რადგან დიდ სისულელედ მიმაჩნდა და ორ-სამ დღეში ვეღარც ვიხსენებდი მათ შინაარსს.

თუმცა, ახლა გამახსენდა. ეს ჟურნალები დაპირებებით იყო სავსე. ისინი გარდასახვას გვასწავლიდნენ, შესაძლებლობათა ზღვას გვთავაზობდნენ; მათი დაპირებები ისე მრავლდებოდა, როგორც ანარეკლი ერთმანეთის პირისპირ მდგარ ორ სარკეში. ფრაზა-ფრაზა გადაიჭიმებოდა ხოლმე უსასრულოდ. ისინი ერთიმეორის მიყოლებით გვთავაზობდნენ უამრავ სხვადასხვანაირ თავგადასავალს, სხვადასხვანაირ გარდერობს, სხვადასხვაგვარ ფერისცვალებას, სხვადასხვანაირ კაცს. გვასწავლიდნენ გაახალგაზრდავებას, ტკივილის დაძლევასა და გამოჯანმრთელებას,დაუსაბამო სიყვარულს. მათი ნამდვილი დაპირება კი უკვდავება გახლდათ.

აი, სწორედ ეს დაპირებები ეჭირა ახლა მეთაურს ხელში, დაპირებები, რომლებისაც არაფერი გაეგებოდა. ფურცლებს აშრიალებდა. ვიგრძენი, რომ წინ გადავიხარე.

– ძველია, – თქვა მან, – ნამდვილი ანტიკვარია. მგონი, სამოცდაათიანი წლებისა. „ვოგი“, – საქმეში ჩახედული კაცივით

წარმოთქვა ეს სახელი, – ვიფიქრე, სიამოვნებით გადაავლებდი თვალს.

მე უკან დავიხიე. იქნებ მცდიდა. მამოწმებდა, რამდენად ვიყავი გაჟღენთილი გალაადური სულისკვეთებით.

– ეს აკრძალულია, – ვუთხარი.

– ამ ოთახში არა, – მომიგო მან. სათქმელს მივუხვდი. მთავარი ტაბუ უკვე დავარღვიე და ამ რაღაც წვრილმანს რატომღა უნდა გამოვკიდებოდი? ან თუნდაც სხვასა და კიდევ სხვას; დავინ მეტყოდა, სანამდე შემეძლო შემეტოპა? ამ ერთადერთი კარის მიღმა ტაბუ აღარ არსებობდა.

ჟურნალი გამოვართვი და მაშინვე გადავშალე. აი, ისინი, ჩემი ბავშვობის დროინდელი სახეები: გაბედული, შეუპოვარი, თავდაჯერებული, მათი სივრცის დასაპყრობად გამოწვდილი ხელები, მხრების სიგანეზე გაშლილი ფეხები, მიწას მყარად შეზრდილი ფეხისგულები. იყო მათ პოზაში რაღაც რენესანსული. პრინცებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე კულულებიანსა და გაპრანჭულ ქალწულებს. მათი გულწრფელი თვალები თუმცა მაკიაჟით იყო დაჩრდილული, ნახტომისათვის გამზადებული კატის თვალებივით კვესავდნენ. შეუძლებელი იყო, გეცახცახა, შეუძლებელი იყო, ვინმეს ჩაბღაუჭებოდი ამ ლაბადებსა და ტვიდის მკაცრ კაბებში, ამ მუხლამდე ჩექმებში გამოწყობილი. ეს ქალები მეკობრეები არიან, რომლებიც ალაფს დახვეწილ კეისებში მალავენ და რომლებსაც ცხენის კბილები აქვთ, ხარბად დაკრეჭილი.

ვიცოდი, რომ სანამ ფურცლებს ვშლიდი, მეთაური თვალმოუშორებლად შემომცქეროდა. ვიცოდი, რომ მას სიამოვნებდა იმისი ყურება, როგორ ვაკეთებდი რაღაც აკრძალულს. დეიდა ლიდიას აზრით, ახლა თავი ცოდვილად უნდა მეგრძნო, მე ხომ მართლაც ცოდვას ჩავდიოდი, მაგრამ ცოდვილის ნაცვლად ედუარდის ეპოქის ზღვისპეიზაჟებიან ღია ბარათს ვგავდი: მომნუსხველი და ვნების აღმძვრელი. ნეტავ ამის შემდეგ რაღას მაჩუქებს? ნუთუ კორსეტს?

– ეს რატომ გაქვთ? – ვკითხე.

– იმიტომ, რომ ზოგიერთი ჩვენგანი სიძველეების მოყვარულია.

– კი, მაგრამ მეგონა, ამგვარი რამეები სულ გაანადგურეს, – ვთქვი მე. გამახსენდა სახლების ჩხრეკა, კოცონები...

– ის, რაც შეიძლება საშიში იყოს მასების ხელში, – მიპასუხა მან, შეიძლება ირონიულად, შეიძლება – არც, – უვნებელია იმ ადამიანების ხელში, რომელთა განზრახვაც...

– ეჭვს არ იწვევს, – დავასრულე მე.

მან თავი მძიმედ დამიქნია, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ ნამდვილად გამოვიცანი მისი სათქმელი.

– კი, მაგრამ მე რატომ მაჩვენეთ? – ვკითხე მე.ააი, სულელი! რა უნდა ეპასუხა? რომ ასე ერთობოდა, ჩემს ხარჯზე? ხომ იცოდა, როგორ მატკენდა გულს, თუკი წარსულს გამახსენებდა.

მაგრამ იმას, რაც მიპასუხა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი:

– აბა, სხვას ვის ვაჩვენო? – თქვა მან ძველებურად ნაღვლიანი ხმით.

„ჰა, შევტოპო?“ – ვკითხე საკუთარ თავს. არ მინდოდა ასე მალე და ასე მოულოდნელად შემეტია მისთვის. ვიცოდი, რომ ისედაც ბეწვის ხიდზე დავდიოდი. მიუხედავად ამისა, მაინც ვთქვი, ძალიან ხმადაბლა:

– თქვენს ცოლს.

როგორც ჩანს, ამაზეც ეფიქრა.

– არა, – მიპასუხა მაშინვე, – ვერ გამიგებს. ასეც რომ არ იყოს, დიდად აღარც სიამოვნებს ჩემთან საუბარი. ამ ბოლო დროს საერთო ბევრი აღარაფერი შეგვრჩა.

ანუ ერთი რამ სააშკარაოზე გამოიფინა: ცოლი ვეღარ უგებდა.

აი, თურმე რისთვის ვიყავი მე აქ. სამყაროსავით ძველი მიზეზი. დაუჯერებლად ბანალური.

მესამე შეხვედრაზე ხელის ლოსიონი ვთხოვე, არ მინდოდა, მემათხოვრა, მაგრამ არც ის მსურდა, შემთხვევა ხელიდან გამეშვა.

– ხელის რაა? – მკითხა მან, როგორც ყოველთვის თავაზიანად. ჩემ პირდაპირ, საწერი მაგიდის მეორე მხარეს იჯდა. იმ ერთი სავალდებულო კოცნის გარდა არ მეხებოდა. არც ხელის ფათური, არც ქოშინი, არაფერი; ასეთი რამ მისთვისაც ისეთივე მიუღებელი ჩანდა, როგორიც – ჩემთვის.

– ხელის ლოსიონი, – გავუმეორე მე, – ანდა სახის. კანი ძალიან გამოგვიშრა, – რატომღაც მხოლობითის ნაცვლად მრავლობით რიცხვში ვთქვი. მინდოდა, აბაზანის ზეთიც მეთხოვა, აი, ის, ფერადი ბურთულების ფორმის ფლაკონებით რომ ჰყიდდნენ და დედაჩემის სააბაზანოს მინის მრგვალ თასში ჩაყრილი ბავშვობაში ჯადოსნურ ელექსირად მეჩვენებოდა. მაგრამ გავიფიქრე, რომ ვერ მიშოვიდა, ალბათ, აღარც უშვებდნენ ამგვარ ზეთებს.

– გამოგიშრათ? – მკითხა მეთაურმა, თითქოს ამაზე ადრე არასოდეს უფიქრიაო, – მერე რით შველით?

– კარაქს ვისვამთ, – ვუპასუხე, – თუკი ვიშოვით. ანდა მარგარინს. უფრო ხშირად მარგარინს მოვიხელთებთ ხოლმე.

– კარაქი, – გამხიარულდა იგი, – რა ჭკვიანური გამოგონებაა, – და გაეცინა.

სიამოვნებით მივახრჩობდი.

– მგონი, რამეს მოგიხერხებ, – მითხრა მან, თითქოს ბავშვს თაფლავდა საღეჭი რეზინით, – მაგრამ შეიძლება ჩემმა ცოლმა მისი სუნი იგრძნოს, – ნუთუ ეს გამოცდილი კაცის სიფრთხილე იყო, ბობოქარი წარსულის მქონე კაცისა: პომადა – საყელოზე, სუნამოს სუნი – მანჟეტებზე, შუაღამისას სამზარეულოსა თუ საძინებელ ოთახში გამართული სცენა. კაცი, რომელსაც ეს არ გამოუვლია, ამგვარ სიფრთხილეს ვერ გამოიჩენდა. ანუ ის უფრო გაქექილია, ვიდრე ჩანს.

– ფრთხილად ვიქნები, – ვუთხარი მე, – თანაც ის ჩემთან ასე ახლოს

არასდროს არის.

– ხანდახან არის, – თქვა მან.

მე თავი დავხარე. ეს სულ აღარ მახსოვდა. ვიგრძენი, როგორ გავწითლდი.

– იმ დროს არ წავისვამ ხოლმე, – ვუთხარი.

მეოთხე შეხვედრაზე მან ხელის ლოსიონი მომიტანა, პლასტმასის უიარლიყო ბოთლით. მდარე ხარისხის იყო, ბოსტნეულის ზეთისსუნი უდიოდა. „ველის შროშანები“ ჩემთვის ვერ გაიმეტა. მგონი, რაღაც ისეთი იყო, საავადმყოფოებში რომ იყენებენ ნაწოლებზე წასასმელად. თუმცა, მე მაინც მადლობელი დავრჩი.

– უბედურება ისაა, – ვუთხარი, – რომ არ ვიცი, სად შევინახო.

– შენს ოთახში, – ისე მომიგო მან, თითქოს ეს ისედაც აშკარა იყო.

– იპოვიან, – ვუთხარი მე, – ვინმე აუცილებლად იპოვის.

– როგორ? – გაუკვირდა მას, თითქოს მართლა არაფერი იცოდა. მაგრამ იქნებ მართლა არაფერი იცოდა. პირველად არ იქცეოდა ისე, თითქოს არ იცოდა, როგორ სამყაროში ცხოვრობდა.

– ყველაფერს ჩხრეკენ, – ვუთხარი მე, – მათ შორის, ჩვენს ოთახებსაც.

– რატომ? – მკითხა მან.

ლამის გავცოფდი.

– სამართებლებს ეძებენ, – ვუთხარი, – წიგნებს, ნაწერებს, შავი ბაზრის პროდუქტს. ამ ყველაფრის ქონა გვეკრძალება. ღმერთო ჩემო, ვითომ არ იცით, – ბრაზს ვერ ვიოკებდი, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია.

– მაშინ აქ შეინახე, – მირჩია.

ჰოდა, ასეც ვქენი.

ისე მიყურებდა, ლოსიონს რომ ვიზელდი ხელებსა და მერე სახეზე, როგორც მაშინ, აკრძალულ ჟურნალს რომ ვათვალიერებდი. მინდოდა, ზურგი შემექცია – ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სააბაზანოში ვიყავით ერთად, – მაგრამ ვერ გავბედე.

უნდა მახსოვდეს, რომ მისთვის მხოლოდ დროებითი ახირება ვარ.

26

როდესაც ცერემონიის ღამე ისევ დადგა, მივხვდი, რომ ამ ორი თუ სამი კვირის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. აქამდე არარსებული უხერხულობა ვიგრძენი. აქამდე იმას, რაც ცერემონიაზე ხდებოდა, ჩემს სამუშაოდ მივიჩნევდი, უსიამოვნო სამუშაოდ, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა დამემთავრებინა და თავიდან მომეშორებინა.

უნდა გაკაჟდე, მეუბნებოდა დედა, როცა გამოცდის ჩაბარება ანდა ცივ წყალში ცურვა მეზარებოდა. მაშინ ბევრი არ მიფიქრია ამ ფრაზაზე, თუმცა, ვხვდებოდი, რომ რაღაცით გაქვავებასთან, ჯებირის ამოშენებასთან იყო დაკავშირებული და მე მართლაც უნდა გავკაჟებულიყავი. წარმომედგინა, რომ არ ვარსებობ, ხორცი არ მასხია.

ვიცი, რომ განყენებულობის, საკუთარი სხეულისაგან გარიდების შეგრძნება, არც მეთაურისათვის იყო უცხო. ალბათ, ჩემთან, უფრო სწორად კი – ჩვენთან ყოფნისას, ვინაიდან სერენა ჯოი იმ ღამეების განუყრელი ნაწილი გახლდათ, მისი გონება ერთთავად სხვაგან ქროდა. შეიძლება იმდილანდელ ამბებზე ფიქრობდა, ან გოლფზე, ან სადილზე. სექსუალურ აქტსაც ფორმალურად ასრულებდა, თითქმის გაუცობიერებლად, თითქოს რაღაცას იფხანსო.

მაგრამ იმ ღამეს, ცერემონიის პირველ ღამეს მას შემდეგ, რაც ჩვენი შეხვედრები დაიწყო, მის მიმართ – არც ვიცი, რა დავარქვა, ალბათ, სიმორცხვე – დიახ, სიმორცხვე ვიგრძენი. ვიგრძენი, რომ თვალს არ მაცილებდა და არ მესიამოვნა. რადგან სერენა ჯოი მუდამ ცდილობდა, თავიდან აერიდებინა ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც რომანტიკულსა თუ ეროტიკულ ელფერს შესძენდა სიტუაციას. სინათლე, მკრთალი მაინც, ყოველთვის ენთო ხოლმე, ახლა კი ჭაღი ისე გაეჩახჩახებინა, მის შუქს ბალდახინიც კი ვერ ჩრდილავდა. ასე მეგონა, საოპერაციო მაგიდაზე ანდა სცენაზე ვიწექი, ერთიანად გასხივოსნებული; არ მასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ ფეხებზე ბალანი მქონდა მოდებული, ისეთი აცაბაცა და ხეშეში, როგორიც არის ხოლმე განაპარსი და მერე ისევ წამოზრდილი თმა. ვფიქრობდი

იმავე დღეში მყოფ ჩემს იღლიებზეც, თუმცა, მათ მეთაური, რასაკვირველია, ვერ ხედავდა. თავს უსიამოდ ვგრძნობდი. ეს უბრალო შეწყვილების, ჰა-ჰა – განაყოფიერების აქტი, რომელიც ჩემთვის მანამდე მხოლოდ ყვავილზე ფუტკრის ჩამოჯდომა იყო, ახლა ღირსების შელახვადმეჩვენებოდა.

ის უკვე სულერთი აღარ იყო ჩემთვის. აი, სად იყო ძაღლის თავი დამარხული. ეს გრძნობა პირველად იმ ღამეს გამიჩნდა და მერე და მერე გაღრმავდა. დააამან ყველაფერი გაართულა.

სერენა ჯოისაც სხვა თვალით დავუწყე ყურება. ოდესღაც მხოლოდ მძულდა, როგორც ჩემი გაუბედურების თანამონაწილე; მძულდა, რადგან თვითონ ვძულდი და ვერ მიტანდა; მძულდა, რადგან მას უნდა გაეზარდა ჩემი შვილი, თუ იგი ოდესმე მაინც ჩაისახებოდა. მე ახლაც მძულდა იგი, მაგრამ ისე ძალიან აღარ, მიუხედავად იმისა, რომ ხელებს ისე მაგრად მიჭერდა, მისი ბეჭდები კანში მესობოდა, ხელის ზურგზე კანი ერთიანად გადამეყვლიფა; მიუხედავად იმისა, რომ ამას იგი, ალბათ, განგებ აკეთებდა, რათა რაც შეეძლო, გავემწარებინე, ჩემი სიძულვილი აღარ იყო ძველებურად ჩვეულებრივი და ცალსახა. მე უკვე ვეჭვიანობდი მასზე; თუმცა, როგორ შეიძლებოდა ასეთ გამოფიტულსა და უბედურ ქალზე ეჭვიანობა. ეჭვიანობა მხოლოდ მასზე შეიძლება, ვისაც რაღაც ისეთი აქვს, რაც შურს აღგიძრავს. მაგრამ მე მაინც ვეჭვიანობდი.

თუმცა, მის წინაშე თავს დამნაშავედაც ვგრძნობდი. თითქოს მის ტერიტორიაზე შეჭრილი დაუპატიჟებელი სტუმარი ვიყავი. ახლა, როცა მეთაურს ჩუმ-ჩუმად ვხვდებოდი, თუნდაც მხოლოდ სკრაბლის სათამაშოდ და მისი საუბრის მოსასმენად, ჩვენი როლები ისე გამიჯნული აღარ იყო, როგორც უწინ. მე, მის უჩუმრად,მის კუთვნილს ვითვისებდი. ცხვირწინ ვწაპნიდი. მერე რა, რომ იმაში ვეცილებოდი, რაც თვითონ, როგორც ჩანდა, აღარ სჭრიდებოდა და ზედმეტადაც კი მიაჩნდა; ის მაინც მისი იყო, და თუ „იმას“ წავართმევდი – თუმცა, არ ვიცოდი, რა იყო „ის“, რადგან მეთაურს მე არ შევყვარებივარ და არც მინდოდა, მეფიქრა, რომ ასეთი მძაფრი გრძნობა გაუჩნდებოდა – მას რაღა დარჩებოდა? რა მენაღლება? ვეკითხებოდი საკუთარ თავს, ის ჩემთვის არავინაა, მას ვძულვარ, ახლავე სიამოვნებით მომისვრიდა ამ სახლიდან, ანდა უარესსაც მიზამდა, თუკი კარგ მიზეზს იპოვიდა, მაგალითად, თუ ჩემი და მეთაურის შეხვედრების

ამბები მიაღწევდა მის ყურამდე. მისი ქმარი ვერაფერში ჩაერეოდა, ვერ გადამარჩენდა; მართებისა და მხევლების წეს-განგებას მხოლოდ ცოლები ადგენენ. სერენა ჯოის კი, ვიცოდი, გულში რა ღვარძლი და ბოღმაც ჰქონდა. და მაინც ვერ ვუმკლავდებოდი სინდისის ქენჯნის შემოტევებს.

თანაც, მე მასზე თითქოს ძალაუფლებაც მოვიპოვე, თუმცა, თვითონ ეს არ იცოდა. მე კი ვტკბებოდი. რატომ უნდა ვითვალთმაქცო? მთელი გულით ვტკბებოდი.

მაგრამ მეთაურს ისე იოლად შეეძლო ჩემი გაცემა, ერთი გამოხედვით, ერთი ჟესტით. უმნიშვნელო დაუდევრობასაც კი შეეძლო, გარეშე თვალი მიეხვედრებინა, რომ ჩვენ შორის რაღაც ხდებოდა. ცერემონიის ღამეს კინაღამ ყველაფერი გამჟღავნდა. მან ხელი ასწია, რომ სახეზე მომფერებოდა; მე თავი გვერდზე გავწიე და მისი შეხება ავირიდე; მანაც ხელი მაშინვე უკან წაიღო, სურვილი ჩაიხშო და თავისი ოდისეა განაგრძო.

– ეს აღარ გაბედოთ, – ვუთხარი მერე, როგორც კი მარტო დავრჩით.

– რაზე ამბობ? – მკითხა მან.

– არ გაბედოთ, შემეხოთ, რომ ჩვენ... როცა ის იქაა.

– მართლა შეგეხე?

– ასე თუ მოიქცევით, ერთ დღეს კოლონიებსაც უკან მომატოვებინებთ, – ვუთხარი მე, – და ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, – დარწმუნებული ვიყავი, რომ სახალხოდ იგი კვლავ ისე უნდა მომქცეოდა, თითქოს დიდი ლარნაკი ანდა ფანჯარა ვიყავი: ხედის ნაწილი, უსულო და გამჭვირვალე.

– მაპატიე, – მითხრა, – არ მინდოდა, მაგრამ ისეთი იყავი...

– როგორი? – ვკითხე მე, რადგან თვითონ აღარ გააგრძელა.

– უემოციო.

– კარგით ერთი, დიდი ხანი დაგჭირდათ მაგის მისახვედრად? –

მივუგე მე. ამ საუბრითაც აშკარა იყო, რომ ჩვენი ურთიერთობა შეიცვალა.

თქვენ შემდგომი თაობისათვის, გვეუბნებოდა დეიდა ლიდია, ყველაფერი უფრო იოლი იქნება. ქალები შეხმატკბილებულად იცხოვრებენ, ერთ ოჯახად; თქვენ მათთვის ქალიშვილებივით იქნებით და როდესაც მოსახლეობის რაოდენობა ისევ გაიზრდება, აღარ მოგიწევთ ერთი სახლიდან მეორეში სირბილი, რადგან მხევლები ყველასთვის სამყოფი იქნებიან. მაშინ თქვენსა და პატრონებს შორის ნამდვილი სიყვარულის ძაფები გაიბმება, დაამატა მან და შეთქმულივით ჩაგვიკრა თვალი, ქალები ერთიანი ძალით იბრძოლებენ ბედნიერებისთვის. ერთმანეთს მიეხმარებიან ყოველდღიურ საოჯახო საქმეებში და ერთად გაკვალავენ ცხოვრების ბილიკს. თითოეული თავის მკაფიოდ განსაზღვრულ მოვალეობებს შეასრულებს – რატომ უნდა იტვირთოს ერთმა ქალმა ყველაფერი, რაც ოჯახური სიამტკბილობისთვის არის საჭირო? ეს არც ჭკუასთანაა ახლოს და არაჰუმანურიცაა. ჩვენ თავს არ ვზოგავთ, რომ თითოეულს ოდესმე თქვენ-თქვენი პატარა ბაღი გქონდეთ, თითოეულ თქვენგანს. მან ხელები ერთმანეთს გადააჭდო, ხმა აუთრთოლდა. და კიდევ ბევრი რამ, თითი აღმართა და დაგვიქნია, მაგრამ ღორულად არ უნდა მოვიქცეთ და არ უნდა მოვითხოვოთ ძალიან ბევრი მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანას უჭირს, არ მეთანხმებით?

ფაქტობრივად, მე მისი საყვარელი ვარ. წარჩინებულ კაცებს მუდამ ჰყავდათ საყვარლები, ვითომ ახლა რატომ უნდა იყოს სხვაგვარად? თუმცა, ახლა ამ ყველაფერმა ოდნავ ფერი იცვალა. ადრე საყვარლები პატარა სახლებში ანდა საკუთარ ბინებში ცხოვრობდნენ, ახლა ოჯახს შეუერთდნენ.მიუხედავად ამისა, მოვლენის არსი იგივეა. ზოგიერთ ქვეყანაში საყვარლებს „საგარეო ქალებს“ უწოდებდნენ. მე საგარეო ქალი ვარ. ჩემი საქმე სხვების ნაკლის შევსებაა. თუნდაც სკრაბლის თამაშით. ეს სასაცილოცაა და იმავდროულად, დამამცირებელიც.

ხანდახან მგონია, რომ სერენამ იცის. ხანდახან მგონია, რომ გარიგებულნი არიან, რომ სწორედ ცოლმა უბიძგა ჩემკენ და ახლა ამის გამო დამცინის, როგორც მე დავცინი დროდადრო და ირონიულად საკუთარ თავს. „არა უშავს, ცოტა წონა მოემატოს“, – ეგებ ასე ამბობს ჩემზე. შეიძლება ასე ცდილობს თავის დაღწევას

ქმრისაგან, რომელმაც იგი უარყო, ან იქნებ მისთვის ეს არის თავისუფლება.

მიუხედავად ამისა, რაც უნდა სულელურად ჟღერდეს, მე უწინდელზე ბედნიერი ვარ. რაღაც საქმე გამომიჩნდა; რაღაც, რითიც დროს მოვკლავ, რაც ღამღამობით ჩემი ოთახის ფანჯარასთან მარტოდმარტო ჯდომას მირჩევნია, რაც ახალ საფიქრალს მიჩენს. მეთაური არ შემყვარებია, მაგრამ ის მე მაინტერესებს, სიცარიელეს მივსებს; ის ხორცშესხმულია და არა – აჩრდილი.

და მეც მისთვის. მისთვის მხოლოდ სხეული აღარ ვარ. უსაქონლო ნავიაღარ ვარ. ცარიელი ღვინის ჭურჭელი აღარ ვარ, აღარ ვარ ღუმელი, რომელშიც, უხეშად რომ ვთქვა, ფუნთუშები არ ეგულება. მისთვის მე არარაობა აღარ ვარ.

27

გლენისასთან ერთად ზაფხულის ქუჩებს მივუყვები. ცხელი, ჩახუთული დღეა; ადრე, ალბათ, სარაფნები და სანდლები გვეცმეოდა. კალათები მარწყვით გვაქვს სავსე – ახლა მარწყვის სეზონია, გულისრევამდე უნდა ვჭამოთ და ვჭამოთ, და ჭრაჭუნა ქაღალდში გახვეული თევზი. „თევზისა და ფუნთუშეულის“ მაღაზიაში ვიყიდეთ, რომლის აბრაზე მომღიმარი და წამწამებაპრეხილი თევზი ხატია. აქ ფუნთუშებს აღარ ყიდიან. უმეტესობა ოჯახში აცხობს, თუმცა, გამხმარი კვერებისა და გამომშრალი ღვეზლების შეძენა, თუკი ცოტას გაივლი, პურის მაღაზიაშიც შეიძლება. „თევზი და ფუნთუშეული“ იშვიათად არის ღია. ან კი რატომ უნდა გააღონ, როცა გასაყიდი არაფერია? ზღვაში თევზაობა რამდენიმე წლის წინ აიკრძალა; ახლა მხოლოდ ტალახისგემოიან ფერმის თევზს თუ გადააწყდები აქა-იქ. ახალ ამბებში ამბობენ, რომ სანაპიროებს „ასვენებენ“. ვიხსენებ კამბალას, ვირთევზას, ხმალას, სავარცხელას, თინუსს; ფარშირებულსა და გამომცხვარ კიბორჩხალას, ვარდისფერსა და ცხიმიან ორაგულს, ცხაურზე აშიშხინებულს. ნუთუ ყველა სახეობა ზვიგენივით გადაშენდა? ჩემს ყურს ასეთი ხმაც მოსწვდა – უხმო სიტყვებად მოაღწია ჩემამდე, ოდნავ მოძრავმა ტუჩებმა შემატყობინა, როდესაც გვერდიგვერდ ვიდექით რიგში, მაღაზიის გაღებას ველოდით და ნერწყვმოდენილი შევცქეროდით ფანჯარაში გამოფენილ აბრაზე წვნიანი ფილეების სურათს. ამ სურათს მაშინ გამოდგამდნენ ხოლმე, როცა საქონელს მიიღებდნენ გასაყიდად, როცა გამოელეოდათ, აიღებდნენ. ნიშნების ენა.

მე და გლენისა დღეს ნელა დავდივართ; ორივეს გვცხელა, ოფლი გვდის, დავიღალეთ. ერთი შეღავათი ისაა, რომ ამ ხვატში ხელთათმანები მაინც არ გვაცვია. ამ კორპუსში ადრე ნაყინის მაღაზია იყო. სახელი აღარ მახსოვს. ყველაფერი შეიძლება ერთ წამში შეიცვალოს, შენობები შეიძლება ჩამოინგრეს ან გადასხვაფერდეს. შენი გონება კი ვეღარასოდეს წარმოიდგენს მათ ზუსტად ისეთს, როგორიც ოდესღაც იყო. ნაყინის ორმაგ ულუფას, რომელსაც თუკი მოისურვებდი, შოკოლადსაც მოასხურებდნენ, კაცის სახელი ერქვა. ჯონი? ჯეკი? აღარ მახსოვს.

აქ დავდიოდით, როცა ის პატარა იყო. ხელში ავიყვანდი ხოლმე, რომ დახლის მინის მიღმა შეეჭყიტა, სადაც ლამაზად შეფერილი ნაყინი ვარცლებით იყო გამოდგმული: მქრქალი ნარინჯისფერი, მქრქალი მწვანე, მქრქალი ვარდისფერი. მე მას მათ სახელებს ვუკითხავდი, რომ აერჩია. თუმცა, ის სახელების კი არა, ფერების მიხედვით არჩევდა. კაბებსა და კომბინეზონებსაც ფერების მიხედვით ირჩევდა. ნაყინის პასტელები.

„ჯიმი“ ერქვა.

მე და გლენისა ამ ბოლო დროს ერთად თავს კარგად ვგრძნობთ, ერთმანეთს შევეჩვიეთ. სიამის ტყუპივით. ფორმალური სალამ-ქალმით თავს აღარ ვიწუხებთ; ერთმანეთს გავუღიმებთ და მხარდამხარ მივუყვებით ყოველღიურ, გაკვალულ გზას. დროდადრო მარშრუტს ვცვლით, ეს არ გვეკრძლება, ვინაიდან საზღვრებს მაინც არასოდეს ვცდებით. ლაბირინთში მომწყვეულ ვირთხას ლაბირინთის ხვეულებში სირბილს არავინ დაუშლის.

მაღაზიები უკვე მოვიარეთ, ეკლესიაშიც ვიყავით; ახლა კედელთან ვდგავართ. დღეს აქ არაფერი ჩანს, ზაფხულობით გვამებს ისე ხანგრძლივად არ ტოვებენ კაუჭებზე, როგორც – ზამთარში, რადგან ყროლდება და ბუზები ეხვევა. ოდესღაც ეს ადგილი სუფთა, წიწვოვანებისა და ყვავილების სურნელით გაჟღენთილი ჰაერით გამოირჩეოდა. ხალხი ცდილობს, ეს მოგონება შეინარჩუნოს, განსაკუთრებით – მეთაურები, რომლებიც ყველასა და ყველაფრის სიწმინდეს ქადაგებენ.

– ყველაფერი იყიდე, რაც სიაში ეწერა? – მეკითხება გლენისა, თუმცა, ისედაც იცის, რას ვუპასუხებ. ჩვენი სიები მუდამ მოკლეა. გლენისა ამ ბოლო დროს შეიცვალა, მისი ძველი გულგრილობა და უხალისობა სადღაც გაქრა. ხშირად წამომიწყებს ხოლმე საუბარს.

– კი, – ვეუბნები.

– მოდი, გავისეირნოთ, – მეუბნება ის, ქვემოთ, მდინარისაკენ მთავაზობს ჩასვლას. იქ ჯერ არ ვყოფილვართ.

– კი, ბატონო, – ვეუბნები მე. თუმცა, ადგილიდან არ ვიძვრი, ვდგავარ

და კედელს შევყურებ. აი, წითელი აგური, პროჟექტორები, ეკლიანი მავთულხლართები, აი, კაუჭები. ცარიელი კედელი უფრო ავისმომასწავებელი მეჩვენება. როცა მასზე რაღაც კიდია, სასტიკ სინამდვილეს უსწორებ თვალს, ცარიელი კი თითქოს გემუქრება, ქარიშხლის მოახლოებას ჰგავს. როცა მე ზედ ჩამოკიდებულ გვამებს ვხედავ, ნამდვილ გვამებს და მათი ფორმითა და ზომით ვხვდები, რომ მათ შორის ლუკი არ არის, ვიჯერებ, რომ შეიძლება იგი ისევ ცოცხალია.

არ ვიცი, რატომ მაქვს წინათგრძნობა, რომ ჩემს ქმარს ოდესმე ამ კედელზე დაკიდებულს ვიხილავ. არსებობს ასობით სხვა ადგილი, სადაც მათ ლუკის მოკვლა შეუძლიათ. მაგრამ არ მასვენებს აზრი, რომ ახლა, ამ წამს, ის აქ არის, ამ ბრტყელი, წითელი აგურების მიღმა.

ვცდილობ, წარმოვიდგინო, რომელ ფლიგელში შეიძლება იყოს. ნაგებობები, რომლებსაც ახლა ეს კედელი მალავს, ზეპირად მახსოვს. ოდესღაც, როცა აქ უნივერსიტეტი იყო, თავისუფლად დავაბიჯებდით მის შიგნით. აქ დროდადრო ახლაც გვიწევს მისვლა, როცა ქალთა სალხინებელი იმართება. ფლიგელთა უმეტესობაც წითელი აგურისაა, ზოგს მეცხრამეტე საუკუნის დროინდელირომანული სტილის თაღებიანი კარი აქვს. შენობებში აღარავის უშვებენ, თუმცა, ისედაც კაციშვილს არ უნდა შიგ შესვლა. აქაურობა ახლა თვალთა სამფლობელოა.

შეიძლება ლუკი ბიბლიოთეკაშია. სადღაც მის თაღებსა და კამარებს შორის. წიგნების თაროებს შორის.

ბიბლიოთეკა ტაძარს ჰგავს. თეთრსაფეხურებიან კიბეს ვეება კართან მიჰყავხარ; შიგნით რომ შეხვალ, კიდევ ერთი თეთრი კიბე დაგხვდება, რომლის ორივე მხარეს, კედლებზე, ანგელოზები არიან გამოსახული. იქვე ხატია კაცები, რომლებიც იბრძვიან ანდა საბრძოლველად წამოქოჩრილან. მათ ღირსეული იერი აქვთ და სუფთები არიან. ჭუჭყიან, გასისხლიანებულ მებრძოლებს არ ჰგვანან. წაკიდებულ კაცებს კარის ერთ წირთხლთან გამარჯვების გამოსახულება ემეზობლება, მეორესთან – სიკვდილისა. ეს პანო რომელიღაც ომის მემორიალია. სიკვდილის მახლობლად მიხატული კაცები ჯერ ცოცხლები არიან. ისინი სამოთხისაკენ

მიემართებიან. სიკვდილი ლამაზი ქალია, ფრთები აქვს და ცალი ძუძუ ლამის მთლიანად მოუჩანს – თუ ეს გამარჯვებაა? აღარ მახსოვს.

ესენი იმ ნახატს არ გაანადგურებენ.

კედელს ზურგს ვაქცევთ და მარცხნივ ვუხვევთ. ჩვენ წინ მაღაზიების გამოცარიელებული, საპნის ქაფით გათითხნილი ვიტრინები ჩამწკრივებულა. ვცდილობ, გავიხსენო, რას ყიდდნენ აქ ოდესღაც. კოსმეტიკას? სამკაულებს? იმ მაღაზიების უმეტესობა, კაცების ნივთებით რომ ვაჭრობდნენ, კვლავ ღიაა; მხოლოდ ისინი დაუხურავთ, რომლებშიც, მათი თქმით, „ზიზილპიპილოები“ იყიდებოდა.

კუთხეში „სულის პალიმფსესტების“ მაღაზიაა. ის პრივილეგიებით სარგებლობს – „სულის პალიმფსესტები“ ყველგანაა: ქალაქის ცენტრში, ყველა გარეუბანში, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ. ალბათ, დიდი მოგება მოაქვს.

„სულის პალიმფსესტებს“ პლასტმასის ფანჯარა აქვს. მის მიღმა რიგ-რიგად, მწკრივად ჩალაგებული საბეჭდი მანქანები მოჩანს; ჩვენ მათ „ნაკურთხ წკაპუნებს“ ვეძახით, ოღონდაც ჩუმ-ჩუმად, რადგან მკრეხელური მეტსახელია. ეს მანქანები ლოცვებს ბეჭდავს, სულმოუთქმელად, დაუსრულებლად. შეკვეთებს კომპიუფონით იღებენ, ყურიც მომიკრავს, სერენა როგორ რეკავდა ერთხელ იქ. „სულის პალიმფსესტებისათვის“ ლოცვის შეკვეთა ღვთისმოსაობისა და რეჟიმის ერთგულების ნიშანია, ამიტომაც ცხადია, რომ მეთაურების ცოლები ცდილობენ, ერთმანეთს არ ჩამორჩნენ. ასე უწყობენ ხელს ქმრების კარიერას.

ხუთი სხვადასხვა ლოცვა არსებობს: ჯანმრთელობისა, სიუხვისა, ცხონებისა, შობისა და ცოდვათა მიტევებისა. ამოირჩევ შენთვის სასურველს, შეიყვან მის ნომერს, მერე აკრეფ საკუთარ ნომერს, რათა შენი ანგარიში გააქტიურდეს, მერე შეგყავს რიცხვი – რამდენი ცალი გინდა დაიბეჭდოს.

ლოცვის ბეჭდვისას მანქანები ლაპარაკობენ, თუ გინდა, შეგიძლია, მაღაზიაში შეხვიდე და მოისმინო. ლითონისებური მონოტონური

ხმები ერთსა და იმავეს დაუღალავად იმეორებენ. ლოცვა რომ ამოიბეჭდება და წარმოითქმება, ქაღალდებს სპეციალური ჭრილი ისრუტავს და ისინი კვლავ სუფთა ფურცლებად იქცევა. მაღაზიაში კაციშვილი არ ჭაჭანებს, მანქანები თავისით იმართება. გარედან მათ ხმას ვერ გაიგონებ; მხოლოდ რაღაც ჩურჩულის, ბზუილის მსგავსი აღწევს შენს ყურამდე, თითქოს მუხლებზე დამხობილი, ეგზალტირებული ბრბო ლოცულობსო. ყოველ მანქანას გვერდზე ოქროსფერი, კიდეებში ოქროსფერივე ფრთებით დამშვენებული, თვალი აქვს მიხატული.

ვცდილობ, გავიხსენო, რას ყიდდნენ ამ მაღაზიაში, სანამ „სულის პალიმფსესტებად“ გადაკეთდებოდა. მგონი, ქალის თეთრეულს. ვარდისფერი და ვერცხლისფერი ყუთები, ფერადი კოლგოტები, მაქმანებიანი ლიფები, აბრეშუმის რიდეები? ყველაფერი, რაც ისტორიას ჩაბარდა.

მე და გლენისა შუშის მიღმა „სულის პალიმფსესტებს“ შევჩერებივართ, ვუცქერთ, როგორ ამოდის მანქანებიდან ლოცვები და შემდეგ სხვა ჭრილში,როგორც მდუმარების სამეფოში, ქრება. მზერას ვანაცვლებ და ახლა ვიტრინის შუშაში არეკლილ გლენისას ვუყურებ. ის დაჟინებით შემომცქერის.

თვალებში მივჩერებივართ ერთმანეთს. პირველად ვუყურებ გლენისას სახეს ასე, პირდაპირ, ცხადად. ოვალური სახე აქვს, ვარდისფერი, სავსე, მაგრამ მსუქანი – არა, მრგვალი თვალები.

ის შუშაში ჩემს მზერას იჭერს, დაჟინებულს, თვალმოუშორებელს. ახლა შეუძლებელია თვალის არიდება. თავზარდამცემია ასე ყურება; თითქოს ვიღაც პირველად დაინახე შიშველი. უეცრად ჩვენ შორის, ჰაერში, აქამდე არარსებული ხიფათის სუნი დგება. ერთმანეთის თვალებში ყურებაც კი საშიშია. მაშინაც კი, როცა ირგვლივ არავინაა.

ბოლოს გლენისა მეკითხება:

– როგორ გგონია, ღმერთს ესმის ამ მანქანების? – ჩურჩულებს. მივეჩვიეთ, ქალაქის ცენტრში მუდამ ასე ვლაპარაკობთ.

უწინდელ დროში ეს მხოლოდ უწყინარი შენიშვნა იქნებოდა,

ფილოსოფიური ტვინისჭყლეტა. ახლა კი ეს ფრაზა სამშობლოს ღალატია.

შემიძლია ვიკივლო. შემიძლია გავიქცე. შემიძლია უსიტყვოდ შევაქციო ზურგი იმის ნიშნად, რომ ჩემი თანდასწრებით ამგვარი ლაპარაკის უფლებას არ ვაძლევ. დივერსია, შეთქმულება, ღვთისგმობა, ერესი – ყველაფერი გაერთიანდა ამ სიტყვებში.

მაგრამ მე საკუთარი თავი უნდა გამოვაწრთო.

– არა, – ვამბობ მტკიცედ.

ის ღრმად, შვებით სუნთქავს. ჩვენ შორის უხილავი ქსელი გაიბა.

– მეც ასე მგონია, – ამბობს ის.

– თუმცა, მგონი, ესეც რწმენის გამოვლინებაა, – ვაგრძელებ მე, – როგორც ტიბეტელთა სალოცავი ბორბლები.

– ეგ რაღაა? – მეკითხება.

– სადღაც წავიკითხე, – ვამბობ მე, – ქარის ძალით მოძრაობდნენ. ახლა ეგენი აღარ არსებობს, გაქრა.

– როგორც სხვა ყველაფერი, – ამბობს ის.ახლაღა ვწყვეტთ ერთმანეთს მზერას.

– აქ ლაპარაკი საშიში არ არის? – ვჩურჩულებ მე.

– ეს ყველაზე უსაფრთხო ადგილია, – მპასუხობს ის, – გარეშე თვალისათვის ჩვენ ახლა მხურვალედ ვლოცულობთ.

– და ისინი?

– ისინი? – მომიგო მან კვლავ ჩურჩულით, – გარეთ ყოველთვის უფრო უსაფრთხოდ ხარ, აქ მიკროფონი არ იქნება ჩამონტაჟებული. იფიქრებდნენ, რომ ამ ადგილას ვერავინ ვერაფერს გაბედავს. მაგრამ უკვე დიდი ხანია, აქ ვდგავართ. არ ღირს შინ გვიან დაბრუნება, – ჩვენ ერთდროულად ვტრიალდებით, – სიარულისას

თავი დაბლა დახარე, – მეუბნება ის, – და ოდნავ გადმოიხარე ჩემკენ. ასე უკეთ გავიგონებ შენს ხმას. როცა ვინმეს დაინახავ, გაჩუმდი.

ჩვენ ვლაპარაკობთ, ჩვეულებისამებრ თავდახრილები. მღელვარებისაგან ძლივსღა ვსუნთქავ, მაგრამ მაინც მტკიცედ მივაბიჯებ. სწორედ ახლა არ უნდა მივიქციო ვინმეს ყურადღება.

– მეგონა, მართლმორწმუნე იყავი, – ამბობს გლენისა.

– მე კი შენ მეგონე მართლმორწმუნე, – ვამბობ მე.

– ყოველთვის ისეთი დამპალი ღვთისმოსავივით ლაპარაკობდი.

– არც შენ ჩამომრჩებოდი, – ვპასუხობ. მინდა ვიცინო, ვიყვირო, გულში ჩავიკრა.

– შეგიძლია შემოგვიერთდე, – ამბობს ის.

– შემოგიერთდეთ? – მიკვირს მე. ესე იგი, არსებობს რაღაც გაერთიანება, კავშირი. აკი ვამბობდი.

– შენ მე მარტო ხომ არ გეგონე, – მპასუხობს გლენისა.

არა, არ მეგონა. არ მასვენებს ფიქრი, რომ ის შეიძლება ჯაშუში იყოს, შემოჩენილი, რომ მახე დამიგოს; ჩვენი მიწა ხომ ასეთი ნოყიერია ვერაგი მცენარეებისათვის. მაგრამ არ მინდა ამის დაჯერება; როგორც ხეში – წყალი, ჩემს გულში იმედი ჩნდება, მერე თანდათან იზრდება და ისე გადმოდის, როგორც სისხლი ჭრილობიდან. ეს დასაწყისია.

მინდა ვკითხო, მოირა ხომ არ უნახავს, ვინმემ ხომ არ იცის, რა შეემთხვა ლუკს, ჩემს შვილს, თუნდაც დედაჩემს, მაგრამ დრო აღარ გვაქვს; მთავარი ქუჩის კუთხეს ვაღწევთ, პირველ შლაგბაუმს ვუახლოვდებით,ააქ კი ბევრი ხალხია.

– სიტყვა არ დაგცდეს, – მეუბნება გლენისა, თითქოს გაფრთხილება მჭირდებოდეს, – არავისთან.

– რა თქმა უნდა, – ვპასუხობ. ვის რა უნდა ვუთხრა?

ჩვენ ჩუმად მივუყვებით მთავარ ქუჩას, გვერდს ვუვლით „შროშანებს“, „ყოველ ხორციელს“. დღეს ტროტუარებზე ბევრი ხალხია: თბილმა ამინდმა გარეთ გამოიტყუა მწვანე, ლურჯ, წითელ, ზოლიან ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები, უნიფორმებიანი თუ ჩვეულებრივ სამოქალაქოსამოსიანი კაცები. მზე უფასოა, ჯერაც ყველასათვის ხელმისაწვდომი. თუმცა, აღარავინ იღებს მის აბაზანებს, სახალხოდ მაინც.

მანქანებიც უფრო ხშირად ჩაგვიქროლებენ ხოლმე – „ქარბორბალები“ თავიანთი მძღოლებითა და ბალიშებში ჩაფლული მფლობელებით. მანქანებიც შეთხელებულია და ხალხიც.

რაღაც ხდება: თითქოს მღელვარებამ, ფორიაქმა გადაუარა მანქანების ნაკადს. ზოგიერთი ტროტუართან მიიყუჟა, თითქოს ვიღაცას გზაგაუთავისუფლა. სწრაფად ავწიე თავი: შავი ფურგონია, საჭესთან თეთრპარიკიანი თვალი ზის. სირენები ჩართული არ აქვს, მიუხედავად ამისა, დანარჩენი მანქანები ერიდებიან. ნელა მიუყვება ქუჩას, თითქოს ვიღაცას უთვალთვალებსო; ვეშაპი მსხვერპლს ჩასაფრებია.

მე ვიყინები, სიცივე ერთიანად მიტანს, ფეხებამდე აღწევს. ეტყობა, იქ მიკროფონები იყო დამონტაჟებული, როგორც ჩანს, მაინც გვისმენდნენ.

გლენისა სახელოში შემალულ ხელს იდაყვზე მიჭერს:

– იარე, – ჩამჩურჩულებს, – ვითომ ვერ ხედავ.

მაგრამ ვხედავ და თანაც როგორ... ფურგონი პირდაპირ ჩვენ წინ ჩერდება. ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი ორი თვალი ორმაგ უკანა კარს აღებს და ქვაფენილზე ხტება. ისინი ხელს სტაცებენ კაცს, რომელიც მარტო მიუყვება ქუჩას. ჩვეულებრივი კაცია. ხელში პორტფელი უჭირავს. ფურგონის შავ გვერდთან იმწყვდევენ. ერთ წუთს უძრავად დგას, ხელფეხგაშლილი მიჰკვრია, ლამის მისწებებია ფურგონს; მერე ერთ-ერთი თვალი უახლოვდება და რაღაც ბასრსა და უხეშს ისე ურტყამს, რომ კაცი ორად იკეცება, ტანსაცმლის გროვად იქცევა. ისინი ხელს ჰკიდებენ და ფურგონში აგდებენ, თითქოს საფოსტო ამანათი იყოს. მერე თვითონაც მიჰყვებიან. კარი

იკეტება და ფურგონი ადგილიდან იძვრის.

ყველაფერი წამებში მთავრდება და თავმოყრილი ბრბო ისე იშლება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

მე შვებას ვგრძნობ. გადავრჩი.

28

შუადღისას თვალის მოხუჭვა არ შემიძლია, სისხლს ჯერაც ადრენალინი მიჩქროლებს. ფანჯრისქვეშა ტახტზე ვზივარ და ფარდებს შორის ეზოს გადავყურებ. თეთრი ღამის პერანგი. ფანჯარა, შეძლებისდაგვარად, ღიაა. ცხელი ნიავი უბერავს და ფარდებს სახეში მახლის. ასეთი სახედაბურული გარედან, ალბათ, აბრეშუმის ჭიას ვგავარ, აჩრდილს, მხოლოდ კონტურები მიჩანს – ცხვირის, შეხვეული პირის, ბრმა თვალების. მაგრამ მე მომწონს ეს შეგრძნება. რბილი ქსოვილი კანზე მელამუნება, თითქოს ღრუბლებში ვწევარ.

მათ პატარა ვენტილატორი მომცეს, რომელიც ამ ჩახუთულობაში ცოტას მაინც მშველის. კუთხეში იატაკზე მიმდგარი ბზუის, ცხაურის ზოლებივით მიჯრილ ფრთებს ატრიალებს. ჩემ ადგილას რომ მოირა იყოს, ვიცი, ნაწილებად, პატარ-პატარა დანებად დაშლიდა. სახრახნისი არ მაქვს. ჩემსადგილას რომ მოირა იყოს, სახრახნისი არც დასჭირდებოდა. მაგრამ მოირა ჩემს ადგილას არ არის.

აქ რომ იყოს, ნეტავ რას იტყოდა ჩემსა და მეთაურზე? ალბათ, არ მომიწონებდა. არც ლუკი მომიწონა მაშინ. უფრო სწორად, ლუკი კი არა, ის, რომ ცოლი ჰყავდა. მითხრა, რომ მე სხვის წყალში ვისროდი ანკესს. მე ვუპასუხე, რომ ლუკი ღლავი არ იყო და თვითონ გადაწყვეტდა, მისთვის როგორ სჯობდა. მოირამ მომიგო, ახურებო. ვუპასუხე, რომ მე ლუკი მიყვარდა. მკაცრად მითხრა, ეს სულაც არ გამართლებსო. ჩემგან განსხვავებით, მოირა ყოველთვის რაციონალურად აზროვნებდა.

ვუთხარი, შენ რა გენაღვლება-მეთქი. მან ხომ ერთ დღეს დაასკვნა, რომ ქალები ერჩივნა და ვხედავდი, სინდისის ქენჯნის გარეშე როგორ იპარავდა თუ ნათხოვრობდა ყველას, ვინც თვალში მოუვიდოდა. ეს სულ სხვა რამეაო, მითხრა, ქალები თანასწორუფლებიანები არიან და მათ შორის სექსი მუდამ დამეგობრებით მთავრდებაო. მივუგე, „დამეგობრებით დამთავრება“ სექსიზმია და შენც კარგი სექსისტი ხარ, თანაც, ეს არგუმენტი მოძველდა და ეს კამათიც დაგვიანებულია-მეთქი. მან მიპასუხა, რომ მე ყველაფერს ვაბიაბრუებდი და თუკი მეგონა, რომ ეს

დაგვიანებული კამათი იყო, ესე იგი ქვიშაში თავჩარგული ვცხოვრობდი.

ჩემი სამზარეულოს მაგიდასთან ვისხედით, ყავას ვსვამდით და ხმადაბლა ვკამათობდით, როგორც გვჩვეოდა ოც წელს ახლად გადაცილებულებს; ეს ჩვევა კოლეჯიდან გამოგვყვა. იმხანად მდინარის პირას, ყავრის გატიალებული სამსართულიანის ერთ-ერთ ბინაში ვცხოვრობდი. სახლს მონჯღრეული გარეთა კიბე ჰქონდა. მე მეორე სართულზე ვიყავი და ხმაური ზემოდანაც მიტევდა და ქვემოდანაც. ორი ფირსაკრავი გვიან ღამემდე გაჰკიოდა. ვიცოდი, სტუდენტები იყვნენ. მაშინ ჯერ კიდევ ჩემს პირველ სამსახურში ვმუშაობდი, სადაზღვევო კომპანიაში, სადაც კომპიუტერთან ვიჯექი და ძალიან ცოტას მიხდიდნენ. ასე რომ, სასტუმროები, სადაც ლუკთან ერთად მივდიოდი, მხოლოდ სიყვარული ან თუნდაც მხოლოდ სექსი არ იყო ჩემთვის. მათი წყალობით ცოტა ხნით ვშორდებოდი ტარაკნებიან, მოშლილონკანებიან, აქერცლილ, დაბებკილლინოლეუმიან გარემოს, რომლის გახალისებასაც კედელზე გაკრული პლაკატებითა და ფანჯრებზე ჩამოკიდებული ოპტიკური ციმციმებით ვცდილობდი. მცენარეებიც მქონდა, თუმცა, მუდამ ობობას ქსელებგაბლანდული და უწყლობით გადამხმარი. დიდი სიამოვნებით გადავბარგდებოდი ლუკთან და მათკენ აღარც მოვიხედავდი.

მოირას ვუთხარი, რომ სილაში თავჩარგულ ცხოვრებას არაფერი უჭირდა და თუკი ის ფიქრობდა, რომ მხოლოდ ქალებით დასახლებულ უტოპიურ სამყაროში დიდხანს გაძლებდა, მწარედ ცდებოდა.

კაცები არსად გადაშენებას არ აპირებენ, ვუთხარი, დროა, თვალი გაუსწორო მათ არსებობას.

დაახლოებით იმას ამბობ, რომ რადგან სიფილისი არსებობს,აუცილებლად უნდა აიკიდო, თქვა მოირამ.

შენი აზრით, ლუკი სოციალური სენია? ვკითხე მე.

მოირას გაეცინა. ერთი შენი თავისთვის მოგასმენინა, მითხრა, ზუსტად დედაშენივით ლაპარაკობ.

ორივეს სიცილი აგვიტყდა და როცა მან წასვლა დააპირა, ჩვეულებისამებრ ერთმანეთს ჩავეხუტეთ. ერთხანს აღარ მეხუტებოდა, როცა გამომიტყდა, ლესბოსელი ვარო; მაგრამ მერე დამარწმუნა, რომ არ ვიზიდავდი და ისევ დავიწყეთ ჩახუტება. შეგვეძლო გვეჩხუბა, გვეკინკლავა და ერთმანეთი გამოგველანძღა, მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა. ის ისევ ჩემი უახლოესი მეგობარი იყო.

არის.

მერე უკეთეს ბინაში გადავედი. ორი წელი ვცხოვრობდი იქ, სანამ ლუკი მარწუხებისაგან თავის დახსნას ცდილობდა. ქირას თავად ვიხდიდი, ახალ სამსახურში კარგად მიხდიდნენ. ბიბლიოთეკაში დავიწყე მუშაობა, ოღონდ „სიკვდილისა და გამარჯვების“ პანოს ხელაში არა, უფრო პატარაში.

ვისხედით და წიგნები კომპიუტერის დისკებზე გადაგვქონდა. საწყობის ქირისა და რესტავრაციის ხარჯების შესამცირებლადო, გვეუბნებოდნენ. საკუთარ თავს „დისკერებს“ ვეძახდით, ბიბლიოთეკას კი ხუმრობით „დისკოთეკა“ შევარქვით. დისკზე გადაწერილი წიგნები, წესით, შრედერებში უნდა შეგვეყარა, მაგრამ ზოგი მათგანი სახლში მიმქონდა. მომწონდა მათი შეხება, ყურება. ლუკი ამბობდა, რომ ნამდვილი ანტიკვარი ვიყავი დადეს ძალიანაც მოსწონდა – თვითონაც უყვარდა ძველი ნივთები.

ახლა აღარც კი მჯერა, რომ ჩემი საქმე მქონდა. „საქმე“. რა სასაცილო სიტყვაა. საქმე კაცის საქმეა. „მიდი, მოისაქმე, საყვარელო“, – ბავშვებს ეუბნებიან ხოლმე, როცა უნიტაზზე დაჯდომას ასწავლიან. ან ძაღლებზე ამბობენ: „ისევ ხალიჩაზე მოუსაქმებია“. – ამ დროს ძაღლები დაგრაგნილი გაზეთებით უნდა სცემო, – ამბობდა დედაჩემი. მახსოვს ის დრო, გაზეთები რომ გამოდიოდა, თუმცა, ძაღლი არასოდეს მყოლია, კატები – კი, ბატონო.

შესაქმე.

ყველა ქალს ჰქონდა თავისი საქმე: ახლა ამის წარმოდგენაც კი მიჭირს, მაგრამ ათასობით, მილიონობით ქალი მუშაობდა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ისეთივე ჩვეულებრივი, როგორიც

ქაღალდის ფული, რომელიც დედაჩემთან მინახავს – სამახსოვრო ალბომში ჰქონდა ჩაკრული ძველი ფოტოების გვერდით. ხმარებიდან კარგა ხნის წინათ გამოსულს, მყიდველობითი უნარი დაეკარგა. სქელი ქაღალდის ნაგლეჯი, ხმარებისაგან გაქონილი, მწვანე, ცალ მხარეს პარიკიანი მოხუცის, მეორე მხარეს კი პირამიდაში ჩასმული თვალის გამოსახულებით. ზედ ეწერა: „ჩვენ გვჯერა ღმერთის!“ დედა ამბობდა, სალაროებთან ადრე სახუმარო წარწერები იყო გამოკრული: „ჩვენ გვჯერა ღმერთის, დანარჩენებმა კი ნაღდი ფულით გადაიხადეთ“. ასეთ რამეს ახლა ღვთის გმობად ჩათვლიდნენ.

ეს ქაღალდის ნაგლეჯები საყიდლებზე მიმავალს თან უნდა წაგეღო, თუმცა, მახსოვს, ცხრა-ათი წლის რომ გავხდი, უმეტესობა უკვე პლასტიკურ ბარათებს იყენებდა. თუმცა, არა – სურსათის საყიდლად, ეს მოგვიანებით შემოიღეს. ქაღალდის ფული ნამდვილი პრიმიტივიზმი იყო, ლამის ტოტემიზმს ჰგავდა, კაურის ნიჟარების შეგროვებას. ალბათ, მეც ვიყენებდი იმ ფულს, ცოტა ხანს, სანამ ყველაფერს კომპიუბანკში გადაიტანდნენ.

ჩემი აზრით, სწორედ ამას მოჰყვა ყველაფერი, სწორედ ამის გამო შეძლეს ასე ერთბაშად, ასე მოულოდნელად მოეწყოთ გადატრიალება. ისევ ქაღალდის ფული რომ ყოფილიყო მიმოქცევაში, გაუჭირდებოდათ.

ყველაფერი კატასტროფით დაიწყო. პრეზიდენტი ჩაცხრილეს, კონგრესში იარაღით შეცვივდნენ და ჯარმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. მაშინვე ყველაფერი მუსლიმ ფანატიკოსებს დაბრალდათ.

– დამშვიდდით, – გვეუბნებოდნენ ტელევიზიით, – ყველაფერს ვაკონტროლებთ.

გაოგნებული ვიყავით, მეც და ყველა ჩემ ირგვლივ. დაუჯერებელი იყო. მთელი მთავრობა თითქოს მიწამ ჩაყლაპა. როგორ მოახერხეს ეს? როგორ მივედით აქამდე?

ჯერ კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერეს. ამბობდნენ, რომ დროებით. ქუჩაში ერთ მეამბოხესაც ვერ ნახავდით. ხალხი შინ იჯდა და

ტელევიზორს უყურებდა. ეგებ რამე ჭკვიანური ეთქვა ვინმეს. მტერიც კი არ ვიცოდით, ვინ იყო, რომ მასზე ამოგვეყარა ჯავრი.

გარეთ გაიხედე, დამირეკა მოირამ, აი, ეს დღეც დადგა.

რა დღე? ვკითხე მე.

ცოტაც მოიცადე და ნახავ, თქვა მან, დიდი ხანია, აგურს აგურზე დებენ, რომ მე, შენ და ჩვენისთანები კედელთან მიგვიმწყვდიონ, ჩემო პატარა, დედაჩემივით მელაპარაკებოდა, ოღონდ ამჯერად ჩემი გაცინება არ ჰქონია მიზნად.

მომდევნო კვირების განმავლობაში ქვეყანა კვლავ გაქვავებულ კინოკადრს ჰგავდა, თუმცა, რაღაცები მაინც ხდებოდა. გაზეთებს ცენზურა დაუწესეს და ზოგიერთი დახურეს კიდეც. უსაფრთხოების მიზნით, როგორც მერე თქვეს. ქუჩებში შლაგბაუმები გამოჩნდა და საშვები გახდა საჭირო. თავიდან ამას ყველა იწონებდა, სანამ ახალი მმართველობის სიფრთხილისაგან თავი არ ასტკივდათ. ამბობდნენ, რომ მალე ახალი არჩევნები დაინიშნებოდა, მაგრამ მის მოსამზადებლად დრო იყო საჭირო.

ჯერჯერობით კი, გვირჩიეს, ვცადოთ, ძველებურად ვიცხოვროთ.

„პორნომარტები“ დახურეს. ვეღარ ნახავდით მოედანზე ჩამოვლილავტობუსებს წარწერით „გრძნობები ბორბლებზე“. თუმცა, მათზე გული მაინცდამაინც არ დამწყვეტია. ყველას ყელში გვქონდა ამოსული.

აქამდეც უნდა მოეშორებინათ, თქვა დახლთან მდგომმა ქალმა მაღაზიაში, სადაც ყოველდღე ვყიდულობდი სიგარეტს. თუმცა, რა მაღაზია, კუთხის ჯიხური იყო, გაზეთებს, კევებსა და სიგარეტს ყიდდნენ. ხანშიშესული ქალი იყო, თმაგაჭაღარავებული, დედაჩემის თაობის.

უბრალოდ, ადგნენ და დახურეს თუ რა მოხდა? ვკითხე მე.

მან მხრები აიჩეჩა.

ვინ იცის, ან ვინ დაეძებს. შეიძლება სადმე სხვაგან გადაიტანეს. მაგათ

ყველას ისე ვერ დახურავ, როგორც თაგვებს ვერ გაჟუჟავ. მან ისე აკრიფა ჩემი კომპიურიცხვი, ზედ არც დაუხედავს: მაშინ ეს ჩვეულებრივი რამ იყო. ხალხი ჩიოდა.

მეორე დილით, ბიბლიოთეკაში მომავალი, იმავე ჯიხურთან შევჩერდი კიდევ ერთი კოლოფის საყიდლად. იმ პერიოდში ძალიან ბევრს ვეწეოდი. ჰაერში დაძაბულობა იგრძნობოდა, თითქოს მიწა ზანზარებდა მოახლოებული საფრთხისაგან, თუმცა, ერთი შეხედვით, ყველგან სიწყნარეს დაესადგურებინა. ყავის სმასაც მოვუმატე, ძილიც გამიტყდა. ირგვლივ ყველა გაღიზიანებული ჩანდა. რადიოში სულ მუსიკა ისმოდა. თითქმის აღარავინ ლაპარაკობდა.

ჩვენ უკვე ცოლ-ქმარი ვიყავით, თანაც – კარგა ხნის; ჩვენი გოგონა სამი თუ ოთხი წლის იყო, უკვე საბავშვო ბაღშიც დადიოდა.

დილით, ჩვეულებრივ, სამივე ადრე ავდექით. კარგად მახსოვს, გრანოლით ვისაუზმეთ და ლუკმა იგი ბაღში წაიყვანა. ფორმის პატარა ტანსაცმელი ეცვა, რომელიც ორიოდე კვირის წინ ვუყიდე, ზოლიანი კომბინეზონი და ცისფერი პერანგი. რომელი თვე იყო? მგონი, სექტემბერი. წესით, საბავშვო ბაღის ავტობუსს უნდა გამოევლო, მაგრამ რატომღაც მერჩივნა, ლუკს ეტარებინა. ბაღის ავტობუსსაც კი ვეღარ ვენდობოდი. ქუჩაში ფეხით მოსიარულე ერთ ბავშვსაც ვეღარ დაინახავდით. ადამიანების უგზოუკვლოდ გაქრობა ძალიან გახშირდა.

კუთხის ჯიხურთან მისულს ის ქალი აღარ დამხვდა. მის ნაცვლად დახლთან კაცი იდგა, უფრო სწორად, ბიჭი, ოცზე მეტის არ იქნებოდა.

ავად არის? ვკითხე, როცა ბარათს ვაწოდებდი.

ვინ? მკითხა მან, მომეჩვენა, რომ გაღიზიანებულმა.

ის ქალი, აქ რომ მუშაობდა.

მე რა ვიცი, მიპასუხა მან და ჩემი ნომერი შეიყვანა. გულმოდგინედ კრეფდა, დაკვირვებით, ცალი თითით. აშკარად პირველად აკეთებდა ამ საქმეს. მე თითებს დახლზე ვაკაკუნებდი, მოუთმენლად

ველოდებოდი სიგარეტს; ენაზე მედგა: არავინ გირჩია, კისერზე ამ მუწუკებისთვის რამე მოგეხერხებინა-მეთქი? ახლაც თვალწინ მიდგას ის ბიჭი: მაღალი, ოდნავ მოხრილი, მოკლედ შეჭრილი მუქი თმით, თაფლისფერი თვალებით, რომელიც ჩემი ცხვირის კეხიდან ორი ინჩის იქით მიშტერებოდნენ რაღაცას და ეს აკნე. მგონი, ასე იმ სიტყვების გამო დამამახსოვრდა, მერე რომ წარმოთქვა: უკაცრავად, თქვენს ანგარიშზე თანხა არ არის.

ნუ მაცინებთ, მივუგე მე, რამდენიმე ათასი დევს ამ ბარათზე. ორი დღის წინ მივიღე შეტყობინება. კიდევ სცადეთ.

ანგარიშზე ფული არ გაქვთ, ჯიუტად გაიმეორა მან, ხედავთ აი, აქ წითლად რომ ციმციმებს? ეს ნიშნავს, რომ თქვენს ანგარიშზე არაფერია.

შეცდომაა, ვუთხარი, კიდევ სცადეთ.

მან მხრები აიჩეჩა და გაბეზრებული სახე მიიღო, მაგრამ მაინც ხელახლა აკრიფა ჩემი ნომერი. ამჯერად მის თითებს შევცქეროდი, თითოეულ რიცხვს და მერე იმავე რიცხვებს ბარათზე ვამოწმებდი. ნამდვილად სწორად აკრიფა, მაგრამ ისევ წითელი შუქი აციმციმდა.

ხედავთ? თქვა მან, შეთქმულის ღიმილით, თითქოს იცოდა, რომ რაღაც სასაცილო მჭირდა, მაგრამ არ მიმხელდა.

სამსახურიდან დავრეკავ და გავიგებ, რა ხდება, ვთქვი მე. სისტემა ადრეც შეფერხებულა, მაგრამ ორიოდე დარეკვის მერე ყველაფერი სწორდებოდა.

გაბრაზებული ვიყავი, თითქოს ბრალს მდებდნენ და ვერც კი ვხვდებოდი, რაში. თითქოს რაღაც შემეშალა.

კი, ბატონო, გულგრილად მომიგო მან. სიგარეტის კოლოფი დახლზე დავტოვე, რადგან ფული ვერ გადავიხადე. ვიფიქრე, სამსახურში გამოვართმევ ვინმეს-მეთქი.

სამსახურიდან მართლა დავრეკე, მაგრამ მხოლოდ ავტომოპასუხე ჰქონდათ ჩართული. „ხაზები გადატვირთულია, თუ არ შეწუხდებით, დარეკეთ მოგვიანებით“, – იმეორებდა იგი.

ხაზები მთელი დილა გადატვირთული იყო. რამდენჯერმე დავრეკე, მაგრამ ხმა ვერავის მივაწვდინე. თუმცა, არც ეს იყო უჩვეულო.

დაახლოებით ორი საათისთვის, შესვენების მერე, დისკების ოთახში დირექტორი შემოვიდა.

რაღაც უნდა გითხრათ, თქვა მან. ცუდად გამოიყურებოდა: თმა აწეწილი ჰქონდა, თვალები – ჩასისხლიანებული; მთვრალივით ბარბაცებდა.

ყველამ ამოვხედეთ, მანქანები გამოვრთეთ. რვა თუ ათი ვიყავით ოთახში. უნდა გაგათავისუფლოთ, თქვა მან, ასეთია კანონი. ვალდებული ვარ. ყველანი უნდა გაგათავისუფლოთ, ლამის მოფერებით გვითხრა, თითქოს გარეული ცხოველები ვიყავით, ქილით დაჭერილი ბაყაყები, და ახლა გაშვებას გვიპირებდა.

სამსახურიდან გვყრით? ვკითხე მე და ფეხზე წამოვდექი, კი, მაგრამრატომ?

არ გყრით, გათავისუფლებთ, აქ ვეღარ იმუშავებთ, ასეთია კანონი, მან თმაში ხელი წაივლო და გავიფიქრე, ალბათ, გაგიჟდა, ალბათ, დაძაბულობას ვეღარ გაუძლო და აფრები აუშვა-მეთქი.

ამას ვერ გაგვიკეთებთ, თქვა ჩემ გვერდით მჯდომმა ქალმა. მისი სიტყვები ისე ყალბად, ისე უაზროდ ჟღერდა, თითქოს ტელეკამერის წინ ლაპარაკობდა.

მე რა შუაში ვარ? თქვა დირექტორმა. თქვენ არაფერი გესმით. გთხოვთ, დროზე წადით, ნელ-ნელა ყვირილზე გადავიდა, შარის თავი არ მაქვს. შეიძლება წიგნები გაანადგურონ, ყველაფერი დაამტვრიონ... მან უკან გაიხედა. გარეთ არიან, ჩემს კაბინეტში. თუ არ წახვალთ, აქ შემოვლენ. ათი წუთი მომცეს. ახლა იგი კიდევ უფრო ჰგავდა შეშლილს.

გააფრინა! ვიღაცამ ხმამაღლა თქვა ყველა ჩვენგანის ნაფიქრი.

მაგრამ მე უკვე ვხედავდი დერეფანში მდგარ ორ უნიფორმიან, ავტომატებით შეიარაღებულ კაცს. ძალიან თეატრალური, სრულიად

დაუჯერებელი სანახაობა იყო, მაგრამ ნამდვილად ხდებოდა: მოჩვენებებს ჰგავდნენ, მარსელებს. თითქოს სიზმარეული ჩვენება იყო; მეტისმეტად მკაფიონი იყვნენ, გარემოსთვის სრულიად შეუფერებელნი.

თავი დაანებეთ მაგ მანქანებს, გვითხრა დირექტორმა, როდესაც ჩვენი ნივთების მოგროვება დავიწყეთ, თითქოს მანქანებსაც თან წავიღებდით.

ბიბლიოთეკის კიბესთან ჯგუფად ვიდექით, არ ვიცოდით, ერთმანეთისთვის რა გვეთქვა. არაფერი გვქონდა სათქმელი, რადგან ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ გაიგო, რა ჯანდაბა ხდებოდა. ერთმანეთს სახეში ვუყურებდით და შეძრწუნებასა და სირცხვილს ვკითხულობდით, თითქოს დანაშაულზე წაგვასწრეს.

თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ! თქვა ერთმა ქალმა, მაგრამ არადამაჯერებლად. რა მოხდა, რატომ გვქონდა ისეთი შეგრძნება, რომ დამსახურებული სასჯელი მივიღეთ?

შინ არავინ დამხვდა. ლუკი სამსახურში იყო, ჩემი გოგონა – საბავშვო ბაღში. დაღლილი ვიყავი, ილაჯგაწყვეტილი, მაგრამ დაჯდომისთანავე წამოვხტი. არ შემეძლო უძრავად ყოფნა. მთელ სახლში დავბორიალებდი, ოთახიდან ოთახში. მახსოვს, ყველაფერს ხელს ვკიდებდი, გაუცნობიერებლად. უბრალოდ, თითებს ვახებდი ნივთებს: ტოსტერს, საშაქრეს, საფერფლეს სასტუმრო ოთახში. მერე კატას წამოვავლე ხელი და თან დავატარებდი. მინდოდა, ლუკი მალე დაბრუნებულიყო. ვიცოდი, რომ უნდა მემოქმედა, რამე უნდა მეღონა, ოღონდ არ ვიცოდი – რა.

დაჟინებით ვცდილობდი ბანკში დარეკვას, მაგრამ ისევ ავტომოპასუხე ირთვებოდა. ჭიქაში რძე დავისხი – ყავისთვის ისედაც აფორიაქებული ვიყავი – სასტუმრო ოთახში გავედი, დივანზე ჩამოვჯექი და რძიანი ჭიქა ჟურნალების მაგიდაზე ფრთხილად დავდგი, ისე, რომ ყლუპიც არ მომისვამს. კატა გულზე მივიკარი, რათა ყელთან მისი ბეწვის სითბო მეგრძნო.

ცოტა ხნის შემდეგ დედაჩემს დავურეკე შინ, მაგრამ არ მიპასუხა. მაშინ უკვე ერთ ადგილას იყო დამკვიდრებული, ყოველ მეორე

წელს აღარ იცვლიდა სახლს; ბოსტონში ცხოვრობდა, მდინარის ნაპირას. ცოტა ხანს მოვიცადე და მოირას დავურეკე. არც ის იყო შინ, მაგრამ ნახევარი საათის მერე ისევ დავურეკე და მიპასუხა. მანამდე დივანზე ვიჯექი და სენდვიჩებზე ვფიქრობდი, ჩემს გოგონას საუზმისთვის რომ ვატანდი ხოლმე, ძალიან ბევრ არაქისის კარაქს ხომ არ ვუსვამ-მეთქი.

სამსახურიდან გამომიშვეს, ვუთხარი მოირას, როცა ყურმილი აიღო. შემოგივლიო, მითხრა. ის ქალთა ორგანიზაციაში მუშაობდა, საგამომცემლო განყოფილებაში. შობის კონტროლის, გაუპატიურებისა და ასეთი რაღაცების შესახებ უშვებდნენ წიგნებს, მაგრამ ბოლო დროს მათ პროდუქციასაც აღარავინ ეტანებოდა.

მოვალ, მითხრა მან. ჩემმა ხმამ მიახვედრა, რომ ახლა ძალიან მჭირდებოდა.

ცოტა ხანში ჩემთან იყო.

რაო?! მკითხა, პიჯაკი მოისროლა და ფუმფულა სავარძელში ჩაეფლო, მომიყევი, ოღონდ ჯერ რამე დავლიოთ.

იგი ადგა, სამზარეულოში გავიდა და ორ ჭიქაში სკოტჩი ჩამოასხა, მერე კი დაბრუნდა და გვერდით ჩამომიჯდა. ვცადე, მომეყოლა, რაც შემემთხვა. როცა მოვრჩი, მკითხა, დღეს შენი კომპიუბარათით რამის ყიდვა ხომ არ გიცდიაო.

კი, ვუპასუხე და იმ ამბავსაც მოვუყევი.

ანგარიშები გაყინეს, თქვა მან, ჩემიც. მთელი ჩემი კოლექტივისაც. ყველა ანგარიში, რომლის მფლობელის პირად საქმეში მდ. წერია და არა მამრ. ამისთვის მხოლოდ რამდენიმე ღილაკზე ხელის დაჭერა დასჭირდათ. გაგვაკოტრეს.

კი, მაგრამ მე ორი ათას დოლარზე მეტი მქონდა ბანკში, ვუთხარი მე, თითქოს ამ ამბავში ჩემს ფულზე მნიშვნელოვანი არაფერი იყო.

ქალებს აღარ აქვთ საკუთრების უფლება, თქვა მან, ახალი კანონია. დღეს ტელევიზორი არ ჩაგირთავს?

არა, ვუპასუხე მე.

ჰოდა, ასეთი ამბებია, თქვა მან, მთელ ქვეყანაში.

ის ჩემსავით გაოგნებული არ იყო. პირიქით, ამაღლებულ განწყობაზეც კი მეჩვენა, თითქოს დიდი ხანია, ამას ელოდა და აჰა, აღსრულდაო. ენერგიით აღსავსე და იმედიანი ჩანდა.

ლუკს შეუძლია, შენი კომპიუანგარიში გამოიყენოს, მითხრა მან. როგორც ამბობენ, შენს ნომერს მისას მიაბამენ. ქმარს ანდა სისხლით უახლოეს ნათესავს ამის უფლება აქვს.

შენ რა გეშველება? ვკითხე. მას არავინ ჰყავდა.

მე იატაკქვეშეთში გადავინაცვლებ, თქვა მან, ბიჭებს დავიქირავებთ, ჩვენს ნომრებს გადავცემთ და რასაც ვეტყვით, გვიყიდიან ხოლმე.

კი, მაგრამ რატომ? ვკითხე მე, რატომ გააკეთეს ეს?

მაგას ჩვენ ვერასოდეს მივხვდებით, მიპასუხა მოირამ, ასე გადაწყვიტეს და მორჩა. ერთ დღეში აგვახიეს კომპიუანგარიშებიც და სამსახურებიც. წარმოგიდგენია, აეროპორტებში რა ამბავი იქნება? დარწმუნებული ვარ, აღარსად გაგვიშვებენ, თუ გინდა, დაგენაძლევები.

წავედი, რომ ჩემი გოგონა ბაღიდან გამომეყვანა. მეტისმეტად ფრთხილად მიმყავდა მანქანა. ლუკი შინ რომ დაბრუნდა, სამზარეულოს მაგიდასთან დავხვდი. ბავშვი კუთხეში მდგარ თავის პატარა მაგიდას მისჯდომოდა და ხატავდა. მერე მის ნახატებს მაცივრის გვერდით ვაკრავდით ხოლმე.

ლუკმა ჩემ გვერდით დაიჩოქა და ხელი მომხვია. გავიგე, რაც მოხდა, მითხრა მან, სახლში რომ მოვდიოდი, რადიოში მოვუსმინე. არ იდარდო, დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერს მალე მოეღება ბოლო.

რა თქვეს, ამას რატომ ვაკეთებთო? ვკითხე მე.

მან ჩემს კითხვას არ უპასუხა.

ამასაც გავუძლებთ, მითხრა და ჩამეხუტა.

შენ ვერ წარმოიდგენ, ეს რა გრძნობაა, ვუთხარი მე, თითქოს ფეხი მომჭრეს. არ ვტიროდი, მაგრამ ვერც მისთვის ხელის მოხვევა შევძელი.

ეს მხოლოდ სამუშაო იყო, მითხრა მან, ცდილობდა, დავემშვიდებინე.

როგორც ვიცი, მთელი ჩემი ფული შენ მოგაკუთვნეს, ვთქვი მე, არადა, მე ჯერ არ მოვმკვდარვარ. ხუმრობა ვცადე, მაგრამ ცუდად გამომივიდა.

ჩუუ! დამამშვიდა მან, ისევ იატაკზე დაჩოქილმა. ხომ იცი, რომ არასოდეს არაფერს გაგიჭირვებ.

აჰა, უკვე ჩემი ბატონ-პატრონი ჰგონია თავი! გავიფიქრე და გამიელვა: მგონი, პარანოია დამეწყო.

ვიცი, ვუთხარი ხმამაღლა, მიყვარხარ.

მოგვიანებით, როცა ბავშვს უკვე ეძინა, ჩვენ ვახშამს შევექცეოდით და მეც ელდამ ცოტათი გადამიარა, შუადღის ამბები ვუამბე. მოვუყევი, როგორ შემოგვეჭრა დირექტორი და ბლუკუნით დაგვიფრინა სამსახურიდან.

სასაცილო იქნებოდა, ასეთი საშინელება რომ არ ყოფილიყო, ვუთხარი ლუკს, მგონი, მთვრალი იყო. მთელი არმია თავზე ედგა იმ უბედურს.

და სწორედ ახლა გამახსენდა ის, რაც მაშინ ვერ შევნიშნე: იმ კაცებს ჩვენი ჯარის ფორმა არ ეცვათ, ეს რაღაც სხვა ჯარი იყო.

*

რა თქმა უნდა, საპროტესტო მსვლელობებიც მოეწყო, უმეტესწილად – ქალებისა და რამდენიმე მამაკაცის მონაწილეობით, თუმცა, მოსალოდნელზე მცირერიცხოვანი გამოვიდა. მგონი, ხალხს ეშინოდა. და როდესაც მათ ყურამდე მივიდა, რომ პოლიცია, არმია, თუ ვინც იყო, მაშინვე გახსნიდა ცეცხლს, როგორც კი საპროტესტო

გამოსვლები დაიწყებოდა, წინააღმდეგობის სული ჩაკვდა. რამდენიმე სტრატეგიული ობიექტი ააფეთქეს – საფოსტო განყოფილებები, მეტროს სადგურები, თუმცა, კაციშვილმა არ იცოდა, ვინ აკეთებდა ამას. შეიძლება ჯარისკაცები, რომ ამით გაემართლებინათ კომპიუტერული ჩხრეკვები თუ კარდაკარ სიარული და მოსახლეობის შემოწმება.

მე არც ერთ საპროტესტო აქციაზე არ წავსულვარ. ლუკმა თქვა, აზრი არ აქვსო, მე კი მათზე ვფიქრობდი – ჩემს ოჯახზე, ქმარსა და შვილზე. სხვას ვეღარაფერს ვაკეთებდი. სახლს ვალაგებდი, ნამცხვრებს ვაცხობდი. ვცდილობდი, სადილობისას არ მეტირა. უცაბედი ტირილი დამჩემდა, კიდევ – საძინებლის ფანჯარასთან უძრავად ჯდომა და გარეთ ყურება. მეზობელს ისედაც ორიოდეს ვიცნობდი და ქუჩაში თუ გადავეყრებოდით ერთმანეთს, მხოლოდ ვესალმებოდით. ყველას ეშინოდა, დასმენის მსხვერპლი არ გამხდარიყო.

ამ ამბავზე დედაჩემი გამახსენდა და წლების წინანდელი შემთხვევა. თოთხმეტი-თხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, ანუ იმ ასაკისა, როდესაც გოგონებს ყველაზე მეტად რცხვენიათ საკუთარი დედების გამო. მახსოვს, ჩვენს ერთ-ერთ დროებით ბინაში ვცხოვრობდით. ის შინ რამდენიმე ქალთან ერთად დაბრუნდა, თავისი მუდმივად ცვალებადი სამეგობროს მოლეკულებთან. საპროტესტო აქციიდან მოვიდნენ. არ მახსოვს, პორნოგრაფიას აპროტესტებდნენ თუ აბორტებს. მაშინ ყველაფერს ესხმოდნენ თავს: კლინიკებს, ვიდეომაღაზიებს; რომელი ერთი დამემახსოვრებინა.

დედას სახე ჩალურჯებული ჰქონდა და სისხლიც ეცხო.

რას იზამ, როცა შუშას მუშტით ამტვრევ, ჭრილობასაც უნდა გაუძლო, თქვა მან, დედამოტყნული ღორები.

დედამოტყნული სისხლისმღვრელები, დაამატა მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა. ისინი მოწინააღმდეგეებს სისხლისმღვრელებს ეძახდნენ, რადგან მათ პლაკატებზე ეწერა: „დაე, სისხლად დაიღვარონ!“ ეტყობა, მაინც აბორტებს აპროტესტებდნენ.

მე გავერიდე მათ და ჩემს ოთახში შევიკეტე. ძალიან ბევრს და

ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მე ზედაც არ მიყურებდნენ; ძალიან მაღიზიანებდნენ დედაჩემიც და მისი თავაშვებული მეგობრებიც. ვერ გამეგო, რატომ იცვამდა კომბინეზონებს, პატარა გოგოსავით; ან ამდენს რატომიგინებოდა.

ნამდვილი წმინდანი ხარ! მეტყოდა ხოლმე. მის ხმაში კმაყოფილება ისმოდა. უხაროდა, რომ თვითონ ჩემზე ექსტრავაგანტური, ჩემზე მეამბოხე სულის იყო. მოზარდები ხომ მუდამ ისეთი წმინდანები არიან.

ახლა ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩემს გულს ვერ იგებდა, სწორედ მისი ზერელეობა და დაუდევრობა იყო. მინდოდა, უფრო თავდაჭერილი ყოფილიყო, სულ გართობასა და ბანაკის აშლაზე არ სჭეროდა თვალი.

ღმერთია მოწმე, შენ ჩემთვის ნანატრი შვილი იყავი, მეტყოდა ხოლმე ხანდახან, გადამიშლიდა ფოტოალბომს, რომელშიც ჩარჩოებში ჩაკრულს მინახავდა. ეს ალბომები ჩვილის სურათებით იყო გატენილი. რაც უფრო ვიზრდებოდი, ჩემი ფოტოები მით უფრო მცირდებოდა, თითქოს ჩემს ორეულებს ჭირმა დარია ხელი. ამას ისეთი სინანულით იტყოდა ხოლმე, რომ ვხვდებოდი, მისი იმედი ვერ გავამართლე. თუმცა, არც თვითონ ჰგავდა დედის ჩემეულ იდეალს და რა გასაკვირია, რომ ჩვენ შორის ხშირად დარბოდა შავი კატა. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ერთმანეთს მაინც ვეწყობოდით: სადაც სხვები, იქაც – ჩვენ.

ნეტავ აქ იყოს, ვეტყოდი, რომ ბოლოს და ბოლოს, ამას მივხვდი.

ვიღაც გამოვიდა სახლიდან. სადღაც, ახლომახლო, კარი ყრუდ გაჯახუნდა და მოასფალტებულ გზაზე ნაბიჯების ხმა გაისმა. ნიკია, აი, უკვე ვხედავ. გაზონების გასწვრივ ბილიკს მიუყვება ნამიანი ჰაერის ჩასასუნთქად, რომელიც ყვავილების სურნელით, გათქვირული მცენარეების სუნით არის გაჟღენთილი. ქარი ყვავილების მტვერს აქეთ-იქით ფანტავს. თითქოს ხამანწკამ ზღვაშიო ქვირითი მიმოაბნიაო. ზემოდან დაბერტყილი ნაყოფიერება. ნიკი მზის გულზე იზმორება და მე ვგრძნობ, კუნთების ჭავლი როგორ უვლის მთელ სხეულზე, თითქოს კატამ ზურგი აიზნიქაო. პერანგის ამარაა და შიშველი მკლავები მოურიდებლად გადმოუყრია აკეცილი

სახელოებიდან. სად მთავრდება, ნეტავ, მისი ნამზეური? იმ ღამის შემდეგ მასთან აღარ მილაპარაკია. მთვარით განათებული მოსასვენებელი ოთახის იმ ზღაპრული პეიზაჟის მერე. ის მხოლოდ დროშაა ჩემთვის, ჩემი სემაფორი, სხეულის ენა.

კეპი გვერდზე აქვს მოქცეული. ამიტომაც გამომეცხადა მოულოდნელად.

რას იღებს ამ შლეიფის დამჭერი ბიჭის როლის სანაცვლოდ? თავს როგორ გრძნობს მეთაურის სუტენიორის ტყავში? ნეტავ, ზიზღით ევსება გული თუ უფრო ვუნდები? უფრო მეტად ვუნდები? მან ხომ არ იცის, რა ხდება დაკეტილ კარს უკან, წიგნების გარემოცვაში. შეუძლია იფიქროს, რომ თავს ყველაფრის უფლებას ვაძლევთ. მე და მეთაური ერთმანეთს მელნით ვთხუპნით და მერე ვლოკავთ ანდა პირდაპირ აკრძალული გაზეთების გროვაზე ვუიმაობთ. ალბათ, ასე ჰგონია.

მაგრამ რას ხეირობს? ხომ ვიცი, რომ ყველა გამორჩენაზეა. ეს რას ელის? ზედმეტ სიგარეტს? გაკვალული გზიდან გადახვევის ნებართვას? თუმცა, რომც მოინდომოს, რას დაამტკიცებს? მისი სიტყვა რას ნიშნავს?! დიდი-დიდი, მეთაურს ბრბო აუმხედროს. შემოგლეჯენ კარს და რას დაინახავენ? მეთაურს, რომელიც სკრაბლით სცოდავს? ხომ მაშინვე გადააყლაპებენ თავის სიტყვებს!

შეიძლება მისთვის მესაიდუმლის როლიც კმარა; კმაყოფილია, რომ, როგორც ძველად ამბობდნენ, გამოჭერილი ვყავარ. ერთჯერადი ძალაუფლებაც ატკბობს.

იმ ღამეს, მე რომ სამუშაო დავკარგე, ლუკს ჩემთან დაწოლა უნდოდა. მე რატომ არ მინდოდა? სასოწარკვეთილი ვიყავი, გახევებული. სხეულზე ძლივს ვგრძნობდი მის ხელებს.

რა მოხდა? მკითხა მან.

არ ვიცი, ვუპასუხე.

ჩვენ ჯერაც გვყავს... მაგრამ მას არ გაუგრძელებია და მე ვერ გავიგე, რა გვყავდა ჯერაც. გავიფიქრე, რომ არ უნდა ეხსენებინა სიტყვა

„ჯერაც“, რადგან მას არაფერი დაუკარგავს.

ჩვენ ჯერაც გვყავს ერთმანეთი, ვთქვი მე, ეს მართალი იყო. მაშინ რატომ ჟღერდა ასე გულგრილად ჩემი ხმა?

შემდეგ მან მაკოცა, თითქოს იცოდა, რომ თუკი მე ამ სიტყვებს ვიტყოდი, ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდებოდა. მაგრამ რაღაც შეიცვალა, ჰარმონია დაირღვა. ერთიანად დავჩიავდი და ხელი რომ მომხვია და მიმიზიდა, თოჯინისხელაღა ვიყავი. ალერსი უჩემოდ შედიოდა ეშხში.

მას რა ენაღვლება, გავიფიქრე, ფეხებზე ჰკიდია. შეიძლება მოსწონს კიდეც. ჩვენ უკვე აღარ ვართ ერთმანეთის. ახლა მხოლოდ მე ვარ მისი.

უღირსი, უსამართლო, უსაფუძვლო ფიქრი იყო, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი.

ამიტომ, ლუკ, ახლა მინდა გკითხო: მაშინ მართალი ვიყავი? ამაზე ხომ არასოდეს გვისაუბრია. ყოველთვის, როცა ლაპარაკის წამოწყებას დავაპირებდი, ენას ვიკვნეტდი, რადგან მეშინოდა. ჩემს თავს შენი დაკარგვის უფლებას ვერ მივცემდი.

29

მეთაურის კაბინეტში ვზივარ, მის პირდაპირ, საწერი მაგიდის მეორე მხარეს, თითქოს ბანკის კლიენტი ვიყო და სესხზე მოლაპარაკებასვაპირებდე. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ კვლავ ძველებურად ვსხედვართ, აშკარაა, ჩვენ შორის მანძილი თანდათან მცირდება. მე აღარ ვარ კისერგაშეშებული, წელში გამართული, შეტყუპებულ ფეხისწვერებს იატაკს აღარ ვუწვდენ, თავი ბრძანების მოლოდინში შემართული არ მაქვს. ახლა ჩემი სხეული მოდუნებულია, ლამის მყუდროდაც კი ვგრძნობ თავს. წითელი ფეხსაცმელები ძირს ყრია, მე კი ფეხები, მართალია, წითელი კაბის ნაკეცებში ჩამალული, მაგრამ აკეცილი მაქვს და ზედ ვაზივარ, როგორც კოცონთან ვიცოდით ხოლმე, პიკნიკებზე. თითქოს ბუხარში ცეცხლი ენთოს და მისი ენები საგნების გაკრიალებულ ზედაპირზე ირეკლებოდეს, თბილად ელამუნებოდეს ხორცს. ცეცხლის ნათებასაც კი წარმოვიდგენ.

მეთაური ამ საღამოსაც ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც ყოველთვის. პიჯაკი გაუხდია, იდაყვები მაგიდაზე უწყვია. ტუჩის კუთხეში მოგდებული კბილის საჩიჩქნიღა აკლია და გრავიურაზე ამოკვეთილი მემამულის განსახიერება იქნება. რომელიმე ძველი, დამწვარი წიგნის ილუსტრაცია.

ჩვენ წინ სკრაბლის დაფა ქვებით ივსება. იმ ღამით მე ჩემს ბოლოსწინა ხელს ვთამაშობ. ჰუნე – ვუმარცვლავ მე იშვიათ, ჰაეზე დაწყებულ, ორმარცვლიან მოქნილ სიტყვას.

– ასეთი სიტყვაც არსებობს? – მეკითხება მეთაური.

– თუ გნებავთ, ლექსიკონში ვნახოთ, – ვპასუხობ მე, – არქაიზმია.

– არ მინდა, გენდობი, – მეუბნება იგი. იღიმება. მეთაურს მოსწონს, როცა ხასიათს ვავლენ, თითქოს ნაადრევად მოწიფული ალერსიანი შინაური ცხოველი ვიყო, ყურებდაცქვეტილი და მოწადინებული. მისი კეთილგანწყობა თბილი აბაზანასავით მსიამოვნებს. მისგან ვერ ვგრძნობ კრიჭაში დგომას, რაც კაცებს და ხანდახან ლუკსაც კი

ახასიათებდათ. ის არ გამიღიმებს და ამ დროს გონებაში არ გაიფიქრებს: „ძუკნა“. მამობრივი სითბოს ვგრძნობ. თითქოს უხარია, რომ კარგად ვერთობი; ჰოდა, მეც ვერთობი, რატომაც არა.

მას მარჯვედ შეჰყავს ჩვენი ბოლო თამაშის ქულები თავის ჯიბის კომპიუტერში.

– ტრიუმფალურად იმარჯვებ, – მეუბნება ის. მგონია, მატყუებს, მელაქუცება, უნდა, გუნებაზე მომიყვანოს, მაგრამ რატომ? ეს კითხვა უპასუხოდ რჩება. რას იგებს ჩემი განებივრებით? არ ვიცი, ალბათ, რაღაცას იგებს.

იგი სავარძელში ეფლობა და თითებს ატყუპებს. ამ ჟესტს კარგად ვიცნობ. ისე დავახლოვდით, უკვე ერთმანეთისთვის განკუთვნილი ჟესტების მთელი რეპერტუარი გვაქვს. კეთილგანწყობით მომჩერებია, არა, უფრო – ცნობისმოყვარეობით, თითქოს თავსატეხი ვარ და ჩემს ამოხსნას აპირებს.

– ამაღამ რის წაკითხვას ინებებ? – მეკითხება იგი. ესეც ყოვედღიურობად გვექცა. უკვე წავიკითხე ჟურნალი „მადმუაზელი“ და „ესკვაიარის“ ოთხმოციანი წლების ნომერი, ასევე „მის“, რომელიც ბუნდოვნად მახსოვდა, როგორც დედაჩემის ბინების განუყრელი ატრიბუტი და „რიდერს დაიჯესტი“. მას რომანებიც ჰქონდა. მე რეიმონდ ჩენდლერი გადავაბულბულე და ახლა ჩარლზ დიკენსის „მძიმე დროებას“ ვკითხულობ, ლამის გავანახევრე. მასთან ყოფნისას სწრაფად ვკითხულობ, ხარბად, ლამის ვყლაპავ ტექსტს, ვცდილობ, მომავალ ხანგრძლივ მარხვამდე თავში რაც შეიძლება მეტი საზრდო დავიმარაგო. ასე შიმშილით გასავათებული იტენის პირში განურჩევლად ყველაფერს; ასე ვნებაწაკიდებული წყვილები ეალერსებიან ერთმანეთს ფეხზე მდგარნი, ხეზე მიყუდებულები რომელიმე ბნელ ხეივანში.

როდესაც ვკითხულობ, მეთაური ზის და თვალს არ მაცილებს, ხმის ამოუღებლად, გაუნძრევლად მომჩერებია. ეს ცქერა უკვე თავისებური სექსუალური აქტია და მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ შიშველი ვარ. კარგი იქნებოდა, ამ დროს ოთახში ევლო ხანდახან ჩემკენ ზურგით შებრუნებულიყო, თვითონაც ეკითხა. ეგებ მეც უფრო მოვდუნებულიყავი, ნება-ნება მედევნებინა თვალი

სტრიქონებისათვის. მაგრამ, ეტყობა ჩემი ეს აკრძალული კითხვა მისთვის სანახაობაა.

– მირჩევნია, უბრალოდ ვისაუბროთ, – ვეუბნები მე და თვითონაც მიკვირს საკუთარი ნათქვამი.

იგი ისევ იღიმება. სულაც არ ჩანს გაოცებული. შეიძლება სწორედ ამას ელოდა კიდეც.

– ოჰ? – ამბობს ის, – და რაზე გსურს ლაპარაკი?

მე ენა მებმის:

– რაზეც გნებავთ, თუნდაც თქვენზე.

– ჩემზე? – იგი განუწყვეტლივ იღიმის, – ჩემზე სათქმელი ბევრი არაფერია, ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ.

ეს სიტყვები ისეთივე ყალბია, როგორიც მათი წარმოთქმის ტონი. მისი ნათქვამი არადამაჯერებლად ჟღერს. ჩვეულებრივები მეთაურები არ ხდებიან.

– თქვენ, ალბათ, რაღაც განსაკუთრებული ნიჭი გაქვთ, – ვიცი, რომ გამომწვევად ვიქცევი, ვეთამაშები, ვცდილობ, რაღაც დავტყუო და ამის გამო საკუთარი თავი მძულს, მაგრამ ჩვენ ახლა კატათაგვობანას ვთამაშობთ – ან იმან უნდა ილაპარაკოს, ან მე. ეს ვიცი, მე კი ენის წვერზე მთელი მონოლოგი მადგას; დიდი ხანია, წესიერად არავისთან მისაუბრია. ის არ ითვლება, მე და გლენისამ ორი სიტყვა რომ გადავულაპარაკეთ ერთმანეთს სეირნობისას. ის უფრო ბიძგი იყო, შესავალი, შვება მომგვარა და კიდევ უფრო ამიშალა ვინმესთან საუბრის საღერღელი.

თუ მე წამოვიწყებ ლაპარაკს, რაღაც აუცილებლად შემეშლება, რამეს წამოვროშავ. ვგრძნობ, რომ იმ ზღვარზე ვარ, როცა შეიძლება თავი გავცე. მეკი არ მინდა, მან ჩემზე ბევრი რამ იცოდეს.

– თავიდან ბაზარს ვიკვლევდი, – ფრთხილად იწყებს ის, – მერე კი ჩემი საქმიანობის სფერო გავაფართოვე.

ახლაღა მახსენდება, რომ მეთაური კია, მაგრამ არც კი ვიცი, რისი. რას ხელმძღვანელობს? როგორც ადრე იტყოდნენ – რომელ სფეროში საქმიანობს? მათ ხომ ტიტულები არ აქვთ.

– ოჰ, – ვამბობ მე, ისეთ სახეს ვიღებ, თითქოს მისი სიტყვებიდან რამე აზრი გამომეტანოს.

– ასე ვთქვათ, მეცნიერი ვარ, – ამბობს ის, – ოღონდ, ნაწილობრივ.

მერე ჩუმდება და კარგა ხანს დუმს. არც მე ვიღებ ხმას. ერთმანეთის მოთმინებას ვცდით.

მე პირველი ვარღვევ დუმილს:

– შეიძლება თქვენ იცოდეთ ის, რაც დიდი ხანია, მაინტერესებს.

ის აშკარად ცოცხლდება:

– რა გაინტერესებს?

მე ვხვდები, რომ შარში ვყოფ თავს, მაგრამ გაჩერება აღარ შემიძლია.

– ერთი ფრაზაა, საიდანღაც მახსოვს, – სჯობს, არ ვუთხრა, საიდან, – მგონი, ლათინური უნდა იყოს და ეგებ... – ვიცი, რომ ბუხრის მარცხნივ, ზედა თაროზე ჩამწკრივებულ რამდენიმე ლექსიკონს შორის ლათინურიც დევს.

– მითხარი, აბა, – მეუბნება, თავშეკავებულად, მაგრამ დაინტერესებული, თუ მეჩვენება?

–

Nolite te bastardes carborundorum

, – ვამბობ მე.

– რაო? – გაოცებული მეკითხება.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვერ შევძელი ამ ფრაზის სწორად

წარმოთქმა.

– შემიძლია, დაგიმარცვლოთ, – ვეუბნები მე, – ანდა დაგიწეროთ.

ეს იდეა საგონებელში აგდებს. შეიძლება აღარც ახსოვს, რომ წერა შემიძლია. მისი თანდასწრებით არასოდეს მჭერია ხელში კალამი ან ფანქარი, ჩვენი თამაშების ანგარიშიც კი არასოდეს ჩამიწერია.

– ქალებს მიმატება არ შეუძლიათ, – ხუმრობით მითხრა ერთხელ.

ვკითხე, რას გულისხმობთ-მეთქი. მიპასუხა, რომ ქალებისთვის ერთს პლუს ერთი პლუს ერთი პლუს ერთი სულაც არ არის ოთხი.

– მაშ, რამდენია? – ვკითხე მე, ველოდი, რომ მიპასუხებდა, სამი ან ხუთიო.

– უბრალოდ, ერთს პლუს ერთი პლუს ერთი პლუს ერთი, – მითხრა მან.

მაგრამ ახლა ის ამბობს:

– კი, ბატონო, – და საწერი მაგიდის მეორე მხრიდან თავის ბურთულიან კალამს თითქმის გამომწვევად მაწვდის, თითქოს აინტერესებს, გავბედავ თუ არა გამორთმევას. თვალებით ფურცელს ვეძებ და ისიც მაშინვე ქულების ჩასაწერ დაფას მიმარჯვებს, კომპიუტერულ უბის წიგნაკს, სადაც თითოული ფურცლის ზემოთ გაღიმებული სახეა გამოსახული. ესე იგი, ამგვარ ნივთებს ჯერაც უშვებენ.

მე გულმოდგინედ, ასო-ასო ვწერ ფრაზას, ვიწერ საკუთარი გონებიდან, საკუთარი გარდერობიდან.

Nolite te bastardes carborundorum

– ეს სიტყვები ამ კონტექსტში არც ლოცვაა და არც ბრძანება, არამედ ნაღვლიანი წარწერა, სადღაც ამოკაწრული და მიგდებული. ჩემს თითებს შორის მომწყვდეული კალამი მგრძნობიარეა, ლამის ცოცხალი, მე ვგრძნობ მის ძალას, იმ სიტყვების ძალას, რომელთაც ის წერს.

– კალამი შესაშური რამაა, – ამბობდა დეიდა ლიდია. ცენტრის ერთ-ერთ ლოზუნგს გვახსენებდა, გვაფრთხილებდა, მავნებელ საგნებზე არ გვეფიქრა. და მართალიც იყო. შესაშური რამ იყო მისი ჭერაც კი. დიახ, მე მშურდა მეთაურის – მას ჰქონდა კალამი და ამასაც დიდი სიამოვნებით მოვიპარავდი.

მეთაური მომღიმარსახიან წიგნაკს მართმევს და უცებ სიცილი უვარდება. მეჩვენება თუ გაწითლდა კიდეც?

– ეს ნამდვილი ლათინური არ არის, – მეუბნება იგი, – ეს მხოლოდ ხუმრობაა.

– ხუმრობა? – თავგზააბნეული ვარ. შეუძლებელია, ეს მხოლოდ ხუმრობა იყოს. ნუთუ ხუმრობის გამო გავბედე ამდენი?

– რა ხუმრობა? – ვეკითხები.

– ხომ იცი, კოლეჯის ბიჭების ამბავი?! – მეუბნება იგი და მის სიცილში ჩაბუდებულ სევდას ვგრძნობ. ეს სიცილი სიყმაწვილის მოგონებებისადმი გაღებული ხარკია. ის დგება, თაროებს უახლოვდება და ერთ-ერთ წიგნს იღებს, თუმცა, არა – ლექსიკონს. ძველი წიგნია, მგონი, სახელმძღვანელო, კიდეებშემოგლეჯილი და მელნით დათხვრილი. სანამ მე მაჩვენებს, მანამდე თვითონ ფურცლავს ჩაფიქრებული, მოგონებებში ჩაფლული. მერე მეუბნება:

– ნახე, – და გადაშლილ წიგნს საწერ მაგიდაზე მიდებს.

ჯერ სურათი მხვდება თვალში: ვენერა მილოსელის შავ-თეთრი ფოტო, რომელსაც შავი მელნით ულვაშები და ლიფი აქვს მიხატული, იღლიის ქვეშ კი შავი ბალანი ამოჯეჯილებია. მეორე გვერდზე რომის კოლიზეუმის ფოტოა, გვერდზე ინგლისური წარწერით და ქვეშ მიჯრილი:

sum es est, sum us es tis sunt

.

– აი, – მანიშნებს იგი, არშიაზე თითს ადებს და მეც ვხედავ მას, იმავე შავი მელნით დაწერილს, რომლითაც ვენერა გაუმშვენიერებიათ:

Nolite te bastardes carborundorum

.

– იმისთვის, ვინც ლათინური არ იცის, ძნელი ასახსნელია, რატომ არის ეს ფრაზა სასაცილო, – ამბობს ის, – ასეთ რამეებს ხშირად ვწერდით, აღარც მახსოვს, საიდან მოგვქონდა ხოლმე, ალბათ, უფროსი ბიჭები გვასწავლიდნენ, – გვერდებს ფურცლავს, არც მე ვახსოვარ და აღარც საკუთარი თავი, – ამას შეხედე, – მეუბნება მერე. სურათს „საბინელი ქალები“ ჰქვია, არშიაზე ბატიფვეხურითაა გამოყვანილი: „

pim pis pit, pimus, pistis, pants

“, – კიდევ იყო სადღაც, – ამბობს ის, – „

Cim cis cit

… “ – ის ჩერდება, გონს მოდის, იმორცხვებს. ისევ იღიმება; ამჯერად უფრო კბილებს აჩენს. წარმოვიდგენ ჭორფლიანს, თმაგადაპრიალებულს. და ლამის გული შემივარდეს.

– ჰოდა, რას ნიშნავდა? – ვეკითხები.

– რომელი? – მიბრუნებს კითხვას, – ა, ჰო, ის: „თავი არ დააჩაგვრინო მაგ ნაბიჭვრებს“. მაშინ ჭკვიანურად გვეჩვენებოდა.

ძალისძალათი ვიღიმები. ახლა ყველაფერი გასაგებია. ახლა ვხვდები, რატომ დაწერა ეს ფრაზა ჩემმა წინამორბედმა, მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ ეს გამოთქმა მან აქ, ამ ოთახში ისწავლა. სხვაგან სად ისწავლიდა? ბიჭების სკოლაში ვერ ივლიდა. აქ გაიგონა, როდესაც მეთაური მასაც ჩემსავით უზიარებდა, ანდობდა თავის ბავშვობის მოგონებებს. ესე იგი პირველს არ შემომიბიჯებია მის მდუმარებაში; ოდესღაც მეთაურს ისიც სიტყვების ბავშვური თამაშით ართობდა.

– რა დაემართა იმ ქალს? – ვეკითხები მე.

დაუყოვნებლივ მიბრუნებს კითხვას:

– შენ რა, მას იცნობდი?

– ისე... – ვპასუხობ მე.

– თავი ჩამოიხრჩო, – ამბობს ის, ჩაფიქრებული, მაგრამ არცთუ ნაღვლიანი, – ამიტომაც გავიტანეთ შენი ოთახიდან ჭაღი, – ის ყოვნდება, – სერენამ ყველაფერი შეიტყო, – ამბობს ის, თითქოს ეს ფრაზა ყველაფერს ნათელს ჰფენდეს. ჰფენს კიდეც.

თუ ძაღლი მოგიკვდება, სხვა უნდა მოიყვანო.

– რითი ჩამოიხრჩო? – ვეკითხები მე.

მას არ სურს, იდეები შემომაშველოს.

– რა მნიშვნელობა აქვს? – კითხვითვე მპასუხობს.

„ზეწარი დაგრიხა“, – ვფიქრობ. ამ შესაძლებლობაზე კარგა ხნის წინ ვიფიქრე.

– და მისი გვამი, ალბათ, კორამ იპოვა, – ვამბობ ხმამაღლა. აი, რატომ იკივლა იმ დღეს.

– ჰო, – მიდასტურებს მეთაური, – საწყალი გოგო, – კორას გულისხმობს.

– იქნებ სჯობს, აქ აღარ მოვიდე.

– მეგონა, მოგწონდა აქ ყოფნა, – ამბობს ის თითქოს გულგრილად, თუმცა, დაჟინებით მომჩერებია ანთებული თვალებით. რომ არ ვიცნობდე, ვიფიქრებდი, რომ მის თვალებში შიში ჩანს, – ძალიან მინდოდა, მოგწონებოდა.

– თქვენ გინდათ, რომ ჩემი ცხოვრება ასატანი გახდეს, – ვამბობ მე. ეს შეკითხვა კი არა, მტკიცებითი ფორმით წარმოთქმული დებულებაა, დამტკიცებული და გაქვავებული. თუ მე ასატანი ცხოვრება მექნება, ისინი არცთუ ისე ცუდები გამოჩნდებიან.

– დიახ, – ამბობს ის, – მინდა. ასე მირჩევნია.

– ახლა გასაგებია, – ვამბობ მე. ყველაფერი შეიცვალა. ახლა ვიცი, რა იარაღი მაქვს მის წინააღმდეგ. მე შემიძლია სიკვდილი და მის წინააღმდეგ მისივე სინდისის ქენჯნის გამოყენება. როგორც იქნა.

– მითხარი, რა გინდა, – მეუბნება ის, ისევ ისე გულგრილად, თითქოს ფულის გადარიცხვაზე ვლაპარაკობდეთ, თანაც – სიგარეტისა თუ კანფეტის საყიდელი ხურდის.

– ხელის ლოსიონის გარდა, არა? – ვამბობ მე.

– ხელის ლოსიონის გარდა, – მიდასტურებს.

– მინდა... – ვჩუმდები, – მინდა, ვიცოდე, – ჩემი ხმა გაუბედავად ჟღერს, ნათქვამი – ლამის სულელურად. დაუფიქრებლად ვლაპარაკობ.

– რა გინდა, იცოდე? – მეკითხება ის.

– რაც ყველაზე საინტერესოა, – ვამბობ მე, მაგრამ არა, ასე ვერ გამიგებს: – რა ხდება ამ ქვეყანაში?

XI -

ღამე

30

ღამე წვება. თუ ჩამოწვა. რატომ წვება ღამე, იმის ნაცვლად, რომ დადგეს დღესავით, განთიადივით? თუკი მზის ჩასვლისას აღმოსავლეთს გახედავ, დაინახავ, რომ ღამე კი არ წვება, დგება; სიბნელე წამოიმართება ცაზე, ჰორიზონტიდან გვიახლოვდება, თითქოს ღრუბლებიდან შავმა მზემ გამოანათაო. თითქოს უხილავ კოცონს კვამლი ავარდა, ჰორიზონტის ხაზს ქვემოთ მიმალულ კოცონს, ტყეში გაჩენილ ხანძარს, აგიზგიზებულ ქალაქს. ალბათ, ღამე იმიტომაც წვება, რომ მძიმეა, სქელ ფარდასავით ეფარება თვალებს, შალის პლედივით. ნეტავ, ბნელში უკეთესად ვხედავდე.

ჰოდა, ღამე ჩამოწვა. ლოდივით დამაწვა მხრებზე. ჰაერი არ იძვრის. ოდნავ შეღებულ ფანჯარასთან ვზივარ, ფარდები გადაწეული მაქვს. გარეთ არავინ ჩანს და ამიტომაც შუა ზაფხულშიც კი გრძელსახელოიან ღამის პერანგში გამოწყობილს კდემამოსილება არ მომეთხოვება. ამათ რომ ჰკითხო, ეს პერანგი გვიცავს, საკუთარი ხორცის ცდუნებას გვარიდებს, შიშველი მკვლავებით ჩვენსავე სხეულებს რომ არ მოვეხვიოთ. პროჟექტორივით ჩახჩახა მთვარის შუქზეაარავინ ჩანს. ჰაერში სხეულების სიმხურვალესავით იფრქვევა ყვავილთა სურნელი, ისეთი მძაფრი, რომ ალბათ კოკრები ღამეც გაშლილი აქვთ. ლამის თვალდათვალ ვხედავ წითელ ელვარებას, შუადღის ხვატში გზატკეცილზე ავარდნილი მტვერივით ზემოთ რომ მოიწევს.

ქვემოთ, გაზონების სიახლოვეს, ტირიფისქვეშა სიბნელიდან ვიღაც გამოდის და სინათლისკენ მიდის. საკუთარი გრძელი ჩრდილი მჭიდროდ ეკვრის ქუსლებზე. ნიკია თუ სხვა ვინმე, უმნიშვნელო და უინტერესო? ის ჩერდება, ჩემს ფანჯარას ამოჰყურებს და მე მისი სახის თეთრ ოვალს ვხედავ. ნიკია. ერთმანეთს შევცქერით. მას არ უჭირავს ვარდი, რომ მესროლოს, არც ბარბითი უპყრია ხელთ. მაგრამ მას ჩემი სურვილი კლავს.

რომელსაც მე ვერ შევიწყნარებ. ფარდას ვწევ, ის ჩვენ შორის ეშვება, ჩემს სახეს ფარავს, ნიკი კი მიდის, კუთხეს ეფარება, უჩინარდება.

მეთაურმა სიმართლე თქვა. ერთს პლუს ერთი პლუს ერთი პლუს ერთი არ უდრის ოთხს. ყოველი ერთი უნიკალურია და მას სხვას ვერ მიუმატებ, სხვას ვერ გაუპირწონებ, ვერ შეუნაცვლებ. ვერც ნიკს ლუკს და ვერც ლუკს – ნიკს. მათემატიკა აქ უძლურია.

შეიძლება საკუთარ გრძნობებს ვერ ერეოდე, მაგრამ თავშეკავება უნდა შეგეძლოს ადამიანს, თქვა ერთხელ მოირამ.

მართალია.

მთავარი გარემოა და პირობები. თუ მთავარია, კაცი ყველაფერს ღირსეულად დაუხვდეს? სულერთია.

ჩვენი გამგზავრების წინა ღამე. მე უკანასკნელად დავბორიალებდი ოთახებში. არაფერი ჩაგვილაგებია; ბევრს ვერაფერს წავიღებდით თან და თანაც, სახლის ზედმეტად არევას ვერიდებოდით. ჰოდა, უბრალოდ დავბორიალებდი, უთავბოლოდ, ნივთებს ვათვალიერებდი, მათ განლაგებას ოთახებში, გარემოს, რომელიც ჩვენთვის შევქმენით. მეგონა, თუ დიდხანს ვუყურებდი, მერე, როცა მომინდებოდა, მაშინ წარმომიდგებოდა თვალწინ.

ლუკს სასტუმრო ოთახში გადავაწყდი. მან ხელები შემომხვია. ორივე უბედურად ვგრძნობდით თავს და რა ვიცოდით, რომ მაშინ ჯერ ისევ ძალიან ბედნიერები ვიყავით! ჯერ ეს მაინც გვქონდა: ერთმანეთის ხელები, ერთმანეთის წელზე შემოხვეული.

კატა, თქვა მან.

რა კატა? ჩავილაპარაკე მის შალის სვიტრში ცხვირჩარგულმა.

აქ ვერ დავტოვებთ.

კატა არც გაგვხსენებია. არც ერთს. გადაწყვეტილება უცებ მივიღეთ და სასწრაფოდ დავიწყეთ მისი აღსრულება. ეტყობა, მეგონა, რომ კატა თან მიგვყავდა, მაგრამ არა! ვის მიჰყავს კატა საზღვარგარეთ ერთდღიანი გასეირნებისას?

გარეთ რომ გავუშვათ? ვკითხე ლუკს, გავიყვანოთ და დავტოვოთ.

მაგრამ კართან იტრიალებდა და იკრუტუნებდა. ვიღაც მაინც შეამჩნევდა, რომ შინ არ ვიყავით.

ვინმეს რომ ვაჩუქოთ? ვთქვი მერე. რომელიმე მეზობელს? და მაშინვე მივხვდი საკუთარი ნათქვამის უაზრობას.

მაგ საქმეს მე მივხედავ, თქვა ლუკმა, რადგან „საქმედ“ მოიხსენია და არა „კატად“, მივხვდი, მოკვლას უპირებდა. აი, რა უნდა ქნა, როცა მკვლელობის ჩადენას აპირებ, გავიფიქრე მე, სულიერი არსება უცებ უსულოდ უნდა აქციო. ჯერ გონებაში უნდა გადაწყვიტო, მერე კი ნაფიქრს ხორცი შეასხა. აი, თურმე როგორ იქცევიან ისინი. ამას მაშინღა მივხვდი.

ლუკმა იპოვა კატა, რომელიც საწოლის ქვეშ ემალებოდა – ისინი ხომ ყოველთვის ყველაფერს გრძნობენ – და გარაჟში წაიყვანა. არ ვიცი, რა უქნა, არ მიკითხავს. სასტუმრო ოთახში ვიჯექი, მუხლებზე ხელებდაწყობილი. ალბათ, უნდა გავყოლოდი და მასთან ერთად გამეზიარებინა მკვლელობის ცოდვა, ან მერე მაინც გამომეკითხა ამბავი; მხოლოდ მისთვის არ უნდა შემეტოვებინა ტვირთი, რადგან ამ მცირე მსხვერპლშეწირვის, სიყვარულისთვის ჩადენილი ამ მკვლელობის მიზეზი მეც ვიყავი.

აი, რას გაიძულებენ ესენი. გაიძულებენ, მკვლელობა ჩაიდინო, თუნდაც გონებაში.

უაზრო მკვლელობა იყო, რადგან ამას შედეგი მაინც არ მოჰყოლია. არ ვიცი, ვინ დაგვაბეზღა: შეიძლება მეზობელმა, რომელმაც დაინახა, როგორ გამოგვყავდა მანქანა დილით მოასფალტებულ ბილიკზე, ალბათ, რაღაცას ადრევე ეჭვობდა და ამისთვის ვიღაცის ოქროს ვარსკვლავით დასაჯილდოებელთა სიაში მოხვდა. შეიძლება ის კაციც იყო, ვინც პასპორტები დაგვიმზადა – რატომაც არა, ორჯერ აიღებდა გასამრჯელოს. შეიძლება პასპორტის გამყალბებელი სულაც ამათიაგენტი იყო. „ღვთის თვალი“ მთელს სამყაროს სწვდება.

ამიტომაც იყვნენ ისინი მზად ჩვენს დასახვედრად, გველოდნენ. ღალატის წუთი ყველაზე აუტანელია, წუთი, როცა ეჭვი აღარ გეპარება, რომ გაგცეს, რომ ვიღაცამ, ადამიანმა, ასე დაუნდობლად

გაგწირა.

თითქოს ბოლო სართულზე ლიფტში შეხვედი და ვიღაცამ ბაგირი გადაგიჭრა. ვარდები, ვარდები და არ იცი, როდის დაეცემი.

მედიუმობას ვცდილობ, მინდა გამოვიხმო ჩემიანთა სულები იქიდან, სადაც ახლა არიან. მინდა გავიხსენო, როგორები იყვნენ. ვცდილობ, სულ თვალწინ მედგნენ; მათი სახეები ალბომში ჩაკრულ სურათებს ჰგავს. მაგრამ მათ არ სურთ გაშეშება, მოძრაობენ; ღიმილი გაიელვებს და გაქრება, ნაკვთები ებრიცებათ, თითქოს ქაღალდი იწვის და სიშავეში ინთქმებიან. გაელვება, ჰაერის ოდნავი შერხევა, ნათება, რიჟრაჟი, ელექტრონების ცეკვა და კვლავ სახე, სახეები. მაგრამ ისინი უჩინარდებიან, მათკენ გაწვდილ ხელებს შორის მისხლტებიან ჩემი განთიადის ლანდები. თავიანთ სამყოფელში ბრუნდებიან. მინდა ვუთხრა: დარჩით ჩემთან, მაგრამ ვიცი, არ დარჩებიან.

ჩემი ბრალია. ძალიან ბევრ რამეს ვივიწყებ.

*

ამაღამ ვილოცებ.

ოღონდ არა საწოლის ფეხთან დაჩოქილი, სპორტდარბაზის იატაკის ხეშეშ ფიცრებზე დამხობილი, როგორც მაშინ, როცა ორმაგ კართან დეიდა ელიზაბეთი დგას, გულხელდაკრეფილი, ქამარზე ელექტროსახრე უქანავებს, დეიდა ლიდია კი დაჩოქილი ღამისპერანგა ქალების რიგებს შორის დადის; ხანდახან ოდნავ წაგვკრავს ხის სახაზავს ზურგზე, ფეხებზე, საჯდომზე, მხრებზე; მსუბუქად გვიბიძგებს, თუკი წელში მოვიხრებით ანდა მოვეშვებით. მას სურდა, თავები წესისამებრ დაგვეხარა, ტერფები შეგვეტყუპებინა და გაგვემართა, იდაყვები ტანთან ახლოს გვჭეროდა. მისი მოთხოვნები ნაწილობრივ ესთეტიზმით იყო ნაკარნახევი: მოსწონდა, როცა ანგლო-საქსურ საფლავებზე ამოკვეთილ ბარელიეფებს ვახსენებდით ანდა უმანკოების ღამის პერანგებში მომწყვდეულები საშობაო ბარათზე მიხატულ ანგელოზებს ვემსგავსებოდით. მაგრამ მან ასევე კარგად უწყოდა, რაოდენ სასარგებლო იყო ხორციელი ტკივილი სულისათვის.

სუსტი ტკივილიც კი გონებას წმენდს, ამბობდა იგი.

ჩვენ ღმერთს დაცარიელებას ვთხოვდით, რათა მერე აღვსების ღირსად ვქცეულიყავით: სათნოებით, სიყვარულით, თავგანწირვით, სპერმითა და ჩვილებით აღვსების ღირსად.

ო, ღმერთო, რომელიცა ხარ ცათა შინა, მადლობელი ვარ, რომ კაცად არ დამბადე.

ო, ღმერთო, მაქციე სუფთა დაფად. გაანაყოფიერე ჩემი საშო. დააკნინე ხორცი ჩემი, რათა შევძლო და გავმრავლდე, აღავსე იგი... ზოგი რელიგიურ ექსტაზში ვარდებოდა, დამცირებით ნეტარებდა. ზოგი ოხრავდა და ქვითინებდა.

ქვეყნის დასაცინად ნუ გაიხდი თავს, ჯენინ, ეუბნებოდა დეიდა ლიდია.

იქვე ვლოცულობ, სადაც ვზივარ, ფანჯარასთან და ფარდებს შორის დაცარიელებულ ბაღს გადავყურებ. თვალსაც არ ვხუჭავ. გარეთაც და ჩემს გონებაშიც ერთნაირი სიბნელეა. ან ერთნაირი სინათლე.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, სადღაც, შიგნით.

კარგი იქნება, ვიცოდე, რა გქვია. ნამდვილ სახელს ვგულისხმობ. მაგრამ არა უშავს, შენობით მოგმართავ.

კარგი იქნება, ვიცოდე, რა არის ნება შენი, მაგრამ, რაც უნდა იყოს, გთხოვ, დამეხმარე, რომ გავუძლო. თუმცა, იქნებ რაც მჭირს, სულაც არ არის შენი ნამოქმედარი. არ მჯერა, რომ შენ დაატრიალე ის, რაც ახლა ჩემს თავს ხდება.

პური არსობისა საკმარისად მაქვს, ამაზე ნუ მოცდები. ლუკმის უქონლობა არ მაწუხებს, ეგ არის მხოლოდ, მეშინია, ყელზე დამდგარმა ლუკმამ არ დამახრჩოს.

აი, მიტევებამდეც მივედით. ნურც ჩემს თანანადებთა მიტევებაზე მოცდები. უფრო მნიშვნელოვანი საქმეც ბევრი გაქვს. მაგალითად: კვლავ დაიფარე ჩემები, თუ აქამდე მოაღწევინე; არ დატანჯო, თუკი სიკვდილი უწერიათ, სწრაფად დახოცე. იქნებ სამოთხეც შემოღობო მათთვის. შენ ხომ ამისთვის გვჭირდები, თორემ ჯოჯოხეთს როგორმე

თვითონაც მოვიწყობთ.

ალბათ, ახლა უნდა ვთქვა, რომ მივუტევებ თანამდებთა მათ ჩემთა ყველაფერს, რაც დამიშავეს და რასაც ახლა მიშავებენ. ვეცდები, მაგრამ გამიჭირდება. შემდეგ ცდუნებები მოდის. ცენტრში ჭამისა და ძილის გარდა, ყველაფერს საცდურს უწოდებდნენ. ცოდნაც ცოდვა იყო.

რაც არ გინახავს, ვერც გაცდუნებს, ამბობდა ხოლმე დეიდა ლიდია.

შეიძლება მე არც მინდა ვიცოდე, რა ხდება სინამდვილეში. ეგებ ჯობსკიდეც, არ ვიცოდე. ეგებ ვერც გავუძლო ამ ცოდნას. ადამიანი ხომ პირველად სწორედ უმანკოებიდან შემეცნებამდე მიმავალ გზაზე დაეცა.

ძალიან ხშირად ვფიქრობ ჭაღზე, რომელიც ამ ოთახიდან გააქრეს. თუმცა, ყულფზე ჩამოკიდება გარდერობშიც შეიძლება. უკვე ამაზეც ვიფიქრე. საიმედოდ ჩამოეკიდები და ისღა დაგრჩება, ფართხალი არ დაიწყო.

გვიხსენ ბოროტისაგან.

ჰო, მერე სუფევა, ძალი და დიდება მოდის. ახლა ძნელია, ეს ყველაფერი ირწმუნო, მაგრამ მაინც ვცდი. „სასოებით“ – როგორც იმ საფლავის ქვებზე წერია.

ალბათ, გწყინს, რომ ვმკრეხელობ, მაგრამ არა უშავს, მიჩვეული იქნები.

შენს ადგილას, ეს ყველაფერი ყელში ამომივიდოდა, გული ამერეოდა. ალბათ, ამიტომაც არ ვარ შენს ადგილას.

ცოტა დამაჯერებლობა აკლია შენთან ჩემს საუბარს. თითქოს ცარიელ კედელს ვესაუბრები. ნეტავ მიპასუხებდე. მე ხომ სულ მარტოვარ, ღმერთო.

სრულიად მარტო ტელეფონს ვნატრობ. თუნდაც გამორთულს, თუმცა, რომც მუშაობდეს, ვის უნდა დავურეკო?

ო, ღმერთო. სულაც არ მეხუმრება. ო, ღმერთო, ო, ღმერთო, რიღასთვის უნდა ვიცოცხლო?

XII -

იეზებელთან

31

ყოველღამ იმ იმედით მივდივარ დასაძინებლად, რომ დილით ჩემს სახლში გავიღვიძებ და ყველაფერი ძველებურად იქნება.

ეს იმედი ამ დილითაც გამიცრუვდა.

ტანსაცმელს ვიცვამ, საზაფხულოს, ჯერ ისევ ზაფხულია; თითქოს ამ სეზონში ჩავრჩით. ივლისია, ჩახუთული დღეები და საუნის ღამეები, თვალის მოხუჭვაც კი ჭირს. გაფაციცებით ვადევნებ თვალყურს დროის დინებას. კედელზე ხომ არ დამეწყო ჯოხების ამოკაწვრა კვირის ყოველი ახალი დღის აღსანიშნავად? როცა შვიდი დაგროვდებოდა, გადავხაზავდი და ხელახლა დავიწყებდი. მაგრამ რა აზრი აქვს, მე სასჯელმისჯილი პატიმარი არ ვარ; არ არსებობს დათქმული დრო, რომელსაც აქ გავატარებ და გავთავისუფლდები. მაგრამ მაინც უნდა ვიკითხო, რა დღეა. გუშინ ოთხი ივლისი იყო, უწინდელი დამოუკიდებლობის დღე, რომელიც ამათ გააუქმეს. პირველ სექტემბერს კი აღნიშნავენ შრომის დღეს, ოღონდ არა იმ შრომისა და ოფლისღვრისა, ქალები მშობიარობისას რომ განიცდიან.

მაგრამ მე მაინც მთვარის მიხედვით ვითვლი დროს. მთვარეული ვარ და არა – მზიური.

ვიხრები, რომ ჩემი წითელი ფეხსაცმელი შევიკრა; ზაფხულობით ისინი უფრო მსუბუქია, ფარულად დასერილიც კი აქვს, რომ ჰაერმა იმოძრაოს, თუმცა, სანდლობამდე მაინც ბევრი უკლია. წელში მოხრა დიდ ძალისხმევას ითხოვს; მიუხედავად იმისა, რომ ვვარჯიშობ, ვგრძნობ, რომ ჩემი სხეული ნელ-ნელა ღრჭიალს იწყებს და მალე ყველაფერზე უარს იტყვის. ადრე მეგონა, რომ მხოლოდ ღრმა სიბერე მაიძულებდა, ასე დამეკარგა ქალურობა. სიარულითაც კი ბებრუხანასავით დავდივარ: მოკაკვული, ხერხემალი კითხვის ნიშანივით მომღუნვია, ერთიანად კალციუმგამოცლილი ძვლები კირქვასავით დამფორეჯებია. როდესაც უფრო ახალგაზრდა ვიყავი და მოხუცებულობის წარმოდგენას ვცდილობდი, ვფიქრობდი, ალბათ, როცა ცოტა დროღა გაქვს, უფრო მეტად აფასებ ბევრ

რამეს-მეთქი. დამავიწყდა, რომ სიბერეს ძალ-ღონის გამოცლაც მოსდევს. ზოგჯერ ახლაც ვაფასებ ყველაფერს – საუზმეზე მორთმეულ კვერცხს, ყვავილებს, მაგრამ მერე ვფიქრობ, რომ სენტიმენტალიზმი მიტევს, ჩემს ტვინში პასტელის ფერების გამები ენაცვლება ერთმანეთს, როგორც ცნობილ კალიფორნიულ ღია ბარათებზე, მზის ჩასვლის წარმტაცი სურათები რომ ეხატა. პრიალა გულები.

მეშინია, თვალისჩინი არ დავკარგო.

მინდა, ლუკი აქ იყოს, ჩემს საძინებელში, ვიდრე ვიცვამ, რომ ერთი გემრიელად ვეჩხუბო. ხომ სისულელეა, მაგრამ ახლა ყველაზე მეტად ეს მინდა. კამათი იმაზე, ვინ შეაწყობს თეფშებს ჭურჭლის სარეცხ მანქანაში, რომელი დაახარისხებს სარეცხს, გახეხს უნიტაზს; კამათი მრავალთაგან ერთ-ერთ ყოველდღიურ უმნიშვნელო წვრილმანზე. იმაზეც კი ვკამათობდით ხოლმე, რა იყო უმნიშვნელო და რა – მნიშვნელოვანი. ღმერთო, როგორი ფუფუნება იქნებოდა ეს ახლა. ისე, იშვიათად თუ შევებმებოდით ერთმანეთს. ამ დღეებში სულ თითებზე ჩამოვთვალე ჩვენი მაშინდელი ჩხუბებისა და მერე შერიგებების ყოველი დეტალი.

სკამზე ვზივარ, ჭერის გვირგვინი გაყინული შარავანდედივით, ნულივით მადგას თავზე. როგორც კოსმოსში ვარსკვლავის აფეთქების შედეგად გაჩენილი ხვრელი. როგორც წყლის ზედაპირზე კენჭის ჩავარდნის შემდეგ გაჩენილი წრე. ირგვლივ ყველაფერი თეთრია და წრეზე მოძრაობს. ველოდები, როდის გადაგორდება ეს დღეც, დაუნდობელი დროის ბრძანებით როდის შემოუვლის დედამიწა კიდევ ერთ წრეს. გეომეტრიული დღეები ბრუნავს და ბრუნავს, მშვიდად, უდავიდარაბოდ. ზედა ტუჩზე უკვე გამომჟონა ოფლმა. ველი, როდის მომიტანენ ამ ოთახივით ნელთბილ, გულზე მწვანე აპკგადაკრულსა და გოგირდისგემოდაკრულ ყელში ამოსულ კვერცხს.

დღეს, მოგვიანებით, გლენისასთან ერთად საყიდლებზე სიარულისას:

ჩვეულებისამებრ, ეკლესიაში მოვდივართ და საფლავებს ვუყურებთ. მერე კედელთან ჩავივლით. დღეს მხოლოდ ორი ახალი გვამია:

ერთი კათოლიკეა, თუმცა არა მღვდელი, გულზე ამოყირავებული ჯვარი ჰკიდია, მეორე რომელიღაც სექტის წევრია, ვერ ვხვდები, რომლის. გულზე ჩამოკიდებულ პლაკატზე მხოლოდ წითელი „ი“ აწერია. ეს „იუდეველს“ არ ნიშნავს, იუდეველს ყვითელი ვარსკვლავით მონიშნავდნენ. თანაც ებრაელებს ხშირად ვერ წააწყდებით ამ კედელზე, ისინი „იაკობის ძეებად“ სცნეს და არჩევის უფლება მისცეს: შეეძლოთ, მონათლულიყვნენ ან ისრაელში წასულიყვნენ. მათი უმეტესობა, თუკი ახალ ამბებს დავუჯერებთ, გაემგზავრა. ტელევიზორში ვნახე, როგორ სხდებოდნენ გემში; გემბანის მოაჯირზე გადმოყუდებულებს შავი პალტოები ეცვათ, ქუდები ეხურათ და წვერი გრძლად ჰქონდათ მოშვებული. მათი მეტისმეტად ძველმოდური იერი მიგახვედრებდათ, რომ ყველაფერი ეღონათ, რათა ებრაელებს დამსგავსებოდნენ; ქალებს თავშლები ჰქონდათ წაკრული, იღიმებოდნენ და ხელს იქნევდნენ, ცოტა არ იყოს, უხერხულად, თითქოს პოზირებდნენ; გვაჩვენეს კადრები, როგორ სხდებოდნენ უფრო მდიდარი ებრაელები თვითმფრინავში. გლენისამ მითხრა, რომ ზოგმა თავი იუდეველად გაასაღა და ასე შეძლო აქაურობისათვის თავის დაღწევა, თუმცა, ეს იოლი არყოფილა, რადგან ისინი სპეციალურ გამოცდებს ატარებდნენ, თან – უფრო და უფრო ამკაცრებდნენ.

მაგრამ მხოლოდ ებრაელობისათვის არავინ ჩამოგახრჩობდა, ჩამოგახრჩობდნენ, თუკი პრეტენზიული ებრაელი იყავი და მათ შემოთავაზებულ არჩევანს არ სჯერდებოდი, ან თუკი ყალბად მოინათლებოდი. ესეც აჩვენეს ტელევიზიით: ღამეული რეიდები, როდესაც ადამიანებს ბალიშქვეშ საიდუმლოდ გადამალულ იუდაისტურ სიწმინდეებს – თორას, თალმუდსა და დავითის ვარსკვლავს უფრიალებდნენ.მათი მფლობელები – პირმოქუფრულები, მოუნანიებელნი – „თვალებს“ საძინებლის კედლებთან აეყუდებინათ, კადრს მიღმა ტელეწამყვანის მწუხარე ხმა კი გვაუწყებდა, როგორი ვერაგები და უმადურები იყვნენ ისინი.

ასე რომ, ეს „ი“ იუდეველს არ ნიშნავს. მაშ, ვის? ეგებ „იეჰოვას მოწმეს“? „იეზუიტს“? მაგრამ ახლა სულერთია, ვისაც უნდა აღნიშნავდეს, იგი მკვდარია.

კედლის დათვალიერების ყოველდღიური რიტუალის შემდეგ გზას ვაგრძელებთ, სადმე გაშლილი სივრცისაკენ, სადაც საუბარს

შევძლებთ. თუკი შეიძლება საუბარი ეწოდოს თეთრი თავსაბურავების ძაბრებს შორის გამოტყორცნილ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩურჩულს. ეს უფრო ტელეგრამას ჰგავს, ვერბალურ სემაფორს. ამპუტირებულ მეტყველებას.

დიდხანს ერთ ადგილზე დგომა არ შეიძლება. შეიძლება უსაქმო ყიალისთვის დაგვაპატიმრონ.

დღეს „სულის პალიმფსესტების“ საწინააღმდეგო მიმართულებით მივდივართ, რომელიღაც ღია პარკისაკენ, სადაც ძველებური დიდი შენობები დგას, გვიანი ვიქტორიანული პერიოდის მდიდრული, ვიტრაჟებიანი სახლები. ადრე აქაურობას „მემორიალურ დარბაზს“ ვეძახდით, თუმცა, დღემდე არ ვიცი, ვისი მემორიალი იყო. იქნებოდა ვინმე დახოცილებისა.

ერთხელ მოირამ მითხრა, რომ უნივერსიტეტის დაარსების პირველ წლებში აქ სტუდენტების სასადილო იყო და თუ ქალი ფეხს შედგამდა, სტუდენტები ძვლებს ესროდნენ ხოლმე. რატომ? ვკითხე მე. რაც დრო გადიოდა, მოირა სულ უფრო მეტ ამგვარ ამბავს იგონებდა, მე კი დიდად არ მომწონდა წარსულისთვის ამდენი ლაფის სროლა.

იქაურობას რომ მოშორებოდა, თქვა მოირამ.

მე კი მგონია, იმიტომ, რატომაც დღეს სპილოებს ესვრიან არაქისს.

მოირამ გაიცინა. სიცილისათვის მუდამ მზად იყო.

ჰო, როგორც ეგზოტიკურ ურჩხულებს, თქვა მან.

ჩვენ ვდგავართ და მივჩერებივართ ამ შენობას. ეკლესიას ჰგავს, ტაძარს.

– როგორც ვიცი, აქ თვალები მართავენ ხოლმე ნადიმებს, – ამბობს გლენისა.

– ვინ გითხრა? – ვეკითხები მე. ირგვლივ არავინ ჩანს, შეგვიძლია, თავისუფლად ვილაპარაკოთ, მაგრამ ჩვენ მაინც ვჩურჩულებთ.

– ჩემმა საიდუმლო წყარომ, – მპასუხობს ის. მერე ყოვნდება და გვერდულად მიყურებს. თავს რომ ატიალებს, მისი თავსაბურავის სითეთრე მებლანდება თვალებში, – კოდური სიტყვაც გვაქვს.

– კოდური სიტყვა? – ვეკითხები მე, – რისთვის?

– ასე შეგიძლია, გაარკვიო, ვინ არის შენიანი და ვინ – არა.

რაში გამომადგება ამათი კოდის ცოდნა, მაგრამ მაინც ვეკითხები:

– რა სიტყვაა?

– მაისის დღე, – ამბობს ის, – ერთხელ შენზეც გამოვცადე.

– მაისის დღე, – ვიმეორებ. მახსენდება.

M’aidez

.

– თუ აუცილებელი არ იქნება, ნუ გამოიყენებ, – მაფრთხილებს გლენისა, – არ არის საჭირო, ქსელის წევრებმა ერთმანეთზე ბევრი რამ იცოდნენ. რომ დაგვიჭირონ, ბევრი არაფერი უნდა გვქონდეს სათქმელი.

ძალიან მიჭირს ამ ნაჩურჩულევის, ამ გულის გადაშლის დაჯერება, მაგრამ იმ წუთას მაინც ვიჯერებ. თუმცა, მერე, მოგვიანებით ეს ყველაფერი არარეალურად, ლამის ბავშვურ გასართობად მეჩვენება; რატომღაც გოგონების კლუბებისა თუ სკოლის პერიოდის საიდუმლოებებს მაგონებს, თუ იმ ჯაშუშურ ნოველებს, რომლებსაც დასვენების დღეებში ვკითხულობდი, ოღონდ საშინაო დავალება არ მომემზადებინა; ან ღამის სატელევიზიო სერიალებს. კოდური სიტყვები, ამოუხსნელი საიდუმლოებები, იდუმალებით მოცული პიროვნებები, საეჭვო ურთიერთობები – ეს ყველაფერი სულაც არ ჰგავს სინამდვილეს, ეს ჩემი ილუზიაა, ნაბახუსევი, რომელიც ძველ ცხოვრებაში განცდილი რეალობიდან გამომყვა.

და ეს ქსელები. „ქსელების გაბმა“ – დედაჩემის ერთ-ერთი ძველი ფრაზა, ძველი დროის ობმოდებული ჟარგონი. სამოც წელს

გადაცილებული იყო და მაინც რაღაც ქსელების გაბმაზე ლაპარაკობდა, რაც, როგორც ბოლოს მივხვდი, ვიღაც ქალთან ერთად სადილობა იყო მხოლოდ.

მე და გლენისა ქუჩის კუთხეში ვეყრებით ერთმანეთს.

– მომავალ შეხვედრამდე, – მეუბნება ის და ტროტუარს მიუყვება, მე კი სახლს ვუახლოვდები, სადაც გვერდზე ქუდმოქცეული ნიკი მხვდება; ზედაც არ მიყურებს, მაგრამ როგორც ჩანს, სწორედ იმისთვის იყო აქ დაყუდებული, რომ ჩემთვის ეს უსიტყვო შეტყობინება გადმოეცა. როგორც კი მიხვდა, რომ დავინახე, უკანასკნელად გადაუსვა „ქარბორბალას“ ზამშის ნაჭერი და სასწრაფოდ მიიხურა გარაჟის კარი.

გამწვანებულ გაზონებს შორის მოხრეშილ ბილიკს მივუყვები. სერენა ჯოი ტირიფის ქვეშ ზის, თავის სკამზე, იდაყვი ყავარჯენზე ჩამოუყრდნია. ახალი,გრილი ბამბის კაბა აცვია. მისი სამოსი ცისფერია, აკვარელის მსგავსი, ჩემს კაბას არ ჰგავს, წითელს, მყვირალას, სიცხეს რომ ისრუტავს და ვარვარებს. ჩემკენ პროფილით ზის, ქსოვს. როგორ ჰკიდებს ამ სიცხეში შალს ხელს? თუმცა, მისი კანი, ალბათ, უგრძნობია, დამდუღრულივით.

მე თვალებს ვხრი და უჩუმრად ჩავლას ვცდილობ, იმედი მაქვს, ვერ შემამჩნევს, როგორც ყოველთვის, თვალს ამარიდებს. მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვანაირად ხდება.

– ფრედისა! – მეძახის ის.

მე ვჩერდები, ყურს არ ვუჯერებ.

– ჰო, შენ.

ვტრიალდები და დაბნეულ მზერას ვაპყრობ.

– აქ მოდი, საქმე მაქვს შენთან.

მე ბალახზე მივაბიჯებ და მის წინთავდახრილი ვჩერდები.

– დაჯექი, – მეუბნება, – აი, აქ, ბალიშზე. ძაფი დამიჭირე, – მას

სიგარეტი აქვს, გვერდით, ბალახზე საფერფლე უდევს და კიდევ ჭიქით რაღაც, ჩაი თუ ყავა, – რა დამპალი ამინდია, ცოტა სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა არ გაწყენს.

მე ვჯდები, ნავაჭრით სავსე კალათას გვერდით ვდებ – ისევ მარწყვი, ისევ ქათამი – და მესმის, რომ სერენა იგინება – ეს რაღაც ახალია. ძაფის გაბმას აწეულ ხელებზე მაცვამს და მის გორგლად დახვევას იწყებს. თითქოს საბელგამობმული ვარ, ბორკილდადებული; უფრო სწორად, აბლაბუდაში გაბმული. ძაფი ნაცრისფერია, ჰაერიდან ნესტი შეუწოვია და ბავშვის დამძიმებულ საბანს ჰგავს. წვიმაში მოყოლილი ცხვრის ძლივსშესამჩნევი სუნი ასდის. როგორც იქნა, ჩემს ხელებსაც ეღირსა დატენიანება.

სერენა გორგალს ახვევს. ტუჩის კუთხეში ახრჩოლებული სიგარეტი მოუქცევია, რომლიდანაც მაცდუნებლად ადის კვამლი. დინჯად ახვევს გორგალს, დინჯად და გაჭირვებით – ხელები აღარ ემორჩილება, თუმცა არ ეპუება. შეიძლება მისთვის ქსოვა ნებისყოფის გამოწრთობის გზაა; შეიძლება სტკივა კიდეც ამ დროს. შეიძლება ექიმმაც კი გამოუწერა: დღეში ათი მწკრივი წაღმა, ათიც – უკუღმა. თუმცა, ის, ალბათ, მეტს ქსოვს. ახლა სხვა თვალით ვხედავ მარადმწვანე ხეებსა და გეომეტრიულ გოგო-ბიჭებს – მისი სიჯიუტის ნაყოფს, თანაც, არცთუ უხეიროს.

დედაჩემს ქსოვა და ასეთი რაღაცები არ ეხერხებოდა, მაგრამ როდესაც ქიმწმენდიდან ტანსაცმელს – თავის საგარეო ბლუზებსა და ზამთრის პალტოებს – მოიტანდა, ზედ შებმულ ინგლისურ ქინძისთავებს ყოველთვის ინახავდა, ერთმანეთზე გრძელ ჯაჭვად ასხმულს. მერე ამ ასხმას სადმე მიამაგრებდა – თავის საწოლზე, ბალიშზე, სკამის საზურგეზე ანდა სამზარეულოს ხელთათმანებზე – რომ არ დაკარგვოდა. მიამაგრებდა და მაშინვე დაივიწყებდა. მერე მე გადავაწყდებოდი ხოლმე სახლში თუ სახლებში, ხან – სად, ხან – სად, მისი ყოფის ნაკვალევს, მივიწყებული განზრახვის ნაშთს, საგზაო ნიშანს იმ გზის თავში, რომელსაც არსაით მიჰყავდი; ოჯახური სიმყუდროვის ნამუსრევს.

– აბა, – ამბობს სერენა. ძაფის დახვევას თავს ანებებს, თუმცა, ნართს ხელებიდან არ მაშორებს, პირიდან სიგარეტს იღებს და შორს ისვრის, – არაფერია ახალი?

ვიცი, რასაც გულისხმობს. არცთუ ისე ბევრია თემა, რომლებზეც ჩვენ სალაპარაკო გვაქვს; ერთმანეთთან მხოლოდ ეს ერთადერთი, იდუმალი და საორჭოფო საკითხი გვაკავშირებს.

– არა, – ვეუბნები, – არაფერი.

– ძალიან ცუდი, – ამბობს ის. ძნელია მისი წარმოდგენა ჩვილით ხელში. ალბათ, ბავშვს მართების იმედად მოუწევს ყოფნა. თუმცა, მას უნდა, რომ დავორსულდე, ბოლოს და ბოლოს დასრულდეს ეს ყველაფერი, მოიშოროს თავიდან ეს დანესტიანებული, ოფლით დამძიმებული საქსოვი, სხეულთა ეს სამკუთხედი თავისი ვერცხლისფერყვავილებიანი ბალდახინის ქვეშ. სიმშვიდე სურს, თორემ რატომ უნდა უნდოდეს, რომ გამიმართლოს.

– შენი დრო იწურება, – მეუბნება იგი. ეს შეკითხვა არ არის, ეს ფაქტია.

– დიახ, – გულგრილად ვუდასტურებ მე.

იგი ცდილობს, სიგარეტის ახალ ღერს მოუკიდოს, სანთებელას აწვალებს, ხელები არ ემორჩილება, მაგრამ ძალიან შევცდები, თუ დახმარებას შევთავაზებ, იგი ამას შეურაცხყოფად ჩათვლის. არ შეიძლება, მისი რომელიმე სისუსტე შევიმჩნიო.

– ალბათ, მას არ შეუძლია, – ამბობს ის.

ნეტავ, ვის გულისხმობს – მეთაურს თუ ღმერთს? თუ ღმერთი იგულისხმა, უნდა ეთქვა, არ სურსო. ასეა თუ ისე, მაინც მკრეხელობს. ბერწი მხოლოდ ქალი შეიძლება იყოს, მხოლოდ ქალის სხეული ზიანდება, ჯიუტად იხშობა.

– არა, – ვეუბნები, – ალბათ, არ შეუძლია.

მე ავცქერი. ის ჩამომყურებს. დიდი ხნის შემდეგ პირველად ვუმზერთ ერთმანეთს თვალებში. თუმცა, დიდი ხნის შემდეგ კი არა, სულაც პირველად, რაც ერთმანეთი გავიცანით. ეს წამი, პირქუში და უსახური, კარგა ხანს იწელება. ის ცდილობს, მიხვდეს, მყარად ვდგავარ თუ არა მიწაზე.

– შეიძლება, – ამბობს ის, ხელში სიგარეტი უჭირავს, რომელსაც ვერა და ვერ მოუკიდა, – ეგებ სხვა გზა გეცადა.

რომელი გზა, ოთხივ მხრივ ხსნილი რომ მაქვს?

– რომელი გზა? – ვეკითხები, ვცდილობ, საქმიანი გამომეტყველება მქონდეს.

– სხვა კაცი, – ამბობს ის.

– ხომ იცით, რომ ეს შეუძლებელია, – ვეუბნები თავშეკავებით, ვცდილობ,გაცეცხლება არ შემეტყოს, – ეს კანონით აკრძალულია. ალბათ, იცით, რაც არის სასჯელი.

– ვიცი, – მპასუხობს ის, ამისთვისაც მზად არის, ამაზეც იფიქრა, – რა თქმა უნდა, ამას ოფიციალურად ვერ იზამ. მაგრამ არც შეუძლებელია. ქალები ასეთ რამეს ხშირად აკეთებენ. ძალიან ხშირად.

– ექიმებს გულისხმობთ? – ვამბობ მე, მახსენდება თანაგრძნობით მოციმციმე თაფლისფერი თვალები, უხელთათმნო ხელი. ბოლოს რომ მივედი, ის ექიმი აღარ დამხვდა. როგორც ჩანს, გამოიჭირეს ან რომელიმე ქალმა დააბეზღა. ალბათ, დაამტკიცა კიდეც,ისე ვინ დაუჯერებდა.

– ასეც ხდება, – ამბობს ის, ლამის კეთილგანწყობით, მაგრამ მაინც თავშეკავებულად; თითქოს ფრჩხილის ლაქის ფერს ვარჩევდეთ.

– უორენისა მასე დაორსულდა. ცოლმა იცის, რასაკვირველია, – ის ჩუმდება, რომ მისი ნათქვამის შეფასება შევძლო:

– მე შემიძლია დაგეხმარო. ყველაფერი მოვაგვარო.

მეც ასე მგონია.

– ოღონდ არა ექიმთან, – ვეუბნები მე.

– არა, – მეთანხმება იგი. თუნდაც მხოლოდ ამ ერთ წუთს ჩვენ გულითადი მეგობრები ვართ, თითქოს სამზარეულოს მაგიდასთან

ვსხედვართ, რომელიმეს პაემნის ამბებს განვიხილავთ, სასიყვარულო ხრიკებისა და ფანდების ქალურ სტრატეგიას ვამუშავებთ.

– ისინი ხანდახან შანტაჟს აწყობენ. ჩვენ ექიმი არ გვჭირდება, უფრო სანდო ადამიანი გვყავს.

– ვინ? – ვამბობ მე.

– ნიკზე ვიფიქრე, – ამბობს ის ლამის დამტკბარი ხმით, – ის დიდი ხანია, ჩვენთან მუშაობს. ჩვენი ერთგულია. შემიძლია ეს საქმე მას მივანდო.

აი, თურმე ვინ უზიდავს შავი ბაზრის პატარ-პატარა ნუგბარს. ნეტავ, სამაგიეროდ რას ართმევს?

– მეთაური რას იტყვის? – ვამბობ მე.

– ოჰ, – ამბობს იგი მტკიცედ, თან დაძაბული მიყურებს, თითქოს პორტფელის შესაკრავმა გაიჩხაკუნაო:

– მას ნურაფერს ვეტყვით, კარგი?

ეს სიტყვები ჩვენ შორის ეკიდება, თითქოს ხილული, თითქოს ხელშესახები – მძიმე, უფორმო, მუქი; ეს შეთქმულებაა, ღალატია. მაგრამ ეტყობა, ძალიან უნდა ბავშვი.

– სახიფათოა, – ვამბობ მე, – ძალიან.

სასწორზე ჩემი სიცოცხლე დევს, მაგრამ ადრე თუ გვიან, მას მაინც დაემუქრება საფრთხე, სულერთია, ახლა სერენას დავთანხმდები თუ უარს ვეტყვი. ეს ორივემ ვიცით.

– შენ რას კარგავ, – მეუბნება იგი. მეც ასე ვფიქრობ.

– კარგი, – ვამბობ მე, – თანახმა ვარ.

იგი ჩემკენ იხრება:

– შეიძლება რაღაც გიშოვო, – ამბობს იგი, მორჩილებისათვის მაჯილდოებს, – რაღაც, რაც ძალიან გინდა, – ამატებს, ლამის პირფერულად.

– რა, მაინც? – ვეკითხები. არ ვიცი, ისეთი რა შეუძლია მომცეს, რაც მართლა მინდა.

– სურათი, – ამბობს ისე, თითქოს ბავშვს ნაყინს ანდა ზოოპარკში გასეირნებას ჰპირდებოდეს. მე ისევ ავცქერი, საგონებელში ჩავარდნილი.

– მისი, – ამატებს შემპარავად, – შენი გოგონასი. ოღონდ ვერ დაგპირდები.

ყელში ბურთი მეჩხირება. ესე იგი, მან იცის, სად წაიყვანეს ჩემი შვილი, სად ჰყავთ იგი ახლა. აქამდეც იცოდა. და ამ ნაბოზარმა არაფერი მითხრა, კრინტიც არ დაუძრავს. არც შესტყობია. ხის თოჯინაა, რკინის, უსულგულო. მაგრამ ახლა ამას ვერ ვეტყვი, თავს ვერ დავკარგავ, ოდნავაც ვერ მოვდუნდები. ამ იმედს ხელიდან ვერ გავუშვებ. ხმას ვერ ამოვიღებ.

ის მიღიმის, თანაც კეკლუცად. თვალს არ ვუჯერებ. ეს მისი ძველი, მანეკენური ხიბლის ნაშთია, სახეზე ერთი წამით რომ გამოუკრთა.

– ამ საქმისთვის მეტისმეტად ცხელა, არა? – მეუბნება ის და ხელებიდან ამ ხნის განმავლობაში შერჩენილ ნართს მაცლის. სიგარეტს, ამდენი ხანი რომ ელოლიავებოდა, პირიდან იღებს, უხერხულად მჩრის ხელში და ზედ ჩემს თითებს აჭდობს.

– სადმე ასანთი იშოვე, – მეუბნება, – სამზარეულოში იქნება, რიტას სთხოვე და მოგცემს ერთ ცალს. უთხარი, რომ მე დაგრთე ნება. ოღონდ მხოლოდ ერთხელ, – ამატებს ეშმაკურად, – არ მინდა, ჯანმრთელობა შეგერყეს.

32

რიტა სამზარეულოს მაგიდას უზის, მის წინ, შუშის თასში, ყინულის კუბები ტივტივებს. მათ გვერდით ბოლოკისგან გაკეთებული ვარდები და ტიტები ირხევა. რიტას წინ საჭრელი ფიცარი უდევს და სათლელი დანით ახალ ყვავილებს თლის. მისი დიდი ხელები უგრძნობლად, მექანიკურად მოძრაობენ. სხეული და სახე ერთიანად გაქვავებია. თითქოს მძინარე ატრიალებდეს დანას. თეთრად მომინანქრებულ ზედაპირზე გარეცხილი, მაგრამ დაუჭრელი ბოლოკების გორა დგას. პატარა აცტეკების გულები.

რომ შევედი, ერთი შემოხედვა ძლივს მაღირსა.

– უჰ, როგორც იქნა, მოიტანე! – ნავაჭრს ცხვირწინ ვუწყობ და თავის არწივისებურ მზერას ავლებს მათ.

– ასანთი ხომ არ გაქვს? – ვეკითხები. გასაკვირია, როგორ ახერხებს, წარბშეკრულმა სახეზე ყინული გადაიკრას და თავი პატარა, მათხოვარ ბავშვად მაგრძნობინოს, ჭირვეულ და გულისგამაწვრილებელ ღლაპად.

– ასანთი? – ამბობს ის, – რად გინდა ასანთი?

– იმან მითხრა, შეგიძლია აიღოო, – ვპასუხობ, ვცდილობ, სიგარეტზე კრინტი არ დავძრა.

– ვინ იმან? – არ მეშვება, თან წარშეკრული აგრძელებს ბოლოკის თლას.

– თუ გინდა, წადი და ჰკითხე, – ვეუბნები მე, – გარეთ არის, გაზონთან.

რიტა თვალებს ჭერს აპყრობს, თითქოს იქ უხილავ უფალს ეთათბირებაო. მერე ოხრავს, მძიმედ წამოიწევს და ხელებს უკმაყოფილო სახით იწმენდს წინსაფარზე, რათა შემახსენოს, როგორ ხათაბალად ვექეცი. განჯინასთან მიდის, ყოვნდება, ჯიბეში

გასაღებების ასხმულას ეძებს და განჯინისკარს აღებს.

– ზაფხულობით აქ ვინახავთ, – ამბობს თითქოს თავისთვის, – ასეთ ამინდში ბუხრის ანთებას არავინ მოგვთხოვს.

მახსენდება, რომ აპრილიდან მოყოლებული, გრილ ამინდებში კორა ანთებს ხოლმე ცეცხლს მოსასვენებელსა და სასადილო ოთახებში.

ასანთის ღერები ხისაა, მუყაოს ყუთში აწყვია, თითს მიაჭერ და გამოსრიალდება. ასეთებს ბავშვობაში ვაგროვებდი და მერე თოჯინას ტანსაცმლისათვის უჯრებად ვიყენებდი. ის ყუთს ხსნის და შიგ ხელს აფათურებს, ვერ გადაუწყვეტია, რომელი ღერი მომცეს.

– მისი ნებაა, – ბუტბუტებს იგი, – ვინ რას ეტყვის.

მერე თავის დიდ ხელს ქვემოთ აცურებს, ასანთს არჩევს და მაწოდებს.

– ცეცხლი არ გააჩინო, – მაფრთხილებს, – შენს ოთახში ფარდებს არ წაუკიდო, ისედაც ძალიან ცხელა.

– არა, – ვეუბნები მე, – მაგისთვის არ მჭირდება.

თავს არ იმცირებს, რომ მკითხოს, რაში მჭირდება ასანთი.

– რა მენაღვლება, ისე გიქნია, შეგიჭამია, – ბურტყუნებს ის, – მან თქვა, მიეცით და გაძლევ.

ზურგს მაქცევს და კვლავ მაგიდასთან ჯდება. მერე მინის თასიდან ყინულის კუბს იღებს და პირში იტაკებს. ასეთი რამ არ სჩვევია, საჭმლის კეთების დროს პირს არასოდეს აცმაცუნებს.

– შენც აიღე ერთი ცალი, – ამბობს ის, – როგორ არ რცხვენიათ, ამ სიცხეში ეს ბალიშისპირები რომ ჩამოგაფხატეს თავზე.

გავოცდი: არასოდეს არაფერი შემოუთავაზებია. შეიძლება იფიქრა, რაკი ჩემი სტატუსი ისე ამაღლდა, რომ ასანთს მანდობენ, თვითონაც თავაზიანად უნდა მომექცეს? ნუთუ იმათგანი გავხდი, ვისაც თავი უნდა მოუქონოს?

– გმადლობ, – ვეუბნები. რომ არ დამისველდეს, ასანთს ფრთხილად ვიდებ სიგარეტთან, სახელოს ელვით შეკრულ ჯიბეში და ყინულის კუბს ვიღებ.

– რა ლამაზად დაგითლია ბოლოკები, – ვამბობ მე. სამაგიეროს ვუხდი სიკეთისთვის.

– ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ეს არის და ეს, – მპასუხობს ის, ძველებურად მოღუშული, – თორემ სულაც არ მეხალისება.

მე დერეფანს ვჭრი და აჩქარებით ავდივარ საფეხურებზე. კიბის მოსახვევში ამობურცულ სარკეს სწრაფად ვავლებ თვალს: შიგ ჩემივე წარმოსახვის მინდვრის კიდეზე გაელვებული წითელი ლანდი, წითლად ადენილი კვამლი მოჩანს. გონებაც ერთიანად კვამლით დამბურვია და სადაცაა, პირიც კვამლით ამევსება, ფილტვებამდე ჩააღწევს, მთელ სხეულს ამივსებს ხანგრძლივი, მძაფრი, მტვრიანი, დარიჩინისგემოიანი სუნთქვა და მერე სისხლის ნაკადს შერთული ნიკოტინისგან თავბრუც დამეხვევა.

ამდენი ხნის შემდეგ, შეიძლება ცუდადაც იმოქმედოს, სულაც არ გამიკვირდება, მაგრამ მაინც ამაზე ფიქრიც კი ნეტარებით მავსებს.

დერეფანს მივუყვები და ვფიქრობ, სად მოვწიო? აბაზანაში და მერე წყალი მოვუშვა ჰაერის გასაწმენდად? საძინებელში შეღებული ფანჯრიდან გავუშვა კვამლის ბოლქვები? ვის ვემალები? ვინ რა იცის?

მომავალშიც რომ გამანებივრებდნენ ამგვარად, პირის კუთხეში მოგდებული ნუგეშით, მაინც სხვა რამ მომენატრება.

არ მჭირდება ეს სიგარეტი.

შემეძლო, დამენაკუწებინა და უნიტაზში ჩამერეცხა. ანდა შემეჭამა და ასე დავბოლილიყავი. ცოტას დავღეჭავდი, დანარჩენს შევინახავდი.

ასე ასანთიც დამეზოგებოდა. მატრასს გამოვღრუტნიდი და ღერს შიგ ფრთხილად შევაცურებდი. ასეთ ერთბეწო რამეს ვერავინ შენიშნავდა. და მერე, ღამღამობით, ჩემს სხეულქვეშ მოქცეულზე დავიძინებდი.

შემიძლია, სახლიც გადავწვა. ისეთი ტკბილია ეს ფიქრი, ერთიანად ვცახცახებ.

ააი, გამოსავალი, სწრაფი და სახიფათო.

საწოლში ვწევარ, ვითომ თვალს ვატყუებ.

წუხელ მეთაური თითებშეტყუპებული თვალმოუშორებლად მიცქერდა, როგორ ვიზელდი ხელებში იმ ცხიმიან ლოსიონს. უცნაურია, სიგარეტის თხოვნას ვაპირებდი, მაგრამ გადავიფიქრე. ვიცი, რომ ერთბაშად ბევრი არ უნდა მოითხოვო. არ მინდა, იფიქროს, რომ ვიყენებ. არც ის მინდა, რომ დავაფრთხო.

წუხელ დათვრა, გაზავებული სკოჩით. ჩემი თანდასწრებით დალია. მძიმე დღის გასაქარვებლადო, თქვა. ესე იგი, მისი სამსახური დიდ ძალისხმევასითხოვს. მიუხედავად ამისა, იგი სასმელს არ მთავაზობს და არც მე ვთხოვ: ორივეს გვახსოვს ჩემი სხეულის დანიშნულება. როდესაც დამშვიდობებისას ვკოცნი, ალკოჰოლის სუნს ვგრძნობ და კვამლივით ვისუნთქავ მას. უნდა გამოვტყდე: გემოს ვატან ამას, ბოჰემის ნამცეცებს.

ორიოდე ჭიქის შემდეგ ის თავს ისულელებს და სკრაბლში თაღლითობას იწყებს ხოლმე. მაქეზებს, რომ მეც ასე მოვიქცე, ზედმეტ ასოებს ვიღებთ და მათ ისე ვალაგებთ, რომ არარსებული სიტყვები გამოვიდეს, მაგალითად, ზღურბი ანდა ბურტყი. მერე ამაზე ხითხითებს. ხანდახან თავის რადიომიმღებს ჩართავს და ერთ-ორ წუთს რადიო „თავისუფალ ამერიკას“ მასმენინებს. მაჩვენებს, რა შეუძლია. მერე კვლავ გამორთავს.

– წყეული კუბელები, – ამბობს, – მსოფლიოს ბაგა-ბაღის ჩასვრილი აღსაზრდელები.

ხანდახან, თამაშის შემდეგ, ის ჩემს სკამთან ჯდება იატაკზე და ხელს მკიდებს. მისი თავი ოდნავ ჩემ ქვემოთაა და დროდადრო პატარა ბიჭივით ამომხედავს ხოლმე. ალბათ, ართობს ეს მონამორჩილობანას თამაში.

– მას უზარმაზარი ძალაუფლება აქვს, – ამბობს გლენისა, – მაღალ

თანამდებობაზეა, სულ-სულ კენწეროშია მოქცეული.

ასეთ წუთებში გლენისას ნათქვამი დაუჯერებლად მეჩვენება ხოლმე.

ხანდახან თავს მეთაურის ადგილას წარმოვიდგენ. ეს ტაქტიკური სვლაა, ვცდილობ, გამოვიცნო, როგორი იქნება ჩემკენ გადმოდგმული მისი შემდეგი ნაბიჯი. ძნელი დასაჯერებელია, რომ მე მასზე ზეგავლენის მოხდენა შემიძლია, არადა, ვახდენ, ოღონდ ეს ზეგავლენა ორაზროვანია. ათასში ერთხელ მგონია, რომ ბუნდოვნად, მაგრამ მაინც მისი თვალით ვუყურებ საკუთარ თავს. მას ჩემთვის ბევრი რამის დამტკიცება სურს, ბევრი საჩუქრის მორთმევა, ათასგვარი სამსახურის გაწევა, მზრუნველობის გამოჩენა.

დიახ, სურს. განსაკუთრებით – ორიოდე ჭიქის შემდეგ.

ის ხან ჩხუბის ხასიათზე დგება, ხან – ფილოსოფოსობის; ხანაც – ახსნა-განმარტებებისა და თავის მართლების. როგორც წუხელ.

– მხოლოდ ქალების საქმე კი არ იყო ცუდად, – მითხრა გუშინ, – ყველაზე უარესად კაცები იყვნენ. მათთვის აღარაფერი არსებობდა.

– აღარაფერი? – ვკითხე მე, – მათ ხომ...

– აღარაფრის კეთება აღარ შეეძლოთ, – გამაწყვეტინა.

– როგორ არა, ფულის კეთება შეეძლოთ, – ვუპასუხე, ცოტა არ იყოს, გესლიანად. იმწუთას მე მისი არ მეშინოდა. ან კი როგორ უნდა გეშინოდეს კაცის, რომელიც ფეხებთან გიზის და მოგჩერებია, ლოსიონს როგორ ისვამ. მაგრამ უსაფრთხოების ასეთი განცდა უკვე საფრთხეა.

– ეგ სულაც არ არის საკმარისი, – თავი გააქნია, – ძალიან ზედაპირულად მსჯელობ. საქმე ისაა, რომ კაცები ქალებთან ვეღარაფერს ახერხებდნენ.

– რას გულისხმობთ? – ვკითხე, – ყოველ ნაბიჯზე პორნოკუთხეები იყო მოწყობილი. ბორბლებზეც კი შეაყენეს.

– სექსზე არ გელაპარაკები, – მიპასუხა, – თუმცა, სექსიც ამ

ყველაფრის ნაწილი იყო. ძალიან იოლი მოსაპოვებელი გახდა. ყველას შეეძლო მისი ყიდვა. აღარაფერი იყო, რისთვისაც დაშვრებოდი, რისთვისაც იბრძოლებდი. იმ დროის სტატისტიკური მონაცემები მაქვს. იცი, რას უჩიოდნენ ადამიანები ყველაზე მეტად? იმას, რომ ვეღარაფერს გრძნობდნენ. კაცები სექსზეც კი უარს ამბობდნენ. ქორწინებაზეც.

– და ახლა რამეს გრძნობენ? – ჩავილაპარაკე.

– დიახ, – მითხრა თვალმოუშორებლად, – დიახაც, გრძნობენ.

მერე ადგა, ჩემი სკამის საზურგესთან გაჩერდა და მხრებზე ხელებს მომხვია. მე მას ვერ ვხედავდი.

– მინდა, ვიცოდე, შენ რას ფიქრობ, – მომესმა მისი ხმა ზურგს უკან.

¬– მე იშვიათად ვფიქრობ, – ვუპასუხე საჩქაროდ.

მას ჩემი ნდობა სჭირდება, მაგრამ ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

– თანაც, რა მნიშვნელობა აქვს, მე რას ვფიქრობ? ვის რაში აინტერესებს ჩემი აზრი?

სწორედ ამიტომაც მელაპარაკა ამდენს.

– მითხარი, რა, – ოდნავ მომიჭირა ხელები, – მაინტერესებს, რას ფიქრობ. შენ ჭკუა არ გაკლია, აუცილებლად გექნება შენი აზრი.

– მაინც რაზე? – ვკითხე.

– ჩვენს ნამოქმედარზე, – მიპასუხა, – მოვლენების განვითარებაზე.

გაშეშებული ვცდილობდი, გონება გამომეცარიელებინა. ვფიქრობდი ცაზე, ღამის ცაზე, უმთვაროზე.

– არაფერსაც არ ვფიქრობ, – ვუთხარი ბოლოს.

მან ამოოხრა, ხელები მოუდუნდა, თუმცა, ჩემი მხრებიდან არ აუღია. ახლა ზუსტად იცოდა, რასაც ვფიქრობ.

– ვარდს უეკლოდ ვერავინ მოკრეფს, – ესღა თქვა, – ჩვენ გვეგონა, ასე უკეთესი იქნებოდა.

– უკეთესი? – გაოგნებისგან ლამის ხმა ჩამიწყდა. როგორ შეიძლება ასე ცხოვრება უკეთესი გეგონოს?

– უკეთესი არ ნიშნავს ყველასთვის უკეთესს, – მითხრა ბოლოს, – უკეთესი ზოგისთვის უარესია ხოლმე.

გულაღმა ვწევარ, ნოტიო ჰაერი ხუფივით მახურავს, როგორც დედამიწას. ნეტავ იწვიმოს. არა, აჯობებს, სეტყვამ დაუშინოს, შავი ღრუბლები მოგროვდნენ, იელვოს, გამაყრუებლად იქუხოს. შეიძლება შუქიც ჩაქრეს. მაშინ შევძლებ, სამზარეულოში ჩავიდე, ვთქვა, რომ მეშინია და რიტასა და კორასთან ერთად მივუჯდე სამზარეულოს მაგიდას. ისინი ჩემს შიშსშეიწყნარებენ – ის ხომ მათიცაა – და მათთან თავის შეფარების უფლებას მომცემენ. სანთლებს აანთებენ და მათ ლიცლიცზე დავაკვირდებით, ფანჯრიდან შემომავალი სინათლის თეთრი ელვარების ფონზე როგორ გამოკრთება და მიეფარება თვალს ჩვენი სახეები.

– ო, ღმერთო, – იტყვის კორა, – ღმერთო, გვიხსენი.

მერე ჰაერი გასუფთავდება და გამსუბუქდება.

ჭერს ავცქერი, ბათქაშის ყვავილების გვირგვინს. დახატე წრე, შეაბიჯე შიგნით, ის შენ დაგიცავს. შუაგულში ჭაღი ეკიდა, ჭაღიდან დაგრეხილი ზეწარი იყო ჩამოშვებული. ზედ ის ქანაობდა, სულ ოდნავ, ქანქარასავით; ასე ბავშვობაში გიქანავიათ, ალბათ, ხის ტოტზე ჩამოკიდებულს. ის მაშინ არხეინად იყო, უსაფრთხოდ, სანამ კორამ არ შემოუღო კარი. ხანდახან მგონია, რომ ის ახლაც აქ არის, ჩემთან.

თითქოს დამარხული ვარ.

საღამოსპირია, ცა ღრუბლებით არის დაფარული. მათგან ალაგ-ალაგ გამოღწეული მზის შუქი ბრინჯაოს მტვერივით მძიმედ დაჰფენია დედამიწას. მე გლენისას მხარდამხარ მივირწევი ტროტუარზე. წყვილად მივდივართ, ჩვენ წინ სხვა წყვილი მიდის, ქუჩის გადაღმა – კიდევ ერთი. ალბათ, შორიდან მომზირალისთვის კარგი სანახაობაა: თვალწარმტაცი ხედი დაჩვენ – ხაოიან შპალერზე გამოსახული ჰოლანდიელი მწველავი გოგონებივით, თაროზე ჩამწკრივებული, მარილისა და წიწაკის ჩასაყრელი მორთულ-მოკაზმული კერამიკული ფიგურებივით ან გედების ფლოტილიასა თუ სხვა ნარნარ და ერთგვარ არსებათა მწკრივივით. თვალს ვახარებთ, თვალებს, თვალებსაც, ვისთვისაც ეწყობა მთელი ეს სანახაობა. ჩვენ ვედრებიადაზე მივეშურებით, რათა ჩვენი მორჩილება და ღვთისმოსაობა დავუმტკიცოთ მათ.

ერთ ბაბუაწვერასაც კი ვერსად მოჰკრავთ თვალს. გაზონები სუფთად გაუმარგლავთ, მე კი ის ისე მენატრება. ერთხელ მაინც რომ მოვკრავდე თვალს, შელახულსა და უტიფრად თვალში შემოჩხერილს, ძნელად გვერდასაქცევსა და მზესავით ერთთავად ოქროსფერს. გულგახსნილსა და უბრალოს, ყველასთვის ერთნაირად მოკაშკაშეს. ბეჭდებს ვაკეთებდით ხოლმე მათგან, გვირგვინებსა და ყელსაბამებს. თითებზე მისგან გამოდენილი მომწარო რძის ლაქები გვრჩებოდა. ხანდახან ბაბუაწვერათი ნიკაპქვეშ შევუღიტინებდი ხოლმე. „გიყვარს ბაბუა?“ ვყნოსავდით და ცხვირზე ყვავილის მტვერი რჩებოდა. თუ ბაიები იყო? ანდა ერთი სულის შებერვით მის თესლს ჰაერში გავფანტავდით. თვალწინ მიდგას, გაზონზე მირბის, სწორედ ამ გაზონზე, ახლა რომ შევცქერი. ორი თუ სამი წლისაა, ცალ ხელში ბაბუაწვერა უჭირავს და ჩირაღდანივით იქნევს, თეთრად აალებული კვერთხივით. ჰაერი ერთი ბეწო პარაშუტებით ივსება. „შეუბერე და გაიგებ, რომელი საათია“. თვალწინ მიდგება ის დღეები, ყვავილებს რომ ვუბერავდით და ბუსუსებს ზაფხულის ნიავს ვატანდით. მას და სიყვარულჩათქმულ გვირილის ფურცლებს.

*

ჩვენ გამშვებ პუნქტთან ვმწკრივდებით: ორ-ორად, ორ-ორად, ორ-ორად, როგორც სასეირნოდ გამოსული და შეყოვნებული კერძო სკოლის მოსწავლეები. მას შემდეგ მრავალმა გრძელმა წელმა ჩაიარა და ყველაფერი ერთდროულად დაგვიგრძელა: წვივები, სხეული, კაბები. თითქოს მოგვაჯადოესო. მინდა, ეს ზღაპარი დავიჯერო, მაგრამ არა – გვამოწმებენ, წყვილ-წყვილად გვიშვებენ და ჩვენც გზას ვაგრძელებთ.

ცოტა ხნის შემდეგ მარჯვნივ ვუხვევთ, „შროშანებს“ გავცდებით და მდინარისაკენ გავუყვებით გზას. ძალიან მინდა ამ მდინარის ვრცელ სანაპიროზე ჩასვლა, სადაც ოდესღაც მზის აბაზანებს ვიღებდით, სადაც ხიდები გადაჭიმულიყო. თუკი შორს გაჰყვებოდი მდინარის ნაპირს, მის დაძარღვულსა და მიხვეულ-მოხვეულ დინებას, ზღვასთან მიგიყვანდა; იქ რაღა უნდა გეკეთებინა? ნიჟარებს შეაგროვებდი, სლიპინა ქვებზე წამოწვებოდი.

მაგრამ ჩვენ ახლა მდინარეს არ ჩავუყვებით, გზადაგზა ლურჯ და ოქროსფერზოლებიანი სახლების პატარა გუმბათების, შეურყვნელი და თვალწარმტაცი ხედების ცქერით არ ვიჯერებთ გულს. ჩვენ უფრო თანამედროვე შენობისკენ მივიწევთ, რომლის კარზეც უზარმაზარი აბრაა ჩამოკიდებული: „დღეს ქალების ვედრებიადაა“. ამ აბრას გადაუფარავს შენობის ძველი სახელწოდება, რომელიღაც პრეზიდენტის პატივსაცემად დარქმეული, რომელიც ამათ ჩაცხრილეს. დიდი წითელი წარწერის ქვემოთ უფრო პატარა, შავი ასოებით გამოუყვანიათ: „ღმერთი ეროვნული სიმდიდრეა“. ლოზუნგს ორივე მხრიდან ფრთიანი თვალი ამშვენებს. კარის ორივე მხარეს, რასაკვირველია, მცველები დგანან, ორი წყვილი, სულ ოთხნი. ხელები მხრების სიგანეზე ჩამოუშვიათ და პირდაპირ იყურებიან. მანეკენებს ჰგვანან თავიანთი ფაქიზად გადავარცხნილი ქოჩრებით, გატკიცინებული უნიფორმებითა და თაბაშირივით გაქვავებული ჭაბუკური სახეებით. დღეს აქ მუწუკიანები არ ჩანან. ყველას ავტომატი აქვს გადაკიდებული – ვაითუ შენობაში სახიფათო ან ძირგამომთხრელი რამის ჩადენა დავაპიროთ.

ვედრებიადა შენობის გადახურულ შიდა ეზოში მიმდინარეობს, მინისსაფარველიან ოვალურ სივრცეში. ეს საქალაქო ვედრებიადა

არ არის, მხოლოდ რაიონულია, თორემ, ალბათ, ფეხბურთის მოედანზეგამართავდნენ. მარჯვნივ, მთელ სიგრძეზე, დასაკეცი სკამებია ჩამწკრივებული მაღალი რანგის მოხელეთა და ოფიცერთა (მათ ერთმანეთისაგან ძნელად თუ გაარჩევთ) ცოლებისა და ქალიშვილებისათვის. ზემოთ, ქანდარაზე, ცემენტის გრძელი სკამები შედარებით დაბალი წრის ქალებისთვის არის განკუთვნილი, მართებისა და ზოლიანკაბებიანი ეკონომცოლებისათვის. მათთვის ვედრებიადაზე დასწრება სავალდებულო არ არის, განსაკუთრებით – თუ ორსულად არიან ან შინ პატარა შვილები ჰყავთ. მიუხედავად ამისა, ქანდარებზე ნემსი არ ჩავარდება. მგონი, ესეც ერთგვარი გასართობია მათთვის, სანახაობა, ცირკი.

საუკეთესო, ხელით ნაქარგ ლურჯ კაბებში გამოწყობილი ცოლების ნაწილს უკვე დაუკავებია თავისი ადგილი. წითელკაბიან წყვილებად საპირისპირო მხარეს მიმავალთ მათი გამჭოლი მზერა მიგვაცილებს. ჩვენ გვათვალიერებენ, გვაფასებენ, განგვსჯიან; ამას ისე ვგრძნობთ, თითქოს ჭიანჭველები დაგვაცოცავდნენ შიშველ კანზე.

აქ სკამები არ არის. ჩვენს საჩეხესთან დაგრეხილი აბრეშუმის ალისფერი თოკია გაჭიმული, ისეთი, ადრე კინოთეატრებში რომ იყო გაბმული მაყურებლების შესაკავებლად. ამ თოკით ჩვენ სხვებისაგან გამოგვყოფენ, გვმიჯნავენ, იქ შეკრებილთ ჩვენით დასნებოვნებისაგან იცავენ, ბაგასა თუ გალიაში გვამწყვდევენ. ჰოდა, ჩვენც მის უკან ვაბიჯებთ, დიდი ოსტატობით ვეწყობით მწკრივად და ცემენტის იატაკზე ვიჩოქებთ.

– უკან გადაიხარე, – ჩურჩულებს გლენისა ჩემ გვერდით, – ასე უკეთ მოვახერხებთ ლაპარაკს, – და როდესაც ოდნავ თავდახრილები მუხლს ვიყრით, გაბმული ზუზუნი მესმის, თითქოს მწერები შესევიან მაღალსა და გამხმარ ბალახებს. ჩურჩული ღრუბელივით გაწოლილა ჩვენ შორის. აქ მხევლებს შეუძლიათ, უფრო იოლად მიაწვდინონ ხმა ერთმანეთს, მწკრივში ერთურთს გადასცენ ნათქვამი. მათ ძალიან გაუჭირდებათ, თითოეული ჩვეგანის ხმა გამოაცალკევონ და სიტყვები გაიგონონ.თანაც არავითარ შემთხვევაში არ შეწყვეტენ ცერემონიას, მით უმეტეს – ტელეკამერების წინ.

გლენისა, ჩემი ყურადღება რომ მიიპყროს, ფერდში მუჯლუგუნს

მკრავს. მეც ფრთხილსა და ქურდულ მზერას ვაპარებ მისკენ. იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვართ დაჩოქილი, მშვენივრად ჩანს ეზოს შემოსასვლელი, საიდანაც უწყვეტ ნაკადად შემოედინება ხალხი. ჯენინს მოვკარი თვალი, დიახ, ჯენინია, ვიღაც სხვა ქალთან ერთად. ამ ახალ მეწყვილეს არ ვიცნობ. ეტყობა, ჯენინი ახალ ოჯახში გადაიყვანეს, ახალ ადგილას. ნუთუ მისი რძე უვარგისი აღმოჩნდა ახალშობილისათვის? თავში ეს ერთადერთი აზრი მომდის. მაშ, რატომ უნდა მოეშორებინათ შვილისთვის? ან შეიძლება ბავშვის გამო ცოლს წაეკიდა – ეს უფრო ხშირად ხდება ხოლმე. შეიძლება მან უარი თქვა, სხვისთვის დაენებებინა თავისი პატარა. ეს არც მიკვირს. წითელი კაბა ტომარასავით ჰკიდია გამწლეულ, გაძვალტყავებულ სხეულზე. ფეხმძიმობის დროინდელი ბრწყინვალება ერთიანად შემოსძარცვია. სახე ისე ჩატეტკია და წაწვეტებია, თითქოს მთელი სითხე გამოსწოვესო.

– არაფერი გამოუვიდა, – ჩურჩულებს გლენისა ჩემ ყურთან, – მაინც მახინჯი აღმოჩნდა.

ჯენინის ჩვილზე ამბობს, ახალშობილზე, რომელიც ჯენინის საშოდან გამოვიდა, რათა სულ სხვა გზას დასდგომოდა. პატარა ანჯელაზე. როგორც ჩანს, იჩქარეს მისთვის სახელის დარქმევა. მოულოდნელად მუცელში ტკივილს ვგრძნობ. ტკივილს კი არა, სიცარიელეს. არ მინდა ვიცოდე, რა სჭირდა მას.

– ღმერთო, – ვამბობ. გადაიტანო ამხელა ტანჯვა არაფრისათვის! არაფერზე უარესისათვის.

– ეს მეორე იყო, – ამბობს გლენისა, – თუ მის საკუთარ შვილს არ ჩავთვლით. ამის წინ რვა თვის ნაყოფი მოეშალა, იცოდი?

ვუყურებთ, როგორ უახლოვდება ჯენინი თოკით გამოყოფილ ბარიერს თავისი ხელშეუხებლობის, უიღბლობის პირბადეაფარებული. ის მამჩნევს, მგონია, რომ მამჩნევს, მაგრამ ჩემ მიღმა იყურება. ამჯერად გამარჯვებულის ღიმილი აღარ დასთამაშებს სახეზე. ის ბრუნდება, იჩოქებს და მხოლოდ მის ზურგსა და თხელ, მოხრილ მხრებსღა ვხედავ.

– საკუთარ თავს აბრალებს, – ამბობს გლენისა, – ორი მოუკვდა

ზედიზედ. სინდისი ქენჯნის. ამბობენ, ექიმი გამოიყენაო. ბავშვები თავისი მეთაურისაგან არ ჰყოლია.

ვერ ვეტყვი, ვიცი-მეთქი, რადგან გლენისა აუცილებლად მკითხავს, საიდანო. მიჩვეულია, რომ ამგვარი ამბები მხოლოდ მან უნდა იცოდეს; და იცის კიდეც, თანაც უამრავი. ნეტავ საიდან გაიგო ჯენინის ამბავი? მართებმა უთხრეს? ჯენინის მეწყვილემ? თუ კარზე ყურმიდებულმა მოუსმინა, ცოლები ღვინისა და ჩაის თანხლებით ქსელებს როგორ აბამდნენ? ნუთუ სერენა ჯოიც ასე ილაპარაკებს ჩემზე, მის შემოთავაზებას თუ მივიღებ? „მაშინვე დამთანხმდა. მისთვის სულერთია, ვისთან დაწვება, მთავარია, ორ ფეხზე იდგეს და ჩვენ რომ ვიცით, ის ებას. წუნია ნამდვილად არ ეთქმის. ისინი ჩვენსავით ვერაფერს გრძნობენ და არაფერს განიცდიან“. დანარჩენები კი სკამებიდან წამოიწევიან: „ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა, რა გარყვნილება! ეს როგორ ჩაიდინა? სად? როდის?“

ალბათ, ასე ლაპარაკობდნენ ჯენინზე.

– რა საშინელებაა, – ვამბობ მე. თუმცა, ჯენინის გარდა, ვის მოუვიდოდა აზრად, მთელი ცოდვა თვითონ ეტვირთა, თავი დაეჯერებინა, რომ ბავშვების ნაკლი მხოლოდ მისი ბრალია. მაგრამ ადამიანები რას არ აღიარებენ, ოღონდაც არ გამოტყდნენ, რომ მათ ცხოვრებას აზრი არ აქვს. რომ არავისსჭირდებიან.

ერთ დილას, როცა ვიცვამდით, შევამჩნიე, რომ ჯენინს ჯერაც არ გაეხადა თავისი ბამბის თეთრი პერანგი. მის ამარა ჩამომჯდარიყო თავის საწოლზე.

სპორტდარბაზის ორმაგი კარისაკენ გავიხედე, სადაც დეიდები იდგნენ ხოლმე – მაინტერესებდა, შენიშნეს თუ არა ჯენინის უცნაური საქციელი, თუმცა, კართან არავინ ჩანდა. მაშინ უკვე გვენდობოდნენ; ხანდახან უმეთვალყურეოდ ტოვებდნენ საკლასო ოთახებს, ორიოდე წუთით კაფეტერიიდანაც კი გაქრებოდნენ ხოლმე. ალბათ, მორიგე დეიდა სიგარეტის მოსაწევად ან ყავის დასალევად გავიდა.

შეხედე, ვუთხარი ალმას, მეზობელი საწოლის ბინადარს.

ალმამ ჯენინს შეხედა. მერე ორივე მისკენ გავეშურეთ.

დროზე, ჩაიცვი, ჯენინ, უთხრა ალმამ ჯენინის თეთრ ზურგს, მეტი არ მინდა, შენი გულისთვის დამატებითი ლოცვები წაგვაკითხონ.

მაგრამ ჯენინი არ ინძრეოდა.

ამასობაში მოირაც მოგვიახლოვდა. ეს ამბავი მანამდე მოხდა, სანამ ის მეორე მცდელობისას თავს დაიხსნიდა. ისევ კოჭლობდა, პირველი გაქცევის მერე დაშავებული ფეხი აწუხებდა. მან საწოლს შემოუარა, რომ ჯენინის სახე დაენახა.

აქ მოდით, მოგვიხმო მე და ალმა. სხვებიც მოგროვდნენ, ჯენინის საწოლთან ზედახორა გაიმართა.

წადით, საქმეს მიხედეთ, უთხრა მათ მოირამ, ნუ ატეხთ ერთ ამბავს.

ხათაბალაში არ გახვიოთ.

ჯენინს შევხედე. თვალგახელილი იჯდა, მაგრამ ეტყობოდა, ვერაფერს ხედავდა. თვალები დამრგვალებოდა და უაზროდ აჭყეტდა, სახეზე შეყინული ღიმილისაგან კბილები დაკრეჭვოდა და თავისთვის რაღაცას ჩურჩულებდა. მე მისკენ გადავიხარე.

გამარჯობა, თქვა მან, მაგრამ ჩემთვის არც შემოუხედავს, მე ჯენინი მქვია. ამ საღამოს თქვენს მაგიდას მე მოვემსახურები. ყავით ხომ არ დაიწყებდით?

ღმერთო! აღმოხდა ჩემ გვერდით მდგარ მოირას.

ნუ მოიღებ ამაოსა ზედა, თქვა ალმამ.

მოირამ ჯენინს მხრებში ხელი ჩაავლო და შეანჯღრია.

აზრზე მოდი, გოგო! უთხრა უხეშად.

ჯენინმა გაიღიმა: გემრიელად მიირთვით, თქვა მან.

მოირამ შემოულაწუნა, ორჯერ, ჯერ ერთ ლოყაში, მერე – მეორეში.

დაბრუნდი, უთხრა მან, დროზე! იქ აღარაფერი გესაქმება, იქ აღარ

ხარ.

ყველაფერი დამთავრდა.

ჯენინს ნირი წაუხდა. ლოყაზე ხელი იტაცა.

რატომ მცემთ? იკითხა შეშინებულმა. არ ვარგოდა? სხვას მოგიტანთ, ცემა რა საჭიროა.

ვერ ხვდები მაინც, რას გიზამენ? ჰკითხა მოირამ ხმადაბლა, მაგრამ დაძაბული, მუქარანარევი ტონით. შემომხედე, მე მოირა მქვია და შენ ახლა წითელ ცენტრში ხარ. შემომხედე!

ჯენინს თვალებში აზრი დაუბრუნდა.

მოირა? თქვა მან, არანაირ მოირას არ ვიცნობ.

თუ გგონია, რომ საავადმყოფოში გაგიშვებენ, მაგრად ცდები, უთხრა მოირამ, სულ ფეხებზე ჰკიდიათ შენი მკურნალობა. კოლონიებში რომ გაგგზავნონ, იმისთვისაც კი არ გაანძრევენ ტრაკს. თუ ძალიან გაუტევ, ქიმიის ლაბორატორიაში შეგკეტავენ და დაგბრიდავენ. მერე კი ნაგავთან ერთად დაგწვავენ, როგორც არქალს. ასე რომ, მორჩი.

სახლში მინდა, თქვა ჯენინმა და ტირილი ამოუშვა.

ღმერთო, მაღალო! თქვა მოირამ, ერთ წუთში ის ძუკნა აქ იქნება. ასე რომ, ნუ ატრაკებ, ჩაიცვი შენი დედააფეთქებული ტანსაცმელი და მოკეტე.

ჯენინს ზლუქუნი არ შეუწყვეტია, მაგრამ წამოდგა და ჩაცმა დაიწყო.

ამ ნომერს კიდევ თუ გააძრობს და მე აქ არ ვიქნები, შენ შემოარტყი, მითხრა მოირამ, თუ არადა, ისეთს იზამს, ყოფა ეტირება. გამოიჭერენ, მაგ საცოდავს.

ამ დროს, როგორც ჩანს, ის უკვე გეგმავდა იქაურობისაგან თავის დაღწევას.

34

შიდა ეზოში ყველა დასაჯდომი ადგილი შევსებულია; ჩვენ ვზუზუნებთ და ველით. ბოლოს მეთაური, რომელსაც ამ საქმის გაძღოლა აკისრია, პატივს გვდებს თავისი გამოჩენით. ის მელოტია, ჩასკვნილი და ხანში შესულ ფეხბურთის მწვრთნელს წააგავს. შავი ფერის, მკაცრი უნიფორმა აცვია, ზედ სამხედრო წოდებათა ნიშნები და მედლები აქვს ჩამწკრივებული. ძნელია, არ დაგთრგუნოს მისმა შესახედაობამ, მაგრამ მე მაინც ვცდილობ: წარმოვიდგენ მას ლოგინში თავის ცოლსა და მხევალთან ერთად, რომელსაც გაშმაგებით ანაყოფიერებს, ახურუშებული მაიმუნივით, თან ცდილობს, თავი ისე დაიჭიროს, თითქოს ეს პროცესი სულაც არ სიამოვნებდეს. როდესაც ღმერთმა ბრძანა, ინაყოფიერეთ და გამრავლდითო, ნუთუ ეს კაციც იგულისხმა?

მეთაური შემაღლებულ კათედრაზე ადის. საფეხურებზე წითელი ხალიჩა აფენია, რომელზეც თეთრფრთიანი თვალია ამოქარგული. იგი მზერას ავლებს სივრცეს და ჩვენი ზუზუნი ერთბაშად ცხრება. ხელის აწევაც კი არსჭირდება. მისი ხმა მიკროფონიდან დინამიკებში გადადის, სადაც მისი შედარებით დაბალი ტონიც კი მკვეთრი და ლითონივით ბასრი ხდება. თითქოს სიტყვებს მისი ბაგე კი არა, დინამიკები წარმოთქვამენ. ხმა ქურაში გამოწრთობილი ფოლადივით უელავს.

– დღეს მადლიერების დღეა, – ამბობს ის, – უფლის დიდების დღე.

ამას მოჰყვება გრძელი აბდაუბდა გამარჯვებასა და თავგანწირვაზე. მერე დაუსრულებელი ლოცვა უღირს ჭურჭელთა შესახებ, მერე კი ჰიმნი: „ბალზამი არს გალაადსა“.

ბალღამი არს გალაადსა, იტყოდა ხოლმე მოირა.

მერე ყველაზე მნიშვნელოვანი იწყება. ეზოში ოცი ანგელოზი შემოდის, ფრონტის წინა ხაზიდან ახლახან დაბრუნებულნი, ახალთახალი მედლებით დამშვენებულნი. თითოეულ მათგანს საპატიო ყარაული ახლავს, ერთი-ორი, ერთი-ორი – მარშით

მოაბიჯებენ მოედნის შუაგულისაკენ. ყურადღება, თავისუფლად! და აი, თეთრით შემოსილი ოცი ქალიშვილი მორცხვად გამოდის წინ, უფრო სწორად, იდაყვებში ხელებჩავლებულნი დედებს გამოჰყავთ. სწორედ დედები, და არა მამები, ათხოვებენ გოგონებს და ქორწინების საკითხებსაც ისინი აგვარებენ. ეს ქორწილები, რასაკვირველია, წინასწარ არის დაგეგმილი. საპატარძლოები, რამდენიმე წელია, ერთი წამითაც არ დარჩენილან მამაკაცთან მარტო.

ნეტავ რამდენი წლის არიან? ახსოვთ თუ არა ძველი დრო, როცა ჯინსებსა და კედებში გამოწყობილები ბეისბოლს თამაშობდნენ, ველოსიპედებს დააქროლებდნენ, წიგნებს თავიანთ ნებაზე კითხულობდნენ? თუმცა, ზოგი მათგანი თოთხმეტი წლისა თუ იქნება. „რაც ადრე, მით უკეთესი, – ამბობს სახელმწიფო პოლიტიკა, – დასაკარგი დრო არ გვაქვს!“ და მაინც, ის პერიოდი უნდა ახსოვდეთ. მომავალ პატარძლებსაც ემახსოვრებათ სამ, ოთხ, ხუთ წელს მაინც, მერე – აღარ. მათ მუდამ თეთრი კაბები ეცმევათ, გოგონების ჯგუფში იდგებიან; მუდამ ხმის ამოუღებლად.

- ჩვენ მათ მეტი მივეცით, ვიდრე წავართვით, – თქვა მეთაურმა, – გაიხსენე, რა შავ დღეში იყვნენ. აღარ გახსოვს მარტოხელათა ბარები? უფროსკლასელთა სამარცხვინო პაემნები ალალბედზე? გაცნობის ბიუროები? გაიხსენე, რა თვალუწვდენი უფსკრული იყო მათ შორის, ვისაც ადვილად შეეძლო კაცის დათრევა და ვისაც ეს არ გამოსდიოდა. გაიხსენე, როგორ წვალობდნენ, გულის წასვლამდე შიმშილობდნენ, ძუძუებში სილიკონებს იდგამდნენ, ცხვირებს იჭრიდნენ. გაიხსენე ადამიანების დაცემა.

მან ძველი ჟურნალების გროვისკენ გაიშვირა ხელი:

– მუდამ წუწუნებდნენ. ეს პრობლემა, ის პრობლემა... განცხადებები გაზეთებში, პაემნების გვერდზე: „მიმზიდველიქერა ქალი, ოცდათხუთმეტი წლის...“ ახლა კი თითო კაცი ყველას ერგება, ყველა ოჯახდება. მაშინ დაქორწინდებოდნენ და მერე ერთი ან ორი ბავშვით ხელში მარტო რჩებოდნენ, რადგან აღმოჩნდებოდა, რომ ქმრებს მოყირჭდათ და გაქრნენ, მათ კი შემწეობით უნდა ერჩინათ თავი და შვილები. ანდა ქმარი რჩებოდა, მაგრამ ცემა-ტყეპაში ჰყავდა ოჯახი. ანდა ორივენი მუშაობდნენ და ბავშვებს ვიღაც უბირ,

სადისტ ქალს უტოვებდნენ, ამაში კი ფულსაც უხდიდნენ თავიანთი უბადრუკი სახელფასო ჩეკებით. ფული ადამიანის ღირსების ერთადერთ საზომად ითვლებოდა, დედაზე მეტად სცემდნენ პატივს. რა გასაკვირია, რომ ხსნას ვეღარსად ხედავდნენ. ახლა კი უსაფრთხოდ არიან, შეუძლიათ, უშფოთველად შეასრულონ თავიანთი ბიოლოგიური დანიშნულება. მხოლოდ მხარდაჭერასა და გამხნევებას გრძნობენ. ახლა მითხარი, შენ გონიერი ადამიანი ხარ და მაინტერესებს შენი აზრი. როგორ გგონია, რა გამოგვრჩა?

– სიყვარული, – ვთქვი მე.

– სიყვარული? – გაიკვირვა მეთაურმა. – რომელი სიყვარული?

– შეყვარებულობა, – ვთქვი მე. მეთაურმა გულუბრყვილო ბიჭის თვალებით ამომხედა.

– აა, ჰო, – თქვა მან, – მახსოვს იმდროინდელი ჟურნალები, სულ ამ თემას სჩრიდნენ ცხვირში ხალხს. მაგრამ აბა, სტატისტიკას გადახედე, ჩემო ძვირფასო. ეს ყველაფერი განა რაღაც შეყვარებულობის გამო უნდა დაგვეთმო? გარიგებით ქორწინებაც არანაკლებ ამართლებს, თუ უფრო მეტად არა.

– სიყვარული, – ზიზღით ამბობდა დეიდა ლიდია, – არ ვიცი, რას გიზამთ, მაგაში რომ გამოგიჭიროთ. არავითარი ვარდები და დარდები აქ არ გავიგონო, გოგოებო, – და თითს მუქარით გვიქნევდა, – ახლა სიყვარულის დრო არ არის.

– თუ ისტორიის გადმოსახედიდან შევაფასებთ, ის წლები ანომალიური იყო, – თქვა მეთაურმა, – მოვლენები არაბუნებრივად ვითარდებოდა. ჩვენ ბევრი არაფერი გაგვიკეთებია, მხოლოდ ბუნებრივი კანონზომიერება აღვადგინეთ. ეს არის და ეს.

ქალთა ვედრებიადას ასეთი ჯგუფური ქორწინებების, კაცებისას კი – სამხედრო გამარჯვებების აღსანიშნავად მართავენ; შთაგვაგონებენ, რომ ეს ორი მოვლენა ყველაზე მეტად უნდა გვახარებდეს. თუმცა, ქალებს ხანდახან იმისთვისაც შეგვკრებენ ხოლმე, რომ მონაზვნების მოქცევა ვიზეიმოთ. ეს ამბავი ადრე უფრო ხშირად ხდებოდა, როცა ისინი ჯერ კიდევ ჯგუფ-ჯგუფად აჰყავდათ, თუმცა, ხანდახან ახლაც

მიაგნებენ რომელმე მონაზონს, ამოათრევენ რომელიმე მიწისქვეშა სარდაფიდან, სადაც თხუნელასავით იყო დამალული და თვითონაც თხუნელას ჰგავდა: მხედველობა დასუსტებოდა და მზის შუქი თვალებს სჭრიდა. უფრო ხანშიშესულებს პირდაპირ კოლონიებშიამწესებენ, ახალგაზრდებსა და ნაყოფიერებს კი თავიანთ იდეებს უქადაგებენ და როცა მოქცევაზე დაიყოლიებენ, ყველას გვიხმობენ ცერემონიაზე. აქ ისინი საჯაროდ უარს ამბობენ უქორწინობის აღთქმაზე, საქვეყნო სარგებელს სწირავენ მას. ისინი იჩოქებენ, მეთაური ლოცულობს და შემდეგ მათ, ჩვენ მსგავსად, წითელ სამოსში ახვევენ. თუმცა, ისინი ცოლები ვერასოდეს გახდებიან; ასეთ ძალაუფლებას მათ არავინ ანდობს. მონაზონყოფილთ ალქაჯის იერი დაჰკრავთ, იდუმალი და ეგზოტიკური; და ამას ვერც მათი დახეთქილი და შოლტებით აჭრელებული ფეხები შველის რამეს და ვერც – განმარტოებაში გატარებული დრო. თუმცა, შოლტები და სიმარტოვე მათთვის არც ადრე ყოფილა უცხო და ხმა დადის, იოლად არ დრკებიანო. ბევრი მათგანი კოლონიებში წასვლასაც კი ირჩევს. არც ერთ ჩვენგანს არ სურს, რომელიმე მათგანთან დააწყვილონ საყიდლებზე სიარულისას. ისინი ჩვენზე უფრო არიან გატეხილნი; შეუძლებელია, მათ გვერდით თავი უხერხულად არ იგრძნო.

დედებმა თეთრპირბადიანი ქალიშვილები საკურთხეველთან მიაცილეს და თავიანთ სკამებს დაუბრუნდნენ. მათი რიგიდან ქვითინის ხმა აღწევს, ნუგეშის ნიშნად ერთმანეთს ხელებს უთათუნებენ და უჭერენ, თვალებთან დემონსტრაციულად მიაქვთ ცხვირსახოცები. მეთაური კი კვლავ თავის მოვალეობას ასრულებს:

– ასევე ქალებიც, – ამბობს ის, – ღირსეულად მოსილნი, კდემითა და უმანკოებით იმკობდნენ თავს; არა თმაწნულობით, არც ოქროთი თუ მარგალიტით, ანდა ძვირფასი სამოსით; არამედ კეთილი საქმით, როგორც შეშვენით ღვთისმოსავთ.

– სწავლობდეს ქალი მდუმარედ, სრული მორჩილებით, – ის მკაცრად გვავლებს თვალს და იმეორებს: – სრული მორჩილებით.

– მე არა ვრთავ ქალს სწავლის ნებას, და არც ქმარზე მბრძანებლობისას, არამედ იყოს მდუმარედ.

– ვინაიდან პირველად ადამი შეიქმნა და მერე – ევა.

– ადამი კი არ შემცდარა, არამედ ქალი შეცდა და სცოდა.

– თუმცაღა მაინც ცხონდება, რადგანაც შვილებს გააჩენს; თუკი რწმენას, სიყვარულსა და სიწმინდეს შეინარჩუნებს.

„ანუ შვილების გაჩენით ვცხონდებით, – ვფიქრობ მე, – ნეტავ, ძველ დროში რა გადაგვარჩენდა წარწყმედას?“

– ეს კდემამოსილება ცოლებსაც შეახსენონ, – ჩურჩულებს გლენისა, – ხერესში რომ იხრჩობიან ხოლმე.

ლაპარაკი ისევ შეიძლება, მეთაურმა რიტუალი შეასრულა, ახლა ბეჭდების გაცვლა და პირბადეების ახდაღა დარჩა.

„ფიჰ, – ვამბობ მე გულში, – კარგად შეხედეთ ერთმანეთს, იმიტომ, რომ უკვე ძალიან გვიანაა. ანგელოზები მალე დაწინაურდებიან და მხევლები ერგებათ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ცოლები ბერწები გამოადგებათ. თქვენ კი, გოგოებო, აღარაფერი გეშველებათ. ვეღარავის ეღირსებით იმათ გარდა, ვისაც ახლა ხედავთ. თქვენ ისინი არ შეგიყვარდებიან. ამას სულ მალე მიხვდებით. მდუმარედ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა. როცა ეჭვი შეგიპყრობთ, როცა ლოგინზე გულაღმა იწვებით, ჭერს მიაშტერდით. ვინ იცის, რას დაინახავთ იქ, მაღლა – სამარის გვირგვინებსა და ანგელოზებს, მტვრის თანავარსკვლავედებსა და ციურ სხეულებს ანდა რამე სხვას, ვთქვათ, ობობას ქსელებს. მაღლა ყოველთვის არის რაღაც, რასაც შეიძლება ფიქრს მონატრებული გონება მისწვდეს.

ძველი ანეკდოტი მახსენდება:

– რა გჭირს, ძვირფასო?

– რატომ მეკითხები?

– რა ვიცი, გაინძერი.

მთავარია, არ გაინძრე.

ჩვენ დაუღალავად ვიღწვით, რომ ქალთა შორის სოლიდარობა სუფევდეს, ამბობდა დეიდა ლიდია, ჩვენ შეხმატკბილებულად უნდა ვიცხოვროთ.

შეხმატკბილებულად, არა? დამპალი! მეუბნება მოირა ტუალეტის ტიხარში ამოჭრილ ხვრელში, როგორც ძველად იტყოდნენ, მაგას ვინ ჭამს, დეიდა ლიდია. რაზე გინდა დაგენაძლევო, რომ ჯენინს მუხლებზე აყენებდა ხოლმე? შენი აზრით, რას აკეთებდნენ იმ კაბინეტში შეკეტილები? თავს დავდებ, ალოკინებდა ხოლმე იმ თავის ბებერ, გამომშრალ, დამჭკნარ...

მოირა! შევძახი მე.

რა მოირა? ჩურჩულებს ის. აღიარე, რომ შენც ასე ფიქრობ.

უსარგებლოა ასეთი ლაპარაკი, ვეუბნები და თან ყელში მოწოლილ სიცილს ძლივს ვიკავებ. თავს ვირწმუნებ, რომ ღირსების მაგვარი რაღაც მაინც უნდა შევინარჩუნოთ.

შენს სილენჩეს საზღვარი არ აქვს, მეუბნება მოირა, მაგრამ უკვე ალერსიანად. შენ ვერც წარმოიდგენ, როგორი სასარგებლოა! ძალიან, ძალიან სასარგებლო!

და ის მართალია. ეს ზუსტად ვიცი ახლა, ამ ცემენტის მაგარ იატაკზე დაჩოქილმა, ცერემონიის ზუზუნით გაბეზრებულმა. ძლევამოსილთა შესახებ უხამსობის ჩურჩული ძალას გმატებს. ეს სანეტაროა, ბილწი, აკრძალული, სუნთქვის შემკვრელი. თითქოს ჯადოა. მათ აკნინებს, საერთო მნიშვნელად აქცევს, მერე კი უფრო იოლი ჩანს მათთან გამკლავება. ტუალეტის კედელზე ვიღაცამ მიაჩხაპნა: „დეიდა ლიდია წოვს“. ეს სიტყვები აჯანყებულთა მიერ გორაკის თავზე აღმართული ალამივით ფრიალებდა. იმის წარმოდგენაც კი,რომ დეიდა ლიდიას ამგვარი რამეების კეთება შეეძლო, მხნეობას გვმატებდა.

და ახლა ამ ანგელოზებისა და მათი გამომშრალი თეთრი პატარძლების ხვნეშასა და ოფლისღვრას, მათ სველ, გახელებულ შებრძოლებას წარმოვიდგენ; ანდა, უკეთესი – სამარცხვინო ჩაფლავებას, სამი კვირის ამოღებული სტაფილოს მსგავს პენისებს, გაწამებულ პოტინს მკვდარი თევზივით ცივსა და უგრძნობ

სხეულებზე.

როცა ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მთავრდება და გარეთ გამოვდივართ, გლენისას ფრთხილი, მრავლისმთქმელი ჩურჩული მესმის:

– ვიცით, რომ მარტო ხვდები ხოლმე.

– ვის? – ვამბობ მე და ვცდილობ, სახეში არ შევხედო. ვიცი, ვისაც გულისხმობს.

– შენს მეთაურს, – ამბობ ის, – ვიცით, რომ მასთან იყავი.

ვეკითხები, საიდან იცის.

– უბრალოდ, ვიცით, – ამბობს ის, – რა უნდა? ბინძური სექსი?

მიჭირს ავუხსნა, რა უნდა ჩემგან მეთაურს, რადგან არ მე ვიცი. ან როგორ უნდა გავაგებინო, რა ხდება სინამდვილეში ჩვენ შორის? ხომ მოკვდება სიცილით. ამიტომ იოლ პასუხს ვარჩევ:

– რაღაც მასეთი, – ასე იძულებულის ღირსებას მაინც შევინარჩუნებ.

ის ფიქრდება:

– ვერც კი წარმოიდგენ, – ამბობს ის, – რამდენია შენს დღეში.

– რა ვქნა, – ვპასუხობ მე, – ვერ ვეტყვი, აღარ შეგხვდები-მეთქი.

თუმცა, მან ეს ისედაც იცის.

უკვე ტროტუარზე ვართ და საუბარიც საშიშია. ძალიან ახლოს ვართ სხვებთან და ჩვენი სიტყვები ბრბოს ხმაურში აღარ იკარგება. მდუმარედ მივდივართ, ფეხს ვითრევთ, სანამ, ბოლოს და ბოლოს, იგი არ გაბედავს და წარმოთქვამს:

– რა თქმა უნდა, ვერ ეტყვი, სამაგიეროდ, შეგიძლია, გაარკვიო და გვითხრა.

– რა უნდა გავარკვიო? – ვეკითხები მე.

ვგრძნობ, როგორ აბრუნებს თავს:

– ყველაფერი, რასაც შეძლებ.

35

ახლა აქ, ჩემს ჩახუთულ ოთახში, როგორმე უნდა შეივსოს სივრცე და დროც; დრო-სივრცე აქ და ახლასა და იქ და მერეს შორის, რომელიც სადილობის დროით განისაზღვრება. ლანგარზე დაწყობილი სადილით, რომელსაც ოთახში ამომიტანენ, როგორც ხეიბარს; ხეიბარს, რომელიც ქმედუუნაროდ ცნეს. პასპორტიც ქმედუუნარო.დდა გამოუვალი მდგომარეობა.

სწორედ ასე მოხდა იმ დღეს, როცა საზღვრის გადალახვა ვცადეთ ჩვენი ახალთახალი პასპორტებით, რომელთა მიხედვით ჩვენ სულაც არ ვიყავით ისინი, ვინც სინამდვილეში ვიყავით; რომ ლუკი არასოდეს გაყრია ცოლს, ამიტომაც კანონმორჩილნი გახლდით.

კაცი, რომელმაც პასპორტები გამოგვართვა, შენობაში შევიდა, ოღონდ მანამდე ვუთხარით, რომ პიკნიკზე მივდიოდით, ჩვენს მანქანაშიც შემოიხედა და ჩვენი გოგონაც დაინახა, გაცვეთილი სათამაშოების ზოოპარკთან ჩახუტებულს რომ ეძინა. ლუკმა ხელზე ხელი მომითათუნა, ვითომდა ფეხის გასაშლელად მანქანიდან გადავიდა და საემიგრაციო შენობაში შესულ კაცს ფანჯრიდან დაუწყო თვალთვალი. მე მანქანაში ვიჯექი. თავის გასამხნევებლად სიგარეტს მოვუკიდე და კვამლი გადავყლაპე, ღრმად შევისუნთქე ყალბი შვება. ვუყურებდი ორ ჯარისკაცს, გამოწყობილებს იმ უცხო ფორმაში, რომელსაც ნელ-ნელა ვაჩვევდით თვალს; ისინი უსაქმოდ იდგნენ შავ-ყვითელზოლებიან ბარიერთან. თითქმის არაფერს აკეთებდნენ. ერთი მათგანი თოლიების გუნდს შესცქეროდა; ფრინველები ჩვენ უკან, ხიდის მოაჯირზე, აფრინდებოდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ და კვლავ ძირს ეშვებოდნენ. მისმა შემყურემ, მეც თოლიებს დავუწყე ყურება. ყველა ფერი ძველებურად იყო, ოღონდ უფრო კაშკაშებდა.

ყველაფერი კარგად იქნება, ვთქვი მე და უხმოდ ლოცვა დავიწყე: ოღონდ აქედან გავაღწიოთ. ოღონდ თავი დავიხსნათ. გთხოვ, ოღონდ გაგვაღწევინე. მხოლოდ ამ ერთხელ და მერე ყველაფერს გავაკეთებ.

ვერასოდეს გავიგებ, სჭირდებოდა ან აინტერესებდა მაინც იმ

ვიღაცას, ვისაც შევთხოვდი, ის, რასაც ვპირდებოდი.

მერე ლუკი მანქანასთან დაბრუნდა, სირბილით, ჩაჯდა, გასაღები გადაატრიალა და დაძრა.

ის კაცი სადღაც რეკავდა. სხვა არაფერი უთქვამს. მერე ძალიან სწრაფად მივქროდით. მტვრიანი გზა გამოჩნდა, მერე – ტყე. ჩვენ მანქანიდან გადმოვხტით და გავიქეცით. სადმე ქოხში შევაფარებდით თავს ან ნავს ვიპოვიდით. არ ვიცი, რა გვეგონა. მან თქვა, რომ პასპორტები საიმედო იყო და ყველაფერი სასწრაფოდ დავგეგმეთ. შეიძლება ლუკს ჰქონდა კიდეც რაღაც ჩაფიქრებული, მარშრუტიც – დაგეგმილი. არ ვიცი. მე კი მხოლოდ გავრბოდი: შორს, ძალიან შორს.

ამ ამბის მოყოლა არ მინდა.

არც საჭიროა. არავინ მაიძულებს, ვინმეს ან საკუთარ თავს მოვუყვე. შემიძლია, უბრალოდ ვიჯდე აქ, მშვიდად. შემიძლია, უკან დავიხიო.შემიძლია, შორს შევტოპო, ღრმად ჩაყვინთო და ისე ჩავიძირო, რომ მათ ვერასოდეს გამომათრიონ უკან.

Nolite te bastardes carborundorum

. დიდი ხეირი კი დააყარა ამ ფრაზამ.

რატომ ვიბრძოლო?

ასე არაფერი გამოვა.

– სიყვარული? – იკითხა მეთაურმა.

ასე ჯობს. ამის რაღაც გამეგება. შემიძლია, ბევრი ველაპარაკო.

– შეყვარება, – ვთქვი მე. ოდესღაც ყველას გვყვარებია. როგორ შეუძლია ამის ასე გაბიაბრუება? დაცინვაც კი. თითქოს სიყვარული უმნიშვნელო რამ იყოს, ქარაფშუტობა, კაპრიზი. არადა, პირიქით, ისეთი მძიმე იყო. ის იყო მთავარი; მისი წყალობით საკუთარ თავს შეიცნობდი; თუ ის არასოდეს გეწვეოდა, მუტანტად იქცეოდი, უცხოპლანეტელს დაემსგავსებოდი. ეს ყველამ იცოდა.

– შემიყვარდა, – ვამბობდით ჩვენ, – დავეცი.

ჩვენ დაცემული ქალები ვიყავით. და გვჯეროდა ამ დაცემის: მშვენიერის, აღმაფრენის მომნიჭებლის, თანაც, ასეთი საზარლის, მძაფრისა და მოულოდნელის. „სიყვარული ღმერთია“, – ამბობდნენ ერთ დროს; მაგრამ ჩვენ ერთიანად ამოვატრიალეთ ეს ცნება – სიყვარულიც, სამოთხის მსგავსად, უახლოესი ქუჩის კუთხეში გვეგულებოდა. რაც უფრო გვიჭირდა ჩვენ გვერდით მდგომი კაცის შეყვარება, მით უფრო გვჯეროდა სიყვარულის, როგორც განყენებულისა და ყოვლისმომცველის, არსებობა. ველოდით, როდის შეისხამდა იგი ხორცს. როდის განსხეულდებოდა სიტყვა.

და ხანდახან ასეც ხდებოდა, ცოტა ხნით. ამგვარი სიყვარული მოდის, მიდის და მერე მისი გახსენება ისევე ძნელია, როგორც ტკივილის. შეიძლება ერთ დღესაც შეხედო კაცს და გაიფიქრო: „მე შენ მიყვარდი“. გრამატიკული დრო იქნება წარსული, შენ კი – ერთიანად გაოგნებული, რომ ასეთი საოცარი, სახიფათო და სულელური რამ გადაგხდა თავს; და მიხვდები, ერთ დროს რატომ უყურებდნენ შენი მეგობრები ეჭვით ამ ყველაფერს.

ახლა კი ეს მოგონებები დიდი ნუგეშია.

ანდა ზოგჯერ, როდესაც ისევ გიყვარს და ისევ დაცემული ხარ, გაგეღვიძება შუაღამისას, როცა ფანჯრიდან შემომავალი მთვარის შუქი სახეზე აფენია და უპეები უფრო მუქი და ღრმად ჩაცვენილი უჩანს, ვიდრე დღისით და გაიფიქრებ: ვინ იცის, რას აკეთებს მარტო ან სხვა მამაკაცებთან ერთად? ვინ იცის, რაზე ლაპარაკობს ანდა საით უჭირავს გეზი? ვინ იცის, სინამდვილეში როგორია, ყოველდღიურობის წნეხქვეშ მოყოლილი.

ასეთ წუთებში უეჭველად გაიფიქრებ: ვაითუ, არ ვუყვარვარ?

ანდა გაგახსენდება გაზეთში წაკითხული ისტორიები შემთხვევით ნაპოვნ ქალებზე – უმეტესად ქალებზე, თუმცა ხანდახან კაცებსა და რაც ყველაზე უარესია, ბავშვებზეც – როგორ წააწყდნენ მათ თხრილებში, ტყეებსა თუ ყველასაგან მიტოვებული, გაქირავებული ოთახების მაცივრებში, გახდილებსა თუ ჩაცმულებს, წაბილწულსა თუ წაუბილწავს, მაგრამ ყოველთვის – მკვდრებს. ზოგიერთ ადგილას არ

უნდა გაგევლო, სიფრთხილე გამოგეჩინა, ფანჯრები და კარები ჩაგეკეტა, ფარდები ჩამოგეფარებინა, სინათლე ანთებული დაგეტოვებინა. ეს ლოცვას ჰგავდა; ასე მოიქცეოდი და იმედი გქონდა, რომ ის გიხსნიდა. და უმეტესწილად ასე ხდებოდა, ან ზოგჯერ ასეც ხდებოდა. ეს ამტკიცებდა, რომ ჯერაც ცოცხლები ვიყავით.

მაგრამ ამ განცდებს მხოლოდ ღამე იწვევდა და ისინი არაფრით უკავშირდებოდა შენს საყვარელ კაცს, ყოველ შემთხვევაში – დღის სინათლეზე. საყვარელ კაცს დღის სინათლეზე სისხლის კი არა, ოფლის ღვრას უკავშირებდი. ოფლი უნდა გეღვარა, რომ მუდამ მომხიბლავი ყოფილიყავი, ისევ საყვარელი კაცისთვის. თუ საკმარის ოფლს დაღვრიდი, ეგებ მასაც მოებაძა. ეგებ ერთად გეღვარათ ოფლი, თითქოს ოლიმპიადისათვის ემზადებოდით; თუ ამას ვერ შეძლებდით, რომელიმე თქვენგანი, ალბათ, კაცი, თავის გზაზე წავიდოდა, თან გაიყოლებდა საკუთარ სხეულს, რომელსაც შენ უკვე მიეჯაჭვე და დაგტოვებდა განადგურებულს, რასაც შენ ისევ ოფლისღვრით უნდა შებრძოლებოდი და თუ ვერ დაძლევდი, ესე იგი, მცდარ ნაბიჯებს დგამდი. მაშინ თვლიდნენ, რომ ყველაფერი, რაც შენს ცხოვრებაში ხდებოდა, შენივე დადებითი თუ უარყოფითი იმპულსებით იყო გამოწვეული.

– თუ რამე არ მოგწონს, შეცვალე, – შევუძახებდით ერთმანეთსა და საკუთარ თავს. ჰოდა, ვცვლიდით კაცებს, ერთს – მეორით. გამოცვლისას მტკიცედ გვჯეროდა, რომ მუდამ მოგებული ვრჩებოდით. ჩხირკედელები ვიყავით, მუდამ საკუთარ თავში ვიჩხრიკებოდით.

იმის გახსენებაც კი მაოცებს, თუ როგორ ვაზროვნებდით. თითქოს ჩვენთვის ყველაფერი ხელმისაწვდომი იყო, თითქოს არ არსებობდა დაბრკოლება, არც ბარიერი, თითქოს შეგვეძლო, უსასრულოდ გვეჭრა და გვეცვალა ჩვენი ცხოვრების კალაპოტი, ასე თვალდათვალ რომ ფართოვდებოდა. მეც ასეთი ვიყავი, მეც ასე ვიქცეოდი. ლუკი ჩემთვის პირველი მამაკაცი არ ყოფილა და ალბათ, არც უკანასკნელი იქნებოდა. არ იქნებოდა, ასე რომ არ გაეყინათ, არ გაექვავებინათ დროში, ცასა და მიწას შორის, ხეებს შუა ვარდნისას გაჩხირული.

ძველ დროში პატარა ფუთებით გიგზავნიდნენ ნივთებს, რომლებიც შენს კაცს სიკვდილისას თან ჰქონდა. დედაჩემისაგან ვიცი, რომ ომის პერიოდში ეს ჩვეულებრივი რამ იყო. ნეტავ, რამდენ ხანს უნდა ეგლოვათ, როგორ იყო დაწესებული? ნუთუ დარჩენილი ცხოვრება უნდა შეეწირათ იმისთვის, ვინცერთადერთ სიყვარულად მიაჩნდათ? და ის ჩემი სიყვარული იყო. ერთადერთი. არის, ვამბობ, არის, არის.

სულ ოთხი ასოა, შე გამოშტერებულო ქათამო, რით ვერ დაიმახსოვრე ეს ერთიბეწო სიტყვა?

სახეს სახელოებით ვიწმენდ. წინათ ასე არ მოვიქცეოდი, მაკიაჟის გადღაბნის შემეშინდებოდა, მაგრამ ახლა გასადღაბნი არაფერია. როგორი გამომეტყველებაც უნდა მქონდეს, ჩემთვის უხილავი – იგი შეულამაზებელია.

შენ უნდა მაპატიო. მე ლტოლვილი ვარ წარსულიდან და სხვა ლტოლვილთა მსგავსად, მეც ვივიწყებ იმ წესებსა და ჩვევებს, რომლებსაც გამოვექეცი თუ გამომაქციეს, და ახლა ყველა მათგანი ნაცარწაყრილი მეჩვენება, თუმცა, ყველა ჯერაც ძველებურად მაქვს აკვიატებული. როგორც თეთრგვარდიელი რუსები სვამდნენ ჩაის პარიზში, მეოცე საუკუნეში დაკარგულნი, მეც წარსულში დავეხეტები, ვცდილობ, გავიხსენო ის შორეული ბილიკები. ძალიან მალე მიჩუყდება გული, სულ აღარ ვგავარ საკუთარ თავს. მოვთქვამ. მოთქმა მოთქმაა და არა – ტირილი. სკამზე ვზივარ და ღრუბელივით მცვივა წვეთები.

ამიტომაც ლოდინია საჭირო. „მომლოდინე ქალებისათვის“ – ასე ეწერა ხოლმე მაღაზიებს, რომლებშიც ორსულთა ტანსაცმელი იყიდებოდა. მომლოდინე ქალი – თითქოს მატარებლის ბაქანზე იდგე. ლოდინიც ადგილია: ის ადგილი, სადაც დგახარ და ელი. ჩემთვის ეს ოთახია. სრულიად დაცარიელებული ვდგავარ, ფრჩხილებში ჩასმული. სხვა ადამიანებს შორის.

კარზე კაკუნი ისმის. კორა იქნება, ხელში ლანგრით.

მაგრამ ეს კორა არ არის.

– ნახე, რა მაქვს შენთვის, – მეუბნება სერენა ჯოი.

მე თავს ვწევ, ზემოთ და ირგვლივ ვიხედები, სკამიდან ვდგები და მასთან მივდივარ. მას ხელში ის უჭირავს, „პოლაროიდის“ ფოტო, ოთხკუთხედი და პრიალა. ესე იგი ჯერ ისევ არსებობს ასეთი ფოტოაპარატები. ალბათ, საოჯახო ალბომებიც იქნება შემორჩენილი, ოჯახის ყველა წევრის ფოტოთი; ოღონდ მათზე მხევლები არ იქნებიან აღბეჭდილნი. თუ ასე გაგრძელდა, ისტორიისათვის ჩვენ უხილავი დავრჩებით. მაგრამ ბავშვები კი ნამდვილად იქნებიან შიგ, ვინმეს ხომ უნდა მიხედონ ქვემო სართულზე მყოფმა ცოლებმა, ბუფეტებთან რომ იძიძგნებიან ჩვილთა შობის მოლოდინში.

– მხოლოდ ერთი წუთით შეგიძლია დახედო, – ამბობს სერენა ჯოი ხმადაბლა და საიდუმლოდ, – უნდა დავაბრუნო, სანამ მოისაკლისებენ.

ალბათ, რომელიმე მართამ უშოვა. ეტყობა, არსებობს მართათა ქსელი, რომელსაც რაღაც სასარგებლოს გაკეთება შეუძლია. კარგი ამბავია.

ფოტოს ვართმევ და ვატრიალებ. ნუთუ ის არის, ნუთუ ახლა ასეთია? ჩემი სიცოცხლე.

როგორ გაზრდილა და შეცვლილა. ოდნავ იღიმება, უკვე იღიმება და თეთრ კაბაში გამოწყობილი ძველ დროში პირველ ზიარებაზე მიმავალს ჰგავს.

დროს დრო არ დაუკარგავს. მან მე გადამრეცხა, ამომრეცხა მისი გონებიდან, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ქვიშის ქალი ვიყავი, იმ უდარდელი ბავშვის შექმნილი, მეტისმეტად ახლოს რომ მისულა ზღვასთან. ჩემი კვალიც კი წაშლილია მასში. მე ახლა ჩრდილად ვქცეულვარ, ამ ფოტოს გლუვი და პრიალა ზედაპირიდან შორს ვარ, ძალიან შორს. აჩრდილის აჩრდილი ვარ, ისეთი, მკვდარი დედები როგორადაც იქცევიან ხოლმე. მის თვალებში ვხედავ: მე იქ აღარ ვარ.

მაგრამ ის ნამდვილად არსებობს, თეთრი კაბა აცვია. იზრდება და ცხოვრობს. ნუთუ ეს დიდებული არ არის? ეს ხომ ღვთის წყალობა?

მაგრამ არ შემიძლია ამის გაძლება, არ შემიძლია ასე უკვალოდ გაქრობა. ჯობდა, არ მენახა ეს ფოტო.

პატარა მაგიდას ვუზივარ. სიმინდის ფაფას ვჭამ ჩანგლით. ჩანგალი და კოვზი მოაქვთ, დანა – არასოდეს. თუ ხორცი გვაქვს სადილად, წინასწარ მიჭრიან, თითქოს ხელგამხმარი ვიყო ანდა – უკბილო. მე კი არც ერთი ვარ და არც – მეორე. ჰოდა, სწორედ ამიტომაც არ მოაქვთ ჩემთვის დანა.

36

მე მის კარზე ვაკაკუნებ, ნებართვას ველოდები, სახეზე სასიამოვნო გამომეტყველებას ვიფენ და შევდივარ. ის ბუხართან დგას; ხელში თითქმის დაცლილი სასმისი უჭირავს. ჩვეულებრივ, ჩემს მისვლას ელის, რომ რამე სპირტიანი დალიოს, თუმცა, ვიცი, რომ ვახშმად ღვინოს მიირთმევენ ხოლმე. სახე წამოსწითლებია. ვცდილობ, გამოვიცნო, რამდენის დალევა მოასწრო.

– მოგესალმები, – მეუბნება ის, – ამ საღამოს როგორ გრძნობს თავს ჩემი მშვენიერი პატარა?

ორიოდე ჭიქა, როგორც მისი საგულდაგულოდ დაყენებული და მრავლისმთქმელი ღიმილი მახვედრებს. მლიქვნელობის ხასიათზეა.

– მშვენივრად, – ვპასუხობ.

– მზად ხარ ხანმოკლე თავშექცევისათვის?

– რა ბრძანეთ? – ვეკითხები დაბნეული. მისი საქციელი მაცბუნებს, არ ვიცი, სადამდე ან საით აპირებს შეტოპვას.

– ამ საღამოს შენთვის პატარა სიურპრიზი მაქვს, – ამბობს და იცინის; უფრო – ქირქილებს. ამ საღამოს ყველაფერი „პატარა“ აქვს. ყველაფერს კნინობითი ფორმით იხსენიებს, მეც კი, – ძალიან მოგეწონება.

– მაინც რა? – ვეკითხები. – ჩინური შაში? – ამგვარი რამეები ჩემთვის ნებადართულია; მას მოსწონს, როცა ასე მანებივრებს, განსაკუთრებით – რამდენიმე ჭიქის შემდეგ. უყვარს, როცა წესებს მარღვევინებს.

– უკეთესი, – მპასუხობს ის. ცდილობს, მისი ხმა მაცდუნებლად ჟღერდეს.

– ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ.

– კარგი, – ამბობს, საწერ მაგიდასთან მიდის და უჯრაში ხელს აფათურებს. მერე მიახლოვდება, ზურგს უკან ცალ ხელში რაღაცას მალავს.

– გამოიცანი.

– ცხოველია, ბოსტნეული თუ მინერალი? – ვეკითხები მე.

– ოო, ცხოველი, – ამბობს იგი მოგონილი სერიოზულობით, – ნამდვილი მხეცი. ზურგს უკან დამალულ ხელს წინ სწევს, მეჩვენება, თითქოს პეშვი მოიისფრო-ვარდისფერი ბუმბულით აქვს სავსე. მერე მუჭს შლის. ტანსაცმელი უნდა იყოს და თანაც, ქალის: იისფერი კილიტებით დაფარული დეკოლტეთი. კილიტებს პაწაწინა ვარსკვლავების ფორმა აქვს. თეძოებზე ამოჭრილ ხვრელებსა და გულისპირთან კაბას ბეწვი აქვს მოვლებული. ანუ კორსეტის ჩუქებაზე რომ ვფიქრობდი, მაინცდამაინც არ შევმცდარვარ.

ნეტავ სად ამოქექა ასეთი კაბა. წესით, ასეთი ტანსაცმელი განადგურებული უნდა იყოს. მმახსოვს, როგორ უჩვენებდნენ ამის შესახებ სხვადასხვა ქალაქში გადაღებულ რეპორტაჟებს ტელევიზიით. ნიუ-იორკში ამას „წმენდა მანჰეტენზე“ უწოდეს, ტაიმ-სკვერზე დანთებული კოცონების გარშემო შეგროვილი ბრბო გალობდა, ქალები, როგორც კი იგრძნობდნენ, რომ კამერა მათკენ იყო მიბრუნებული, ჰაერში მადლიერებით აღაპყრობდნენ ხელებს, სუფთად გაპარსული, სახეგაქვავებული ახალგაზრდა კაცები ცეცხლში უძახებდნენ ამოიღლიავებულ აბრეშუმს, ნეილონსა და ხელოვნურ ბეწვს, ლაიმისფერს, წითელსა და იისფერს; შავ სატინს, ოქროსფერ ფარჩას და ციმციმა ვერცხლს; ბიკინის ტრუსებსა და გამჭვირვალე ლიფებს, რომლებსაც კერტების დასაფარავად ვარდისფერი სატინი ჰქონდა ჩადგმული. მრეწველები, იმპორტიორები და ვაჭრები, მუხლებზე დავარდნილნი, საქვეყნოდ ინანიებდნენ, თავზე, დასჯილი სკოლის მოსწავლეების მსგავსად, ქაღალდის ქუდები ეხურათ, წითელი წაწერით: „სირცხვილი“.

მაგრამ შეუძლებელია, რაღაც მაინც არ გადარჩენოდა ამ საყოველთაო წვასა და ბუგვას, ყველაფერს ვერ მოიხელთებდნენ. როგორც ჩანს, ეს კაბაც ისე ჩაიგდო ხელში, როგორც ძველი ჟურნალები – უპატიოსნო გზით: შავი ბაზრის სუნად ყარს ეს

ყველაფერი. თან ეს კაბა ახალი არ არის, ჩემამდე ვიღაცას სცმია. ქსოვილი იღლიის ქვეშ მოჭმუჭნილი და ოდნავ დალაქავებულია ვიღაც უცხო ქალის ოფლით.

– თვალის ზომით ვიყიდე, – ამბობს ის, – იმედია, მოგერგება.

– გნებავთ, რომ ეს ჩავიცვა? – ვამბობ. ვიცი, რომ ჩემს ხმაში შებოჭილობა, ამრეზა იგრძობა. თუმცა, ვერ ვიტყვი, თითქოს ეს იდეა არ მხიბლავდეს. არასოდეს მცმია ასეთი მოღეღილი კაბა, ასეთი ბრჭყვიალა და თეატრალური, ალბათ, სწორედ ძველი თეატრის კოსტიუმია, ანდა რომელიმე მიწის პირისაგან აღგვილი ღამის კლუბის მომღერლის კაბა; ამის მსგავსი მხოლოდ საცურაო ბიკინი თუ მცმია ანდა ატმისფერი ფურჩალებით მორთული ატლასის ღამის პერანგი, ლუკმა რომ მიყიდა ერთხელ. და მაინც, ძალიან მაცდუნებელია ამგვარი ტანსაცმელი, ბავშვივით წაგძლევს სული, რომ ჩაიცვა. ალბათ, ისეთი შრიალა იქნება, ისე სარკასტულად დასცინებს დეიდების ფილოსოფიას, ისეთი ცოდვილი იქნება, ისეთი თავისუფალი. თავისუფლებაც, როგორც სხვა ყველაფერი, ხომ შედარებითია.

– კარგი, – ვამბობ მე, არ მინდა, სულსწრაფობა შემეტყოს. მინდა, იფიქროს, რომ მისი ხათრით ვაკეთებ ამას. აი, ახლა შეიძლება მივუახლოვდეთ მას, მის ღრმად დამარხულ ნამდვილ სურვილებს. ნუთუ კარს უკან მათრახი აქვს გადამალული? ნუთუ ბორკილებსაც გამოაჩენს და ან მე, ან საკუთარ თავს საწერ მაგიდასთან მიგვაბამს?

– ეს – შესანიღბად, – მეუბნება ის, – მაკიაჟის გაკეთებაც საჭიროა; აი, რაღაცები წამოგიღე, უამისოდ იქ არ შეგიშვებენ.

– სად? – ვეკითხები.

– ამაღამ მე და შენ უნდა გავერთოთ.

– გავერთოთ? – მოძველებული ფრაზაა. თავს დავდებ, აღარ არსებობს ადგილი, სადაც კაცი ქალს გასართობად წაიყვანს.

– ჰო, აქაურობას ცოტა ხნით უნდა გავექცეთ.

უთქმელად ვხვდები, რომ მისი შემოთავაზებული გართობა მისთვისაც

კი სახიფათოა; მიუხედავად ამისა, ყველგან წასასვლელად მზად ვარ, ყველაფერზე თანახმა ვარ, რაც ამ ერთფეროვნებას შეცვლის, მოვლენათა დამყაყებულ წესრიგს ნაცარტუტად აქცევს.

ვეუბნები, რომ არ მინდა, ჩაცმისას მიყუროს; შიშველი მის წინაშე ჯერაც უხერხულად ვგრძნობ თავს. მპასუხობს, რომ შებრუნდება და ასეც იქცევა, მე კი ვიხდი ფეხსაცმელს, კოლგოტსა და ბამბის ნიფხავს და ჩემი ძველი კაბის საფარველქვეშ ბუმბულების გროვას ვირგებ. მერე ძველ კაბას მთლიანად ვიშორებ და ახლის თხელ, კილიტებიან ზონრებს მხრებზე ვიწევ. ფეხსაცმელიც აქვეა, მოვარდისფრო-იისფერი, უზომოდ მაღალი ქუსლით. ზუსტად არაფერი მერგება, ფეხსაცმელი, ცოტა არ იყოს, დიდი მაქვს, კაბა წელში მიჭერს, მაგრამ არა უშავს, გამოდგება.

– ჩავიცვი, – ვეუბნები და ისიც ტრიალდება. სულელივით ვდგავარ; მინდა, სარკეში ჩავიხედო.

– მშვენიერია, – ამბობს ის, – ახლა სახეს მივხედოთ.

მხოლოდ პომადა მოუტანია, ძველი და გაბრტყელებული, რომელსაც ყურძნის ესენციის სუნი ასდის და კიდევ თვალის ფანქარი და ტუში. არც თვალის ჩრდილები, არც – ლოყების ფერი. მგონია, რომ აღარ მახსოვს, როგორ უნდა ამათი წასმა და მართლაც, თვალის შეღებვის პირველივე მცდელობისას ქუთუთოზე დიდი მოლურჯო ლაქა მრჩება, თითქოს ეს-ესაა, ვიღაცამ დამალილავა; მაგრამ მე მას ბოსტნეულის ზეთის ლოსიონით ვიშორებ და ხელახლა ვცდილობ. პომადას ღაწვებზეც ვისვამ და ხელით ვინაწილებ. სანამ მე ვცოდვილობ, ის ვერცხლისზურგიან ხელის სარკეს მიმარჯვებს. სერენა ჯოის სარკეს ვცნობ, როგორც ჩანს, მისი ოთახიდან აწაპნა.

მაგრამ თმას ვერაფერს ვუხერხებ.

– არაჩვეულებრივია, – ამბობს ის. ძალიან გამოცოცხლებულია; თითქოს წვეულებაზე წასასვლელად ვირთვებოდეთ.

ის გარდერობთან მიდის და კაპიუშონიანი მოსასხამი გამოაქვს. ცისფერია, ცოლების ფერი. ესეც სერენა ჯოის საკუთრება.

– კაპიუშონი სახეზე ჩამოიფარე, – მეუბნება ის, – ეცადე, მაკიაჟი არ გაგეთხუპნოს. ეს გამშვები პუნქტების გასავლელად არის საჭირო.

– კი მაგრამ, საშვი რომ არ მაქვს?

– შენ არ იდარდო, მე გიშოვე.

მზად ვართ.

ჩვენ მხარდამხარ მივიპარებით ჩაბნელებულ ქუჩებში. მეთაურს ჩემი მარჯვენა ხელი ჩაუბღუჯავს, თითქოს კინოში მიმავალი მოზარდები ვიყოთ. მე, როგორც კდემამოსილ ცოლს შეჰფერის, მჭიდროდ ვარ გახვეული ცისფერ ლაბადაში, თუმცა, თვალებზე ჩამოფხატული კაპიუშონის ქვემოდან ნიკის კეფას ვუყურებ. მას ქუდი სწორად ახურავს, ზურგი გაუმართავს, კისერი სწორად უჭირავს – ერთიანად გასწორებულა. მისი პოზა ჩემით უკმაყოფილებას გამოხატავს თუ მე მეჩვენება ასე? ნუთუ იცის, რა მაცვია ამ მოსასხამის ქვეშ, ნუთუ მან იშოვა ეს ყველაფერი? და თუ ასე იყო, რას გრძნობდა ამ დროს: სიბრაზეს, ვნებას თუ შურს? თუ ყველაფერს ერთად? ჩვენ რაღაც ნამდვილად გვაქვს საერთო: ჩვენ ორივე უხილავი ვართ და ორივე ჩვენ-ჩვენ ფუნქციას ვასრულებთ. ნეტავ, მან თუ იცის ეს? როდესაც მან მე და მეთაურს მანქანის კარი გაგვიღო, ვეცადე, მისი მზერა დამეჭირა, მეიძულებინა, რომ ჩემთვის შემოეხედა, მაგრამ მას თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერც მამჩნევდა. რატომაც არა? მშვენიერი სამუშაო აქვს – პატარ-პატარა დავალებებზე სირბილი, პატარ-პატარა თხოვნების შესრულება, რასაკვირველია, არ მოუნდება აუტკივარი თავის ატკივება.

გამშვები პუნქტები დაუბრკოლებლად გავიარეთ, ყველაფერი ისე იოლად გამოვიდა, როგორც მეთაურმა იწინასწარმეტყველა, თუმცა, მე მღელვარებისაგან ლამის ტვინში სისხლი ჩამექცა. ქვეშაფსია, მეტყოდა მოირა.

მეორე გამშვებ პუნქტს რომ გავცდით, ნიკმა იკითხა:

– აქ, სერ? – და მეთაურმაც უპასუხ:

– დიახ.

მანქანა ჩერდება და მეთაური მეუბნება:

– ახლა კი გთხოვ, მანქანის იატაკზე დაწვე.

– დავწვე? – ვამბობ.

– წინკარიდან უნდა შევიდეთ, – ამბობს ის, თითქოს ეს სიტყვები რამეს ნათელს ჰფენდეს. ვკითხე, სად მივდივართ-მეთქი, მაგრამ მითხრა, სიურპრიზიაო:

– აქ ცოლების მოყვანა არ შეიძლება.

ასე რომ, მე იატაკზე ვწვები და მანქანა კვლავ იძვრის. რამდენიმე წუთს ვერაფერს ვხედავ. მოსასხამში გახვეულს ძალიან მცხელა. ეს ზამთრის მოსასხამია და არა – საზაფხულო ლაბადა, თანაც ნაფტალინის სუნი ასდის. როგორც ჩანს, მან სხვენიდან ჩამოიღო იმ იმედით, რომ სერენა ვერაფერს შეამჩნევდა. მეთაური განზე სწევს ფეხებს, რომ ადგილი გამითავისუფლოს. მიუხედავად ამისა, შუბლი მაინც მის ფეხსაცმელებზე მიდევს. ადრე ასე ახლოს არასოდეს ვყოფილვარ მის ფეხსაცმელთან. ხოჭოს ჯავშანივით მაგარი და უდრეკი ტყავისა აცვია: შავი, გაპრიალებული, მოუტეხავი. თითქოს ფეხს საერთოდ არ ეხება.

ჩვენ კიდევ ერთ გამშვებ პუნქტს ვუახლოვდებით. მესმის ხმა, გაურკვეველი, პატივისცემით აღსავსე; ფანჯრის ელექტრონული ჩამკეტის აწევისა და ჩამოწევის ხმაც მესმის, როცა საშვებს უჩვენებენ. ამჯერად მათ ჩემს საშვს, ანუ ჩემს ვითომ საშვს არ უჩვენებს, რადგან მე აღარ ვარსებობ. ჯერჯერობით აღარ.

შემდეგ მანქანა კვლავ იძვრის, კვლავ ჩერდება და მეთაური წამოდგომაში მეხმარება.

– უნდა ვიჩქაროთ, – მეუბნება, – ეს უკანა შესასვლელია. წამოსასხამი ნიკს დაუტოვე. ჩვეულებრივ დროს მოდი, – ახლა ნიკს უბრუნდება. ესე იგი აქ პირველად არ არის.

მეხმარება, რომ წამოსასხამიდან გამოვძვრე; მანქანის კარი ღიაა. მე თითქმის შიშველ ტანზე ნიავის შემობერვას ვგრძნობ და ვხვდები, როგორ გავოფლილვარ. მანქანის კარის დასაკეტად რომ

ვტრიალდები, სარკიდან გამოპარებულ ნიკის მზერას ვიჭერ. ის მიყურებს. ნუთუ მართლა ზიზღი აწერია სახეზე? თუ გულგრილობა? იქნებ სწორედ ამას ელოდა ჩემგან?

ჩვენ წითელი აგურით ნაშენებ თანამედროვე შენობის უკან ხეივანს მივუყვებით. კარს უკან თუნუქის ცარიელი ქილებია დახვავებული დადამწვარი ქათმის ხორცის სუნი დგას. მეთაური უბრალო, ნაცრისფერი და კედელთან შეხამებული, ჩემი აზრით, რკინის, კარის გასაღებს იღებს. კარს მიღმა ბეტონისფილებიანი დერეფანია, რომელსაც ჭერიდან ფლუორესცენტული სინათლე ეფინება; თანამშრომელთა შესასვლელს ჰგავს.

– მოვედით, – ამბობს მეთაური და მაჯაზე რეზინის ლენტზე დამაგრებულ მეწამულ იარლიყს მაკრავს, რომლის მსგავსსაც ადრე აეროპორტებში ბარგზე ამაგრებდნენ.

– თუ ვინმემ რამე გკითხოს, უთხარი, რომ ერთი ღამით ხარ დაქირავებული, – ამბობს ის, შიშველ მკლავზე ხელს მკიდებს და წინ მიშვებს. ერთი, სარკე მომცა – მაინტერესებს, როგორ მისვია პომადა, ბუმბულები ძალიან სასაცილო ხომ არ არის ან – ძალიან ჭუჭყანი. ასეთ შუქზე, ალბათ, სულ წითლად ვკვასკვასებ. თუმცა, უკვე გვიანია.

– იდიოტო! – მეუბნება მოირა.

37

ჩვენ დერეფანს ვჭრით, სხვა ბრტყელ ნაცრისფერ კარს ვაღებთ და სხვა დერეფანში გავდივართ. ეს სოკოსავით მოყავისფრო-ვარდისფრად არის შეფერილი და ოდნავ განათებული, იატაკზე ხალიჩაც დაუფენიათ. აქ უამრავი კარია, ზედ წაწერილი რიცხვებით. ას ერთი, ას ორი... როგორც ჭექა-ქუხილისას ითვლი ხოლმე, რომ მიხვდე, აგცდა თუ არა მეხი. აქაურობა სასტუმრო უნდა იყოს. ერთ-ერთი კარიდან სიცილი აღწევს, მამაკაცისა და ქალის. დიდი ხანია, ეს ხმები აღარ მსმენია.

ჩვენ ცენტრალურ შიდა ეზოში გავდივართ. ის ფართოა, შენობა – მაღალი: რამდენიმესართულიანი და მინის სახურავით გადახურული. შუაგულში შადრევანი მოჩანს, მრგვალი შადრევანი, რომელიც წყალს ბაბუაწვერას თესლებივით აფრქვევს. აქა-იქ ქოთნის მცენარეები მოჩანს, აივნებიდან ვაზი ეშვება. ოვალურკედლებიანი შუშის ლიფტები გიგანტური მოლუსკებივით დასრიალებენ კედელზე აღმა-დაღმა.

ეს ადგილი მეცნობა. ადრეც ვყოფილვარ აქ, ლუკთან ერთად, დიდი ხნის წინ, ჩვენი შუადღის პაემნებისას. ახლა აქაურობა ქალებით არის სავსე.

მე უძრავად ვდგავარ და მათ მივჩერებივარ. აქ მე ცქერა შემიძლია, გარემოს დათვალიერება, თეთრი თავსაბურავი აღარ მებლანდება თვალებში. მის გარეშე თავი საოცრად მემსუბუქება; თითქოს ტვირთი მოაშორესო, ყოფის ტვირთი.

ქალები სხედან, გადაწოლილან, მიდი-მოდიან, ერთმანეთს ეყუდებიან. მათ შორის კაცები ირევიან, ბევრი კაცი, თუმცა, ერთნაირ უნიფორმებსა და კოსტიუმებში გამოწყობილნი ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ მხოლოდ ფონად თუ გამოდგებიან. ქალები კი პირიქით, ტროპიკულ ჩიტებს მაგონებენ, ელვარე საზეიმო ტანსაცმელი მოსავთ. ზოგიერთს ჩემსავით აცვია: ბუმბულები და კილიტები, მოშიშვლებული თეძოები და ღრმად ამოჭრილი გულისპირი. ზოგი ძველი დროის საცვლებშია გამოწყობილი, მოკლე

ღამის პერანგში, გამომწვევ პიჟამებში; ნეგლიჟეც მხვდება თვალში. რამდენიმეს საცურაო კოსტიუმი აცვია, მთლიანი ან ბიკინი; ერთს ყაისნაღით ნაქსოვი კაბა მოსავს და ძუძუების დასაფარავად ესკალოპის დიდი ნიჟარები ჩაუდგამს. ზოგს სპორტული შორტი და თასმებით შეკრული ზედა აცვია, ზოგსაც სავარჯიშო ფორმა – აი, ისეთი, ტელეგადაცემებში რომ ეცვათ ხოლმე, ტანზე მჭიდროდ მომდგარი, ბაცი, ნაქსოვი წვივსაკრავებით. ზოგს ქომაგთა გუნდის ფორმა უპოვია – მოკლე უჯრედებიანი ქვედაბოლო და მკერდზე მსხვილშრიფტიანი წარწერა. ვხვდები, რომ ყველას იმით მოუწია დაკმაყოფილებამ, რაც სხვებს გადაურჩა ან ხელიდან გამოსწიწკნეს. მაკიაჟის გარეშე არავინაა და ახლაღა ვხვდები, როგორ გადასჩვევია ჩემი თვალი მას: შეღებილი თვალები მეტისმეტად დიდი მეჩვენება, მეტისმეტად ჩამუქებული და მოციმციმე, ტუჩები – მეტისმეტად წითელი, მეტისმეტად სველი, დასისხლიანებული და მოლაპლაპე; ანდა, უკეთ რომ ვთქვა, კლოუნისებური.

ერთი შეხედვით, მხიარული სანახაობაა. კარნავალს ჰგავს; თითქოს გოლიათი ბავშვები არიან, რომლებსაც სკივრში ამოქექილი ძველმანები გადაუცვამთ. ნუთუ ეს სახალისოა? არა, სახალისო კი არის, ოღონდ ნუთუ ამათთვისაც? ერთი შეხედვით ვერც გაიგებ.

ძალიან ბევრი დუნდული ირევა აქ. არადა მათ, კარგა ხანია, გადავეჩვიე.

– ეს წარსულში გასეირნებას ჰგავს, – მეუბნება მეთაური. მისი ხმა კმაყოფილებით, სიამითაც კი ჟღერს, – არ მეთანხმები?

ვცდილობ, გავიხსენო, მინახავს თუ არა წარსულში ასეთი რამ. მგონი, არა. მახსოვს, რომ წარსულში ეს ყველაფერი არსებობდა, მაგრამ სხვაგვარად შეზავებული. ფილმი გარდასულზე ზუსტად არასოდეს ასახავს გარდასულს.

– დიახ, – ვამბობ. შეგრძნებები ერთმანეთში მერევა. რა თქმა უნდა, ამ ქალების არსებობა არც მაძრწუნებს და არც – მაოგნებს. ისინი სკოლიდან გამოპარულ ბავშვებს მაგონებენ. საზოგადოებრივი მრწამსი უარყოფს მათ, უარყოფს მათ არსებობასაც კი, თუმცა, ისინი არსებობენ. ბოლოს და ბოლოს, ესეც რამეა.

– ნუ მიშტერებიხარ, – მეუბნება მეთაური, – თავს გაამჟღავნებ. ბუნებრივად მოიქეცი, – ის კვლავ წინ მიბიძგებს. ვიღაც კაცმა იგი შენიშნა, ესალმება და ჩვენკენ მოიწევს. მეთაური იდაყვზემოთ უფრო მაგრად მიჭერს.

– გამაგრდი, – მეუბნება, – ნერვებმა არ გიღალატოს.

ბევრი არაფერიგევალება, ვეუბნები საკუთარ თავს, მოკეტე და ბრიყვული გამომეტყველება აიფარე. არ გაგიჭირდება.

მეთაური ჩემს ნაცვლად ლაპარაკობს იმ კაცთანაც და სხვებთანაც, რომლებიც მას მოჰყვნენ. ჩემზე თითქმის არაფერს ამბობს, არც არის საჭირო. თქვა, რომ ახალი ვარ. მათაც შემომხედეს, გვერდით გაიხედეს და სხვა თემებზე გადაიტანეს საუბარი. ჩემი ჩაცმულობა თავის საქმეს აკეთებს.

იგი ისევ ბღუჯავს ჩემს მკლავს და საუბრისას შეუმჩნევლად სწორდება, გულმკერდი უფართოვდება, ხმას სულ უფრო ემატება ახალგაზრდული სიხალისე და რიხი. მეჩვენება, რომ ამ ხალხის წინაშე ჩემით თავს იწონებს და ამას ისინიც ხვდებიან. თავაზიანად იქცევიან, ხელებს არ მიფათურებენ, მაგრამ გულმოდგინედ მითვალიერებენ მკერდს, ფეხებს, თითქოს თავშეკავება არც მოეთხოვებათ. მაგრამ მეთაური მეც მაწონებს თავს. მაჩვენებს, რომ იგი ამ სამყაროს ბატონ-პატრონია. წესებს არღვევს, ამათი თანდასწრებით, ცხვირზე ცერმიჭერილი თითებს გამოსაჯავრებლად უქნევს ყველას და ყურებზე ხახვსაც ვერავინ აჭრის. შეიძლება მას უკვე დაუდგა ძალაუფლებით მოწამვლის ის ხანა, რომელიც ადამიანს აფიქრებინებს, რომ შეუცვლელია და უფლება აქვს, ყველაფერი აკეთოს, რაც მოეპრიანება, ყველაფერი. ორჯერ, როცა ჰგონია, რომ არავინ უყურებს, თვალს მიკრავს.

მისი საქციელი ბავშვური მამლაყინწობაა, უბადრუკი სანახაობა. მაგრამ მე მესმის მისი.

გული იჯერა თუ არა, ისევ წინ გამიძღოლა, რბილი, ყვავილებიანი დივნისაკენ, რომლის მსგავსიც ადრე სასტუმროების ვესტიბიულებში იდგა ხოლმე. მახსოვს კიდეც ამ ვესტიბიულის ყვავილებიანი დიზაინი, ვარდისფერი ყვავილები „არტ ნუვო“ მუქლურჯ ფონზე.

– ვიფიქრე, ამ ფეხსაცმელში ფეხები დაგეღლებოდა, – მეუბნება და არც ცდება. მადლიერებით შევყურებ და ვჯდები. ისიც ჩემ გვერდით იკალათებს. მხრებზე ხელს მხვევს. ჩემს კანს, ბოლო დროს ასე რომ გადასჩვევია ვინმეს შეხებას, უმოწყალოდ ხეხავს მისი პიჯაკის ქსოვილი.

– აბა, – მეკითხება ის, – რას ფიქრობ ჩვენს პატარა კლუბზე?

მე ისევ ვავლებ თვალს იქაურობას. კაცები საზოგადოება არც ისეთი ერთფეროვანია, როგორც თავიდან მომეჩვენა. შადრევანთან ღია ნაცრისფერ პიჯაკებში გამოწყობილი იაპონელები შეჯგუფებულან, შორეულ კუთხეში კი სითეთრე მოგჭრით თვალს – თავიანთ თეთრ ხალათებში გახვეული არაბები, თავსაბურავებზე წაჭერილი ზოლიანი თავსაკრავებით.

– ეს რა, კლუბია? – ვკითხულობ მე.

– ჰო, შინაურობაში კლუბს ვეძახით.

– მეგონა, ამგვარი დაწესებულებები მკაცრად იყო აკრძალული, – ვამბობ მე.

– ოფიციალურად კი, – ამბობს ის, – მაგრამ ჩვენ ხომ ადამიანები ვართ, ბოლოს და ბოლოს.

ველოდები, როდის განმიმარტავს ნათქვამის მნიშვნელობას, მაგრამ არ აპირებს, ამიტომაც ვეკითხები:

– ეს რაღას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებას ვერ მოატყუებ, – ამბობს ის, – ბუნება კაცის პოლიგამიურობას ითხოვს. ეს გონივრულია, ეს მისი გამრავლების სტრატეგიის ნაწილია, ბუნების ჩანაფიქრი, – მე არაფერს ვპასუხობ და იგი აგრძელებს: – ქალები ამას ინსტინქტით გრძნობენ. რატომ ყიდულობდნენ ათასგვარ ტანსაცმელს ძველ დროს? ამ ხერხით ცდილობდნენ კაცებისთვის შთაეგონებინათ, რომ მათ წინაშე რამდენიმე ქალი იყო. ყოველდღე სხვადასხვა.

ამას ისე ამბობს, იფიქრებ, რომ საკუთარი ნათქვამი სჯერა, თუმცა,

იგი ბევრ რამეს ამბობს ამგვარად. შეიძლება სჯერა კიდეც, შეიძლება – არა, შეიძლება – კიც და არაც. ვერასოდეს გაიგებ, რას ფიქრობს იგი სინამდვილეში.

– ასე რომ, ახლა აღარ გვჭირდება სხვადასხვა ტანსაცმელი, – ვამბობ მე, – თქვენ ხომ ისედაც ყოველდღე სხვადასხვა ქალთან ყოფნა შეგიძლიათ, – ირონიულად ვუმატებ, მაგრამ ის ვერ ხვდება.

– ეს უამრავ პრობლემას წყვეტს, – ამბობს წარბშეუხრელად.

აღარაფერს ვპასუხობ. ვგრძობ, რომ თანდათან გულს მირევს. თითქოს გავიყინე და საღამოს დიდი სიამოვნებით გავატარებდი შუბლშეკრული, სრულიად მდუმარე, მაგრამ მშვენივრად ვიცი, რომ ვერ შევძლებ – ჩვენ ხომ აქ გასართობად ვართ.

ყველაზე მეტად ქალებთან მინდა საუბრის გაბმა, მაგრამ ვგრძნობ, ეს იოლი არ იქნება.

– ვინ არის ეს ხალხი? – ვეკითხები მე.

– აქაურობა მხოლოდ ოფიცრებისთვისაა განკუთვნილი, – მეუბნება იგი, – ყველა განყოფილების ოფიცრებისა და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისთვის. სავაჭრო დელეგაციებისთვისაც, რა თქმა უნდა. ეს კარგი ადგილია ადამიანებთან შესახვედრად. ამის გარეშე ბიზნესის განვითარება შეუძლებელია. ვცდილობთ, ისეთივე გარემო დავახვედროთ, როგორიც სხვაგან უნახავთ. გარდა ამისა, აქ ძალიან იოლია ინფორმაციის მოპოვება. ხანდახან კაცები ქალებს ისეთ რამეებს ეუბნებიან, რასაც სხვა კაცს არ გაუმხელდნენ.

– არა, – ვამბობ მე, – ქალებზე გეკითხებით.

– აა, – ამბობს ის, – ზოგიერთი მათგანი ნამდვილი კახ... სექსმუშაკია, – იცინის, – ძველი დროიდან შემორჩენილი. მათთვის ახალ საზოგადოებაშიადგილის პოვნა შეუძლებელი იყო; თანაც უმეტესობას აქ ყოფნა ერჩივნა.

– და სხვები?

– სხვები? – მეუბნება ის, – რა ვიცი, ათასი ჯურის არიან. აი, ის,

მაგალითად, მწვანეტანსაცმლიანი, სოციოლოგია. თუ იყო. ეს მეორე იურისტია, იქით რომ ქალი დგას, ის ბიზნესის ადმინისტრატორი გახლდა; სწრაფი კვების ობოექტების ქსელისა თუ სასტუმროებისა, აღარ მახსოვს. როგორც მითხრეს, ძალიან სასიამოვნო მოსაუბრეა, თუკი ვინმეს მხოლოდ საუბარი სურს, უკეთესს ვერ ინატრებს. მათაც აქ ყოფნა არჩიეს.

– რას არჩიეს? – ვამბობ მე.

– სხვა შესაძლებლობებს, – ამბობს იგი, – შეიძლება შენც აქაურობა გერჩიოს იმას, რაც ახლა გაქვს, – ამბობს თვალთმაქცურად, ანკეესს მიგდებს, ქათინაური უნდა, გამომტყუოს და მე ვხვდები, რომ ჩვენი საუბრის სერიოზული ნაწილი დასრულდა.

– არ ვიცი, – ვამბობ მე, თითქოს მართლა ვყოყმანობდე, – მძიმე სამუშაო ჩანს.

– ერთი რამ შემიძლია დაბეჯითებით გითხრა: გასუქებას აგიკრძალავენ, – მეუბნება ის, – მაგისთვის მკაცრი სასჯელია. ათ ფუნტს მოიმატებ თუ არა, სამარტოო საკანში ჩაგსვამენ, – ნუთუ ხუმრობს? ალბათ, მაგრამ არ მინდა, ვიცოდე.

– აბა, – მიყურებს, – თუ გინდა, აქაურობის სულისკვეთება იგრძნო, ცოტა უნდა დალიო.

– დალევა მეკრძალება, – ვეუბნები, – თქვენც კარგად იცით.

– ერთხელ შეიძლება, – მპასუხობს იგი, – თანაც, თუ არ დალევ, დაეჭვდებიან. აქ ალკოჰოლსა და ნიკოტინს არავინ კრძალავს. ხომ ხედავ, აქაურობასაც აქვს თავისი უპირატესობა.

– კარგი, – ვთანხმდები მე. გულისგულში ძალიანაც მინდა დალევა – რამდენი წელია, ალკოჰოლი აღარ გამისინჯავს.

– რას ინებებ? – მეკითხება ის, – აქ ყველაფერი გვაქვს, თანაც უცხოური.

– ჯინი ტონიკით, – ვეუბნები მე, – ოღონდ, გთხოვთ, სუსტი ნაზავი. არ მინდა, თავი მოგჭრათ.

– შეუძლებელია, შენ თავი მომჭრა, – სიცილით დგება. უცებ, ჩემდა გასაოცრად, ჩემს ხელს იღებს და მკოცნის, ხელისგულზე. შემდეგ ბრუნდება და ბარისკენ მიდის. შეეძლო, რომელიმე მიმტანისთვის დაეძახა, აქ რომ ტრიალებენ ერთნაირ შავ, მოკლე ქვედაბოლოებში გამოწყობილნი და მკერდზე პომპონებმიმაგრებულნი, მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, ძნელად მოსახელთებელნი არიან.

მოულოდნელად მოირას ვხედავ. ორ სხვა ქალთან ერთად დგას, შადრევნის შორიახლოს. ვუყურებ, რათა დავრწმუნდე, რომ ნამდვილად ის არის; ოღონდ შიგადაშიგ, თვალის სწრაფი შევლებით, ისე, რომ ვერვინ შეამჩნიოს.

ძალიან უგემოვნოდ აცვია. ოდესღაც მბზინავ სატინს, რომელიც ახლა საწყალობლადაა გაცვეთილი, ბრეტელები არ აქვს, შიგნიდან გამოკრული კორსეტი მკერდს მაღლა სწევს, მაგრამ ვინაიდან მოირას კაბა დიდი აქვს, ცალი ძუძუ გამობერვია, მეორე – დასჩუტვია. დროდადრო გაუაზრებლად იკიდებს ხელს გულისპირთან, ზემოთ ექაჩება. როცა ოდნავ გვერდზე ტრიალდება, ვხედავ, რომ მის კოსტიუმს უკან რაღაც დაგუნდავებული ბამბა აქვს მიმაგრებული; ერთი შეხედვით ჰიგიენურ საფენს ჰგავს, რომელიც პოპკორნის მარცვალივით დაბატეს. ვხვდები, რომ ეს რაღაც კუდი უნდა იყოს. თავზე ყურები აქვს დამაგრებული, კურდღლის თუ ირმის, ვერ მიხვდები; ცალ ყურს მავთული დაჰკარგვია და ნახევრად ჩამოგდებული აქვს. ყელზე შავი ხავერდის ბაფთა გამოუნასკვავს, შავი ბადიანი კოლგოტი და შავი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია. არადა მაღალქუსლიანები ყოველთვის ჭირივით სძულდა.

ეს გაცვეთილი და ახირებული ჩაცმულობა ძველი დროიდან რაღაცას მახსენებს, მაგრამ რას? რომელიმე სპექტაკლს? მუსიკალურ კომედიას? სააღდგომოდ კურდღლის ფორმაში გამოწყობილი გოგონები. მაგრამ აქ რატომ უნდა ეცვათ ქალებს ასე? რატომ უნდა იყოს კურდღელი მამაკაცებისათვის სექსუალურად მიმზიდველი? როგორ შეიძლება, ამ გაუბედურებულმა კოსტიუმმა ვინმე აცდუნოს?

მოირა სიგარეტს ეწევა, ერთ ნაფაზს არტყამს და ღერს გვერდით მდგომ ქალს აწოდებს, რომელსაც წითელი კილიტები უელავს, გრძელი, მოხატული კუდი აქვს მიმაგრებული და ვერცხლისფერი რქები ადგას. ეშმაკის კოსტიუმი. მოირა მავთულებით შეკრულ

მკერდქვეშ გულხელს იკრეფს. ხან ერთ ფეხზე დგება, ხან – მეორეზე, როგორც ჩანს, ფეხები ძალიან სტკივა. ხერხემალი ოდნავ გამოზნექია. უგულისყუროდ, უაზროდ ათვალიერებს მიდამოს, ალბათ, ყელში აქვს აქაურობა ამოსული.

მინდა, დამინახოს, შემამჩნიოს, მაგრამ მისმა მზერამ ისე გულგრილად გადამისრიალა რამდენჯერმე, თითქოს პალმის ხე ვიყო, ან – სკამი მის ქვეშ. ის აუცილებლად უნდა შემოტრიალდეს, თორემ გავგიჟდები, უნდა დამინახოს, სანამ რომელიმე კაცი მიაკითხავდეს, სანამ გაუჩინარდებოდეს. მასთან მდგარ ქალთაგან ერთ-ერთი, ქერათმიანი და ვარდისფერ, ბეწვისქობებჩამოგლეჯილ პენუარში გამოწყობილი, უკვე მოიწონეს, უკვე შეიყვანეს შუშის ლიფტში, უკვე მიეფარა თვალს. მოირა ისევ ყელყელაობს, ალბათ, პოტენციურ კლიენტებს ათვალიერებს. ალბათ, ძალიან ძნელია აქ ასე მათხოვარივით დგომა, თითქოს დამამთავრებელი კლასის მეჯლისზე იყო და ყველა თვალს გარიდებდეს. როგორც იქნა, თვალი მკიდა. ის მე მხედავს.მაგრამ იცის, რომ არ უნდა შეიმჩნიოს.

ჩვენ ერთმანეთს მივჩერებივართ, არაფრისმთქმელი, უმეტყველო სახეებით. შემდეგ ის ოდნავ არხევს თავს, შეუმჩნევლად მანიშნებს მარჯვნივ. წითელკოსტიუმიან ქალს სიგარეტს ისევ ართმევს, პირში იდებს და ხელს რამდენიმე წამით ჰაერში აშეშებს, ხუთივე თითი გამოშვერილი აქვს. მერე კი ზურგს მაქცევს.

ეს ჩვენი ძველი დათქმაა და ნიშნავს, რომ ხუთ წუთში უნდა ვიყო ქალების საპირფარეშოში, რომელიც სადღაც მარჯვნივაა. მე თვალს ვავლებ იქურობას, მაგრამ საჭირო ოთახის აბრას ვერ ვპოულობ. მეთაურის გარეშე კი ვერ წამოვდგები და ბურიალს ვერ მოვყვები. მე არ ვიცნობ აქაურობას, აქაურ მიხვეულ-მოხვეულებს, შეიძლება ვიღაცამ ჩამავლოს.

ერთი წუთი, ორი. მოირა აუჩქარებლად მიემართება მარჯვნივ, წინ იყურება. ალბათ, იმედი აქვს, რომ მივუხვდი და უკან გავყვები.

მეთაური ბრუნდება, ხელში ორი სასმისი უჭირავს. იმ ჩამომღიმის, სასმელს დივნის წინ მდგარ შავ გრძელ ჟურნალების მაგიდაზე დგამს და ჯდება.

– კარგად ერთობი? – მეკითხება. ძალიან უნდა, გავერთო. აქ ხომ ამისთვის მომიყვანა.

მე ვუღიმი.

– აქ საპირფარეშო არის? – ვეკითხები.

– რა თქმა უნდა, – მეუბნება და სასმელს წრუპავს. არ მიჩვენებს, საით უნდა წავიდე.

– საპირფარეშოში მინდა, – გონებაში უკვე წუთებს კი არა, წამებს ვითვლი.

– იქითაა, – თავს იქნევს.

– ვინმემ რომ გამაჩეროს, რა ვქნა?

– შენი იარლიყი აჩვენე, – მეუბნება, – და ყველაფერი მოგვარდება. მიხვდებიან, რომ შემოყვანილი ხარ.

მე ვდგები და ოთახში მივბორძიკობ. შადრევანთან ფეხი მიბრუნდება, თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ დავეცე. ქუსლების ბრალია. თუკი მეთაურის მკლავს არ ვეყრდნობი, წონასწორობის შენარჩუნება მიჭირს. რამდენიმე კაცის მზერას ვგრძნობ, მაგრამ ისინი უფრო გაკვირვებით მიყურებენ, ვიდრე – ვნებით. თავს სულელურად ვგრძნობ. იდაყვში მოხრილ მარცხენა მკლავს დემონსტრაციულად ვწევ წინ, ისე, რომ იარლიყი კარგად გამოჩნდეს. არავინ არაფერს მეუბნება.

38

ქალების საპირფარეშოს შესასვლელს იოლად ვპოულობ. მას ოქროსფერი ხვეული ასოებით ჯერ კიდევ აწერია „ქალთა“. კარამდე დერეფანია გასავლელი, სადაც მაგიდას ქალი მისჯდომია და შემსვლელ-გამომსვლელს აღრიცხავს. ხანშიშესული ქალია, წითელი ხიფთანი აცვია და ქუთუთოები ოქროსფრად აქვს შეღებილი. მიუხედავად ამისა, თავს დავდებ, რომ დეიდაა. ელექტროსახრე მაგიდაზე უდევს, მისი ჩამოსაკიდებელი ღვედი წელზე აქვს შემორტყმული. სისულელეები არ გააგონოთ!

– თხუთმეტი წუთი, – მეუბნება ის და მაგიდაზე დახვავებულ მუყაოს მეწამულ ოვალთაგან ერთ-ერთს მაძლევს, თითქოს ძველი დროის სავაჭრო ცენტრის ტანსაცმლის გასასინჯ ოთახში ვიყოთ, მერე კი ჩემ უკან მომავალ ქალს უღრენს:

– ახლა არ იყავი აქ?

– ისევ მჭირდება შესვლა, – ამბობს ქალი.

– ტუალეტში შესვლა საათში ერთხელ შეიძლება, – ამბობს დეიდა, – შენც კარგად მოგეხსენება.

ქალი ჩუმი, სასოწარკვეთილი ხმით გამოთქვამს უკმაყოფილებას. მე ტუალეტის კარს ვაღებ.

მახსოვს აქაურობა. ეს დასასვენებელი ოთახია, მოვარდისფრო შუქით განათებული. აქ ბამბუკის ლაიმისფერი ყლორტებით მოჩითული რამდენიმე რბილი სავარძელი და დივანი დგას. მათ ზემოთ მოოქროვილი ფილიგრანის ჩარჩოიანი კედლის საათი კიდია, მოგრძო სარკეც არ გაუტანიათ – თავის ადგილზეა, დივნის პირდაპირ. აქ აუცილებელია, იცოდე, როგორ გამოიყურები. იქით, თაღოვან გასასვლელთან, ტუალეტის კაბინებია ჩამწკრივებული, ისინიც ვარდისფერი, იქვეა პირსაბანი ნიჟარები და ისევ სარკეები.

სავარძელსა და დივანზე რამდენიმე ქალი ზის, ფეხზე გაუხდიათ და

ეწევიან. შესვლისთანავე ყველა ჩემკენ ტრიალდება. ჰაერში სუნამოს, დაგუბებული კვამლისა და გადაღლილი ხორცის სუნი დგას.

– ახალი ხარ? – მეკითხება ერთი.

– ჰო, – ვამბობ მე და თვალებით მოირას ვეძებ, რომელიც არსად ჩანს.

ქალები არ იღიმებიან. ისინი ისეთი გამომეტყველებით ეწევიან, თითქოს სერიოზულ საქმეს აკეთებდნენ. უკანა ოთახში ხელოვნური ბეწვის ნარინჯისფერი კუდით დამშვენებულ კატის ფორმაში გამოწყობილი ქალი მაკიაჟს იახლებს. აქაურობა კულისებს ჰგავს: გრიმი, კვამლი, ყველაფერი, რაც ილუზიის შესაქმნელად არის საჭირო.

მე ვდგავარ და არ ვიცი, რა ვქნა. არ მინდა, მოირას ამბავი ვიკითხო, შეიძლება ეს საშიშიც იყოს. მერე უნიტაზის ჩარეცხვის ხმა ისმის დავარდისფერიკაბინიდან მოირა გამოდის. ჩემკენ მობანცალებს; მე მის ნიშანს ველოდები.

– ყველაფერი რიგზეა, – ამბობს ყველას გასაგონად, – ჩემი ნაცნობია.

ქალები იღიმებიან და მოირა გულში მიკრავს. მე ხელებს ვხვევ და მისი გულისპირიდან ამოჩრილი მავთული მკერდში მერჭობა. ერთმანეთს ვკოცნით, ჯერ ერთ ლოყაზე, მერე – მეორეზე. მერე უკან ვიხევთ.

– ღმერთო, უმოწყალოო, – ამბობს მოირა და იცინის, – ბაბილონელ მეძავს გავხარ.

– აბა, აქ ვის უნდა ვგავდე? – ვეკითხები მე, – შენ კი კატების ნათრევივით გამოიყურები.

– ჰო, – მეთანხმება იგი და გულისპირს იქაჩავს, – აშკარად არ არის ჩემი სტილი, თან ეს რაღაც, სადაცაა, ძაფებად დაიშლება.ნეტავ, ვინმე ისეთს ამოთხრიდნენ, ასეთების კეთება რომ ახსოვდეს. ეგება რამე ცოტა ნორმალური მღირსებოდა.

– ეს შენ ამოქექე სადმე? – ვეკითხები. მაინტერესებს, ეს რაღაც

თვითონ აარჩია თუ არა უფრო გაცვეთილი კოსტიუმებიდან. სხვების სამოსივით არ ყვირის, შავ-თეთრი მაინც არის.

– კი, როგორ არა! – მეუბნება ის, – მთავრობის განკარგულებაა. ალბათ, გადაწყვიტეს, რომ მეტის ღირსი არ ვარ.

არ მჯერა, რომ ნამდვილად მოირა დგას ჩემ წინ. ისევ ვკიდებ ხელს. მერე ტირილი მივარდება.

– არ გინდა! – მეუბნება მოირა. – ტუში გაგეთხაპნება. თანაც რა დროს ეგაა. დაახვიეთ! – მიმართავს იგი დივანზე მჯდომ ორ ქალს, თავისთვის ჩვეული მბრძანებლური, მკაცრი, დაუდევარი ტონით და როგორც ყოველთვის, გასდის.

– მაინც ჩემი წასვლის დროა, – ამბობს ერთი ქალი, რომელსაც „მხიარული ქვრივის“ ბაცი ცისფერი, ფურჩალებიანი კოსტიუმი და თეთრი კოლგოტი აცვია. ის დგება და ხელს მიქნევს:

– კეთილი იყოს შენი ფეხი.

მეორე ქალი მორჩილად მისდევს უკან და მე და მოირა დივანზე ვსხდებით. მაშინვე ფეხსაცმელს ვიხდით.

– აქ რა ჯანდაბას აკეთებ? – მეკითხება მოირა, – არ იფიქრო, შენი დანახვა არ მიხარია, მაგრამ შენი აქ მოხვედრა არ არის გასახარი. რა დააშავე? მისი კუტუს დანახვაზე სიცილით მოკვდი?

მე ჭერში ვიყურები:

– აქ სათვალთვალო კამერებია? – ვამბობ და თვალების გარშემო კანს ფრთხილად ვიწმენდ თითის წვერებით. ხელები მიშავდება.

– ალბათ, – ამბობს მოირა, – სიგარეტი გინდა?

– ძალიან, – ვეუბნები მე.

– ეი, შენ, – მიმართავს იგი გვერდით მჯდომ ქალს, – ერთი ღერი მასესხე, რა.

ქალი დაუყვედრებლად აწვდის სიგარეტს. მოირა ძველებურად ყოჩაღად ყაჩაღობს. ამაზე მეღიმება.

– თუმცა, შეიძლება არც გვისმენდნენ, – მეუბნება მერე, – ნეტავ, რაში უნდა აინტერესებდეთ ჩვენი პუტუნი. რას ვიტყვით ისეთს, რაც მათ არ გაუგონიათ. თანაც აქედან მხოლოდ შავი ფურგონით თუ გააღწევს ვინმე. თუმცა, ალბათ, ეს შენც იცი, რადგან აქ ხარ.

მე თავი მასთან ახლოს მიმაქვს, რომ ყურში ჩავჩურჩულო:

– მე აქ დროებით ვარ, მხოლოდ ერთი ღამით. აქ დარჩენას არ ვაპირებ. იმან შემომაპარა.

– ვინ? – მეკითხება ის ჩურჩულითვე. – იმ გამოსირებულმა, ვისთან ერთადაც მოხვედი? ჩემთან იყო ერთხელ. ნამდვილი ვირთხაა.

– ის ჩემი მეთაურია, – ვამბობ მე.

ის თავს მიქნევს:

– ასეთი რამეს ბევრი აკეთებს, მაგრად უსწორდებათ. ეს იმას ჰგავს, ზედ საკურთხეველთან გიხმაროს ვინმემ – თქვენ, გოგოები, ხომ ასეთი სპეტაკი ჭურჭლები ხართ. მათ კი უნდათ, ბოლომდე გაგათახსირონ. ასე უკეთ კაიფობენ თავიანთი დამპალი ძალაუფლებით.

მე ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია. ვცდილობ, ეს თეორია მეთაურსაც მივუსადაგო, მაგრამ ასე მისი განზრახვა უბრალო გამოვა, და მეტისმეტად ტლანქი. მე კი ზუსტად ვიცი, რომ ის ჩემდამი რაღაც სხვას გრძნობს. ან ეგებ საკუთარი ამპარტავნება მაიძულებს, ასე ვიფიქრო?

– ცოტა დრო დაგვრჩა, – ვეუბნები, – ყველაფერს მომიყევი.

მოირა მხრებს იჩეჩს:

– და რა აზრი აქვს? – მაგრამ მაინც მიყვება, რადგან იცის, რა აზრიც აქვს.

რაც მან მიამბო, ჩურჩულით, მეტ-ნაკლებად აქ არის მოთხრობილი. ყველაფერი ზუსტად ვერ დავიმახსოვრე, რადგან ვერსად ჩავიწერდი და მისი მონათხრობი შეძლებისდაგვარად თვითონ შევავსე. დრო ცოტა გვქონდა, ამიტომ მან ნაჩქარევად მომაყარა ყველაფერი. მთელი ამბავი ორ ეტაპად მიამბო – მეორედაც მოვახერხეთ, ერთდროულად შევსულიყავით ტუალეტში. შეძლებისდაგვარად ვეცდები, მასავით გიამბოთ ყველაფერი – ასე ცოცხალი მეგონება:

ის ბებერი მაჩვზღარბა დეიდა ელიზაბეთი საშობაო ინდაურივით ღუმელზე მიბმული დავტოვე. ერთი სული მქონდა, იქვე მიმეკლა, კბილები მიკაწკაწებდა, მაგრამ ახლა მიხარია, რომ თავი მოვთოკე, თორემ ჩემი საქმე უარესად იქნებოდა. გაკვირვებისაგან პირი დავაღე, რა იოლი ყოფილაცენტრიდან თავის დაძვრენა. ის ყავისფერი ზმანები ჩავიცვი დაპირდაპირ დავადე თავი. სანამ თვალს არ მივეფარე, ისე მივდიოდი, თითქოს ვიცოდი, გზა საით მქონდა. არანაირი გეგმა არ დამისახავს; საერთოდაც, ეს არ იყო წინასწარ მოფიქრებული, როგორც მათ ეგონათ, თუმცა, როცა აღიარებას მაიძულებდნენ, ათასი სისულელე დავფქვი. რას იზამ, როცა ელეტროდებით გაწამებენ, სულ ფეხებზე გკიდია, რას იტყვი.

გაჭიმული და ცხვირაწეული დიდი ამბით მივაბოტებდი, თან ვცდილობდი, მომეფიქრებინა, მერე რა უნდა მექნა. გამომცემლობის დარბევისას ბევრი ჩემი ნაცნობი ქალი აიყვანეს და მივხვდი, რომ უკვე დანარჩენებიც ჩავლებული ეყოლებოდათ. დარწმუნებული ვარ, სრული სია ეჭირათ ხელში. ჩვენ, გამოქლივებულებს, კი გვეგონა, რომ ძველებურად გავაგრძელებდით ჩვენს საქმეს, თუნდაც მიწისქვეშეთიდან, თუნდაც ამისთვის ოფისიდან მთელი ხარახურის გამოზიდვა და თანამშრომლების სარდაფებსა და უკანა ოთახებში შეტენვა დაგვჭირვებოდა. ახლა კი ზუსტად ვიცოდი, რომ იმ სახლებში ფეხი არ უნდა მიმედგა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქუჩებს პირველად ვხედავდი, დაახლოებით ვხვდებოდი, ქალაქის რომელ უბანში უნდა ვყოფილიყავი. მზის მოძრაობით მივხვდი, საით იყო ჩრდილოეთი. რაღაც ხეირი მაინც მომიტანა სკაუტობამ. ვფიქრობდი, პირდაპირ მევლო, სანამ რომელიმე პარკს, მოედანს ან რაღაც ასეთს მივადგებოდი. მაშინ ზუსტად მაინც მეცოდინებოდა ჩემი ადგილსამყოფელი. თანაც მეგონა, რომ ჯობდა, მოვლენების

შუაგულში ვყოფილიყავი, ვიდრე – განაპირას. ასე ნაკლებ ეჭვს გამოვიწვევდი.

სანამ ჩვენ ცენტრში გვაყურყუტებდნენ, ესენი თურმე გამშვებ პუნქტებს ამრავლებდნენ – იმდენი ჩაედგათ, ფეხს ვერ აუქცევდი. პირველთან შიშისაგან ლამის ჩავიფსი. კუთხეში შევუხვიე თუ არა, კინაღამ ცხვირით დავეტაკე. მივხვდი, რომ არ ივარგებდა, უცებ შევტრიალებულიყავი და მომეცოცხა, ჰოდა, პირდაპირ მივაჭერი, აქაც დავიბღვირე, ცხვირი ავიბზუე, ტუჩები მოვპრუწე და ისეთი ზიზღით შევაცქერდი, თითქოს ჩირქიანი მუწუკები იყვნენ. აი, დეიდები რომ სიფათებს კერავენ, როცა სიტყვა კაცს წარმოთქვამენ, ზუსტად ისე. ამან ჯადოსავით იმოქმედა იქაც და სხვა გამშვებ პუნქტებზეც.

მაგრამ თავში ერთი ალიაქოთი მქონდა. ვიცოდი, დიდი დრო არ იყო დარჩენილი, სანამ იმ ბებერ ღამურას იპოვიდნენ და განგაშს ატეხდნენ. ტრაკის განძრევაც არ დასჭირდებოდათ ჩემს საპოვნელად: რა უნდა გადაცმული დეიდის შემჩნევას, რომელიც ფეხით დაბოდიალობს. ვცდილობდი, ვინმე გამეხსენებინა, გონების თვალი გადავავლე ყველა ნაცნობს. ბოლოს ტვინი დავძაბე და ჩვენი მიმოწერის სია გავიხსენე. ჩვენ, რა თქმა უნდა, ადრევე გავანადგურეთ იგი; უფრო სწორად, ჯერ ნაწილებად დავყავით, თითოეულმა თითო მონაკვეთი დავიზეპირეთ და მერე გავანადგურეთ. მერე წერილებს ისევ ვგზავნიდით, ოღონდ ჩვენი ორგანიზაციის ლოგოს გარეშე, რა თქმა უნდა. მასეც ვერ გავრისკავდით.

ასე რომ, სიის ჩემს წილ მონაკვეთს ვიხსენებდი. არ გეტყვი იმ ადამიანების გვარს, ვინც ავირჩიე, რადგან არ მინდა, ხათაბალაში გავხვიო, თუ უკვე არ გამიხვევია. შეიძლება, დიდი ხანია, თხასავით გავყიდე ისინი, რადგან არ მახსოვს, რას ვროშავდი, როცა მაწამებდნენ. ალბათ, ათას რამეს ვიტყოდი.

ისინი იმიტომ ავირჩიე, რომ დაქორწინებული წყვილი იყო და მათ კარზე მიდგომა უფრო უსაფრთხო იყო, ვიდრე რომელიმე მარტოხელასა და მით უმეტეს, ჰომოსექსუალთან თავის შეფარება. მახსოვდა, რომ მათი სახელის გასწვრივ „კ“ ეწერა, რაც კვაკერს ნიშნავდა. ჩვენ რელიგიურ კუთვნილებას ყოველთვის აღვნიშნავდით, საპროტესტო გამოსვლებისათვის. ასე უფრო იოლი მისახვედრი იყო,

ვისთვის სად უნდა დაგვეძახა. მაგალითად, აზრი არ ჰქონდა „კა“ ჯგუფის ხალხი მიგეპატიჟა აბორტის მხარდასაჭერ აქციებზე, რომელთაც ბოლო დროს ხშირად ვაწყობდით. მათი მისამართიც მახსოვდა. ერთმანეთს ისე ვარტყმევინებდით თავს ამ მისამართებზე, თითქოს აგვაშენებდა მათი დამახსოვრება თავისი საფოსტო კოდებითა და მთელი ამბებით.

ამასობაში მასს-ავენიუზე გავედი და მივხვდი, სადაც ვიყავი. ისიც ვიცოდი, ისინი სად იყვნენ. ახლა სხვა სადარდებელი გამიჩნდა: ის ხალხი რომ დაინახავდა, რომ დეიდა მიადგათ კარზე, იმ კარს ცხვირწინ არ მომიკეტავდნენ და თავს ისე არ მომაჩვენებდნენ, ვითომ შინ არ იყვნენ? მაგრამ მაინც უნდა მეცადა, სხვა გზა არ მქონდა. ბოლო-ბოლო ხომ არ დამბრიდავდნენ მაინც. უკვე ხუთი საათი იყო, ფეხებს ძლივსღა მივათრევდი, მით უმეტეს, რომ დეიდასავით უნდა მევლო, ჯარისკაცივით გაჭიმულს, თითქოს ტრაკში ბზიკი მყავდა შემძვრალი. თანაც საუზმის მერე არაფერი ჩამსვლოდა პირში.

ერთი რამე ვერ გავთვალე: იმ დროს დეიდებისა და ცენტრის საქმიანობის შესახებ ხალხმა ბევრი არაფერი იცოდა. თავდაპირველად ეს საიდუმლო იყო, მავთულხლართებით შემოღობილი. მაშინაც კი ყველას არ მოსწონდა მათი საქციელი. ასე რომ, ხალხი კი ხედავდა, რომ იქვე ვიღაც დეიდა დაბოდიალობდა, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რას აკეთებდა იგი. რაღაც მოწყალების დების მსგავსი ეგონათ. თანაც უკვე, თუ აუცილებელი არ იყო, შეკითხვებს აღარავინ სვამდა.

ასე რომ, იმ ხალხმა მაშინვე შინ შემიპატიჟა. კარი ცოლმა გამიღო. ვუთხარი, რომ სოციალურ გამოკითხვას ვაწარმოებდი. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ გაკვირვებული სახე არ მიეღო და თუ ვინმე გვითვალთვალებდა, ეჭვი არაეღო. მაგრამ, როგორც კი კარი მიხურა, თავსაბურავი მოვიგლიჯე და ჩემი ვინაობა გავუმხილე. შეეძლოთ, პოლიციაში დაერეკათ და რამე ამგვარი, ვიცოდი, ცეცხლს ვეთამაშებოდი, მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, სხვა გამოსავალი არც მქონდა. თუმცა, მათ არსად დაურეკავთ. ოჯახის დიასახლისის ტანსაცმელი ჩამაცვეს, დეიდის ფორმა ღუმელში შეუძახეს და დაბუგეს; მიხვდნენ, რომ პირველ რიგში, ეს უნდა გაეკეთებინათ. დიდად არ ეპიტნავებოდათ ჩემი იქ ყოფნა, ეს ცხვირ-პირზე ეწერათ და ძალიან ვნერვიულობდი. ორი პატარა შვილი

ჰყავდათ, ორივე შვიდ წელზე უმცროსი. ვხვდებოდი, რა დღეშიც ჩავყარე.

როგორც იქნა, უნიტაზზე დაჯდომა მეღირსა. რა ნეტარება ყოფილა. აბაზანა პლასტმასის თეევზებით და ამგვარი რამეებით ჰქონდათ ამოვსებული. მერე ბავშვების ოთახში ვიჯექი და მათი პლასტმასის კონსტრუქტორით ვთამაშობდით ერთად, ვიდრე მშობლები ქვემო სართულზე ტვინს იჭყლეტდნენ, რა ჯანდაბა ექნათ ჩემთვის. არაფრის მეშინოდა, პირიქით, რაღაც კარგ ხასიათზე დავდექი. წერას ვყავდი ატანილი, როგორც ამბობენ ხოლმე. მერე ქალმა სენდვიჩი და ყავა მომიტანა, კაცმა კი მითხრა, რომ სხვა სახლში გადამიყვანდა. ტელეფონზე დარეკვა ვერ გაბედეს.

იმ სახლშიც კვაკერები ცხოვრობდნენ, ბაჯაღლო ხალხი, ზედ მიწისქვეშა ქალთა გზასთან ჰქონდათ ბინა. როცა ის პირველი მასპინძელი წავიდა, ახლებმა მითხრეს, რომ ჩემს ქვეყნიდან გაპარებას ეცდებოდნენ. დაწვრილებით ვერ მოგიყვები, როგორ, რადგან შეიძლება ზოგიერთი იმ სადგურთაგან დღემდე არსებობდეს. თითოეულ მათგანს მხოლოდ ერთთან ჰქონდა კავშირი, იმასთან, რომელიც ყველაზე ახლოს იყო ტერიტორიულად. ამას თავისი უპირატესობაც ჰქონდა – თუ დაგიჭერდნენ, ბევრს ვერავის გათქვამდი. მაგრამ მათი ნაკლი ის იყო, რომ თუ ერთ სადგურს დაარბევდნენ, მთელი ქსელის მოქმედება შეჩერდებოდა, სანამ შუამავლები ახალ მოკავშირეს მოძებნიდნენ. მიუხედავად ამისა, მთელი ეს სისტემა, ვერ წარმოიდგენ, რა კარგად მუშაობდა. რამდენიმე ძალიან გამოსადეგ ადგილას ჰყავდათ თავიანთი ხალხი, მათ შორის, ფოსტაშიც. იქ მძღოლი იყო მათი კაცი, რომელსაც პატარა საბარგო მანქანა ჰყავდა. ჰოდა, საფოსტო წერილების ყუთებს შორის ჩატენილი სრულიად უსაფრთხოდ გადამიყვანა ხიდზე და ქალაქი მომატარა. ამას ახლა იმიტომ გიყვები, რომ ის ამ ამბის მერე ცოტა ხანში აიყვანეს. კედელზე ამოხდა სული. ეს აქ გავიგე. აქ იმდენი რამის გაგება შეიძლება, გაგიჟდები. მეთაურები თვითონ გვიყვებიან ყველაფერს, ალბათ, ფიქრობენ, რომ ამით არაფერი შავდება. აქ ხომ მხოლოდ ერთმანეთს შეგვიძლია რამე გავუმხილოთ, ეს კი არ ითვლება.

ამ ყველაფერს ახლა იოლად ვყვები, მაგრამ მაშინ საკმაოდ გამიჭირდა. ლამის ორი აგური ამეღო ხელში. ყველაზე მეტად მაშინ

დამერხა, როცა გავიგე, რომ ის ხალხი ჩემ გამო სიცოცხლეს წირავდა, თუმცა, ამას არავინ ავალდებულებდათ. მეუბნებოდნენ, რომ ყველაფერს თავიანთი რელიგიური მრწამსის გამო აკეთებდნენ და მე არაფერ შუაში ვიყავი. ამან ცოტათი მიშველა. ყოველ საღამოს ჩუმად ლოცულობდნენ. ამას ძლივს მივეჩვიე, რადგან სულ ცენტრის მამაძაღლობები მახსენდებოდა. გულს მირევდა ეს ყველაფერი, მართალი რომ გითხრა. არაფრით შედიოდა ჩემს ტვინში, რომ ესენი სულ სხვანაირები იყვნენ. პირველ ხანებში მათ რიტუალებს ზიზღით ვუყურებდი. მაგრამ მერე მივხვდი, რომ სწორედ რწმენა აძლევდათ ძალას. მეტ-ნაკლებად მშვენივრად იცოდნენ, რა ელოდათ, თუკი დაიჭერდნენ. რასაკვირველია, წვრილმანების გამოკლებით. ამ დროს ტელევიზიით უკვე აჩვენებდნენ სადამსჯელო ოპერაციებსა და ეგეთ რაღაცეებს.

ეს მანამდე ხდებოდა, სანამ ესენი სექტების დარბევას დაიწყებდნენ. ადრე თუკი იტყოდი, რომ ქრისტიანი ხარ და თანაც, ერთხელ დაქორწინებული, თავს განებებდნენ. ჯერ სხვები ჰყავდათ მოსალევი. მათ შორიდან უთვალთვალებდნენ, სანამ სხვებს გაუსწორდებოდნენ.

მე ასე, რვა-ცხრა თვე ვიმალებოდი. ერთი საიმედო სახლიდან მეორეში გადავყავდი. მაშინ ასეთი სახლები უფრო ბლომად იყო. ზოგიერთი მათგანის პატრონი სულაც არ იყო კვაკერი, უბრალოდ, ამათი წესწყობილება არ მოსწონდათ.

მაშინ ლამის გამოვძვერი. ჯერ სალემში ჩამიყვანეს, იქიდან კი ქათმებით სავსე ფურგონით მაინისაკენ წავედით. იქაურობა ისე ყარდა, ლამის ვარწყიე. თუ წარმოგიდგენია, რა საშინელებაა, როდესაც მგზავრობისაგან გულარეული ქათმებს შორის ხარ გამოკეტილი? ისინი აპირებდნენ, რომ აქ საზღვარზე გადავეპარებინე. არა მანქანით ან ფურგონით – ეს იმ დროს უკვე შეუძლებელი იყო – არამედ ნავით უნდა გავყოლოდი მდინარეს. ეს მხოლოდ იმ ღამეს გავიგე. მათ არ უყვარდათ წინასწარ რამის თქმა, სანამ მოქმედების დრო არ მოვიდოდა. ფრთხილობდნენ.

ჰოდა, არც კი ვიცი, რა მოხდა. შეიძლება რომელიმე ჩვენიანს უმტყუნა ნებისყოფამ, შეიძლება გარეთ დაეჭვდა ვინმე. შეიძლება ყველაფერი ნავის გამო მოხდა – იფიქრეს, რომ იმ ნავის პატრონმა ძალიან მოუხშირა ღამღამობით სეირნობას. იქ, ისევე, როგორც

ყველა სხვა საზღვრისპირა რაიონში, უკვე თვალები დაპარპაშებდნენ. ასე იყო თუ ისე, მათ ზუსტად იმ დროს ჩაგვავლეს, როდესაც საბარგოს უკანა კარიდან ჩამოვედით დანნავზე ფეხის შედგმას ვაპირებდით მე, ნავის პატრონი და მისი ცოლი. ხანშიშესული წყვილი იყო, ორმოცდაათს გადაცილებული. სანამ სანაპიროებს დაწამლავდნენ, რვაფეხების ბიზნესი ჰქონდათ. მათ რა უქნეს, აღარ ვიცი, იმიტომ, რომ მე ცალკე ფურგონით წამიყვანეს.

მეგონა, რომ ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა. ანდა ისევ ცენტრშიდამაბრუნებდნენ და იქ დეიდა ლიდიას შეგონებები და მისი ფოლადის მავთულები მელოდა. შენც იცი, როგორ გიჟდება ამ ყველაფერზე. სულ პირზე აკერია, გიყვარდეს ცოდვილი და გძულდეს ცოდვაო, მაგრამ ადამიანების წამებაზე გიჟდება. მეთქი, თავს დავიბრიდავ და მასეც ვიზამდი, ოდნავი შანსი მაინც რომ მქონოდა. მაგრამ ორი მათგანი შემომყვა ფურგონში და ქორებივით მითვალთვალებდნენ. ხმასაც არ იღებდნენ, უბრალოდ, თევზებივით გამოციებული თვალებით მთირავდნენ. ასე რომ, გამოსავალი არ იყო.

თუმცა, ჩვენი გზა ცენტრთან არ დამთავრებულა. სხვაგან წამიყვანეს. აღარ მოგიყვები იმდღევანდელ ამბებს. არ მინდა ამაზე ლაპარაკი. უუბრალოდ, გეტყვი, რომ ყველაფერი ისე გააკეთეს, კვალი არ დაუტოვებიათ.

როცა თავიანთ საქმეს მორჩნენ, ფილმი მაჩვენეს, იცი, რაზე იყო? ადამიანების ცხოვრებაზე კოლონიებში. კოლონიებში მთელ დროს განწმენდას უთმობენ, შენ არც კი იცი, როგორი განწმენდილები არიან უკვე. ზოგიერთი ბრძოლაგადატანილ გვამს ჰგავს. ქალაქის გეტოებში კიდევ უარეს დღეშია ხალხი. ისინი უფრო დიდხანს ცოცხლობენ და მაშასადამე, უფრო მაგრად იხრწნებიან. ამ დამპლებს არ უყვართ, როცა ქუჩები გვამებითაა მოფენილი, შავი ჭირის თუ რაღაც ასეთის ეშინიათ, ამიტომაც ცხედრებს კოლონიაში მყოფ ქალებს აწვევინებენ. თუმცა, სხვა კოლონიები უარესია, იქ ტოქსიკური ნაგავი და რადიოაქტიური ნივთიერების ნარჩენები ყრია. იქ სულ სამი წელი გაქვს, ვიდრე ცხვირი მოგძვრება და სახე კარგად ნახმარი რეზინის ხელთათმანივით აგეხევა. დიდად არ იკლავენ თავს, რომ გაჭამონ ან დამცავი ტანსაცმელი მოგცენ, ასე უფრო იაფად გამოდიან. თანაც, იქ უმეტესად ისეთი ხალხია, რომლებიც

ურჩევნიათ, დროზე ჩაძაღლდნენ. ამბობენ, რომ სხვა კოლონიებიც არსებობს, არც ისე ცუდი, სადაც ადამიანები მიწათმოქმედებას მისდევენ: ბამბა და პომიდორი მოჰყავთ და რაღაც ასეთები, მაგრამ ისინი იმ ჩემს ფილმში არ მინახავს.

იქაურობა მოხუცი ქალებითაა სავსე, ალბათ, შეამჩნევდი, რომ ქუჩაში მათ იშვიათად თუ გადააწყდები. იქ ასევე ამწესებენ მხევლებს, რომლებმაც უკვე ამოწურეს სამი შანსი და ჩემსავით ამრევებს. ეესენი, ყველა, წუნდებული საქონელია. დდა, რასაკვირველია, სტერილური. თუკი თავიდანვე არაა, იქ ყოფნიდან ცოტა ხანში ეს გარანტირებული აქვთ. თუ მაინც ეჭვი ეპარებათ, პატარა ოპერაციას აკეთებენ, რომ თავი ქუდში დაიგულონ. როგორც ვიცი, კოლონიების ბინადართა მეოთხედი კაცია. სქესის ყველა მოღალატე კედელზე არ ასრულებს სიცოცხლეს.

კოლონიებში ყველას გრძელი კაბა აცვია, ისეთი, როგორიც ცენტრში გვეცვა ხოლმე, ოღონდ – ნაცრისფერი. კაცებსაც და ქალებსაც, თუ ფოტოებს დავუჯერებთ. ალბათ, კაცებს კაბებს იმიტომ აცმევენ, რომ სულიერად გატეხონ. ეშმაკმა წაიღოს, მეც გავტყდებოდი. ნეტავ, როგორ უძლებ? მე ისევ ეს ზმანები მირჩევნია.

ამის შემდეგ მითხრეს, რომ ჩემისთანა სახიფათო ვინმე წითელ ცენტრში დაბრუნებას არ იმსახურებდა. მითხრეს, რომ მე დამღუპველ ზეგავლენას მოვახდენდი დანარჩენებზე. მითხრეს, რომ არჩევანი ჩემზე იყო: აქაურობა ან კოლონიები. ჰოდა, ეშმაკმა წამიღოს, მონაზვნის გარდა, ვინმეს თუ კოლონიები აერჩია. მე წმინდა მოწამე ნამდვილად არ ვარ. ჭკუა რომ მქონოდა და რამდენიმე წლის წინ გადამეკეტა მილები, ოპერაციაც არ დამჭირდებოდა. აქაურ ქალებში ერთსაც ვერ იპოვი, საკვერცხეები რომ უმუშავებდეს, შენც ხვდები, ამან რა ხათაბალა შეიძლება გამოიწვიოს.

ჰოდა, აქ ვარ. სახის კრემსაც კი გვაძლევენ. როგორმე უნდა შემოძვრე აქ. სანამ დაფხავდები და სასაფლაოზე მოგისვრიან, სამ-ოთხ საკაიფო წელს გაატარებ. საჭმელს არა უშავს, თუ გინდა, სასმელსა და ნარკოტიკებსაც იშოვი, თანაც, მხოლოდ ღამით ვმუშაობთ.

– მოირა, – ვეუბნები, – ხუმრობ, არა? – მე ის ახლა ძალიან მაშინებს,

ვინაიდან მის ხმაში განურჩევლობა, უნებისყოფობა ჟღერს. ნნეტავ, ასეთი რა უქნეს? ნუთუ რამე ამოუღეს? მაგრამ რა? რაღაც ყველაზე მნიშვნელოვანი. და როგორ უნდა მჯეროდეს, რომ ის არ დანებდება, არ გატყდება, გაუძლებს, გადალახავს, მაშინ, როცა მე თვითონ ყურები მაქვს ჩამოყრილი?

არ მინდა, ჩემნაირი გახდეს. დანებდეს, შეეგუოს, ტყავი გადაირჩინოს. მე მისგან სიმამაცეს ველი, თავზე ხელის აღებას, გმირობას, მარტოხელა რაინდობას. რაღაც ისეთს, რაც მაკლია.

– ჩემზე არ იდარდო, – მეუბნება, იცის, რაზეც ვფიქრობ, – მე აქ ვარ. ხომ ხედავ, მე ვარ. ეცადე, რომ ამ ყველაფერს სხვანაირად შეხედო: აქ არც ისე ცუდია, ირგვლივ ქალები ყრია. ლესბოსელების სამოთხეა, როგორც ამბობენ ხოლმე.

ახლა უკვე ქილიკობს, თავის ძალას მაგრძნობინებს და გულზე მეშვება.

– მაგის ნებას გაძლევენ? – ვეკითხები.

– ხუმრობ, ჩემი? ჭკუას კარგავენ ამაზე. იცი, აქაურობას ერთმანეთში რას ეძახიან? „იეზებელთან“. დეიდებმა გადაწყვიტეს, რომ ჩვენ მაინც აღარაფერი გვეშველება და კისერიც გვიტეხია, რასაც გვინდა, იმას მივქარავთ. მეთაურებს კიდე ფეხებზე არ ჰკიდიათ, თავისუფალ დროს რას გავაკეთებთ?! თანაც ქალი ქალთან აღაგზნებთ კიდეც.

– და სხვები როგორ არიან?

– როგორ გითხრა... – კაცებზე მაინცდამაინც არ გიჟდებიან, – ის კვლავ იჩეჩს მხრებს. ვინ იცის, იქნებ შეგუების ნიშნადაც.

აი, ამის მოყოლა მინდოდა. მმინდოდა, მომეყოლა, როგორ გაიქცამოირა, ამჯერად – წარმატებით. ანდა, ნეტავ შემძლებოდა მომეყოლა, როგორ გადაწვა თავისი ბორდელი და თან ორმოცდაათი მეთაური გაიყოლა. ვისურვებდი, გაბედულად და შთამბეჭდავად დაესრულებინა სიცოცხლე, რამე თავზეხელაღებული, შესაფერისი ჩაედინა. მაგრამ ვიცი, რომ ასე არ მომხდარა. ისიც კი ვერ გავიგე, როგორ მოკვდა ან იქნებ არც მომკვდარა და ცოცხალია

– მე ხომ ის აღარასოდეს მინახავს.

39

მეთაურს ნომრის გასაღები აქვს. მე რომ ყვავილებიან დივანზე ველოდებოდი, მაშინ გამოართვა სასტუმროს ადმინისტრატორს. მიჩვენებს, ეშმაკურად. მე ყველაფერს ვხვდები.

შუაზე გაჭრილი კვერცხის ფორმის შუშის ლიფტით მაღლა ავდივართ, ტალავრიან აივნებს ზემოდან დავცქერით. იმასაც ვხვდები, რომ ყველას დასანახავად ვარ გამოფენილი.

ის კარს აღებს. ყველაფერი ისევეა, ზუსტად ისევე, როგორც ძველ კარგ დროს. იგივე ფარდები, ისევე შეხამებული დივნის მძიმე, ყვავილებიანი გადასაფარებლის მსუყე ლურჯ ფონზე მიყრილ ნარინჯისფერ ყაყაჩოებთან. იგივე მზისაგან დამცავი თხელი თეთრი ბლონდები. ოთხკუთხედი, უსახური კომოდი და ტუმბოები; ნათურები; კედლებზე ისევ ის სურათები: ხილი თასზე, ლოყაწითელი ვაშლები, ყვავილებიანი ლარნაკები, ბაიები და მიხაკები, ფარდების შესაფერისი. ყველაფერი ზუსტად ისევე.

მეთაურს ბოდიშს ვუხდი და სააბაზანოში შევდივარ. კვამლისაგან ყურები მიგუგუნებს. ჯინმა ერთიანად მომთენთა. პირსახოცს ვასველებ და შუბლზე ვიფენ. ცოტა ხნის მერე ერთჯერადი საპნის ციცქნა ნაჭერს ვეძებ. აქ არის. იარლიყზე ბოშა ქალი ახატია. ესპანურია.

ღრმად ვისუნთქავ საპნის სურნელს, ჰაერის გამწმენდის სურნელს; ვდგავარ თეთრ სააბაზანო ოთახში, ვუსმენ შორეულ ხმებს: წყლის დინების, უნიტაზის ჩარეცხვის. უცნაურია, მაგრამ ეს ხმები სიმყუდროვის, შინ ყოფნის განცდას მიქმნის. ტუალეტი ნუგეშისცემის ადგილია. ბუნებრივი მოთხოვნილებები ძველებურად დემოკრატიულია. ყველა ისაქმებს, იტყოდა მოირა.

აბაზანის კიდეზე ვზივარ, ქათქათა პირსახოცებს მივჩერებვარ. ოდესღაც ისინი მაღელვებდა, მაშინ, როცა ისინი სიყვარულის ნარჩენებს ასუფთავებდა.

– დედაშენი ვნახე, – მითხრა მოირამ.

– სად? – ვთქვი მე. ამ ამბავმა ერთიანად შემარყია, შემაჯანჯღარა. ახლაღა მივხვდი, რომ უკვე დიდი ხანი იყო, იგი მკვდარი მეგონა.

– პირადად კი არა, იმ ფილმში, კოლონიების შესახებ, მათ რომ მაჩვენეს. მსხვილი პლანით გადაღებული კადრი იყო და ვიცანი. იმ რაღაც რუხ ნაჭერში იყო გახვეული, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის იყო.

– მადლობა ღმერთს, – ვთქვი მე.

– რისთვის? – თქვა მოირამ.

– მე მკვდარი მეგონა.

– შეიძლება უკვე მკვდარიცაა, – თქვა მოირამ, – და ინატრე, რომ მკვდარი იყოს.

არ მახსოვს, როდის ვნახე უკანასკნელად. ამ და სხვა დანარჩენი შეხვედრების მოგონებები ერთმანეთში აირია. ალბათ, ყოველდღიური ამბის გამო შევხვდით. ალბათ, შემომირბინა, როგორც სჩვეოდა ხოლმე. ისე შემომიქროლებდა და გაქროლდებოდა, თითქოს ის იყო შვილი და მე – დედა. ჯერაც შემორჩენოდა ძველი სიმკვირცხლე. ხანდახან, ერთი ბინიდან მეორეში გადასვლის შუალედში, შესახლებისას ანდა გამოსახლებისას, ჩემთან რეცხავდა და აშრობდა სარეცხს. ანდა რამის სათხოვრად შემომივლიდა: ქვაბის, თმის საშრობის. ასეთი რამეები სჩვეოდა.

რომ მცოდნოდა, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო, უკეთესად აღბეჭდავდა მის სახეს ჩემი გონება. ისიც კი არ მახსოვს, რა ვუთხარით ერთმანეთს.

ერთი კვირა გავიდა, ორი, სამი, შემდეგ კი მოულოდნელად ეს უბედურება დაგვატყდა თავს. ვცდილობდი, მისთვის დამერეკა, მაგრამ არავინ მპასუხობდა.

არ უთქვამს, რომ სადმე წასვლას აპირებდა, მაგრამ ამის გამო

შეშფოთება არ ღირდა – ხანდახან გაუფრთხილებლადაც იცოდა ხოლმე დაკარგვა. საკუთარი მანქანა ჰყავდა და კარგი მძღოლიც იყო.

ბოლოს, როგორც იქნა, მისი ბინის პატრონს დავურეკე. მითხრა, კარგა ხანია, თვალი არ მომიკრავსო.

მე შევშფოთდი. ვიფიქრე, გულის შეტევა ანდა ინსულტი ხომ არ დაემართა-მეთქი. გამორიცხული არ იყო, თუმცა, რაც ვიცნობდი, არასოდეს უავადმყოფია. მუდამ რკინასავით ჯანმრთელი იყო. ისევ თავდაუზოგავად ვარჯიშობდა „ნაუტილუსში“ და ყოველ მეორე კვირას საცურაოდ დადიოდა. მეგობრებს ხშირად ვეუბნებოდი, ჩემზე უკეთეს ფორმაშია-მეთქი და მგონი, არც ვტყუოდი.

მე და ლუკი ქალაქის მეორე ბოლოსკენ მანქანით გავემართეთ და ლუკმა ბინის პატრონს ერთი ამბავი დაათია და კარი გააღებინა.

შეიძლება მკვდარი გდია იატაკზე, უთხრა ლუკმა, და რაც უფრო დიდხანს იქნება ასე, მით უფრო ცუდად წაგივა საქმე. თუ წარმოგიდგენია მაინც, როგორ აყროლდება? ბინის მფლობელი ბუტბუტებდა, ნებართვაა საჭიროო,მაგრამ ლუკს ეხერხებოდა ადამიანების დარწმუნება. მიახვედრა, რომ არც მოცდას ვაპირებდით და არც – უკან დახევას. მე ტირილი მოვრთე. მგონი, ყველაზე მეტად ამან გაჭრა.

როდესაც იმ კაცმა, ბოლოს და ბოლოს, კარი გაგვიღო, თვალწინ საშინელი ქაოსი დაგვიდგა: ამოყირავებული ავეჯი, გამოფატრული მატრასები, პირქვე დამხობილი კომოდის უჯრები, მათი მიყრილ-მოყრილი შიგთავსი. მაგრამ დედაჩემი იქ არ იყო.

პოლიციაში უნდა დავრეკო, ვთქვი მე. ტირილი შევწყვიტე. თავით ფეხამდე გავიყინე, კბილს კბილზე ვაცემინებდი. არა, თქვა ლუკმა. რატომ? ვკითხე გაკვირვებულმა. თვალებით ვბურღავდი. ჩემი შეძრწუნება ბრაზმა შეცვალა. ლუკი გაპარტახებული ოთახის შუაგულში იდგა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. მისი უმწეო ჟესტი ცხადყოფდა, რომ არ იცოდა, რა ექნა. უბრალოდ, არ დარეკო, ესღა მითხრა.

რა ჯიგარი დედა გყავს, მეუბნებოდა მოირა, როცა კოლეჯში ვსწავლობდით. მოგვიანებით: დედაშენს სუპერ-ქარიზმა აქვს. კიდევ უფრო მოგვიანებით: მაგარი ნაშაა დედაშენი. სიტყვებს დაუკვირდი, ვეტყოდი მე, ნაშა კი არ არის, დედაჩემია. ღმერთო, მეტყოდა მოირა, ერთი დედაჩემი განახა.

ახლა ვფიქრობ დედაჩემზე, რომელსაც მომაკვდინებელ შხამ-ქიმიკატებს ისე აგვევინებენ, როგორც მოხუც ქალებს ჭუჭყსა და მტვერს ძველ რუსეთში, ოღონდ ეს ნაგავი დედაჩემს სიცოცხლეს უსწრაფვებს. არ შემიძლია ამის დაჯერება. მისი ოპტიმიზმი, მისი თავდაჯერება და ენერგია, მისი ქარიზმა დაეხმარება ყველაფერის დაძლევაში. რამეს აუცილებლად მოიფიქრებს.

მაგრამ ვიცი, რომ თავს ვიტყუებ. როგორც შვილებს სჩვევიათ ხოლმე, მთელ ტვირთს დედას ვკიდებ.

მე ის უკვე გამოტირებული მყავდა. მაგრამ ისევ და ისევ დავტირი.

ჩემს თავს უკან მოვათრევ, სასტუმროში. აქ არის ჩემი ადგილი. და აი, ახლა, ამ თეთრად განათებულ, მდიდრულ სარკეში, მე საკუთარ თავს ვათვალიერებ.

კარგად ვათვალიერებ, აუჩქარებლად, საგულდაგულოდ. განადგურებული ვარ. მოირას შესწორებული ტუში ხელახლა გამდღაბნია, მეწამული პომადა გამთხაპნია, თმა სულელივით მაქვს გაფშეკილი. ვარდისფერ ბუმბულებს ბეწვი სცვივა და ისეთი ჭყეტელაა, თავი ყველიერის ტიკინა მგონია; კაბას მკერდზე მიკრული კილიტები დასცვენია. შეიძლება თავიდანვე მომძვრალი ჰქონდა და მე ვერ შევნიშნე. კარიკატურა ვარ, ცუდი მაკიაჟითა და სხვისი გამონაცვალი ტანსაცმლით, გაცვეთილი ბრწყინვალებით.

ნეტავ, კბილის ჯაგრისი მქონდეს.

ვიდგებოდი აქ და ვინატრებდი კბილის ჯაგრისს, მაგრამ დრო არ ითმენს.

შუაღამემდე შინ უნდა ვიყო, თორემ კვახად გადავიქცევი. თუ ეტლი გადაიქცა კვახად? კალენდრის მიხედვით, ხვალ ცერემონიის დღეა,

ასე რომ, ამაღამ, სერენა ჯოის სურვილით, უნდა მომემსახურონ. თუ არ დავხვდები, ჩემს კვალს მოაგნებს და მერე რა მოხდება?

მეთაური კი, მრავალფეროვნებისათვის, ნომერში მელოდება; მესმის, როგორ სცემს ბოლთას. აი, სააბაზანოს კართან ჩერდება, ყელს იწმენდს სცენური ჰმ-ჰმ-თი. მე ცხელი წყლის ონკანს ვუშვებ, მინდა, ვანიშნო, რომ მზად ვარ, ან სადაცაა, ვიქნები. ბოლო უნდა მოვუღო ამ ყველაფერს. ხელებს ვიბან. არა, ინერტულობა არ ივარგებს.

სააბაზანოდან გამოსულს მეთაური უზარმაზარ საწოლზე გაშოტილი მხვდება. ვამჩნევ, რომ ფეხზე გაუხდია. მე მის გვერდით ვწვები. ჩემით, სანამ მიბრძანებდეს. ჯობდა, ეს არ მექნა, მაგრამ ძალიან მესიამოვნა წამოწოლა. ძალიან დავიღალე.

„როგორც იქნა, მარტო ვართ“, – ვფიქრობ, მაგრამ სულაც არ მიხარია მასთან მარტო ყოფნა, მით უმეტეს, საწოლში. ამას მირჩევნია, სერენაც აქ იყოს. ამას სკრაბლის თამაში მირჩევნია.

მაგრამ ჩემი სიჩუმე მას სულაც არ აცბუნებს:

– ხვალ გვიწევდა, არა? – ნაზად ამბობს ის, – ჰოდა, არაფერი დაშავდება, ერთ დღით თუ დავაჩქარებთ, – ის ჩემკენ ბრუნდება.

– რატომ მომიყვანეთ აქ? – ვეკითხები ცივად.

ის ახლა მთელ სხეულზე მისვამს ხელს, როგორც ამბობენ ხოლმე, თხემიდან ტერფამდე, კატა რომ გაგეგლასუნება მარცხენა ფერდიდან მარცხენა ფეხის ჩაყოლებით, ზუსტად ისე. მეთაურიც ფეხთან ჩერდება, მისი ხელი მუხლზე მეჭდობა, მჭიდროდ, სამაჯურივით. იქ, სადაც ტატუ მაქვს, ბრაილით, რომლის წაკითხვაც მან იცის. პირუტყვის დამღა. მონობის ნიშანი.

ჩემს თავს ვახსენებ, რომ ის არცთუ ურიგო კაცია. რომ სხვა გარემოებაში შეიძლება მომწონებოდა კიდეც.

მისი ხელი ჩერდება.

– ვიფიქრე, რომ ყოველდღიურობისგან თავის დაღწევა

გაგახალისებდა, – მან იცის, რომ ეს არ არის საკმარისი, – მგონი, ეს რაღაც პატარა ექსპერიმენტივით იყო, – ესეც ცოტაა და უმატებს: – შენ მკითხე და მეც გიპასუხე.

ის საწოლზე ჯდება და გახდას იწყებს. ნუთუ კიდევ უარესი იქნება, როცა გაშიშვლდება, როცა ეს ქსოვილის დიდება შემოეცლება? ის პერანგის ამარაა; მერე იქიდან საცოდავად გამოიჭყეტს პატარა ღიპი. ბღუჯა თმა.

იგი ცალი ხელით კაბის ზონარს მიწევს, მეორეს კი ბუმბულებს შორის აცურებს, მაგრამ სულ ტყუილად – მკვდარი ჩიტივით ვგდივარ საწოლზე. „ ეს კაცი სულაც არ არის ურჩხული“, – ვფიქრობ მე. ახლა ვერც სიამაყისა და ვერც ზიზღის უფლებას მივცემ თავს; ამ სიტუაციაში კიდევ უამრავი რამის უფლებასვერ მივცემ საკუთარ თავს.

– შუქი ხომ არ ჩავაქრო? – მეკითხება დაღონებული და უეჭველია, იმედგაცრუებულიც. შუქის ჩაქრობამდე ერთი წუთით ვხედავ მას. უნიფორმის გარეშე უფრო დაბალი ჩანს, უფრო მოხუციც. თითქოს გამოფიტულა. უბედურება ის არის, რომ არ შემიძლია, ახლა სხვანაირი ვიყო. ისეთივე ვარ, როგორიც ჩვეულებრივ ვარ ხოლმე – ცოცხალ-მკვდარივით. შეუძლებელია, არაფერი იყოს ჩვენ შორის, ამ სიცარიელისა და ყალბი პათოსის გარდა.

„გაითამაშე, რა! – ვუყვირი საკუთარ თავს, – აუცილებლად გემახსოვრება, როგორ უნდა გააკეთო ეს. მიდი, გაითამაშე, თორემ მთელი ღამე აქ გაყურყუტებს. მიდი, გაინძერი, ტანი ააყოლე, ხმამაღლა ისუნთქე. მეტი აღარაფერი დაგრჩენია“.

XIII -

ღამე

40

ცხელი ღამეები ცხელ დღეებზე უარესია. მაშინაც კი, როცა ვენტილატორია ჩართული, ჰაერი არ იძვრის. თბოგაუმტარი კედლები ახლად გამორთული ღუმელივით გამოსცემს სიმხურვალეს. სადაცაა, იწვიმებს. მაგრამ რად მინდა წვიმა? ის ხომ უფრო დაალპობს ყველაფერს. ცისკიდურზე ელავს, თუმცა ჭექა-ქუხილის ხმა არ ისმის. ფანჯრიდან ვხედავ მას, მკრთალ ნათებას, ასე რომ მაგონებს ზღვის ამღვრეული წყლის ფოსფორესცენციას. ელავს სამყაროს თავზე ჩამომხობილი გამოხუნებული მრუმე და ინფრაწითელი ცის მიღმა. პროჟექტორები გამორთულია, რაც უჩვეულოა. ძალაუფლებამ მარცხი იწვნია. ანდა სერენა ჯოის მოხერხებულობამ გამოიღო ნაყოფი.

მე სიბნელეში ვზივარ; არ ღირს, შუქი ავანთო და ქვეყანამ გაიგოს, რომ ისევ მღვიძავს. ძველებურად ჩემს წითელ უნიფორმაში ვარ გამოწყობილი. ბუმბულები მოვიშორე, პომადა ტუალეტის ქაღალდით საგულდაგულოდ ჩამოვიწმინდე. იმედი მაქვს, არაფერი გამცემს, იმედი მაქვს, პომადის სუნი არ ამყოლია, არც მეთაურის...

სერენა ზუსტად შუაღამეზე გამომეცხადა, შეპირებისამებრ. მესმის მისი ფრთხილი ნაბიჯების, ჩლახუნის ხმა, რომელსაც დერეფნის ხალიჩა ახშობს, მესმის მისი მსუბუქი კაკუნი ჩემს კარზე. მე ხმის ამოუღებლად მივდევ უკან ჯერ დერეფანში, მერე – კიბეზე. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე სწრაფად შეეძლო სიარული; ვერ ვიფიქრებდი, ასეთი ღონიერი თუ იყო. მარცხენა ხელით კიბის მოაჯირს ებღაუჭება, შეიძლება ეს მისთვის მტკივნეულიც იყოს, მაგრამ ამჯერად ძალას მატებს, წონასწორობის დაცვაში ეხმარება. ვფიქრობ: ის ახლა ტუჩებს იჭამს, იტანჯება. ძალიან უნდა ბავშვი. ვხედავ, ჩვენ ორნი – ლურჯი აჩრდილი და წითელი ლანდი – როგორ გავკრთით სარკის თვალში კიბის მოსაბრუნთან. მე და ჩემი ანტითეზა.

უკანა კარს სამზარეულოზე გავლით ვუახლოვდებით. იქ არავინაა, მხოლოდ ღამის ნათურა ბჟუტავს; როგორი სიმყუდროვეა ხოლმე ღამღამობით ცარიელ სამზარეულოებში. თაროზე ქვაბებია

ჩამწკრივებული, ქილები და თიხის ქოთნები ბინდბუნდში უფრო მძიმე და მრგვალი ჩანს. დანები სპეციალურ ხის თაროზე შემოუწყვიათ.

– გარეთ ვერ გამოგყვები, – ჩურჩულით მეუბნება ის, მისი ხმადაბალი ლაპარაკი მეუცხოება, თითქოს ისიც ერთ-ერთი მხევალთაგანი იყოს. ცოლები ხომ თითქმის არასოდეს ჩურჩულებენ.

– ამ კარს გასცდები და მარჯვნივ მოუხვევ. იქ სხვა კარს დაინახავ, ღია დაგხვდება. კიბეზე ახვალ და დააკაკუნებ. უკვე გელოდება. ვერავინ დაგინახავს. მე აქ ვიჯდები.

ესე იგი, აქ დამელოდება, რომ ხელი არაფერმა შემიშალოს; კორამ ან რიტამ რომ გაიღვიძონ და ღმერთმა იცის, რატომ, მაგრამ უკანა კარიდან სამზარეულოში შემოსვლა მოუნდეთ, რას ეტყვის? აქ რატომ ვარო? ეტყვის, რომ ძილი არ მიეკარა, რომ ცხელი რძის დასალევად ჩამოვიდა. იმის ჩიტი არაა, ტყუილის მოფიქრება გაუჭირდეს.

– მეთაური მაღლაა, თავის საძინებელში, – ამბობს ის, – ასე გვიან ქვემოთ არ ჩამოვა. გამორიცხულია.

აი, თურმე რა ჰგონია.

სამზარეულოს უკანა კარს ვაღებ, გარეთ გავდივარ და ველოდები, სიბნელეს თვალი შევაჩვიო. აღარც მახსოვს, ბოლოს როდის ვიყავი გარეთ მარტო, ღამით. ქუხს, ქარიშხალი ახლოვდება. ნეტავ გუშაგები სადღა გააქრო? შეიძლება უნებართვო წანწალისათვის ჩამცხრილონ. მოისყიდდა როგორმე: სიგარეტით, ვისკით. ან ეგებ ყველაფერი იციან სერენას სანაშენე ფერმის შესახებ, ეგებ, თუ ნიკისგან არაფერი გამოდნა, ისინიც ჩართოს საქმეში.

გარაჟის კარამდე მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი მაშორებს. წინ მივიწევ, ფრთხილად ვადგამ ფეხს ბალახს, სწრაფად ვაღებ კარს და შიგნით ვსხლტები. კიბეზე ბნელა, ისე ბნელა, რომ ვერაფერს ვარჩევ. ინტუიციით მივიწევ მაღლა, საფეხურიდან საფეხურამდე; კიბეზე ხალიჩაა დაფენილი, რომელიც რატომღაც სოკოსფერი წარმომიდგენია, ნაცრისფერ-მოყავისფრო. ოდესღაც ეს გასაქირავებელი ფლიგელი იქნებოდა, სტუდენტისათვის, ან

საკუთარი შემოსავლის მქონე ახალგაზრდისთვის. ამ მიდამოებში თითქმის ყველა დიდ სახლს ჰქონდა ასეთი ფლიგელი. მსიამოვნებს ამის გახსენება. „ცალკე შესასვლელით“ – იტყობინებოდა განცხადება და ეს ნიშნავდა, რომ შეგეძლო, მაყურებლების გარეშე სექსით დამტკბარიყავი.

მე კიბეზე ავდივარ და კარზე ვაკაკუნებ. კარს თვითონ მიღებს. თუმცა, აბა, სხვა ვინ გამიღებდა? ლამფა ანთია, მხოლოდ ერთი, მაგრამ ისე ანათებს, ვიჭმუხნები. თვალს ვარიდებ, არ მინდა, მის მზერას გადავაწყდე. მხოლოდ ერთი ოთახია, გასაშლელი საწოლი ახლად ალაგებულია, შორეულ კუთხეში სამზარეულოს კარადაა და კიდევ ერთი კარი, ალბათ, სააბაზანოსი. სადა ოთახია, ყაზარმის მსგავსი, მინიმალისტური. კედლებზე სურათებს ვერ ნახავთ, ვერც მცენარეებს. თითქოს ბანაკში იყოს. საწოლის გადასათვარებელი ნაცრისფერია და „აშშ“ აწერია.

ის უკან და გვერდით იწევს, გზას მითმობს. სახელოებაკაპიწებული პერანგი აცვია და სიგარეტს ეწევა. კვამლის სუნი ასდის მასაც, მის ოთახის თბილ ჰაერსაც – ყველაფერს გარშემო. მთლიანად გავშიშვლდებოდი და ამ კვამლში ჩავწვებოდი, მთელ სხეულში შევიზელდი მას.

არავითარი პრელუდია; მან იცის, რისთვის ვარ აქ. კრინტსაც არ ძრავს – რატომ მიედ-მოედოს, ეს ხომ გარიგებაა. ის მშორდება, სინათლეს აქრობს. გარეთ ისრებად კრთება ელვა, თითქმის განუწყვეტლივ, მერემეხიც ვარდება. ის კაბას მხდის, სიბნელის კაცი. მე მის სახეს ვერ ვხედავ და ძლივსღა ვსუნთქავ, ძლივსღა ვდგავარ ფეხზე. მისი ტუჩები მეკვრის, მისი ხელებიც. ვეღარ ვითმენ, ის უკვე მოძრაობს, სიყვარული, როგორ მომნატრებია, ცოცხალი ვარ და ისევ მე ვარ, ისევ; მკლავებს ვხვევ, ვვარდები და ყველგან წყლის მოალერსე ნაკადს ვგრძნობ, უნაპიროს. ვიცი, ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ ხდება.

ესეც მე გამოვიგონე. სინამდვილეში ასე არ მომხდარა. აი, როგორ იყო ყველაფერი:

მე კიბეზე ავდივარ და კარზე ვაკაკუნებ. კარს თვითონ მიღებს. ლამფა ანთია; ვიჭმუხნები. მას თვალს ვარიდებ, მხოლოდ ერთი

ოთახია, საწოლი ალაგებულია; სადა ოთახია, მინიმალისტური. სურათები არ ჩანს, გადასაფარებელზე აწერია „აშშ“. მას სახელოებდაკაპიწებული პერანგი აცვია და სიგარეტს ეწევა.

– მოდი, – მეუბნება, – ერთი ნაფაზი დაარტყი, – არავითარი შესავალი, მან იცის, რატომ ვარ აქ. რომ დავფეხმძიმდე, დავმაკდე, მუცლად ვიღო – რაც გინდათ, ის დაარქვით. სიგარეტს ვართმევ, ღრმად ვისუნთქავ, ვუბრუნებ. ჩვენი თითები ოდნავ ეხება ერთმანეთს. ეს ერთიბეწო კვამლიც კი თავბრუს მახვევს.

ის არაფერს ამბობს, უბრალოდ მიყურებს, არ იღიმება. უკეთესი იქნებოდა, გულმოწყალება გამოეჩინა და მომფერებოდა. თავი სულელი და მახინჯი მგონია, თუმცა კარგად ვიცი, რომ არც ერთი არ ვარ. და მაინც, რას ფიქრობს, რატომ არ იღებს ხმას? შეიძლება ფიქრობს, რომ „იეზებელთან“ მეთაურის გარდა, ნახევარმა დარბაზმა მიხმარა. მაგრამ მეც კარგი მოცლილი ვარ, იმაზე რომ ვნაღვლობ, ეს რას ფიქრობს. დროა, საქმეს მივხედო.

– ბევრი დრო არ მაქვს, – ვეუბნები. ჩემი სიტყვები უხერხულად და უხეშად ჟღერს. ცუდად გამომივიდა.

– თუ გინდა, ბოთლში დავანძრევ და მერე შეისხი, – ამბობს ის, არ იღიმება.

– უზრდელობა საჭირო არ არის, – ვეუბნები. შეიძლება შეურაცხყოფილია, ფიქრობს, რომ იყენებენ. შეიძლება ჩემგან რამე ემოციას ელის, დასტურს იმისა, რომ ჩემს თვალში ის პიროვნებაა და არა – მხოლოდ სათესლე ჯირკვალი.

– ვიცი, რომ შენთვის ადვილი არ არის, – ვეუბნები.

ის მხრებს იჩეჩს.

– გადამიხადეს, – ამბობს ის, ძველბიჭური უკმეხობით. მაგრამ ადგილიდან მაინც არ იძვრის.

„გადამიხადეს, მაშ, გაიხადე“, – ვრითმავ გუნებაში. აი, თურმე როგორი სექსი უნდა გვქონდეს. მას არ მოსწონს მაკიაჟი და ბუმბულები. უხეშობა მოსწონს.

– აქ ხშირად მოდიხარ?

– რა ესაქმება ჩემნაირ წესიერ გოგოს ასეთ ადგილებში? – ვპასუხობ. ორივე ვიღიმებით: ასე ჯობს. ეს იმისი აღიარებაა, რომ ორივენი ვთამაშობთ, თუმცა, ასეთ სიტუაციაში მეტი რა დაგვრჩენია.

– თავშეკავება გრძნობებს ამძაფრებს, – ძველი დროის ფილმებიდან ვიმეორებთ ფრაზებს. ეს ფილმები კი იმ ძველ დროშიც უფრო ძველი დროის გადმონაშთი იყო: ამგვარი ფრაზებით, ალბათ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე საუბრობდნენ. დედაჩემსაც კი არასოდეს ულაპარაკია ასე – რაც მე ვიცნობდი, ყოველ შემთხვევაში. შესაძლებელია, ასე სინამდვილეში არც არასოდეს არავის ულაპარაკია, შეიძლება ყველაფერი თავიდანვე სიყალბე იყო. და მაინც, საოცარია, როგორ უცებ მოადგება ხოლმე ენას ეს გოიმური და ვითომ მხიარული სექსუალური ლაყაფი. ახლა ვხვდები, რისთვის არის იგი საჭირო, და რისთვის იყო საჭირო მუდამ: რომ საკუთარი შინაგანი არსი მიუწვდომელი, საბურველში გახვეული, უვნებელი შემოგენახა.

მე ახლა ნაღვლიანი ვარ და ჩვენი საუბარიც უსაზღვროდ ნაღვლიანია: ბანალური მუსიკა, ქაღალდის ბანალური ყვავილები, გაცვეთილი სატინი, ექოს ექო. ყველაფერი წარსულში დარჩა, წარსულს ჩაჰბარდა. მოულოდნელად ტირილს ვიწყებ.

როგორც იქნა, ჩემკენ მოემართება, ხელებს მხვევს, ზურგზე ხელს მისვამს, მიხუტებს, მანუგეშებს.

– გეყოფა, – მეუბნება, – ცოტა დრო გვაქვს, – მხრებზე ხელს მხვევს და გასაშლელი საწოლისაკენ მივყავარ, ზედ მაწვენს. მანამდე გადასაფარებელსაც კი სწევს. კაბას მხდის, მეფერება, ყურის ქვეშ მკოცნის.

– რომანტიკის გარეშე, – მეუბნება, – კარგი?

ადრე ამ სიტყვებს სხვანაირად გავიგებდი. ადრე ეს ნიშნავდა: სამომავლო გეგმების გარეშე, კარგი? ახლა ეს ნიშნავს: ჰეროიკის გარეშე, კარგი? ეს ნიშნავს: არ გარისკო ჩემი გულისთვის, თუ საქმე

აქამდე მივა.

და ასე გრძელდება. აი, ასე.

ვიცი, რომ ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ ხდება. „მშვიდობით, – ვფიქრობდი მაშინაც კი, – მშვიდობით“.

თუმცა, ჭექა-ქუხილი არ ყოფილა, ეს მე გამოვიგონე, ჩემი სამარცხვინო კვნესა რომ დამეფარა.

ეს ამბავი არც ასე ყოფილა. აღარც მახსოვს, როგორ მოხდა, ზუსტად აღარ მახსოვს. წარმოსახვის იმედიღა მაქვს: მხოლოდ მიახლოებით შეიძლება გაიხსენო, რას გრძნობდი, როცა გიყვარდა.

თუმცა, შუაგზაზე სერენა ჯოი წარმომიდგა თვალწინ, სამზარეულოში ჩამომჯდარი რომ ფიქრობდა, იაფად გამოვედიო. „ის ხომ ერთი სიგარეტის ფასად ყველას აუწევს ფეხებს“.

მერე კი ვიფიქრე, რომ ეს ღალატია. პროცესიკი არა, ჩემი რეაქცია. დარწმუნებული რომ ვიყო, მკვდარია, ნუთუ რამე შეიცვლებოდა?

ნეტავ, არ მრცხვენოდეს. ნეტავ, უსირცხვილო ვიყო. ნეტავ, უბირი ვიყო. ის მაინც არ მეცოდინებოდა, როგორი უბირი ვარ.

XIV -

სალხინებელი

მინდოდა, ეს ამბავი სხვანაირი ყოფილიყო. უფრო ცივილიზებული. მინდოდა, უკეთესად წარმოვეჩინე, თუ უფრო ბედნიერი არა, უფრო აქტიური მაინც გამოვჩენილიყავი, არც ისე მერყევი, არცთუ თავგზააბნეული რაღაც წვრილმანების გამო. მინდოდა, უფრო დახვეწილი ისტორია გამოსულიყო. მმინდოდა, სიყვარულზე ყოფილიყო, მნიშვნელოვან აღმოჩენებზე, ერთიანად რომ ცვლის ადამიანის ცხოვრებას, ან თუნდაც დაისზე, ჩიტებზე, თავსხმა წვიმასა და თოვლზე.

შეიძლება არის კიდეც ამ ყველაფერზე, მაგრამ გზადაგზა უამრავი დაბრკოლება ეღობება, უამრავი მითქმა-მოთქმა, უამრავი ეჭვი, სხვებზე მიტანილი, უამრავი ჭორი, უამრავი უთქმელი სიტყვა, უამრავი ჩუმჩუმელობა და საიდუმლოება. და დიდი დროა გადასაგორებელი, ცხიმიანი კერძივით თუ სქელი ნისლივით მძიმე დრო; მერე კი უეცრად ეს წითელი მოვლენები, აფეთქებასავით რომ აახმაურებს თავშეკავებულ, დარბაისლურსა და სომნამბულურ ქუჩებს.

ვწუხვარ, რომ ეს ამბავი ტკივილითაა სავსე. ვწუხვარ, რომ ასეთი დანაწევრებულია, როგორც ჯვარედინ ცეცხლში მოხვედრილი ანდა ოთხ ცხენს გამობმული სხეული. მაგრამ რამის შეცვლა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

ვეცადე, რომ კარგი ამბებიც ჩამერთო, ვთქვათ, ყვავილები; აბა, მათ გარეშე რა გამოვიდოდა?

თუმცა, ამ ამბავს ვეღარ მოვყვები; მეტისმეტად მტკივნეულია. ერთხელაც საკმარისი იყო. ნუთუ ერთხელ მოყოლა არ მეყო? მაგრამ მე ვაგრძელებ ამ ნაღვლიანი, მშიერი და ბინძური, უხეირო და მახინჯი ამბის თხრობას, რადგან მინდა, თქვენც მოისმინოთ იგი, როგორც მე მოვისმენ თქვენს ამბავს, თუკი ოდესმე შეგხვდებით და მომიყვებით, ან თუკი ოდესმე სადმე გაიქცევით, ვთქვათ, მომავალში ანდა ზეცაში; ან საპყრობილეში, ან მიწისქვეშ, ან სადმე სხვაგან. ამ ადგილებს ის აერთიანებს, რომ არც ერთი არ არის აქ. როცა რამეს

გიამბობთ, სულერთია რას, ესე იგი, მე მწამს თქვენი, მწამს, რომ აქ ხართ, მწამს, რომ არსებობთ. როცა ამბავს გიყვებით, ესე იგი, სიცოცხლისკენ გიხმობთ. მე ვყვები, ესე იგი, თქვენ არსებობთ.

ასე რომ, გავაგრძელებ. და გავაგრძელებ ცხოვრებასაც. იმ ნაწილს ვუახლოვდები, რომელიც სულაც არ მოგეწონებათ, რადგან ის ჩემს ცუდ საქციელს გიამბობთ, მაგრამ მაინც ვეცდები, არაფერი გამომრჩეს. რაც გამოიარეთ, მას შემდეგ თქვენ დაიმსახურეთ, მოისმინოთ ისიც, რაც დამრჩა. ბევრი არ არის, სამაგიეროდ, სიმართლეა.

ჰოდა, აი, ამბავიც:

მე ნიკთან ვბრუნდებოდი. ისევ და ისევ, საკუთარი ნებით, სერენასაგან მალულად. ამას არავინ მთხოვდა, ამას გამართლება არ ჰქონდა. ამას ერთიბეწოთიც არ ვაკეთებდი მისთვის, არამედ მხოლოდ საკუთარი თავისთვის. იმასაც კი არ ვფიქრობდი, რომ მოწყალებას ვიღებდი: ჩემთვის რა მქონდა, რომ მისთვის მეწყალობა? ყოველთვის, როცა თავის ოთახში მიშვებდა, მე თავს მის კეთილისმყოფლად კი არა, მის მოვალედ ვგრძნობდი. მას ხომ ამას არავინ აიძულებდა.

მასთან ყოფნის სურვილმა თავზეხელაღებულად მაქცია, ყველა სულელურ შესაძლებლობას ვებღაუჭებოდი. მეთაურთან ყოფნის შემდეგ, ჩვეულებრივ, ზევით ვბრუნდებოდი, მაგრამ მერე უკან გადავივლიდი დერეფანს, მართების კიბით დავეშვებოდი და სამზარეულოში აღმოვჩნდებოდი. ყოველთვის, როცა ჩემ უკან სამზარეულოს კარი მიიხურებოდა, ლამის უკან შემოვბრუნებულიყავი, ისე სათაგურისა თუ რევოლვერის მსგავსად ღრჭიალებდა რკინა, მაგრამ მაინც არ ვბრუნდებოდი. აჩქარებით გავივლიდი რამდენიმე ნაბიჯს განათებულ გაზონზე – პროჟექტორები ისევ ენთო და ყოველ წამს ველოდი, რომ ტყვია მანამდე ჩამეჭედებოდა სხეულში, ვიდრე გასროლის ხმა მოაღწევდა ჩემს ყურამდე. ხელის ცეცებით გავიგნებდი გზას ჩაბნელებულ კიბეზე და კართან შევისვენებდი, საკუთარი სისხლის ჩქეფა მაყრუებდა. შიში ადამიანს უდიდეს ძალას აძლევს, მაგრამ მე მაინც გაუბედავად ვაკაკუნებდი კარზე, მოწყალების მთხოვნელივით და ყოველთვის ველოდი, რომ შინ არ დამხვდებოდა; ანდა უარესი – ველოდი, რომ

არ შემიშვებდა. შეიძლებოდა ეთქვა, რომ აღარ უნდოდა წესების დარღვევა, აღარ უნდოდა, ჩემ გამო თავი ხიფათში ჩაეგდო. ანდა უფრო საშინელი – ეთქვა, რომ აღარ ვუნდოდი. და იმას, რომ არც ერთი საშიშროება არ მართლდებოდა, დაუჯერებელ იღბლიანობად და ბედის წყალობად ვთვლიდი.

აკი გითხარით, ცუდად იყო საქმე-მეთქი.

*

ყველაფერი ასე ხდება.

ის კარს აღებს. სახელოებაკაპიწებული პერანგი აცვია, შარვალზე დაუდევრად გადმოშვებული; ხელში კბილის ჯაგრისი უჭირავს, ან სიგარეტი, ან ჭიქა სასმლით. აქ პატარა მარაგი უნდა ჰქონდეს, ალბათ, შავ ბაზარზე ნაყიდი. ხელში მუდამ რაღაც უჭირავს – თითქოს მისი ცხოვრება ნირშეუცვლელად გრძელდებოდა, თითქოს არ ეგონა, რომ მივიდოდი, თითქოს არც მელოდა. იქნებ, მართლა არ ეგონა, იქნებ არც მელოდა?შეიძლება, არასოდეს ფიქრობს, რა მოხდება, თავს არ იწუხებს, ანდა ვერ ბედავს, მომავალი წარმოიდგინოს.

– ძალიან გვიან ხომ არ არის? – ვეკითხები.

ის უარის ნიშნად თავს აქნევს. ორივემ უსიტყვოდ ვიცით, რომ არასდროს არის გვიან, მაგრამ მე თავაზიანობას არ ვღალატობ. ეს ფრაზა თავდაჯერებას მმატებს. თითქოს არჩევანი გვქონდეს, ან რამის გადაწყვეტა შეგვეძლოს რომელიმეს. ის გზასმითმობს, მე შიგნით შევდივარ და ის კარს ხურავს. მერე ოთახის გადაივლის და ფანჯარასაც კეტავს. ამის მერე შუქსაც აქრობს. ბევრს აღარ ვლაპარაკობთ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. უკვე სანახევროდ გახდილი ვარ. საუბარს მომავლისთვის ვიზოგავთ.

მეთაურთან ყოფნისას მუდამ თვალებს ვხუჭავ, თუნდაც მხოლოდ გამოსამშვიდობებლად ვკოცნიდე. არ მინდა, ახლოს დავინახო. მაგრამ აქ თვალებს ყოველთვის ფართოდ ვახელ. ვნატრობ, რომ სინათლის ანთება შეგვეძლოს, თუნდაც სანთლის, ბოთლში ჩარჭობილის, როგორც კოლეჯში ვაკეთებდით ხოლმე, მაგრამ ეს

ძალიან სახიფათოა; ასე რომ, პროჟექტორის შუქს უნდა დავჯერდე, მიწიდან ასხლეტილს, უფრო რომ აბუნდოვნებს თეთრი ფარდა, ზუსტად ისეთი, ჩემს ოთახშიც რომ კიდია. თვალებით ვჭამ ყველაფერს, რასაც ვხედავ, ვისრუტავ, ვიმახსოვრებ მის ნაკვთებს, რომ მათი წარმოდგენით ვიცოცხლო, რომ არასოდეს დამავიწყდეს მისი სხეულის კონტურები, ფორმა, ოფლით აპრიალებული კანი, მისი გრძელი, დამცინავი, კუშტი სახე. ნეტავ, ასე დამემახსოვრებინა ლუკიც, მეტად დავკვირვებოდი მისი სხეულის ყველა ღრმულსა თუ ნაკაწრს, მის უჩვეულო ნაოჭებს; მაგრამ არ დავაკვირდი და ამიტომაც, ნელ-ნელა ფერმკრთალდება. ყოველდღე, ყოველღამე სულ უფრო მშორდება და მე რწმენას ვკარგავ.

ამ კაცს რომ უნდოდეს, მისი გულისთვის ვარდისფერ ბუმბულებსაც მოვირგებდი და იისფერ ვარსკვლავებსაც; ნებისმიერ სხვა რამესაც, თუნდაც ბაჭიის კუდს. მაგრამ ამგვარი მოსართავები არ ეპიტნავება. ყოველი მისვლისას ისე ვესიყვარულებით ერთმანეთს, თითქოს დარწმუნებული ვიყოთ, რომ ალერსი აღარ გვეღირსება, აღარც ერთს აღარავისთან, აღარასოდეს. და როცა ეს მაინც მეორდება, ვიღებით, როგორც სასწაულს, საჩუქარს, იღბალს.

აქ მასთან ერთად ყოფნა უსაფრთხოა; გამოქვაბულია, სადაც თავს ვაფარებთ, სანამ გარეთ ქარიშხალი ბღავის. ეს ილუზიაა, რა თქმა უნდა. სინამდვილეში მისი ოთახი ჩემთვის დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ყველაზე საშიში ადგილია. აქ რომ დამიჭირონ, არ დამინდობენ, მაგრამ არ მენაღვლება. და რამ მომიყვანა ასეთ უგუნურებამდე? ასე როგორ ვენდობი? რატომ მგონია, რომ ვიცნობ ან რამე ვიცი მასზე, მის საქმიანობაზე?

ამ შემაწუხებელ კითხვებს თავიდან ვიშორებ. ძალიან ბევრს ვლაპარაკობ. ზედმეტად გულახდილი ვარ. ვუყვები მოირას, გლენისას შესახებ; თუმცა, ლუკზე სიტყვას არ ვძრავ. მინდა, იმ ქალზე ველაპარაკო, რომელიც ჩემამდე ცხოვრობდა ჩემს ოთახში, მაგრამ თავს ვიკავებ. მე მასზე ვეჭვიანობ. ნუთუ ისიც დადიოდა აქ, ისიც ამ საწოლში იწვა! ამის გაგონებაც არ მინდა.

მე მას ვუმხელ ჩემს ნამდვილ სახელს და თითქოს ვცოცხლდები. გონებასუსტივით ვიქცევი, არადა, დროა, გონს მოვეგო. ვგრძნობ, ჩემთვის კერპი შევქმენი, მუყაოს ბომონი.

სამაგიეროდ, ის ლაპარაკობს ცოტას: არც ორაზროვანი სიტყვები, არც ანეკდოტები. მხოლოდ შეკითხვებს მისვამს. ჩემს ნათქვამთა უმეტესობას უგულისყუროდ ისმენს, მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდება ხოლმე, როცა საქმე ჩემს სხეულზე მიდგება, მაგრამ როცა ვლაპარაკობ, მიყურებს. სახეში მიყურებს.

ფიქრადაც ვერ გავივლებ, რომ ის, ვისიც ასეთი მადლიერი ვარ, შეიძლება მოღალატე იყოს.

არც ერთ ჩვენგანს არ უხსენებია სიტყვა სიყვარული, არც ერთხელ. ეს ცეცხლთან თამაში იქნებოდა. ეს რომანი იქნებოდა – ავბედითი ნიშანი.

დღეს სხვანაირი ყვავილებია – უფრო გამომშრალი, უფრო გამოკვეთილი, შუაზაფხულის: გვირილები, რუდბეკიები, რომლებიც შემოდგომის ხანგრძლივი ფოთოლცვენისთვის გვამზადებენ. მათ ბაღებში ვხედავ, როდესაც გლენისასთან ერთად აქეთ-იქით დავსეირნობ. მე მას ძლივსღა ვუგდებ ყურს, აღარ ვენდობი. რასაც ის ჩამჩურჩულებს, არარეალურად მეჩვენება. რად მარგია ახლა მისი სიტყვები?

– შეგიძლია მის ოთახში ღამით შეხვიდე, – ამბობს გლენისა, – მისი საწერი მაგიდა გადაქექო. ეგებ რამე საბუთები ნახო, ჩანაწერები.

– კარს კეტავს, – ვლუღლუღებ მე.

– შეგიძლია, გასაღები იშოვო, – მეუბნება ის, – არ გინდა, გაიგო, ვინ არის, რას აკეთებს?

მაგრამ მე მეთაური აღარ მაინტერესებს. ძლივს ვახერხებ, არ შემატყოს, როგორ გავცივდი, როგორი გულგრილი გავხდი.

– ყველაფერი ისევე გააკეთე, როგორც ადრე, – მეუბნება ნიკი, – არაფერი შეცვალო, თორემ მიგიხვდებიან, – ის მკოცნის, თვალს არ მაშორებს, – დამპირდი, რომ არაფერი შეგეშლება.

მის ხელს მუცელზე ვიდებ.

– გამოვიდა, – ვეუბნები, – ვგრძნობ, რომ ყველაფერი გამოვიდა.

ორიოდე კვირაც და ამაში დავრწმუნდები.

ვიცი, რომ სასურველი შესაძლებლად მეჩვენება.

– თუ ასეა, მას სიკვდილამდე ეყვარები, – ამბობს ნიკი, – და მის ცოლსაც.

– მაგრამ ეს შენი შვილია, – ვამბობ, – შენი იქნება, მართლა. დარწმუნებული ვარ.

თუმცა, ამ თემაზე საუბარს აღარ ვაგრძელებთ.

– არ შემიძლია, – ვეუბნები გლენისას, – ძალიან მეშინია. თანაც ვიცი, რომ არაფერი გამომივა, ჩამავლებენ.

იმასაც კი ძლივს ვახერხებ, რომ ჩემს ხმაში სინანული ჟღერდეს. ძალიან გავზარმაცდი.

– ჩვენ გადაგარჩენთ, – მეუბნება ის, – როცა საჭიროა, ჩვენ შეგვიძლია განსაცდელში მყოფიჩვენი ხალხის გადარჩენა, მოულოდნელი ხიფათისგან დახსნა.

მაგრამ მე აღარ მინდა გაქცევა, თავის დაღწევა, თავისუფლების პოვნა საზღვრებს იქით. აქ მინდა ყოფნა, აქ, სადაც ერთი ხელის გაწვდენაზე ნიკია.

ამას რომ გიყვებით, საკუთარი თავის მრცხვენია. და კიდევ არის რაღაც: ეს აღიარება ახლაც კი ტრაბახივით ჟღერს, თითქოს თავიც კი მომაქვს ამ ამბით, რადგან იგი ააშკარავებს, თუ როგორ ვლახავდი ყველა ზღვარს და როგორი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ნიკი. ეს ჰგავს ამბებს სნეულებასა და მოახლოებულ სიკვდილზე, რომელსაც გადაურჩი; ომის ამბებს ჰგავს. ისინი ჩემს სერიოზულ დამოკიდებულებას ცხადჰყოფს.

კაცისადმი ასეთი დამოკიდებულება ადრე შეუძლებელი მომეჩვენებოდა.

დროდადრო უფრო რაციონალურად ვაზროვნებდი. არც მიფიქრია, ეს ურთიერთობა სიყვარულად მომენათლა. ვამბობდი, რომ აქ, ამ

პირობებში, ჩემთვის რაღაც ცხოვრების მსგავსი მოვიწყვე. ალბათ, ასე ფიქრობდნენ კოლონისტთა ცოლები ანდა ქალები, რომელთა კაცებიც ომს გადაურჩნენ.

ადამიანის მოდგმა ყველაფერს ეჩვევა, ამბობდა ხოლმე დედაჩემი. მართლაც გასაოცარია, რამდენ რამეს შეიძლება შეეგუოს ადამიანი, თუ სანაცვლოდ მცირე ნუგეშს მაინც ელოდება.

– მალე ეს აღარ იქნება საჭირო, – ამბობს კორა და ჰიგიენური საფენების ყოველთვიურ ნორმას მიწვდის, – აღარ იქნება, – მორცხვად, მაგრამ შეთქმულივით მიღიმის.

ნუთუ იცის? ნუთუ მან და რიტამ იციან, რას ვაკეთებ, რატომ დავიპარები ღამღამობით მათი კიბით? ნუთუ თავი გავეცი, ოცნებაში წასულს მზერა გამიშტერდა, სივრცეს ვუღიმოდი, ფრთხილად ვეხებოდი საკუთარ სახეს, როცა მეგონა, რომ არავინ მიყურებდა?

გლენისამ თავი მიმანება. აღარ მეჩურჩულება, ძირითადად, ამინდზე ლაპარაკობს. სულაც არ მაწუხებს ეს. პირიქით, შვებით ამოვისუნთქე.

ზარს ჩამოჰკრეს; ეს ხმა შორიდანაც აღწევს ჩვენამდე. დილაა, დღეს საუზმე არ გვეღირსება. მთავარი კარიბჭისაკენ მივემართებით და ორ-ორად ვმწკრივდებით. იქ გუშაგთა გაძლიერებული შემადგენლობაა თავმოყრილი, საგანგებოდ გაწვრთნილი ანგელოზები ამბოხის საწინააღმდეგო აღჭურვილობით – მუქი პლექსიგლასის გამობურცულზარადებიანი ჩაფხუტებით, რომლებიც მათ ხოჭოებს ამგვანებს, გრძელი ხელკეტებითა და გაზით დატენილი თოფებით – კედელთან გრძელ რიგად ჩამწკრივებულან. ისტერიის შემთხვევაში მათი მოქმედების დრო დადგება. კედელზე კაუჭები დაცარიელებულია.

ეს რაიონული სალხინებელია, მხოლოდ ქალებისათვის განკუთვნილი. სალხინებლები მუდამ დანაწილებულია. გუშინ გვაცნობეს, რომ გაიმართებოდა. ყოველთვის მხოლოდ წინა დღეს განგვიცხადებენ ხოლმე. ამ აზრთან შესაგუებლად დროს არავინ გვაღირსებს.

ზარების გუგუნში მივუყვებით ბილიკებს, რომლებზედაც წინათ სტუდენტები დადიოდნენ, გვერდს ვუვლით შენობებს, რომლებშიც ადრე სალექციო დარბაზები და საერთო საცხოვრებლები იყო განთავსებული. უცნაური შეგრძნებაა აქ დაბრუნება. გარედან ისე ჩანს, თითქოს არაფერი შეცვლილა, მხოლოდ ფანჯრების უმეტესობაზე დარაბებია ჩამოშვებული. ახლა ეს შენობა თვალთა საკუთრებაა.

ჩამწკრივებულნი მივაბიჯებთ ფართო გაზონზე, ყოფილი ბიბლიოთეკის წინ. ძველებურად გვხვდება თეთრი კიბე, რომელიც შენობაში შეგვიძღვება; არც მთავარი შესასვლელი შეუცვლიათ. გაზონთან ხის სცენაა აღმართული, ისეთი, ყოველ გაზაფხულზე რომ ნახავდით აქ ძველ დროს, ხარისხის მისანიჭებელი ცერემონიის დღეებში. მახსენდება ფართოფარფლებიანი ქუდები, პასტელის ფერების, რომლებიც კურსდამთვარებულთა დედებს ეხურათ ხოლმე და სტუდენტების შავი მანტიები, ხანდახან – წითელიც. მაგრამ ამ სცენას რაღაც მაინც განასხვავებს ძველებურისაგან – ზედ

აღმართული ხის სამი ძელი, რომლებზეც განასკვული თოკებია ჩამოკიდებული.

სცენის წინ მიკროფონი დგას; სატელევიზიო კამერა გვერდზეა მიმალული.

ამ სანახაობას აქამდე მხოლოდ ერთხელ დავესწარი, ორი წლის წინ. ქალთა სალხინებელი არცთუ ხშირი მოვლენაა. სულ უფრო იშვიათად იმართება. ყველანი ვცდილობთ, სანიმუშოდ მოვიქცეთ.

არ მინდა ამ ამბის მოყოლა.

ჩვენ წესისამებრ ვლაგდებით: ცოლები და ქალიშვილები ხის დასაკეც სკამებზე სხდებიან, უკანა რიგში, ეკონომცოლები და მართები გაზონის კიდეებსა და ბიბლიოთეკის კიბეზე იკალათებენ, ხოლო მხევლები წინ ვართწამოწეულნი, რათა ყველას შეეძლოს ჩვენი თვალიერება. ჩვენ დაჩოქილი ვართ, სკამები არ გვერგება, სამაგიეროდ, ამჯერად ბალიშები გვაქვს, პატარა, წითელი ხავერდის ბალიშები, რომლებსაც არაფერი აწერია, რწმენაც კი.

საბედნიეროდ, ამინდი მშვენიერია: ძალიან არ ცხელა, ცოტათი მოღრუბლულიც კია. საშინელება იქნებოდა, აქ რომ წვიმაში დავეჩოქებინეთ. შეიძლება ამიტომაც გვეუბნებიან ხოლმე ყველაფერს მხოლოდ წინა დღეს: ამ დროს უკვე იციან, როგორი ამინდი იქნება ხვალ. ეს მიზეზიც ისევე დამაჯერებლად ჟღერს, როგორც – სხვები.

მე ხავერდის წითელ ბალიშზე ვიჩოქებ. ვცდილობ, წუხანდელზე ვიფიქრო, ალერსზე სიბნელეში, როცა გარედან შემომავალ მკრთალ ნათებას ოთახის თეთრი კედლები ირეკლავდა. მახსოვს, რომ გულში მიკრავდა.

თოკის გრძელი ნაჭერი გველივით გაკლაკნილა ბალიშების პირველი რიგის წინ, მეორეს გასწვრივ მიემართება და უკან ჩამწკრივებული სკამებისაკენ მიიზლაზნება, ზემოდან დანახულ ბებერ, ზანტ მდინარეს ჰგავს. სქელი თოკია, ყავისფერი და კუპრის სუნი ასდის. თოკის წვერი სცენაზე ეშვება. პატრუქს ჰგავს თუ ბუშტზე გამობმულ ძაფს.

სცენაზე, მარცხენა მხარეს ისინი მოჩანან, ვისაც ალხინებენ: ორი მხევალი დაერთიც ცოლი. აქ ცოლის ყოფნა უჩვეულო მოვლენაა და ჩემდაუნებურად, დიდი ინტერესით შევჩერებივარ მას. მაინტერესებს, ასეთი რა ჩაიდინა.

ისინი აქ მანამდე დასხეს, სანამ ალაყაფის კარს გააღებდნენ. სამივე ხის დასაკეც სკამზე ზის, იმ კურსდამთავრებულების მსგავსად, რომლებსაც, სადაცაა, ჯილდოებს გადასცემენ. ხელები მუხლებზე დაუწყვიათ, თითქოსდა თვინიერად. ოდნავ ირწევიან, ალბათ, რამე გამაბრუებელი სითხე შეუშხაპუნეს ანდა აბები გადააყლაპეს, რომ აურზაური არ აეტეხათ. უკეთესი იქნება, თუ ყველაფერი მშვიდად ჩაივლის. ნეტავ სკამებზე არიან მიბმულნი? შეუძლებელია გამოიცნო, რა ხდება მათი კაბების საფარქვეშ.

და აი, ოფიციალური პროცესია სცენას უახლოვდება. სცენის მარჯვენა მხარისაკენ უჭირავთ გეზი: სამი ქალი, წინ ერთი დეიდა, მის უკან კი ორი მალხინებელი, თავიანთ შავ კაპიუშონებსა და შლეიფიან წამოსასხამებში გახვეულნი. მათ უკან სხვა დეიდები მოჰყვებიან. ჩვენ შორის ჩურჩულის ტალღა გადაირბენს. ეს სამი თავის ადგილს იკავებს სცენაზე; ჩვენკენ ბრუნდებიან დეიდაც და ორი შავმოსასხამიანი მალხინებელიც, რომლებიც აქეთ-იქიდან უმშვენებენ მხარს.

ეს დეიდა ლიდიაა. რამდენი წელია, აღარ მინახავს? არადა, კინაღამ დავიჯერე, რომ ის მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში არსებობდა, მაგრამ ის აქ არის. ოდნავ შებერებულა. კარგ ადგილას ვზივარ, ყველაფერს ვხედავ, მისი ცხვირის ორივე მხარეს გაღრმავებულ ნაოჭებს, ბრაზით შეკრულ წარბებს. თვალებს ახამხამებს. ნერვიულად იღიმება, მარჯვნივ და მარცხნივ ავლებს მზერას, აუდიტორიას აკვირდება და ხელს მაღლა სწევს, რომ თავსაბურავი შეისწოროს. ხმის გამაძლიერებლიდან უცნაური ხრიალი ისმის: დეიდა ლიდიამ ყელი ჩაიწმინდა.

მაკანკალებს. ზიზღი ნერწყვივით მივსებს პირს.

მზე ამოდის და სცენაცა და მისი ბინადარნიც საშობაო ბაგასავით ნათდებიან. უკვე ვხედავ ნაოჭებს დეიდა ლიდიას თვალებქვეშ, სკამებზე მსხდარი ქალების ფერმიხდილ სახეებს, ჩემ წინ ბალახზე

დაგდებული თოკის აშლილ ჯაგარს, ბალახის ღეროებს. ეს ბაბუაწვერაა, ზუსტად ჩემ ცხვირწინ, კვერცხისგულისფერი. მშივდება. ზარის რეკვა წყდება.

დეიდა ლიდია ფეხზე დგება, კაბის კალთებს ორივე ხელით ისწორებს და მიკროფონთან მიდის.

– დილა მშვიდობისა, ქალბატონებო, – ამბობს ის და ხმის გამაძლიერებლებში ფონად უეცარი და გამაყრუებელი წკმუტუნი ისმის. დაუჯერებელია, მაგრამ სიცილმა იფეთქა. ძნელია, არ გაგაცინოს იმ დაძაბულობამ და გაღიზიანებამ, დეიდა ლიდიას სახეზე რომ ჩანს, სანამ მიკროფონს ასწორებს. ალბათ, ფიქრობს, ასე უკეთ შეინარჩუნებს ღირსებას.

– დილა მშვიდობისა, ქალბატონებო, – იმეორებს დეიდა ლიდია, მისი ხმა ახლა გამკივანი და მთრთოლვარეა. გოგონებო ქალბატონებოთი ცოლების ხათრით შეცვალა.

– დარწმუნებული ვარ, ყველამ ვიცით, თუ რა სამწუხარო შემთხვევამ შეგვყარა აქ ამ მშვენიერ დილას. ალბათ, თითოეულ ჩვენგანს ერჩივნა, ეს დილა უფრო საამური საქმიანობისათვის მიეძღვნა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მერჩივნა, მაგრამ მოვალეობა ჩვენი ღმერთია, ამ შემთხვევაში, გავბედავ და ვიტყვი, რომ ქალღმერთი. სწორედ მოვალეობამ შეგვყარა ჩვენ დღეს აქ.

ის ასე მიერეკება კიდევ რამდენიმე წუთის განმავლობაში, მაგრამ მე აღარ ვუსმენ. მისი საჯარო გამოსვლა ბევრჯერ მომისმენია, ეს თუ არა, მსგავსი მაინც: იგივე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები, იგივე ლოზუნგები, იგივე ფრაზები: მომავლის შუქურა, ერის აკვანი, ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანა... ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ტირადას თავაზიანი ტაშისცემა არ მოჰყვება, ხოლო მერე ფანჩატურებში თავშეფარებულ საზოგადოებას ჩაისა და ნამცხვარს არ ჩამოურიგებენ.

„ეს შესავალი იყო, – ვფიქრობ მე, – ახლა საქმეზე გადავა“.

დეიდა ლიდია ჯიბეში ხელს იფათურებს და იქიდან ქაღალდის დაჭმუჭნილი ნაგლეჯი ამოაქვს. მის გაშლასა და თვალის

გადავლებას ძალიან დიდ დროს ანდომებს. საკუთარ პერსონას ცხვირში გვჩრის, გვაიძულებს, გავიხსენოთ, ვინ არის იგი. სანამ მდუმარედ კითხულობს, ჩვენ იძულებული ვართ, ვუყუროთ, ვიფიქროთ მის პრივილეგირებულ მდგომარეობაზე.

„რა უზნეობაა, – ვფიქრობ, – მორჩეს, რა!“

– წარსულში, – განაგრძობს დეიდა ლიდია, – წესი იყო, რომ ყოველი სალხინებლის წინ საზოგადოებას დაწვრილებით მოახსენებდნენ იმ დანაშაულის დეტალებს, რის გამოც დამნაშავეები განისჯებოდნენ. თუმცაღა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამგვარი სახალხო ანგარიშები, განსაკუთრებით, როცა ტელევიზიით გადაიცემოდა, გარდაუვლად იწვევდა ზუსტად მსგავს დანაშაულთა აფეთქებას, მე ვიტყოდი, ეპიდემიას. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ყველა ჩვენგანის ინტერესების გათვალისწინებით, წესები შეგვეცვალა. ამიერიდან სალხინებელი ზედმეტი ლაყბობის გარეშე გაიმართება.

ჩვენს რიგებს ჩურჩული გადაურბენს. სხვათა დანაშაული ჩვენი საიდუმლო ენაა. ამით საკუთარ თავს ვუჩვენებთ, რისი გაკეთება შეგვიძლია, საქმე საქმეზე თუ მიდგება. ეს არ არის პოპულარული განცხადება. თუმცა, ამას ვერ იტყვი დეიდა ლიდიას შემხედვარე, რომელიც ისე ახამხამებს თვალებს და იღიმება, თითქოს აპლოდისმენტები ქუხდეს. ახლა ჩვენ უკვე საკუთარ მოსაზრებულობას, საკუთარ ვარაუდებსღა უნდა ვენდოთ. აი, ის პირველი, ახლა რომ სკამიდან აყენებენ იდაყვზემოთ წავლებული შავხელთათმნიანი ხელები, ალბათ, კითხვისთვის დაიჭირეს. თუმცა, არა, ამისთვის მხოლოდ ხელს კვეთენ, თანაც – მესამეგაფრთხილების შემდეგ. მაშ, რა ედება ბრალად – მრუშობა თუ თავის მეთაურზე თავდასხმის მცდელობა? ალბათ, უფრო მეთაურის ცოლზე. ჩვენ ასე ვფიქრობთ. ცოლმა კი, ალბათ, იმ ერთადერთი მიზეზით შესცოდა, რის გამოც მათ სალხინებელში სჯიან. მათ შეუძლიათ, რაც უნდათ, ის გვიქნან მხევლებს, თუმცა, ჩვენი დახოცვის ნება არ აქვთ, ოფიციალურად მაინც. არ შეუძლიათ დაგვხოცონ საქსოვი ჩხირებითა თუ ბაღის მაკრატლებით, ანდა სამზარეულოდან აწაპნილი დანებით, განსაკუთრებით – თუ ორსულად ვართ. მან ქმარს უღალატა, რასაკვირველია. მუდამ ეს არის ხოლმე მიზეზი.

შეიძლება გაქცევის მცდელობაა.

– ჩარლისა, – აცხადებს დეიდა ლიდია. მე მას არ ვიცნობ. ქალი წინ გამოჰყავთ; ისე მოდის, თითქოს სიარულს მთელ ძალისხმევას ახმარსო. ჯერ ერთ ფეხი, მერე – მეორე, აშკარად გაბრუებულია. ტუჩებზე მთვრალის აბნეული ღიმილი დასთამაშებს. სახის ცალი მხარე უთრთის, გაუთავებლად აპაჭუნებს თვალს კამერის მიმართულებით. რა თქმა უნდა, ამას ტელევიზიით არასოდეს გაუშვებენ, პირდაპირი ეთერი ჩართული არ არის. ორი მალხინებელს მისთვის ზურგს უკან გადაუგრეხია ხელები.

ჩემ უკან ვიღაც აღებინებს.

აი, რატომ არ გვასაუზმეს ამ დილით.

– ჯენინი იქნება, – ჩურჩულებს გლენისა.

მე ეს ადრეც მინახავს: თავზე ჩამოცმული თეთრი ტომარა, ქალი, რომელიც ისე ეხმარება დაბალ სკამზე ასვლაში, თითქოს ავტობუსის კიბეზე აჰყავდეს, თავს შეიმაგრებს თუ არა, ყულფი კოხტად მოეჭდობა ყელზე, სამოსივით და ტაბურეტს გადააყირავებენ. მე ადრეც გამიგონია, როგორ აღმოხდება ერთობლივი ოხვრა ყველას, ისეთი ხმაა, თითქოს გასაბერი ლეიბი იჩუტებაო, მინახავს, დეიდა ლიდია როგორ ადებს ხელისგულს მიკროფონს, რათა მის ზურგს უკან აღმომხდარი ხმები ჩაახშოს. მე წინ ვიხრები, რომ ჩემ წინ დაგდებულ თოკს მივწვდე. სხვებთან ერთად, მეც ორივე ხელს ვავლებ მას. ხეშეში თოკია, კუპრში ამოვლებული. მცხუნვარე მზეზე წებოვანი გამხდარა. შემდეგ ხელს გულზე ვიდებ, რომ მალხინებლებისა და შეკრებილი საზოგადოების ნაწილად ყოფნა დავადასტურო და ქალის მკვლელობის თანამონაწილე გავხდე. მე ვხედავ ფეხს, რომელმაც ტაბურეტი გადააყირავა, ორ შავტანსაცმლიანს, რომლებიც ხელს ჰკიდებენ თოკს და მთელი ძალით ექაჩებიან დაბლა. აღარ მინდა ამის ყურება. ჯობია, ბალახს ვუყურო. ან თოკი აღვწერო.

43

სცენაზე სამი სხეული კიდია. თავზე ჩამოცმული თეთრი ტომრების მიუხედავადაც კი უჩვეულოდ დაჭიმული ჩანან, საყასბოს ვიტრინაში კისრით ჩამოკიდებული ქათმებივით, ფრთებგაპუტული ჩიტებივით, ფრენის ვერშემძლე ფრინველებივით, დასახიჩრებული ანგელოზებივით. შეუძლებელია, მათ თვალი მოსწყვიტო. კაბის ქობების ქვეშ ტერფები ქანაობს, ფეხსაცმელი: ორი წყვილი წითელი და ერთიც – ლურჯი. თოკები და ტომრები რომ არა, ეს ყველაფერი ცეკვას ემგვანებოდა, საბალეტო ნახტომს, რომელიც ფოტოაპარატის გაელვებამ ჰაერში გააშეშა. დადგმულ სცენას ჰგავს, შოუბიზნესის სანახაობას. უეჭველია, დეიდა ლიდია მოიფიქრებდა, რომ ლურჯი შუაში ყოფილიყო.

– დღევანდელი სალხინებელი დასასრულს მიუახლოვდა, – აცხადებს დეიდა ლიდია მიკროფონში, – თუმცა...

ჩვენ მისკენ ვტრიალდებით, მას ვუსმენთ, მას ვუყურებთ. მან ყოველთვის იცის, როდის სჯობს სიტყვის გაწყვეტა. მღელვარების ტალღა გვივლის, ჟრუანტელი. კიდევ რაღაც უნდა მოხდეს.

– თუმცა, შეგიძლიათ წამოდგეთ და წრე შეკრათ, – იგი ზემოდან დაგვღიმის, დიდსულოვნად, გულმოწყალედ. თითქოს, სადაცაა, რამეს გვიბოძებს, დაგვასაჩუქრებს: – აბა, მოეწყვეთ.

ჩვენ მოგვმართავს, მხევლებს. ზოგიერთი ცოლი უკვე მიდის, ზოგიერთიქალიშვილიც. მათი უმეტესობა რჩება, მაგრამ ისინი ფეხს არ იცვლიან, მოშორებით სხედან, მხოლოდ უცქერენ. ჩვენ კი წრეს ვკრავთ.

ორი გუშაგი წინ გამოდის და სქელ თოკს კეცავს, სივრცეს ათავისუფლებს. სხვებს ბალიშები გააქვთ. ჩვენ უთავბოლოდ დავბორიალობთ სცენის წინ, მინდორზე, ზოგი ჩვენგანი მუჭლუგუნებით იკვალავს გზას წინა რიგებისაკენ, მოვლენათა შუაგულისაკენ, დანარჩენები ისეთივე შემართებით ბრბოს შუაგულისაკენ მიიწევენ, სადაც უფრო დაცულად იგრძნობენ თავს.

შეცდომა იქნება, ამ ჯგუფში აშკარად უკან დაიხიო; ასე დონდლოს სახელი მოგეკერება, უნიათოსი. აქ კი ენერგია დუღს, მითქმა-მოთქმა და ფუსფუსია, მზადყოფნისა და ბრაზის ცახცახი. სხეულები დაჭიმულან, თვალები კვესავენ, თითქოს სამიზნე ამოიღეს ნიშანში.

არ მინდა, წინა რიგებში გამოვიჭიმო, მაგრამ არც უკან მიმალვა ივარგებს. არ ვიცი, რას აპირებენ, თუმცა, ვგრძნობ, ისეთს არაფერს, რისი ახლოდან დანახვაც მომინდება. მაგრამ გლენისა მკლავზე მექაჩება, თავისკენ მიმათრევს და აი, ჩვენ მეორე რიგში ვდგავართ, სხეულთა თხელი, ცალპირი მესერიღა გვაშორებს სანახაობას. არ მინდა ამისი ყურება, მაგრამ არც უკან მიკუჭვა ივარგებს. რაღაც მითქმა-მოთქმას მოვკარი ყური, რომელიც მხოლოდ სანახევროდ დავიჯერე. მიუხედავად ყველაფრისა, რაც უკვე ვიცი, საკუთარ თავს ვუმეორებ: ისინი ამას ვერ გაბედავენ.

– თქვენ უკვე იცით ლინჩიკუციის წესები, – ამბობს დეიდა ლიდია, – დაელოდეთ, სანამ სასტვენში ჩავბერავ, მერე კი, რაც გინდათ, ის ჰქენით, სანამ კვლავ სასტვენის ხმას არ გაიგონებთ.გასაგებია?

ჩვენს რიგებში ყაყანი ისმის, ამორფული თანხმობა.

– მაშინ დავიწყოთ, – ამბობს დეიდა ლიდია. იგი თავს ხრის. ორი გუშაგი – ისინი არა, რომლებმაც თოკი აკეცეს – სცენის უკნიდან მოემართებიან. მათ შუაში კაცი ჩაუყენებიათ და მოჰყავთ თუ მოათრევენ. ამ მესამესაც გუშაგის ფორმა აცვია, მაგრამ ქუდი არ ახურავს და მისი უნიფორმაც დასვრილი და დაგლეჯილია. სახე დასერილი და დალილავებული აქვს; სხეული – დასიებული და დაკოჟრილი, გაუპარსავ სახეზე ჯაგარი მოსდებია. ეს სახეს კი არა, რაღაც უცნაურ ბოსტნეულს ჰგავს, რაღაც საშუალოს ბოლქვსა და ტუბერს შორის, არასწორად გაზრდილს. ჩემი ადგილიდანაც კი ვგრძნობ: განავლისა და ნარწყევის სუნად ყარს. ქერაა და თმა სახეზე ჩამოშლია. რამ გაუხეშეშა ასე? შემშრალმა ოფლმა?

მე ზიზღით შევცქერი. მთვრალს ჰგავს, რომლემაც იჩხუბა. რატომ გამოიყვანეს აქ მთვრალი?

– ეს კაცი, – ამბობს დეიდა ლიდია, – გაუპატიურებაშია მხილებული, – მის ხმაში ერთდროულად გააფთრება და ტრიუფი იგრძნობა, – ერთ

დროს იგი გუშაგი იყო, მაგრამ თავისი მუნდირი შეარცხვინა. თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა. მისი თანამზრახველი უკვე დახვრიტეს. სასჯელი გაუპატიურებისათვის, როგორც უკვე იცით, სიკვდილია. მეორე სჯულისა, 22,23-29. შემიძლია მხოლოდ ის დავამატო, რომ ამ დანაშაულის მსხვერპლი ორი თქვენგანია, ხოლო დანაშაულის ადგილი – საგუშაგო-გამშვები ჯიხური. ეს მხეცური გაუპატიურება იყო. არ შეურაცხვყოფ თქვენს სმენას დეტალების მოყოლით, მაგრამ ერთ რამეს გეტყვით – ერთ-ერთი გაუპატიურებულთაგანი ფეხმძიმედ იყო და ბავშვი დაიღუპა.

ჩვენს რიგებს ოხვრამ გადაუარა; ვგრძნობ, რომ ჩემდაუნებურად, ხელები მუშტად შემეკრა. ასეთი ძალადობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. და ბავშვი, ასეთი ვაივაგლახით ჩასახული... ვგრძნობ, რომ სისხლი მწყურდება; მინდა, რომ შუაზე გავგლიჯო, დავანაკუწო, გავანადგურო.

ჩვენ მუჯლუგუნებით მივიკაფავთ გზას წინ, თავებს აქეთ-იქით ვატრიალებთ, ნესტოებს ვბერავთ, სიკვდილის სუნი ვიკარით, ერთმანეთს ვუყურებთ და სიძულვილს ვხედავთ. დახვრეტა მსუბუქი სასჯელი იყო. კაცი მთვრალივით აცეცებს თვალებს: ნეტავ საერთოდ თუ გაიგონა დეიდა ლიდიას სიტყვები?

დეიდა ლიდია ერთი წუთით იცდის; მერე ოდნავ იღიმება და სასტვენი პირთან მიაქვს. ჩვენ გვესმის მისი ხმა, გამკივანი და ვერცხლისებური, დიდი ხნის წინანდელი ფრენბურთის მატჩების ექო.

ორი გუშაგი კაცს ხელს უშვებს და უკან იხევს. ის ბარბაცებს – ნუთუ ნარკოტიკებითაა გაბრუებული? – და მუხლებზე ეცემა. გასივებულ სახეზე თვალები თითქმის აღარ უჩანს, ისე დასწვრილებია, თითქოს სინათლე აწუხებსო. როგორც ჩანს, ბნელში ჰყავდათ დამწყვდეული. იგი ცალ ხელს ლოყაზე ისვამს, თითქოს ამოწმებს, ხომ ისევ ადგილზეაო. ყველაფერი ეს უცებ ხდება, მაგრამ მე საოცრად შენელებული მეჩვენება მისი მოძრაობა.

ადგილიდან არავინ იძვრის, ქალები შეძრწუნებით შეჰყურებენ მას, თითქოს სამზარეულოს კარადის ქვეშიდან გამოცოცებული მომაკვდავი ვირთხა იყოს. მოჭუტულ თვალებს ჩვენ, წითელი ქალების შეკრულ წრეს, გვავლებს. ტუჩის ერთი კუთხე ოდნავ

ერხევა, დაუჯერებელია – ნუთუ იღიმის?

მე ვცდილობ, გულდასმით დავაკვირდე მას, მის დალეწილ სახეს, ამოვიცნო. ვფიქრობ, ოცდაათი წლის უნდა იყოს. ლუკი არ არის.

მაგრამ შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს ვიცი. შეიძლებოდა ნიკიც ყოფილიყო. ჰოდა, რაც უნდა ჩაედინა, მასზე ხელს ვერ აღვმართავ.

იგი რაღაცას ამბობს. ხრინწიანი ხმა ამოსდის, თითქოს ყელი დაჟეჟილი აქვსო. ენა ისე გასიებია, პირში ძლივსღა ეტევა, მაგრამ მე მაინც მესმის. ის ამბობს:

– მე არ...

ყველანი წინ ვაწყდებით, როგორც ძველი დროის როკ-კონცერტებზე,როცა კარი იღებოდა და ტალღასავით წაგვლეკავდა ხოლმე მოუთმენლობა. ჰაერი ადრენალინით ივსება, ჩვენ ყველაფრის ნება დაგვრთეს და ეს თავისუფლებაა. მან ჩემი სხეულიც მოიცვა, ვბანცალებ, ყველაფერი სიწითლეს დაუფარავს, მაგრამ სანამ ეს სხეულთა და ტანსაცმელთა ტალღა კაცს წალეკავს, გლენისა ჩვენ წინ მდგარ ქალებს ხელისკვრით იშორებს, იდაყვებით მიიკვლევს გზას, მარჯვნივ და მარცხნივ მუჯლუგუნებს არიგებს და კაცთან მიდის, ძირს აგდებს, გვერდულად, მერე კი გამეტებით უჩეჩქვავს თავს, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, კარგად უმიზნებს, დაუნდობლად ურტყამს ფეხს. ახლა უკვე ბგერები, ხვნეშა, ხმადაბალი ღრენა და ღრიალი ერთმანეთს ერევა, წითელი სხეულები ერთმანეთში იხლართებიან და კაცი თვალთახედვიდან ქრება, მას ხელები, მუშტები, ფეხები ფარავს. საიდანღაც ხმამაღალი კივილი მოისმის, თავზარდაცემული ცხენის ჭიხვინის მსგავსი.

მე უკან ვიხევ, ვცდილობ, ფეხზე ვიდგე. უკნიდან რაღაც მეჯახება. ვბარბაცებ, თავს ვიმაგრებ და იქაურობას თვალს ვავლებ: ვხედავ თავიანთი სკამებიდან წინ გადმოხრილ ცოლებსა და ქალიშვილებს, დეიდებს, რომლებიც სცენიდან გაფაციცებით დაგვცქერიან. იქიდან, ალბათ, ყველაფერი უკეთ ჩანს.

კაცი გვამად იქცა.

გლენისა ჩემ გვერდით ბრუნდება. მშვიდი გამომეტყველება აქვს, არაფრისმთქმელი.

– დავინახე, რაც გააკეთე, – ვეუბნები. შეგრძნების უნარი დამიბრუნდა და ვგრძნობ: შეძრწუნებას, გაცოფებას, გულისრევას. დაუნდობლობას.

–ეს რატომ ჰქენი? შენ! მეგონა, შენ...

– ნუ მიყურებ, – ამბობს ის, – გვითვალთვალებენ.

– ფეხებზე მკიდია, – ვამბობ, ჩემდაუნებურად ხმას ვუწევ.

– თავი შეიკავე, – ამბობს ის. თითქოს ტანსაცმელს მიფერთხავდეს, ხელს მისვამს მხარსა და მკლავზე. სახე ჩემს ყურთან მოაქვს:

– ნუ სულელობ, მას არავინ გაუუპატიურებია, პოლიტიკური დამნაშავე იყო. ერთ-ერთი ჩვენგანი. გავთიშე. ვუშველე იმ უბედურს. ვერ ხედავ, რას უშვრებიან?

„ერთ-ერთი ჩვენგანი“, – ვფიქრობ, – „გუშაგი“, – დაუჯერებლად ჟღერს.

დეიდა ლიდია ისევ უბერავს თავის სასტვენში, მაგრამ ბრბო მაშინვე არ ჩერდება. ორი გუშაგი წინ მოიწევს, გაცოფებულ მხევლებს აგლეჯენ იმას, რაც კაცისაგან დარჩა. ზოგი მათგან მინდორზე გდია, რადგან ჯგლეთის დრო შემთხვევით ვიღაცის მუშტი თუ წიხლი მოხვდა. ზოგიერთს გული წასვლია. ისინი დგებიან და სხვადასხვა მხარეს მიბანცალებენ, ორ-ორად, სამ-სამად ან მარტო. გათიშულებს ჰგვანან.

– ახლა კი იპოვეთ თქვენი მეწყვილეები და რიგში დადექით, – ამბობს დეიდა ლიდია მიკროფონში. ყურადღებას თითქმის არავინ აქცევს. ერთი ქალი ჩვენკენ მოემართება, ისე მოდის, თითქოს ბნელში ალალბედზე მოიკვლევდეს გზას: ჯენინი. ლოყაზე სისხლის ლაქა სცხია, თავსაბურავიც სისხლით აქვს მოთხვრილი. ის იღიმება, ძლივსშესამჩნევი ნათელი ღიმილით. თვალები აცაბაცა გაურბის.

– გაუმარჯოს, – გვესალმება, – როგორ გიკითხოთ?

მარჯვენა ხელში რაღაც მაგრად ჩაუბღუჯავს. ქერა თმა. ჩუმად ხითხითებს.

– ჯენინ, – ვეძახი, მაგრამ ის ხელიდან არის წასული, ამჯერად საბოლოოდ. უკიდეგანო უფსკრულისაკენ მიექანება, ყველაფრისგან გამოთიშული.

– აბა, ბედნიერ დღეს გისურვებთ, – ამბობს და გვშორდება, ალაყაფისაკენ მიდის.

მე მას თვალს ვაყოლებ. „იოლი გზა იპოვა“, – ვფიქრობ და არ მეცოდება, მხოლოდ ბრაზს ვგრძნობ მის მიმართ. ამით ვერ ვიამაყებ, ვერც სხვა რამეებით. თუმცა, მეორე მხრივ, მარილი სწორედ ამას აქვს.

ხელებზე ცხელი კუპრის სუნი ამდის. მინდა, შინ დავბრუნდე, სააბაზანოში ჩავიკეტო და ხორკლებიანი საპნითა და პემზით მთელი ძალით ვიხეხო და ვიხეხო ტანი, რომ ამ სუნის კვალიც კი გავაქრო. მისი სიმყრალე გულს მირევს.

თანაც მშია. ალბათ, ეს პირუტყვობაა, მაგრამ ასეა და რა ვქნა. სიკვდილმა შიმშილის გრძნობა გამიმძაფრა. შეიძლება ასე იმიტომ ხდება, რომ შინაგანად დავცარიელდი; ანდა შეიძლება სხეული ასე აღნიშნავს იმას, რომ ცოცხალი გადარჩა და დაუსრულებლად, მონოტონურად ლოცულობს: მე ვარ, მე ვარ, მე ვარ, ჯერაც.

მინდა, ლოგინში ჩავწვე, კაცთან, ახლავე.

ტვინში მიტრიალებს სიტყვა კმაყოფილება.

ისე მშია, მთელ ხარს შევჭამდი.

44

ყველაფერი ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა.

როგორ შეიძლება, ამას ჩვეული ვუწოდო? ამდილანდელთან შედარებით, დიახაც, შემიძლია.

სადილად ყველისა და შავი პურის სენდვიჩი გვაქვს, ერთი ჭიქა რძე, სალათის ფურცლები და მსხლის კონსერვი. სკოლის მოსწავლის სადილი. ყველაფერი მოვასუფთავე, აუჩქარებლად, ყველა ლუკმას გემოს ვატანდი, ყველა არომატს ენაზე ვიდნობდი. ახლა საყიდლებზე მივდივარ, როგორცყოველთვის. ერთი სული მაქვს. ყოველდღიურ რუტინაშიც კი არის რაღაც, შვების მომგვრელი.

უკანა კარიდან გავდივარ და ბილიკს მივუყვები. ნიკი მანქანას რეცხავს, ქუდი გვერდზე აქვს მოქცეული. ზედაც არ მიყურებს. ეს დღეებია, ვცდილობთ ერთმანეთს თვალი ავარიდოთ. ეჭვი არაა, ერთმანეთის თვალებში ყურება გაგვცემს, აქაც კი, ღია სივრცეში, ახლაც კი, როცა ახლომახლო არავინაა.

ქუჩის კუთხეში გლენისას ველოდები. ის აგვიანებს. ბოლოს, როგორც იქნა, ჩნდება. წითელი კაბითა და თეთრი თავსაბურავით ფრანს ჰგავს, მტკიცედ მოაბიჯებს, უკვე ყველა ჩვენგანმა ისწავლა ასე სიარული. ვუყურებ და თავდაპირველად უცნაურს ვერაფერს ვამჩნევ. მერე კი, როცა უფრო მიახლოვდება, მეჩვენება, რომ გლენისას რაღაც სჭირს. რაღაც დაემართა. სხვანაირია, თუმცა, ვერ ვიტყვი, რატომ: არც დაშავებულია და არც კოჭლობს. თითქოს შევიწროვდაო.

როცა ახლოს მოდის, ვხვდები – ეს გლენისა არ არის. იმავე სიმაღლისაა, მაგრამ უფრო თხელი, შავგვრემანი სახე აქვს და არა – ვარდისფერი. ჩემ წინ ჩერდება.

– კურთხეულ იყოს ნაყოფი! – ამბობს. სახე მკაცრი აქვს, სიტყვა – მკვახე.

– უფალმა განახვნას! – ვპასუხობ. ვცდილობ, გაოცება არ შევიმჩნიო.

– შენ, ალბათ, ფრედისა ხარ, – მეუბნება ის. მე ვუდასტურებ და გზას ვადგებით.

„ეს რაღაა?!“ – ვფიქრობ მე. თავში ალიაქოთი მაქვს. ცუდი ამბავია. ნეტავ გლენისას რა დაემართა? როგორ გავიგო ეს ისე, რომ მეტისმეტი ინტერესი არ გამოვამჟღავნო? ჩვენ არ გვაქვს ერთმანეთთან დადობილებისა და გულის გადაშლის უფლება. ვიხსენებ, რამდენი ხანი გავიდა, რაც გლენისა ამ ოჯახში მსახურობდა.

– დღეს კეთილი ტაროსი გვებოძა, – ვამბობ მე.

– რომელიც მე მადლიერებით მივიღე, – მშვიდი ხმა აქვს, უშფოთველი, თავშეკავებული.

პირველ შლაგბაუმს ისე ვცდებით, ხმას აღარ ვიღებთ. სიტყვაძვირობს,მაგრამ არც მე მექავება ენა. ნუთუ ელოდება, საუბარს როდის წამოვიწყებ და თავს როდის გავამჟღავნებ, ან ეგებ მორწმუნეა და უხმო ლოცვით არის გართული?

– გლენისა სხვაგან გადაიყვანეს? ასე მალე? – ვეკითხები. თუმცა, პასუხი ისედაც ვიცი – გლენისა ამ დილით ვნახე, სხვაგან რომ გადაეყვანათ, აუცილებლად მეტყოდა.

– მე ვარ გლენისა, – მეუბნება ქალი. კოხტად მომიჭრა. ჰო, რა თქმა უნდა, ის არის, ახლა ის არის გლენისა, ხოლო ის ძველი, სადაც უნდა იყოს, გლენისა აღარ არის. მე არ ვიცოდი მისი ნამდვილი სახელი. აი, ასე შეიძლება დაიკარგოს ადამიანი უსახელობის ოკეანეში. ახლა მისი პოვნა ძალიან გამიჭირდება.

ჩვენ „რძესა და თაფლში“ შევდივართ, მერე „ყოველ ხორციელში“, სადაც მე ქათამს ვყიდულობ, ახალი გლენისა კი – სამ გირვანქა ჰამბურგერს. ყველაფერი ძველებურადაა. რამდენიმე ნაცნობ ქალს ვხედავ. ერთმანეთს ძლივშესამჩნევი თავისდაკვრით ვესალმებით. ერთმანეთს ვაგრძნობინებთ, რომ ვცნობთ, რომ ჯერაც ვარსებობთ. „ყოველი ხორციელიდან“ გამოსული ახალ გლენისას ვეუბნები:

– კედელთან გავიაროთ.

არ ვიცი, ამას რატომ ვაკეთებ, შეიძლება მის რეაქციას ვამოწმებ. მინდა, გავიგო, ჩვენიანია თუ არა. თუ ჩვენიანია და მე ამას წამოვაცდენინებ, ეგებ ისიც მითხრას, გლენისას რა შეემთხვა.

– როგორც გინდა, – მეუბნება იგი. რა არის ეს – გულგრილობა თუ სიფრთხილე?

კედელზე დილანდელი ქალები კიდია, იმავე კაბებით, იმავე ფეხსაცმლით, იმავე ტომრებჩამოცმულნი. თოკშემოხსნილი ხელები უძრავად და მორჩილად ჩამოუშვიათ. ლურჯი შუაშია, ორივე მხარს წითლები უმშვენებენ, თუმცა, ფერები ისე აღარ კაშკაშებს; გამოხუნებულა, ელვარება მინავლია, მკვდარი პეპლებისა თუ ხმელეთზე გამორიყული ტროპიკული თევზების მსგავსად, პეწი დაჰკარგვია. ჩვენ მდუმარედ ვდგავართ და მათ შევცქერით.

– დაე, ეს ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იყოს, – ამბობს ბოლოს ახალი გლენისა.

მე უცებ არაფერს ვპასუხობ, რადგან ვცდილობ, მისი ნათქვამის აზრს ჩავწვდე. შეიძლება გულისხმობს, რომ ეს კარგი გაკვეთილია, რომელიც რეჟიმის სისასტიკესა და უსამართლობას გვახსენებს. ასეთ შემთხვევაში უნდა ვუპასუხო: ჰო. შეიძლება, პირიქით, იმის თქმა უნდა, რომ ეს კარგი გაკვეთილია ჩვენთვის, რათა ამის შემდეგ უფრო მორჩილნი ვიყოთ და თავი საფრთხეში არ ჩავიგდოთ, თორემ კანონიერი სასჯელი არ დაახანებს. თუ ამას გულისხმობს, უნდა ვუპასუხო: კურთხეულ იყოს. მისი ხმა მონოტონურია, მშვიდი, არაფერს მანიშნებს.

მე ცეცხლს ვეთამაშები.

– ჰო, – ვეუბნები.

იგი არაფერს მპასუხობს, თუმცა, ვგრძნობ, როგორ იელვა სითეთრემ ჩემი თვალის კუთხესთან – მან ჩემს ნათქვამზე სწრაფად შემოაბრუნა თავი.

ერთი წუთის შემდეგ ვტრიალდებით და უკან მივუყვებით გრძელ

გზას, წესისამებრ, ერნაირად მივაბიჯებთ, რათა გარეშე თვალისათვის ფეხშეწყობილი ვჩანდეთ.

ვფიქრობ, ეგებ ჯობდეს, მორიგი იერიში სამომავლოდ გადავდო. ძალიან ვიჩქარე მისთვის კბილის მოსინჯვა. უნდა დამეცადა ერთი კვირა, ორი, შეიძლება მეტიც, თვალყური მედევნებინა, მის ხმაში შეფარული ინტონაციები აღმომეჩინა, გაუფრთხილებელი სიტყვები, როგორც ამას მისი წინამორბედი მიკეთებდა. ახლა, როცა გლენისა გაქრა, მე ისევ ფრთხილი გავხდი, ჩემი დაუდევრობა სადღაც გადაიკარგა, ჩემმა სხეულმა მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე კი არა, ტყავის გადარჩენაზეც დაიწყო ფიქრი. არ უნდა ავჩქარდე, გაუმართლებელი რისკი სიკეთეს არ დამაყრის. მაგრამ ახლავე მინდა, გავიგო, რას უნდა ველოდო ამ ქალისაგან. სანამ ბოლო შლაგბაუმს გავცდებით, თავს ვიკავებ, მაგრამ როცა კორპუსების გვერდით მივდივართ, სიფრთხილეს ვკარგავ.

– დიდი ხანია არ იყო, რაც გლენისას ვიცნობდი, – ვამბობ, – შენამდელს ვგულისხმობ.

– ჰოო? – ამბობს ის. რადგან რაღაც თქვა, თუნდაც უმნიშვნელო, გამბედაობა მემატება.

– მაისში გავიცანით ერთმანეთი, – ვამბობ მე, ვგრძნობ, რომ ტანი ერთიანად მიხურს და გული ლამის საგულედან ამომვარდეს. ვეშმაკობ. ჯერ ერთი, ტყუილს ვამბობ. და როგორ გავაგრძელო საუბარი ისე, რომ მთავარ სათქმელამდე მივიდე?

– მგონი, პირველი მაისი იყო. როგორც ადრე ამბობდნენ ხოლმე, მაისის დღე.

– ასე ამბობდნენ? – ამბობს ის, დაუდევრად, გულგრილად, მუქარით, – არ მახსოვს ეგ გამოთქმა... მიკვირს, რომ შენ დაგიმახსოვრებია, ეტყობ,ა თავს ძალა დაატანე, – ის ჩუმდება, – ჯობს, თავიდან ამოიგდო ეგ... – ისევ ჩუმდება, – წარსულის ლანდი.

ხელ-ფეხი მიცივდება, მთელი სხეული ოფლით მეცვარება. მან გამაფრთხილა.

ის ჩვენიანი არ არის, მაგრამ იცის.

ბოლო კორპუსებს აკანკალებული ვუვლი გვერდს. ისევ სისულელე ჩავიდინე, სისულელეზე უარესი. ადრე არასოდეს მომსვლია ეს აზრად, ახლა კი ვხვდები: თუკი გლენისა დაიჭირეს, ის ჩემზეც ილაპარაკებს. აუცილებლად ილაპარაკებს. დადუმებას ვერ შეძლებს.

„ჰო, მაგრამ მე არაფერი დამიშავებია“, – ვეუბნები საკუთარ თავს. მართლაც ასეა. ჩემი დანაშაული მხოლოდ ცოდნაა. და ის, რომ არ დავაბეზღე.

მათ იციან, სად არისჩემი შვილი. რა იქნება, რომ მოიყვანონ და ჩემ თვალწინ დაემუქრონ? ანდა რამე დაუშავონ. წარმოდგენაც კი არ მინდა, რა შეუძლიათ. ან ლუკი, ლუკი რომ მათ ჰყავდეთ. ან დედაჩემი, ანდა მოირა, ან ყველა ერთად. ღმერთო, მოწყალეო, არ დამაყენო არჩევნის წინაშე. ამას ვერ გავუძლებ, ნამდვილად ვიცი; მოირა მართალს ამბობდა ჩემზე. ყველაფერს ვიტყვი, რასაც მაიძულებენ, ყველას დავადებ ხელს. ერთი რომ დაიყვირონ, ან თუნდაც წაიტირონ, ჟელესავით დავრბილდები, ნებისმიერ დანაშაულს ვაღიარებ, კედლის კაუჭზე ამომხდება სული. „თავი დახარე, – აკი ვამბობდი ჩემთვის, – და წინ იყურე, არაფერს აზრი არ აქვს“.

ახლაც სახლისაკენ მიმავალი იმასვე ვუმეორებ საკუთარ თავს.

ქუჩის კუთხეში ჩვეულებრივ ვტრიალდებით ერთმანეთისაკენ.

– მის თვალთა ჩრდილში, – მეუბნება ახალი, სახიფათო გლენისა.

– მის თვალთა ჩრდილში, – ვპასუხობ მე, შეძლებისდაგვარად გულმხურვალედ. თითქოს ახლა, როცა უკვე ასე ღრმად შევტოპე, ამ ფარსს ჩემი დახსნა შეეძლოს.

შემდეგ ის უცნაურ რამეს სჩადის: ჩემკენ იხრება ისე, რომ მისი გახამებული თავსაბურავის წვეტები ლამის სახეში მესობა, ისე, რომ მისი თვალების მკრთალ ქვიშისფერსა და სახის ნაზ სისხლძარღვებს ვარჩევ და მეჩურჩულება, სხაპასხუპით, გამხმარი ფოთოლივით შრიალა ხმით:

– თავი ჩამოიხრჩო, – მეუბნება იგი, – სალხინებლის მერე დაინახა, რომ ფურგონი უახლოვდებოდა. მისთვის ასე ჯობდა.

მერე იგი მომშორდა და გზას გაუყვა.

45

ერთი წუთი უძრავად ვდგავარ. ჰაერი არ მყოფნის. თითქოს წიხლი ჩამცხეს.

ანუ ის მოკვდა და როგორც იქნა, საფრთხე აღარ მემუქრება. მოკვდა, სანამ ისინი შეიპყრობდნენ. შვებას ვგრძნობ. მისი მადლიერი ვარ. მოკვდა, რომ მე მეცოცხლა. მოგვიანებით ვიგლოვებ.

თუ ეს ქალი არ ტყუის.

მე ღრმად ვისუნთქავ, მერე ამოვისუნთქავ, ჟანგბადს ვყლაპავ. ჩემ თვალწინ სივრცე ბნელდება, მერე კაშკაშა სინათლე ეფინება. ვიცი, საითაც უნდა წავიდე.

ვტრიალდები, ჭიშკარს ვაღებ, ერთი წამით სახელურს ვეყრდნობი, თავს ვიმაგრებ და შიგნით შევდივარ. ნიკი აქ არის, კვლავ მანქანას რეცხავს, ხმადაბლა უსტვენს. ძალიან შორეული მეჩვენება.

„მაღალო ღმერთო, – ვამბობ გუნებაში, – ისე მოვიქცევი, როგორც შენ გინდა. რადგან ამჯერად გადამარჩინე, ყველაფერს ამოვირეცხავ გულიდან, ისეთი ვიქნები, როგორსაც ესენი მიბრძანებენ. სულ დავცარიელდები,მართლა ჭურჭლად ვიქცევი. ნიკს თავს დავანებებ, დანარჩენებსაც დავივიწყებ, აღარ დავიწუწუნებ. ჩემს ხვედრს დავემორჩილები. თავს გავწირავ, ცოდვებს მოვინანიებ, უარს ვიტყვი აზროვნებაზე, უარს ვიტყვი პრინციპებზე“.

ვიცი, რომ ზედმეტი მომდის, მაგრამ მაინც ასე ვფიქრობ. ყველაფერი, რაც „წითელ ცენტრში“ მასწავლეს, რასაც მთელი არსებით ვეწინააღმდეგებოდი, ერთბაშად მაწყდება. არ მინდა, მეტკინოს. არ მინდა ბალერინა ვიყო, რომელსაც ფეხები ჰაერში უქანავებს, თავზე კი უფორმო თეთრი ტომარა აქვს ჩამოცმული. არ მინდა, კედელზე თოჯინასავით დამკიდონ, არ მინდა უფრთო ანგელოზობა. მინდა, გადავრჩე, რადაც უნდა დამიჯდეს. უარს ვამბობ საკუთარ სხეულზე, გამოიყენონ, როგორც უნდათ. რაც სურთ, ის

უქნან. ყველანაირად დავიმცირებ თავს.

და ახლა პირველად ვგრძნობ ამათი ძალაუფლების სიდიადეს.

*

გვერდს ვუვლი ყვავილების კვლებს, ტირიფის ხეს და უკანა კარისაკენ მივდივარ. აი, შევალ და თავს უსაფრთხოდ დავიგულებ, მუხლებზე დავეცემი, ჩემს ოთახში, მადლიერებით სავსე ავივსებ ფილტვებს შმორიანი, ავეჯის საპრიალებლის სუნით გაჟღენთილი ჰაერით.

სერენა ჯოი წინკართან გამოსულა; კიბეზე დგას და მეძახის. ნნეტავ, რა უნდა? ეგებ სურს, რომ მოსასვენებელ ოთახში შევყვე და ნაცრისფერი შალის ძაფის დახვევაში მივეხმარო? ალბათ, ხელების კანკალს ვერ შევიჩერებ, აუცილებლად შენიშნავს. მაგრამ მე მაინც მივდივარ მისკენ, რადგან სხვა გზა არ მაქვს.

ზემო საფეხურზე მდგარი მაღლიდან გადმომყურებს, თვალები უელავს, თითქოს დანაოჭებულ თეთრ კანს ლურჯი ცეცხლი წაჰკიდებია. მზერა მისი სახიდან იატაკისაკენ გადამაქვს: მის ფეხებსა და ყავარჯნის ძირს დავყურებ.

– გენდობოდი, – მეუბნება ის, – შენს დახმარებას ვცდილობდი.

ისევ ვერ ვუსწორებ თვალს. დანაშაულის გრძნობა მიპყრობს, გამომიჭირეს, მაგრამ რაში? ჩემს მრავალ ცოდვათაგან რომელი გამჟღავნდა? ამის გამოსარკვევად საუკეთესო გზა გაჩუმებაა. ახლა რომ მე რამის გამო მობოდიშებას მოვყვე, ყველაფერი აირევა. შეიძლება ისეთი რამ წამომცდეს, რის ბაიბურშიც არ არის.

შეიძლება სულ უმნიშვნელო რამ იყოს. შეიძლება ჩემს ლოგინში დამალული ასანთის ღერი იპოვა. თავჩაქინდრული ვდგავარ.

– აბა, – მეუბნება, – რითი გაიმართლებ თავს?

მე, როგორც იქნა, ავხედე.

– რის გამო? – ძლივს ვბლუყუნებ. ჩემი სიტყვები უტიფრად ჟღერს.

– აი, ნახე! – ის ზურგს უკან დამალულ ხელს წინ სწევს და თავის ზამთრის მოსასხამს მიჩვენებს, – პომადა ეცხო, – ამბობს ის, – ასეთი საძაგლობა როგორ გააკეთე? მე მას ვუთხარი... – ის მოსასხამს ძირს ისვრის და გაძვალტყავებულ ხელში ახლა სხვა რამ მოუჩანს. მერე მასაც ისვრის. იასამნისფერი კილიტები ძირს ეცემა, გველის კანივით მისრიალებს კიბეზე, მზის შუქზე ბრწყინავს.

– ჩემს ზურგს უკან, – ამბობს იგი, – რამე მაინც დაგეტოვებინა ჩემთვის, – ნუთუ, მიუხედავად ყველაფრისა, მეთაური მაინც უყვარს? ის თავის ხელჯოხს სწევს. მგონია, რომ ჩარტყმას მიპირებს, მაგრამ ჰაერში აშეშებს.

– აკრიფე ეს საზიზღრობა და შენს ოთახში შედი. შენც იმ წინასავით ბოზი ხარ და მასავით დაამთავრებ სიცოცხლეს.

მე ვიხრები, ნივთებს ვკრეფ. ზურგს უკან ნიკის სტვენა აღარ მესმის.

მინდა, რომ შემოვტრიალდე, მასთან მივირბინო და მკლავები შემოვხვიო. ეს სისულელე იქნება. ნიკი ვერ დამეხმარება და მასაც დავღუპავ.

უკანა კარში შევდივარ, მერე სამზარეულოში, კალათას ძირს ვდებ და ზემოთ ავდივარ. მშვიდად და თავშეკავებულად.

46

ჩემს ოთახში ვზივარ, ფანჯარასთან. ველოდები. კალთაში დაჭმუჭნილი ვარსკვლავების გროვა მიყრია.

შეიძლება ეს ჩემი უკანასკნელი მოლოდინია. თუმცა, არ ვიცი, რისი. რაღას ელოდები? – ამბობდნენ ადრე. გულისხმობდნენ, დაუჩქარეო. პასუხი საჭირო არ იყო. რას ელი? – სხვა შეკითხვაა. მე არც ამის პასუხი ვიცი.

თუმცა, ეს მთლად ლოდინიც არ არის. ეს დუღილის ტემპერატურაა, ოღონდ ვერ ვდუღვარ. ამის დროც კი არ მაქვს.

მე პატივაყრილი ვარ. ეს პატივდებულის საპირისპირო ცნებაა. ამის გამო თავს უარესად უნდა ვგრძნობდე.

მაგრამ მე მშვიდად ვარ, ჩემთვის ყველაფერი სულერთია. ნება არ მისცე ამ ნაბიჭვრებს, გადაგიარონ. ეს იგივეა, რომ თქვა: ნება არ მისცე ნიავს, რომ დაუბეროს; ანდა: ნუ იქნები.

მე მგონი, ასეც შეიძლება ითქვას.

ბაღში არავინაა.

ნეტავ, თუ იწვიმებს.

გარეთ ნელ-ნელა ბინდდება. ცა უკვე შეწითლდა. მალე დაღამდება. აი, უკვე ჩამობნელდა. ცოტა ხანიც და...

*

რაღაცების გაკეთება შემიძლია. მაგალითად, შემიძლია სახლს ცეცხლიწავუკიდო. შემიძლია ტანსაცმელი და თეთრეული დავახვავო და ჩემს დამალულ ასანთის ღერს გავკრა. თუ ხელი მომეცარა, რაღა გაეწყობა. მაგრამ თუ აინთო, სანახაობას მაინც მოვაწყობ, რაღაც ნაკვალევს მაინც დავტოვებ ჩემი არსებობის ნიშნად. ალი იოლად ავარდება. მე კი ამასობაში კვამლის ქულებს ისე ჩავისუნთქავ, რომ

უჟანგბადობამ დამახრჩოს.

შემიძლია, ზეწარი ზოლებად დავხიო, ბაწარივით დავგრიხო, ერთი ბოლო საწოლის ფეხს მოვაბა და ვცადო, ფანჯარა გავტეხო. ტყვიაგაუმტარი მინა.

შემიძლია, მეთაურთან ჩავიდე, იატაკზე დავემხო, თმა გავიშალო, როგორც ამბობენ ხოლმე და მუხლებში ჩავუვარდე, აღსარება ჩავაბარო, ვიქვითინო, ვემუდარო. შემიძლია ვუთხრა:

ნოლიტე ტე ბასტარდეს ცარბორუნდორუმ , ვედრების ნაცვლად. თვალწინ მიდგება მისი ფეხსაცმელი – შავი, გაპრიალებული, მოუტეხავი, თავის ქეიფზე მოსიარულე.

ამის ნაცვლად ჯობს, ზეწარი ყელზე მოვიხვიო, კარადაში ყულფი გამოვნასკვო, მთელი სხეული ქვემოთ დავქაჩო და გავითიშო.

შემიძლია კარს უკან ჩავუსაფრდე, დაველოდო, როდის მოვა, ჰოლში როდის გამოჩლახუნდება, რათა სასჯელი, ეპიტიმია, განაჩენი მომიტანოს, ყელში ვეცე, გავთიშო, თავში საგულდაგულოდ მომზადებული ბასრი საგანი ჩავარტყა. დავიხსნა მისი უბედურებისაგან ისიც და საკუთარი თავიც. დავიხსნა ამ ტანჯვისგან.

ასე დროს დავზოგავდი.

შემიძლია, აუჩქარებლად ჩავიარო კიბე, წინკარს გავცდე და ქუჩაში გავიდე, ისეთი გამომეტყველება მივიღო, თითქოს ზუსტად ვიცოდე, საით მაქვს გეზი აღებული და ვნახო, სადამდე მივაღწევ. წითელი ხომ ისეთი თვალშისაცემი ფერია.

შემიძლია, ნიკის ოთახში მივიდე, გარაჟის თავზე, როგორც უწინ ვაკეთებდი. შემიძლია, გამოვცადო, შემიშვებს თუ არა, შემიფარებს თუ არა. ეს ყველაზე მეტად მინდა.

მაგრამ ამაოდ ვთვლი ამ შესაძლებლობებს. ჩემთვის ყველა ერთია. ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ. დაღლილობა ჩასახლებულა ჩემს სხეულში, ჩემს ფეხებსა და თვალებში. საბოლოოდ მხოლოდ ეს გრჩება. რწმენა მხოლოდ სიტყვაა, ოქრომკედით ამოქარგული.

მე დაისს გავყურებ და ვფიქრობ, რა იქნება, ზამთარი რომ იყოს. თოვლი ეშვება, მსუბუქად, ლაღად, ყველაფერს ნაზი კრისტალებით ფარავს, გაწვიმებამდე მთვარის ნისლი კონტურებს დღაბნის, ფერებს ახუნებს. ამბობენ, პირველ შემცივნებას თუ არ ჩავთვლით, გაყინვით სიკვდილი უმტკივნეულოა. თურმე, გაიშოტები თოვლზე ბავშვების გაკეთებული ანგელოზივით და იძინებ.

ზურგს უკან მის არსებობას ვგრძნობ, ჩემი წინამორბედის, ჩემი ორეულის. ჭაღის ქვეშ ჰაერში ტრიალებს, თავის კილიტებიანსა და ბუმბულებიან კოსტიუმში გამოწყობილა ფრენისას გაქვავებული ჩიტი, ქალი, რომელიც ანგელოზად გადაიქცა, რომელიც ელის, როდის დაინახავენ. მე როდის დავინახავ. როგორ ვიფიქრე, რომ აქ მარტო ვარ? ამ ოთახში მუდამ ორნი ვცხოვრობდით. „როდის მოუღებ ამას ბოლოს? – მეუბნება ის, – ვეღარ ვიტან ამ მელოდრამას, გაჩუმება აღარ შემიძლია. შენ ვერავის დაიცავ, შენს სიცოცხლეს ფასი არავისთვის აქვს. მინდა, დაასრულო“.

ფეხზე ვდგები თუ არა, შავი ფურგონის რახრახი აღწევს ჩემამდე. ჯერ ხმა მესმის, მერე კი ვხედავ; ფურგონი სიბნელეს გამოეყოფა, კოლტივით სწყდება ღამეს. სამანქანო გზაზე შემოდის, ჩერდება. მხოლოდ თეთრ თვალს ვარჩევ, ორფრთიანს. როგორც ჩანს, ფოსფორესცენტული საღებავითაა მიხატული. ფურგონის სიშავეს ორი კაცი გამოეყოფა, წინკარს უახლოვდებიან, ზარს რეკავენ. ზარის წკრიალი მესმის: წკრინ-წკრუნ! როგორც მაკიაჟიანი ქალის აჩრდილი, ქვემოთ, ვესტიბიულში.

ესე იგი, ყველაზე უარესი მელის.

რამდენი დრო დავკარგე. არადა, შემეძლო, მოვლენათა მსვლელობა საკუთარი ნებით წარმემართა. შემეძლო, დანა მომეპარა სამზარეულოდან, საკერავის ყუთიდან მაკრატელი ამომეცოცებინა. ბაღის მაკრატელი მეშოვა, საქსოვი ჩხირები; თუ კარგად ეძებ, ეს სამყარო იარაღით არის სავსე. ყურადღებით უნდა ვყოფილიყავი.

მაგრამ გვიანია იმაზე ფიქრი, რისი გაკეთება შეიძლებოდა. ისინი უკვე კიბის ვარდისფერ ხალიჩაზე მოაბიჯებენ; მათი მძიმე, დაშხული ნაბიჯები საფეთქლებში პულსივით მცემს. ზურგით ფანჯარას

ვეყრდნობი.

ვიღაც უცხოს ველოდები, მაგრამ კარს ნიკი გლეჯს, სინათლეს ანთებს. ესე იგი, ნიკი მათიანია. ეს საფრთხე ყოველთვის არსებობდა. ნიკი კერძო თვალია. ბინძურ სამუშაოს ბინძური ადამიანები ასრულებენ.

„შე ნაგავო!“ – ვფიქრობ და პირსაც ვაღებ ამ სიტყვების წარმოსათქმელად, მაგრამ ის მიახლოვდება, ლამის ზედ მეკვრის და მეუბნება:

– ყველაფერი რიგზეა, ეს მაისის დღეა, გაჰყევი.

ის ჩემს ნამდვილ სახელს ამბობს. რატომ არის ეს ახლა ასეთი მნიშვნელოვანი?

– ამათ? – ვამბობ მე. ვხედავ მის ზურგს უკან მდგარ ორ კაცს, ჰოლიდან შემომავალი სინათლე რომ ეფინებათ და მათ თავებს ჩონჩხს ამგვანებს, – ხომ არ გაგიჟდი?!

მის თავთან, ჰაერში, ჩემი უნდობლობა გამოკიდებულა. შავი ანგელოზიმირჩევს, არ დავუჯერო. მას ლამის თვალდათვალ ვხედავ. რატომაც არ ეცოდინება მაისის დღის შესახებ? ყველა თვალმა იცის, რომ ის არსებობს; ეს ინფორმაცია არაერთი სხეულიდან, არაერთი პირიდან გამოწურეს, გამოფქვეს, გამოადნეს უკვე.

– მენდე, – მეუბნება ის. ეს სიტყვები, ცხადია, თილისმად არ გამოდგება, გასაჭირში მათ იმედად ვერ იქნები.

მაგრამ მე მათ ვებღაუჭები. მეტი აღარაფერი დამრჩენია.

ერთი წინ მიმიძღვის, მეორე უკან მომდევს, კიბეზე მიმაცილებენ, აუჩქარებელი ნაბიჯით. სინათლე გაჩახჩახებულია. ასე რომ არ მეშინოდეს, ყველაფერი ჩვეულებრივად იქნებოდა. ციფერბლატს ვუყურებ. არცრომელი საათია.

ნიკი ჩვენთან აღარ არის. შეიძლება უკანა კიბით ძირს დაეშვა. არ უნდოდა, დაენახათ.

მოსასვენებელი ოთახის კარი ღიაა. სერენა ჯოი ჰოლში დგას, სარკის ქვეშ და ამოგვცქერის, გაოგნებული. უკან მეთაური უდგას. მეტისმეტად გაჭაღარავებულა. დანაღვლიანებული და უმწეო ჩანს, მაგრამ თავს უკვე შორს იჭერს ჩემგან. ვინც უნდა ვიყო მისთვის, ახლა სულერთია. ამწუთას მე უბედურების მომტანი ვარ. ეჭვი არ მეპარება, გვარიანად იჩხუბეს ჩემ გამო; ეჭვი არ მეპარება, ცოლმა ჯოჯოხეთი სანატრელი გაუხადა. ახლაც კი მებრალება. მართალს ამბობდა მოირა, ბოთე ვარ.

– რა ჩაიდინა? – ამბობს სერენა ჯოი. ეესე იგი მას არ გამოუძახია ესენი. ალბათ, მისი სასჯელი უფრო შინაურული იქნებოდა.

– ვერ გეტყვით, მემ, – ამბობს ჩემ წინ მდგომი, – გვაპატიეთ.

– თუ შეიძლება, თქვენი საბუთი მაჩვენეთ, – ამბობს მეთაური, – ნებართვა გაქვთ?

ახლა შემიძლია ვიყვირო, მოაჯირს ჩავებღაუჭო, ღირსება დავივიწყო. შემიძლია ისინი შევაჩერო, ერთი წუთით მაინც. თუ მართლა ისინი არიან, ვინც მგონია, შეჩერდებიან, თუ არადა – გაიქცევიან. მე აქ დამტოვებენ.

– საბუთი ჩვენ არაფერში გვჭირდება, სერ, მაგრამ ყველაფერი რიგზეა, – ამბობს ისევ წინ მდგომი, – სახელმწიფო საიდუმლოს გაცემაში ედება ბრალი.

მეთაური შუბლს ისრესს. რა გავეცი ან ვისთან, მისმა რომელმა მტერმა გამომააშკარავა? შეიძლება ის ახლა სახელმწიფო უქმნის საფრთხეს. მე ზევიდან დავყურებ. გასაცოდავებული და დაჩიავებული მეჩვენება. მათი რიგების პოლიტიკური წმენდა არ დაუმთავრებიათ, ახლა ახალ დამნაშავეებს იპოვიან. სერენა ჯოი ფითრდება.

– ძუკნა, – ცრის კბილებს შორის, – შენგან ამას იმსახურებდა?

კორა და რიტა სამზარეულოს კართან აწურულან. კორა ტირის. მას ჩემი იმედი ჰქონდა, მე კი ეს იმედი გავუცრუე. ახლა სამუდამოდ უშვილოდ დარჩება.

ფურგონი სამანქანო გზაზე დგას, მისი ორმაგი კარი ღიაა. ორივე

აქეთ-იქით იდაყვში ხელს მკიდებს და ფურგონში ასვლას მშველის. რა არის ეს – დასასრული თუ ახალი ცხოვრების დასაწყისი – არ ვიცი: ჩემი ბედი უცხო ადამიანებს მივანდე, რადგან სხვა გზა აღარ მქონდა.

ჰოდა, ფეხს ვწევ და სიბნელეში ვაბიჯებ; ან – სინათლეში.

ისტორიკოსის განმარტებანი

ისტორიკოსის განმარტებანი

ისტორიკოსის განმარტებანი „მხევლის წიგნისათვის“

ქვემოთ მოყვანილი ტექსტი გახლავთ ამონარიდი „გალაადურ სწავლებათა“ მეთორმეტე სიმპოზიუმის ქრონიკიდან. სიმპოზიუმი „ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ყრილობის“ ფარგლებში ჩატარდა ნანევიტში, დენეის უნივერსიტეტში, 2195 წლის 25 ივნისს.

სპიკერი: პროფესორი მერიენ ნახევარმთვარე, კავკასიური ანთროპოლოგიის დეპარტამენტი, დენეის უნივერსიტეტი, ნანევიტი.

მთავარი მომხსენებელი: პროფესორი ჯეიმს დარსი პიეიქსოტო, XX-XXI საუკუნეების არქივის ხელმძღვანელი, კემბრიჯის უნივერსიტეტი, ინგლისი.

მერიენ ნახევარმთვარე:

მოგესალმებით და ბედნიერ დილას გისურვებთ თითოეულ თქვენგანს. მოხარული ვარ, რომ ამდენი ადამიანი ესწრება პროფესორ პიეიქსოტოს შესანიშნავ მოხსენებას, რომელიც, ეჭვიც არ მეპარება, თქვენს მოლოდინს გაამართლებს. „გალაადურ სწავლებათა ასოციაციის“ სახელით მსურს, გამოვთქვა იმედი, რომ შესწავლა ამ პერიოდისა, რომელმაც მსოფლიოსა და განსაკუთრებით, ჩვენი ნახევარსფეროს რუკის ახლებურ განაწილებას დაუდო სათავე, ფასდაუდებელ სარგებელს მოუტანს სამომავლო კვლევებს.

თუმცა, სანამ საქმეზე გადავალთ, რამდენიმე განცხადებას გაგაცნობთ. თევზსაჭერი ექსპედიცია, განრიგისამებრ, ხვალ აიღებს

გეზს და თუ რომელიმე თქვენგანს თან არ აქვს გამძლე საწვიმარი ანდა მწერების საწინააღმდეგო აეროზოლი, შეუძლია რეგისტრატურაში შეღავათიან ფასად შეიძინოს. ბუნებაში გასეირნება და კოსტიუმირებული კარაოკე, რომელიც ღია ცის ქვეშ უნდა მოგვეწყო, ზეგამდე გადავდეთ, რადგან ზეგ, როგორც ჩვენი შეუცდომელი პროფესორი ჯონი მწევარი გვარწმუნებს, გამოდარებას უნდა ველოდოთ.

ნება მომეცით, შეგახსენოთ სხვა ღონისძიებებიც, რომლებსაც „გალაადურ სწავლებათა ასოციაცია“ მეთორმეტე სიმპოზიუმის მიმდინარეობისას შემოგთავაზებთ: ხვალ, შუადღისას, ინდოეთის ბაროდას უნივერსიტეტის დასავლური ფილოსოფიის დეპარტამენტის პროფესორი გოპალ ჩატერჯი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „კრიშნასა და კალის ელემენტები ადრეული პერიოდის გალაადის სახელმწიფო რელიგიაში“, ხოლო ხუთშაბათ დილით ტექსასის რესპუბლიკის სან-ანტონიოს უნივერსიტეტის სამხედრო ისტორიის დეპარტამენტის პროფესორ ზიგლინდა ვან ბიურენის პრეზენტაცია გაიმართება. დარწმუნებული ვარ, მისი ლექცია: „ვარშავის ტაქტიკა: ურბანული ცენტრების ალყაში მოქცევის პოლიტიკა გალაადური სამოქალაქო ომებისას“, შესანიშნავად იქნება ილუსტრირებული. ღრმად მწამს, არც ერთი ჩვენგანი არ გამოტოვებს ამ საინტერესო ღონისძიებებს.

ასევე თავს დავიზღვევთ და შევახსენებთ ჩვენს მთავარ მომხსენებელს, რომ არ გადააჭარბოს რეგლამენტს, რათა შეკითხვების დასმაც მოვასწროთ და ამასთანავე, გუშინდელივით სადილის გარეშე არ დავრჩეთ, რაც ძალიან დაგვწყვეტს გულს. (სიცილი)

პროფესორ პიეიქსოტოს ჩემი წარდგენა არ სჭირდება, მას ყველა თქვენგანი კარგად იცნობს, თუ პირადად არა, მისი მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებით მაინც, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფუფუნების კანონები სხვადასხვა ეპოქაში: დოკუმენტების ანალიზი“ და ცნობილი კვლევა: „ირანი და გალაადი – მეოცე საუკუნის მიწურულის ორი თეოკრატია ადგილობრივ მცხოვრებთა დღიურების მიხედვით“. მოგეხსენებათ, რომ იგი, თავის კემბრიჯელ კოლეგა პროფესორ ნოთლი უეიდთან ერთად, გახლავთ იმ ხელნაწერის რედაქტორი, რომლის შესახებაც

დღეს გვესაუბრება. იგი მონაწილეობდა ხელნაწერის გაშიფვრაში, განმარტებების დართვასა და გამოსაცემად მომზადებაში. მისი მოხსენების სახელწოდებაა: „მხევლის წიგნის“ ტექსტის ავთენტიკურობის პრობლემატიკა“.

გთხოვთ, პროფესორო პიეიქსოტო. (ტაში)

პიეიქსოტო:

გმადლობთ. დარწმუნებული ვარ, წუხელ ვახშამზე სიამოვნებით შეექეცით ცხარე პიკულს, დღეს კი არანაკლები სიამოვნება მოგგვარათ ჩვენმა ცხარე სპიკერმა. სიტყვა სიამოვნება აქ ორაზროვნად ვიხმარე, თუმცა, მისთვის მესამე, მივიწყებული მნიშვნელობის მინიჭება, რასაკვირველია, აზრადაც არ მომსვლია. (სიცილი)

ახლა კი, ნება მომეცით, დავსერიოზულდე. როგორც, ალბათ, უკვე მიგახვედრათ ამ ჩემი პატარა მონაჭორის სათაურმა, მე ამჯერად მიმოვიხილავ რამდენიმე საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია დღესდღეობით ყველა თქვენგანისათვის კარგად ცნობილ

სოი-დისანტ ხელნაწერთან, რომელიც „მხევლის წიგნის“ სახელწოდებით გავრცელდა. მე ვთქვი სუა-დისანტ, რადგან ის, რაც ჩვენ წინაშეა, თავდაპირველი სახის არ გახლავთ. მოგახსენებთ, რომ იმას, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ, ხელნაწერის სახე არ ჰქონია და არც სათაური გააჩნდა. „მხევლის წიგნად“ იგი პროფესორმა უეიდმა მონათლა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ მიენიშნებინა მისი მსგავსებაზე ბიბლიურ იობის წიგნთან; თუმცა, ისინი, ვინც ჩემსავით ხშირად ხვდებიან პროფესორ უეიდს არაფორმალურგარემოში, დამერწმუნებიან, რომ იგი ყველაფერში ქვენა აზრს დებს და ახლაც, ეჭვი არ მეპარება, სიტყვა „წიგნი“ იმ სკაბრეზული კონტექსტის გათვალისწინებით შეარჩია, რომ ყველა მამაკაცი „კითხულობს“ ქალს იმ კონკრეტულ მომენტში, რომელიც ჩვენს წინამდებარე საგაში გალაადის სოციუმის მთავარ კონფლიქტს ქმნის. (სიცილი, ტაში)

ეს ნიმუში – საგანგებოდ არ გამოვიყენებ სიტყვა წყაროს – მიწაში ჩამარხული იპოვეს იმ ადგილას, სადაც ოდესღაც მეინის შტატის ქალაქი ბანგორი მდებარეობდა. იგი მოთავსებული იყო,

სავარაუდოდ,

ცირცა 1955 წელს „შეერთებული შტატების არმიისასთვის“ წარმოებულ რკინის საკვოიაჟში. თუმცა, ამ ფაქტიდან დასკვნების გამოტანა არ უნდა ვიჩქაროთ, ვინაიდან ამგვარი საკვოიაჟები, როგორც „არმიისათვის მოჭარბებული“, ხშირად იყიდებოდა და ყველასთვის გახლდათ ხელმისაწვდომი. საკვოიაჟს გადაკრული ჰქონდა ლენტი, რომლის მსგავსსაც ადრე ამანათების შესაფუთად იყენებდნენ, ხოლო შიგ ეწყო ოცდაათამდე კასეტა, აუდიოსაშუალება, რომლებიც დაახლოებით 80-90-იან წლებამდე გამოიყენებოდა, შემდეგ ის კომპაქტურმა დისკმა შეცვლა.

შეგახსენებთ, რომ ეს არ ყოფილა ამ ტიპის პირველი აღმოჩენა. მაგალითად, ეჭვიც არ მეპარება, რომთქვენ კარგად იცნობთ ნივთს, სახელწოდებით „ა.ბ.-ს მემუარები“, რომელიც სიეტლის გარეუბნის ერთ-ერთ გარაჟში აღმოაჩინეს და ასევე „პ.-ს დღიურს“, რომელიც შემთხვევით ამოთხარეს ახალი სამლოცველოს მშენებლობისას იმ მიდამოების მახლობლად, სადაც ოდესღაც ნიუ-იორკის შტატის ქალაქი სირაკუზა მდებარეობდა.

მე და პროფესორი უეიდი ძალიან აგვაღელვა ამ ახალმა აღმოჩენამ. იღბლად, რამდენიმე წლის წინ ჩვენი შესანიშნავი ანტიკური ტექნიკის სპეციალისტის დახმარებით შევძელით, ამგვარი კასეტების მოსასმენი ხელსაწყო აღგვედგინა, ასე რომ, დაუყოვნებლივ შევუდექით გამშიფრავთა მტანჯველ სამუშაოს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩანაწერი ოცდაათამდე კასეტისაგან შედგებოდა, რომელთაგან თითოეული სხვადასხვაგვარი შეფარდებით შეიცავდა მუსიკალურსა და სიტყვიერ ნაწილს. ზოგადად, ყველა კასეტა იწყება ორი-სამი სიმღერით, რომლებიც, უეჭველია, კამუფლაჟად გამოიყენეს; შემდეგ მუსიკა წყდება და ზედ გადაწერილი ხმა ირთვება. ხმა ქალისაა და აუდიოიდენტობის დამდგენი ექსპერტიზის დასკვნით, იგი ყველა ჩანაწერზე ერთი და იგივეა. კასეტების ხნოვანება, ასევე ექსპერტების დასკვნის მიხედვით, შეესაბამება იმ თარიღს, რომელიც მათ იარლიყზეა მითითებული. ისინი, რასაკვირველია, წინაგალაადურ პერიოდს ეკუთვნის, ვინაიდან რეჟიმმა ყველა ჟანრის მუსიკა აკრძალა, სასულიერო ჰიმნების გარდა. მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ოთხ

კასეტას გარედან ეწერა „ელვის პრესლის ოქროს წლები“, სამს – „ლიტვური ხალხური სიმღერები“, სამს – „ბოი ჯორჯი ასტრალში გაიჭრა“ და ორს – „მანტოვანის ტკბილი ჰანგები“; რამდენიმე კასეტას ჰქონდა თითო სხვადასხვა წარწერა – მათ შორის იყო „გარყვნილი დის“ კონცერტი კარნეგი ჰოლში, რომელმაც მე განსაკუთრებით აღმაფრთოვანა.

მიუხედავად იმისა, რომ იარლიყები ავთენტიკური გახლდათ, ისინი ყოველთვის არ შეესაბამებოდა კასეტაში ჩაწერილი სიმღერების შინაარსს. თანაც, კასეტები უწესრიგოდ იყო მიმოფანტული ჩემოდნის ფსკერზე; ისინი არც დანომრილი გახლდათ. სწორედ ამიტომ, მე და პროფესორმა უეიდმა მათი თანმიმდევრობა ისე აღვადგინეთ, როგორც ჩანაწერებში მოთხრობილი ამბის ლოგიკამ გვიკარნახა; თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი თანმიმდევრობა მხოლოდ ჩვენს ალღოს ეფუძნება და მისი დაზუსტება შემდგომი კვლევების ამოცანაა.

მას შემდეგ, რაც ხელთ უკვე გაშიფრული ტექსტი გვქონდა – რომელსაც კიდევ არაერთხელ მივუბრუნდით იმ ხარვეზების გასასწორებლად, რომელთა არსებობაც მთხრობლის აქცენტმა, ბუნდოვანმა რეალიებმა და არქაიზმებმა განაპირობა – ვცადეთ, გამოგვეტანა დასკვნა ჩვენ მიერ ასე გულმოდგინედ შესწავლილი მასალის მახასიათებლების შესახებ. განვიხილეთ რამდენიმე ვერსია. პირველი ის, რომ შესაძლებელია, აუდიოჩანაწერი ყალბი ყოფილიყო. როგორც თქვენთვის ცნობილია, უკვე არაერთხელ გადავყრივართ ამგვარ ნაყალბევს, რაშიც გამომცემლობები დიდ თანხას იხდიან. მათი განზრახვა ნათელია: სურთ, რომ წარსულის მოვლენების დრამატიზებით მკითხველის გრძნობებზე ითამაშონ. ეს იმას მიუითითებს, რომ ისტორიის ესა თუ ის პერიოდი როგორც შემდეგი თაობის, ასევე შორეული შთამომავლობისთვისაც ხშირად ეხვევა არცთუ მაინცდამაინც გონივრული ლეგენდარულობის საბურველში და მასათა ფარისევლურ თვითკმაყოფილებასაც დაუდებს ხოლმე სათავეს. ნება მომეცით, რედაქტორის უფლებით ვისარგებლო და მოგახსენოთ, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, თავი უნდა შევიკავოთ გალაადელთა მორალური განსჯისაგან. დღესდღეობით ჩვენ ვთანხმდებით, რომ იმ პერიოდის საზოგადოების განკითხვისას მუდამ მიკერძოებულნი ვართ, თუნდაც იმიტომ, რომ სრულიად სხვა

კულტურულ სივრცეს მივეკუთვნებით. თანაც გალაადის სოციუმის მხრებს საკმაოდ მძიმედ აწვა დემოგრაფიული თუ სხვა სახის პრობლემები და მათზე ზეგავლენას ახდენდა მრავალი ისეთი ფაქტორი, რომლებიც დღეს, საბედნიეროდ, ჩვენ არ გვაწუხებს. ჩვენი მოვალეობა მათი გაკიცხვა კი არა, გაგებაა. (ტაში)

თუმცა, მოდით, დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს: ამგვარი ჩანაწერისდამაჯერებლად გაყალბება ძალიან რთულია, ჩვენმა ექსპერტებმა, რომლებმაც კასეტები შეისწავლეს, დაგვარწმუნეს, რომ ისინი ნამდვილად ავთენტიკურია. რასაკვირველია, თავად ჩანაწერი, რომელიც სიმღერებზე გადაწერილი ხმის სახით არის წარმოდგენილი, შეუძლებელია, ბოლო ას ორმოცდაათი წლის განმავლობაში იყოს გაკეთებული.

მაშასადამე, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ჩანაწერი ავთენტიკურია, მაგრამ ჩდება კითხვა: რამდენად სანდოა მისი შინაარსი? აშკარაა, რომ, როცა ჩანაწერი შეიქმნა, მასში აღწერილი ამბები უკვე მომხდარი იყო, ვინაიდან, თუკი ავტორი არ ტყუის, მას არც კასეტებსა და არც ჩამწერზე არ მიუწვდებოდა ხელი, თანაც მათ ვერსად დამალავდა. გარდა ამისა, ავტორის თხრობის ანალიტიკური მანერა, ჩემი აზრით, სინქრონულობას გამორიცხავს. მასში აღწერილი ემოციები არა – მყისიერი, არამედ მოგონებებში გაცოცხლებულია, თუ მათი მთლიანად ჩაცხრომის შემდეგ არა, სულ მცირე პოსტ ფაცტო მაინც.

ვგრძნობდით, რომ ჩვენი მთხრობლის ვინაობის დადგენა საშუალებას მოგვცემდა, აღგვედგინა ამ წყაროს – ნება მიბოძეთ, მოკლედ ასე მოვიხსენიო იგი – შექმნის ისტორია. ამისათვის ჩვენი კვლევა-ძიება ორი მიმართულებით წარვმართეთ.

უპირველეს ყოვლისა, შევეცადეთ, რომ იმ პერიოდის ბენგორის რუკისა და სხვა დღემდე მოღწეული დოკუმენტების მიხედვით დაგვედგინა იმ სახლის მაცხოვრებელთა ვინაობა, რომლის ნანგრევებშიც ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერი აღმოაჩინეს. ჩვენი ვარაუდით, ეს სახლი შეიძლებოდა ყოფილიყო ე.წ. თავშესაფარი, რომელიც იმდროინდელ „მიწისქვეშა ქალთა გზას“ ეკუთვნოდა და ჩვენი ავტორიც კვირებისა თუ თვეებისგანმავლობაში იქ, სხვენსა ან სარდაფში, ემალებოდა რეჟიმის სისასტიკეს. სწორედ იქ ექნებოდა

მას დრო და საშუალება, რომ თავისი მონათხრობი ჩაეწერა. რასაკვირველია, თუ ვინმე დაიჟინებს, რომ შესაძლებელია ჩანაწერები მოგვიანებით გადაეტანათ იმ ადგილას, სადაც აღმოაჩინეს, ჩვენ მას ვერ შევეკამათებით. დიდი იმედი გვქონდა, რომ თუ ამ სახლის სავარაუდო მაცხოვრებელთა კვალს მივაგნებდით და მათ ვინაობას დავადგენდით, დამატებით სამხილებს მოვიგდებდით ხელთ: დღიურებს ან თუნდაც რამე ოჯახურ თქმულებებს, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა.

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით კვლევამ შედეგი არ მოგვიტანა. შესაძლებელია, ამ სახლის მცხოვრებნი, თუკი მათ მართლაც ჰქონდათ კავშირი რომელიმე იატაკქვეშა ორგანიზაციასთან, დააკავეს და დასაჯეს. ამ შემთხვევაში მათთან დაკავშირებულ ყველა საბუთს აუცილებლად გაანადგურებდნენ. ასე რომ, ჩვენი კვლევა მეორე გზით წარვმართეთ. დავიწყეთ იმ პერიოდის დოკუმენტების ძებნა და ვცადეთ ჩვენი ავტორის მიერ მოხსენიებული ადამიანებისა და ჩვენთვის უკვე ცნობილი ისტორიული პირების იდენტურობის დადგენა. ადრეგალაადური პერიოდიდან შემორჩენილი დოკუმენტები არათანმიმდევრულია, ვინაიდან ყოველი პოლიტიკური წმენდისა და შიდაარეულობის შემდეგ რეჟიმი კომპიუტერებიდან ინფორმაციას შლიდა და ნაბეჭდ მასალას ანადგურებდა, თუმცა, დოკუმენტაციის ნაწილი მაინც შემორჩა. მათი ნაწილი კონტრაბანდულად გადაიტანეს ინგლისში, რათა იმ დროს ბრიტანეთის კუნძულებზე სოკოებივით მომრავლებულ ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს პროპაგანდისათვის გამოეყენებინათ.

ჩვენ თავი არ მოგვიტყუებია ფუჭი იმედით, რომ ამ ამბის მთხრობლის კვალს მივაგნებდით. ჩანაწერების შინაარსი ცხადყოფდა, რომ მისი ავტორი იმ ქალთა პირველ ტალღაში მოხვდა, რომლებიც შთამომავლობის გაგრძელების მიზნით შეარჩიეს და ჩამოურიგეს გალაადის უშვილო ოჯახებს ანდა მათ, ვისაც თავისი პრივილეგირებული მდგომარეობის გამო შეეძლო, მხევალი მოეთხოვა. რეჟიმმა იმისათვის, რომ მხევლების რაოდენობა გაეზარდა, მარტივი ხერხი აირჩია: ყველა ხელმეორე ქორწინება და ხელმოუწერელი კავშირი კანონგარეშედ გამოაცხადა (შუა პერიოდში ეს ეხებოდა ყველა ქორწინებას, რომელიც სახელმწიფო ეკლესიის

მიერ არ იქნებოდა აღიარებული), ქალები დააპატიმრა და მათ ბრალად მორალური არასაიმედოობა წაუყენა; ამ მიზეზით, მათ შვილები ჩამოართვეს, რომლებიც შემდეგ ელიტური საზოგადოების უნაყოფო წყვილებმა იშვილეს, რადგან შთამომავლობის ყოლა მათ წმინდათაწმინდა მოვალეობად ითვლებოდა. რეჟიმის მიერ დაწინაურებულ მამაკაცებს საშუალება ჰქონდათ, ამოერჩიათ ქალი, რომელიც მათ რეპროდუქციულ შესაძლებლობებს ერთი ან მეტი ბავშვის გაჩენით დაადასტურებდა. ასეთი სტრატეგია თავის გადარჩენის გზა იყო იმ პერიოდში გადაშენების პირას მყოფი კავკასიური რასისათვის და მას არა მხოლოდ გალაადი, არამედ იმ დროის ყველა ჩრდილოკავკასიური საზოგადოება იყენებდა.

შობადობის ამგვარი შემცირების მიზეზები ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის. ზოგიერთი თვალსაზრისით მას განაპირობებდა ის, რომ წინაგალაადურ პერიოდში პოპულარობით სარგებლობდა შობის კონტროლის ათასგვარი საშუალება, მათ შორის, აბორტიც. ზოგიერთი შემთხვევა უნაყოფობისა, რისი სტატისტიკური მაჩვენებლებითაც ასე განსხვავდებოდნენ კავკასიური რასის წარმომადგენლები სხვა დანარჩენებისგან, ნებაყოფლობითი იყო, თუმცა არა – ყველა. მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმ პერიოდში გავრცელებულ სიფილისის გაურკვეველი წარმოშობის ფორმასა თუ საქვეყნოდ ცნობილ შიდსის ვირუსზე, რომლებმაც ბევრი ახალგაზრდა, სექსუალურად აქტიური ადამიანი ამოაგდო რეპროდუქციული უნარის მქონეთა რიგებიდან.მკვდრადშობა, ნაყოფის მოშლა და გენეტიკური ანომალიები იმ დროს ხშირი იყო და თანდათან უფრო იკიდებდა ფეხს. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გააღრმავა სხვადასხვა ატომურმა აფეთქებამ, კატაკლიზმამ და საბოტაჟის შემთხვევამ, რომლებიც მეტად დამახასიათებელი იყო იმ პერიოდისათვის. ხშირი იყო გაჟონვები ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის მარაგიდან და ტოქსიკური ნარჩენების საცავებიდან, რომლებიც, ლეგალურიცა და არალეგალურიც, ათასობით იყო მოდებული მთელი ქვეყნის მასშტაბით. ზოგჯერ ეს ნივთიერებები, უბრალოდ, ჩაედინებოდა საკანალიზაციო სისტემაში. შობადობის დაქვეითებას იწვევდა ასევე ქიმიური ინსექტიციდების, ჰერბიციდებისა და სხვა სასხურებლების უკონტროლო გამოყენება.

მოკლედ, რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, შედეგები საგანგაშო

გახლდათ და გალაადური რეჟიმი არ ყოფილა ერთადერთი, რომელმაც იმ დროს გადამჭრელი ზომები მიიღო მათ წინააღმდეგ. მაგალითად, რუმინეთმა 80-იან წლებში გაუსწრო კიდეც გალაადს, ვინაიდან აკრძალა შობადობის კონტროლის ყველა საშუალება, ყველა ქალისათვის სავალდებულო გახადა ფეხმძიმობის ტესტის ჩაბარება და დააწესა სპეციალური შეღავათები თუ ფულადი ჯილდოები მათთვის, ვინც ბავშვს გააჩენდა.

საჭიროება იმისა, რასაც მე „დემოგრაფიულ მომსახურებას“ ვუწოდებდი, ჯერ კიდევ წინაგალაადურ პერიოდში გაჩნდა. მის დაკმაყოფილებას ვერ აუდიოდნენ „ხელოვნური განაყოფიერებისა“ და „უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის“ ცენტრები და სუროგატი დედები, რომლებსაც შვილის გასაჩენად ქირაობდნენ. გალაადმა პირველი ორი საშუალება, როგორც რელიგიური თვალსაზრისით მიუღებელი, აკრძალა, მაგრამ მესამე ლეგიტიმურად სცნო და წაახალისა კიდეც, რადგან მას ზურგს ბიბლიური პრეცედენტი უმაგრებდა; ამგვარად, მათ სერიული პოლიგამია, რომელიც წინაგალაადურ პერიოდს ახასიათებდა, შეცვალეს სინქრონული პოლიგამიით, რაც გვხვდება როგორც ძველ აღთქმაში, ასევე მე-19 საუკუნის ყოფილ იუტის შტატში. ისტორიულად ცნობილია, რომ არც ერთ სისტემას არ შეუძლია ჩამოყალიბდეს ისე, თუკი წინამორბედის ბევრ თვისებას არ იმემკვიდრებს. ამის მაგალითიაშუასაუკუნეების ქრისტიანობა, რომელიც უხვად შეიცავდა წარმართობის ელემენტებს, ასევე რუსული „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი“, რომელიც ცარისტული საიდუმლო სამსახურის ტრადიციებს აგრძელებდა; არც გალაადი ყოფილა გამონაკლისი. მაგალითად, მისი რასისტული პოლიტიკა წინაგალაადური პერიოდიდან იღებდა სათავეს, როდესაც რასობრივმა შიშმა პიკს მიაღწია და წარმოქმნა ის ემოციური დენთი, რომელმაც შემდეგ გალაადში ყველასთვის ცნობილი რასიზმის აფეთქება გამოიწვია.

მაშასადამე, ჩვენი ავტორი ერთ-ერთი გახლდათ მრავალთაგან და მასზე უნდა ვისაუბროთ იმ ისტორიული პერიოდის ზოგად ჭრილში, რომელშიც ცხოვრობდა. თუმცა, რა ვიცით ჩვენ მის შესახებ, გარდა მისი ასაკის, ორიოდე გარეგნული მახასიათებლისა და საცხოვრებელი ადგილისა? ბევრი არაფერი. ჩანს, რომ იგი

განათლებული ქალი იყო, თუკი შეიძლება, იმ პერიოდის ჩრდილოამერიკული კოლეჯის დამთავრება განათლებად ჩაითვალოს (სიცილი, ალაგ-ალაგ ოხვრა). მაგრამ როგორც იტყვიან, ტყეში მუხის დანახვა ვერავის გააკვირვებს, ასე რომ, ეს მონაცემი ბევრს არაფერს გვეუბნება. მან არ ინება, ჩვენთვის თავისი ნამდვილი სახელი გაემხილა. ალბათ, მისი პირადობის დამადასტურებელი ყველა საბუთი მაშინვე გაანადგურეს, როგორც კი „რაქელისა და ლეას ცენტრში“ შედგა ფეხი. ფრედისა ჩვენთვის ისევე არაფრისმთქმელია, როგორც გლენისა ანდა უორენისა, ეს თავისებური პატრონიმებია, ნათესაობით ბრუნვაში ჩასმული მამაკაცის სახელები, რომლებიც მაშინ ენიჭებოდათ მხევლებს, როდესაც ამა თუ იმ მეთაურის ოჯახში იწყებდნენ ცხოვრებას და რომლებსაც ოჯახიდან წასვლისთანავე გამოეთხოვებოდნენ ხოლმე.

იდენტიფიკაციისათვის და ავთენტიკურობის დასადგენად წყაროში მოხსენიებული სხვა სახელებიც გამოუსადეგარია. ლუკი და ნიკი ჩვენთვის არაფრისმთქმელია, ისევე, როგორც მოირა და ჯენინი. თანაც, ალბათ, ყველა ეს სახელი ფსევდონიმია, მოგონილი იმისთვის, რომ ამ ჩანაწერების აღმოჩენის შემთხვევაში საფრთხე არავის დამუქრებოდა. თუკი ასეა, ეს დაადასტურებს, რომ ჩანაწერები გაკეთებულია გალაადში და უარყოფს მოსაზრებას, თითქოს საზღვარგარეთ ჩაწერეს და მერე კონტრაბანდულად შემოიტანა უკან მაისის დღის იატაქვეშა ორგანიზაციამ.

ყველა ამ შესაძლებლობის გამორიცხვის შემდეგ ერთი გამოსავალიღა დაგვრჩა – იდუმალებით მოცული მეთაურის ვინაობა უნდა დაგვედგინა. ვგრძნობდით, რომ ამ შემთხვევაში წარმატების მეტი შანსი გვქონდა. ვივარაუდეთ, რომ ასეთი მაღალი წოდების პირი აუცილებლად იქნებოდა მკაცრად გასაიდუმლოებული ჯგუფის, „იაკობის ძეთა ბრძენი მხედრობის“, პირველი ნაკადის წევრი, ეს ჯგუფები გალაადური სოციალური წესრიგისა და ფილოსოფიის სამჭედლო იყო და მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც ზესახელმწიფოებმა სამხედრო საკითხებში ზავი გამოაცხადეს და ხელი მოეწერა „ძალთა გადანაწილების შეთანხმებას“, რომელიც ზესახელმწიფოებს აძლევდა უფლებას, საკუთარ იმპერიაში მომრავლებული აჯანყებები ისე ჩაეხშოთ, რომ გარე ძალების ჩარევის არ შეშინებოდათ. „იაკობის ძეთა“ შეხვედრების

ოფიციალური ჩანაწერები შუა პერიოდის „დიდი წმენდის“ შედეგად განადგურდა, როცა გალაადის მამების უმეტესობა დისკრედიტირებულად გამოაცხადეს და სიკვდილით დასაჯეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მიგვიწვდება ხელი გარკვეულ ინფორმაციაზე, რადგანშემორჩენილია სხდომათა მონაწილე უილფრედ ლიმპკინის დაშიფრული დღიური. ლიმპკინი სოციობიოლოგი გახლდათ (როგორც ვიცით, ბუნებრივი პოლიგამიურობის სოციობიოლოგიური თეორია რეჟიმის ზოგიერთი საჩოთირო კანონის გასამართლებლად გამოიყენებოდა, ისევე, როგორც დარვინის თეორია იდგა ადრინდელი იდეოლოგიების სამსახურში).

ლიმპკინის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ არსებობს მეთაურის ორი შესაძლო კანდიდატურა – ფრედი ჯგუფის ორი წევრის სახელის კნინობითი ფორმა შეიძლება იყოს: ფრედერიკ რ. უოტერფორდისა და ბ. ფრედერიკ ჯადისა. არც ერთი მათგანის ფოტო შემორჩენილი არ არის, თუმცაღა ჯადს ლიმპკინი აღწერს, როგორც „გაბღენძილ ჰალსტუხს“ და ასე ახასიათებს: „ამ ტიპისთვის ყველაზე მაგარი თომარი გოლფის ჯოხის ჩაბღუჯვაა“ (სიცილი). თვითონ ლიმპკინი მალევე შეიწირა გალაადის რეჟიმმა და მისმა დღიურმა მხოლოდ იმიტომ მოაღწია ჩვენამდე, რომ მან წინასწარ განჭვრიტა თავისი მოსალოდნელი აღსასრული და დღიური კალგარში გაგზავნა რძალთან.

ორივეს, ჯადსაც და უოტერფორდსაც, აქვთ მახასიათებლები, რომლებიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს. უოტერფორდი მარკეტინგის სპეციალისტი გახლდათ და თუ ლიმპკინს დავუჯერებთ, სწორედ მან მოიფიქრა გალაადელ ქალთა ტანსაცმლის დიზაინი, მანვე შეარჩია წითელი ფერი მხევლებისათვის. ეს იდეა, როგორც ჩანს, მეორე მსოფლიო ომის დროს კანადის „ტყვეთა ბანაკებში“ გამოკეტილი გერმანელი ტყვეების უნიფორმებმა შთააგონა. გარდა ამისა, ამბობენ, რომ იგი გახლდათ ტერმინ ლინჩიკუციის ავტორი, რომელიც მან საუკუნის ბოლო მესამედში პოპულარული სავარჯიშო პროგრამისგან ისესხა; მასობრივი დასჯის ცერემონიის მუზად კი უოტერფორდს მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ-ერთი ინგლისური სოფლის ტრადიცია ექცა. შესაძლებელია, სალხინებელიც მას ეკუთვნოდა, ეს ტერმინი ფილიპინურია, სადაც იგი სახელმწიფოს

მტრების დასჯის ცნობილი რიტუალის სახელწოდება გახლდათ. როგორც ერთხელ სადღაც ვთქვი, გალაადში ახალი თითქმის არაფერი მოუგონიათ, ამ სისტემის გენიალურობის საიდუმლო სწორი სინთეზი გახლდათ.

მეორე მხრივ, ჯადს, როგორც ჩანს, არ აინტერესებდა გარეგნული მხარე და ძირითადად, ტაქტიკაზე აგებდა პასუხს. სწორედ მან შესთავაზა „იაკობის ძეებს“ სტრატეგიულ სახელმძღვანელოდ გამოყენებინათ „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს“ საიდუმლო პამფლეტი უცხო სახელმწიფოებში არეულობის მოწყობის შესახებ და შეადგინა იმ პერიოდის სახელგანთქმული „ამერიკელების“ შავი სია.ფიქრობენ, რომ მანვე მოაწყო პრეზიდენტის დღეს ხოცვა-ჟლეტა, რაც იმას ნიშნავს, რომ მანამდე კონგრესის უსაფრთხოების სისტემაში შეღწევა მოახერხა – ამის გარეშე კონსტიტუციის მოქმედება ვერ შეჩერდებოდა. „აღთქმული სამშობლო“ და ებრაელების გემზე შეყრაც მისი იდეა გახლდათ, ისევე, როგორც იუდეველთა რეპატრიაციის სქემა, რომლის შედეგადაც ებრაელების არაერთი გემი აღმოჩნდა ატლანტის ოკეანის ფსკერზე. ამან გალაადის ბიუჯეტი მკვეთრად გაზარდა. რამდენადაც ჯადს ვიცნობთ, მას ებრაელთა ტრაგედია მაინცდამაინც არ შეაწუხებდა. იგი მკაცრი პოლიტიკის მომხრე იყო და ეკუთვნის ლიმპკინის მიერ ჩაწერილი ფრაზა: „ჩვენი უდიდესი შეცდომა იყო, რომ ხალხს კითხვა ვასწავლეთ. ეს შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ“.

სწორედ ჯადს მიეწერება ლინჩიკუციის შინაარსისა და არა სახელწოდების, გასაზღვრა. მისი აზრით, ეს არა მხოლოდ სახელმწიფოს ძირგამომთხრელი ელემენტებისაგან გაწმენდის განსაკუთრებულად საშინელი და ეფექტური გზა იყო, არამედ ასევე ბრაზის დაცხრობაში ეხმარებოდა გალაადის მდედრობით ელემენტებს. ის, რომ რეჟიმს აუცილებლად სჭირდება „განტევების ვაცები“, კაცობრიობის ისტორიაში ყველა დიქტატორმა იცოდა, თანაც მხევლებისათვის, რომლებსაც სხვა დროს ასე მკაცრად აკონტროლებდნენ, ალბათ, უაღრესად სასიამოვნო იქნებოდა დროდადრო მამაკაცების შიშველი ხელებით დაგლეჯა. ეს მოვლენა ისეთი პოპულარული და ეფექტური გახდა, რომ შუა პერიოდში უკვე წელიწადში ოთხჯერ, ბუნიობისა და ნაბუნიობის დღეებში,

იმართებოდა. ეს ჩვეულება ძველი დროის მიწის ქალღმერთის კულტისადმი მიძღვნილი ნაყოფიერების რიტუალის გამოძახილი გახლდათ. როგორც გუშინ, შუადღის დისკუსიის მიმდინარეობისას, მოვისმინეთ, გალაადი თავისი ფორმით, უეჭველია, პატრიარქალური სახელმწიფო იყო, თუმცა, შინაარსით იგი ხანდახან მატრიარქალური გახლდათ, რასაც სოციალური წესწყობილების რამდენიმე ასპექტი განაპირობებდა. გალაადის შემოქმედებმა კარგად იცოდნენ, რომ ეფექტიანი ტოტალიტარისტული ანდა ნებისმიერი სისტემის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია, რომ წართმეულის სანაცვლოდ ადამიანებს, თუნდაც პრივილეგირებულთა პატარა ჯგუფს, შეღავათები დაუწესო და უფლებები მიანიჭო.

ამასთან დაკავშირებით, ალბათ, დროული იქნება, თუკი ორიოდე სიტყვას ვიტყვით ქალთა უაღრესად ქმედით მაკონტროლებელ წარმონაქმნზე, რომელიც დეიდების კასტის სახელით არის ცნობილი. ლიმპკინის წყაროს თანახმად, დასაწყისში სწორედ ჯადს გაუჩნდა აზრი, რომ თუ რეპროდუქციული თუ სხვა მიზნებისათვის საჭირო ქალებს ქალებივე გააკონტროლებდნენ, ეს შესანიშნავ შედეგს მოიტანდა და სახელმწიფოს უამრავ ფულს დაუზოგავდა. ამ იდეას ბევრი ისტორიული პრეცედენტი უმაგრებდა ზურგს; ფაქტობრივად, ყველა იმპერია, ძალასა თუ სხვა ღირებულებაზე აღმოცენებული, შეიცავდა ამ ელემენტს: ადგილობრივ მკვიდრთა კონტროლს მათივე ჯგუფის წევრების მიერ. გალაადისშემთხვევაში მრავალმა ქალმა გამოთქვა დეიდად მუშაობის სურვილი, ამის უპირველესი მიზეზი ე.წ. „ტრადიციული ღირებულებების“ სისხლსა და ხორცში გამჯდარი რწმენა გახლდათ, ხოლო მეორე მხრივ, ის სარგებელი, რაც ამ თანამდებობას შეეძლო მოეტანა. როდესაც ძალაუფლება იშვიათი ხილია, მისი ნამცეციც კი ცდუნებაა. იყო კიდევ ერთი, უარყოფითი, მოტივიც: უშვილო, ბერწი თუ შინაბერა ქალები დეიდებად იწყებდნენ მუშაობას და ასე აღწევდნენ თავს ცნობილ კოლონიებს, სადაც მოსახლეობის ერთჯერად მობილურ ჯგუფებს უმთავრესად ტოქსიკურ ნარჩენებს აწმენდინებდნენ. თუმცა, თუ გაგიმართლებდა, შეიძლებოდა ნაკლებ სახიფათო საქმეზეც გაეშვით, ვთქვათ, ბამბის ანდა ხილის საკრეფად.

მაშასადამე, იდეა ჯადისა გახლდათ, თუმცა, მის ხორცშესხმას უოტერფორდის ხელი ატყვია. „იაკობის ძეთა ბრძენ მხედრობაში“

სხვა არავინ მეგულება, რომელიც მოიფიქრებდა, რომ დეიდებისათვის სახელები უნდა შეერჩიათ იმ კომერციული პროდუქტის მიხედვით, რომელზედაც ქალებს წინაგალაადურ ეპოქაში მიუწვდებოდათ ხელი და რომელიც ასე ნაცნობი და სანდო იყო მათთვის – კოსმეტიკური ხაზის, ნამცხვრების ნაკრების, გაყინული დესერტისა და თუნდაც მედიკამენტების. ეს ბრწყინვალე აღმოჩენა იყო და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ უოტერფორდი თავის ოქროს წლებში შესანიშნავი გამომგონებელი გახლდათ. ისევე, როგორც ჯადი – თავის სფეროში.

ცნობილია, რომ ამ ჯენტლმენთაგან ორივე უშვილო გახლდათ და ამგვარად, კანონი მხევლის ყოლის უფლებას რთავდა მათ. მე და პროფესორმა უეიდმა ჩვენს ერთობლივ კვლევაში „თესლის“ ცნება ადრეული პერიოდის გალაადში“ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ორივე მათგანი – მრავალი სხვა მეთაურის მსგავსად – დასნებოვნებული იყო ვირუსით, რომელიც მამაკაცების უნაყოფობას იწვევდა. ამ ვირუსის გავრცელება შედეგად მოჰყვა წინაგალაადური ხანის საიდუმლო ექსპერიმენტს, რომელიც ყბაყურას გენეტიკურ მუტაციას ისახავდა მიზნად. ამ ვირუსის შეყვანას ისინი მოსკოვის უმაღლესი ეშელონებისათვის გასაგზავნ ხიზილალის მარაგში იზრახავდნენ (ექსპერიმენტზე ხელი აიღეს „ძალთა გადანაწილების შეთანხმების“ მიღების შემდეგ, რადგან ვირუსი უკონტროლოდ და მაშასადამე, ძალზე საშიშად ითვლებოდა. თუმცა, გამოითქვა აზრი, ეგებ ინდოეთში გაგვევრცელებინაო).

თუმცაღა, არც ჯადი და არც უოტერფორდი არ ყოფილან დაქორწინებული ქალზე, სახელად პემი ან, მით უმეტეს, სერენა ჯოი. ეს სახელი ჩვენი ავტორის მიერ შერქმეულ ღვარძლიან მეტსახელს უფრო ჰგავს. ჯადის ცოლს ბემბი მეი ერქვა, უოტერფორდისას კი – თელმა. აღსანიშნავია, რომ იგი, ჩანაწერების პერსონაჟის მსგავსად, ოდესღაც ტელევარსკვლავი გახლდათ. ჩვენ ეს ფაქტი ლიმპკინისეული წყაროდან ვიცით, რომელმაც რამდენიმე გესლიანი შენიშვნა მიუძღვნა მას. რეჟიმს არაერთხელ მოუხდა თავისი ელიტის წევრთა მეუღლეების წარსულ შეცოდებათა მიჩქმალვა.

ასე და ამგვარად, სამხილთა უმეტესობა უოტერფორდზე მიგვანიშნებს. ჩვენ ვიცით, რომ მისი აღსასრული ჩვენი ავტორის მიერ აღწერილი მოვლენების შემდეგ სულ მალე დადგა.

უოტერფორდი ერთ-ერთ პირველ წმენდას შეეწირა. მას ბრალი ლიბერალურ მიდრეკილებებში, ეროტიკული ილუსტრაციებისა და ლიტერატურის მრავალრიცხოვანი კოლექციის ფლობასა და რეჟიმის ძირგამომთხრელთა მფარველობაში დასდეს. რადგან ეს ამბავი მანამ მოხდა, ვიდრე გალაადის მთავრობა თავის ქმედებათა გასაიდუმლოებას დაიწყებდა, „დიდი წმენდა“ ტელევიზიით გადაიცა. იგი სატელიტური ანტენის მეშვეობით ინგლისშიც ჩაიწერეს და ჩვენს არქივში, ვიდეოკასეტების საცავში, ინახება. კადრები, რომლებშიც უოტერფორდი ჩანს, ბუნდოვანია, თუმცა, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ იგი ჭაღარა გახლდათ.

რაც შეეხება რეჟიმის იმ ძირგამომთხრელებს, რომელთაც უოტერფორდი მფარველობდა, ეს, ალბათ, თვითონ ფრედისა უნდა ყოფილიყო, რომელიც ამ კატეგორიას მისი გაქცევის შემდეგ მიაკუთვნეს. თუმცაღა, შეიძლება, ამ ეპითეტში ნიკი იგულისხმება, რომლის როლიც ფრედისას გაქცევაში ჩანაწერებითაც დასტურდება. რაკი მან ამის გაკეთება მოახერხა, ესე იგი ნიკი მაისის დღის ბურუსით მოცული იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი იყო. მაისის დღე და „მიწისქვეშა ქალთა გზა“ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ, ეს ორი სხვადასხვა გუნდი იყო, თუმცა, ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ. „მიწისქვეშა ქალთა გზა“ წმინდა წყლის სამაშველო სამსახური გახლდათ, მაისის დღე კი – ფსევდოსამხედრო ფორმირება. მაისის დღის წევრების ნაწილმა გალაადში მმართველობის უმაღლეს ეშელონებში შეაღწია და ძალიან გაუმართლათ, რომ თავიანთი თანამზრახველის უოტერფორდის მძღოლად დანიშვნა მოახერხეს; ორმაგად გაუმართლათ, ვინაიდან ნიკი ასევე თვალთა კასტის წევრიც იქნებოდა, როგორც იმდროინდელ მძღოლთა და ხელზე მოსამსახურეთა უმრავლესობა. რა თქმა უნდა, უოტერფორდს ეს ეცოდინებოდა, რადგან იმ პერიოდის ყველა მაღალი რანგის მეთაური ავტომატურად ითვლებოდა თვალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელადაც, თუმცა, ალბათ, ამ ფაქტს ყურადღების ღირსად არ თვლიდა და თამამად არღვევდა წესებს, რასაც თვითონ პატარ-პატარა ცელქობად მიიჩნევდა. ისევე, როგორც ადრეული პერიოდის სხვა გალაადელ მეთაურებს, რომლებიც შემდეგ პოლიტიკურ წმენდას შეეწირნენ, მასაც სჯეროდა, რომ ხელშეუხებელი იყო. შუა პერიოდის გალაადს მეტი სიფრთხილე ახასიათებდა.

მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია. ვთქვათ, სწორ გზას ვადგავართ – ვთქვათ, მართლაც უოტერფორდი იყო ფრედისას მეთაური – ჩვენს კვლევაში მაინც ბევრი ხარვეზი რჩება. ზოგიერთი მათგანის ამოვსება ჩვენს ანონიმ ავტორს შეეძლო, ასეთი განსხვავებული მიდგომა რომ არ ჰქონოდა მოვლენებისადმი. მას ბევრი რამ შეეძლო მოეთხრო ჩვენთვის გალაადის იმპერიის შესახებ, შეეძლო, რეპორტიორის ანდა ჯაშუშის ინსტინქტი გამოევლინა. რას არ მივცემდით ახლა უოტერფორდის პირადი კომპიუტერიდან ამობეჭდილ თუნდაც ოც გვერდში! თუმცაღა, ჩვენ იმ ნამცეცებისათვისაც მადლობა უნდა შევწიროთ ისტორიის ქალღმერთს, სამადლოდ რომ გადმოგვიყარა.

რაც შეეხება ჩვენი მთხრობლის საბოლოო ხვედრს, იგი ბურუსით არის მოცული. მოახერხა კი მან, გალაადის საზღვარი გადაეკვეთა, იმდროინდელ კანადაში გაეღწია და იქიდან ინგლისისაკენ აეღო გეზი? ეს გონივრული საქციელი იქნებოდა, ვინაიდან კანადას არ სურდა ძლიერ მეზობელთან დაპირისპირება, ამიტომ ხშირად აპატიმრებდა ლტოლვილებს და მათ უკან აბრუნებდა. თუკი ფრედისამ თავის დაღწევა მოახერხა, რატომ არ წაიღო თან კასეტებზე ჩაწერილი თავისი მონათხრობი? შეიძლება ნაუცბათევად მოუხდა გამგზავრება; შეიძლება არ იყო დარწმუნებული, რომ დანიშნულების ადგილამდე ჩააღწევდა. მეორე მხრივ, შეიძლებოდა იგი ხელახლა შეეპყროთ. თუკი მართლა ჩავიდა ინგლისში, რატომ არ გამოაქვეყნა თავისი ისტორია, როგორც რეჟიმს თავდაღწეულთა უმეტესობა იქცევა? შესაძლებელია, მას ეშინოდა, რომ სამაგიეროს ლუკს, თუკი ის ცოცხალი გადარჩა (რაც გამორიცხულია) ანდა მის ქალიშვილს გადაუხდიდნენ; გალაადური რეჟიმისათვის ამგვარი მეთოდები უცხო არ იყო და მას ხშირად იყენებდა, რათა ლტოლვილებს ბევრი არ ელაქლაქათ. ცნობილია, რომ არაერთმა დაუფიქრებელმა გაქცეულმა მიიღო ხელი, ყური ანდა ფეხი დალუქული ამანათით. შეიძლება ფრედისა იმ გაქცეული მხევლების რიგებს შეუერთდა, რომლებმაც ვერ იგუეს ახალი გარემო, ძველი, ყოველმხრივ დაცული ყოფის შემდეგ. შეიძლება ისიც, მათ მსგავსად, განდეგილად იქცა. ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ რა ამოძრავებდა ნიკს, როდესაც მხევალს გაქცევაში დაეხმარა. ვფიქრობთ, რომ მას შემდეგ, რაც ფრედისას კომპანიონი გლენისას მაისის დღესთან

კავშირი აღმოაჩინეს, ნიკმა ხიფათის სუნი იკრა, ვინაიდან იგი თვალი იყო და იცოდა, რომ ფრედისას აუცილებლად დაკითხავდნენ. მხევალთან უნებართვო სექსუალური კავშირი იმ პერიოდში სასტიკად ისჯებოდა; ამ შემთხვევაში მას თვალთა კასტის წევრობაც კი ვერ იხსნიდა. გალაადის საზოგადოებას სიმუხთლე სჩვეოდა და პიროვნების ნებისმიერი გადაცდომა შეიძლებოდა მის ფარულ მტრებს გამოეყენებინათ. ნიკს, რასაკვირველია, შეეძლო, თვითონვე მოეკლა ფრედისა, რაც, უფრო გონივრული გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ადამიანური ბუნების თავისებურებანი და ისიც, რომ ორივე მათგანის ვარაუდით, მხევალი ორსულად იყო. გალაადურ პერიოდში მცხოვრები რომელი მამაკაცი იტყოდა უარს მამობაზე? ეს ხომ უაღრესად საპატიო და დაფასებული სტატუსი იყო. ჰოდა, მანაც დამხმარე რაზმი გამოიძახა, რომლის წევრებიც ეგება იყვნენ თვალთა ორგანიზაციიდან, ეგება – არც, მაგრამ ნიკს ემორჩილებოდნენ. შესაძლოა, მან ამ საქციელით საკუთარი აღსასრული მოიახლოვა. ამასაც ვერასოდეს გავიგებთ.

მოახერხა ჩვენმა მთხრობელმა, რომ უსაფრთხო გარემოში გაეღწია და ახალი ცხოვრება დაეწყო? თუ სხვენში მიმალული იპოვეს, დააპატიმრეს და კოლონიებისა და იეზებელის გზას გაუყენეს? ეგებ სიკვდილითაც დასაჯეს? ჩვენი წყარო, სხვა მხრივ მეტად მჭევრმეტყველი, ამ საკითხზე კრინტს არ ძრავს. ჩვენ შეგვიძლია მკვდართა საუფლოდან გამოვიხმოთ ევრიდიკე, მაგრამ ვერ ვაიძულებთ მას, შეკითხვებზე გვიპასუხოს; და თუკი მისკენ თავს მივაბრუნებთ, მხოლოდ წამით შევავლებთ მზერას, სანამ ხელიდან გაგვისხლტება და თვალს მიეფარება. ყველა ისტორიკოსი დამეთანხმება, რომ წარსული ერთი დიდი წყვდიადია, რომელიც ექოებითაა სავსე. შეიძლება იქიდან მომავალმა ხმებმა ჩვენს ყურამდე მოაღწიოს, მაგრამ მათი სათქმელი იმ საშოს სიბნელეში იქნება დანთქმული, რომლიდანაც იშვნენ. და რაც უნდა გულმოდგინედ ვეცადოთ, ყოველთვის ვერ შევძლებთ, ზუსტად გავშიფროთ ისინი დღევანდელობის ნათელ შუქზე. (ტაში)

ახლა კი მზად ვარ, თქვენს კითხვებს ვუპასუხო.